

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ქართველურ ენათა სტრუქტურის
საკითხები

XII

Issues of the Structure of Kartvelian
Languages

თბილისი 2013 Tbilisi

მთავარი რედაქტორი

გიორგი გოგოლაშვილი

Editor-in-Chief

Giorgi Gogolashvili

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
ლელა გიგლემიანი (სწავლული მდივანი)
მურმან სუხიშვილი
თედო უთურგაიძე
ვაჟა შენგელია
იზა ჩანტლაძე
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Lela Giglemiani (scientific secretary)
Murman Sukhishvili
Tedo Uturgaidze
Vazha Shengelia
Iza Chantladze
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contact@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN 99940-864-7-2

გიორგი გოგოლაშვილი

ბესარიონ ჯორბენაძე

ბესარიონ ჯორბენაძე დაიბადა 1942 წლის 31 აგვისტოს; გარდაიცვალა 1993 წლის 30 მაისს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან შეძლო ისე ეცხოვრა და ეღვაწა, რომ ღრმა კვალი დაემჩნია იმ სამყაროში, სადაც მას მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა...

* * *

ახალგაზრდა მოღვაწე როცა ამ ქვეყნიდან მიდის, მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი ნაღვაწის ობიექტურად შეფასებას გარკვეულწილად ხელს უშლის მისი ნაადრევი გამოთხოვება წუთისოფელთან: ეს ფაქტი — უღროო გარდაცვალება — გვგვრის უზომო ტკივილს, მწუხარებასა და სიბრალულს, რასაც შეფასებაში სუბიექტურობის მომენტი შემოაქვს... და კიდევ: დანანება — რამდენი რამ დარჩა გაუკეთებელი...

ასე იყო ამ ოციოდე წლის წინათაც, როცა 50 წლის ბესარიონ ჯორბენაძემ მოულოდნელად დატოვა სააქაო. მაშინ ვწერდით, რომ ნაღვაწი ბატონ ბესიკს მკვიდრ ადგილს მოუპოვებს ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსთა შორის... მისი შემოქმედების მნიშვნელობის გააზრება გვაძლევდა იმჟამად ამ დასკვნის გაკეთების უფლებას.

ბ. ჯორბენაძის უღრო გარდაცვალებით შეძრული, პროფესორი კორნელი დანელია წერდა: „მას ბადალი არ ჰყავდა მეცნიერული მოღვაწეობის შედეგიანობით თავის თაობაში. შედეგები კი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო; შთამბეჭდავი იყო არა მარტო სიუხვითა და აკადემიზმით, არამედ იმიტაც, რომ ეს შედეგები მოპოვებული იყო ქართული ენათმეცნიერების არა ყამირზე, არამედ კარგად დამუშავებულ ნარბილზე. იოლი სრულებით არ იყო ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსების — აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას,

გივი მაჭავარიანისა და სხვათა ნაღვაწის ფონზე დაწერილიყო პირველხარისხოვანი ლინგვისტური შრომები... მხოლოდ ელვარე ნიჭისა და უზარმაზარის ენერჯის, მეცნიერების სიყვარულით გულანთებულ კაცს შეეძლო ძალიან მოკლე დროში შეექმნა ამდენი...“

ბესარიონ ჯორბენაძის შრომათა სიუხვეზე როცა ამახვილებენ ყურადღებას, აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ საჭიროდ ჩათვალა, ერთ-ერთ პუბლიკაციაში ასეთი განმარტება გაეკეთებინა: „ცხადია, ამ შემთხვევაში რაოდენობა არაა მათი ღირსების განმსაზღვრავი. მისი ნაშრომები გამოირჩევა საკითხებისადმი ორიგინალური, ახლებური მიდგომით“.

ის, რაც ბატონი ბესიკის მეცნიერული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე თქვა მისმა სათაყვანებელმა მასწავლებელმა აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიაშვილმა, შეიძლება მისი მეცნიერული ნაღვაწის ზოგად შეფასებად მივიჩნიოთ. ბატონმა ვარლამმა ასე შეაფასა ბ. ჯორბენაძის სადიპლომო ნაშრომი: „წერს თავისუფლად; მსჯელობს ნათლად, საკითხებში ერკვევა კარგად, იჩენს საქმის ცოდნასა და სიყვარულს. ბ. ჯორბენაძის ადრე შესრულებული ნაშრომები (მოხსენებები სტუდენტთა კონფერენციებზე) და ეს სადიპლომო შრომა გვარწმუნებს, რომ მას აქვს უნარი მასალის ანალიზისა და ანალიზის შედეგების განზოგადებისა“.

დღეს, როცა ორი ათეული წელი გვაშორებს იმ საბედისწერო დღიდან — ბ. ჯორბენაძის გარდაცვალებიდან — შეგვიძლია ნაკლები ემოციითა და მეტი ობიექტურობით შევაფასოთ ბატონი ბესიკის ღვაწლი და მივუჩინოთ მას ღირსეული ადგილი ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსთა გვერდით. ვფიქრობთ, უტყუარი იყო ალლო ჩვენგან ასევე ნაადრევად წასული კორნელი დანელიასი, როცა მან ბესარიონ ჯორბენაძე კლასიკოსთა რიგში ჩააყენა: აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, გივი მაჭავარიანისა და სხვათა გვერდით დააყენა...

* * *

როცა ბ. ჯორბენაძის მეცნიერულ ღვაწლზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მისი დამსახურება ქართული ზმნის მორფოლოგიის საკითხების კვლევაში; აკად. ქ. ლომთათიძე წერს: „მკვლევარის მიერ დამუშავებულ პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენის ფორმოზოგი და ფუნქციური გრამატიკის აქტუალურ საკითხებს,

რომლებიც განსაკუთრებით წარმოჩენილია ქართული ზმნის რთულ სისტემაში“. ჩვენ ამ წერილში, ცხადია, ვერ შევძლებთ დეტალურად ვიმსჯელოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართული ზმნის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არის წარმოდგენილი. მკითხველს შევთავაზებთ მხოლოდ ჩამონათვალს მონოგრაფიებისას, ამ პრობლემატიკას რომ ეხება:

1. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, 1975.
2. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, 1980.
3. ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, 1983.
4. ქართული ზმნა (რუსულ ენაზე), 1986.

სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი ეს მონოგრაფიები. როგორც არაერთხელ აღინიშნა, „განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ყველა შესწავლილ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დამუშავებულია ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემებიც“ (ქ. ლომთათიძე). და ეს ბ. ჯორბენაძის, როგორც მკვლევრის, მთავარი პრინციპია. კერძოსა და ზოგადს შორის „განსხვავებები, ცხადია, არსებობს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი ავსებენ და სრულყოფენ ერთმანეთს“ (ზ. კიკვიძე). ბ. ჯორბენაძის კვლევა ამ თვალსაზრისის დასაბუთებაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვინც ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრობლემებით დაინტერესდება, იგი გვერდს ვერ აუვლის ბ. ჯორბენაძის ნაშრომებს ამ სფეროში...

* * *

ბ. ჯორბენაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტოპონიმიკის (შემდგომში ონომასტიკის) ლაბორატორიის პირველი გამგე; საველე მუშაობის დამგეგმავი და სამეცნიერო ექსპედიციების აქტიური მონაწილე; ამ სფეროში მისი დიდი ღვაწლი ისიცაა, რომ მან შექმნა წიგნი „ონომასტიკური გულანი“, რომელიც ამ დარგის ნაშრომთა შორის უდავოდ გამოირჩეულია. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ავტორი, ერთი მხრივ, მსჯელობს ისეთ ზოგადთეორიულ საკითხებზე, როგორიცაა, საკუთარი სახელის რაობა, დიალექტოლოგიისა და ონომასტიკის ურთიერთმიმართების საკითხი, მცენარეთა სახელდების პრინციპი და სხვა; მეორე მხრივ, განიხილავს ონომასტიკის კონკრეტულ საკითხებს. ეს ნაშრომები, შეიძლება ით-

ქვას, სანიმუშოა თავის შესრულებით, კვლევის მეთოდოლოგიით და შთამბეჭდავი შედეგებით. თუნდაც ისეთი თემა, როგორცაა ეტიმოლოგიური კვლევა, როგორ მაღალ მეთოდოლოგიურ დონეზე აიყვანა მკვლევარმა...

გავიმეორებთ: ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი, ჩვენი ღრმა რწმენით, გვერდს ვერ აუვლის ამ მონოგრაფიას...

* * *

ცალკე გვინდა გამოვყოთ ბ. ჯორბენაძის სამი წიგნი: „ბალავარი მწერლობისა“, „პოეზიის ენა“ და „ენა და კულტურა“.

ბ. ჯორბენაძე სამოღვაწეო ასპარეზზე რომ გამოვიდა, მწერლის ენისა და სტილის შესწავლას ჩვენში საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა. XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ა. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურის ნაშრომები ამ სფეროში. შემდგომში მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი არაერთი მწერლის ენა და სტილი. აი, ამ ტრადიციებზე აღზრდილი ბ. ჯორბენაძე წერს ნაშრომებს და 1987 წელს გამოცემს წიგნს „ბალავარი მწერლობისა“. პროფ. მ. ქურდიანის აზრით, „ქართველ ენათმეცნიერთა ახალი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ამ წიგნით ლინგვისტიკის ტრადიციის უბრალო გამგრძელებლად კი არა, ახალი დისციპლინის, ლინგვოპოეტიკის, ტრადიციის ერთ-ერთ მესაძირკვლედაც გვევლინება“. მ. ქურდიანი აზუსტებს: „ლიტერატურისმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მიჯნაზე არცთუ დიდი ხნის წინ დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბდა ლექსთმცოდნეობა; ამჟამად ჩვენ თვალწინ ლიტერატურათმცოდნეობის დარგის, პოეტიკისა და ენათმეცნიერული სტილისტიკის მეთოდების ურთიერთშედწევა გადასცდა რაოდენობრივ ზღვარს და დაიწყო თვისობრივად ახალი დისციპლინის — ლინგვოპოეტიკის ჩამოყალიბების პროცესი“... სწორედ ამ ლინგვოპოეტიკის ფუძემდებლად გვესახება ჩვენ ბ. ჯორბენაძე. და უნდა დავეთანხმოთ მ. ქურდიანს, რომ „ეს წიგნი სტილისტიკისა და პრეტიკის ფუნდამენტურ საკითხთა დაყენების სითამამით, კვლევის მეთოდოლოგიური სიახლითა და კომპლექსურობით, კვლევის პოზიტიური შედეგებით თანამედროვე ქართული ფილოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია“. ეს წიგნი გახდება საფუძველი ამ მიმართულებით მომავალი კვლევა-ძიებისა...

ამ წიგნის („ბალავარი მწერლობისა“) გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ბ. ჯორბენაძის გარდაცვალების შემდგომ გამოსული ორი წიგნი „პოეზიის

ენა“ (1999 წ.) და „ენა და კულტურა“ (1997 წ.). პირველი უშუალო ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ წიგნისა „ბალავარი მწერლობისა“. ამ წიგნში გალაკტიონის ენისა და სტილის საკითხებია განხილული. ხოლო მეორე — „ენა და კულტურა“ — ლინგვოკულტუროლოგიული ნაშრომია. პროფესორი შუქია აფრიდონიძე მიიჩნევს, რომ „ენა და კულტურა“ დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს მშობლიური ენის ლექსიკისა და გრამატიკული კატეგორიების კულტუროლოგიური თვალსაზრისის გასაზრებლად და, საერთოდ, ამ მიმართულებით თვალსაწიერის გასაფართოებლად. ქ-ნი შუქია თვლის, რომ „წიგნის თემატური მრავალფეროვნებისა და ინტერდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი მართლაც გვირგვინად დაედგა ბესარიონ ჯორბენაძის მთელ ლინგვისტურ ნამუშავეს“.

* * *

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ბ. ჯორბენაძის მონოგრაფია „ფაკულტატური გრამატიკის საკითხები“. ეს არის ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნაშრომი. მოგეხსენებათ, ის რაც მონოგრაფიაში ფაკულტატურად იწოდებოდა, ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამონაკლისად არის მიჩნეული. გამონაკლისი საერთო წესიდან ამოვარდნილს ნიშნავს. სინამდვილეში ისიც, რაც გამონაკლისად იწოდება, ენის კანონზომიერებითაა შეპირობებული; რაც იმას ნიშნავს, რომ იგიც (გამონაკლისიც) გარკვეულ წესს ექვემდებარება; შეუძლებელია, ენაში რაიმე მოქმედებდეს განუკითხავად. ენაში ყველაფერი — უმარტივესიდან ურთულესამდე — განისაზღვრება ერთი პრინციპით, დანიშნულებით და მიმართულებით, რასაც ამა თუ იმ ენის შინაგანი არსი განაპირობებს. ეს არის საფუძველი იმისა, რამაც გამოიწვია ფაკულტატურობის საკითხის დასმა.

კვლევა-ძიებაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ენის ყველა დონეზე (ფონეტიკასა და გრამატიკაში) დაიძებნა იმ რიგის ნიმუშები, რომლებიც ფორმობრივი სტრუქტურით არაფრით განსხვავდებიან სხვა ფორმებისაგან, მაგრამ სემანტიკურად აშკარა სხვაობას ავლენენ. ავტორი ცდილობს, ეს გადახრები საერთო კანონზომიერებიდან ამოსვლით ახსნას...

ვფიქრობთ, ამ წიგნის მნიშვნელობა ჯერ კიდევ შესაფასებელია და დასაფასებელი...

* * *

ცალკე შეიძლება გვემსჯელა „მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის“ (1988 წ. თანავტორები: მარინე ბერიძე და მანანა კობაიძე). ამ სახის ლექსიკონი ჩვენში პირველად შეიქმნა. ამ წიგნით საფუძველი ჩაეყარა მორფოლოგიური ლექსიკონების სერიას; გამოიცა „ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (1989 წ. ავტორები: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია); „სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (1991 წ. ავტორები: გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია); მომზადდა გამოსაცემად „სახელური ფუძეების ლექსიკონი“ (ავტორები: ბ. ჯორბენაძე, ნ. ლოლაძე, მ. კიკონიშვილი).

ეს ლექსიკონები მორფოლოგიის აკადემიური კურსის მოსამზადებელ სამუშაოდ განისაზღვრა. „მორფემათა ლექსიკონს“ პროფესორი კორნელი დანელია ასე ახასიათებს: „ჩვეულებრივ ლექსიკონის ავტორზე „შემდგენელი“ ითქმის, თორემ ზემოთდასახელებული შრომა რეალურად წარმოადგენს ავტორთა მიერ **ახლად დაწერილ** მოკლე სამეცნიერო სტატიათა ანბანურ რიგზე გაწყობილ სოლიდურ კრებულს“. ამ ლექსიკონის შექმნა ბესარიონ ჯორბენაძის უღვევი ფანტაზიის, ახლის ძიებისა და კოლოსალური ენათმეცნიერული ცოდნის შედეგი იყო...

ვთქვით, რომ ეს „მორფემათა ლექსიკონი“ და „სახელური ფუძეების ლექსიკონი“ (რომლის დამთავრებას ბ. ჯორბენაძე ველარ შეესწრო). არის მასალები მორფოლოგიის აკადემიური კურსისათვის. ბ. ჯორბენაძე იყო ხელმძღვანელი ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსისა. მან შეადგინა ავტორთა ჯგუფი, პროგრამა-პროექტი — „ქართული ენის მორფოლოგია“, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაფიქრის განხორციელება ველარ მოასწრო. რამდენადაც მიგვაჩნდა, რომ „ქართული ენის მორფოლოგიის პროგრამა-პროექტი“ მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი იყო, 1995 წელს გამოვეცით ცალკე წიგნად. ფაქტობრივ, იგი გახდა საფუძველი 2011 წელს გამოცემული აკადემიური კურსისა — „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. I. სალიტერატურო ენა“ (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით). ვწერდით კიდევ წიგნის წინასიტყვაობაში — ბ. ჯორბენაძე შეიძლება მივიჩნიოთ ამ წიგნის თანავტორად-თქო...

* * *

ჩვენ ბ. ჯორბენაძის სამეცნიერო მოღვაწეობის სამ სფეროს შევხებით: ქართული ენის მორფოლოგიას, ონომასტიკასა და მწერლის ენისა და სტილის საკითხებს. სამივე ამ სფეროში, როგორც ვთქვით, ბ. ჯორბენაძის წვლილი ფასდაუდებელია.

მაგრამ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ბ. ჯორბენაძის დამსახურებაზე ქართულ დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში.

* * *

ათიოდე წლის წინათ ენათმეცნიერი გიორგი ცოცანიძე ბესარიონ ჯორბენაძის შესახებ წერდა: „დიალექტოლოგია ქართველოლოგიის ის სფეროთაგანია, რომელშიც თავისი ნიჭისა და უდიდესი შრომის კვალი დატოვა ბესიკ ჯორბენაძემ. დღეს არ იქნება ქართველური ენების სტრუქტურის საკითხებზე, განსაკუთრებით კი დიალექტოლოგიის უბანზე, მომუშავე მეცნიერი, რომელსაც მაგიდაზე არ ედება მისი სამი სოლიდური, მოცულობითაც და მეცნიერული ღირებულებითაც, მონოგრაფია: „ქართული დიალექტოლოგია“ — I და II ტომები და „ქართველურ ენათა დიალექტები“. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისა „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომია, რომლისთვისაც უფრო შესაფერისი იქნებოდა, თუ „ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლები“ ერქმეოდა. ეს ორნაწილიანი ნაშრომი მართლაც მყარ ნიადაგს ქმნის ჩვენში დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების თვისობრივად ახალ საფეხურზე ასაყვანად“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული დიალექტოლოგიის სფეროში ბ. ჯორბენაძის ამ მონოგრაფიის როლი ისეთივეა, რა როლიც იტვირთა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში აკაკი შანიძის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ — „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“ (ნაკვეთებად გამოიცა 1942-1943 წლებში; I გამოცემა გამოვიდა 1953 წელს).

ქართულ დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავე XX საუკუნის დასაწყისში დაედო. 1915 წელს გამოქვეყნდა ა. შანიძის ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“. ეს ნაშრომი იყო მაგალითი იმისა (შეიძლება ითქვას, გზამკვლევი), თუ როგორ უნდა წარმართულიყო დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება.

კვლევა-ძიებამ თითქმის სრულად მოიცვა მთელი ქართული ენობრივი სივრცე. დამუშავდა არაერთი თეორიული საკითხი. თითქმის ყველა დიალექტი გახდა კვლევა-ძიების საგანი. მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი თითოეული მათგანი, გამოქვეყნდა ტექსტები და სალექსიკონო მასალა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, როცა ბ. ჯორბენაძე გამოდის სამოდვაწეო ასპარაზზე, ეს, ასე ვთქვათ, პირველი ეტაპი ქართული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისა თითქმის დასრულებულია; სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით ძალიან სერიოზული შედეგები გვაქვს ცალკეული ქართული დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით და მომზადდა ნიადაგი ახალი ეტაპისათვის. დღის წესრიგში დგება კვლევა-ძიების შედეგების განზოგადება. ცხადია, არ იგულისხმება, რომ ცალკეული დიალექტური ფაქტებისა და მოვლენების შესწავლა, ტექსტებისა და სალექსიკონო მასალის შეკრება დასრულდა, რომ აღარაა საჭირო. ეს ის საქმეა, რომელიც არასდროს დასრულდება და ყოველთვის იქნება საჭირო... გავხზავთ იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდისათვის თითქმის სრულად აღიწერა ქართული დიალექტური სივრცე და დადგა დრო, მოპოვებული მასალის საფუძველზე განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნისა...

ბ. ჯორბენაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორად მის სახელთან არის დაკავშირებული დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ახალი ეტაპის დაწყება ქართულ დიალექტოლოგიაში.

ზევით ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ ბ. ჯორბენაძე ნებისმიერ მონოგრაფიულ კვლევას ზოგადთეორიულ ნაწილს წარუძღვარებს; პრობლემის ზოგად ასპექტებს წარმოაჩენს და შემდეგ განიხილავს კონკრეტულ პრობლემას. ასე იყო ეს მის პირველ მონოგრაფიაში „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“ (1975) და მომდევნო წიგნშიც „ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“ (1981) და ორივე ამ მონოგრაფიის ზოგადი ნაწილი სპეციალისტთა მიერ მიჩნეულია მნიშვნელოვან ზოგადთეორიულ ნაშრომად. ზ. კიკვიძის აზრით, ფაქტია, „თუ რამდენ ფასეულ ინფორმაციას, თვალსაზრისსა თუ დებულებას აწვდის ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომები თეორიული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ მკითხველს. ჩვენი აზრით, მათ შორის მრავლადაა ისეთებიც, რომელთა საშუალებითაც ავტორმა თავის დროს გაუსწრო. რაც მთავარია, მისი თეორიული დასკვნა თეორიული თუ პრაქტიკული მასალის გამოწვლილვითი ანალიზის შედეგადაა მიღებული.

ამიტომაცაა ისინი ადეკვატური, ფასეული, ეფექტური და იმავდროულად გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე“.

დიალექტოლოგიაზე როცა ვსაუბრობთ, აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომის (1989) I ნაწილი „დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები“ (გვ. 7-216). ეს მონაკვეთი 10 თავისაგან შედგება. ვინც ამ მონაკვეთის თუნდაც მხოლოდ დასათურებას გადაავლებს თავს, დამერწმუნება, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში ამ ნაშრომს ბადალი არა ჰყავს. როგორც ვიცით, ქართული დიალექტოლოგია, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინა, საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე იკითხება. „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომი არის ფაქტობრივ ერთადერთი სახელმძღვანელო ამ დისციპლინისა; ეს არის ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში ერთადერთი ნაშრომი დიალექტოლოგიის დარგში, რომელიც დაწერილია თანამედროვე ლინგვისტიკის დონის გათვალისწინებით, მაღალმეცნიერულ დონეზე უადრესად მისაწვდომი ენობრივი ფორმით; იგი მსჯელობის სინათლითა და ლოგიკით შეუცვლელია. არ იყო შემთხვევით ისიც, რომ თავის დროზე წიგნი საენათმეცნიერო ლიტერატურისათვის უჩვეულო ტირაჟით (6000 ცალი) დაიბეჭდა და მალევე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

„ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომი (ზოგადი ნაწილი) არ არის კომპილაციური ნაშრომი. მართალია, იგი თავს უყრის და აჯამებს არსებულს, ტრადიციულს, მაგრამ გვაწვდის ორიგინალურ შეფასებასა და გააზრებას დასმული საკითხებისას. ორიგინალურია ავტორის მიდგომა თუნდაც ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა — დიალექტის რაობა, ქართული სალიტერატურო ენა, სალიტერატურო ენა და დიალექტები და სხვ. ავტორის დამოუკიდებელი კვლევის შედეგებია წარმოდგენილი ისეთ პარაგრაფებში, როგორიცაა — დიალექტური ნორმა, დიალექტების ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია და სხვა. თუნდაც ეს უკანასკნელი პარაგრაფი (ამის მიგნება) ძალიან ბევრ საკითხს ჰფენს ნათელს, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს მოხსნის... თითოეულ თავზე, ცალკეულ პარაგრაფებზე შეიძლება საუბარი, თუმცა ეს ამ წერილის მიზანი ვერ იქნება...

არანაკლებ მნიშვნელოვანია „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომის მეორე ნაწილი — „ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა“ (გვ. 216-588). ამ წიგნის გამოცემამდე ჩვენ გვქონდა ცალკეულ დიალექტთა შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევები, სტატიები ამა თუ იმ საკითხზე. რო-

გორც ვთქვით, ცალკე კვლევის თემა იყო თითქმის ყველა დიალექტი, მაგრამ სრულყოფილი სურათის წარმოდგენა ქართულ დიალექტურ სივრცეზე მხოლოდ ამ წიგნის მეშვეობით შეიძლება შევიქმნათ. ყველა ქართული დიალექტი (ბ. ჯორბენაძის აზრით, ასეთი თექვსმეტია) ერთი და იმავე სქემით არის აღწერილი და წარმოდგენილი. სქემა ასეთია: ა) დიალექტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა, ბ) ფონეტიკა, ბ) მორფოლოგია, დ) სინტაქსური თავისებურებანი, ე) ლექსიკური თავისებურებანი. ეს არის სისტემატიზებული მასალა დიალექტების თავისებურებათა შესახებ. თითოეული დიალექტის აღწერა საშუალოდ 15-20 გვერდს მოიცავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე შედგენილი აღწერა. ამ სქემის თითოეულ პუნქტზე ყველა დიალექტის შემთხვევაში პასუხი არც ყოფილა გაცემული. ამიტომაც ავტორს მოუხდა კონკრეტული ტექსტური მასალის ანალიზის საფუძველზე ეპასუხა საჭირო კითხვებისათვის, ერთიანი პრინციპი რომ არ დარღვეულიყო. ამიტომ ამ აღწერებში ბ. ჯორბენაძის კვლევის შედეგებიც მრავლადაა. ასეა მაგალითად, ფერეიდნულისა და იმერხეულის შესახებ. ამ დიალექტების შესახებ ამ სახის აღწერა, სრულყოფილი დახასიათება ამ დიალექტებისა მანამდე არც გვქონია. ასე რომ, ავტორისეულ დაკვირვებებსა და მიგნებებს ამ მონაკვეთშიც მრავლად შევხვდებით.

სწორედ ამ წიგნის — „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომის შესახებ ითქვა, ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლებიაო.

„ქართული დიალექტოლოგიის“ მეორე ტომი გამოცა 1998 წელს. ეს არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ ენათმეცნიერებაში. ჩვენ მანამდე გვქონდა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც ფონეტიკურ პროცესებს განიხილავდნენ, როგორც ერთიან პროცესს ქართულ დიალექტოლოგიურ სივრცეში. მაგრამ ეს იყო გამოკვლევები მხოლოდ ცალკეული ენობრივი მოვლენების (ვთქვათ, ასიმილაცია-დისიმილაციის, ხმოვანკომპლექსთა ცვლილებებისა და სხვა) შესახებ. როცა ვამბობთ, ბ. ჯორბენაძის ამ მონოგრაფიაში ამ სათავე დაუდო ახალ ეტაპს ქართულ დიალექტოლოგიაში, ვგულისხმობთ იმას, რომ სისტემურად აღიწერა ქართული დიალექტოლოგიური სივრცე ფონეტიკური თვალსაზრისით; დიალექტური ფაქტები და მოვლენები შეჯერდა და განზოგადდა. აქ მხოლოდ II ტომის თავების სათაურებს ჩამოვთვლი:

1. ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა (გვ. 5-96);

- II. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ქართული ენის დიალექტებში (გვ. 97-293);
- III. თანხმოვანთა ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტებში (გვ. 294-543);
- IV. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში (გვ. 544-661).

შეგნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ასეთი ფუნდამენტური, მასშტაბური და მაღალმეცნიერული ნაშრომი ქართული დიალექტოლოგიის ფონეტიკაში ჯერ არ შექმნილა... დრო ამ ნაშრომის მნიშვნელობას კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს.

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ბ. ჯორბენაძის არქივში არის საკმაოდ ვრცელი მასალა „ქართული დიალექტოლოგიის“ მესამე ტომისათვის — ძალიან საინტერესო გამოკვლევები ქართული დიალექტების მორფოლოგიის საკითხების შესახებ (ერთ ნაწილს წინამდებარე კრებულშიც ვბეჭდავთ). როცა ეს მასალა დალაგდება და გამოქვეყნდება, მაშინ ვიტყვით, რომ ამ სახის მონოგრაფიაც პირველი იქნება ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. ფაქტობრივ, ამ გამოცემით დასრულდება ვრცელი დიალექტოლოგიური კორპუსი — „ქართული დიალექტოლოგიის“ სამტომეული.

თუმცა როცა დიალექტოლოგიურ კორპუსზე ვსაუბრობთ, კიდევ ერთი მონოგრაფია უნდა აღვნიშნოთ ბ. ჯორბენაძისა — „ქართველური ენების დიალექტები“ (ბ. ჯორბენაძე, 1995).

ქართველურ ენათა დიალექტებში არსებული მსგავსი თუ ერთგვარი მოვლენები მონოგრაფიულად ჯერ არ შესწავლილა. ბ. ჯორბენაძის ეს მონოგრაფია არის პირველი მცდელობა ამგვარი მონოგრაფიის შექმნისა.

ამ მონოგრაფიის მოკლე ინგლისური ვარიანტი „**The Kartvelian Languages and Dialects**“ 1991 წელს გამოიცა. ქართული გამოცემა გაცილებით ვრცელია, წიგნი ორიგინალურია სტრუქტურითაც და საკითხების დასმისა და გადაწყვეტის პრინციპითაც. პირველ ნაწილში (§ 1-7, გვ. 7-20) ისეთი ზოგადი საკითხებია განხილული, როგორცაა ენობრივი სიტუაცია საქართველოში ისტორიულად და ამჟამად; ქართველური ენების გავრცელება, მათი დიალექტების ზოგადი დახასიათება, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, ერთგვაროვანი მოვლენები ქართველურ ენებში და სხვ. აქ დასმული საკითხების აქტუალობა და მნიშვნელობა, ვფიქრობთ, მკითხველისა-

თვის ნათელია. იგი ავტორისათვის ჩვეული ზოგადი ხედვისა და კონკრეტული მასალის ანალიზის შეჯერების კარგი მაგალითია.

მომდევნო მონაკვეთებში განხილულია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები (გვ. 71-315). ყველა შემთხვევაში საუბარია, რა არის საერთო და რა — განსხვავებული ქართველურ ენებში. ცალკე განიხილება ლექსიკური საკითხები. ბოლო მონაკვეთის დასახელება ასეთია: „ძირითადი ფონეტიკური და გრამატიკული ტენდენციები ქართველურ ენებში“ (გვ. 315-434). ეს არის ფაქტობრივ დამოუკიდებელი მონოგრაფიული ხასიათის მქონე მონაკვეთი ამ წიგნისა — ზოგადი თვალსაზრისითა და კონკრეტული საკითხების სისტემური მიმოხილვით.

ფიქრობთ, განსაკუთრებულია ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და გრამატიკის შესწავლისა თუ სწავლების თვალსაზრისით. ეს წიგნი ბ. ჯორბენაძის ფუნდამენტურ „დიალექტოლოგიურ კორპუსში“ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს...

მნიშვნელოვანია ბ. ჯორბენაძის წვლილი ქართველური ენობრივი სივრცის არეალოგიური შესწავლის საქმეში. მართალია, ბ. ჯორბენაძემ ამ თემის სრულყოფილი და მასშტაბური დამუშავება (ისე, როგორც სჩვეოდა მას) ვერ მოასწრო. მხოლოდ რამდენიმე მოხსენება წაიკითხა და ორიოდ ნაშრომი გამოაქვეყნა „ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის“ (I საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, 1988); „არეალური ენათმეცნიერება — არეალოგია“ (ქართული დიალექტოლოგიის I ტომი).

დიდი იყო ბ. ჯორბენაძის ინტერესი ქართული ლინგვისტური და მუსიკალური დიალექტების ურთიერთმიმართებისადმი. მონოგრაფიაში „ქართველურ ენათა დიალექტები“ დანართად „მუსიკალური დიალექტები“ დაიბეჭდა (გვ. 334-344). ეს, ასე ვთქვათ, წინასწარი მოხსენება იყო. ამ მიმართულებით ბ. ჯორბენაძეს საინტერესო გეგმები ჰქონდა. ენათმეცნიერების ინსტიტუტში აპირებდა შეექმნა მუსიკალური დიალექტების ლაბორატორია. თანამშრომლად მოიწვია მუსიკალური ფოლკლორის ცნობილი სპეციალისტი ედიშერ გარაყანიძე... როგორც ჩანს, ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. მოულოდნელად გარდაიცვალა ბ. ჯორბენაძე (1993 წ.). ტრაგიკული აღმოჩნდა ბედი ე. გარაყანიძისაც... და ამ საქმის გაგრძელება მომავალი თაობების საქმეა... არადა, პირველივე კვლევებიდან ჩანს, პრობლემა უდავოდ საინტერესოა...

* * *

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვისაუბრეთ ბესარიონ ჯორბენაძეზე, როგორც მეცნიერზე. ბესარიონ ჯორბენაძე როგორც პიროვნება და როგორც მოღვაწე ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2003 წელს ჩვენ შევადგინეთ და გამოვეცით კრებული „ბესარიონ ჯორბენაძე — პიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე“. ვფიქრობთ, ამ წიგნში მეტ-ნაკლებად შევძელით გვეჩვენებინა სახე ბატონი ბესიკისა, როგორც პიროვნებისა და როგორც მოღვაწისა... დაინტერესებულ პირს ამ კრებულის გაცნობას ვურჩევდით (როგორც მეცნიერზეც, იქ უფრო ვრცელადაა საუბარი).

ამ წერილში ჩვენ ორიოდ ფრაგმენტს მოვიყვანთ დასახელებული კრებულიდან; ორიოდე ამონარიდი ბ. ჯორბენაძის მოწაფეთა მოგონებებიდან:

მაია მიქელაძე: ბატონი ბესიკისათვის ძვირფასი იყო ყოველივე, რაც ქართულს, ეროვნულს უკავშირდებოდა. სწორედ ამიტომაც ის ფილოლოგიის ფაკულტეტის უბრალო დეკანი კი არა, მემამბოხე სტუდენტების ერთგული დეკანი იყო. „ზევიდან მოვიდა ბრძანება — ფილოლოგიის ფაკულტეტი საშიშროებას უქმნის... თუკი თქვენ ვერ შეძლებთ მის დაშლამინებას...“ — გამათავისუფლეთ! — ამაყად გაისმის ბესარიონ ჯორბენაძის სიტყვა. პარტელიტა გაოგნებულია. ჯორბენაძეს არავისი ეშინია. თან როგორი უკომპრომისოა ეროვნულ საკითხებში. მაშინ თუ ფილოლოგიის ფაკულტეტი ეროვნული მოძრაობის ნამდვილი ავანგარდი იყო, ამაში „უსახელო უფლისციხელის როლს ბესარიონ ჯორბენაძე ასრულებდა“ (მერაბ ბაბუხაძია).

ფიქრია ჩიხრაძე: ერთ დღესაც გავიგეთ, რომ ბატონი ბესო ენათმეცნიერების ინსტიტუტში დირექტორად გადაჰყავდათ. ისიც გავიგეთ, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და ჩვენი ამბოხიც აღარაფერს შეცვლიდა... უზარმაზარი და ულამაზესი ვარდების თაიგულებით უნივერსიტეტის ეზოში ვიდექით და მის გამოჩენას ველოდებოდით. ვარაზისხევი, უნივერსიტეტის კიბეებთან მისი მანქანა გაჩერდა. ჩვენ ადგილს მოვწყდით და კიბეები ჩავიბრინეთ. სიტყვის უთქმელად ყვავილებით დავხუნძლეთ და კიბე უკანვე ამოვიბრინეთ. დავტოვეთ გაოგნებული, თვალბზე ცრემლმომდგარი და ბედნიერი ყვავილებში ჩაძირული ჩვენი მასწავლებელი...“

Giorgi Gogolashvili

Besarion Jorbenadze

Summary

Besarion Jorbenadze, Doctor of Philology, Professor, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, former director of Arn. Chikobava Institute of Linguistics, represents the generation of the Georgian linguists who made their début in the 1960s. During his short life he managed to create high-level scholarly works, having thus occupied a place among Georgian classic linguists. The paper attempts to depict the portrait of B. Jorbenadze as a scientist, a public figure and a personality.

**ბასარიონ ჯორბანაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ძირითადი თარიღები**

- 1942 წლის 31 აგვისტოს დაიბადა ქ. თბილისში.
- 1949 წ. შევიდა თბილისის I საშუალო სკოლაში.
- 1959 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.
- 1962 წ. სტუდენტთა გაცვლის წესით გაიგზავნა რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- 1964 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- 1964-1968 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის ასპირანტი.
- 1968 წ. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- 1969-1973 წ. იყო თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის გამგე.
- 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.
- 1973-1976 წ. არის თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.
- 1973-1981 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი.
- 1975 წ. გამოსცა პირველი მონოგრაფია — „ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში“.
- 1978 წლიდან თსუ-ში მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა სპეცკურსები „ქართული ზმნა“ და „ქართული ენა და ეროვნული კულტურა“ (თავადვე უძღვებოდა).
- 1979 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.
- 1981-1993 წ. იყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი.
- 1983 წ. იყო საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
- 1982-1985 წ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგეა.
- 1985-1987 წ. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია.
- 1987 წლის ნოემბრიდან იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი.

- 1988 წ. არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1988-1999 წლებში ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ სამთავრობო კომისიას.
- 1993 წ. 4 მაისს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად წარადგინა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვაკანტურ ადგილზე.
- 1993 წ. მაისში იხილა თავისი მეათე წიგნის — „ნონომასტიკური გულანი“ — სასიგნალო ცალი.
- 1993 წ. 10 მაისს გარდაიცვალა...
- 1996 წ. მიენიჭა აკაკი შანიძის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქართული დიალექტოლოგია“.

სხვადასხვა დროს იყო

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თსუ სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი; მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული იბერიულ-კავკასიურ ენათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; თსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე, მუდმივმოქმედი სემინარის „საენათმეცნიერო საუბრების“ გამგეობის თავმჯდომარე; „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით მომზადდა 20-ზე მეტი ასპირანტი და მაძიებელი, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 18-მა. იყო სადოქტორო დისერტაციების კონსულტანტი.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ლექსები, მოთხრობები...

BESARION JORBENADZE - 70

Principal Dates of Besarion Jorbenadze's Life and Work

- 1942, August 31 – Born in Tbilisi
- 1949 – Entered Tbilisi School No 1
- 1959 – Finished school with Gold Medal and entered the Philological Faculty of Tbilisi State University
- 1962 – Sent to Riga State University as an exchange student
- 1964 – Graduated from Tbilisi State University with honours
- 1964-1968 – PhD student at the Department of Modern Georgian, TSU
- 1968 – Gave lectures at Tbilisi State University
- 1969-1973 – Head of the Toponymic Laboratory at TSU
- 1970 – Defended Candidate's Thesis (PhD)
- 1973-1976 – Deputy dean of the Philological Faculty of Tbilisi State University.
- 1973-1981 – Docent at the Department of Modern Georgian, TSU
- 1975 – Published his first monograph *Issues of the Derivation and Functions of the Voice Forms of the Verb in Georgian*
- 1978 – Initiated and delivered lectures in the special courses *The Georgian Verb and Georgian Language and National Culture*
- 1979 – Defended his doctoral dissertation (Habilitation)
- 1981-1993 – Professor at the Department of Modern Georgian, TSU
- 1983 – Senior Research Fellow at the Institute of Linguistics, Georgian Academy of Sciences
- 1982-1985 – Head of the Department of Kartvelian Languages, Institute of Linguistics
- 1985-1987 – Dean of the Faculty of Philology, TSU
- 1987 – (since November) Director of Arnold Chikobava Institute of Linguistics
- 1988 – Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences
- 1988-1989 – Initiated and led the governmental commission *State Programme of the Georgian Language*
- 1993, May 4 – The Academic Board of the Institute of Linguistics unanimously nominated him for the vacant position of a member of the Georgian Academy of Sciences
- 1993, May – Publication of his tenth book *Onomastic Miscellany*
- 1993, May 10 – Deceased

1996 – Posthumously awarded the Akaki Shanidze Prize for his monograph
Georgian Dialectology

At various periods of time he was

Chair of the Academic Board of Arnold Chikobava Institute of Linguistics; Chair of the Academic Board of the Faculty of Philology, TSU; Deputy chair of the Dissertation Board at the Institute of Linguistics; Learned Secretary of the Dissertation Board at the Faculty of Philology, TSU; Deputy chair of the State Commission of the Georgian Literary Languages at the Cabinet of Ministers of Georgia; Chair of the Academic Council of Ibero-Caucasian Languages at the Georgian Academy of Sciences; Deputy chair of the Council for the Scientific Study of Georgian; Chair of the Examination Commission for the Georgian Language and Literature; Chair of the Board of the Standing Seminar *Linguistic Discussions*; Editor-in-Chief of *Ibero-Caucasian Linguistics*; Deputy editor-in-chief of *Matsne (Series of Language and Literature)*.

He supervised more than 20 PhD students, of whom 18 earned the Degree of a Candidate of Philological Science (PhD). He consulted a number of habilitation dissertations; His verses and stories have been published in Georgian print media.

ბესარიონ ჯორბენაძის ძირითადი სამეცნიერო შრომების
ბიბლიოგრაფია

**The Basic Bibliography of the Scientific Works of
Besarion Jorbenadze**

მონოგრაფიები * Monographs

1. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნ საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბ., 1975. *Issues of the Derivation and Functions of the Voice Forms of the Verb in Georgian*. Tbilisi: TSU Press, 1975.
2. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1980. *Principles of the Formal and Functional Analyses of the Georgian Verb*. Tbilisi: TSU Press, 1980.
3. ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თსუ გამომც., თბ., 1983. *Vowel-prefix Derivation of the Verb in Georgian*. Tbilisi: TSU Press, 1983.
4. ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თსუ გამომც., თბ., 1985. *Issues in the Facultative Grammar of Georgian*. Tbilisi: TSU Press, 1985.
5. ქართული ზმნა, თსუ გამომც., თბ., 1986 (რუსულ ენაზე). *The Georgian Verb*. Tbilisi: TSU Press, 1986. [in Russian]
6. ბალავარი მწერლობისა, გამომც., „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987. *Foundation of Belle-lettres*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1987.
7. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1987 (თანავტორები: მ. კობაიძე, მ. ბერიძე). *Dictionary of Morphemes of Modal Elements of Georgian*. Tbilisi: Mecniereba, 1987 (co-authored by M. Kobaidze and M. Beridze)
8. ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1989. *Georgian Dialectology, Vol 1*. Tbilisi: Mecniereba, 1989.
9. ქართველური ენები და დიალექტები, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1991 (ინგლისურ ენაზე). *The Kartvelian Languages and Dialects*. Tbilisi: Mecniereba, 1991. [in English]
10. ონომასტიკური გულანი, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 1998. *Onomastic*

- Miscellany*. Tbilisi: Mecniereba, 1993.
11. ქართული ენის მორფოლოგია, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1995. *Georgian Morphology*. Tbilisi: Mecniereba, 1995.
 12. ქართველური ენების დიალექტები, თსუ გამომც., თბ., 1995. *Georgian Dialects*. Tbilisi: TSU Press, 1995.
 13. ენა და კულტურა, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1997. *Language and Culture*. Tbilisi: Besarion Jorbenadze Society, 1997.
 14. ქართული ენის დიალექტოლოგია, ტ. II, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1999. *Georgian Dialectology*, Vol. 2. Tbilisi: Besarion Jorbenadze Society, 1999.
 15. პოეზიის ენა, ბ. ჯორბენაძის საზ., თბ., 1999. *Language of Poetry*. Tbilisi: Besarion Jorbenadze Society, 1999.

სტატიები * Papers

1. ლიტერატურული ნორმების ისტორიისა და ვნებითი გვარის ზოგი დიალექტური ფორმის საკითხისათვის: „ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში“, თბ., 1968, №1. On the issue of the history of literary norms and of some dialect passive voice forms. *Georgian Language and Literature at School*, No 1, 1968. Tbilisi.
2. ტბ||ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში: სსსრ აკად. მოამბე, თბ., 1975, 79, №2. The stem *tb||tab* in Georgian place-names. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 79, No 2. Tbilisi.
3. საკუთარი სახელი ენის საერთო ლექსიკაში: თსუ შრომები, თბ., 1975, №164. Proper noun in the common lexicon. *Proceedings of TSU*, No 164, 1975. Tbilisi.
4. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში: „ტოპონიმია — I“, თბ., 1976. Dialect-specific phonetic changes in Georgian place-names. *Toponymica – 1*. Tbilisi, 1975.
5. ტოპონიმეკური მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში: „კავკასიის ონომასტიკა“, მაჰაჩყალა, 1976. Toponymics work at Tbilisi University. *Caucasus Onomastics*. Mahachkala, 1976.
6. ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და დიალექტოლოგია

- (პროგრამა-პროსპექტი): თსუ გამომც., თბ., 1976. *History of Standard Georgian and Dialectology (Programme and Prospectus)*. Tbilisi: TSU Press, 1976.
7. ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური სტრუქტურა: თსუ შრომები, თბ., 1977, №187. Formal and functional structure of the verb. *Proceedings of TSU*, No 187, 1977. Tbilisi.
 8. ენობრივ მოვლენათა განხილვის ბინარული პრინციპი: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1977, 87, №2. A binary principle for the analysis of linguistics phenomena. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 87, No 2. Tbilisi, 1977.
 9. ფორმანტა იდენტიფიკაციის საკითხი ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1977, 85, №3. The issue of identity of forms in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 85, No 3. Tbilisi, 1977.
 10. მუდმივი და ცვლადი ენაში, ზოგ: და იბ.-კავ. ენათმეც. საკითხები, თბ., 1978. Constant and variable in language. *Issues in General and Ibero-Caucasian Linguistics*. Tbilisi, 1978.
 11. ფორმანტა შედგენილობისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1978, 90, №2. On the composition of formants in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 90, No 2. Tbilisi, 1978.
 12. ენობრივი ფორმის შესწავლის საკითხები ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, თბ., 1978, 91, №2. Issues of the study of a linguistic form in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 91, No 2. Tbilisi, 1978.
 13. ზმნურ ფუძეთა აგების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, V, თბ., 1978 (რუსულ ენაზე). The principles of the formation of verbal stems in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, V. Tbilisi, 1978. [in Russian]
 14. ენის ფორმობრივი და ფუნქციური კატეგორიები: მაცნე, №2, თბ., 1978. Formal and functional categories of language. *Matsne*, No 2. Tbilisi, 1978.
 15. ენათმეცნიერების საგანი: ონტოლოგია და მეთოდოლოგია: გეორგიკა, 1978 (გერმანულ ენაზე). The subject of linguistics: ontology and

- methodology. *Georgica*, 1978. [in German]
16. ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში: ნარკვ. იბერ. კავკ. ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980. On the issue of semantic informativeness of forms in Georgian. *Essays on the Morphology of Ibero-Caucasian Languages*. Tbilisi, 1980.
 17. ზმნურ ფუძეთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხისათვის ზმნისწინთა ფონეტიკურ ვარიანტებთან დაკავშირებით: იკე-ს წელიწდეული, VII, 1980 (რუსულ ენაზე). On the questions of the semantic opposition of verbal stems in connection with the phonetic variants of preverbs. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, VII. 1980. [in Russian]
 18. ტოპონიმიკური მნიშვნელობა და ტოპონიმი: „კავკასიის ონომასტიკა“, ორჯონიკიძე, 1980 (რუსულ ენაზე). Toponymic meaning and place-name. *Caucasus Onomastics*. Orjonikidze, 1980. [in Russian]
 19. ყაზბეგის ენობრივი სამყარო: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №2, თბ., 1981. Kazbegi's linguistic world. *Georgian Language and Literature at School*, No 2. Tbilisi, 1981.
 20. -ნ და -რ ელემენტებიანი ფორმანტების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 102 №3, 1981. On the interrelationship of the formants, containing the -n and -r elements, in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 102, No 3. Tbilisi, 1981.
 21. ფონეტიკური და სემანტიკური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 103 №1, 1981. On the interrelationship of phonetic and semantic factors in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 103, No 1. Tbilisi, 1981.
 22. ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VIII, თბ., 1981 (რუსულ ენაზე). Principles of the formation of inversive verbs in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, VIII. Tbilisi, 1981. [in Russian]
 23. აქტივისა და პასივის ოპოზიციისათვის ქართულში, გეორგიკა, 1981 (გერმანულ ენაზე). On the opposition of active and passive in Georgian. *Georgica*, 1981. [in German]
 24. ა- პრეფიქსის ფუნქციისათვის ქართული ენის ზმნებში: იკე-ს წელიწდეული, IX, 1982 (რუსულ ენაზე). On the function of the prefix a- in Georgian verbs. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, IX. Tbilisi, 1982. [in

Russian]

25. რა ენა წახდეს... ქართ. ენა და ლიტ., №2, თბ., 1982 (თანაავტორები: ი. გიგინეიშვილი, ო. კაპანაძე, ე. ქურციკიძე, თ. კვაჭანტირაძე). Whenever a language is marred... . *Georgian Language and Literature*, No 2. Tbilisi, 1982. (co-authored by I. Giginishvili, O. Kapanadze, E. Kurtshidze, T. Kvachantiradze).
26. კონსტანტინე გამსახურდიას ქართული: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №3, თბ., 1982. The Georgian of Konstantine Gamsakhurdia. *Georgian Language and Literature at School*, No 3. Tbilisi, 1982.
27. კოლიგაციის პრინციპი ქართულში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, 105 №1, თბ., 1982. The principle of colligation in Georgian. *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, Vol. 105, No 1. Tbilisi, 1982.
28. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (რეცენზია): სკოლა და ცხოვრება, №3, თბ., 1982. Review of *Problems of the Culture of the Georgian Word. School and Life*, No 3. Tbilisi, 1982.
29. მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983. On the principle of the opposition between active and passive in Georgian. *Linguistic Papers*. Tbilisi, 1983.
30. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები — V“ (რეცენზია): იკე-ს წელიწადეული X, თბ., 1983 (რუსულ ენაზე). Review of *Issues of the Structure of Kartvelian Languages, V. Annual of Ibero-Caucasian Linguistics, X*. Tbilisi, 1983. [in Russian]
31. მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ. V, თბ., 1983. On some issues of the linguistic analysis of a belle-lettristic text. *Problems in the Culture of the Georgian Word*, 5. Tbilisi, 1983.
32. უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობანი ქართულში: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ. VI, თბ., 1984. Varieties for the expression of negation forms. *Problems in the Culture of the Georgian Word*, 6. Tbilisi, 1984.
33. იოსებ გრიშაშვილი და თბილისური ქართული: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №4, თბ., 1983. Ioseb Grishashvili and the Georgian of Tbilisi. *Georgian Language and Literature at School*, No 4. Tbilisi, 1983.
34. მუხლადი სიტყვა ლეონიძისა: ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, №4, თბ.,

1984. Giorgi Leonidze's powerful words. *Georgian Language and Literature at School*, No 4. Tbilisi, 1984.
35. ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკური დახასიათებისათვის ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XI, თბ., 1984 (რუსულ ენაზე). On the semantic peculiarities of the passive voice forms. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XI. Tbilisi, 1984. [in Russian]
36. ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი -ილ და -ულ სუფიქსების დისტრიბუციისათვის ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XII, 1985 (რუსულ ენაზე). Concerning the distribution of the objective past participial suffixes -il and -ul in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XII. Tbilisi, 1985. [in Russian]
37. მიმღეობათა გასუბსტანტივება ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XIII, 1986 (რუსულ ენაზე). Substantivization of participles in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XIII. Tbilisi, 1986. [in Russian]
38. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთმიმართებისათვის ენაში: ენ. აგებ. და ცვლილ., იენა, 1986 (გერმანულ ენაზე). On the interrelationship of subjective and objective factors in language. *Structure and Change of Language*. Jena, 1986. [in German]
39. ტობონიმათა კლასიფიკაციისათვის: იკე, XXV, თბ., 1986. On the classification of place-names. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXV. Tbilisi, 1986.
40. უღვლილება: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986. Conjugation. *Georgian Soviet Encyclopedia*, 10. 1986.
41. ქართველური ენები: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986 (თანაავტორი: ვ. შენგელია). Kartvelian languages. *Georgian Soviet Encyclopedia*, 10. 1986. (co-authored by V. Shengelia)
42. ქცევა: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, 10, 1986. Version. *Georgian Soviet Encyclopedia*, 10. 1986.
43. ხარისხი: ქართ. საბჭ. ენციკლოპედია, II, 1987. Degree. *Georgian Soviet Encyclopedia*, 11. 1987.
44. მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში: აკაკი შანიძე — 100 (თსუ), 1987. Expression of the inchoative function in Old Georgian. *Akaki Shanidze – 100 (TSU)*. 1987.
45. დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის ურთიერთმიმართე-

- ბისათვის: იკე, XXVI, თბ., 1987. On the interrelationship of dialectology and linguistic geography. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXVI. Tbilisi, 1987.
46. ზოგი სტატიკური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XIV, თბ., 1987 (რუსულ ენაზე). On the development of the morphological structure of some stative verbs in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XIV. Tbilisi, 1987. [in Russian]
47. ერთგვაროვანი პროცესები ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში: გეორგიკა, X, (გერმანულ ენაზე). Homogeneous processes in present-day dialects of Georgian. *Georgica*, X. [in German]
48. ქართული ენის დიდი მოამაგე, ილია ჭავჭავაძე — 150, 1987. A great catetaker of Georgian. *Iliā Chavchavadze – 150. 1987.*
49. ფორმაწარმოებაზე მნიშვნელობის ზეგავლენის ერთი შემთხვევისათვის ქართულში: ქართ. სიტყვ. კულტ. საკითხ., VIII, თბ., 1988. On one case of the influence of meaning on inflection in Georgian. *Problems of the Culture of the Georgian Word*, 8. Tbilisi, 1988.
50. ხმოვანი პრეფიქსები ქართულში: გეორგიკა — 12, 1989 (გერმანულ ენაზე). Vowel prefixes in Georgian. *Georgica*, XII. 1989. [in German]
51. ქართული ენის დიალექტური დაყოფის საკითხისათვის ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემების მიხედვით: იკე-ს წელიწდეული, XV, თბ., 1988. On the dialectal division of the Georgian language in accordance with the data of linguistic geography. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XV. Tbilisi, 1988.
52. საკუთარ სახელთა წარმოებისა და ფუნქციონირების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XVI, თბ., 1989. Principles of the formation and functioning of proper names in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XVI. Tbilisi, 1989.
53. ზმნის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციის პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, XVII, თბ., 1990. Principles of the classification of the grammatical categories of the verb in Georgian. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XVII. Tbilisi, 1990.
54. ზმნის ხმოვანი პრეფიქსები ქართველურ ენებში: იკე-ს წელიწდეული, XVIII-XIX, თბ., 1992. Vowel prefixes of the verb in the Kartvelian languages. *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, XVIII-XIX. Tbilisi, 1992.

55. თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში: იკე, XXVII, თბ., 1988. On the distribution of thematic markers in Georgian. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXVII. Tbilisi, 1988.
56. ინხოატივი ქართულში: იკე, XXVIII, თბ., 1989. Inchoative in Georgian. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXVIII. Tbilisi, 1989.
57. მცენარეთა სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტებში: იკე, XXIX, თბ., 1990. On the principle of plant nomination in Georgian dialects. *Ibero-Caucasian Linguistics*, XIX. Tbilisi, 1990.
58. სამეცნიერო მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში: იკე, XXX, თბ., 1991. Scholarly activities at the Institute of Linguistics. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXX. Tbilisi, 1991.
59. ხმოვანთა პოზიციური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში: იკე, XXXI, თბ., 1992. Correlation of positional variants of vowels in Georgian dialects. *Ibero-Caucasian Linguistics*, XXXI. Tbilisi, 1992.
60. ენა, საზოგადოება, ერი: ლიტერატურა და ხელოვნება, №1, 1991. Language, society, nation. *Literature and Art*, No 1. 1991.
61. აკაკი წერეთელი — დედაენის მოამავე: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, №1, თბ., 1991. Akaki Tsereteli – a caretaker of the mother tongue. *Matsne, Series of Language and Literature*, No 2. Tbilisi, 1991.
62. ბურჯი ეროვნებისა: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია №2, თბ., 1992. Milestone of the National Background. *Matsne, Series of Language and Literature*, No 2. Tbilisi, 1992.
63. პოეზიის ენა: „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია №4, თბ., 1992. Language of poetry. *Matsne, Series of Language and Literature*, No 4. Tbilisi, 1992.
64. ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის: პირვ. საერთ. ქართველოლ. სიმპოზიუმის მასალები, 1988. Towards the areal study of the dialects of Kartvelian languages. *Proceedings of the First International Symposium on Kartvelian Studies*. 1988.
65. დიალექტების ურთიერთამიჯვნის საკითხისათვის: დიალექტოლ. კრებ. — 1988, თბ., 1989. On the issue of the mutual differentiation of dialects. *Dialectological Miscellany* -- 1988. Tbilisi, 1989.
66. ენის ისტორიული და დიალექტოლოგიური ნაირსახეობანი: დიალექტოლ. კრებ. — 1987, თბ., 1988. Historical and dialectal varieties of language. *Dialectological Miscellany* — 1987. Tbilisi, 1988.

67. ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში. — იკე, XXVIII, თბ., 2010. *Basic problems of verb morphonology in Georgian. Ibero-Caucasian Linguistics*, XXVIII. Tbilisi, 2010.

მოსხენბათა მასალეი და თეზისეი * Abstracts of papers:

68. სახელდებითი წინადადების საკითხისათვის ქართულში: თსუ სტუდ. XXIII კონფ., თბ., 1961. *On the issue of a nominative sentence in Georgian. 23rd Student Conference of TSU*. Tbilisi, 1961.
69. ერთგვაროვანი ფონეტიკური მოვლენები ქართული ენის დასავლურ კილოებში; ზანურსა და სვანურში: თსუ სტუდენტ. XXIV კონფ., 1962. *Homogeneous phonetic phenomena in western dialects of Georgian, in Zan and Svan. 24th Student Conference of TSU*. Tbilisi, 1962.
70. სიტყვა: თსუ ასპირ. XI კონფ., 1965. *Word. 11th TSU Conference of PhD Students. 1965*.
71. გვარის ფორმათა წარმოების საკითხისათვის ქართულში: კონფ. მასალები, რიგა, 1969 (რუსულ ენაზე). *On the issue of the formation of voice forms. Proceedings of the Conference*. Riga, 1969. [in Russian]
72. დინამიკური და სტატიკური ზმნები და გვარის წარმოშობის საკითხი ქართულში: სოხუმის პედ. ინსტ., XXVII კონფერენცია, 1969. *Dynamic and stative verbs and the issue of the origin of voice in Georgian. 27th Conference of Sokhumi Pedagogical Institute. 1969*.
73. ზმნის გვარის სინტაქსური ბუნებისათვის: თსუ ასპირ, XV კონფერენცია, 1969. *On the syntactic nature of verb voice. 15th TSU Conference of PhD Students. 1969*.
74. საშუალო გვარის ზმნათა სინტაქსური ბუნება: კონფ. მასალები, რიგა, 1970 (რუსულ ენაზე). *Syntactic nature of medial verbs. Proceedings of the Conference*. Riga, 1970. [in Russian]
75. სახელზმნათა წარმოების საკითხისათვის: ქართ. ენის კათედრათა VIII რესპ. კონფერენცია, 1970. *On the issue of the formation of verbal noun. 8th Republican Conference of Departments of Georgian. 1970*.
76. ვნებითი გვარის ზმნათა უღვლილების ზოგი საკითხი: თსუ ფილ. ფაკ. XIV კონფერენცია, 1970. *Some issues of the conjugation of passive verbs. 14th Conference of the Philological Faculty of TSU. 1970*.
77. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი

- ქართულში: თსუ ასპირ. XVI კონფერენცია, 1970. Some issues of the formation of active and passive forms. *16th TSU Conference of PhD Students*. 1970.
78. ბრუნვისა და გვარის ზოგიერთი ფორმის ფუნქციური სიახლოვის საკითხისათვის ქართულ ენაში: კონფ. მასალ. რიგა, 1971 (რუსულ ენაზე). On the functional proximity of some case and voice forms in Georgian. *Proceedings of the Conference*. Riga, 1971. [in Russian]
79. საერთო ეროვნული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხისათვის: კონფ. მასალები, 1971. On the issue of the interrelationship of the common national standard language and dialects. *Proceedings of the Conference*. 1971.
80. მხატვრული ტექსტის ენობრივი შესწავლის ზოგიერთი საკითხი: თსუ ფილ. ფაკ. XVII სესია, 1974. Some issues of the linguistic study of a belletristic text. *17th Conference of the Philological Faculty of TSU*. 1974.
81. ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტები და მათთან დაკავშირებული ფუნქციური გადახრები: იკე შესწ. რეგიონ. სესია; ჩერკესკი, 1979 (რუსულ ენაზე). Phonetic variants of preverbs and associated functional deviations. *Regional Session for the Study of Ibero-Caucasian Languages*. Cherkesk, 1979. [in Russian]
82. მასდარებისა და მიმღეობების სახელადი და ზმნური თვისებების დიფერენცირების ზოგი სინტაქსური საშუალების შესახებ ქართულ ენაში: იკე შესწ. IX რეგიონ. სესია; მაჰაჩყალა, 1981 (რუსულ ენაზე). On some syntactic means for the differentiation of nominal and verbal properties of masdars and participles. *Regional Session for the Study of Ibero-Caucasian Languages*. Cherkesk, 1979. [in Russian]
83. ქართული ენათმეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავზე: ქართ. ენის კათედრა, IX რესპუბ. კონფერენცია, 1981. Georgian Linguistics at the 60th Anniversary of the Establishment of the Soviet Rule. *9th Republican Conference of Departments of Georgian*. 1981. [in Georgian]
84. სტატიკური ზმნების აწმყო ქართული ენის დიალექტებში: ენათმეცნ. ინსტ. 37-ე სესია, 1981. Present of stative verbs in Georgian dialects. *37th Session of the Institute of Linguistics*. 1981. [in Georgian]
85. დიალექტიზმების რაობისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის: III რესპუბ. დიალექტ. სესია, 1981. On the essence and classification of dialects.

- 3rd Republican Dialectologic Session. 1981. [in Georgian]*
86. ერთგვაროვანი პროცესები ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში: თათბ. დიალ. და ენ. ისტ. საკითხებზე; მოსკოვი-ვოლგოგრადი, 1982 (რუსულ ენაზე). *Homogeneous processes in present-day dialects of Georgian. Colloquium on the Issues of Dialectology and Language History. Moscow & Volgograd, 1982. [in Russian]*
87. უღვლილების ფორმათა დაჯგუფების პრინციპისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 38-ე სესია, 1982. *On the principle of the classification of conjugation forms in Georgian. 38th Session of the Institute of Linguistics. 1982. [in Georgian]*
88. სახელდების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტურ ლექსიკაში: IV რესპუბ. დიალექტ. სესია, 1982. *On the principle of nomination in Georgian dialectal vocabulary. 4th Republican Dialectologic Session. 1982. [in Georgian]*
89. დიალექტური ტექსტის განსაზღვრისათვის: ენათმ. ინს. 39-ე სესია, 1983. *On the definition of a dialectal text. 39th Session of the Institute of Linguistics. 1983. [in Georgian]*
90. ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკისათვის: ენათმ. ინსტ. მე-40 სესია, 1983. *On the semantics of passive voice forms. 40th Session of the Institute of Linguistics. 1983. [in Georgian]*
91. სოციალური და პროფესიული დიალექტების რაობისათვის: V რესპუბ. დიალექტ. სესია, 1983. *On the essence of of social and professional dialects. 5th Republican Dialectologic Session. 1983. [in Georgian]*
92. ნომინაციის პრინციპისათვის დიალექტურ ლექსიკაში: იკე შესწ. X რეგიონ. სესია, 1983 (რუსულ ენაზე). *On the principle of noimination in dialectal vocabulary. 10th Regional Session for the Study of Ibero-Caucasian Languages, 1983. [in Russian]*
93. სუბსტრატის საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში: VI რესპუბ. დიალექტ. სესია, 1984. *On the problem of substratum in Georgian dialects. 6th Republican Dialectologic Session. 1984. [in Georgian]*
94. „საენათმეცნიერო საუბრების“ ათი წელი: საჯარო სხდომის მასალა, 1984. *Ten years of “Linguistic Discussions.” Proceedings of the Public Session, 1984. [in Georgian]*
95. ქართული ენის დიალექტთა კლასიფიკაციისათვის ლინგვისტური გეოგრაფიის მონაცემთა მიხედვით: თათბ. დიალ. და ენ. ისტ. საკითხებზე;

- მოსკოვი-უჟგოროდი, 1984 (რუსულ ენაზე). On the classification of Georgian dialects based on the data of linguistic geography. . *Colloquium on the Issues of Dialectology and Language History*. Moscow & Uzhgorod, 1984. [in Russian]
96. ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ენათმ. ინს. 41-ე სესია, 1984. Principles of conjugation of the Georgian verb. *41st Session of the Institute of Linguistics*. 1984. [in Georgian]
97. ფორმათწარმოებაზე მნიშვნელობის ზეგავლენის ერთი შემთხვევისათვის ქართულში: ენათმ. ინს. 42-ე სესია, 1984. On one instance of the influence of meaning on inflection. *4nd Session of the Institute of Linguistics*. 1984. [in Georgian]
98. არის თუ არა დიალექტი დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა?: VII რესპუბ. დიალექტ. სესია, 1985. Is a dialect an independent linguistic system? *7th Republican Dialectologic Session*. 1985. [in Georgian]
99. დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა ძველ ქართულში: ენათმ. ინს. 43-ე სესია, 1985. Rendering the function of Ablative in Old Georgian. *43rd Session of the Institute of Linguistics*. 1985. [in Georgian]
100. ზმნის კატეგორიების კლასიფიკაციისათვის ქართულში: ენათმ. ინს. 44-ე სესია, 1986. On the classification of of the verbal categories in Georgian. *44th Session of the Institute of Linguistics*. 1986. [in Georgian]
101. დიალექტების ურთიერშერევის საკითხისათვის: VIII რესპ. დიალექტოლ. სესია, 1986. On the issue of dialect mixing. *8th Republican Dialectologic Session*. 1986. [in Georgian]
102. ქართველურ ენათა ზმნის მორფონოლოგიის ზოგი ასპექტი: იკე შესწ. XI რეგიონ. სესია; ნალჩიკი, 1986 (რუსულ ენაზე). Some aspects of the morphonology of the Kartvelian languages. *11th Regional Session for the Study of Ibero-Caucasian Languages*. Nalchik, 1986. [in Russian]
103. ინხოატივი ქართულში: ენათმეცნ.-I (თსუ სესია), 1986. Inchoative in Georgian. *Linguistics – 1 (TSU Conference)*, 1986. [in Georgian]
104. ქართული ენის დიალექტების არეალოგიური შესწავლისათვის: საერთ. სიმპ. მასალები, 1987. On the areal study of Georgian dialects. *Proceedings of International Symposium*, 1987.
105. დიალექტოლოგია და ზოგადი ენათმეცნიერება: IX რესპუბ. დიალექტ. სესია, 1987. Dialectology and general linguistics. *9th Republican Dialectologic Session*. 1987. [in Georgian]

106. მრავლობითი რიცხვის ფორმანტა რეინტერპრეტაციისათვის ქართული ენის დიალექტებში: ენათმ. ინსტ. 45-ე სესია, 1987. *On the re-interpretation of plural markers in Georgian dialects. 45th Session of the Institute of Linguistics. 1987.* [in Georgian]
107. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპები: ამიერკავ. უნივერს. სესია, ბაქო, 1987. *Principal stages of the development of Standard Georgian. Conference of South Caucasian Universities. Baku, 1987.* [in Russian]
108. შტო-გვარის სახელთა წარმოებისათვის ქართული ენის დიალექტებში: X რესპუბ. დიალექტ. სესია, თელავი, 1988. *On the derivation of branch surnames in Georgian dialects. 10th Republican Dialectologic Session. Telavi, 1988.* [in Georgian]
109. ზმნური და მიმღობური ფუძეების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: XII რეგიონ. სესია, ჩერკესკი-ყარაჩაევსკი, 1988. *On the interrelationship of verbal and participial stems in Georgian. 12th Regional Conference for the Study of Ibero-Caucasian Languages. Cherkesk-Karachaevsk, 1988.* [in Russian]
110. ზმნური სიტყვათწარმოება ქართულში: XII რეგიონ. სესია, მაიკოპი, 1990. *Verbal word-formation in Georgian. 12th Regional Conference for the Study of Ibero-Caucasian Languages. Maikop, 1986.* [in Russian]
111. თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართული ენის დიალექტებში: XII რესპუბ. დიალექტ. სესია, 1991. *On the distribution of thematic markers in Georgian dialects. 12th Republican Dialectologic Conference, 1991.* [in Georgian]
112. შტო-გვარის სახელთა წარმოების პრინციპები ქართველურ ენებში: ენათმ. ინსტ. 49-ე სამეცნ. სესია, 1991. *Principles of the derivation of branch surnames in Kartvelian languages. 49th Conference of the Institute of Linguistics. 1991.* [in Georgian]
113. ბურჯი ეროვნებისა, სამეცნ. სესია: „იაკობ გოგებაშვილი — 150“, 1991. *Milestone of the national background. Conference “Iakob Gogebashvili – 150.” Telavi, 1991.* [in Georgian]
114. პოეზიის ენა: სამეცნ. სესია: „გალაკტიონი — 100“. თელავი, 1992. *Language of poetry. Conference “Galaktioni – 100.” Telavi, 1992.* [in Georgian]
115. ხმოვანთა კონტაქტური ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დია-

- ლექტებში: XI რესპუბ. დიალექტ. სესია, ცხინვალი, 1989. Contact phonetic processes in vowels in Georgian dialects. *11th Republican Dialectologic Conference*. Tskhinvali, 1989. [in Georgian]
116. აკაკი წერეთელი — დედაენის მოამაგე: სამეცნ. სესია: „აკაკი წერეთელი — 150“, თბ., 1991. Akaki Tsereteli – Caretaker of mother tongue. *Conference “Akaki Tsereteli – 150.”* Tbilisi, 1991. [in Georgian]
117. ხმოვანთა პოზიციური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში: ენათმ. ინსტ. 48-ე სამეცნ. სესია, თბ., 1990. Correlation of positional variants of vowels in Georgian dialects. *48th Conference of the Institute of Linguistics*. 1990. [in Georgian]
118. ზმნის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაციის პრინციპები ქართულში: ენათმ. — II, თსუ სამეცნ. სესია, თბ., 1988. Principles of the classification of the grammatical categories of the verb in Georgian. *Linguistics – 2 (TSU Conference)*. Tbilisi, 1988. [in Georgian]
119. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიები: იბ.-კავკას. ენები ზოგ. და ტიპოლ. თვალსაზრისი, თბ., 1989. Grammatical categories of the Georgian verb. *Ibero-Caucasian Languages from the Viewpoint of General and Typological Linguistics*. Tbilisi, 1989.
120. ძირითადი ენობრივი ტენდენციები ქართულში: კავკასიოლ. I საერთაშ. სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1991. Principal linguistic tendencies in Georgian. *Proceedings of the 1st International Symposium on Caucasian Studies*. Tbilisi, 1991.
121. ბრუნების სისტემის კლასიფიკაციისათვის ქართულში: ენათმ. ინსტ. 50-ე სესია, თბ., 1992. On the classification of the declension system in Georgian. *50th Conference of the Institute of Linguistics*. 1992. [in Georgian]
122. სახელთა ბრუნების ზოგი თავისებურება ქართველურ ენათა დიალექტებში: XIII რესპუბ. დიალექტ. სესია, ქუთაისი, 1992. Some peculiarities of of nominal declension in dialects of Kartvelian languages. *13th Republican Dialectologic Conference*. Kutaisi, 1992. [in Georgian]
123. დიალექტური ტექსტის განსაზღვრისათვის: იკე, 32, 1993. Towards the definition of a dialectal text. *Ibero-Caucasian Linguistics*, 32, 1992. [in Georgian]
124. ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 10, 1993. Deverbal modal elements in Georgian.

-
- Issues in the Culture of the Georgian Word*, 10, 1993. [in Georgian]
125. ა. წერეთელი — დედაენის მოამაგე: ა. წერეთელი (საიუბილეო კრებული 150), თბ., 1993. A. Tsereteli – Caretaker of mother tongue. *A. Tsereteli (Festschrift 150)*. Tbilisi, 1993. [in Georgian]
126. გ. ტაბიძის პოეზიის ენა: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1992. Language of G. Tabidze’s poetry. *Matrsne, Series of Language and Literature*, 4, 1972. [in Georgian]
127. რთული ზმნისწინის სიტყვაწაროებიითი დანიშნულებისათვის ქართულში: იკე, 33, 1995. On the derivational function of a complex preverb. *Ibero-Caucasian Linguistics*, 33, 1995. [in Georgian]
128. ი. ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ: ილიას კრებული, თბ., 1998. I. Chavchavadze on the Georgian language. *Ilia Miscellany*. Tbilisi, 1998. [in Georgian]

ბესარიონ ჯორბენაძე

ზმნური ფორმაწარმოების საკითხები ქართული ენის დიალექტებში*

უღვლილების სისტემა ქართულში სირთულითა და ნაირსახეობებით გამოირჩევა. ფორმათა სიჭრელე დამახასიათებელია თვით სალიტერატურო ენისათვის: თემატური და ათემატური წარმოება, თემის ნიშანთა სიმრავლე, მორფონოლოგიური მოვლენები, ნაირგვარი წარმომავლობისა და სტრუქტურის პარადიგმები... არსებითი ხასიათის სხვაობაა ამ თვალსაზრისით ძველსა და ახალ ქართულს შორის...

მით უფრო მეტი სიჭრელეა ქართული ენის დიალექტებში.

არქაიზმები და ინოვაციები, ქართული ენის შინაგანი პოტენციის გამოვლინება და სპეციფიკური დიალექტური წარმოება, დივერგენციის, კონვერგენციისა და უნიფიკაციის პროცესი სათანადო ენათმეცნიერულ ანალიზს საჭიროებენ.

ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ურთიერთ შეჯერებაა დიალექტოლოგიისა და ლინგვისტური გეოგრაფიის მეთოდებისა. ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპების გამოყენება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იშვიათია ისეთი ენობრივი მოვლენა, რომელიც მხოლოდ ერთი დიალექტისთვისაა დამახასიათებელი.

* წინამდებარე ნაშრომი ბესარიონ ჯორბენაძის არქივიდანაა. უფრო გამართლებული იქნებოდა მისთვის „შენიშვნები“ გვეწოდებინა. იგი „ქართული დიალექტოლოგიის“ მესამე ტომის მასალაა, როგორც ჩანს, ეს უფრო წინასწარი ჩანაწერებია, რომელსაც შემდეგ უნდა მიეღო საბოლოო სახე, მაგრამ...

გფიქრობთ, ამ ნაშრომის გამოქვეყნება ამ სახითაც სასარგებლო იქნება ქართული დიალექტოლოგიისათვის.

ნაშრომი დასაბუქდად მორამზადა ნინო ჯორბენაძემ.

1. უღვლილების სისტემა ქართული ენის დიალექტებში

1.1. უღვლილების სისტემა ძველსა და ახალ ქართულში არსებითი ხასიათის სხვაობებს გვიჩვენებს. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება თვით პარადიგმების რაოდენობასა და მათ ფუნქციებს.

	ძ ვ ე ლ ი:	ა ხ ა ლ ი:
ა წ მ ყ ო:	წერ-ს	წერ-ს
აწმყოს ხოლმეობითი:	წერ-ნ	—
ნამყო უსრული:	წერ-დ-ა	წერ-დ-ა
I ხოლმეობითი:	წერ-დ-ი-ს	—
I კავშირებითი:	წერ-დ-ე-ს	წერ-დ-ე-ს
I ბრძანებითი:	წერ-დ-ი-ნ	—
მ ყ ო ფ ა დ ი:		
პირობით-მრავალგზისი:	—	და-წერ-ეს
მყოფადის კავშირებითი:	—	და-წერ-და

შენიშვნა: ძველ ქართულში და-წერ-ს აწმყოს ფუნქციას გამოხატავდა, და-წერ-და ნამყო უსრული იყო, და-წერ-დ-ე-ს I (ნამყო უსრულის კავშირებითი).

ნამყო ძირითადი:	და-წერ-ა	და-წერ-ა
II კავშირებითი:	და-წერ-ო-ს	და-წერ-ო-ს
II ხოლმეობითი:	და-წერ-ი-ს	—
II ბრძანებითი:	და-წერ-ე-ნ	—
I შედეგობითი:	და-უ-წერ-ი-ე-ს	და-უ-წერ-ი-ა
II შედეგობითი:	და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა
III ხოლმეობითი:	და-ე-წერ-ი-ს	—
III კავშირებითი:	და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-ს

ახალ ქართულში უღვლილების სისტემაში აღარაა წარმოდგენილი ხოლმეობითისა და ბრძანებითის პარადიგმები (ხოლმეობითი აღწერითად იწარმოება, ბრძანებითი სხვა პარადიგმების ფორმებს სესხულობს — ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის, აგრეთვე მყოფადისა, თუ ბრძანებითი უარყობის „ნუ“ ნაწილაკითაა ნაწარმოები).

ძველ ქართულში არ იყო მყოფადის წრე (მყოფადის გამოსახატავად კავშირებითის პარადიგმები გამოიყენებოდა).

1.2. ამრიგად, სხვაობა ძველსა და ახალ ქართულს შორის ხელშესახებად იჩენს თავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით პარადიგმების წარმოების

ზოგადი პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა: I სერიის პარადიგმებს საყრდენად აწმყო მოუღდის, II სერიის ნაკვთებს — ნამყო ძირითადი:

I სერია:

წერ-ს
წერ-ღ-ა > წერ-ღ-ი-ს
წერ-ღ-ე-ს
წერ-ღ-ი-ნ

II სერია:

ღა-წერ-ა > ღა-წერ-ო-ს
ღა-წერ-ი-ს
ღა-წერ-ე-ნ

III სერიის პარადიგმებისათვის საყრდენია როგორც I, ასევე II სერიის პარადიგმები. პარადიგმების განაწილებისას მოქმედებს მკაცრი წესი...

1.3. ძველსა და ახალ ქართულს შორის თავს იჩენს რამდენიმე კერძო ხასიათის სხვაობა პარადიგმების წარმოების თვალსაზრისით.

ა) -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების უღვლილებიას იცვლება თემის ნიშნითა გახმოვანება:

	ძ ვ ე ლ ი:	ა ხ ა ლ ი:
ა წ მ ყ ო:	ვ-მალ-ავ ჰ-მალ-ავ მალ-ავ-ს	ვ-მალ-ავ (ჰ)-მალ-ავ მალ-ავ-ს
ნამყო უსრული:	ვ-მალ-ევ-ღ ჰ-მალ-ევ-ღ მალ-ვ-იდ-ა	ვ-მალ-აც-ღ-ი მალ-ავ-ღ-ა მალ-ავ-ღ-ა
I კავშირებითი:	ვ-მალ-ვ-იდ-ე ჰ-მალ-ვ-იდ-ე მალ-ვ-იდ-ე-ს	ვ-მალ-ავ-ღ-ე (ჰ)-მალ-ავ-ღ-ე მალ-ავ-ღ-ე-ს...

შენიშვნა: ანალოგიური ცვლილება ახასიათებს -ამ თემისნიშნიან ზმნებსაც.

ბ) -ოდ სუფიქსიანი ზმნების ნამყო უსრულისა და I კავშირებითის წარმოებისას ძველსა და ახალ ქართულში გამოყენებულია პარადიგმების სხვადასხვა ნიშნები:

ნამყო უსრული:	ვ-ი-წერ-ებ-ოდ-ე ი-წერ-ებ-ოდ-ე	ვ-ი-წერ-ებ-ოდ-ი ი-წერ-ებ-ოდ-ი
----------------------	----------------------------------	----------------------------------

I კავშირებითი:

ი-წერ-ებ-ოდ-ა	ი-წერ-ებ-ოდ-ი
ვ-ი-წერ-ებ-ოდ-ი	ვ-ი-წერ-ებ-ოდ-ე
ი-წერ-ებ-ოდ-ი	ი-წერ-ებ-ოდ-ე
ი-წერ-ებ-ოდ-ი-ს	ი-წერ-ებ-ოდ-ე-ს

შენიშვნა: ძველ ქართულში -ოდ სუფიქსიანი წარმოებისას ერთმანეთს ემთხვე-
ოდა I კავშირებითისა და I ხოლმეობითის ყველა პირის ფორმა.

გ) ვნებითი გვარის აწმყოს III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმებში -ი-ს
დაბოლოება იცვალა: ი-წერ-ებ-ი-ს > ი-წერ-ებ-ა...

დ) სტატიკური ზმნების მხოლოდითი რიცხვის აწმყოში -ი-ე-ს და -ი-ს დაბო-
ლოება შეცვალა -ი-ა დაბოლოებამ:

უ-წერ-ი-ე-ს > უ-წერ-ი-ა
ჰ-რცხვენ-ი-ს > ს-რცხვენ-ი-ა...

ანალოგიური ცვლილება განიცადა I შედეგობითის პარადიგმამაც:

და-უ-წერ-ი-ე-ს > და-უ-წერ-ი-ა
გა-უ-კეთ-ებ-ი-ე-ს > გა-უ-კეთ-ებ-ი-ა...

ე) -ი- სუფიქსიანი სტატიკური ზმნების ერთი ნაწილი გადავიდა უსუფიქსო
წარმოებაზე: სურ-ი-ს > სურ-ს...

ვ) სტატიკურ ზმნათა ერთ ნაწილს I და II პირის ფორმებში დაერთო მე-
შველი ზმნა:

ძველი ქართული:		ახალი ქართული:
ვ-ზი	>	ვ-ზი-ვარ
ჰ-ზი	>	ზი-ხარ...

1.4. ძველი ქართულისეული მოვლენების გათვალისწინების აუცილებლობა
შეპირობებულია იმით, რომ ქართული ენის დიალექტთა ერთ ნაწილს
საკმაო ოდენობით შემორჩენია არქაული წარმოების პრინციპი. ასეთია
მაგალითად, -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღვლილება, ხოლმეობი-
თის პარადიგმები, III სერიის ფორმათა წარმოება და სხვა.

1.5. იმავდროულად დიალექტებში თავს იჩენს საკუთრივ დიალექტური ინო-
ვაციები. ამ რიგისაა, მაგალითად IV სერიის პარადიგმების ჩამოყალიბე-
ბა დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, ხოლმეობითის პარადიგმე-
ბის თავისებური გაფორმება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტ-
ებში...

2. პირველი და მეორე სერიის ფუძეთა დაპირისპირების პრინციპი ქართული ენის დიალექტებში

- 2.1. ქართულში I და II სერიის ფუძეები სამი პრინციპით უპირისპირდება ერთმანეთს:
- ა) გამოყენებულია ერთი და იგივე ფუძე: წერ-ს — წერ-ა...
 - ბ) დაპირისპირება ხდება აგლუტინაციის პრინციპით: მალ-ავ-ს — მალ-ა...
 - გ) დაპირისპირება ხდება ფლექსიურად: დრეკ-ს ო დრიკ-ა...
- 2.2. ამასთან დაკავშირებით ქართული ენის დიალექტებში თავს იჩენს სხვადასხვა რიგის ტენდენციებიც. ამ ტენდენციების გამოვლენას თავისი მიზეზები აქვს...
- 2.3. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ვლინდება აშკარა მიდრეკილება ამოსავალი ვითარების შენარჩუნებისაკენ. ამიტომაც მოხეურში, ხევსურულში, თუშურში... ჩვეულებრივ გვხვდება ასეთი ფორმები, ლეკ-ს, ნაყ-ს, ხოც-ს, თელ-ს, თეს-ს, თიბ-ს...
- 2.4. ბარის დიალექტებში უფრო ძლიერია ტენდენცია წარმოების აგლუტინაციურ ტიპზე გადასვლისა: წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს... წარმოების ამ პრინციპზე გადადიან ფუძედრეკადი ზმნებიც:
- ა) აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში თემის ნიშანი დაერთვის აწმყოს ფუძეს: დრეკ-ავ-ს, გრეხ-ავ-ს...
 - ბ) დასავლეთ საქართველოში თემის ნიშნით ფორმდება ნამყო ძირითადის ფუძე: დრიკ-ავ-ს, გრიხ-ავ-ს...
- 2.5. სპორადულად შეინიშნება ტენდენცია უცვლელი ფუძის გადასვლისა დაპირისპირების ფლექსიურ პრინციპზე:
- და-ჩეკ-ს > და-ჩიკ-ა
წა-ლეკ-ს > წა-ლიკ-ა...

3. თემის ნიშნები ქართული ენის დიალექტებში

- 3.1. თემის ნიშნებად იწოდება ის ფორმანტები, რომლებიც აწარმოებენ I სერიის ფუძეს. თავისი მორფოლოგიური ქმედების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ თემის ნიშანთა რამდენიმე ნაირსახეობა.
- 3.2. მთელი რიგი თავისებურებით გამოირჩევა -ავ და -ამ თემის ნიშნები:
- ა) კუმშვადია: მალ-ვ-ენ, ა-ბ-მ-ენ... ბ) ძველ ქართულსა და დიალექტების ერთ ნაწილში იცვლის განმოვანებას: ვ-მალ-ავ — ვ-მალ-ევ-დი, ვ-მალ-ვი-დი... გ) უმარცვლო ფუძეს გადაჰყვება ვნებითში: ი-თხზ-ვ-

- ებ-ა, ი-კვლ-ებ-ა < *ი-კლ-ვ-ებ-ა... დ) დიალექტებში -ავ აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირში იცვლება: მალ-ევ-ენ II მალ-ებ-ენ... ე) -ავ გამოიყენება სიტყვაწარმოებითი დანიშნულებითაც: ა-ცურ-ავ-ებ-ს, ა-გორ-ავ-ებ-ს.
- ვ) I შედეგობითში -ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნები სხვა ზმნათაგან განსხვავებულად იწარმოებიან: და-უ-მალ-ავ-ს, და-უ-ბ-ამ-ს...
- 3.3. -ი თემის ნიშანი სხვა თემის ნიშანთაგან განსხვავებით ოდენ ხმოვნითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, -ი არ გადაჰყვება მასდარში. ისტორიულად -ი მიიჩნევა ხოლმეობითის მაწარმოებლად.
- 3.4. ცალკე რიგს ქმნიან ე- გახმოვანებით წარმოდგენილი თემის ნიშნები: -ებ, -ემ, -ევ... მათ ზოგად მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ ტენდენცია ფუძესთან შეზრდისა: კრებ-ს, ს-ძლ-ევს, ს-ცემ-ს...
- 3.5. -ობ თემის ნიშანი ზმნათა ერთ ნაწილში ფონეტიკური ცვლილების საფუძველზეა მიღებული: უ-შვ-ებ-ს > უ-შობ-ს... მკაცრი საზომით აქ -ობ არცაა თემის ნიშანი, იგია ფუძისეული ვ და ფორმანტისეული ე ხმოვნების შეზრდის შედეგი (მასში ჩადებულია ეს ორივე ინფორმაცია).
- 3.6. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს შემორჩენილი აქვთ -ოვ > -ო თემის ნიშანი (და-ჰ-ნათ-ო-ი-ს < და-ჰ-ნათ-ოვ-ი-ს), რომელიც ძველ ქართულში იპოვებოდა.
- 3.7. მესხურსა და ჯავახურში თავს იჩენს -ნ სონანტის გამოყენების ტენდენცია: -ან, -ენ, -ონ...
- 3.8. ზემოიმერეთის ზოგიერთ რეგიონში დამოწმებულია -არ თემის ნიშანიც: დგ-არ-ს...
- 3.9. ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში პოვნიერი თემის ნიშნები გარკვეულ ანალოგიას პოულობენ სხვა ქართველურ ენებშიც...
- 3.10. მასდარისა და მიმღობის ჩვენებათა მიხედვით ხერხდება ზოგი უძველესი თემის ნიშნის აღდგენა: *კივ-ან-ს, შდრ: მ-კივ-ან-ი... *კივ-ან-ს ფორმისგან უნდა იყოს მიღებული დღეს დიალექტებში პოვნიერი კივ-ა... ამ რიგისაა: ჩივ-ა, ჩხავ-ა...
- 3.11. ზოგი თავისებურებით გამოირჩევა თემის ნიშანთა გამოყენება ვნებითი გვარის ფორმებში. უნდა განირჩეს ორი შემთხვევა:
- ა) სალიტერატურო ენის მსგავსი ვითარება: ძირითადია -ებ; რამდენიმე შემთხვევაში თავს იჩენს -ემ, -ევ და -ობ (ი-ბნ-ევ-ა, ი-ხრჩ-ობ-ა)...

- ბ) -ავ და -ამ თემის ნიშნიანები ვნებითს იკეთებენ ძველი ქართული ენის ყაიდაზე: ი-მალ-ვ-ი-ს, ი-დგ-მ-ის... ასეა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, გურულში, აჭარულში...
- 3.12. მოქმედებითი გვარის ზოგ უთემისნიშნო ზმნას მრავლობითი რიცხვის მესამე პირში აწმყოს პარადიგმაში უჩნდება -ებ თემი ნიშანი: და-ა-ხმარ-ს, მაგრამ: და-ა-ხმარ-ებ-ენ (შდრ: -ავ თემისნიშნიანი ზმნები: იხ. ზემოთ) და ასე: მო-ი-ტან-ებ-ენ, მო-ი-ყვან-ებ-ენ... ეს პროცესი თავს იჩენს ზემოიმერულში, ჯავახურში, გურულში...
- 3.13. უღვლილებისას -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები ქართული ენის დიალექტებში გახმოვანების მიხედვით სამ ნაირსახეობას გვიჩვენებენ:
- ა) პრინციპი იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში: მალ-ავ-ს — მალ-ავ-დ-ა — მალ-ავ-დ-ე-ს...
- ბ) ხდება -ავ: -ევ მონაცვლეობა: მალ-ავ-ს — მალ-ევ-დ-ა — მალ-ევ-დ-ე-ს... ასე ხევესურულში, თუშურში, რაჭულში, ზემოიმერულში, მესხურ-ჯავახურში...
- გ) ხდება -ავ: ვ-ი მონაცვლეობა: მალ-ავ-ს — მალ-ვ-იდა-ა — მალ-ვ-ი-დ-ე-ს... ასეა გურულსა და ნაწილობრივ ქვემოაჭარულში.
- 3.14. რამდენიმე დიალექტში (აჭარულში, რაჭულში, ფერეიდნულში) მერყეობაა: გვხვდება როგორც მალ-ევ-დ-ა, ასევე მალ-ვ-ი-დ-ა...
- 3.15. ქართულში დამოწმებულია შემთხვევები, როცა თემის ნიშანთა მონაცვლეობა დაკავშირებულია მნიშვნელობათა ცვლილებებთან: წამლ-ავ-ს და წამლ-ობ-ს, უ-ჭირ-ავ-ს და უ-ჭირ-ებ-ს, ი-წყ-ებ-ს და ი-წყ-ობ-ს... ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ვნებითი გვარის ფორმებშიც: ი-ჭმ-ებ-ა საკუთრივ ვნებითა, ი-ჭმ-ევ-ა — უპირატესაც პოტენციალისი. ეს მოვლენა უფრო ხელშესახებად დიალექტებში იჩენს თავს...
- 3.16. იმავდროულად დიალექტებში მრავლადაა უფუნქციო შენაცვლების შემთხვევებიც: მალ-ავ-ს > მალ-ამ-ს > მალ-ან-ს, ა-კეთ-ებ-ს > ა-კეთ-ამ-ს > ა-კეთ-ან-ს, კაკან-ებ-ს > კაკან-ობ-ს...
- თემის ნიშანთა მონაცვლეობა ხდება მოქმედებითი გვარისა და სტატიკურ (საშუალ) ფორმებში და ისიც მხოლოდ I სერიაში. ცვლილება არ შეეხება III სერიას, ვნებითს, მასდარსა და მიმღობას: ა-კეთ-ამ-ს, მაგრამ: გა-უ-კეთ-ებ-ი-ა, კეთ-დ-ებ-ა, გა-კეთ-ებ-ა, გა-კეთ-ებულ-ი...

- 3.17. -ი > -ამ: გა-დენ-ამს, უ-ზრდ-ამ-ს, წა-დენ-ამ-ს... ფორმები დამოწმებულია ზემოიმერულსა და ქართლურში.
 ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ, გარდა თემის ნიშანთა შენაცვლებისა, სხვაობა სხვადასხვა: კერძოდ, გამოიყენება II სერიის ფუძე: უ-ზარდ-ამ-ს, და-გავ-ამ-ს, გა-ხად-ამ-ს...
- 3.18. -ავ > -ამ: ხნ-ამს, გა-მ-წეწ-ამ-ს, და-ს-თეს-ამს... დამოწმებული არის ქართლურში, კახურში, მოხეურში, ზემოიმერულში...
- 3.19. -ამ > -ავ: ა-ბ-ავ-ს, ჩა-მ-დგ-ავ-ს, სვ-ავ-ს... დამოწმებულია კახურში, ზემოიმერულში.
- 3.20. -ავ > -ან: რგ-ან-ს, მალ-ან-ს... შეინიშნება მესხურსა და ჯავახურში.
- 3.21. -ავ > -ი: მარგლ-ი-ს... დამოწმებულია თითქმის ყველა დიალექტში.
- 3.22. -ავ > -ობ: ხარჯ-ობ-ს... გვხვდება ზემოიმერულში.
- 3.23. -ებ > -ემ: ა-კეთ-ემ-ს, კოდ-ემ-ს... შეინიშნება ქართლურში, კახურში, რაჭულში, ზემოიმერულში.
- 3.24. -ებ > -ენ: ი-დ-ენ-ს, ა-კეთ-ენ-ს... დადასტურებულია მესხურსა და ჯავახურში...
- 3.25. -ებ > -ან: ა-კეთ-ან-ს... გვხვდება მესხურსა და ჯავახურში.
- 3.26. -ებ > -ევ: ა-ვს-ევ-ს, დო-უ-ძახ-ევ-ს... დადასტურებულია ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში.
- 3.27. -ობ > -ავ: ფიქრ-ავ-ს... შენიშნულია ზემოიმერულში.
- 3.28. -ობ > -ამ: ფიქრ-ამ-ს... გვხვდება ქართლურში.
- 3.29. -ობ > -ი: ჩქარ-ი-ხარ... შეინიშნება გურულში.
- 3.30. -ობ > -ოვ: ა-წყ-ოვ-ს, თამაშ-ოვ-ს... დადასტურებულია ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში.
- 3.31. -ობ > -ომ: ცხოვრ-ომ-ს-ლოცულ-ომ-ს... დამოწმებულია ქართლურში, კახურში, ზემოიმერულში, რაჭულში...
- 3.32. -ობ > -ონ: ამაყ-ონ-ს, კოჭლ-ონ-ს... ჩვეულებრივია მესხურსა და ჯავახურში.
- 3.33. თემის ნიშანთა შენაცვლებას თან სდევს სხვადასხვა რიგის ფორმათა დამთხვევა. გარჩევა უნდა მოხდეს დიალექტების მიხედვით. მაგალითად, კახურში დამოწმებულია ფორმა ა-ტარწემ-და, რაჭულში ო შე-კრ-ემ-დე. ორივე შემთხვევაში გვაქვს -ემ, მაგრამ ისინი სხვადასხვა წარმომავლობისაა: პირველ შემთხვევაში -ემ < -ებ, მეორე შემთხვევაში

- ში -ემ არის -ამ (< -ავ) თემის ნიშნის გახმოვანება ცვლილი ვარიანტი, გამოყენებული ნამყო უსრულის პარადიგმაში.
- 3.34. თემის ნიშანთა ნაირსახეობანი ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია ფუძისეულ ბგერასთან ფონეტიკური ურთიერთობის შედეგად:
- ა) უ-შვ-ებ-ს > უ-შობ-ს... დამოწმებულია გურულში, ხევსურულში, ქვემოიმერულში...
 - ბ) მო-უ-სვ-ამ-ს > მა-უ-სომ-ს... გვხვდება მოხეურში, ხევსურულში, მთიულურში, ფშაურში...
 - გ) და-ჰ-კლ-ავ-ენ > და-ჰ-კლ-ვ-ენ > დო-ჰ-კლონ... დადასტურებულია ინგილოურ დიალექტში.
- 3.35. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში თემის ნიშანთა ფონეტიკური ცვლილებანი დამოწმებულია კაუზალურ ფორმებშიც:
- ა-რთმ-ევ-ს > ა-რთუმ-ს
 - ა-ჰმ-ევ-ს > ა-ჰუმ-ს
 - ა-სმ-ევ-ს > სუმ-ს

4. პირველი სერიის პარადიგმების წარმოება ქართული ენის დიალექტებში

- 4.1. აწმყოს პარადიგმა გამოხატავს როგორც საკუთრივ აწმყოს, ასევე ჩვენებითი მოქმედების ფუნქციას. ფორმობრივ მათ შორის სხვაობა არ არის, გარჩევა კონტექსტით ხდება.
- 4.2. აწმყოს პარადიგმის წარმოება რიგი თავისებურებით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით განირჩევიან დინამიკური და სტატიკური ზმნები.
- 4.3. უნიფიკაციის საფუძველზე თავს იჩენს -ობ თემისნიშნის ზმნების სიმრავლე. ეს ფორმები გამოყენებული ფუძის მიხედვით ორ ჯგუფს ქმნიან:
 - ა) გამოყენებულია საკუთრივ ზმნური ფუძე: კა-ობ-ს „იკავებს“, შო-ობ-ს „შოულობს“, პო-ობ-ს „პოულობს“...
 - ბ) გამოყენებულია ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის ფუძე: ხდილ-ობ-ს, ხმარულო-ობ-ს, პარულ-ობ-ს...
 ამ რიგის წარმოება დამოწმებულია იმერულში, ქართლურში, კახურში, მთიულურში, მოხეურში, აჭარულში...

ისტორიულად ეს წარმოება უკავშირდება აწმყოს პარადიგმის ჩამოყალიბებას. რიგ შემთხვევაში ანალოგიური პროცესი სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს: ლებულ-ობ-ს, ყიდულ-ობ-ს...

- 4.4. მოქმედებითი გვარის ზოგი ზმნა არქაული წარმოებით შემორჩენილია ქართული ენის მთის დიალექტებში: ი-სრ-ევ-ს, ე-სრ-ევ-ს... ფშაურში შენიშნულია ი-სრ-ი-ს, ე-სრ-ი-ს... შემოიმერულსა და ბორჯომის ხეობის ქართლურში დადასტურებულია სვრ-ი-ს „ისვრის“. გურულსა და ქვემოიმერულში წარმოება -ობ თემისნიშნაია: სროულ-ობ-ს (საყრდენად გამოიყენება მიმღეობის ფუძე).
- 4.5. ზოგ თავისებურებას გვიჩვენებს ჩივ-ი-ს, ყივ-ი-ს ტიპის ფორმათაგან ნაწარმოები მოქმედებითებიც: ა-ტირ-ილ-ებ-ს (ხევსურული)...
- 4.6. აჭარულში თავისებურად იწარმოება მოქმედებითი გვარის ფორმები დგა-ს, ხტი-ს, ძვრებ-ა... ზმნებისაგან: ა-დგუმ-ლ-ებ-ს, ა-ხტუმ-ლ-ებ-ს, ა-ძრუმ-ლ-ებ-ს...
- 4.7. -უნ სიფუქსიანი წარმოების ნაცვლად გამოყენებულია -ენ სუფიქსი: ა-რგ-ენ-ს „არგუნებს“ (დამოწმებულია ქართლურსა და კახურში).
- 4.8. ქართული ენის დიალექტებში შეუდარებლივ უფრო ფართოდაა გამოყენებული -გ > -ი სუფიქსით გართულებული ფუძე: ი-შორ-ი-ევ-ს, ი-ცილ-ი-ევ-ს... ეს წარმოება უფრო ნიშანდობლივია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის.
- 4.9. ქართლურსა და კახურში იცი-ს ზმნა ობიექტური წყობითაც გვხვდება (ძველი“ქართლისებურად):“..ღმერთმა ნუ გ-ი-ცი-ი-ს“...
- 4.10. ქართული ენის მთის დიალექტებში ვნებითის გვარის III პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმებში შემორჩენილია -ი-ს დაბოლოება: ი-მალ-ებ-ი-ს, დგ-ებ-ი-ს, შა-ფას-დ-ებ-ი-ს...

არქაული წარმოება -ავ და -ამ თემისნიშნაიანი ზმნებისაგან თავს იჩენს აჭარულში, გურულსა და ქვემოიმერულში: ი-მალ-ვ-ი-ს, ი-კვლ-ი-ს...

- 4.11. განსაკუთრებული ნაირსახეობებით გამოირჩევა სტატიკურ ზმნათა წარმოება.
- 4.12. ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში უნიფიცირებულია ერთი რიგის სტატიკურ ზმნათა წარმოება — გამოყენებულია -ავ სუფიქსი: ღ-ბ-ავ „აბია“, ღ-რტყ-ავ „არტყია“.
- 4.13. ამის საპირისპიროდ მთიულურში -ი-ა დაბოლოებაზე გადადის ის ფორმებიც, რომლებიც სალიტერატურო ენაში -ავ სუფიქსიანია: ს-

- ძინ-ი-ა, ღვიძ-ი-ა... ანალოგიურ წარმოებას მისდევს უ-ყვარ-ი-ა ტიპის ფორმები ქვემოიმერულში.
- 4.14. დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (გურულში, ქვემოიმერულში...) -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ერთი ნაწილი (ჩივ-ის ტიპისა) სულ სხვა პრინციპითაა ნაწარმოები: ჩივ-ა, ყივ-ა-ტყუ-ა... ივარაუდება, რომ აქ გვაქვს -ან უძველესი თემის ნიშნის ნაშთი.
- 4.15. აჭარულში დამოწმებულია ჩივ-ლ-ოფ-ს ტიპის წარმოება.
- 4.16. ხევსურულში, ფშაურში, თუშურში აქვ-ს და ჰ-ყავ-ს ზმნები -ი სუფიქსიანია აქვ-ის, ჰ-ყავ-ის...
- 4.17. იმავე დიალექტებში უნდ-ა ზმნა დაირთავს არ-ის მეშველ ზმნას: მი-ნდ-არის-გ-ინდ-არის, უ-ნდ-არის...
- 4.18. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული ჰ-ში-ან, ს-წად-ი-ან ტიპის სტატიკური ზმნები... -ან მიიჩნევა სახელობითში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნად.
- 4.19. აქვ-ს, ჰ-ყავ-ს ქართლურსა და კახურში -ან თემისნიშნანია: ჰ-გვ-ან-ს, ჰ-ყვ-ან-ს...
- 4.20. მო-დი-ს ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დამოწმებულია მო-ვალ-ი-ს...
- 4.21. ყველაზე მეტი ნაირსახეობა ქართული ენის დიალექტებში მოეპოვება დგ-ს, ზო-ს, წევ-ს სტატიკურ ფორმებს.
- ა) დგ-ს-ს: დგ-ი-ა, დგ-ან-ა, დგ-ენ-ა, დგ-ის-ს...
- ბ) ზი-ს: ჯდ-ა-ს, ჯდ-ი-ა, ჯდ-ან-ა, ჯდ-ენ-ა, ჯდ-ის-ს...
- გ) წევ-ს: წვ-ი-ა, წვ-ან-ა, წვ-ენ-ა, წვ-ის-ს...
- გარდა ამისა, ზემოიმერულში დამოწმებულია დგ-არს, წევ-რ-ან, ასევე დგ-ალ-ენ ფორმები.
- ყველა ეს ფორმა ენობრივად შეპირობებულია და კანონზომიერია...
- 4.22. ხევსურულში, თუშურში, აჭარულში... ჩან-ს ფორმის ნაცვლად ფუნქციონირებს ჩინ-ს ამოსავალი მისთვის ნამყო ძირითადის ფუძეა (გამო-ა-ჩინ-ა).
- 4.23. დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უნიფიკაციის საფუძველზე სტატიკური ზმნების წარმოება მეშველზმიანია: ვ-მფერ-ი-ვარ, მღერ-ი-ხარ... ეს წარმოება ბოლო ხანს სალიტერატურო ენაშიც იჩენს თავს.
- იმერულშია დამოწმებული ვ-ფიქრავ-ვარ...

ინგილოურში მეშველზმნიან წარმოება უფრო ფართო ხასიათისაა: ვ-ი-ც-ი-ვარ „ვიცი“, ვ-ყრი-ვარ „ვყრი“.

- 4.24. ნამყო უსრულის წარმოების პრინციპი ქართული ენის დიალექტებში არსებითად იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში. ძირთად სხვაობას იძლევიან -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები, ისიც თემის ნიშანთან გახმოვანებისა და თვით თემის ნიშანთა შენაცვლების თვალსაზრისით (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი).
- 4.25. სხვა თავისებურებებიდან აღსანიშნავია:
- ა) -ი სუფიქსის (პარადიგმის ნიშნის) შენარჩუნება -ოდნის წინ: ჰ-ქვ-ი-ოდ-ა, უ-ყვარ-ი-ოდ-ა, ს-ცალ-ი-ოდ-ა... დამოწმებულია ინგილოური, ზემოიმერულში, აჭარულში...
 - ბ) -ავ თემის ნიშნის ჩამოცილება: კეტ-ავ-ს > კეტ-და „კეტავდა“, ი-ნახ-ავ-ს > ი-ნახ-და... დამოწმებულია ზემოიმერულში...
 - გ) უნიფიკაციის საფუძველზე ფორმების გაჩენა: ღვიძა-ვ-და, ჰ-ქვი-ოდ-ა... (შდრ: ეღვიძა, ერქვა...). დამოწმებულია უპირატესად დასავლეთ საქართველოს დიალექტებში.
- 4.26. ნამყო უსრულის ფორმები ხევსურულში (ს-ცევ-დ-ი, ხ-ფარ-ევ-დ-ი...) ზოგჯერ თხოვნი-ბრძანებითის ფუნქციითაა გამოყენებული.
- 4.27. ნამყო უსრულის მრავლობითი რიცხვის III პირის ნიშნებად გამოყენებულია: -ეს (წერდ-ეს „წერდნენ“) — ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში... -ენ (წერდ-ნენ) ქართლურსა და კახურში, -ენ (წერდ-ენ) ყველა სხვა დიალექტში. ფშაურსა და მთიულურში შეინიშნება მერყეობა -ეს და -ენ ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით.
- 4.28. I ხოლმეობითის ორგანული წარმოება ძირითადად ქართული ენის სამ დიალექტს შემორჩა — ხევსურულს, თუშურსა და ფშაურს. ზოგჯერ თავს იჩენს მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულშიც.
- 4.29. III პირში ყველა დიალექტში I ხოლმეობითის მაწარმოებელია — სუფიქსი. I და II პირში სხვაობაა: ხევსურულსა და თუშურში გამოიყენება -დ, ფშაურში — -ოდ.

ხევსურული, თუშური:

ვ-წერ-დ-იდ-ი
ს-წერ-დ-იდ-ი

ფშაური:

ვ-წერ-დ-ოდ-ი
ს-წერ-დ-ოდ-ი
წერ-დ-ი-ს

სხვაობას იძლევა აგრეთვე -ავ და -ამ თემისნიშნის ფორმები (განაწილებისათვის იხ. „თემის ნიშნები ქართული ენის დიალექტებში“):

ვ-მალ-ევ-დ-იდ-ი	ვ-მალ-ავ-დ-ოდ-ი
ჰ-მალ-ევ-დ-იდ-ი	ჰ-მალ-ავ-დ-ოდ-ი
ღ-მალ-ევ-დ-იდ-ს	ჰ-მალ-ავ-დ-ის

- 4.30. ხოლმეობითის II პირის ფორმები ხსენებულ დიალექტებში გამოიყენება თხოვნით — ბრძანებითის ფუნქციით. ფშაურში ზოგჯერ ხოლმეობითი გართულებულია კავშირებითის -ე სუფიქსით: და-წერ-დ-ოდ-ე... ამ რიგის წარმოება შეინიშნება მოხეტრშიც.
- 4.31. მოხეტრში, მთიულურ-გუდამაყრულში, ფერეიდნულში, ინგილოურსა და (ნაწილობრივ) კახურში ხოლმეობითის გამოსახატავად გამოიყენება -ყეII-კე მორფემოიდი: -კე დამოწმებულია მოხეტრსა და მთიულურში, დანარჩენებში უპირატესად -ყე. ინგილოურში -ყე > -ყ. ეს მორფემოიდი შეიძლება დაერთოს I სერიის ყველა პარადიგმას: აკეთებს -კე, აკეთებდაკე, აკეთებდეს-კე... ასე რომ, მკაცრად განსაზღვრული პოზიცია მას არ მოეპოვება.
- 4.32. ქართული ენის სხვა დიალექტებში ხოლმეობითის ფუნქცია გამოიხატება აღწერითად („ხოლმე“ ნაწილაკის დართვით ან კონტექსტით).
- 4.32.1. კავშირებითის წარმოება დიალექტებში იმავე პრინციპს მიჰყვება, რასაც სალიტერატურო ენაში. თავს იჩენს რამდენიმე არაარსებითი ხასიათის სხვაობა:
- ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში უნიფიკაციის საფუძველზე კავშირებითის მაწარმოებლად ყოველთვის გვაქვს -ა: აკეთებდ-ა-ს, ხატევდ-ა-ს... ხევსურულში I და II პირის ფორმებში -ა ვიწროვდება და იძლევა - ო-ს: ვ-დგებოდ-ო „ვდგებოდე“...
 - ბ) ზემოიმერულში სპორადულად თავს იჩენს -ო: მუშაოდ-ო-ნ...
 - გ) მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმები ქართულსა და კახურში ემთხვევა ნამყო უსრულს: წერდ-ნენ (სალიტერატურო ქართულის ანალოგიური მდგომარეობა); აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში აქაც -ა არის: მუშაობდ-ან, წერდ-ან... ყველა სხვა დიალექტში -ე არის: აკეთ-ებდ-ენ, მუშაობდ-ენ...
- 4.33. დიალექტების აბსოლუტურ უმრავლესობაში მყოფადის გამოხატვა იმავე პრინციპით ხდება, როგორც სალიტერატურო ქართულში. სხვაობას რამდენიმე დიალექტი იძლევა მხოლოდ.

- 4.34. ინგილოურში მყოფადის გამოხატვა ხდება სამი საშუალებით:
- ა) ზმნისწინის დართვით; დო-ა-ჭერ „დავიჭერ“ — ე.ი. ახალი ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად;
 - ბ) კავშირებითის ფორმის გამოყენებით: დო-ა-ჭირ-ო „დავიჭერ“ — ე.ი. ძველი ქართულის მსგავსად;
 - გ) მყოფადის მიმღეობაზე მეშველი ზმნის დართვით; და-ა-ჭერ-ე(ლ)-ვარ (< დასაჭერელ ვარ) „დავიჭერ“ — აზერბაიჯანულის კალკია, თუმცა ანალოგიური ფორმები ქართულისთვისაც არ არის უცხო (ე.წ. სავალდებულო მყოფადის შემთხვევაში: წასასვლელი ვარ, წამსვლელი ვარ...).
- 4.35. ზოგი თავისებურებით ხასიათდება სტატიკურ ზმნათა მყოფადის წარმოება: აჭართლში დამოწმებულია ი-კივ-ან-ებ-ს, გე-ი-ლიმ-ან-ებ-ს ტიპის წარმოება.
- 4.36. მყოფადის კავშირებით იმავე პრინციპით იწარმოება, რაც I (აწ-მყოს) კავშირებითი. ოღონდ ქართული ენის დიალექტებში (ქართლურში, კახურში...) ამ პარადიგმით შესაძლებელი გახდა თხოვნით — ბრძანებითის ფუნქციის გამოხატვაც: „უკვდავების წყალსა დროით მომიტანდე, შეემასმევდე...“
- 4.37. სემანტიკური და სინტაქსური თვასაზრისით პირველი სერიის პარადიგმები რაიმე არსებითი ხასიათის სხვაობას არ გვიმოწმებენ (გარდა იმ ორიოდ შემთხვევისა, რაც ზემოთაც იყო საგანგებოდ შენიშნული).

მეორე სერიის პარადიგმების წარმოება ქართული ენის დიალექტებში

- 1.1 ძველ ქართულში II სერიაში ოთხი პარადიგმა იყო წარმოდგენილი:
- ნამყო ძირითადი: წერ-ა
 - II ხოლმეობითი: წერ-ი-ს
 - II კავშირებითი: წერ-ო-ს
 - II ბრძანებითი: წერ-ე-ნ (მან).
- გამოყოფენ მეხუთე პარადიგმასაც — შერეულ კავშირებითს, რომელიც იშვიათი ხმარებისა იყო: მი-ს-ც-ოდ-ი-ს...

II ბრძანებითს საკუთარი წარმოებისა მხოლოდ მესამე პირის ფორმები მოეპოვება და ისიც ნამყო ძირითადისაგან მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავდება...

ასე, რომ II ბრძანებითს საკუთარი მორფოლოგიური მაწარმოებელი არ მოეპოვება, ხოლო განსხვავებულ პირის ნიშანთა გამოყენების გამო ნამყო ძირითადის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, II პირისთვისაც ბრძანებითი ასევე ნამყო ძირითადის ფუძეს იყენებდა და იყენებს, ოღონდ მისგან იმით განსხვავდებოდა, რომ პირის ნიშანს არ დაირთავდა:

მო-ჰ-კალ შენ იგი — თხრობითია,

მო-კალ შენ იგი — ბრძანებითი.

1.2 ძველ ქართულში II კავშირებითი მყოფადი დროის ფუნქციით გამოიყენებოდა.

1.3 შერეული კავშირებითი (სხვაგვარად მას შერეულ მყოფადსაც უწოდებენ, ზოგჯერ — არქაულ ნამყო უსრულს) იყენებენ II სერიის ფუძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი გართულებულია აოდ სუფიქსით.

სინტაქსური თვალსაზრისით ეს პარადიგმა II სერიის სხვა პარადიგმათა ანალოგიურ ვითარებას გვიდასტურებს: შე-სწირ-ოდ-ის მან მას ის.

ამჟამად ორიოდ ფორმაა ამ პრინციპით ნაწარმოები: წა-ვიდ-ოდ-ა, ი-ც-ოდ-ა... მნიშვნელობა ნამყო უსრულისა აქვთ...

1.4 ახალ ქართულ სალიტერატურო ენას II სერიაში ორი პარადიგმა შემორჩა:

ნამყო ძირითადი: წერა

II კავშირებითი: წერ-ო-ს

ქართული დიალექტების აბსოლუტური უმრავლესობა ანალოგიურ ჩვენებას იძლევა.

განსხვავებული ვითარება გვაქვს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში, სადაც ორგანული წარმოების II ხოლმეობითიც მოგვეპოვება, ე.ი. ამ დიალექტებში სამი პარადიგმა გვაქვს II სერიაში:

ნამყო ძირითადი: წერ-ა

II კავშირებითი: წერ-ო-ს

II ხოლმეობითი: წერ-ი-ს

ოლონდ იმ სხვაობით, რომ I და II პირი ხოლმეობითისა ძველი ქართული-საგან განსხვავებული პრინციპით იწარმოება...

ხოლმეობითი სპორადულად იჩენს თავს მთიულურში, მოხეურში, ქიზიყურში... მაგრამ სისტემის სახით იგი მხოლოდ ზემოდასახელებულ სამ დიალექტშია წარმოდგენილი.

1.5 II სერიის პარადიგმების წარმოების პრინციპი ქართული ენის დიალექტებში სალიტერატურო ენის ანალოგიურია.

I სერიის ფორმათაგან განსხვავებით, სადაც პარადიგმათა წარმოება მკაცრ იერარქიულ პრინციპს ემყარება, II სერიის პარადიგმები (ძველი ქართული II ბრძანებითის გამოკლებით) ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს იღებენ ამოსავლად და მას შესაბამისი მაწარმოებლებით აფორმებენ:

ნამყო ძირითადი:	წერ-ე
წერ > ხოლმეობითი:	წერ-ი-
კავშირებითი:	წერ-ო-

1.6 II სერიის პარადიგმების მაწარმოებლები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ა) ნამყო ძირითადი: -ე, -ი, -0 (+ „ნართათული -ი“);

-ე, -ი, -ი, -0 (ხევსურულში, თუშურში...)

-ეე-ი, -ი, -0 (ქართლურში, კახურში, ზემოიმერულში...)

ბ) II ხოლმეობითი: მესამე პირში ყველგან -ი არის, I და II პირში:

ფშაურში -ოდ, ხევსურულსა და თუშურში -იდ. მთიულურში, მოხეურში, ინგილოურში, ფერეიდნულსა და (ნაწილობრივ) კახურში წარმოება ხდება -კე -ყე მორფემოიდის საშუალებით. სხვა დიალექტებში წარმოება აღწერილია.

გ) II კავშირებითი: -ა, -ე, -ო. ეს ფორმანტები განაწილების მკაცრ

წესს ექვემდებარებიან... ხევსურულში, თუშურსა და მოხეურში

წარმოება უნიფიცირებულია: ყველა შემთხვევაში გვექნება -ა.

1.7 როგორც ვხედავთ, მაწარმოებლები ძირითადად იგივეა, რაც სალიტერატურო ენაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აქ სრულ ანალოგიასთან გვაქვს საქმე: დიალექტების მიხედვით მაწარმოებლების განაწილება ხშირად ძალზე განსხვავებულია.

2.1 მეორე სერიის ფუძე პირველი სერიისას უპირისპირდება იმით, რომ:

ა) წარმოდგენილია უთემისნიშნოდ: ა-კეთ-ა (შდრ.: ა-კეთ-ებ-ს)...

ბ) წარმოდგენილია სრული გახმოვანებით: მოჰ-კალ (შდრ.: კლ-ავ)...

- გ) ფუძედრეკად ზმნებში წარმოდგენილია ან გახმოვნებით საპირის-პიროდ I სერიის ე- გახმოვნებისა: დრიკ-ა (შდრ.: დრეკ-ს)...
- ეს ვითარება მეტ-ნაკლებად დაცულია ქართული ენის დიალექტებშიც.
- 2.2 -ე სუფიქსიანი ზმნები რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი ქართული ენის დიალექტებში:
- ა) დამოწმებულია -ე — ე.ი. არაა სხვაობა სალიტერატურო ენასთან. ასეთი ვითარებაა ქართულურში, კახურში, იმერულში, გურულში, მესხურში, ჯავახურში, აჭარულში...
- ბ) -ე სუფიქსი წარმოდგენილია ანგ-ის სახით; ეს მოვლენა შეინიშნება:
- კახურში: სწავლა მივიღევი, გვამევი, ცხვარი ჩავრეკევი, ხელი ვტაცევი, დავუძახევი, გავაკეთევი.
- ზოგჯერ -ე-ი მარტივდება და იძლევა -ე-ის: ვ-ნახ-ე-ი > ვ-ნახ-ე-ი, ვ-ი-სწავლ-ე-ი, > ვ-ი-სწავლ-ე-ი...
- ქართულურში: ვიყიდევი, ვნახევი, ვიმსახურევი, ამოვიყვანევი, ვიკითხევი, შავადევი, დავბატიყევი...
- აქაც -ე-ი > ე-ი: ვიყიდევი, ვნახევი...
- ზემოიმერულში: გაატანევი, მკითხევი, ვთოხნევი...
- რაჭულში: შევჭამევი, დავწერევი... ძირითადად წარმოდგენილია მთა-რაჭულსა და ზემორაჭულში.
- აჭარულში: გამაძღევი, დემწყევი, გამუაცხევი...
- მესხურ-ჯავახურში: შევუხევი, მოვსპევი, დავნოცევი...
- სპორადულად შეიძლება თავი იჩინოს სხვა დიალექტებშიც.
- ე-ი ბოლოსართის არსებობა ნაირგვარად არის ახსნილი:
- ა) ე-ი მიჩნეულია ნამყო ძირითადის უძველეს სუფიქსად, რომლის გამარტივების შედეგადაა მიღებული -ე: *და-ვწერ-ე-ი > და-ვწერ-ე (ბოლოკიდური -ი უფუნქციოა, მო-ვ-კალ-ი ტიპის ზმნათა მსგავსად);
- ბ) -ე-ი არ არის ამოსავალი და-ვწერ-ე ტიპის ზმნათა -ე სუფიქსისათვის. იგი უძველესი მაწარმოებელია მხოლოდ ერთი რიგის (ვ-ა-ქ-ე-ი, და-ვ-დ-ე-ი...) ზმნებში, ხოლო და-ვწერ-ე-ი და მისთანა ფორმებში იგი ანალოგიითაა გადასული ზოგიერთ დიალექტში.

- 2.3 დიალექტთა ერთ ნაწილში -ე სუფიქსის ნაცვლად არის -ი, -ი ან -ო. ასეთი ვითარება ხევესურულში და ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში.
- 2.4 ხევესურულში -ე'ს ნაცვლად -იი-ნ წარმოდგენილია ორ შემთხვევაში:
- ა) -იი-ნ პირველადი მაწარმოებელია, წარმოდგენილია როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმებში
- გა-ვ-ი-გ-ი- (იი-ნ) — გა-ვ-ი-გ-ი-თ
 გა-ი-გ-ი (იი-ნ) — გა-ი-გ-ი-თ
 გა-ი-გ-ა — გა-ი-გ-ეს...
- ასეთ შემთხვევებში მხოლოდითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი ყოველთვის -ა იქნება.
- ბ) -ი მიღებულია -ე'ს დავიწროებით მხოლოდითი რიცხვის ფორმებში, მრავლობითში აღდგება -ე:
- და-ვ-წერ-ი — და-ვ-წერ-ე-თ
 და-ს-წერ-ი — და-ს-წერ-ე-თ
 და-წერ-ა — და-წერ-ეს...
- 2.5 ინგილოურში ასეთი ვითარებაა:
- ა) კაკურ კილოკავში ტენდენციაა ზე სუფიქსი შეიცვალოს ზი სუფიქსით:
- და-ვ-წერ-ი
 და-წერ-ი
 და-წერ-ა...
- ბ) ალიაბადურში კი, პირიქით, ყველა შემთხვევაში ვრცელდება -ე:
- მო-ვ-კალ-ე
 მო-ჰ-კალ-ე
 მო-კლ-ა...
- 2.6 უსუფიქსო (ნულ-სუფიქსიანი) ნამყო ძირითადი შემდეგი ნაირსახეობებითაა წარმოდგენილი ქართული ენის დიალექტებში:
- ა) დიალექტთა ერთ ნაწილში არქაული ვითარებაა დაცული: არ არის წარმოდგენილი ნართაული -ი: მო-ვ-კალ, და-ვ-წერ... ასეთი ფორმები ძირითადად გავრცელებულია ქართული ენის მთის დიალექტებში.

- ბ) გურულში, ქვემოიმერულში, აჭარულში ნართაული -ი ჩვეულებრივია. ხდება ფონეტიკური ცვლილება: ინტერვოკალურ პოზიციაში იკარგვის თანხმოვანი: დავდვი > დავდეი, დავწვი > დავწვი...
- გ) და-ვ-წიქ, და-ვ-წექ ზმნებში დაცულია ამოსავალი ვითარება: და-ვ-წვი-ი, და-ვ-წვი-ი... ასეა, მაგალითად, გურულში.
- 2.7 მხოლოდითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი ნამყო ძირითადში დიალექტების აბსოლუტურ უმრავლესობაში იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში: -ა და -ო; იმავე განაწილებით, როგორც ეს სალიტერატურო ქართულში გვაქვს:
- ა) უმარცვლო ფუძისა და აწ სუფიქსის მქონებლობისას — -ო,
- ბ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში — -ა.
- სხვაობა შეინიშნება რამდენიმე დიალექტში.
- ხევსურულში უმარცვლო ფუძეებთან გვაქვს -ა: გა-ი-გ-ა, ა-ი-ღ-ა, შე-ა-ქ-ა...
- ხევსურულსა და თუშურში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შეიძლება მოიკვეცოს: დაიშალ...
- III პირის მრავლობით რიცხვში იმერულში მოხდა უნიფიკაცია: ყველგან გვაქვს -ენ: დამალ-ენ — დაიშალ-ენ, გააკეთ-ენ — გაკეთდ-ენ...
- ვნებით ფორმებში მთის დიალექტები არქაულ ვითარებას იცავენ: და-ი-მალ-ენ-ეს...
- ძველი ვითარებაა I და II პირის ფორმებშიც აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიალექტში:
- და-ვ-ი-მალ-ენ-ი-თ
და-ი-მალ-ენ-ი-თ...
- 3.1 ცალკე უნდა აღინიშნოს რამდენიმე კერძო შემთხვევა ნამყო ძირითადის ფორმათა წარმოებისას.
- ა) -ევ ელემენტისანი ზმნები II სერიაში და კერძოდ, ნამყო ძირითადში, გახმოვანებას იცვლიან: ვ-ა-ქნ-ევ > ვ-ა-ქნ-ი-ე... ინტერვოკალურ პოზიციაში ვ სონანტი იკარგვის. ეს ფონეტიკური წესი გატარებულია სალიტერატურო ენასა და ქართული ენის უმეტეს დიალექტებში.
- ჩრდილო ქართლურში, კახურსა და ინგილოურში ვ შენარჩუნებულია: ა-ი-ქნ-ი-გ-ა, ა-ძლ-ი-გ-ა, მი-ა-ქც-ი-გ-ა...

ფშაური პარალელურ ფორმებს ადასტურებს: ვ-ძლ-ი-ე და ვ-ძლ-ი-ე-ე, და-ვ-წყ-ი-ე და და-ვ-წყ-ი-ე-ე „დავწყველე“...

ფშაურშივე ა-ჭმ-ევ-ს და ა-სმ-ევ-ს ფორმებში -ევ არ გაიგება თემის ნიშნად და მეორე სერიაში გადაჰყვება -ივ'ს სახით — უმეტესწილ ვ'ს ჩა-ვარდნით:

„პური მთხოვა და ვ-ა-ჭმ-ი-ე...“

ღვინო მთხოვა და ვ-ა-სმ-ი-ე...“

ბ) დიალექტების ერთ ნაწილში და-ვ-ჭერ-ი, გა-ვ-ცერ-ი ტიპის ფორმა-თა ამოსავალი ფუძე ა-გახმოვანებითაა წარმოდგენილი: გა-ვ-ჭარ-ი, გა-ვ-ცარ-ი... იგივე ფუძე დამოწმებულია ნაზმნარ სახელებშიც: ნა-ჭარ-ი. ასეა მესხურში, აჭარულსა და გურულში. ამგვარი ვითარება შენიშნულია ხევსურულშიც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭარ- ფუძე „ვეფხისტყაოსანშიცაა“ შენიშნული: ნა-ჭარ-ნ-ი, გადმო-ნა-ჭარ-ნ-ი... სალიტერატურო ენაში გვაქვს ნა-ცარ-ი, რომელიც გა-ვ-ცარ ფორმაში დამოწმებულ ცარ- ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს...

შენიშვნა: ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორი-ისათვის. ჭარ: ჭერ, რომელიც ახლა დიალექტურ დაპირისპირებად მოჩანს, ისტო-რიულად იმავე რიგისა უნდა ყოფილიყო, რაც და-ვ-ძარ: შე-ვ-ი-ნ-ძერ, ქარ-ი: გა-ქერ, ლაწ-ან-ი: ლეწ-ს და მისთ.

3.2 მეორე სერიაში პირდაპირი ობიექტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ძველი ქართული ენის ნორმა იყო:

მო-ვ-კალ მე იგი — მო-ვ-კლ-ენ მე იგინი

მო-ჰ-კალ შენ იგი — მო-ჰ-კლ-ენ შენ იგინი

მო-კლ-ა მან იგი — მო-კლ-ნ-ა მან იგინი

ახალი ქართულისთვის ეს მოვლენა უცხოა: მო-კლ-ა მან იგი||იგინი (სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტი რიცხვში არ უთან-ხმდება ზმნას).

ანალოგიური ვითარებაა ქართული ენის დიალექტების აბსოლუტურ უმრავლესობაში.

სხვაობას გვიჩვენებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები: ხევსურული, თუშური, ფშაური და მოხეური, სადაც ძველი ქართულისებუ-რი ვითარებაა.

ხსენებულ დიალექტებში სახელი შესაძლოა -ნ/-თ მაწარმოებლითაც იყოს გაფორმებული და -ებ'ითაც. ამათგან პირველი შეთანხმების მეტ ძალას იჩენს, ვინემ მეორე (ესეც ძველი ქართულისებური ვითარებაა).

3.3 ნამყო ძირითადის II პირის ფორმები ბრძანებითის ფუნქციით გამოიყენებიან. მთიულურში დაცულია ძველი ქართულისებური ვითარება: პირის ნიშნით წარმოდგენილია თხრობითი კილოს ფორმა, უპირისნიშნოდ — ბრძანებითი:

ს-თქვი! (ნამყო ძირითადი, თხრობითი)

თქვი! (ბრძანებითი)

მოხეურში თხოვნითობის გამოსახატავად ემატება -ლა:

დაწერე-ლა!

4.1 ქართული ენის დიალექტებიდან, როგორც აღინიშნა, ორგანული წარმოების ხოლმეობითი დაცული აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს: ხევსურულს, ფშაურს და თუშურს.

4.2 პირველი ხოლმეობითისაგან წარმოების თვალსაზრისით მეორე ხოლმეობითი განსხვავდება იმით, რომ ეს უკანასკნელი საყრდენად II სერიის ფუძეს იღებს, მაწარმოებლები კი ზედმიწევნით იგივეა: მესამე პირში ყველგან -ი გვაქვს, I და II პირში — ხევსურულსა და თუშურში -იდ, ფშაურში -ოდ:

ხევსურული, თუშური:

ფშაური:

და-ვ-წერ-იდ-ი

და-ვ-წერ-ოდ-ი

და-ს-წერ-იდ-ი

და-ს-წერ-ოდ-ი

და-წერ-ი-ს

4.3 ქსნისა და არაგვის ხეობის ქართლურში, ასევე კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში დამოწმებულია II ხოლმეობითის ძველი ქართული-სებური წარმოება:

ქართლური: წავიღით, დავილოცით, ვიქეფით...

ქიზიყური: ვიარით, ჩავაწვინით, გადაულოცის...

მაგრამ ამ დიალექტებში ხოლმეობითის ან სუფიქსიანი წარმოება კვდომის გზაზეა დამდგარი, იგი თანდათანობით კარგვას ხოლმეობითის სემანტიკას და ამ მნიშვნელობის გამოსახატავად საჭირო ხდება „ხოლმე“ ან -ყი-ყე ფორმანტების დართვა: დათესიან I დათესიან ხოლმე I დათესიანყე.

4.4 ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში ერთადერთი ზმნაა (წა-ვიდ-ი-ს), რომელიც I და II პირში არ დაირთავს -იდ ან -ოდ სუფიქსებს. ამის

მიზეზი ნათელია: ვედ- ფუძე გახმოვანებას მხოლოდ მაშინ იცვლის, როცა მორფოლოგიური ფუნქციის მქონე სუფიქსი დაერთვის. ამის გამო წა-ვიდ-ი იმთავითვე გარჩეულია წა-ვედ-ი ფორმისაგან: ფუძის განსხვავებულმა გახმოვანებამ გვიჩვენა, რომ მორფოლოგიურად სხვადასხვა მონაცემებთან გვაქვს საქმე.

4.5 დიალექტების უმეტეს ნაწილში ხოლმეობითის ფორმები ან უკვე გამქრალია, ან გაქრობის გზაზეა დამდგარი, ხოლმეობითის სემანტიკა კი რჩება. ამიტომაც ხოლმეობითის გამოსახატავად დიალექტები (და თვით სალიტერატურო ენაც) აღწერით საშუალებებს მიმართავენ, ანდა კიდევ წარმოშობით სხვა ფუნქციის -ყე||-კე ფორმანტს იყენებენ. -ყე/-კე > -ყ/-კ ფორმანტიანი ხოლმეობითები დამოწმებულია ქიზიყურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, მთიულურსა და მოხეტურში, სადაც ეს ფორმანტი შეიძლება დაერთოს აწმყოს, ნამყო უსრულს, კავშირებითს, მყოფადს, I შედეგობითის პარადიგმების ფორმებს.

4.6 ქართული ენის დიალექტებში ბრძანებითის წარმოება არსებითად სალიტერატურო ქართულისებურია: წართქმით ბრძანებითში II პირისთვის გამოიყენება ნამყო ძირითადი ფორმა (გააკეთე — თხრობითია, გააკეთე! — ბრძანებითი: სხვაობს ინტონაცია, კონტექსტი), III პირისთვის — II კავშირებითის ფორმა (გააკეთოს!). უკუთქმით ბრძანებითში „ნუ“ ფორმანტთან გამოიყენება აწმყო და მყოფადი (ნუ აკეთებ! ნუ გააკეთებ!), „არ“ ფორმანტთან — II კავშირებითი (არ გააკეთო! არ გააკეთოს!).

რასაკვირველია, თავს იჩენს ის მორფოლოგიური თუ ფონეტიკური ნაირსახეობანიც ამა თუ იმ პარადიგმისა, რომლებიც საკუთრივ მოცემული დიალექტისთვისაა ნიშანდობლივი. მაგალითად, თუკი აჭარულში „გამაძღე“ ფორმის ადგილას გვაქვს „გამაძღევი“, იგივე ფორმა (ოღონდ განსხვავებული ინტონაციით) წარმოდგენილი იქნება ბრძანებითშიც: „გამაძღევი!“

4.7 ერთი და იმავე ფორმით (გააკეთე“) სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი შეიძლება გამოიხატოს: ბრძანება, თხოვნა, წაქეზება, მოთხოვნა... სალიტერატურო ენასა და დიალექტების უმეტესობაში ამ სემანტიკური ნიუანსების განსხვავება ინტონაციას ან კონტექსტს ემყარება.

იმავდროულად რამდენიმე დიალექტში არსებობს შესაძლებლობა, ზემოხსენებული სემანტიკური ნიუანსები შესაბამისი მორფოლოგიური ინვენტარით გამოიხატოს, რომელთაგან, მართალია, არცერთი არაა საკუთრივ

ბრძანებითისა, თხოვნისა ან წაქეზებისა, მაგრამ ინტონაცია და კონტექსტი ადვილად წარმოაჩენს ამ მნიშვნელობებს.

4.8 ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს ხევსურულს, თუშურსა და ფშაურს, რომლებიც თხოვნით თუ წაქეზებით სემანტიკის გამოსახატავად II პირისათვის იყენებენ მეორე ხოლმეობითის ფორმებს (პირველი ხოლმეობითის პარალელურად):

ხევსურული და თუშური: გააკეთიდი „გთხოვ, გააკეთო!“

ფშაური: გააკეთოდი!

„მთავ, შენ ჩემი პასუხი გულ-მკერდზე დაიწეროდი,

ბარო, წარბნი და წამწამნი მაგ სიტყვით დაიკეროდი!“

ინგილოურში ამ მიზნით II პირის ფორმისთვისაც II კავშირებითის ფორმა გამოყენებული: მოხულო! მაილო! „გთხოვ მოხვიდე“ მოიტანო!“

თუშურში თხოვნის ფორმებს ზოგჯერ -ლ(ა) ნაწილაკი დაერთვის: უთხრიდილ! „გთხოვ უთხრა!“

ფშაურში, გარდა -ოდ-ი ფორმანტისა, მოიპოვება -ოდ-ე'ც:

აჭმიოდი||აჭმიოდე „გთხოვ აჭამო“

აარილოდი||აარილოდე „გთხოვ აარილო“

-ოდ ხოლმეობითის მაწარმოებელია, -ე — კავშირებითისა.

ანალოგიური წარმოება მთიულურმაც და მოხეურმაც იცის:

გაკეთოდე, წაილოდე, მაიტანოდე...

მოხეურში ხშირია -ლა ნაწილაკიანი ფორმებიც, რომლებიც ნამყო ძირითადის პარადიგმას დაერთვის: გააკეთე-ლა, წაილე-ლა, მაიტანე-ლა! ეს ვითარება ზედმიწევნით აისახა ა.ყაზბეგის პროზაში.

5.1 კავშირებითის გამოყენება თხოვნით-წაქეზებითის დანიშნულებით ქართული ენის ზოგ სხვა დიალექტშიც არის შენიშნული, ოღონდ ამ შემთხვევაში გამოიყენება მყოფადის კავშირებითი: მომიტანდე, შემასმედე.

5.2 მეორე კავშირებითის სამი ფორმანტის (-ა, -ო, -ე) განაწილება დიალექტების უმეტეს ნაწილში იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება, რაც სალიტერატურო ენაშია დამოწმებული. სხვაობას რამდენიმე დიალექტი გვიჩვენებს. სხვაობის მიზეზი ძირითადად უნიფიკაციის ტენდენციაა.

5.3 მოხეურში, ხევსურულში, თუშურსა და თუშურში, ასევე გუდამაყრულ კილო-კავშირ კავშირებითის მაწარმოებელი უნიფიცირებულია და ყველა

- შემთხვევაში წარმოდგენილია -ა: მა-კლ-ა-ს „მოკლას“, გა-წითლ-დ-ა-ს „გაწითლდეს“, გა-ა-კეთ-ა-ს „გააკეთოს“...
- 5.4 ფშაურში ძირითადად სალიტერატურო ენის მსგავსი ვითარებაა, თუმცა უნიფიკაციის ტენდენციის ცალკეული გამოვლინება აქაც იჩენს თავს: მო-გ-ც-ა-ს „მოგცეს“, გ-ი-ყვ-ა-თ „გიყოთ“...
- 5.5 ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში -ა მაწარმოებელი გვაქვს მოსალოდნელი -ო ფორმანტის ადგილას: და-თეს-ა-ს „დათესოს“, და-მ-კიდ-ა-ს „დაკიდოს“... ოლონდ -ა აქ მხოლოდ III სუბიექტური პირის ფორმაშია დამოწმებული. ალიაბადურში ასეთი ვითარება სპორადულად წარმოჩნდება.
- 5.6 ზემოიმერულში უნიფიკაციის ტენდენციამ საპირისპირო შედეგი მოგვცა: შეინიშნება -ო ფორმანტის გავრცელების ტენდენცია: მი-ვიდ-ო-ს, მო-გ-ი-ხ-ო-ს „მოგიხდეს“, გა-ხ-ო-ს „გახდეს“, შე-ქ-ხვ-ო-ნ „შეგვხვდნენ“...
- 5.7 თავისებური ვითარებაა მესხურსა და ჯავახურში, ასევე აჭარულში ვალდებულებითი კილოს წარმოების დროს: უნდააუნა ნაწილაკი-მორვემოიდი იკვეთება და წარმოდგენილია როგორც -ნაანდა: საქმე'ნა გააკეთოს, გააკეთოსნა...
- 5.8 II კავშირებითი გამოიყენება წართქმითი და „არ“ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითის გამოსახატავად III პირის ფორმებისთვის: გააკეთოს“ არ გააკეთოს“... ეს წესი გატარებულია ქართული ენის ყველა დიალექტში.
- 5.9 II კავშირებითი მხოლოდით რიცხვში მთარაჭულში დამოწმებულია -ნ ფორმანტი: გა-ა-კეთ-ო-ნ „გააკეთოს“... კახურში -ს ნიშანი სუსტდება და მ'ში გადადის: გა-ა-კეთ-ო-მ „გააკეთოს“.
- 5.10 ქართული ენის დიალექტებში ზოგჯერ ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახატავად გამოყენებულია პარალელური ფორმები:
 ნამყო ძირითადში: მი-ვ-ა-სწარ და მი-ვ-ა-სწრ-ე...
 II კავშირებითში: მო-ი-ხნ-ა-ს და მო-ი-ხნ-ე-ს,
 ი-ყ-ო-ს და ი-ყ-ვე-ს...
- ხერხდება ამ მოვლენის ახსნა.
- 5.11 ნამყო ძირითადში ერთმანეთის პარალელურად არის დადასტურებული -ე და -ო სუფიქსები, რომლებიც დიალექტური ზონების მიხედვით ნაწილდება: ერთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა -ე სუფიქსიან წარმოებას, მეორე შემთხვევაში — ნულ-სუფიქსიანს...

5.12 ნამყო ძირითადის ფორმათა მიმოხილვისას აღინიშნა, რომ ზმნების ერთი ნაწილი ორგვარი გახმოვანებითაა წარმოდგენილი: და-ჭერ||და-ჭარ, გა-ცერ||გა-ცარ... ეს ფორმები II კავშირებითში შეკუმშულადაა წარმოდგენილი, ხოლო კავშირებითის ნიშნად ის ხმოვანი სუფიქსი ექნებათ, რომელიც ფუძეშია რედუცირებული:

და-ჭარ-ი > და-ი-ჭრ-ა-ს

და-ჭერ-ი > და-ი-ჭრ-ე-ს...

ესაა ერთგვარი კომპენსაციის საშუალება, რაც სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს.

5.13 ი-ყ-ო ზმნას კავშირებითის ნიშნად მოუღის აო, მიღებული ფუძისეული ვ და კავშირებითისეული აა ბგერების შერწყმით: ვ-ი-ყვ-ა > ვ-ი-ყო... ი-ყვ-ეს წარმოებისას II კავშირებითის ნიშნად გამოყენებულია -ე სუფიქსი.

შენიშვნა: ი-ყვ-ა-ს დაცული აქვს ხვესურულსა და თუმურს.

5.14 ზოგ.დიალექტში (მოხეურში...) ფუძედრეკადი ზმნების პრინციპზეა გადასული ზოგი ის ზმნა, რომელიც, როგორც წესი, ათემატური წარმოებისას: წა-ლეკ-ს > წა-ლიკ-ა||წა-ლეკ-ა... არაა გამორიცხული, რომ აქ უძველესი ვითარების რელიქტთან გვექონდეს საქმე.

6. მესამე სერიის პარადიგმების წარმოება ქართული ენის დიალექტებში.

6.1. ძველ ქართულში III სერიაში ოთხი პარადიგმა იყო:

I შედეგობითი: დაუწერიეს

II შედეგობითი: დაეწერა

III ხოლმეობითი: დაეწეროს

III კავშირებითი: დაეწეროს...

ახალ ქართულში — სამია (არ არის III ხოლმეობითი).

არის იმის ტენდენციაც, რომ III კავშირებითის ფუნქციის გამოხატვა მთლიანად იკისროს II შედეგობითმა.

შენიშვნა: მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა, რომ II შედეგობითი ვარ ცვლის III კავშირებითს: კიდევ ბევრჯერ მომელოცოს, ამესრულებინოს შენი სურვილი...

ქართული ენის დიალექტებში უპირატესად ახალი ქართულისებური ვითარებაა.

6.2. III სერიაში გამოყენებულია როგორც I, ასევე II სერიის ფუძე. ფუძეთა განაწილება მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება:

- ა) ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია გარდამავლობა და პირიანობა: გარდამავალი ზმნები, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები და ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები სხვადასხვა ფუძეს იყენებენ;
- ბ) დამატებითი განმასხვავებლის როლში გამოდის ფუძის მარცვლიანობა, რასაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გარდამავალი ზმნების ფუძეთა განაწილების შემთხვევაში...
- 6.3. I შედეგობითში საყრდენ ფუძეთა განაწილება ძირითადად ემთხვევა სალიტერატურო ქართულის მონაცემს... სხვაობას გვიჩვენებს წარმოების პრინციპი. სხვაობის მიზეზია უნიფიკაციის ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია.
- 6.4. ქართული განარჩევს აავ/-ამ და ყველა დანარჩენ თემისნიშნის ზმნათა უღვლილებას: პირველ შემთხვევაში I შედეგობითში თემის ნიშნები დამატებითი ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში წარმოება აი სუფიქსიანია: და-უ-მალ-ავ-ს, გა-უ-კეთ-ებ-ია, გა-უ-თბ-ი-ა, და-უ-წერ-ი-ა... დიალექტები ახდენენ ამ მოვლენის უნიფიკაციას:
- ა) ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში დამკვიდრებულია -ავ სუფიქსიანი წარმოება, გართულებული -ი სუფიქსით: და-უ-მალ-ავ-(ი-ს), გა-უ-კეთ-ებ-ავ-(ი-ს), გა-უ-თბ-ავ-(ი-ს)...
- შენიშვნა:** ამ პრინციპს მიჰყვება -ამ თემისნიშნის ზმნაც: და-უ-ბ-მ-ავ-ი-ს... თუმცა პირაქეთურ-არხოტულში შესაძლოა აამ თემისნიშნის ზმნა -ავ'ის გარეშეც იყოს წარმოდგენილი.
- ბ) ყველა სხვა დიალექტში მეტნაკლები ძალით იჩენს თავს -ი სუფიქსიანი წარმოების უნიფიკაცია: და-უ-მალ-ი-ა, გა-უ-კეთ-ებ-ი-ა...
- 6.5. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებისათვის დამახასიათებელია -ნ სუფიქსიანი წარმოება: და-უ-მალ-ნ-ი-ა, უ-ყიდ-ნ-ი-ა...
- 6.6. ხევსურულში, ფსაურსა და თუშურში I თურმეობითში აღინიშნება სახელობითი დასმული სახელის მრავლობითობა: და-უ-კეთ-ებ-ი-ან მას იგინი, და-უ-მალ-ვ-ან მას იგინი...
- 6.7. უნიფიკაციის ტენდენცია შეეხო მხოლოდ იმ ფორმებს, სადაც რეალური ობიექტი მესამე პირია. სხვა შემთხვევებში წარმოდგენილია -ი სუფიქსი: გა-უ-ზდ-ი-ვარ, ვ-უ-ლექსებ-ი-ვარ...
- 6.8. ფშაურსა და თუშურში -ავ სუფიქსის პარალელურად გამოიყენება -ი: გა-უ-კეთ-ებ-ავ|გა-უ-კეთ-ებ-ი-ა... ოღონდ თუშურში ფონეტიკური

ცვლილებებია მომხდარი: ჩა-უ-ქვრ-ი-ა > ჩუყქვრ-ი... (ბოლოკიდური -ა იკვეცება)... ანალოგიური ვითარებაა ინგილოურში: ჩოუყრი „ჩაუყრია“...

- 6.9. გარკვეულ კონტექსტში | შედეგობითი გამოხატავს უნახაობის სემანტიკას. დიალექტების უმეტესობაში ამ მიზნით გამოიყენება (ან ივარაუდება) „თურმე“ ნაწილაკი. თუშურში დამოწმებულია „თურბ“, აჭარულში — „მევერ“, ინგილოურში „ყოფილ“, ხევსურულში — „ყოფილამ“...
- 6.10. ორპირიანი გარდაუვალი ზმნების | შედეგობითი ორიოდ დიალექტის გამოკლებით იწარმოება იმავე პრინციპით, როგორც სალიტერატურო ენაში: და-ჰ-მალ-ვ-ი-ა, გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ა...
- 6.11. სხვაობას იძლევა ხევსურული-თუშური, ნაწილობრივ ფშაური, სადაც გამოყენებულია -ისე სუფიქსი: გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ვ, და-ჰ-მალ-ი-ვ...
ვ შეიძლება დაიკარგოს:
ა) თუ დაერთვის ჰა მეშველი ზმნისა თუ პირის ნიშნისეული ელემენტი: და-ჰ-მალ-ი-ვ-ა > და-ჰ-მალ-ვ-ი-ა...
ბ) მრავლობითი რიცხვის შან ფორმანტის დართვისას: და-ჰ-მალ-ვ-ი-ვ-ან > და-ჰ-მალ-ვ-ი-ან...
- 6.12. ერთპირიანი გარდაუვალი ზმნების | შედეგობითი ყველა დიალექტში ერთი პრინციპით იწარმოება: დამალულა, დაწერილა...
ხევსურულში მხოლობითი რიცხვის III პირში სამი ვარიანტია:
დამალულ||დამალულა||დამალულას.
ინგილოურის კაკურ კილოკავში მეშველი ზმნა მოკვეცილია:
ქნილ, ამდგარ, წასულ...
6. 13. II შედეგობითში დიალექტების მიხედვით უნდა განირჩეს ე.წ. გრძელი და მოკლე ფორმები (ეს ეხება გარდამავალი ზმნების II შედეგობითს).
აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია მოკლე ფორმები (ძველი ქართულისებური ვითარება): ეეშენა, გეეკეთა...
დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესად წარმოდგენილია გრძელი ფორმები: გიეკებია, იეშენებია...
6. 14. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში თავს იჩენს შნ სუფიქსი: ეყიდ-ნ-ა, გეეკეთ-ნ-ა... (-ო პირის ნიშნის წინ შნ არ გვხვდება).

6. 15 ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II შედეგობითში განირჩევა -ოდ სუფიქსიანი და მეშველზმნიანი წარმოება: პირველი დასავლეთ საქართველოს დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, მეორეს უპირატესობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში:

დასწეროდა, დამალვოდა, შეხვდროდა...

დასწერიყო, დაჰმალვიყო, შეხვედრიყო...

მეშველზმნიანი წარმოების გავრცელება აიხსნება ერთპირიანი ზმნების ანალოგიით.

შენიშვნა: ხევსურულში გამოყენებულია მეშველი ზმნა იყვა ნაცვლად იყო'სი.

6. 16 ერთპირიან ზმნათა II შედეგობითი ყველა დიალექტში ერთნაირ წარმოებას გვიმოქმედებს...

6. 17 ქართული ენის დიალექტებიდან III ხოლმეობითი ხევსურულშია შემონახული: ეთქვის, ეუბნის, ეჩოლაგის, ეკვენის...

III ხოლმეობითი თავს იჩენს გარდაუვალ ფორმებშიც: ყოფილიყვის, ყუდებულიყვის, მქონიყვის...

6. 18 III კავშირებითი მკვიდრად არის დაცული რაჭულში...

6. 19 ხევსურულში ზოგჯერ უპირატესობა ეძლევა აღწერით წარმოებას: მატანილ იყვას „მოეტანოს“.

6. 20 ინგილოურში პარალელური წარმოებაა:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების ანალოგიური: გეეჰადას, ეელას...

ბ) -ოდ-ე სუფიქსიანი (ერთპირიანი ზმნების III კავშირებითი): წაკიდებულვიყოდეთ „წავკიდებულვიყოთ“, ქმნილიყოდეს „ქნილიყოს“...

6. 21 დამოწმებულია III სერიის ფორმათა პარალელური წარმოების შემთხვევები:

ა) გამიგონია — გავგონილი მაქვს...

ბ) მიყურებია — ნაყურები ვარ...

7. მეოთხე სერიის პარადიგმების წარმოება ქართული ენის დიალექტებში.

7.1 მეოთხე სერია გამოიყოფა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიალექტებში და მათი წარმოქმნა მეგრული ზეგავლენით აიხსნება. გამოიყოფა ორი პარადიგმა: III თურმეობითი და IV თურმეობითი...

7.2 III და IV თურმეობითებში გამოყენებულია ნა- პრეფიქსიანი ნამყო გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები: ნა-წერ-ა, მი-ნა-ვალ-ა...

7.3 III თურმეობითი იწარმოება „არის“ მეშველი ზმნის დართვით:

ვ-ნაწერ-ვარ	მ-ნაყვარებ-ა
ნაწერ-ხარ	გ-ნაყვარებ-ა
ნაწერ-ა	ნაყვარებ-ა...

7.4 IV თურმეობითი იწარმოება „იყო“ მეშველი ქმნის დართვით:
მი-ნავალ-იყო...

7.5 კონსტრუქცია ლაბილურია: ნაყვარება ის მასსმას ის იმ შემთხვევაში, როცა წარმოება ინვერსიული ზმნიდან ხდება. სხვა შემთხვევებში კონსტრუქცია ნომინატიურია: ნაწერა ის მას...

დასკვნები

1. პარადიგმების წარმოების ძირითადი პრინციპი საერთოა ქართული ენის ყველა დიალექტისთვის.

2. სხვაობას იძლევა: ა) არქაული ფენა: ხოლმეობითი (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში)... ბ) ინოვაცია: IV სერია (ქართული ენის დასავლურ დიალექტებში).

3. დიალექტებში მოქმედებს უნიფიკაციის პროცესი, იმავდროულად თავს იჩენს კონვერგენციისა და დიფერენციაციის ტენდენციებიც.

4. გამოვლენილი მასალა ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ დიალექტი არის ამა თუ იმ ენის ტერიტორიული ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა.

ლიტერატურა

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976.

თოფურია, 1963 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქესს, III, თბილისი, 1963.

გიგინეიშვილი, თოფურია, 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961.

- ძიძიგური, 1954** — შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.
- თოფურია, 1974** — ვ. თოფურია, ქართლური, არილი, თბილისი, 1974.
- ძოწენიძე, 1973** — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
- ნიჟარაძე, 1975** — შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, თბილისი, 1975.
- ჟღენტი, 1975** — ს. ჟღენტი, გურული კილო, თბილისი, 1975.
- უთურგაიძე, 1961** — თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბილისი, 1961.
- ჭინჭარაული, 1961** — ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1961.
- ცოცანიძე, 1978** — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978.
- იმნაიშვილი, 1965** — გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1965.
- იმნაიშვილი, მარტიროსოვი, 1954** — გ. იმნაიშვილი, ა. მარტიროსოვი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1954.

Besarion Jorbenadze

Issues of the verbal word-formation in Georgian dialects

Summary

The paper is from the archive of B. Jorbenadze. It deals with the essential issues of Georgian dialectology as the conjugation systems in dialects, the principle of the contrast of the forms of Series I and Series II, the system of thematic markers and the issues of the derivation of the screeve paradigms.

In the author's opinion, the main principles of the derivation of paradigms are the same for the Georgian dialects. The difference is in: a) Archaic layer – iterative (in mountain dialects); b) Innovation – Series IV (in western dialects). The process of unification is in effect in dialects, and, at the same time, there are tendencies of convergence and differentiation. The elicited material confirms that a dialect is a territorial variety of a language and not an independent linguistic system.

ნოდარ არდოტელი

მრავლობითისა და კრებითი რიცხვის ურთიერთმიმართებისათვის ხევსურულში

ხევსურულ დიალექტს, ქართულისა და ბევრი სხვა იბერიულ-კავკასიური ენის ანალოგიურად, მოეპოვება რიცხვის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია, რომელიც ნიშნდობლივია სახელისთვისაც და ზმნისთვისაც. იგი, ლოგიკური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, მეტწილად ბინარული ოპოზიციით „ერთი“ — „მრავალი“ არის წარმოდგენილი და უპირატესად არსებითი სახელისა და ნაცვალსახელთა თვისებაა [იესპერსენი 1958: 217; ლელ 1990: 583]. რაც შეეხება ზმნას, მასში სათანადო სახელის (*resp.* სუბიექტის, ობიექტის) სიმრავლე სპეციალური გრამატიკული მარკერით გამოიხატება: **კაც-ი** მიდი-**ს** — **კაც-ებ-ი** მიდი-**ან**.

გარდა ზემოდასახელებული მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის გარჩევისა, ინდოევროპულ და სემიტურ ენებში დასტურდება რიცხვის ორობითი და სამობითი სისტემებიც, რომელთაც მათი ფორმირების საწყის საფეხურზე თავისებური მოტივაცია მოეპოვებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ზოგიერთ ენაში მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების გარდა, დასტურდება ორობითი, ზოგან კი — სამობითი რიცხვის ფორმებიც. **ორობითი რიცხვის** ფორმები წყვილ ობიექტებს გამოხატავენ, მაგალითად, არაბ. *riġl-un* „ფეხი“, *riġl-āni* „ორი ფეხი“, *riġl-ūna* „ფეხები“ (მრ. რიცხვი)“ [გამყრელიძე და სხვ. 2008: 215].

ხევსურულ დიალექტში ამჟამად გვხვდება მრავლობითი რიცხვის როგორც {-**ს**/-**თ**}-ანიანი, ისე {-**ებ**}-იანი წარმოება, თუმცა უფრო გავრცელებული {-**ებ**}-იანი ფორმებია. {-**ს**/-**თ**}- წარმოების ტიპის შეზღუდვა მეტ-ნაკლებად საერთო-დიალექტური მოვლენაა.

სპეციალურ ლიტერატურაში {-**ს** /-**თ**} სუფიქსიანი მრავლობითი რი-

ცხვის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი ხევსურულში ორობით (წყვილობით) რიცხვს გამოყოფენ [შანიძე 1923-1924: 335-336; 1981: 17-18; როგავა, მეტრეველი, 1976: 181-188...], სხვანი მას უგულვებელყოფენ [ალ. ჭინჭარაული — ზეპირი მსჯელობა, ჩხუბიანიშვილი 1987: 145-163]. გარდა ამისა, ზოგ სპეციალისტს -ნარ-თან-იანი მრავლობითის წარმოების ცალკეულ საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული [დონდუა 1956: 292-306; გიგინეიშვილი 1975: 204; მაკალათია 1976: 22-225; არაბული 2009: 6-7... დაწვრ. იხ. ჩხუბიანიშვილი 1987: 145-163].

თავდაპირველად ხევსურულ დიალექტში წყვილობითი (ორობითი) რიცხვის საკითხს 1915 წელს მთის კილოთა მიმოხილვისას შეეხო აკ. შანიძე. აქედან მოკიდებული მკვლევარი არაერთხელ დაბრუნებია ამ მოვლენის ახსნას. 1923 წელს აკ. შანიძემ დაიმოწმა ბ. გაბურის ინფორმაცია „სარუეებს“ (მრავლობითი), „სარუეთ“ (წყვილობითი) გარჩევის შესახებ და ერთგვარი დაეჭვებით აღნიშნა: „სამწუხაროდ, არც თვით ბესარიონის მასალები და არც ჩემი მიერ ჩაწერილი ტექსტები და დაკვირვება ადგილობრივ საუბარზე არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ წყვილობითისა და მრავლობითის გარჩევა საზოგადოდ იყოს დაცული და სისტემატურად გატარებული ხევსურულში“ [შანიძე 1923-1924: 336].

საინტერესოა, რომ 1926 წელს ხევსურეთში მივლინებისას ორობითი რიცხვის ფორმების არსებობა დაადასტურა გ. წერეთელმა, მაგრამ სათანადო მასალა არ გამოქვეყნებულა. ამის თაობაზე გვამცნობს აკ. შანიძე ერთ-ერთ წერილში [შანიძე 1967].¹

1967 წელს აკ. შანიძე კვლავ დაუბრუნდა ორობითი რიცხვის შესწავლის აქტუალობას და ამ მიზნით ხევსურეთში მიავიღინეს მ. როგავა და თ. მეტრეველი. მათი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 1976 წელს სპეციალური წერილის სახით, რომელშიც ორობითი რიცხვის ნაშთების შესახებ არის საუბარი [როგავა, მეტრეველი 1976: 181-188]. ავტორები დარწმუნებულები არიან ორობითი რიცხვის არსებობაში და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ შემდეგი მაგალითები:

¹ ეს წერილი („ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში“, თსუ შრომები, ტ. 121, სერია VII. თბ., 1967) ითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში, რგ. 5/6, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საენათმეცნიერო სერია. 1975, გვ. 613-616.

1. ბოთლა — ერთი, ბოთლანი — ორი, ბოთლები — მრავალი
2. კარნი, კარანი
3. კარტოფილ — კარტოფილანი — ორი, კარტოფილები — ბევრი
4. სახლი — ერთი, სახლნი, სახლანი — ორი ან სამი, სახლებ — მრავალი
5. საარაყე ქვაბნი (შდრ. გეჯა — გეჯანი, ძაღლის გეჯანი)
6. ფარ-ჰმალნი — ფარ-ჰმლები
7. ქუბდენი „ქუბდე — სამარილე (ხისა, თავსახურიანი)“
11. ძაღლნი, ძაღლანი — ორი ან სამი
12. ვაყი, ვაჟა — ვაყნი, ვაყანი ორი (იშვიათად სამი). იმფორმატორთა უმრავლესობა ვაყნი (ვაყანი) და ვაყებს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდა.
13. ქალი, ქალა — ერთი, ქალნი, ქალანი — ორი, ქალებ — მრავალი
14. შვილი. შვილნი, შვილანი — ორი, შვილებ — მრავალი
15. ქალ-ვაყნი — ერთი ქალი და ერთი ვაყი
16. და-ძმანი — ერთი ძმა და ერთი და.

ავტორების მიერ მოხმობილი სხვა მაგალითები სომატური სახელებია, ან მათ შესამოსელ ნივთებს წარმოადგენენ: ბაჭიჭნი, თათნი — წინდები, კალოშნი, საფუჯარნი — ხელთათმანები, ჯღანი — წულები და მისთ.

ბუნებრივია, ანალოგიური სახელები ორი კომპონენტის აღმნიშვნელ ობიექტებს მიემართება და იქმნება ილუზია, თითქოს ხევსურულში მარტოდენ ორობითი რიცხვი მოგვეპოვებოდეს. სინამდვილეში აქ გვაქვს ორობითი და მრავლობითი რიცხვის თანხვედრა, რომელიც **{-ებ}**-იან მრავლობითს უპირისპირდება, თუმცა, ამ უკანასკნელის გაბატონების გამო, **{-ნი/-თ}** სუფიქსებით გაფორმებული მრავლობითი თანდათან იშლება და სარბიელს **{-ებ}**-იან მრავლობითს უთმობს. ამით ჩანს შეპირობებული ის გარემოება, რომ ინფორმანტები **ვაყნი, ქალნი** რიგის მაგალითებში არაიშვიათად სამსაც მოიაზრებენ.

მართალია, სინქრონიულად წყვილი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან **{-ნი/-თ}** სუფიქსებით მარკირებული ფორმების ხმარება ნორმალაა, მაგრამ ისტორიულად ანალოგიური წარმოება, ძველი ქართულის მსგავსად, გაბატონებული უნდა ყოფილიყო ხევსურულშიც. როგორც ჩანს, იმ ენებში (ბერ-

ძნულში, ძველ ბულგარულში, არაბულში...), რომლებშიც ორობითი რიცხვი ჩამოყალიბებულია, ორობითი ფორმებისთვის **ამოსავლად სომატური სახელები** უნდა მოვიანოთ. ადამიანის სხეულის ნაწილების გამომხატველი ლექსიკა არქაულია და მეტწილად წყვილულებს წარმოადგენენ. საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებაში ძალიან ბევრი საგანია წყვილულთა აღმნიშვნელი როგორც სამეურნეო საქმიანობაში (**ვარ-ნი** „გუთანში შებმული ორი ხარი“, **კედ-ნი** „ორი ერთმანეთზე გადაბმული კეტი, რომლებითაც ტომრებიდან ტკბილს წურავენ ლუდის ხარშვის დროს“, საგოგავ-ნი „აკვნის ერთგვარი ფეხები“, **ქოჯ-ნი** „ვირის ერთგვარი უნაგირი“...), ისე ბუნებასა და ასტრონომიულ სამყაროში (**უღელა-ნი** „ორი ვარსკვლავია ერთად, ძალიან ბრწყინავენ“ [აკ. შან.], **ორწყალა-ნი** „ორი მდინარის შესართავი, ხერთვისი“...).

სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს სპეციალურ ლიტერატურაში დ. ჩხუბიანიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „სავარაუდოა, რომ ნ/თ ფორმები შემორჩებოდა დიდხანს, უპირველეს ყოვლისა, წყვილი საგნების აღმნიშვნელ სიტყვებთან, ასეთია სხეულის ნაწილები“ [ჩხუბიანიშვილი 1987: 153]. რამდენადაც სომატური სახელების ხმარების სიხშირული კოეფიციენტი მაღალია, ამანაც ერთგვარად შეაპირობა **{-ნ/-თ}** ნიშნიანი ფორმების შემორჩენაც და ორობითიან ენებში მისი ჩასახვაც.

ხევესურული დიალექტის ჩვენებას თუ დავემყარებით, ყურადღებას იქცევს ისეთი მაგალითების სიუხვე, რომლებიც არც ორობით რიცხვს შეიცავენ და არც რაიმე სიმრავლით ხასიათდებიან. ამგვარ სახელთა სემანტიკა კრებითობას, ერთეული საგნის შიგნით ნიშან-თვისებათა და ფორმათა სიმრავლეს გულისხმობს. საილუსტრაციო მაგალითები:

ჯვარ-ნი: საკულტო (სახატო) შენობა (ჭინჭ., 2005, 1169).

ბოლო-ნი: ტანსაცმლის (ჩოვის, პერანგის, ჩოვისძვლის...) ბოლო, კალთა (ჭინჭ., 2005, 105)

ქვა-ნი: ქვა: „ბეგენგორ ქალუნდაურმა სამნად ჩაყარა ქვანია“ (ხევს. პოეზ. 646, 3)

სიბ-ნი, სიბრიპელა-ნი: ბრტყელი და თხელი ქვა

ტყავ-ნი: ტყავისაგან შეკერილი ქურქი

ქურ-ნი: ბოლქვ-ბოლქვად ამოსული მთის წმინდა ბალახი

ჩიკა-ნი: (შდრ. ბაცბ. ჩაკო — ჭინჭ., 2005, 1016) ხის სამფეხა სკამი

ნიფხავ-ნი: შარვალი: „მშაველ ხარ უნამუსოი, ნიფხავთ მიწაზე

სთრიაო“ (ხევს. პოეზ., 603, 5)

ძირ-ნ-ი: ნაღბის ამოღების შემდეგ ჭურჭელში დარჩენილი სითხე (ჭინჭ., 2005, 1056)

წალურ-ნ-ი: ხორბლის შესაბრაწი სამფეხა მოწყობილობა

წელ-ნ-ი: „წელი — ზურგის ქვემო ნაწილი“ — ა. შან.: „წელთ გზაზე შამეწივინეს, დააყრევინეს მკვდარია“ (ხევს. პოეზ., 162, 15)

წყალა-ნ-ი: კნინ. წყარო (ტოპონიმი არდოტის მახლობლად)

კორც-ნ-ი: „მიშველი ტანი“ (ავთ. არაბ.): „აკუმოს დელეს, ირემო, დაბლა ჩამოდი ნისლითა, შინ არ ას ჭოლიკიშვილი, **კორცთა** ნუ დაჰყრი შიშითა“ (ხევს. პოეზ., 166, 2)

გულ-ნ-ი: ცენტრი, შუა ნაწილი ცეცხლისა: „ცეცხლსავ გულნ აწუხებენავ, კაცსავ უგულობაივ“ (ჭინჭ., ხევს. თავისებ., 440, 1)

ზისვარ-ნ-ი: (← ზისცვარ-ნ-ი ← მზის ცვარ-ნ-ი) შესადღვებად მომზადებული ნაღბიანი რძე

დოვ-ნ-ი: დო, დოვი

ხარშო-ნ-ი: გაცხელების შედეგად მოხაჭოებული რძე

დენგ-ნ-ი: დიდი ქვასანაყი, რომელშიც თოფის წამლის მასალას ნაყავდნენ (ჭინჭ., 2005, 318)

ლაშ-ნ-ი: პირი: „ლაშთა ზდვა გაბრუნებული, ცეცხლი მაედვა ენასა“ (ხევს. პოეზ. 545, 29)

პირ-ნ-ი: ადგილის სახელი გურო-შატილის ხეობაში

მანქანა-ნ-ი: წისქვილის ზედა ქვის ასაწევ-დსაწევი მოწყობილობა (ჭინჭ., 2005, 545)

წისქვილ-ნ-ი: წისქვილი

მყვარ-ნ-ი: ბაყაყი

ოჩაყ-ნ-ი: (← თურქ. *osak* „ღუმელი“) ზედადგარი (ჭინჭ., ხევს. თავისებ., 291, 17)

როჩ-ნ-ი: ცომის მოსაზელი ხის ერთგვარი გობი

ფიწალ-ნ-ი: ორტოტა ფიწალი

ლაჯია-ნ-ი: ცერა თითზე შემოსაცმელი საჩხუბარი იარაღი

ხე-ნ-ი: ერთ ადგილას ამოსული ხე, ან ერთ ძირზე ამოსული რამდენიმე ღერი

გზა-ნ-ი: გზა

ცოცხ-ნ-ი: ცოცხი

კარ-ნ-ი: კარი

კალო-ნ-ი: კალო: მოზეთ კალო-ნ-ი (მიკროტოპონიმი ანდაქის მახლობლად).

ზემომოყვანილი ერთი საგნის გამომხატველი სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, რაც ხევესურული დიალექტის თავისებურებას წარმოადგენს. მასთან, ამგვარი სახელები არც ორობითობის გაგებას ითავსებს და, მით უფრო, მრავლობითი რიცხვის გაგებასაც მოკლებულია, ვინაიდან ამ რიგის სახელებს ოდენ {-ებ}-იანი მრავლობითი მოეპოვება. რაც შეეხება {-ნ/-თ} სუფიქსებით წარმოებას, იგი მოშლილია და ამ სახელებში-ღა იჩენს თავს. თუ მრავლობითის ფორმა დაგვიჩივრდება, მაშინ {-ებ}-იან მრავლობითში უნდა გადავიყვანოთ, მაგ.: ზისვრ-ებ-ი, მყვრ-ებ-ი, წალურ-ებ-ი, ნიფხვ-ებ-ი და ა.შ.

ექვს გარეშეა, რომ საანალიზო სახელთა პლურალიზაცია მნიშვნელოვანწილად შეპირობებული ჩანს მათი შინაგანი დანაწევრებით, მრავალღეროვნობით, მრავალწახნაგოვნობითა და კომპლექსურობით, მაგ.: **კლდე** — **კლდე-ნ-ი** (ფიცარკლდე-ნ-ი „მიკროტოპონიმი არდოტში“), **სამანი** — **სამან-ნ-ი** („ამანდით ამაბრუნვილმა **სამან-ნ** ჩახყუნდა ქვისანი“), **საბელი** — **საბელ-ნ-ი**, **ცოცნი** — **ცოცნ-ი**, **სახლი** — **სახლ-ნ-ი**, **ჩხატი** — **ჩხატ-ნ-ი** („მიკროტოპონიმი არდოტის მახლობლად“, შდრ. აგრეთვე, ჩხათავი < ჩხატთ+თავი „სასაძოვრე ადგილი არდოტში“), **ყუიყა** — **ყუიყა-ნ-ი** („ნიღბის შესადღვები ხელსაწყო“), **ქიჩილა** — **ქიჩილა-ნ-ი**, **საკვამი** — **საკვამ-ნ-ი**, **თუნგი** — **თუნგ-ნ-ი** და მრ. მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოწმებული წყვილები სემანტიკურად იდენტურნი არიან, მაგრამ ფორმოზრივად მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა. სავარაუდოა, რომ {-ნ/-თ} მრავლობითობის სუფიქსების დართვა სემანტიკური პლურალიზაციის იმიტაციას ახდენდა და მოტივირებული იყო არსებულ საგანთა ფორმოზრივი დაკონკრეტებით. მართალია, ანალოგიური სახელები, თითო-ორიოლა სახელის (**ყდა-ნ-ი** „საქსოვი მოწყობილობა“, **ყალ-ნ-ი** „ერთგვარი ცივა“...) გარდა, დასტურდება მხოლოობითის ფორმებითაც, მაგრამ მათი ეს ფუნქცია შესუსტებულია და გამოკვეთილია ამ სხელთა Pluralia tantum-ებად ქცევის ტენდენცია.

დ. ჩხუბიანიშვილი შეეცადა მხოლოობითის ფორმასა და {-ნ/-თ} ნიშნებით ნაწარმოებ სახელთა შორის განსხვავების დადგენას, მაგრამ წარუმატებლად. იგი მსჯელობს **ნადირი** და **ნადირნი** ფორმათა სემანტიკაზე: „ნა -

დ ი რ ნ ი II ნ ა დ ი რ ი — მხოლობითშიც შეგვხვდება და მრავლობითშიც. თითქოს მხოლობითის ფორმა უფრო იმ შემთხვევაში იხმარება, სადაც თვისება წინ წამოწეული“ [ჩხუბიანიშვილი 1987: 157]. სინამდვილეში „ნადირი“ ერთს ნიშნავს, ხოლო „ნადირნი“ მრავალს, ჩვეულებრივი **-ნარ-თან**-იანი მრავლობითია. რაც შეეხება „ბოთლა — ბოთლა-ნ-ი“ რიგის წყვილულებს, მათ შორის სემანტიკურად არსებითი განსხვავება არ იგრძნობა.

კრებითი თუ ე. წ. ორობითი მრავლობითის ფორმებზე მსჯელობისას აუცილებელი გარდუვალობით გასათვალისწინებელია იმ ტრადიციული საზოგადოების ეთნოგრაფიული და რელიგიური რეალიები, რომლის წევრთა ცნობიერებაში ხდებოდა ამა თუ იმ რიგის საგან-მოვლენათა და სულიერ არსებათა სახელდება. ხევსურულ დიალექტში გვხვდება ერთი რიგის სახელები, რომლებშიც მრავლობითობის წარმოებისას ტრადიციული საზოგადოების წევრთა თავისებურ წარმოდგენით აზროვნებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ხევსურულ დიალექტში დასტურდება „მზე“ ციური სხეულის—მნათობის აღსანიშნავად, მაგრამ იმავდროულად გვხვდება „მზენი“, რაც „მზის შუქ-ჩრდილებს“ აღნიშნავს და ამიტომ მოეპოვება **-ნარ-თან**-იანი მრავლობითის ფორმა. „სული — სულ-ნ-ი“ ორივე ფორმით შეიმჩნევა, თუმცა უფრო გავრცელებულია კრებითი მრავლობითი, რომელსაც მითოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოიდგინება „ბოლის მსგავს რამედ“ ან „ერთმანეთზე გადაწულ ცისარტყელად“ და, აქედან გამომდინარე, მრავალფორმიან (მრავალფერადოვან) ოდენობად. „ჯვარ-ნ-ი“ გულისხმობს როგორც ნიშს — საკულტო შენობას (თაყვანისცემის ობიექტს), ისე სალოცავ ადგილსა და ზეციურ მფარველს. ამით ჩანს შეპირობებული მისი კრებითი ფორმით წარმოდგენა, რაშიც მქლავდება ო. იესპერსენისეული რიცხვის წარმოების ლოგიკური (შემეცნებითი) სისტემა [იესპერსენი 1958: 216].

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კრებითი მრავლობითი, რომელსაც ზოგჯერ ემფატიკურ მრავლობითსაც უწოდებენ, ნიშანდობლივია უსულო საგანთათვის.

XIX საუკუნის მიწურულს ა. პოტებნიამ რუსული ენის სათანადო მონაცემებზე დაყრდნობით, ექვსი სემანტიკური ჯგუფი გამოყო: 1. ჰიპერბოლური, 2. რთული საგნების მრავლობითი, 3. დანაწევრებადი საგნების მრავლობითი, 4. ადგილის, 5. დროისა და 6. მდგომარეობის მრავლობითი [პოტებნია 1888].

ხევსურულ დიალექტში ამას შეიძლება დაემატოს: 1. **წარმოდგენითი**

სიმრავლე (სულ-ნ-ი...) და 2. **ექსპრესიული** მრავლობითი (ჯაჯ-ნ-ი, ტყაპ-ნ-ი...). სწორედ ეს ბოლო მოვლენა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

საკვლევ დიალექტში გავრცელებულია აბსტრაქტული ცნების — ხმი-ანობის ინტენსიურად გამომხატველი სახელები, რომელნიც ექსპრესიულობითაც გამოირჩევიან, მაგ.:

გლაჯ-ნ-ი გაგლეჯის ხმა: „ვეფხო, შენ ნუ დაღებრდები, ამბავნ იამბენ ცდისანი, აის დრო როსა-ლ მოგვა, **გლაჯნ** იქნან შენის მწკლისანი?“ (ხევს. პოეზ. 540, 21).

ძგერა-ნ-ი რაღაცის სწრაფად დარტყმის ხმა (შდრ. დაძგერება): „სათამაშოდ რო გარმავდან, იქნან ტოშის ძგერანია“ (დოლ. 80, 5).

წკერა-ნ-ი (შდრ. საბა: წკარ-ნ-ი) წკარუნი: „ცოტაი ხნიდგეს **წკერან** იქნესა-დ გუდანის ჯვარი სანების ჯვარმ მარცხნივ გადმაავდ“ (ეთნ. დეკერპნი, 1, 9).

შხაპ-ნ-ი შხუილით დარტყმის ხმა: „...იქავ გადაჯდა ლურჯასა, შხაპნ იქნეს მათრავისანი“ (ხევს. პოეზ., 540, ბ. 11).

ღუნთ-ნ-ი მძინარის წმობახება, ამოხვნეშა (ჭინჭ., 2005, 933).

ჯღერა-ნ-ი ჟღერა: „...ჯღერან იქნესავ, ჩაუვარდავ“ (ჭინჭ., 361, 23).

ტყრაშ-ნ-ი რაღაცის დაკვრით გამოღებული ხმა: „იქავ ტოტოხთა სდგომიყო, **ტყრაშნ** იქნეს ხაფანგისანი“ (ხევს. პოეზ., 640, 2).

ლაწ-ნ-ი ლაწანი, გარტყმის ხმა (შდრ. შან. ლაწნი) (ჭინჭ., 2005, 505).

ტლანკ-ნ-ი წყალში რისამე (პატარა ქვის...) ჩავარდნის ხმა (ჭინჭ., 2005, 840).

ბლლაძ-ნ-ი გაფხრეწის, გახვეის ხმა (ჭინჭ., 2005, 117).

ხევსურულში თავჩენილი „**სხაპ-ნ-ი**“ ტიპის ანალოგიური ფორმები დასტურდება როგორც ახალ (ტყაპა-ნ-ი...), ისე ძვ. ქართულშიც (წკარ-ნ-ი)... სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ამ რიგის სახელები ჩვეულებრივია, მაგ.: **ჰყანტ-ნ-ი** „ძარღუს რამე ჯმა“, **წკაპ-ნ-ი** „წვეთის ჯმა“, **ჯაჯ-ნ-ი** „დიდი(ს) ტკეცების ჯმა და მისთ.

ჩვენი აზრით, ამგვარ სახელებში, გარდა ინტენსიურობისა, გამოცემულ ხმათა მრავალფეროვნობა და სიმრავლე მოიაზრება, ესა თუ ის სახელი ავლენს ხმათა ერთობლიობას, რომელიც {-ნ/-თ} სუფიქსებით გამოიხატება. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ინტენსიურობის გამომხატველი

ჯაჯნი-ს („დიდი(ს) ტკეცების ჯმა“) გვერდით **წკაპნი** („წვეთის ჯმა“ — საბა) მიგვეჩნია ინტენსიურობის გამომხატველ სახელად.

ზემომოყვანილი ხმაბაძვითი ლექსემების გენეზისური კავშირი კრებითი მრავლობითის ფორმებთან ეჭვს არ იწვევს, რასაც სავსებით სამართლიანად სათანადო ყურადღება ექცევა სპეციალურ ლიტერატურაში [არაბული 2009: 7]. ავთ. არაბული ამგვარ ფორმებს უკავშირებს „სისავსის“, „სიუხვის“ გამომხატველ ლექსემებს „წყალ-ნი“, „სისხლ-ნი“, „მიწა-ნი“ („მიწა-ნიმც დაილოცებთან, შიშველნი მაგიმალნა ჯორცნი“), რომლებიც ძალიან ადრეულ ტექსტებში (იობი, ფსალმუნნი, „ვეფხისტყაოსანი“...) დასტურდება და ხაზს უსვამს მათ არქეტიპულობას.

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რა არის ამოსავალი — განყენებული მრავლობითი თუ კრებითი მრავლობითი?

სავარაუდოა, რომ ისტორიულად ერთნაირ საგანთა და მოვლენათა სიმრავლე ერთობლიობაში მოიზრებოდა, რაც კრებითობის პირველადობას უჭერს მხარს. ენობრივი აზროვნების განვითარების მომდევნო საფეხურზე მოხდა რიცხვის გამოხატვის სისტემის გართულება, აბსტრაქტირება და დანაწევრება. წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით, ამგვარი ვარაუდის დაშვება გამართლებულია, ვინაიდან სახელთა დაყოფა თვლად და უთვლად ტიპებად ასეთ მიდგომას უჭერს მხარს.

ლიტერატურა

არაბული 2009 — ა. არაბული, -ნი- სუფიქსიან ფორმათა ერთი რიგისათვის ისტორიულ ქართულში. — არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 68-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, გვ. 6-7.

გამყრელიძე და სხვ. **2008** — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი.

გიგინეიშვილი 1975 — ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ. თბილისი.

დონდუა 1956 — К. Д. Дондуа, О двух суффиксах множествен-

ности в грузинском. — სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბილისი.

იესპერსენი 1958 — Отто Есперсен, Философия грамматики. Москва.

ლელ 1990 — Лингвистический энциклопедический словарь. Москва.

მაკალათია 1976 — ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმია. — ტოპონიმია I. თბილისი, გვ. 22-225.

პოტებნია 1888 — А. А. Потебня, Значения Множественного числа в русском языке. Воронеж.

როგავა, მეტრეველი 1976 — მ. როგავა, თ. მეტრეველი, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევისურულში. — თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19. თბილისი, გვ. 181-188.

შანიძე 1923-1924 — აკ. შანიძე, ჯვესურული მასალები — ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ. — ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II. თბილისი, გვ. 119-336.

შანიძე 1967 — აკ. შანიძე, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევისურულში. — თსუ შრომები, ტ. 121, თბილისი, გვ. 23-27.

შანიძე 1981 — აკ. შანიძე, თხზულებანი, II. თბილისი.

ჩხუბიანიშვილი 1988 — დ. ჩხუბიანიშვილი, სახელთა მრავლობითი რიცხვის -ნ/-თ ტიპთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ხევისურულში [ორობითის სემანტიკა]. — დიალექტოლოგიური კრებული. თბილისი, გვ. 145-163.

წყაროები

გ. დოლიძე, ხევისურული ტექსტები (ლექსიკონითურთ). თბილისი, 1975.

მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი I. თბილისი, 1938.

ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II. თბილისი, 1991.

ალ. ჭინჭარაული, ხევისურულის თავისებურებანი. თბილისი, 1960.

ალ. ჭინჭარაული, ხევისურული ლექსიკონი. თბილისი, 2005.

Nodar Ardoteli

**On the interrelationship of the plural and collective
number in Khevsurian**

Summary

According to the specialist literature, there is no unanimity among researchers concerning the **-n/-t**-suffixated plural in the Khevsurian dialect. Some of them (A. Shanidze, M. Rogava, T. Metreveli) identify the dual while others neglect it (A. Chincharauli, D. Chkhubianishvili).

We think that the source for the dual is somatic words.

Khevsurian dialect has nouns referring to multi-componential objects but they have the plural form. For example, **ḡar-n-i**, **laš-n-i**... It is expedient to qualify these forms as collectives.

The Khevsurian words such as **laç-n-i**... (the sound of dousing) are also found in the old Georgian (**ḡkap-n-i** (the sound of dropping)).

It should be assumed that historically the collective meaning was used to express plurality, the generalization and specification of which took place at a higher stage of the mental development.

მანანა ბუკია

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან. IX.
სოციალურ ურთიერთობათა და ნათესაობის
აღმნიშვნელი ლექსიკა

ქართველურ-აფხაზურ ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტურული ურთიერთობის საინტერესო კვალი ჩანს სოციალური იერარქიისა და ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკაში.

ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ნათესაობის აღმნიშვნელი სისტემები ენობრივი თვალსაზრისით. მრავალრიცხოვან ტერმინთა უმეტესობა ძირეულია, მათგან ნაწილი საერთო-კავკასიურ ოდენობებზე განიხილება, მაგრამ გვხვდება ნასესხობებიც.

საერთო ლექსიკის ნაწილი ფართოდ არის გავრცელებული მთელ კავკასიურენოვან სივრცეში, ნაწილი კი ურთიერთნასესხობის შედეგია.

აფხაზური **აბ** „მამას“ აღნიშნავს (უსლარი 1887: 119), ხოლო **ბაბა** „მამილო, მამიკოს“ (ჯანაშია 1954: 62). ეს უკანასკნელი გავრცელებულია დასავლურქართველურ დიალექტებში „მამის“ აღმნიშვნელად **ბაბა**, **ბაბაია** ფორმით. ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიიჩნევდა მათ საერთო წარმომავლობის სიტყვად და ძირისეულ ბ-ს კვალს ხედავდა სიტყვებში **ბიძა**, **ობოლი** (ჭარაია 1912: 19). თ. გვანცელაძეც მიიჩნევს, რომ აფხაზური **აბ** / **ბაბა** და ქართული **ბაბა** / **ბაბაია** სიტყვათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს არა სესხებასთან, არამედ საზიარო ფუძესთან (გვანცელაძე 2011: 258).

ნანა „დედის მიმართვა თავისი შვილისადმი სამეგრელოში“ (ქეგლ V: 1342), დედის მნიშვნელობით გვხვდება ლაზურში. ქართველური ფორმის შესაბამისი ძირები ფართოდ არის გავრცელებული აფხაზურ-ადიღურ

(აფხ. **ნან**), ნახურ-დაღესტნურ (ჩეჩნ. **ნანა**, ლაკ. **ნინუ**) ენებში (კლიმოვი 1964: 146). **ნან** ფორმა აფხაზურ-აბაზურში მაშინ იხმარება, როცა დედა მიმართავს შვილს, ან ასაკით უფროსი ქალი — უმცროს ადამიანს. სიტყვა დედის აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეა (გვანცელაძე 2011 258: 354).

მეგრულში **დიდა** „დედას“ აღნიშნავს (ყიფშიძე 1914: 226), გამოიყენება გაკვირვების, გაოცების შორისდებულადაც. აფხაზურში **დიდა** გაკვირვების შორისდებულაა (შაყრილი 1986: 204). გ. კლიმოვს მოჰყავს ქართ. **დედა**, მეგრ. **დიდა** „დედა“, ლაზ. **დიდა** „ბებია“, სვან. **დი** „დედა“ ფორმების პარალელები აფხაზურ-ადიღური (აფხ. **დი!** **დია!** „დედა“ და ნახურ-დაღესტნური (ლაკ. **დადა**, ლეზგ. **დიდე**, ხინალულ. **დედე** „დედა“) ენებიდან (კლიმოვი 1964: 72). აფხაზურ **დედა!** — დედამთილისადმი რძლის მიმართვა — ქართულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1992: 227). „აფხაზური ენის ორივე დიალექტში არა მარტო საკუთარი დედისადმი, არამედ უფროსი ასაკის ქალბატონებისადმი მიმართვის ფორმად იხმარება ქართულიდან შეთვისებული შემდეგი ფორმები: **დიდა**, **დი**, **დია**. მათგან **დიდა** ვარიანტი გამოიყენება ქალთა მიერ გაოცების, აღტაცებისა და აღშფოთების გამომხატველ შორისდებულადაც“ (გვანცელაძე 2011: 268). **დიდა** ფორმა და მისი ფონეტიკური ვარიანტები აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

ქართული **მამიდა** „მამის და“ (ქეგლ V: 35) არის ამოსავალი აფხაზური **ა-მამიდა** „id“ (რალ 1964: 570) სიტყვისთვის. შესაძლოა, სიტყვა ახალი ნასესხობა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზურ ფორმაში ფუძისეული **ი**-ს ადგილას გ გვექნებოდა. ლექსემა აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები, მეგრულ მეტყველებაში ის სწორედ აფხაზურისთვის ბუნებრივი **მამედა** სახითაა წარმოდგენილი.

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები **ა-მოთა** „შვილიშვილი“ და **ა-მოთაშმოთა** „შვილთაშვილი“, ზედმ. „შვილიშვილის შვილი“. მეგრულში ეს ცნებები გადმოიცემა **მოთა** „შვილიშვილი“ და **მოთაშმოთა** „შვილთაშვილი“ ფორმებით. **მოთა**, თავის მხრივ, საერთოქართველური ლექსიკური ოდენობაა და უკავშირდება ქართულ **მართვე** და ლაზურ **მოთა** „შვილიშვილი“, **მოთალი** „ნაშიერი“ სიტყვებს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 317). გ. კასლანდიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“ წარმოდგენილ ფორმაში **ა-მათა** (კასლანდია 2005: 668)

ფონეტიკური ადაპტაცია დასრულებულია, აფხაზურისთვის უჩვეულო ფუძისეული **ო > ა**.

მხევალი „ნაყიდი ან ნამზითვი ქალი; ტყვე ქალი; მოახლე, ხელზე მოსამსახურე ქალი“ (ქეგლ V: 1245), **მჭევალი** (ძვ. ქართ.) „მსახური ქალი, მოახლე; გოგო“ (აბულაძე 1973: 315), **ხე / ფხე** (მეგრ., იმერ., გურ.) „ასული, ქალი, მხევალი“ (ღლონტი 1984: 744) > **ა-ფჰა** „ქალიშვილი, ასული“ (უსლარი 1887: 153), **ა-ფხო** „id“ (მაყრილი 1987: 49). აფხაზურში შეთვისებულია ქართულიდან (ჭარაია 1912: 35). ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული **მჭევალი** აფხაზურში პირველყოვლისა **ა-მჰ(ა)ვა[ლ]** > *აფჰა სახეობით შეიძლება მოგვლენოდა. ამ გზით ჩანს ეს ფუძე აფხაზურ-ადიღურ-უბიხურ ენებში შესული: ადიღურის **ფხ^გ**, ყაბარდოულის **ფხ^გ**, უბიხ. **ფხ^ა** „ასულის“ გადმოსაცემად (ლომთათიძე 2000: 73).

ორიოდე ურთიერთნასესხობა დასტურდება შეძენილი ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებში:

აფხაზური **ა-მაჰ** „სიძე“ (ჯანაშია 1954: 189) სვანურიდანაა შესული და ამოსავალია **მუხტუბე** „ძმა ძმისთვის“ (თოფურია 2000: 582). რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, გამორიცხული არ არის შინაარსის თვალსაზრისით მიმართებათა გადანაცვლება (ლომთათიძე 2001: 33).

ძღაბი მეგრულსა და იმერულში გოგონას აღნიშნავს (ყიფშიძე 1914: 376; ბეზარაშვილი 1978: 110). იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვაქვს აფხაზურში: **ა-ძღაბ** „გოგო, გოგონა“ (ჯანაშია 1954: 375); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ეს ტერმინი გვხვდება აფხაზურ ნათესაობის ლექსიკაში: **ჰაძღაბ** ზედმ. „ჩვენი გოგო“ — ტაბუირებულ მეტყველებაში რძლის მიერ მულის მოსახსენებლად გამოიყენება, მულის რძლისთვის (გვანცელაძე 2011: 280).

მეგრული **ნათეცი / ხაცეცი** „პატარძალი“ (ყიფშიძე 1914: 396) აფხაზურიდანაა შემოსული (ლომთათიძე 1999: 27). ამოსავალია **ა-თაცა** „რძალი, პატარძალი“ (ჯანაშია 1954: 123).

აფხაზურ და დასავლურქართველურ ცნობიერებაში სისხლით ნათესაობაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მორღუობისა და ნათელმორონით დაკავშირებულ ურთიერთობებს. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ეთნოგრაფიული ჩანაწერები წარმოგვიდგენენ უნიკალურ მასალას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ღირებული იყო ქართველისთვის და აფხაზის-

თვის ნათელმირონით თუ მორღუობით შექნილი ნათესავი, ხშირად ეს ურთიერთობა სისხლით ნათესაობასაც აღემატებოდა.

ტრადიციის ეს ერთობა აისახა ენობრივ ურთიერთობებშიც. აფხაზურში გვხვდება ქართულიდან შეთვისებული სიტყვები, ან ქართველიზმები წარმოდგენილია ჰიბრიდულ კომპოზიტებში:

გამდელი / გამზრდელი „აღმზრდელი“ (ქეგლ II: 671), **გამდელი** „მოახლეთ-უფალი, უპირატესი შიმუწვართა და მხევალთაგანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 164), **განდელი** (მეგრ.) „გამზრდელი“ (ჭარაია 1997: 47), „სასახლეში წესრიგის დამცველი“ (ქაჯაია 2009: 60) > **ა-განდალ** „გამდელი, გაღია“ (ჯანაშია 1954: 76); **ა-გენდალ** (ბზ.) „id“ (გენკო 1998: 62). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 47).

ძიძა (ქართ.) „1. სხვისი ბავშვისათვის ძუძუს მაწოვებელი ქალი“ (ქეგლ VIII: 763), **ძიძა** „დედაკაცი უცხოთა შვილთა მაწოვებელი ქირით“ (ჩუბინაშვილი 1887: 1619), **ძიძე** (მეგრ.) „ძიძა“ (ყიფშიძე 1914: 375) > **ა-ძიძე** „ძიძა“ (ჯანაშია 1954: 375); აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (ჭარაია 1912: 15).

დედამძუძე „აღმზრდელი ქალი, გაღია“ (ქეგლ III: 1120) (ძვ. ქართ.) „ძიძა, გამდელი; „მგრკწველი“ (აბულაძე 1973: 139) > **ანამძე** „ძიძა, დედამძუძე“ (ჯანაშია 1954: 49); აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია, პირველი ნაწილი **ან** აფხაზური „დედაა“, მეორე კი ქართველურიდან შეთვისებული **ძიძა / ძიძე** (ბუკია 2008: 104).

მამამძუძე „ძვ. გამზრდელი მამაკაცი, — ლალა“ (ქეგლ V: 31), **მამამძუძე** (ძვ. ქ.) „გამზრდელი“ (აბულაძე 1973: 214) > **აბამძე** „მამამძუძე“ (ჯანაშია 1954: 10); აფხაზური სიტყვა ჰიბრიდული კომპოზიტია, შედგება აფხაზური **აბ** „მამა“ და ქართულიდან შეთვისებული **ა-ძიძე** ელემენტებისგან (ბუკია 2008: 104).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზთა გაქრისტიანების შემდგომ მორღუობის ტერმინთა ნაწილი გამოყენებულ იქნა ნათელმირონობის აღმნიშვნელადაც (გვანცელაძე 2011: 284). მეცნიერი გადმოგვცემს საინტერესო საექსპედიციო მასალას: „ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჭლოუში ინფორმეტორები გვიდასტურებენ, **ანამძე** და **აბამძე** ნათლის აღნიშნავსო“ (იქვე: 285). ანალოგიური ვითარება დასტურდება მეგრულში: „ნათლის“ აღმნიშვნელი **მორღია** ზედმიწევნით „გამზრდელს“ ნიშნავს.

საკუთრივ ნათელმრონობასთან დაკავშირებული ტერმინები, რომელიც აფხაზურში მწირადაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც მეგრულში, განსხვავებით ქართულისგან), ქართულიდანაა ნასესხები, ასევე გვაქვს აფხაზიზმები, რომლებიც ცნებებს აღწერთად გადმოსცემენ:

ნათლობა „ნათვლა, მონათვლა“ (ქეგლ V: 1298), **ნათუა** (მეგრ.) „ნათვლა“ (ყიფშიძე 1914: 285) არის ამოსავალი აფხაზური **ა-ნათრა** „ნათლობა“ (ჯანაშია 1954: 202) სიტყვისთვის; ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვის აფხაზურში ქართულიდანაა შესვლას ადასტურებს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 141). საგულისხმოა, რომ აფხაზურში მოიპოვება საკუთრივ აფხაზური წარმოშობის **ა-ძაახრა** „მონათვლა“, ზედმ. „წყლის მოხვედრა, მისხურება“ (გვანცელაძე 2011: 287).

მირონი „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი; იხმარება ქრისტიანული ღვთისმსახურების დროს“ (ქეგლ V: 421), **მიპრონი** (ძვ. ქართ.) „ნაკურთხი ზეთი“ (აბულაძე 1973: 255) ქართულში ნასესხებია, თუმცა აფხაზური **ა-მირან** „მირონი“ (ჯანაშია 1954: 191) ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). ვვარაუდობთ, რომ ამავე წარმოშობის უნდა იყოს **ა-მარან** „ნათლისღების ცერემონიალი“ (კასლანძია 2005: 664).

არანაკლებ საინტერესოადაა წარმოდგენილი ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობები სოციალური იერარქიის აღმნიშვნელ სიტყვებში. სიტყვათა ნაწილი ორივე ენაში ნასესხებია, მაგრამ კარგად ჩანს სესხების შუალედური რგოლის კვალი, ნაწილი კი ქართულიდანაა შესული აფხაზურში:

უფლისწული „ისტ. მეფის შვილი, — ბატონიშვილი (ქეგლ VI: 1634), **უფლისწული** „სეფეწული“ (ჩუბინაშვილი 1887: 1276), **უფლისშვილი** „უფლისწული“ — **ა-უფშ^ეგლ / ა-უფაშ^ეგლ** (ბზ.) „აღზრდილის მოფერებითი სახელი“ (ინალ-იფა 1956: 113). შ. ინალ-იფა მიიჩნევს, რომ აფხაზური სიტყვა მომდინარეობს ქართული **უფლისშვილ**-ისგან. თ. გვანცელაძის თვალსაზრისით, აფხაზური სოციონიმი მომდინარეობს გურულ-მეგრული გვიანდელი **უფლისული** ფორმისაგან (სწ თანხმოვანთკომპლექსის გამარტივება გურულსა და მეგრულში ჩვეულებრივია, ქართულ-ქართველური **სუ** მარცვალი კი აფხაზურში სესხების დროს კანონზომიერად იცვლება ლაბიალიზებული, გაბაგისმიერებული **შ^ე** თანხმოვნით (გვანცელაძე 1998: 47).

თავადი „ძვ. დიდგვაროვანი ფეოდალური წრის, უმაღლესი წოდების წარმომადგენელი“ (ქეგლ IV: 210), **თავადი** (ძვ. ქ.) „მეთაური“ (აბულაძე 1973: 173), **თავადი** (მეგრ.) „თავადი“ (ციფშიძე 1914: 239) — **ა-თაჟად** „თავადი“ (ჯანაშია 1954: 122); აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (ჭარაია 1912: 11). სიტყვა აფხაზურში შეთვისებულია არაუადრეს XV საუკუნისა, ვინაიდან თვით ქართულში ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც აფხაზურში არ ჩანს (გვანცელაძე 1998: 47). ქართულიდან ნასესხობაა აზერული **თაჟად** „ცნობილი პიროვნება“ (შაგიროვი 1989: 139).

მუშა „1. ვინც მუშაობს; 2. ძვ. იგივეა, რაც გლეხი; 3. ისტ. კრებ. სხვის ყანაში მომუშავენი; 4. საუბ. მუყაითი მომუშავე, მშრომელი, გამრჯე“ (ქეგლ V: 1165), **მუშა** (მეგრ.) „მომუშავე“ (ციფშიძე, 1914: 284) — **ა-მუშა** „id“ (კილბა 1983: 84); შდრ. აფხ. **ა-უტხგუტ** (იქვე). ლექსემის გავრცელების არეალი (წარმოდგენილია ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში) და ფონეტიკური აღნაგობა გვაგვარაულებინებს, რომ შედარებით ახალი ნასესხობაა აფხაზურში.

შინაყმა „1. ბატონის კარზე მყოფი უსახლკარო ყმა. 2. შინგაზრდილი აზნაური მეფისა ან თავადისა, კარის მოხელედ მყოფი“ (ქეგლ VII: 1407) — **ა-შინაყმა** „შინაყმა“ (ჯანაშია 1960: 93). აფხაზურში შესულია ქართულიდან.

ობოლი „1. უღედმამო ბავშვი. 2. გადატ. ვისაც თანამგრძნობი, თანამოაზრე, მეგობარი არ ჰყავს“ (ქეგლ VI: 6), **ობოლი** (ძვ. ქ.) „უღედმამო“ (აბულაძე 1973: 332), **ობოლი** (მეგრ.) „id“ , **ობოლ** / **უობელ** / **უობოლ** (სვან.) „id“ (სალლიანი 2005: 23, 135) — **ა-ება** „ობოლი“; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 16). გ. კლიმოვს საერთოკავკასიურ ფორმად მიაჩნია და მოჰყავს შესაბამისი ფორმები: **უბა** (უბიხ.) „ობოლი“, **ებზ** (ყაბ., ადიღ.) „ობოლი, მარტოხელა“, შდრ. **ბო** (ჩეჩნ.-ინგ.) „ობოლი“, **გობოლ** (ხუნდ.) „სტუმარი, უცხო“ (კლიმოვი 1964: 150). აფხაზურში სიტყვას ქვრივის მნიშვნელობაც აქვს (გენკო 1998: 19). აბუყურში გვაქვს **ა-უამბალ** „მარტოხელა, ობოლი“ (კასლანძია 2005-ა: 235). ეს უკანასკნელი მეგრულიდანაა ნასესხები.

ჩაჩანი (მეგრ.) „აციგვანი, ბოშა“ (ქობალია 2010: 671); „მაწანწალა“ — **ა-ჩაჩან** „მაწანწალა, ქურდი“ (შაყრილი 1987: 416), „ბოშა“ (გვანცელაძე 2003: 219). სიტყვა სავარაუდოდ მეგრულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში.

ჩიჩიე (მეგრ.) „მათხოვარი, ლატაკი, ცუდი“ (ყიფშიძე 1914: 365), **ჩიჩიატ** (იმერ.) გლახა, ჩია, ფია, ფიფია, ცუდი“ (ბერიძე 1912: 70) — **ა-ჩიჩია** (ჭარაია 1912: 48), **ა-ჩიჩია** (ჯანაშია 1954: 346) „გლახაკი, მათხოვარი“. პ. ჭარაია ვარაუდობს, რომ აფხაზურიდან ისესხა მეგრულმა (ჭარაია 1912: 48), მაგრამ აფხაზურში მას დამაჯერებელი ეტიმოლოგია არ ეძებნება. მაგ. აუხსნელია აუსლაუტის -ია-ს რაობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვა მეგრულიდან აქვს შეთვისებული აფხაზურ ენას (ბუკია 1999: 81). ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 151).

ტყვე „1. ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე. 2. გადატ. ვისიმე (რისამე) მონამორჩილი; ვისმეთი მოხიბლული, დატყვევებული“ (ქეგლ VI: 1368), **ტყუე** (ძვ. ქ.) „ტყვე; ნაძარცვი, ალაფი“ (აბულაძე 1973: 415), **ტყვე** (მეგრ.) „ტყვე“ (ჭარაია 1997: 130), **ტყუე / ტყუეა** (სვან.) „ტყვე“ (თოფურია 2000: 722) — **ა-ტყა** „ტყვე“ (ჯანაშია 1954: 262); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 150).

სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა ნასესხებია ქართულ-აფხაზურში:

ბატონი „[ლათ. patronus „მფარველი“] 1. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს. 2. მპყრობელი, მმართველი, მბრძანებელი, მეფე“ (ქეგლ I: 991), **პატონი** „ბატონი“ (საბა 1991: 617), **პატონი** (მეგრ.) „ბატონი“ (ქაჯაია 2001: 478) — **ა-პატენ** „ბატონი“ (რალ 1964: 157). ჩანს, აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული.

ღარიბი „[არაბ. **ღარიბ**] მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, — ხელმოკლე; უქონელი“ (ქეგლ VII: 400), **ღარიბი** (მეგრ.) „id“ (ყიფშიძე 1914: 349), **ღარიბ / ღარიბ** (სვან.) „ღარიბი“ (თოფურია 2000: 793) — **ა-ღარ** „ღარიბი“ (ჯანაშია 1954: 309), **ა-ღარა** „სიღარიბე“ (რალ 1964: 360); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). მდრ. **ღარიბ** (აბაზ.) „უცხოელი, მოგზაური“ (აბრლ 1967: 141). არაბული წარმოშობის სიტყვა აფხაზურში ქართულის საშუალებით უნდა იყოს შესული.

აბრაგი „1. მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი. 2. კუთხ. (იმერ.) ყაჩაღი, მძარცველი, ავაზაკი“ (ქეგლ I: 73), **აბრაგი** (იმერ.) „ყაჩაღი“ (ბერიძე 1912: 13), **აბრაგი** (მეგრ.) „ყაჩაღი“ (ყიფშიძე 1914:

191), **აბრეკი** (ლაზ.) „id“ (მარი 1910: 126), **აბრაგ** / **აბრეგ** / **აბრაგ** / **აბრეგ** (სვან.) „ყაჩალი, აბრაგი“ (თოფურია 2000: 105) — **აბრაგ** „ყაჩალი, ავაზაკი, ფირალი (ჯანაშია 1954: 11). სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: აბაზ. **აბრაგ**, ადიღ. **აბრეგ**, ჩეჩნ. **ოზურგ**, ხუნძ. **აბურიქ** „ყაჩალი“ (აბაევი 1958: 25). ვ. აბაევი მიიჩნევს, რომ შემოსულია სპარსულიდან და ამოსავალი უნდა იყოს ფალაური ***აბარაკ** < **აპარტაკ** „ძარცვა“ (აბაევი 1958: 25).

ავარა „[სპ. **ავარე**] უსაქმოდ მოხეტიალე. მოხუციგნო ახალგაზრდა“ (ქეგლ I: 148) — **ა-ურარ** „ავარა“ (ჯანაშია 1954: 265); ა. შაგიროვის ვარაუდით, აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 152). ამოსავალია სპარსული **avâr/a/e** (ბართაია 2010: 13).

აქვე წარმოვადგენთ ეთნონიმებს, რომლებიც აფხაზურში ქართველურ რიდანაა შესული:

ბერძენი „ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილზე მოსახლე ხალხის ქართული სახელწოდება“ (ქეგლ I: 1037), **ბერზენი** / **ბერზემი** (მეგრ.) „ბერძენი“ (ქაჯაია 2009: 47), **ბერზენ** / **ბერზემ** / **ბერძენ** / **ბერძემ** (სვან.) „id“ (სალლიანი 2005: 126) — **ა-ბერზენ** „id“ (რალ 1964: 159), **ა-ბერზენ** (შაყრილი 1986: 113). აფხაზურ ენაში ბერძენთა აღმნიშვნელი ტერმინი მეგრულიდანაა ნასესხები, ეს ფაქტი სხვა მრავალთან ერთად მიგვანიშნებს, რომ უშუალო ურთიერთობა აფხაზებს ბერძენებთან არ ჰქონიათ (გვანცელაძე 1998: 43).

თურქი „თურქეთის ძირითადი მოსახლეობა“ (ქეგლ IV: 494) — **ათურქა** „თურქი“ (ჭარაია 1912: 12). აფხაზურში შესულია ქართულიდან (იქვე). სიტყვა გვაქვს აფხაზურ ეთნონიმურ გვარსახელში **თირქბა** (ხორავა 2000: 46).

ლაზი „ერთ-ერთი ქართველური ტომი, რომელიც დასახლებულია შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთის ფარგლებში“ (ქეგლ IV: 1463), **ლაზი** (მეგრ.) „ლაზი“ (ყიფშიძე 1914: 270) — **ა-ლაზ** „ლაზი, ჭანი“ (ჯანაშია, 1954, 164). სიტყვა გვაქვს აფხაზურ გვარსახელში **ლაზბა** (ხორავა 2000: 46).

მეგრელი „დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის — სამეგრელოს მკვიდრი ქართველები“ (ქეგლ V: 449), **მარგალი** (მეგრ.) „მეგრელი“ (ყიფშიძე 1914: 276) — **ა-გურუა** „მეგრელი“ (ჯანაშია 1954: 90). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ. ლექსიკოგრაფს ანალოგიისთვის მოჰყავს ენგუ-

რის აფხაზური სახელწოდება **ეგრე** (ჭარაია 1997: 90). ეთნონიმს საფუძვლად უდევს ეგრ-ის-ი ფუძის ეგრ- ძირი, რომელშიც თავიკიდურა ე ხმოვანი აფხაზურის სესხების კანონზომიერების საფუძველზე ა ხმოვნით არის შეცვლილი და ერთვის ადამიანის აღმნიშვნელი ატა ძირი (გვანცელაძე 1993: 316). სიტყვა რეალიზდება აფხაზურ გვარსახელში: დალისა და წებელდის ხეობიდან 1867 წელს აყრილ აფხაზ მუჰაჯირთა სიაში დასახელებულია გვარი **აგრუა** (იქვე: 318), აგრეთვე **აგრა** ზედმ. „მეგრელიშვილი“ (გვანცელაძე 1998: 48).

ოსი „კავკასიაში მცხოვრები ირანული ტომი“, **ოფსი** (მეგრ.) „ოსი“ (ყიფშიძე 1914: 295) — **ა-ტაფს** „ოსი“ (ჯანაშია 1954: 266), **ა-ტაპს** „id“ (შაყრილი 1987: 184); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ჭარაია 1912: 16).

სვანი „სვანეთის მკვიდრი“ (ქეგლ VI: 1002), **შონი** (მეგრ.) „სვანი“ (ქაჯაია 2002-ა: 266) — **ა-შანგტა** „სვანი“ (ჭარაია 1912: 15), **ა-შან** „id“ (კასლანძია 2005-ა: 651). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 15). ბოლოკიდური -ტა ელემენტი წარმოადგენს **ა-ტა-გ** „ადამიანი“ სიტყვის ტა ძირისეულ ელემენტს (გვანცელაძე 1993: 315). სიტყვა გვხვდება აფხაზურ გვარსახელში **ასვანუა** (ხორავა 2000: 46).

სომეხი „სომხეთის მკვიდრი“ (ქეგლ VI: 1126) — **ა-შაჰან** „სომეხი“ (ჯანაშია 1954: 335). აფხაზურში სიტყვა შესულია ქართულიდან.

ურია „ძველი ბიბლიური სახელი ებრაელისა“ (ქეგლ VI: 1580), **ურია** „იუდეანი, ნათესავი ებრაელთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1267), **ურია** (მეგრ.) „ებრაელი“ (ყიფშიძე 1914: 333), **ურია** (სვან.) „ებრაელი“ (ავალიანი 1995: 56) — **ა-ურია** „ებრაელი“ (ჯანაშია 1954: 270). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში შესულია ქართულიდან (გვანცელაძე 2011: 63).

ქართველი „იბერიელი“ (აბულაძე 1973: 451), **ქორთუ** (მეგრ.) „ქართველი“ (ყიფშიძე 1914: 345), **ქართუელ** (სვან.) „ქართველი“ (საღლიანი 2005: 30) — **ა-ქერთუა** „ქართველი“ (ჭარაია 1912: 16), **ა-ქართველ** „1. ქართველი, 2. ქართველური“ (კასლანძია 2005: 538). ეტიმოლოგიურად **ა-ქერთუა** ეთნონიმი უკავშირდება ქართულ სახელწოდებას **ქართველ-ი**. ბოლოკიდური -ტა ელემენტი წარმოადგენს **ა-ტა-გ** „ადამიანი“ სიტყვის ტა ძირისეულ ელემენტს (გვანცელაძე 1993: 315). ეთნონიმი რეალიზდება აფხაზურ გვარსახელში **აქირთაა / აქირთავა** (ხორავა 2000: 46). ტერმინ

ა-ქართველ-თან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ის პირველად აქვს წარმოდგენილი ვ. კასლანძიას თავის „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“. ლექსიკონში ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებადაა გატანილი **ა-ქართველ** (გვ. 538) და **ა-ქერთუა** (გვ. 539). შეიძლება გვეფიქრა, რომ სინონიმებთან გვქონდა საქმე, რომ არა უცნაური განმარტება: პირველის მნიშვნელობაა 1. картвел. 2. картвельский, მეორის — грузин. მეტიც, ლექსიკოგრაფს სალექსიკონო ერთეულებად გატანილი აქვს **ა-ქერთუატ^ორა** грузинизация, იგივე სიტყვა რატომღაც გამეორებულია და წარმოდგენილია ახალი მნიშვნელობით огрузинить და შემოტანილი აქვს კიდევ ახალი სიტყვა **ა-ქერთუახარა** დამაბნეველი მნიშვნელობით статья, сделатся грузином.

ციგანი (მეგრ.) „ციგანი, ბოშა; ხუშარა“ (ქაჯაია 2002-ა: 347) — **ა-ციგან** „1. ბოშა“; 2. არასერიოზული, უწყესო“ (კასლანძია 2005-ა: 409).

ლიტერატურა

აბრლ 1967 — Абазинско-русский словарь. Москва

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი

ბეზარაშვილი 1978 — ც. ბეზარაშვილი, გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი

ბერიძე 1912 — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი

ბუკია 1999 — მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი

ბუკია 2008 — მ. ბუკია, კომპოზიტა ერთი რიგისათვის ქართველურ და აფხაზურ ენებში, შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული, I, თბილისი

გენკო 1998 — Генко Н. А. Абхазско-русский словарь, Сухуми

გვანცელაძე 1998 — ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი

გვანცელაძე 2011 — თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი

გულია 2004 — დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარია“, 2004, № 1, თბილისი

თოფურია 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი

ინალ-იფა 1956 — Ш. Инал-ипа, Социальная сущность аталычества в абхазии в XIX веке, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXVII, სოხუმი

კილბა 1983 — Э. Килба, Особенности речи батумских абхазов, Тбилиси

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва

ლომათაიძე 1976 — ქ. ლომთაიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ — შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი

ლომათაიძე 1992 — ქ. ლომთაიძე, ნათესაობის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსიკა აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკე, XXXI, თბილისი

ლომათაიძე 1999 — ქ. ლომთაიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებებისათვის, ჩიქობავას საკითხავები — X. თბილისი

ლომათაიძე 2000 — ქ. ლომთაიძე, მĀვეალ-იდან [ფ]ხე-მდე (აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო ფუძეებთან ურთიერთობის გათვალისწინებით), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ლომათაიძე 2001 — ქ. ლომთაიძე, ერთი ფონეტიკური კანონზომიერება ბგერათა ფარდობისა: ხ (ჟ),ხვ (ჟვ) > აფხ. ჰ, ჰ° (ნასესხებ ფუძეებში) და სვან. მეხვბე („ძმა ძმისთვის“) > აფხ. ამაჰ°, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი

მარი 1910 — Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиєю и словарем. С.-Пб.

ჟღენტი 1938 — ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი

რალ 1964 — Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми

საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი

უსლარი 1887 — П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი

ქაჯაია 2009 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV (დამატებანი), თბილისი

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964

ყიფშიძე 1914 — И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ

შაგიროვი 1989 — А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

შაყრილი 1986 — К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Словарь абхазского языка, т. I, Сухуми

შაყრილი 1987 — К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Словарь абхазского языка, т. II, Сухуми

ჩუბინაშვილი 1887 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ დ. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-Пб

ჭარაია 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

ჭარაია 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1960 — Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми

Manana Bukia

From the history of Georgian-Abkhazian Lingua-cultural relations. IX.

Vocabulary denoting kinship and social relations

Summary

This article deals with the vocabulary denoting kinship and social relations in the Kartvelian languages and Abkhaz.

Some of them are of the common Caucasian origin (**Nana**, **Dida** "Mother", **Baba** "father"...), while others have been developed via mutual adoption from Kartvelian to Abkhaz (**Mamida** > **a-mamida**, **Mota** (Megr.) > **a-mota** "grandchild", **Motashmota** (Megr.) > **a-motashmota** "grand grandson", **Dzghabi** (Megr.) > **a-dzghab** "girl" and from Abkhazian to Kartvelian (resp. Megrelian): **Xateci** / **Xaceci** < **a-taca** "daughter in law", "bride"...

A smaller part of vocabulary, mainly denoting social relations, in both languages are adopted from the other languages: Geor. **Batoni**, Abkh. **a-paton** < Lat. **Patronus** "Patron, Protector", Geor. **Gharibi**, Abkh. **a-ghar** "poor" < Arab. **gharyb**; Geor. **Abragi**, Abkh. **Abrag** "robber, thief" < Pers. **Aparak**, **Apartak** "robbery" .

თეა ბურჭულაძე

უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აგებულების მიხედვით წინადადების სამ ტიპს გამოყოფენ: მარტივს, რთულსა და შერწყმულ წინადადებებს. რთული წინადადების ორ სახეს გამოყოფენ: ესაა რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადებები. მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის ძალიან დიდი სტრუქტურული სხვაობაა: მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული — პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა (დავითიანი 1973: 171).

რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან. ამათგან მთავარი არის გაბატონებული, ხოლო დამოკიდებული კი მასზეა დაქვემდებარებული. მაგალითად: „სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ხომ არც სიყვარულია“ (ჯავახ., გვ. 98); „ვინც მეფეთა სამსახურისათვის თავს გადასდებს, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც“ (გამს., გვ.215); „სადაც ჩამოვჯდები, სარდი და რუსი-კოც იქვე არიან“ (ჯავახ., გვ.421). პირველ წინადადებაში **სადაც სარწმუნოება არ არის** დამოკიდებული წინადადებაა, ხოლო **იქ ხომ არც სიყვარულია** მთავარი გახლავთ. შემდეგ წინადადებაში კი მთავარია **მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც**, ხოლო **ვინც მეფეთა სამსახურისათვის თავს გადასდებს** დამოკიდებულია.

როგორც ჩანს, რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთობა ანალოგიურია იმისა, რაც გვაქვს სიტყვათა დაქვემდებარებით შეკავშირებაში, მართვისას, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი — დამოკიდებული, წამყვანი სიტყვის ამხსნელი (კვაჭაძე 1996: 383). დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება და ზუსტდება მთავა-

რი წინადადების სიტყვის (შემასმენლის) მნიშვნელობა (ან მთლიანად მთავარი წინადადება) ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით (ერთელიშვილი 1962: 221).

მთავარი წინადადების დამოკიდებულთან ურთიერთობა ორი გზით ხორციელდება — კავშირით ან უკავშიროდ. ცნობილია, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წინადადებათა შეკავშირების ძირითადი საშუალება მაქვემდებარებელი კავშირებია: რომ, თუ, რაკი, ვიდრე, სანამ, რა, რადგანაც, იმიტომ, რომ, რათა, იმისათვის, რომ, თუკი, უკეთუ, თუმცა, გინდ, თუნდ... (ძიძიგური 1989: 55-275) დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად მთავარ წინადადებასთან, მაქვემდებარებელი კავშირებისა და მიმართებითი ზმნიშვნელების გარდა, გამოყენებულია ფორმაცვალებადი სიტყვებიც — მიმართებითი ნაცვალსახელები (კვანტალიანი 1983: 3). ხშირია უკავშირო ქვეწყობილი წინადადებაც, რომელიც აზრობრივ და სტრუქტურულად ახლოს დგას კავშირიან ქვეწყობილ წინადადებასთან.

აღნიშნავენ, რომ უკავშირო რთული წინადადების ჩამოყალიბება წინ უსწრებდა კავშირიანი წინადადების ჩამოყალიბებას. უკავშირო წინადადებებით უფრო მდიდარია ცოცხალი მეტყველება, ხოლო დაკავშირების სხვადასხვა ფორმით უფრო ლიტერატურული ენა ხასიათდება. უკავშირო ჰიპოტაქსის საკლასიფიკაციო საშუალებებია:

1. უკავშირო რთული წინადადების შემადგენელ წინადადებათა აზრობრივი დამოკიდებულება.
2. მთავარი წინადადების შემასმენლის მოდელი ქვეწყობილ წინადადებაში და დამოკიდებული წინადადების დამოკიდებულება მისადმი (კიზირია 1969: 64-65).

უკავშირო წინადადება იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც კავშირიანი დამოკიდებული წინადადება — აქაც დაქვემდებარებული წინადადება ხსნის და აზუსტებს, განმარტავს მთავარ წინადადებაში ნათქვამს. ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული ლოგიკური მიმართების დამყარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას უკავშირო შეერთებისას ზეპირ მეტყველებაში ინტონაცია წარმოადგენს, ხოლო წერისას ის გამოიხატება სათანადო სასვენი ნიშნების დასმით. ესენია უმრავლეს შემთხვევაში მძიმე და არცთუ იშვიათად ორწერტილი: „ეტყობოდა, იგი მართლა აპირებდა თორმეტი წყვილის გაგაზავნას მცხეთაში“ (გამს., გვ. 84); „ვინ იცის, როგორ მიღის“ (ჯავახ., გვ. 29); „ჯაყო ამ-

ბობდა: ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო“ (ჯავახ., გვ.); „იცოდა: ფხოველნი ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ“ (გამს., გვ. 77); კორკოტიც არა ჰქონდა მოთავებული, კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიმ“ (გამს., გვ. 127). მოყვანილ უკავშირო წინადადებებში თავისუფლად ჩავსვამთ შესაბამის მაქვემდებარებელ კავშირებს: ვინ იცის, **თუ** როგორ მიდის; ჯაყო ამბობდა, **რომ** ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო; იცოდა, **რომ** ფხოველნი ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ; კორკოტიც არ ჰქონდა მოთავებული, **რომ** კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიმ.

იშვიათად უკავშირო შეერთებისას შესაძლოა ტირეც გამოიყენებოდეს: „გაჯობებ — ჩემი ხარ“ (გოთ., გვ. 431); „შენ ისე დამმაღე — სიკვდილმაც ველარ მომაგნო“ (გოთ., გვ. 628); „ისმინეთ ჩემიცა — უწევს უცილობლად“ (გოთ., გვ. 631).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადების ურთიერთმიმართების გამოსახატავად ინტონაციის გარდა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ფაქტორს. ერთ-ერთი მომენტია წინადადების წყობა, რომელიც მყარია — დამოკიდებული წინადადება ან თავშია, ან ბოლოში, ადგილის შეცვლა შეუძლებელია: „ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისთვის ვარსკვლავთმრიცხველნი“ (გამს., გვ. 204); „მოაგონდა: ამ სამი დღის წინადაც წავიდა ხერკის ციხისაკენ ჯარი“ (გამს., გვ. 25). თუ შევეცდებით მთავარი და დამოკიდებული წინადადების ადგილის შეცვლას, ეს ვერ მოხერხდება უკავშიროდ, მხოლოდ კავშირის ჩასმით გახდება ეს შესაძლებელი. მაგ., მზის დაბნელებას რომ მოელოდნენ ამ დღისათვის ვარსკვლავთმრიცხველნი, ახლა მოაგონდა არსაკიძეს; ამ სამი დღის წინადაც რომ წავიდა ხერკის ციხისაკენ ჯარი, მოაგონდა.

უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში ხშირად არის საკორელაციო სიტყვა უკავშიროდ, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ მას დამოკიდებული წინადადება ახლავს: „ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, შიში შეგვეპარა“ (ჯავახ., გვ. 586); „დედამ ისე ამიწია ყური, ერთი დაკვილება ქვეყანას მერჩია“ (დუმბ., გვ. 18). პირველ წინადადებაში მთავარია **ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი**, რომელშიც მისათითებელი სიტყვაა **ისეთი** გვავარაუდებინებს მისი კონკრეტული შინაარსით შემავსებელ დამოკიდებულ წინადადებას **რომ** კავშირით: ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო

ნათქვამი, რომ შიში შეგვეპარა. მეორე წინადადებაშიც აღდგება **რომ** კავშირი: დედამ **ისე** ამიწია ყული, **რომ** ერთი შეკვივლება ქვეყანას მერჩია.

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შესაძლოა არც საკორელაციო სიტყვა იყოს და არც კავშირი, მაგრამ წინადადებების ნაწილების დაქვემდებარება სახეზეა: „ჭირისუფალს წყურვილი ახრჩობს, როგორმე მკვდრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დააბას, ჩაიბეჭდოს“ (ჯავახ., გვ. 520); „ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმობთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ“ (გამს., გვ. 68); „თანდათან ვრწმუნდებოდი, ამ კაცისა არაფერი მესმოდა“ (ფანჯ., გვ. 216); ბებიამ მასწავლა, როგორ უნდა შემეშინებინა ხაზარულა“ (დუმბ., გვ. 145).

დასახელებული ტიპის ჰიპოტაქსურ წინადადებებში იგულისხმება ხოლმე **რომ** და **თუ** კავშირები. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ **თუ** კავშირის გამოტოვება ჩვეულებრივია, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენლად კავშირებითის ან კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი II თურმეობითის ფორმაა (კვაჭაძე 1996: 462). ასევე ხშირია **რომ** კავშირის გამოტოვება დამოკიდებული წინადადების შემასმენლის თხრობითი კილოს ფორმით წარმოდგენისას.

აღვნიშნავთ, რომ უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება შესაძლოა ისეთი სტრუქტურისაც იყოს, რომ ვერ ჩაისვას ნაგულისხმევი კავშირი. მაგალითად: „ვინ იცის, ეგებ ჭიბჭი და მისი ძუძუტე ტოხაისძე ყოფილიყვნენ ის ორი მხედარი, პირველად შემოჭრილნი ქალაქში“ (გამს., გვ.27); „გახარებულმა ლევანმა სიჩქარეს მოუმატა, ნათიამ მცხეთაში წასვლა არ გადაიფიქროსო“ (ფანჯ., გვ.298). სხვა ქვეყნებში რა ხდება, მე ეს არ ვიცი (ფანჯ., გვ. 319); „ზურაბი გაშტერდა, ყურები ხომ არ მატყუებსო (ფანჯ., გვ. 321).

მოყვანილი ტიპის მაგალითებში ვერ აღვადგენთ რომელიმე მაქვემდებარებელ კავშირს. მიუხედავად იმისა, რომ არაა მაქვემდებარებელი კავშირი და არც მისი აღდგენა ხერხდება, ეს უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებაა. რასაკვირველია, მაქვემდებარებელი კავშირი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია წინადადების სტრუქტურისა, მაგრამ არა უმთავრესი და გადამწყვეტი. მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების **გარეგნული ნიშანია**. თუ რთული წინადადების რომელიმე ნაწილში მოიპოვება მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა, ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადება ჰიპოტაქსურია (კვაჭაძე

1996: 384). რასაკვირველია, წინადადებათა აგებულებაში მთავარი ნიშანი მხოლოდ გარეგნული მხარე არ არის, ძირითადი ფაქტორი წინადადების წყობა და აგებულებაა. ჩვენს მაგალითებში გამოიყოფა მაქვემდებარებელი და დამოკიდებული წინადადებები. აქ დამოკიდებული წინადადებები შეცავენ ახსნა-განმარტებას, დაზუსტებას შინაარსისა. ზოგ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მნიშვნელობა ენიჭება წინადადების თანამიმდევრობასა და ზმნით გამოხატული მოქმედების მორფოლოგიური თვალსაზრისით (მწკრივი, დრო) გამოხატვას. მაგალითად, წინადადებაში „გახარებულმა ლევანმა სიჩქარეს მოუმატა, ნათიამ მცხეთაში წასვლა არ გადაიფიქროსო“ (ფანჯ., გვ. 298) შესაძლოა ასე აღვადგინოთ კავშირი: გახარებულმა ლევანმა სიჩქარეს მოუმატა, **რათა** ნათიას მცხეთაში წასვლა არ **გადაეფიქრებინა**. ან კიდევ: „პირდაპირ არ ვიცი, ასე მუშაობა როგორ შეიძლება“ (ფანჯ., გვ. 68) — პირდაპირ არ ვიცი, ასე მუშაობა **თუა შესაძლებელი**.

უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მსგავსად კავშირიანი რთული წინადადებისა, ფუნქციის მიხედვით სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებები გვხვდება: ქვემდებარული, შემასმენლური, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი, პირობითი, შედეგობითი. მაგალითად: „საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა , აღარც სურვილი“ — ქვემდებარული (დუმბ., გვ. 102); „იგი არასდროს იბარებს, როდის მოვა“ — დამატებითი(დუმბ., გვ. 60); „სიზმარმა ისედაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა“ — ვითარების გარემოებითი (ჭილ., გვ. 245); „ისეთი სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ზოგჯერ დანიელის პირჯვრის საწერად წაღებული ხელის მოძრაობაც კი ისმოდა“ — განსაზღვრებითი (იოსელი., გვ. 84); „სიმღერა არაფერს ამბობს იმაზე, როგორ შევიდა ლაშქარი ერთ მწირ, ღარიბ სოფელში — უბრ.დამატებითი (ბიბ., გვ. 166).

ისეთ უკავშირო წინადადებაში, სადაც საკორელაციო სიტყვაა, მარამ არაა კავშირი(ის იგულისხმება), მარტივია იმის დადგენა, თუ რა სახის დამოკიდებული წინადადება გვაქვს — რა კითხვასაც შეიწყობს საკორელაციო სიტყვა, პასუხს სწორედ ამაზე დამოკიდებულ წინადადებაში ვიღებთ. მაგალითად, წინადადებაში **სიზმარმა ისედაც მხდალი კუსა ისე დააფრთხო, საყასბოსკენ გახედვაც აღარ უნდოდა** საკორელაციო სიტყვა **ისე** მიუგებს კითხვაზე **როგორ?** მაშასადამე, დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებიანია, რადგან **როგორ** ვითარების გარემოების კითხვაა. ან

კიდევ: ეს ქადაგება ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, შიში შეგვეპარა: ისეთი — როგორი? ე.ი., განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა.

რთულადაა საკითხი, როცა წინადადებაში არც საკორელაციო სიტყვაა და არც კავშირი: „შვებულება რა იყო, არ იცოდა“ (ფანჯ., გვ. 241); „ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისთვის ვარსკვლავთმრიცხველნი“ (გამს. გვ. 204); „წყლის მომლოდინე დაჩოქილმა კუკარაჩამ უცებ იგრძნო, როგორ დაეშვა თავზე რალაც უსაშველო მიმიე“ (დუმბ., გვ. 36); მუშებმა იცოდნენ, ოთარი ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაჰყავდათ“ (ფანჯ. გვ. 244); მსგავს შემთხვევებში აღვადგენთ საკორელაციო სიტყვას, კავშირსაც და დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების სახესაც მარტივად გავარკვევთ. მაგალითად, ახლა მოაგონდა არსაკიძეს **ის, რომ** მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისთვის ვარსკვლავთმრიცხველნი; მუშებმა იცოდნენ **ის, რომ** ოთარი ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაჰყავდათ. ორივე შემთხვევაში წინადადება დამატებითი დამოკიდებულია.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, შეენაცვლება თუ არა უკავშირო წინადადებას რომელიმე მაქვემდებარებელი კავშირი, არის თუ არა მათ შორის დაქვემდებარებითი დაკავშირება და, შესაბამისად, აგებულების მიხედვით რომელი ტიპის წინადადებას მივაკუთვნოთ ან ჰიპოთაქსურს თუ პარათაქსულს? საქმე ეხება ისეთი ტიპის წინადადებებს, სადაც დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს და ნაწერში მისგან ორწერტილით გამოიყოფა. მაგალითად: „სამჯერ დაალო პირი და სამჯერვე დაახველა: ენაზე მომდგარი სიტყვა მაინც დასაკლავ ხარივით ჯიუტობს და უკანვე გაურბის“ (ჯავახ., გვ. 72); „ეზოში სისხლი იღვრება: ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდაური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აპხადა და თავის სტუმრებს საჩვენებლად სოფლის წარჩინებულებიც მოიწვია“ (ჯავახ., გვ. 72); „მაინც არ ტყდებოდა: ჯერ ვნახოთ, წლები გავიდეს“ (ფანჯ., გვ. 22); „ონოფრეც გაჰქრა ხევის თოვლივით: სხვა სხვის მაგივრად ვილა წავა ციმბირში“ (ჯავახ., გვ. 471); „ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა: ერთხელ ქეშელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჰავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა“ (ჯავახ., გვ. 93). ასეთი ტიპის წინადადებები სამეცნიერო ლიტერატურაში რთულ ქვეწყობილ წინადადებადაა მიჩნეული (კვაჭაძე 1996: 465).

მოყვანილ მაგალითებში ვერ ჩავანაცვლებთ მაქვემდებარებელ კავშირებს (რადგან, იმიტომ, რომ, რომ...). აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა წინადადების რამდენიმე წყებაა მოცემული, რომლებიც წინადადების ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. აქ დაქვემდებარებითი დაკავშირება არ იგულისხმება წინადადების კომპონენტებს შორის: სამჯერ დაალო პირი და სამჯერვე დაახველა, **რადგან რომ ჩიმიტომ, რომ** ენაზე მომდგარი სიტყვა მაინც დასაკლავ ხარივით ჯიუტობს და უკანვე გაურბის; „ეზოში სისხლი იღვრება, **რადგან რომ ჩიმიტომ, რომ** ჯაყომ რამდენიმე ქათამი, ინდაური და ცხვარი დაჰკლა, ქვევრსაც თავი აჰხადა და თავის სტუმრებს საჩვენებლად სოფლის წარჩინებულებიც მოიწვია, ცოლის ავადმყოფობა გაიხსენა და წამალიც თვითონვე დაუწერა, **რადგან რომ ჩიმიტომ, რომ** ერთხელ ქემელა ცხენზე შესვა, ავადმყოფი დედაკაცი ფეხით უკან გააყოლა და ჰავის გამოსაცვლელად როკის მთებში გაისტუმრა...

ასეთ შემთხვევებში აღწერა და ჩამოთვლაა ერთდროული მოვლენებისა. აქ არ გვაქვს ისეთი ვითარება, როცა უკავშირო დამოკიდებული წინადადება შინაარსით ან მიზეზის გარემოებითა, ან პირობითი და შედეგობითი, სადაც თავისუფლად შევუნაცვლებთ რომელიმე მაქვემდებარებელ კავშირს. მაგალითად: „მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თემურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა“. შევადაროთ ზემოთ თქმულს — „მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა, **რადგან / იმიტომ, რომ** თემურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. „ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვი: აღარ გვინდა ფუქსავატები, მფლანგველები, ყოყორები, კულაბზიკები და ამპარტავნები“ (ჯავახ., გვ.116) — „ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვი, **რადგან / იმიტომ, რომ** აღარ გვინდა ფუქსავატები, მფლანგველები, ყოყორები, კულაბზიკები და ამპარტავნები“ ასეთ შემთხვევებში დაქვემდებარება ნათელია.

საკითხი ასე არ დაისმის, რა თქმა უნდა, ისეთ შემთხვევებში, როცა მთავარს ორწერტილის შემდეგ დამატებითი დამოკიდებული წინადადება მოჰყვება: „ჯაყო ამბობდა: ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელუსფლებამ წაიღო“ (ჯავახ., გვ.102); ეუცხოვა: რად მონატვრიაო ამ დიდკაცს მწირი ძონძები“ (გამს., გვ.29); „არც ეს მოსწონდა: ყველაფერს იოლად აღწევენ და შრომის ფასი არ იციანო“ (ფანჯ., გვ.242); ასეთ წინადადებებში დაქვემდებარებაც აშკარაა და მაქვემდებარებელი კავშირებიც აღდგება: ჯაყო ამბობდა, **რომ**

ზოგი მოიპარესო, ზოგიც ხელისუფლებამ წაიღო; ეუცხოვა, **თუ** რად მონატვრიაო ამ დიდკაცს მწირი ძონძები; არც ეს მოსწონდა, **რომ** ყველფერს იოლად აღწევნ და შრომის ფასი არ იციანო.

ზემოთ დასახელებულ წინადადებებში გაჭირდება დარწმუნებით იმის თქმა, რომ ისინი თავიანთი სტრუქტურით რთული ქვეწყობილი წინადადებებია. აქ საქმე ის კი არაა მხოლოდ კავშირის აღდგენა რომ ვერ ხერხდება (როგორც უკვე ითქვა, მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანია), არამედ ის, რომ დაქვემდებარება არ ჩანს წინადადებაში. ვფიქრობთ, რომ აქ ზუსტად ისეთი ვითარებაა, როგორც გვაქვს უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებაში, როცა ერთდროული მოვლენების აღწერა ან ჩამოთვლაა ხოლმე: „ასეთ ხუმრობასა და ოცნებაში მზეც ჩავიდა, ბინდმაც მოაღწია“ (ჯავახ., გვ. 63); „გრილი ნიავი უბერავდა, ხეები სასიამოვნოდ შრიალებდნენ“ (ფანჯ., გვ. 37); „მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი“ (ლ. ასათ., გვ. 34); „გარეთ კი წელიწადის დრონი ერთმანეთს სცვლიდნენ, ხეები ყვავოდნენ, ნაყოფით იხუნძლებოდნენ, ჭკნებოდნენ და შიშვლდებოდნენ, ქარი თხელ ფოთლებს უთავბოლოდ დააქროლებდა“ (ჭილ., გვ. 446). დასახელებულ რთული თანწყობილი წინადადებების მეორე ნაწილი სწორედ რომ პირველ წინადადებაში გადმოცემული აზრის დაზუსტება და გარძელებაა.

ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებებში ვერც მაქვემდებარებელ კავშირს ჩავსვამთ და არც მთავარი და დამოკიდებული წინადადებები გამოიყოფა. როცა შედეგობითი ან პირობითი დამოკიდებული წინადადებები გვაქვს, იქ წინადადების სტრუქტურა ისეთია, რომ რომ ცალ-ცალკე გამოიყოფა ჰიპოტაქსის შემადგენელი ნაწილები. ქარმა, ავდარმა და სივრცემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ვეღარ გაძლო და გაჟრჟოლებულს ცახცახი დააწყებინა — ქარმა, ავდარმა და სივრცემ თავისი იმოქმედეს, რის გამოც ქალმა ვეღარ გაძლო და გაჟრჟოლებულს ცახცახი დააწყებინა. რთული წინადადების პირველი ნაწილი მთავარია, მეორე კი — დამოკიდებული. მიწამ ყანა გაგიკეთოს — ნუ ჩამოეკიდები — თუ მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები. აქ პირველი ნაწილი წინადადებისა დამოკიდებულია, მეორე კი — მთავარი. შევადაროთ ამ თვალსაზრისით ჩვენს მაგალითებს — ვერ გამოვყოფთ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს. აქ ერთიმეორის მიმართ გრამატი-

კულად თანასწორი წინადადებებია, რომლებიც უკავშიროდ არიან შეერთებულნი.

გფქრობთ, რომ რადგან ჩვენ მიერ დასახელებულ უკავშირო წინადადებებში არ იგულისხმება მაქვემდებარებელი კავშირები (შესაბამისად, არც დაქვემდებარებითი დაკავშირებაა წინადადების კომპონენტებს შორის), ამიტომ ის უნდა მივაკუთვნოთ უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებათა რიგს, სადაც დასახელებული ერთდოული მოვლენების აღწერა თუ ჩამოთვლა, ან ახსნა-განმარტებაა გადმოცემული დამოუკიდებლად.

ლიტერატურა

დავითიანი, 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბილისი

ერთელიშვილი, 1962 — ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, თბილისი

კვანტალიანი, 1983 — ლ. კვანტალიანი, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში, თბილისი

კვაჭაძე, 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი

კიზირია, 1969 — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი

ძიძიგური, 1989 — შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი

ტექსტები

ბიბ. — თამაზ ბიბილური, ჟამი კითხულისა, ჩივილი, თბ., 1978

გამს. — კონსტანტინე გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 83

დუმბ. — ნოდარ დუმბაძე, მოთხრობები, III, თბ., 1984

ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, I, თბ., 1986

ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი, ქართული საბჭოთა რომანი, თბილისი, 1985

ქილ. — რჩეული თხზულებანი სამ ტომად, I, თბ., 1986

იოსელი. — რჩეული თხზულებანი ორ ტომად, II, თბ., 1991

Tea Burchuladze

Complex sentences without conjunctions

Summary

A complex sentence without a conjunction is a bit similar to a complex sentence with a conjunction semantically and structurally. An intonation is a principal means for connecting of clauses of a hypotactic sentence and establishing of logical relations between them, while, in writing, it is done by punctuation marks, mainly a comma and a colon and rarely a dash

In a complex sentence without a connector, a connector is assumed. In some cases it is difficult to say whether we can put any connectors there or if there is a subordinate relationship of clauses. What kind of sentence is this in terms of its structure – hypotactic or paratactic? We talk about a sentence where a subordinate clause follows a main one with a colon –“He opened his mouth three times and all three times he coughed: the words ran back from the tongue like a bull supposed to be killed.” In such cases we cannot put a connector in the sentence and we also do not have subordinate and independent clauses. So, we should classify it as a compound coordinated sentence without a conjunction where the actions or explanations are expressed independently.

ელისაბედ გაზდელიანი

მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ბრუნვათა პარადიგმაში გამოიყოფა მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებით ბრუნვას სამეცნიერო ლიტერატურაში, იარაღობითს, ინსტრუმენტალისს უწოდებენ. „ამ ბრუნვის ძირითადი ფუნქცია თანამედროვე სვანურში არის მოქმედების იარაღის გამოხატვა“ (ონიანი, 1998, 84). მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი პირველ რიგში გამოხატავს იარაღს, საჭურველს, რითაც სრულდება მოქმედება და დაესმის კითხვა **იმოუშ?** რით? **ბერგ-უშ** აბერგე — „თოხით თოხნის“; **იმოუშ** აბერგე? — „რით თოხნის?“ **ბერგ-უშ** „თოხით“; **ჩაუ-უშ** ანვად — „ცხენით მოვიდა“; **იმო-უშ** ანვად? — რით მოვიდა? — **ჩაუ-უშ** — „ცხენით“.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მოქმედებით ბრუნვას, ბრუნვათა რიგში, ბოლო ადგილზე ათავსებს (ვ. თოფურია, მ. ქალდანი), ნაწილი — მეოთხე ადგილზე: სახელობითი, მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვების შემდეგ (თ. შარაძენიძე, ი. ჩანტლაძე). ბოლოდან მეორე ადგილზე ვითარებითი ბრუნვის წინ (ზ. ჭუმბურიძე, ა. ონიანი).

მოქმედებითი ბრუნვა ქართველურ ენებში ერთ-ერთ ძველ ბრუნვად ითვლება ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვების შემდეგ.

საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სვანურში სახელთა ბრუნების სხვადასხვა ტიპებია გამოყოფილი და აღნიშნულია, რომ ყოველ მათგანში მოქმედებითი ბრუნვა ერთნაირად გამოიხატება. ბრუნვის ოთხივე სისტემაში გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის **-უშ** ნიშანი, ან მისი შებრუნებულნი **-უშ** ვარიანტი.

ვ. თოფურია მოქმედებითი ბრუნვის ძირითად, ამოსავალ ნიშნად მი-

იჩნევს **-შუ** მორფემას და ფრჩხილებში იქვე მიუთითებს **-ჟუ** ფორმასაც. ეს ვარაუდი ემყარება მორფემის წარმომავლობას. „საფიქრბელია, რომ მოქმედებითი წარმოშობილია ნათესაობითისაგან. საერთო ელემენტი **-შ**. **-ჟ**'ს ახსნა ძნელი არ უნდა იყოს. ამიტომ მეცნიერი მოქმედებით ბრუნვას მეორეულად მიიჩნევს (თოფურია 2002, 51). სვანური მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი შეიცავს მიცემითის **-ჟ**'სა და ნათესაობითის **-შ** ფორმანტებს? თ. შარაძენიძე კითხვის ნიშანს სვამს და აგრძელებს: „მაშინ მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსის სახე იქნებოდა **-ჟუ** < **ჟ—შ**. ხოლო **-შუ**, **-ჟუ**-საგან მეტათეზისის გზით ჩანს მიღებული შდრ. **თეკჟ** < **თჟეკ** < თოკი (შარაძენიძე, 1961, 222).

არსებობს სხვა მოსაზრებაც. გ. თოფურია მოქმედებითი ბრუნვის **-ჟ** ელემენტს უცილობლად მიცემითი ბრუნვის **-ჟ** ნიშნისაგან მომდინარედ თვლის. ხოლო **-შ** ნათესაობითის ფორმანტისეული ელემენტი კი არა, არამედ იგი ნაშთია **-შდ** კომპლექსისა, რომელიც ქართულ-სვანურ ბგერათმეცნიერებათა სისტემაში **თ**'ს ადგილს იჭერს. თხილი შდრ. **შდის**, თავუ-**შდუგუ** და სხვა. მაშასადამე ***-ჟ-შდ** > **-ჟუ** კომპლექსის გამარტივებით, > **|| -შუ** მეტათეზისით. მაგ.: **ბან** „ქვა“, ***ბან-ჟ-შდ** > **ბან-ჟუ** (თოფურია 1977, 112). ამ დებულებას სერიოზული დაბრკოლებები ახლავს, რომელთა შესახებაც მიუთითა, თვით გ. თოფურიამ, გ. კლიმოვმა და ა. ონიანმა.

ა. ონიანის თვალსაზრისით მოქმედებითი ბრუნვის მორფემის ამოსავალი ვარიანტი მოცემული უნდა იყოს ხმოვნების მომდევნო პოზიციაში, რადგანაც ხმოვნისა და თანხმოვნის მიმდევრობა უფრო თავისუფალია, ვიდრე — თანხმოვნებისა... მოქმედებითი ბრუნვის მორფემის არქტიპად **/-ჟუ/** უნდა მივიჩნიოთ, ამ დებულებას მხარს უჭერს ისიც, რომ თანხმოვნების მომდევნო პოზიციაშიც, ზოგჯერ თავისუფლად მონაცვლეობს **-ჟუ** ვარიანტი და, რომ **-ჟუ** > **-შუ** თანამედროვე საფეხურზეც არ არის დასრულებული, რაც სარწმუნოს ხდის დებულებას, რომლის მიხედვითაც მოქმედებითი ბრუნვის მორფემის არქტიპი სვანურში არის **-ჟუ** (ონიანი, 1989, 198).

ბ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, „მოქმედებითი ბრუნვა სვანურ ბრუნვათა შორის გამოირჩევა ალომორფთა სიმცირით და ნაკლები ფუნქციური დატვირთვით“. მოქმედებითი ბრუნვის ალომორფად ასახელებს **-შუ** ვარიანტს და მას პირველ ადგილზე ათავსებს: **-შუ/-ჟუ** (ჭუმბურიძე 2007, 94).

დღევანდელი სვანურის ყველა დიალექტში, როცა მოქმედებითი ბრუნვის ფუნქცია მოქმედების იარაღის გამოხატვაა, ძირითადად **-ჟუ** ან

-**შუ** ალომორფებია გავრცელებული. მათი გამოვლენა დამოკიდებულია სახელის ფუძის როგორობაზე. თანხმოდანზე დაბოლოებულ სახელებთან მთელ სვანურში ძირითადად -**შუ** ფორმატი გვაქვს, რომელიც მიჩნეულია -**ჟ**'ს მეტათეზისით მიღებულიად -**ჟუ** ვარიანტისაგან. ხმოვანფუძიან სახელებთან კი, -**ჟუ** ალომორფი დასტურდება. თუმცა გვხვდება მათი გამოყენების აღრევაც. საინტერესოა ამ მხრივ რა ვითარებაა დიალექტების მიხედვით?

აქვე შეიძლება ვთქვათ, რომ ბალსხემოურში თანხმოდანზე დაბოლოებულ სახელებთან, მცირე გამონაკლისის გარდა, ამოსავალ ვარიანტად მიჩნეული -**ჟუ** ალომორფის -**ჟ** ელემენტი მეტათეზისით, გადასულია აუსლაუტში.

ბალსხემოური: ღერბეთ მწლიან, ჯეგრწლდ ნებიერ **ფუკჟარ-შუ**, **ზედაშ-შუ** ი **სეფსკჟერ-შუ**... (ბზ. ქრ. 7) „ღმერთო მადლიანო, გევედრებით ნებიერი ვაცებით, ზედაშით და სეფისკვერით“... დაბს იყურყუტეს **ნა-შხატ-შუ** (ბზ. ქრ. 118) „ყანას ილობავენ ღობით (ღობე-წნულით)“; ქადდე **კოლეფ-შუ** შდატლჳრ (ბზ. 277, 3) „გაიყვანა ყუთით მერცხლები“; ხაკუ ამი ლორმი **ტოტ-შუ** (ბზ. ქრ. 62) „უნდა ამის დაჭერა ხელით“.

არის შემთხვევები, როცა მოქმედებით ბრუნვაში მხოლოდ -**შ** თანხმოდანია სახეზე -**ჟ** სონანტი კი, დაკარგულია. ჰჳში **ჯაჟრ-შ** < **ჯაჟრ-შუ** შდემ დესა ხესმი (ბზ. ქრ. 163) „ჰმრის დარდით (ჯავრით) ყურს არ ესმის“; ჰამს გოში ხი... **ჟოქჟრ-შ** (ბზ. ქრ. 69) „დილით საგსე ხარ ოქროთი“. იმ სახელებთან, რომელთა ფუძე **ჟ** სონანტით ბოლოვდება ბრუნვის ნიშნისეულ -**ჟ** იკარგება. **ლანგაჟ-შ** აჟელე (ბზ.) ცოცხით ხვეტავს“; შდრ. **ლანგაჟ** „ცოცხი“; **ჯაყჟ-შ** აცნრე. შდრ. **ჯაყჟ** (ბზ.) „ჯაყვით ფცქენის“. ამგვარი შემთხვევები სხვა დიალექტებშიც შეინიშნება.

ბალსჰემოურ დიალექტში, თანხმოდანზე დასრულებულ სახელებთან, ბრუნვის ნიშნისეაული -**ჟ** თითქმის ყოველთვის გადასულია აუსლაუტში. მაგ.: ხჳაშყუდიდ **ლიც-შუ** (ბჰ. ქრ. 206) „ვრეცხავთ წყლით“; არაყს ჯიდეს **სტამანარ-შუ** (ბჰ. ქრ. 182) „არაყი მოაქვთ ღოქებით“; წყელიან **კირენ-შუ** დიდაბუ ადჳედა ჯგერაჳს! (ლხმ.) „წმინდა კელაპტრით დიდება მოგსვლოდეს წმინდა გიორგის! „ამის **ყარ-შუ** აშგის (ბჰ. ქრ. 199). „ამას ყავრით ხურავენ“; **მაიდ-შუ** იდგარი (ბჰ. ქრ. 227) „შიმშილით კვდება“. ბალსჰემოურში, როცა სახელი -**ჟ** სონანტით ბოლოვდება მოქმედებით ბრუნვაში ფუძისეული და ბრუნვის ნიშნისეული -**ჟ** ორივე შემონახულია: **ჩაჟ-შუ** მა-

დეი **ჩელტუშ** შგილქა ხადისგხ (ბქ. ქრ. 197) „ჩეოთი ან ჩელტით სხვენზე დებენ“; ლევდე ხარხ **საჟ-შუ** (ბქ. ქრ. 203) „მოსატანი აქვთ მარხილით“.

ლაშხურ დიალექტშიც თანხმოვანზე დასრულებულ ფუძეებთან უმეტესად ბრუნვის ნიშნისეული -**ჟ** გადასულია აუსლაუტში **ტგტ-შუ** ანგომ-ლე (ლშხ. IV, 87, 3) „ნაცრით გაავსო“; ჩოხრეკა **წირხ-შუ** (ლშხ.) „ჩამოუკიდია დვლეჭით“; **სპილენჯ-შუ** ცხუადუარ ანსყალეს (ლშხ. IV, 208) „სპილენძით საარაყე ქვაბები გააკეთეს“; ქორალ **კარალ-შუ** ლიხ ლენშე (ლშხ. IV, 51, 36) „სახლები ფიქალი ქვებით არის გადახურული“; -**ჟ** ელემენტის მეტათეზისი უმეტესად განხორციელებულია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა თანხმონის მომდევნოდ მოქმედებითი ბრუნვის -**ჟ** ვარიანტიც გვხვდება. მინე **შინ-ჟ** ხოშკადდახ... (ლშხ. IV, 47, 4) „თავისი ნახშირით უჭედავდენ“; ლობილარ **გაკ-ჟ** ლესყე (ლშხ. ქრ. 237) „ლობიანები ნიგვზით გაკეთებული“.

ლენტეხურ დიალექტშიც თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან მოქმედებით ბრუნვის მორფემისეული -**ჟ**ს მეტათეზისი მომხდარია: **ლაფცხირ-შუ** ამშაქხ (ლნტ. ქრ. 297) „ფოცხით მუშაობენ“; ათოლაბეხ აქლემ **ვერცხლ-შუ** (ლნტ. ქრ. 322) „დაუტვირთეს აქლემი ვერცხლით; ახაჭემა **ლაჯერ-შუ** (ლნტ. 133, 20) „გამოჰკიდებია ცოცხით“; **ტუფ-შუ** ჩუადღლშე კარაჟ (ლნტ.) „ტყავით გადახურა კარავი“.

პროცესი ბრუნვის ნიშნისეული -**ჟ**ს მეტათეზისისა ყველა დიალექტში არ არის დასრულებული. მაგალითად ლაშხურში, როგორც ზემოთ ვნახეთ, თანხმოვანფუძიან სახელებთან -**ჟ** ალომორფიც დაფიქსირდა. აქვე შეიძლება აღინიშნოს ბალსქვემოურის ლახამულურ, ცხუმარულ და ლენტეხურის ჩოლურულ თქმაში თანხმოვანფუძიან სახელებთან ძირითადად, მოქმედებითი ბრუნვის -**შ** ვარიანტი დასტურდება.

ლენტეხურ დიალექტში თანხმოვანფუძიან სახელებთან განსაკუთრებით, ხელედის ხეობაში ჩაწერილ ტექსტებში, ხშირად შეგვხვდა მოქმედებით ბრუნვაში მხოლოდ -**შ** თანხმოვანი, სადაც -**ჟ** სონანტი აუსლაუტში დაკარგულად ივარაუდება. მაგ.: **ჭიშხ-შ** < **ჭიშხ-შუ** ამევედელი (ლნტ. ქრ. 334) „ფეხით მოსულა“; ლქენთრინე **კეტ-შ** < **კეტ-შუ**... (ლნტ. ქრ. 335) „გახურებული კეტით“; **კუიდოლ-შ** < **კუიდოლ-შუ** ჩუასგგე ფექ (ლნტ. 116, 26) „გოდრით დადგა ფეკილი“; დეშ ათირ **აბრეშუმ-შ** < **აბრეშუმ-შუ** ლეგარე (ლნტ. ქრ. 323) „ვერ იცნო აბრეშუმით შემოსილი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ზოგჯერ მოქმედებით

ბრუნვაში მრავლობითი რიცხვის **-არ/-ალ** სუფიქსები უმლაუტის გარეშე გვხვდება. ამ მოვლენის სიხშირის მიხედვით არაა ერთგვარობა დიალექტებს შორის. ბალსზემოურში უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე ლენტეხურში. ხოლო ბალსქვემოურში მრავლობითი რიცხვის უმლაუტის მოშლა, აღნიშნულ პოზიციაში არ დადასტურდება.

ბალსზემოური: **შდგქ-არ-შუ** (შდრ. შდიქარ) ხაფცხე (ბაზ. ქრ. 120) „კბილებით აცლის“; **ფაკნ-არ-შუ** (ფაკნ-არ) ჩუ ხოგემხ (ბზ. ქრ. 121) „ჯამებით უდგამენ“; სგა ხეგნის **ფიწლ-არ-შუ** (ფიწლ-არ) ი. **ორთით-არ-შუ** (ბზ. ქრ. 123) „მიადგებიან ფიწლებით და ორთითებით“; შდგქართეჟი **ქეშხ-არ-შუ** ანტიკ (მაცლან) (პოეზ. 92, 62) „კბილებამდის ფეხებით მივიტანე (მუგუზალი).

ლენტეხური: ქაჯაკუბტე **შტიქ-არ-შუ**... (ლნტ. ქრ. 317) „მოგაკგენტ კბილებით“; **ბაყაყ-არ-შუ** გვეში ლოქ ლი... (ლნტ. ქრ. 322) „ბაყაყებით საესეაო“; ჟანხოჩაჟე ჟაგარალშუ (ლნტ.) „მოარჩინა წამლებით“. მრავლობითი რიცხვის (**ა < არ/-ალ**) მორფემის უმლაუტის მოშლის შემთხვევები მოქმედებით ბრუნვაში, ხშირად შეგვხვდა ლენტეხური დიალექტის ხელედურის ხეობაში ჩაწერილ ტექსტებში. მაგრამ, უუმლაუტო ვარიანტების გვერდით არის უმლაუტიანი ფორმებიც.

მ. ქალდანი ამ მოვლენის შესახებ წერს: **ჟ** სონანტი არა მარტო აბრკოლებს წინამარცვლისეულ ხმოვანთა პალატალურ უმლაუტს, არამედ უმლაუტიანი ხმოვნების დეუმლაუტიზაციასაც იწვევს. სახელთა ბრუნების დროს უმლაუტი გატარებულია თითქმის ყველა ბრუნვაში, გარდა მოქმედებითისა. ამის მიზეზი ნათელია, აღნიშნავს მეცნიერი, როგორც მიცემითის **-ჟ** ისევე მოქმედებითი ბრუნვის **-ჟ** (< **-შუ**) ელემენტი იწვევს ზემოთ აღნიშნულ მასალაში **-ა** ხმოვნის დეუმლაუტიზაციას (ქალდანი, 1969, 102).

ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული **-ჟ** (< **-შუ**) სახელის ფუძისეულ თუ კონფიქსისეულ ბოლო ხმოვნებში ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს, განსაკუთრებით, ზემოსვანურ დიალექტებში. ქვემოსვანურში აღნიშნულ პოზიციაში ცვლილებები იშვიათად ხდება.

ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში სახელის ბოლო **-ა** და **-ე** ხმოვნები **-ჟშ**ს **-ჟს**ს გავლენით, ასიმილაციით **-ო**დ იქცევა და თვითონ ხშირად იკარგება. მაგ.: ქაღზგზე **ძალო-შ** < **ძალაჟშ** (ბზ. ქრ. 165) „გაგზავნა ძა-

ლით“; ამის ყელზე... **კაჩლაგნო-შ** < **კაჩლაგნა-ჟუშ** (ბზ. ქრ. 182) „ამას ამბობენ ფეხზე დგომით“; მირზა **დაშნო-შ** < **დაშნა-ჟუშ** ჯედვჭინალე (პოეზ. 86, 66) „მირზა დაშნით დაგდევს“; **კარჟო-შ** < **კარჟა-ჟუშ** ითქს ხომღე (ბზ. ქრ. 119) „გოდრით მარცვალს უყრის“; ანცტე დინა **გუდრო-შ** < **გუდრა-ჟუშ** (ბზ. 432, 25) „მოიკიდა გოგო გოდრით“.

იგივე პროცესი მიმდინარეობს ბალქვემოურის უმეტეს კილო-თქმებში: ხალხს **უჩხო-შ** < **უჩხა-ჟუშ** ჩუაბუა (ბქ. ქრ. 191) „ხალხს წვიმით გააძღებდა“; მიჩა **გამშო-შ** < **გამშა-ჟუშ** ლახმედა (ბქ. ქრ. 191) „თავისი ძალით მიშველებია“; მარე **ძალო-შ** < **ძალა-ჟუშ** ჟ'ოხგენა (ბქ.) „კაცი ძალით აუყენებია“; **მუჯრო-შ** < **მუჯრა-ჟუშ** ლაბინე კოჯქა ლიზი (ბქ. 84, 2) „მუჯროთი (რკინის ბუნიკიანი ჯოხით) დაიწყო კლდეზე რგასვლა“.

ბალსხემოურში სახელის აუსლაუტის ეხმოვანი მოქმედებით ბრუნვაში ჟ'ს გავლენით -ო'დ იქცევა და თვითონ ხშირად იკარგება. არის შემთხვევები, როცა ბრუნვის ნიშნისეული -ჟ' გადასულია სიტყვის ბოლოს. მაგ.: **ლგჯო-შ** < **ლგჯე-ჟუშ** აბრალი ჩნრხას (ბზ. 11, 13) „რძით ბანს ქვას“; **თუეთნო-შუშ** < **თუეთნე-ჟუშ** ლი ლგრეჟუ (ბზ.) „თეთრებ-ით (თეთრით) არის შემოსილი“; **ფხულო-ჟუშ** ...ქაქს სგა იდესგინ უშქუთე (ბზ. ქრ. 19) „ითით ფაფას პირში იდებენ“.

ძირითადად ასევეა ბალსქვემოურში: ეშხუ **ლარო-შუშ** < **ლარე-ჟუშ** ინზჟერი ჭემს (ბქ.) „ერთი სათიბით იგროვებს თივას“; მუხტუელიდშო **ბალო-შუშ** < **ბალე-ჟუშ** ხოჟგერის ლგქანჩს (ბქ. ლხმ.) „მრავალძარღვას ფოთლით წამლობენ დაჭრილს“;

ღუესო-შ < **ღუესე-ჟუშ** აწყენ ყანცლარს (ბქ.) „ბადექონით აცხოვრებ ქონიან პურებს“ შეგვხვდა მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის წინ -ე ხმოვანი უცვლელად. ნეხმდარ **მინე-ჟუშ** იხგეხ ლიდიარალს (ბქ. ქრ. 203) „თიკნები თავისით იწყებენ ჭამას; ლობიოს ხურხი **ჟგშხე-შუშ** (ბქ. ქრ. 206) „ლობიოს გქნი ლაფერთხით“.

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარული კილო-კავი. აქ მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის წინა -ა და -ე ხმოვნები ხშირად უცვლელად გვხვდება, მაგრამ შეიძლება -ო'დაც იქცეს. **ძალა-შუშ** ანვიდ (ცხუმ.) „ძალით მოიყვანეს“; პარალელურად შეიძლება **ძალო-შუშ** ფორმაც შეგვხვდეს. **გამშო-შუშ** || **გამშა-შუშ** ჟი მანწრე (ცხუმ.) „ძალით (ღონით) მერევა“. აღსანიშნავია ცხუმარულის ერთი თავისებურებაც - ა ბოლოხმოვნიან სახელებთან მოქმედებითი ბრუნვის მორფემის წინ თავს

იჩენს -შ-თანხმოვანი. მაგ.: **ძულტა-შ-შუ** აჩად (ცხუმ.) „ზღვით წავიდა“; **ბა-ბა-შ-შუ** ი **გიგა-შ-შუ** იფმდრალ (ცხუმ.) „ბაბუით და მამიდით ტრაბახობს“; **ცხემა-შ-შუ** ი **ქემა-შ-შუოლუ** ლახგენენად კანდას (ცხუმ.) „ზრდით და მატებით მიდგომოდეთ ახალ წელს“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ მოქმედებითი ბრუნვის ორი ნიშანი გვაქვს. იყო **ქემა-შუ**... ასეთი ფორმები დასტურდება ბალსქვემოთრში -**ჟ** დაიკარგა, რაც ხშირად ხდება სხვა კილოთქმებში და შემდეგ კვლავ დაერთო -**შუ** მორფემა.

ცხუმარულში -**ე**-ზე დაბოლოებული სახელებიც შეიძლება ორი ფორმით შეგვხვდეს. ხან ბოლო -**ე** -**ო**შია გადასული, ხანაც უცვლელად რჩება. **ბალე-შუ** || **ბალო-შუ** ლგმონშე (ცხუმ) ფოთლით დახუნძლული“; **თუეთნენ-შუ** || **თეთნო-შუ** ლი ლგრექუ (ცხუმ.) „თეთრებით არის შემოსილი“; **ლისგურე-შუ** || **ლისგურო-შ** დემ ისყი (ცხუმ.) „ჯდომით არ კეთდება“; **თხერე-შუ** || **თხერო-შუ** გუეში ცხეკ (ცხუმ.) „მგლით სავსე ტყე“; **ლგჯე-შუ** || **ლგჯო-შუ** იბრალ (ცხუმ.) „რძით ბანაობს“; **ფხულე-შუ** || **ფხულო-შ** კუიშე (ცხუმ.) „თითით ტეხს“. იმ შემთხვევაში, როცა ბოლო -**ა** **ო**დ იქცევა მოქმედებითი ბრუნვის -**ჟ** ელემენტი უფრო ხშირად იკარგება, ვიდრე -**ა** და **ე** ხმოვნების არსებობის დროს. შეიძლება ითქვას, რომ ცხუმარული, მაინც ფუძისეული, ბოლო -**ა** და -**ე** ხმოვნების უცვლელობას ანიჭებს უპირატესობას.

ქვემოსვანურ დიალექტებში ლაშხურსა და ლენტეხურში -**ა**-ზე დასრულებული სახელები -**ჟუ** მორფემის დართვისას უმეტესად უცვლელად რჩება. მაგ.: ლაშხური: ჩუანგუის **კა-ჟუ** (ლშხ. IV, 50, 24) „გადახურავენ ფიქალი ქვით“; ცინციბურს ასყის ვიჯი **გარვაშა-ჟუ** (ლშხ. IV, 50, 24) „ავგაროხს აკეთებენ გველის პერანგით“; **ჯეჯლორა-ჟუ** მუცტალე დაბისა (ლშხ. IV, 273, 24) „ჯეჯლით მობიბინე ყანაში“; ყორალ **მიჩა-ჟუ** ოხგა (ლშხ. ქრ. 250) „კარი თავისით გამოუხურავს“.

როგორც სახელის ბოლო -**ა**, ისე მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი უცვლელად გვხვდება ლენტეხურშიც. ჟანკიდ **შუშა-ჟუ** ლიც (ლნტ. ქრ. 335) „აილო შუშით (ბოთლით) წყალი“; **ნაჭა-ჟუ** ახორეკა (ლნტ.) „ჯაჭვივით ჩამოუკიდა“; **უჩნა-ჟუ** მგძლირ ანჯად (ლნტ.) „წვიმით სველი მოვიდა“. შეგვხვდა -**ა**-ზე დაბოლოებულ სახელთან -**ჟ** დაკარგული ვარიანტიც მარე **ძა-ლა-შ** ათხოა (ლნტ. III, 186, 20) „კაცი ძალით წაუყვანია“.

ლენტეხურში -**ე**-ზე დაბოლოებული სახელები მოქმედებით ბრუნვაში უმეტესად უცვლელად დასტურდება, არც ბოლო ხმოვანი იცვლება და

ბრუნვის ნიშნისეული -ჟ'ც მეტათეზისს არ განიცდის: ბგვი **ლეთრე-ჟშ** ადაშტგმე (ლნტ.) „მაგარი სასმელით დაათრო“; **ფხულე-ჟშ** აჩხირკა გიმს (ლნტ.) „თითით ჩხრეკდა მიწას“; **ლიმედე-ჟშ** დარს იმის ხემედე (ლნტ.) „დამადლებით არავის არაფერს ამადლის“; **ღალე-ჟშ** ახოკუარა უისკუ (ლნტ.) „ფრთით ჩამოუგდია ვაშლი“.

-ა და -ე ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელი ქვემოსვანურში თავისებურებას ავლენენ. ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვის -შჟ ნიშანსა და სახელის ბოლო ხმოვანს შორის -ჟ- სონანტი ჩნდება. მაგ.: **ძალა-ჟ-შჟ** ათძი-ალნე თხუმ (ლშხ. 93, 15) „ძალით დააკვლევიან თავი“; სემი ლადლი **ჟადა-ჟ-შჟ** ფუმდე (ლშხ. IV, 82, 33) „სამი დღის ვადით უშვებს“; ეშხუ **ნაგა-ჟ-შჟ** სგობდ (ლშხ. ქრ. 236) „ერთი კვირის (კვირით) წინ“; (ფაუს) თხტიმს ქა ხოსკრე **კადა-ჟ-შჟ** (ლნტ. ქრ. 297) „ჯოხს თავს წაუწვეტებს ნაჯახით“; ეშხუ თჟეა **ჟადა-ჟ-შჟ** (ლნტ. ქრ. 299) „ერთი თვის ვადით“.

ლაშხურსა და ლენტეხურში ზოგი სახელის ბოლო -ე ხმოვანი მოქმედებით ბრუნვაში -ა'დ იქცევა. ა'სა და ბრუნვის ნიშანს შორის -ჟ- სონანტი ჩნდება. ლაშხური: ლახაგან **ღჟესა-ჟ-შჟ** (***ღჟესე-ჟშ**) გომი კეცს (ლშხ. IV, 86, 30) „მიადგა ბადექენით სავსე ქვევრს“; ჟიჟ ანგომლეხ **ღგჯა-ჟ-შჟ** (**ღგჯე-ჟშ**) ცხუად (ლშხ. IV, 90, 31) „აავსეთო რძით საარაყე ქვაბი“.

ლენტეხური: **ღგჯრა-ჟშ** < **ღგჯრე-ჟშ** გჟეში კალანთ (ლნტ.) „კვერცხით სავსე კალათი“; **ფხულა-ჟშ** < **ფხულე-ჟშ** ილოკე თჟის (ლნტ.) „თითით ლოკავს თაფლს“; **ბალა-ჟშ** < **ბალე-ჟშ** ლგლაფარე დაბ (ლნტ.) „ფოთლით დაფარული ყანა“. ქვემოსვანურიში წარმოდგენილი ცვლილება -ე ბოლოხმოვანიან ზოგ სახელს ახასიათებს და ისიც არა ყოველთვის. როგორც ცნობილია, აღნიშნული მოვლენა თავს იჩენს მიცემით ბრუნვაში -ე ბოლოხმოვანი იცვლება -ა'დ. მიცემითი ბრუნვის ბოლო -ა ხმოვანიან ვარიანტი ფუძედ არის გამოყენებული: მოთხრობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში:

- ლაშხური სახ. მარე
- მიც. მარა-ს
- მოთხ. მარა-დ
- მოქმ. მარა-ჟ-შჟ
- ვით. მარა-დ

ეს ვარიანტი ბრუნებისა თ. შარაძენიძის მიერ გამოყოფილ ბრუნების IV ტიპს განეკუთვნება. სახელობითი ბრუნვის სახელის ფუძის ბოლო -ე

ხმოვნის მიცემითში -ა'დ შეცვლა და მიცემითი ფორმის გამოყენება სხვა ბრუნვებში, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი.

ზემოსვანურ დიალექტებში მოქმედებითი ბრუნვის ალომორფის წინამავალ პოზიციაში -ი ხმოვანი ხან -ო'დ არის ქცეული, ხანაც უცვლელად რჩება.

ბალსხემოური: მიჩა **ნალგმაშო-შ** < **ნალგმაში-ჟუშ** დემ ლემგიჭტინ თხტიმს (ბზ. ქრ. 88) „თავისი სიძლიერით (ლონით) ვერ იკავებდა თავს“; **ნამერთალო-შ** < **ნამართალი-ჟუშ** სოფალჟუმ ანხუტდ! (პოეზ. 60, 2) „გულკეთილობით (მთელი სოფელი ამოწყდით!“ აქ ორივე შემთხვევაში მოქმედებით ბრუნვიანი სახელი მიზეზის გარემოებას გამოხატავს. ქემრალ ლხჩქი **კერი-შჟ** ადკოცნე (სვან. ლექს.) „ცრემლები თავსაფრის ყურით მოიწმინდა“; გხ ლექტუნე ლი ტაფ **ში-ჟუშ** (ბზ. ქრ. 36) „დანა ასაგდებია ხელის გულით“; წგრნი **ლაღვი-ჟუშ** ლას ლგლავ (ბზ.) „წითელი საღებავით იყო შეღებილი“; კიბდჟენ **ლაფრი-ჟუშ** ლას ლგლფარ (ბზ.) „კიდობანი ხუფით იყო დახურული (დაფარული)“; **კი-ჟუშ** აჭუბერეს ვურუაშლს (ბზ.) „ფიჭვის ქერქით გმანავენ ხვრელებს“.

ბალსქვემოური: ხალხ ლუხორთეი **ლანსი-შჟ** გარ ვედნი (ბქ. ქრ. 181) „ხალხი თავყრილობაზეც (შეკრებაზეც) მხოლოდ დაპატიჟებით მოდის“; მგჟირ **ლაუხი-შჟ** ამგუენ (ბქ. ქრ. 199) „სველი ნიჩბით ასწორებენ“; ხოჩა ზან ენცად... მარემ **ნაშდობო-შჟ** < **ნაშდობი-ჟუშ**, ქუთინლემგენემ **ნაფშირო-შჟ** < **ნაფშირი-ჟუშ**, ზამი **ნაუზერო-ჟუშ** < **ნაუზერი-ჟუშ** (ბარდაველიძე, 1936, 125). „კარგი წელი შეგვიცვალე ადამიანის სიმშვიდით, საქონლის (სულდგმულის) სიმრავლით, წლის სიუხვით“; ლებიას ქა ხუიხური **ფაკნი-შჟ** (ბქ. ქრ. 206) „ლობოს ოგამოუკრიფავ ჯამით (ჯამში)“; **ნამჩო-შ** < **ნამეჩი-ჟუშ** ვასგ ყიალექვა ესუეზი (ლხმ.) „სიბერით ჭალარა ყელში ჩასდის (იტყვიან ასაკოვან ადამიანზე)“.

ზემოსვანურ დიალექტებში დაფიქსირდა ორიოდ შემთხვევა, როცა აუსლაუტის -ი ხმოვანი მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის წინა პოზიციაში -ჟ'დ იყო ქცეული. მაგ.: ნაჟ **თგმუ-შ** < **თგმი-ჟუშ** გარ ახვგვანდ (ბზ. ქრ. 150) „ჩვენ სიმწრით გამოვძვერით“; (თხტიმ) მეზგუნოლდა **მუცხუ-შ** < **მგცხი-ჟუშ** (ბზ. ქრ. 147) „თავი მტკივდებოდა სიცივით“. წჟილ... მიჩა **შუ-ჟუშ** < **ში-ჟუშ** ხაჭიმინე წჟლიშ კათხს (ბქ. ქრ. 177) „პატარძალი თავისი ხელით მიაწოდებს (ჩამოაყოლებს) პატარძლის კათხას“.

ლაშხური: კენდილ... **მგცი-ჟუშ** ი მაიდშჟ (ლშხ. ქრ. 25) „ვწყდებით

სიცივით და შიმშილით“. ქა ხეცხპენის ქორს **ლიმზირი-ჟუშ** (ლშხ.) „შემო-
უვლიან ირგვლივ სახლს ლოცვით“; ემხუ **ში-ჟუშ** ლოქ ოხსყა ამჟუმ ქორ
(ლშხ.) „ერთი ხელით გავაკეთეო ამხელა სახლი“; **თემი-ჟუშ** ქიმრალ ანშიდ
(ლშხ.) „სიმწრით ცრემლები ჩამოყარა; „ეჯიარ კუმში **ნაფშირი-ჟუშ** ჩის ხას-
რეხ (ლშხ.) „ისინი საქონლის სიმრავლით ყველას სჯობნიან“.

ლენტეხური: **წანი-ჟუშ** გუმეი ლი აზუ (ლნტ.) „კუდაბალახათი სა-
გსეა ეზო“; ლახტჳარ **ბგრი-ჟუშ** ლიხ ლგლაფჳარე (ლნტ.) „მთები ნისლითაა
დაფარული; **გუმე-ჟუშ** ხეკუად აგხენ ლიზი (ლნტ.) „გულით უნდოდა სა-
ხლიდან წასვლა“. ლენტეხურში ლექსემა **ნაღარიბი** „სიღარიბე“, მოქმედე-
ბით ბრუნვაში აუსლაუტის **-ის** ნაცვლად **-ო** ხმოვნით შეგვხვდა, რაც ლენ-
ტეხურისათვის არ არის დამახასიათებელი. თემი ახაწედახ **ნაღარიბო-შ**
(ლნტ. ქრ. 321) „გასაჭირი დასდგომიათ სიღარიბით“.

-ო და **-უ** ხმოვნებზე დასრულებული სახელები ნაკლებად გვხვდება
სვანურში. ქართულიდან ნასესხები **-ო** ბოლოხმოვნისანი სახელები თანხმო-
ვანფუძიანები ხდებიან. და თუ შეგვხვდა ისინი მოქმედებით ბრუნვაში დია-
ლექტების მიხედვით **-ჟუშ** ან **-შუჟ** ალომორფებს დაირთავენ. ლობიო-შ
მზბზარ ბოფჳარ (ბზ.) „ლობიოთი მადლარი ბავშვები“; **გაგო-შ** გუმეი ლი
ცხეკ (ბზ.) „გუგულით სავსეა ტყე“; **კონტო-ჟუშ** გოში ლი ფეჟუ (ლშხ.) „ვა-
რიებით სავსეა ეზო“; ზურალ **სედლო-ჟუშ** ხესგჳარი ჩაჟს (ლშხ.) „ქალი
სედლოთი ჯდება ცხენზე“. **ბალქო-ჟუშ** იმტაბნეხ თხუმს (ლნტ.) „კარტით
ირთობენ თავს“; ხოჩა მესყე **ლობიო-ჟუშ**... (ლნტ.) „კარგად გაკეთებული
ლობიოთი“.

-უზე დასრულებული სახელები უმეტესად უცვლელად რჩება მოქმე-
დებით ბრუნვაში. მაგ.: მიჩა **ცხუ-ჟუშ** მზგ ჟანჳკიჟ (ბზ. ქრ. 89) „თავისი ის-
რით ყველა ამოწყვიტა“; „ათუ **ჭურუ-ჟუშ**“ იყმი (ბზ.) „ცხელი უსაფუარო
პურით იხრჩობა“; თეთნე **ნეფჳუ-შუჟ** იზელჳლ (ბქ.) „თეთრი ურებით და-
დის“; დემდჳარ **ბჳრდუ-ჟუშ** ილგარის (ლშხ.) „დათვები დუციით სუქდები-
ან“. **თუ-ჟუშ** გოში კეც გჳრგ (ლშხ.) „თაფლით სავსე ქვევრი გვიდგას“;
ჟუნტუ-ჟუშ გოში კალათ (ლშხ.) „ზღმარტლით სავსე კალათი“; ლიც **ტუ-
ნუ-ჟუშ** ანჯიდ (ლნტ.) „წყალი ქოთნით მოიტანა“; **მურგუ-ჟუშ** ლიხ მზბზარ
(ლნტ.) „თამელით არიან მადღრები“; ქანტჳამ **ფა-ჟუშ** (<ფაჟ-ჟუშ) თხერეს
(ლნტ. ქრ. 344) „გამოეკიდა ჯოხით მგელს“.

ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებითი ბრუნვის ალომორფთა შორის
გამოვყოფთ **-ჟუშ**, **-შუჟ** ვარიანტებს. **-ჟუშ** ნიშანი, სვანური პოეზიის გამოქვეყ-

ნებულ ტექსტებში ხშირად გვხვდება თანხმოდანზე დასრულებულ სახელებთან. როგორც ცნობილია, სვანურ პოეზიაში დაცულია ბევრი არქაული ენობრივი მონაცემები. საყურადღებოა, რომ პოეზიაში მოქმედებითი ბრუნვის **-უშ** სუფიქსით გამოიხატება მოქმედების იარაღი. ხოლო დღევანდელ სვანურში ამ ფუნქციით **-უშ** ბრუნვის ნიშანი არ დასტურდება. მაგ.: დათუ **ტყენ-უშ** მიდარაჯი (პოეზ. 194, 12) „დათული კეტით მიდარაჯებს“; თეთუ **თოფ-უშ** მენზუნალდა (პოეზ. 202, 1) „თეთუ თოფით (თოფს) მიმიზნებდა“; ნაზულა მიშგუი... **ზისხ-უშ** ლგლადი იროლე (პოეზ. 236, 3) „ჩემი კვალი სისხლით შედებელია“; თხერილს ჩინჩუილ **კანფ-უშ** ხულჟე (პოეზ. 274, 5) „მგელს ჩვილი კბილებით (კბილებში) აქვს“. არის შემთხვევები, როცა **-უშ** ბრუნვის ნიშნის მეტათეზისია განხორციელებული. **უგრ-უშ** ისგუაჲ წყალობში! (პოეზ. 312, 4) „შენი მადლითა და წყალობით!“ **-უშ** მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის გვერდით პოეზიის ენაში ინსტრუმენტალისს უმეტესად **-უშ**, **-შუ** ვარიანტები გამოხატავენ. მაგ. ჟიჟ ხორეკა ხომა კოჯად მგრთენ **მეგარ-შუ**, მგრთენ **სკელი-შუ** (პოეზ. 46, 12) „ამოუკიდებარ დიდ კლდეზე მარცხენა მკლავით, მარცხენა წვივით“.

დღევანდელი სვანურის ბალსზემოურ და ქვემოსვანურ დიალექტებში **-უშ** ალომორფი გამოხატავს მოქმედების ვითარებას (ვითარების გარემოებას).

ბალსზემოური: იბნახ ჩუ ლივედს **ლადრანლ-უშ** (ბზ. ქრ. 20) „იწყებდნენ ჩამოსვლას სიმღერით“; ღვრდა **ლაქმ-უშ** საფლაჟთეჟი (ბზ. ქრ. 45) „საფლავისკენ სირბილით მიდიოდა“; სოფლი **ლამურჯ-უშ** ქორ ჩუადნშგხ (ბზ. ქრ. 148) „სოფლის დახმარებით სახლი გადახურეს“; ყპრს ეშხუ **ლანსპუნ-უშ** ჟაკუანე (ბზ. ქრ. 36) „ყავარს ერთი მოტრიალებით (ტრიალით) ააგდებს“; იყლურანლ **ლაცხანლ-უშ** ი **ლაგუნ-უშ** (ბზ. ქრ. 27) „მორდებიან კოცნით და ტირილით“.

ლაშხური: ჟედარდ **ლასკანლ-უშ** ადიეხ ლალე (ლშხ. ქრ. 276) „ძალღებმა ხტუნვით წაიღეს ფრთა“; ვიდეს წიფრა მორალს **ლათრინ-უშ** (ლშხ. IV, 209, 3) „მოაქვთ წიფლის მორები თრევით“; ამჟი **ლადროჟალ-უშ**... ჟანცარიელე კეც (ლშხ. IV, 87, 3) „ასე მოტყუებით ამოცალა ქვევრი“; **ლაფგნცლე-უშ** ანლრი დედე (ლშხ.) „ფაცაფუტით მოდის დედა“.

ლენტეხური: **ლაგუნან-უშ** ქადჯად დაჟარხოჟა (ლნტ. ქრ. 307) „ტირილით მივიდა დეგებამდე“; **ლაცურაჟალ-უშ**... ქანდთირნე... ტან (ლნტ. 81, 16) „ცურვით გაათრია ტანი“; ამჟი **ლაწჟალაჟალ-უშ** ქანმეჩედლის (ლნტ. ქრ. 315) „ასე წვალეებით გასულან“; **ლანკილ-უშ** ახაჟემა ნანდენარს

(ლნტ.) „კივილით გამოჰკიდებია გოგოებს“.

ბალსქვემოურ დიალექტში მოქმედების ვითარებასაც **-შუ** ალომორფი გამოხატავს. **ლალრალ-შუ** ესყახ (ბქ. ქრ. 178) „სიმღერით მიჰყავთ“; ხოჲრლუხ **ლაკილელ-შუ** ო **ლალქალ-შუ** (ბქ. ქრ. 182) „წინ მიუძღვებიან კივილით და მოთქმით“; **ლჰქინო-შუ** ანვად (ბქ.) „სირბილით მოვიდა“; **ლჰკუცალ-შუ** ლამაგან (ბქ.) „კენესით მომადგა“; **ლალრალო-შ** ქორთე ტეხნის (ბქ. ქრ. 178) „სიმღერით სახლში ბრუნდებიან“.

სვანურში **-უშ** ნიშნიანი მოქმედებითი ბრუნვა ადგილის გარემოებასაც გამოხატავს. ამ ფუნქციით ის ხშირად დადასტურდა სვანური პოეზიის ტექსტებში. მაგ.: ღერთემ **ძულარ-უშ** ვჰნ ოხზგზე (პოეზ. 10, 86) „ღმერთმა ზღვით ხარი გამოუგზავნა“; **ტუბირ-უშ** ლეჲა ჰურ ანჰუდენი (პოეზ. 298, 44) „ხევით (ხევხევ) ამოვალ“; **ზაგრ-უშ** ესღრი ისგიდრალე (პოეზ. 52, 2) „მთით მიღის იცქირება“; **მინდარ-უშ** თხეროლ ესღგრდა (პოეზ. 268, 2) „მინდვრით მგელი მიდიოდა“.

აღსანიშნავია, რომ სვანურში მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელები ღროისა და მიზეზის გარემოების გამოსახატავდაც გამოიყენება.

ლიტერატურა

ბარდაველიძე 1939 — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი (ახალწლის ციკლი), I, თბილისი, 1939.

თოფურია 1977 — ვ. თოფურია, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი, 1977.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, თბილისი, შრომები, II, 2002.

ონიანი აღ. 1989 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1989.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

ქალდანი 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, თბილისი, I, 1969.

შარაძენიძე 1961 — თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961.

ჭუმბურიძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ჭურდაძე, სვანური ენა, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 2007.

ტექსტები

სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბილისი, 1939.

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957.

სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967.

სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბილისი, 1979.

სვანური ქრესტომათია, თბილისი, 1978.

სვანური პოეზია, I, თბილისი, 1939.

Elisabed Gazdeliani

Allomorphs of the instrumental case in Svan

Summary

The paper deals with the distribution of allomorphs of the instrumental case – **wš**, - **šw**, -**š**, -**uš**, -**su** according to the type of stems. It presents the phonetic processes occurring between a word-final vowel and the said allomorphs. Data from the all four dialects and some sub-dialects of the Svan language were taken into account.

The paper identifies the allomorph of the instrumental case – **uš**, which, in the language of Svan poetry, frequently preserving grammatical features of Old Svan, denotes a tool of an action, not occurring in present-day Svan. Presently, it expresses the setting of an action in the Upper Ball and Lower Ball dialects.

რუსუდან გერსამია

ბგერწერითი ლექსიკა მეგრულ ფოლკლორულ მასალაში
და მისი ქართულ ენაზე თარგმნის სპეციფიკა¹

ცნობილია, რომ ენაში კავშირი აღსანიშნავა და აღმნიშვნელს შორის ნებისმიერია და იგი არ არის განპირობებული საგნის ბუნებით ან ხასიათით. მეორე მხრივ, თითქმის ყველა ენაში, და განსაკუთრებით არასამწერლობო ენებში, არსებობს ლექსემათა გარკვეული რაოდენობა, რომლებშიც ენის „შემოქმედებითი ბუნება არქაული ძალით ვლინდება და კავშირი აღსანიშნავა და აღმნიშვნელს შორის მოტივირებულია“ (მელიქიშვილი 1999, 78), ასეთ შემთხვევაში ლექსიკური ერთეულის სემანტიკის დადგენა შესაძლებელია ფონემურ დიფერენციალურ ნიშანზე დაყრდნობით.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ ტიპის ლექსემათა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეულები სემანტიკური და ფუნქციური თავსებადობის ნიუანსობრივ სახესხვაობებს გვიჩვენებენ. ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის არსებობა-არარსებობის საკითხზე მსჯელობისას ანგარიში ეწევა ფაქტს, რომელსაც ვ. ჰუმბოლდტი **არაპირდაპირ ბგერით წაბაძვას** უწოდებს, ჰ. პაული **ბგერების სიმბოლიკას**, ვ. ვუნდტი - **ბგერით მეტაფორას**, კლაპერტი — **სახელთა ფიზიოგნომიას**. საუბარია ცალკეული ფონემების პიქტორალურ შესაძლებლობებზე, ანდა, როგორც ხშირად იყენებენ, **ფონეტიკურ სიმბოლიზმზე**.

ყველაზე ფართო, ექსტენსიურ ტერმინად ითვლება **ონომატოპოეტური** ანუ **სმაბაძვითი ლექსიკა**. მას ვ. ჰუმბოლდტი ყოფს **სმაბაძვით** და

¹ წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ფოლკლორი და კავკასიის ხალხთა ლინგვოკულტუროლოგია“, თბილისი, 2012. მოხსენება იბეჭდება სამეცნიერო პროექტის „ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური, პრაგმატიკული ასპექტები)“ ფარგლებში.

ბგერითი სიმბოლოზმის გამომხატველ ლექსიკად, თუმცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლექსემათა ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციური თვალსაზრისით (მელიქიშვილი 1999). ს. ვორონინი არჩევს ტერმინს „ფონოსემანტიკა“ (Voronin 1982), ი. მელიქიშვილი „ფონოსემანტიკური კავშირები“ (მელიქიშვილი 1999), გ. ახვლედიანი კი ამ მოვლენის აღსანიშნავად „ბგერათა უტოლფუნქციო სახესხვაობის სემანტიზაცია“ იყენებს (ახვლედიანი 1949, 245), არის სხვა ტერმინებიც: **ექსპრესიული ლექსიკა**, **პიქტორალური ლექსიკა**, და ა. შ. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინთა სიჭრელეა და თითოეულის გამოყენება ვრცელი ლინგვისტური ანალიზიდან გამომდინარეობს, ავტორ-მკვლევართა ინდივიდუალურ მიდგომას ემყარება.

რაც შეეხება ტერმინს „ბგერწერა“, იგი ტ. გუდავამ კონკრეტულად მეგრულის ხმაბაძვით სიტყვებში არსებული ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კანონზომიერების გამოსავლენად გამოიყენა (იხ. გუდავა 1958, 15-16). აქვე უნდა დავაზუსტოთ ისიც, რომ ტ. გუდავამ ამ ტერმინით აღნიშნა მხოლოდ ის ლექსიკა, რომელიც მოძრაობას უკავშირდება, ხოლო ხმიანობისთვის გამოიყენა ტერმინი **საკუთრივ ხმაბაძვითი**.

მკვლევრის დაკვირვებით, მეგრულში სხვადასხვა მნიშვნელობის (*სიარულის, ცემის, ჭამის, ფიზიკური აღნაგობის, ცქერის თუ გამოხედვის, ლაპარაკის...*) აღსანიშნავად გამოიყენება უამრავი ისეთი ზმნური თუ სახელ-ზმნური (მასდარი, მიმღეობა) ფორმა, რომელშიც საკმაოდ გამჭვირვალეა ფონემისა და სემანტიკის კავშირი. ამგვარი სიტყვები, „გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამოხატავენ მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს...“ (გუდავა 1958, 15), მაშასადამე, რომელიმე მოქმედებას ახასიათებენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით; თუმცა აღნიშნული სემანტიკური ნიშნები ანუ სემები არსებობენ არა ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან განყენებულად, არამედ კომპლექსურად და ამ მონაცემთა მიღება მხოლოდ სემანტიკური დიფერენცირების საფუძველზეა შესაძლებელი. ამდენად, ბგერწერითი ლექსემები აღნიშნავენ „არა ცალკეულ შთაბეჭდილებებს, არამედ მთელ სურათს ან რთულ შეგრძნებებს“ (Xaritonov 1943, 63);

ტ. გუდავას მიერ დადგენილი კანონზომიერებით მყდერი ფონემებით გადმოიცემა მოქმედება ან მდგომარეობა, რომელიც უკავშირდება დიდს, უხემს, ძლიერს... ყრუ-მკვეთრებით — პატარას, ნაზს, სუსტს... ფშვინვირე-

ბით გადმოცემულ მოქმედებას ან მდგომარეობას შუალედური ადგილი უჭირავს მათ შორის (გუდავა 1958, 15-16). დასკვნა: ბგერწერითი რიგების არსებობა ემყარება დიფერენციალურ ნიშანთა მონაცვლეობას. ასეთნაირად მიიღება ენაში **ბგერწერითი კონები** (ტ. გუდავა) ანუ **ბგერწერითი ყალიბები** (ი. მელიქიშვილი).

როგორც შენიშნავენ (ფ. ერთელიშვილი, ი. მელიქიშვილი, ნ. მამისეიშვილი), ქართულ ბგერწერით ლექსიკაში ინტენსიურად არის გამოყენებული როგორც **ხმოვნითი, ისე თანხმოვნითი ბგერწერა. მეგრულში კი, როგორც ამას კვლევა აჩვენებს, მხოლოდ თანხმოვანთმონაცვლეობით მიღებული ყალიბები გვაქვს.** იგულისხმება, როგორც ცალი თანხმოვნით, ისე თანხმოვანთკომპლექსით დაპირისპირებული კონები. აღნიშნული მოდელები სტრუქტურულად ასე წარმოდგება: **C₁VC₁** და **C₁C₂VC₁C₂**. ამასთან თანხმოვნები ენეცვლებიან არა მხოლოდ ანლაუტში, არამეს ფუძის შიგნითაც.

მიჩნეულია, რომ მეგრულ **C₁C₂VC₁C₂** სტრუქტურის ძირებში თავკიდურა კომპლექსი დიაქრონიულად ასიმილაციურად არის ჩამოყალიბებული (იხ. Кипшидзе 1914, 07), თვალსაზრისი მეცნიერებაში გაზიარებულია;

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში, რომელიც მოიცავს მეგრული ენის როგორც ტექსტურ ბაზას, ისე ლექსიკონთა მონაცემებს, ვლინდება ბგერწერითი ლექსემების სამწევრა და ორწევრა სისტემები. მათ ზოგად სქემას წარმოვადგენთ ცალკეული სემანტიკის მიხედვით:

1. „ცემის“ II „გალახვის“ II „დარტყმის“ აღმნიშვნელი ლექსიკა:

C₁C₂VC₁C₂		
დგადგუა	თქათქუა	ტკატკუა
ჭგვაჭგუა	ჩქვაჩქუა	[*ჭკვაჭკუა]
C₁VC₁		
გვაგუა	[*ქვაქუა]	კვაკუა

2. „ჭამის“ აღმნიშვნელი ლექსიკა:

C₁C₂VC₁C₂		
ძგიძგონუა	ცქიცქონუა	წკიწკონუა
ჭგიჭგონუა	ჩქიჩქონუა	კკიკკონუა

C_1VC_1
ჯიჯონუა

ჩიჩონუა

ჭიჭონუა

ამავე $C_1C_2VC_1C_2$ სტრუქტურისაა „ლეჭვის“ აღმნიშვნელი ფუძეები:

ძგან'ძგუა
ჯგან'ჯგუა

ცქან'ცქუა
ჩქან'ჩქუა

წკან'წკუა
ჭკან'ჭკუა

3. ზოგადად, მოძრაობას, „სიარულს“, რიგის წევრთაგან, ზოგი „ლა-პარაკსაც“ უკავშირდება:

$C_1C_2VC_1C_2$

გვაგვალი

ძვაძვალი

ძგვაძგვალი

ქვაქვალი

ცვაცვალი

ცქვაცქვალი

[კვაკვალი]

წვაწვალი

[წკვაწკვალი]

C_1VC_1

ბახვალი

განგალი

ფახვალი

ქანქალი

პახვალი

თანხმოვანთა მონაცვლეობა ხდება არა მარტო ანლაუტში, არამედ ფუძის შიგნითაც და მჟღერობა — სიყრუის მიხედვით დაპირისპირება წარმოიშობა ყველა ხშულთან:

„ლეჭვა“:

ძგაბუა

ჯგაბუა

ცქაფუა

ჩქაფუა

წკაბუა

ჭკაბუა

„სიარული“:

გვაჯალი

გვადალი

დირგონი

ქვაჩალი

ქვათალი

თირქონი

კვაქალი

კვატალი

ტირკონი

„ჭამა“:

რდგაბუა

რთქაფუა

რტკაბუა

თავისებური სირთულე ახლავს ბგერწერითი ლექსიკის თარგმნას, ვინაიდან, სხვა ენაზე მათი ზუსტი მნიშვნელობით გადატანა ყოველთვის ვერ ხერხდება. ქართველური ჯგუფის ენებში არსებობს მეტი შესაძლებლობა

დაიძებნოს ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტი არა მხოლოდ სალიტერატურო ენის, არამედ მისი დიალექტების ფარგლებში, უფრო რთულია სხვა ჯგუფის ენებზე ამგვარი ლექსიკის გადატანა, რის გამოც მათი დიდი ნაწილი ლექსიკონებისა თუ ტექსტების მიღმა რჩება;

ჩვენთვის რელევანტურია საკითხი, თუ როგორ გადმოდის მეგრულ ფოლკლორულ მასალაში დადასტურებული ბგერწერთი ლექსიკა ქართულად თარგმნის დროს; რამდენად აქტუალურია საკითხი თავად ტექსტისთვის, ან ტექსტის მკვლევრისთვის. რა უფრო მნიშვნელოვანია, თარგმანში რითმის და მარცვლოვნობის შენარჩუნება, თუ ტექსტის სემანტიკის ზედმიწევნით გახსნა.

მეგრული ტექსტური ბანკი, ვგულისხმობთ გამოცემულ ფოლკლორულ ტექსტებს, რომელთა მიხედვითაც უნდა გაკეთდეს სტატისტიკური ანალიზი, მართალია, ჟანრობრივად მრავალფეროვანია, მაგრამ მოცულობით არ არის დიდი. ტექსტური მონაცემები სრულად ვერ ასახავს თუნდაც ყველაზე სრულ „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ (ქაჯაია I-IV) დადასტურებულ ბგერწერთ ლექსემათა რაოდენობას. მეორე მხრივ, ტექსტების ნაწილი არაა გადმოქართულებული, რაც ართულებს დასკვნების საკითხს.

აქამდე გამოცემულ მეგრული ტექსტებს, ზღაპრებს თუ პოეზიის ნიმუშებს, რომელთაც ახლავს ქართული თარგმანი, ახასიათებთ ბგერწერთი ლექსემის თარგმნის სიჭრელე, ამ თვალსაზრისით ისინი არაერთგვაროვნებას გვიჩვენებენ.

ბგერწერთი ლექსიკის ქართულად გადმოტანისას უნდა გავითვალისწინოთ ორი შემთხვევა:

1) როცა ქართულში მეგრული ლექსემის ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური ეკვივალენტი მოგვეპოვება: *ცქიცქონუნს — ციცქნის, წკიწკონუნს — წიწკნის, ჯვიჯონუნს — ჯიჯნის* და ა. შ., თარგმანის საკითხი მარტივად წყდება;

2) როცა ქართულში ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი არ არსებობს „ლეჭვის“ აღმნიშვნელი *ძგაბუა — ცქაფუა — წკაპუა*, „სიარულის“ აღმნიშვნელი: *გვადალი — ქვათალი — კვატალი..*, თარგმანის საკითხი უფრო რთულდება.

ხშირად ზემოთ მოყვანილი ბგერწერთი ლექსიკის ქართულ თარგმანში მხოლოდ ზოგადი, დომინანტი ცნებებია მითითებული, სალექსიკონო განმარტებაში კი თავს იჩენს მნიშვნელობის განმარტება ფონემური დი-

ფერენცილური ნიშნიდან ამოსვლით, ანუ სემათა განმარტებები, რაც ხშირად, მართალია, არასრულია, მაგრამ სემანტიკურად რელევანტური ინფორმაციის შემცველი. არასრულია, ვინაიდან საკმაოდ რთულია ამგვარ ლექსემათა სემებად დაშლა და შესაბამისად კვალიფიცირება.

საანალიზოდ ავიღოთ „ცემის“ II „დარტყმის“ აღმნიშვნელი ლექსიკა¹. მნიშვნელობის სემებად დაშლისას შეიძლება გამოიყოს:

- მოქმედების რავგარობა (სუსტი — ძლიერი);
- მოქმედების ვზისობა (ერთვზისობა — მრავალვზისობა);
- დასარტყამი ინსტრუმენტის ხასიათი (რბილი — მაგარი; მსხვილი — წვრილი, სქელი — თხელი მოქნილი და ა.შ.);
- მოქმედების ინტენსივობა, ტემპი-სიჩქარე (სწრაფი — ნელი);
- მოქმედების თანხლები ხმა (ახლავს — არ ახლავს);
- მოქმედების ლოკალიზება (ცემის ადგილის განსაზღვრა).

ბგერწერითი ლექსიკის შემცველი მეგრული ტექსტის ქართული თარგმანი ხშირად ვერ/არ ასახავს ორიგინალში ფიქსირებული სიტყვის სემანტიკას. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილავ რამდენიმე მაგალითს:

(1) ცალირი კეხი მუნუდგუ დო უდგადგუანს მართახის (გულ. 201₁₅)
 „ცალმხრივ გადაწონილი კეხი აქვს დადგმული და უტყლაშუნებს მათრახს“ (გულ. 201₁₅)

ლექსიკონის განმარტებით: **დგადგუა/დგედგუა** განმარტება: „ბრეგვა, ბრიგვა, მაგრად ცემა; გაშოლტვა; ტყლაშუნი მათრახისა“ (ქაჯაია I. 451).

საანალიზო უდგადგუანს ფორმა მყლერობა-სიყრუით დაპირისპირებული ბგერწერით რიგის სამწევრა სისტემის წევრია: უ-დგადგ-უანს) — უ-ტქათქ-უანს) — უ-ტკატკ-უანს. ეს არის ბგერათკომპლექსთა მონაცვლეობის ტიპური შემთხვევა, როცა სემანტიკური დიფერენციალური ნიშანი ფონემური დიფერენციალური ნიშნის შესაბამისია. დგადგ- მყლერთა კომპლექსით გადმოცემული ლექსემა ზემომოყვანილი ფორმულის მიხედვით შეიცავს სემებს: ძლიერი, მრავალვზისი / განმეორებადი, მოქმედების ინტენსივობა გამოკვეთილი არ არის, ძლიერი, მაგრამ ყრუ / დახშული ხმა ახლავს. ხმის თანხლების დამადასტურებლად კი შეგვიძლია მოვიხმოთ -აფ

¹ მეგრულში „ცემის“ სინონიმური რიგში 100-მდე ლექსემაა შესული და უმრავლესობა ხმაბაძვითა (დაწვრილებითი ანალიზისათვის იხ. გერსამია 2003).

სუფიქსის დართვით ამავე ძირიდან ნაწარმოები საკუთრივ ხმიანობის აღმნიშვნელი **დგადგ-აფ-ი**. მეგრულში ტყლაშუნის აღმნიშვნელია **ტყირაშუა / ტყირიშუა** „ტყლესა“, **ტყიროშუნს** „ძლიერ ურტყამს“, ქართული და მეგრული ძირები კანონზომიერ ფონეტიკურ და სემანტიკურ შესატყვისად ითვლება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 446). **დგადგუა / ტყლაშუნი** ერთმანეთს არ ფარავს სემანტიკურად, ამიტომ თარგმანი მიახლოებითია და არა ზუსტი. ასეთ შემთხვევაში უფრო რელევანტურია ხმის მახასიათებლები: *დახშული, ყრუ*, რაც მნიშვნელობის მჟღერი ბგერებით გადმოცემამ განაპირობა. თარგმანში ეს ნიუანსი უნდა გამოიკვეთოს.

ხშირად ქართულში არსებობს მეგრული ლექსემის ზუსტი ფონოსემანტიკური ეკვივალენტი, თუმცა იგი თარგმნისას არა არის გათვალისწინებული:

- (1) *დოჭგაჭგეჲ ქუათუ დო გვენაქოსინუ* (დან., ცან., 302₁₃)
„დაბეგვა ქვით და გადააგდო ხრამში“. *უკეთესი იქნებოდა: დაჭეგვა* ქვით და გადააგდო ხრამში.
- (2) *ვარენო, ქიბირადა, სით ქოჭგაჭგეი აკა ბანი* (გულ. 202₄)
 „თუ („არ არის?“) მღერიან,შენც **დასცხე** ერთი ბანი“. *უკეთესი იქნებოდა: ...შენც ჭეჭგვე* ერთი ბანი.
- (3) *თოფიშ დუმაშ ნაჭგაჭგეფი, აფხაშ დუდი წყუნაფილი* (სამ. I. 37)
 „თოფის კონდახით **ნაცემი**,¹ ბეჭის თავი ნატკენი“. *უკეთესი იქნებოდა: თოფის კონდახით ნაჭეჭგვი...*
- (4) *ბადიდეფი დიგორით, ყურა მიდეტირკონით* (გულ. 177, 262₅)
 „ბერიკაცები მოძებნეთ, შინ **(ტუსტუსით) გაიქეციო**“. *უკეთესი იქნებოდა: ...შინ ხმაურით გაიქეცნენ.*

ტირკონი მკლერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირებული (**დ-გ — თ-ქ — ტ-კ**) სამწევრა სისტემის წევრია: **დირკონი — თირკონი ~ ტირკონი** სალექსიკონო განმარტებით: **ტირკონი** „გამალეებით სირბილი; დრიგი-

¹ ამიტომაც ჩაკავთლია ის ექსპრესია, რომელიც ახასიათებს მეგრულ ლექსემას და, შესაბამისად, ტექსტს.

ნი, სირბილი ფეხის ხმის გამოცემით (ხმაურით)“ (ქაჯაია III, 26). სამივე ლექსემას ახასიათებს *ინტენსივობა + ხმის გამოცემა*, მაგრამ სამივე ხმის რაგვარობითაა განსხვავებული. მეგრული ლექსემა უარყოფითი კონოტაციისაა, ქართული თარგმანის მიხედვით კი დადებითი ჩანს.

როცა კვივალენტი დაძებნილია, თარგმანის ხარისხიც შესაბამისად კარგია:

- (1) *ზოსიმეს დო ბუჩუნას ართიანი გაკურქვეჩქუნა* (სამ. III. 119₂)
„ზოსიმეს და ბუჩუნას ერთმანეთი დაუჩიქვავო“.
- (2) *თუნთიში გოძიძგონილი დო ჯიშტიში წყარიში რვილაფირი*
(გულ. 228₁₅)
„დათვის ნაძიძგნი და ჯიშთის წყლით გაცივებული“.
- (3) *ოჭკომალც დეწონენც, მუდგას მიოდგეძგონანც* (სამ. I. 93)
„საჭმელს დაიწუნებს, რაიმეს მიაძიძგნის“.
- (4) *ქიდიიჭყ ცხენქ ძვაძვაფი* (ყიფ. 97₁₈)
„დაიწყო ცხენმა ძუნძული“.

ტექსტში ამგვარ სიტყვათა სემანტიკური ნიუანსის თარგმნა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოითხოვს ტექსტის ორიგინალის ენის ცოდნას, ვინაიდან ამის გარეშე ვერ მოხერხდება საგნის თუ პერსონაჟის ქცევის, ქმედების, ხასიათის რაგვარობის გახსნა. თარგმანის დროს მაქსიმალურად უნდა იქნას შენარჩუნებული ის კონოტაცია, რომელიც მას ორიგინალში ახლავს.

თანამედროვე მეგრულ ზეპირმეტყველებაში აქტიურად გამოიყენება ხმაბაძვითი ლექსიკა. მიტომაც ის უხვად იჩენს თავს თანამედროვე ტექსტებში: (გ. ქარჩავა „ჩე გოთანა“)

- (1) *პიც თუმბ ვამიჩანუავა დო გობურძგონილქ ვაგილიძგვიბინუავა,*
დომიჩინუ.
„წვერი არ მოუშვა და გაბურძგნულმა არ იარო უშნოდ/ ულაზა-თოდ, დამიბარა.“

(გ. ქარჩავა „ჩე გოთანა“)

ძგებიანი „უშნო, ულამაზო, თმაგაბურძენული ყურება“ (ქაჯაია III, 380), **გილა-** ზმნისწინია, რომელიც ანიჭებს მოძრაობის/სიარულის სემანტიკას, ხოლო ძირითადი მნიშვნელობა ფიზიონომიის აღმნიშვნელი სტატიკური ფორმიტაა გამოხატული.¹

- (2) *მუჟო გოლაფაშ გეშა მესქირაფილ წყარ ღარს მოკათათაბორჯის დიჭყანს თხირთხინ დო ხირხინინ, ეთეშ თხირთხინუნს.* „როგორც გვალვის დროს გამშრალი წყარო წამოსვლის დროს დაიწყებს ხმის გამოცემას **ყრუდ, ხრიალს და ხინინს**, ისე ხრიალებდა“:

(გ. ქარჩავა „ჩე გოთანა“)

თხირთხინი „ცხვირში ლაპარაკი, ყრუ ლაპარაკი, სურდოს დროს სუნთქვის ხმა (ქაჯაია II, 76); **ხირხინი** „ხინინი, ხვრინვა“ (ქაჯაია III, 480). ტექსტში აღწერილია ბებერი მამაკაცის სუნთქვა მოწვევის დროს, იგი შედარებულია წყლის ხრიალთან.

- (3) *სუმხოლო ჭკვაპალანა მუდგარენს,.. თე აბაშარ ცანვანო ელმო-რაგადანს.. კოკუშეფცალო გოფაჩეს ფსუა დო კუდეღ, ფურცქინი-შე რდგაბალიშა გინილეს.* „სამივე უთავბოლოდ ჩიფჩიფებს რაღაცას,.. ეს აბაშელი გვერდულად ქვევიდან მელაპარაკება.. ინდაურებივით გაშალეს ფრთები და კუდი, ჩურჩულიდან **ყბედობაზე, ხმამაღლა გაუთავებელ ლაპარაკზე** გადავიდნენ“:

(გ. ქარჩავა „ჩე გოთანა“)

ჭკვაპალი „უკბილოს უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა, ჩიფჩიფი“ (ქაჯაია III, 480). აღნიშნული ლექსემა წევრია მქლერობა-სიყრუით დაპირისპირებული სამწევრა სისტემისა: **ჭკვაპალი — ჯგაბალი — ჩქაფალი. რდგაბალი** „ლაყბობა, ტარტალი, ტლიკინი“ (ქაჯაია II, 517), მას მხოლოდ მკვეთრი თანხმოვნებით გადმოცემული წყვილი აქვს: **რტკაპალი**. ტექსტში აღწერილია მატარებელში დამგზავრებული ქალების *საუბრის მანერა*, ამ მანერის

¹ ვრცელი მსჯელობისათვის იხ. გერსამია 2003

ეტაპობრივი ცვლა, რომელიც მგზავრის ქცევის ადეკვატურია. ტექსტის მხატვრული ეფექტი სწორედ ექსპრესიული ლექსიკის გამოყენებითაა მიღწეული.

ბგერწერით ლექსიკის სემათა მიხედვით აღწერა და ამგვარი თარგმანი მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა ლექსემა სუბიექტის ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას აღწერს. „*ძღაბი მუსუ რე* **ოცქვირინა, ოსვისვინა, ოკვიკვინა, ოჯგიმინა, ოწკვირინა, ოლიგვინა, ოჯგვიგინა, ოჩქიჩქინა, ოქკიქკინა...**“ ასეთი ლექსიკა ქართული ფონოსემანტიკური შესატყვისის არარსებობის შემთხვევაში სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებიდან ამოსვლით უნდა განიმარტოს და აღწერითად გადმოიცეს, ყოველ შემთხვევაში, შენიშვნაში მაინც.

როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ბგერწერითი ყალიბები დღესაც საკმაოდ პროდუქტიულია მეგრულში, რაც ახალ ბგერწერით სიტყვებს წარმოშობს. მათი შინაარსის მიხედვრა კი ამ ენაზე მოლაპარაკეთა ქვეცნობიერ ლინგვისტურ კომპეტენციას განეკუთვნება (მელიქიშვილი 1999, 86). მაშასადამე, ახალი სიტყვა ენის სისტემისაგან განყენებულად არ იქმნება, სხვანაირად გაუგებარი იქნება ის ფაქტი, რომ ოკაზიური ლექსიკა ერთნაირად გასაგებია მოლაპარაკისა და მსმენელისათვის.

ბგერწერით ლექსემათა თარგმნის დროს ყველაზე მოქნილი იქნებოდა დიფერენციაციის გზით სემანტიკური გლოსირების, უფრო სწორედ სემათა გლოსირების, ანუ სემანტიკური კომპონენტის მნიშვნელობის განმარტების გამოყენება. თუმცა ბგერწერით ლექსემათა სემებად დაშლა და შესაბამისი სემანტიკური გლოსის მინიჭების სამუშაო ქართველურ ლინგვისტიკაში ჯერ არ განხორციელებულა. ლექსიკონები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავენ ამ სურათს.

საგულისხმოა, რომ „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ (ქაჯაია I-IV) მესამე თავის სემანტიკურ ველში გაერთიანებული ბგერწერითი ლექსიკა განმარტებების გარეშე ერთვის, რაც არცთუ ისე მოულოდნელია, ვინაიდან განმარტებების დადგენას გარკვეული სირთულე ახლავს: განმარტებები გულისხმობს არა მხოლოდ იდენტური და გადამკვეთი სემების დიფერენცირებას, არამედ განმასხვავებელი სემების დადგენას. ფორმულით რომ წარმოვიდგინოთ, სემებად დაშლილი ლექსემა ასეთ სახეს მიიღებს:

$$X = a + b + c + d \dots$$

$$Y = a + b + c + d \dots$$

$$X_1 = a + c + d + e \dots$$

$$Y_1 = a + c + d + e \dots$$

$$X_2 = a + b + d + e \dots$$

$$Y_2 = a + b + d + e \dots$$

X და **Y** სხვადასხვა მნიშვნელობებია, X_1 , X_2 , X_3 სხვადასხვა სემათა კომბინაციებია დომინანტი მნიშვნელობის ფარგლებში: თუ **X** გამოხატავს „სიარულის“ სემანტიკას, **Y** — შეიძლება აღნიშნავდეს „ლაპარაკს“. გადამკვეთი სემები საერთო სიდიდითაა აღნიშნული. კომბინაციები განსვავებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება სიჭარბე; ვინაიდან ენა მნიშვნელობით ორ აბსოლუტურად იდენტურ ლექსემას ვერ იტანს, მას მნიშვნელობათა დიფერენცირების, შევიწროვებისა თუ გაფართოების გზით, ან საერთოდ გაქრობით, დაძლევს.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 — გ. ხვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თსუ-ს გამოც., თბ., 1949

გერსამია 2003 — რ. გერსამია, ლექსიკური სინონიმია მეგრულში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია. 2003

გუდავა 1958 — ტ. გუდავა, ხმაბაძვს ერთი სახეობა მეგრულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1958

ვორონინი 1982 — Voronin S. V., Osnovj fonosemantiki, izd. Leningradskogo universiteta, Leningrad, 1982

ეიფშიძე 1914 — Кипшидзе I., Grammatika Mingrel'skogo (Iverskogo) @%zjka s xrestomatieh i slovarem, SPB.,

მელიქიშვილი 1999 — ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №3, 1999

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათ ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შეესვებულია გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამოც., თბ., 2000

ხარიტონოვი 1943 — Xaritonov L., N. *Heizmen%emje slova v \$kutskom %zjke. Gos. Izd. \$ASSR, \$kutsk 1943.*

ქაჯაია I-IV — ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, ტ. I — თბ., 2001, ტ. II - თბ., 2002; ტ. III — თბ., 2002, ტ. IV — თბ., 2009

Rusudan Gersamia

Phonosemantic Vocabulary in Megrelian Folklore Data and Specific Features Associated with Their Translation into Georgian

Summary

Megrelian abounds in phonosemantic words. There are a plenty of masdar forms to refer to various meanings, demonstrating transparency of the connection of a phoneme and a semantic feature. “Such lexemes, except the basic meaning”, refer to shades of action, size, weight, density of an actant, etc.” (T. Gudava). Phonosemantic lexemes make not individual impressions but a complex picture of sensations. Phonosemantics is the domain of language in which its “creative nature evolves with an archaic effort. The connection between a significant and a signifier has been motivated in these words” (I. Melikishvili). A meaning of a lexical item can be established in accordance with a differential marker. Thus, *phonosemantic bunches* (T. Gudava), *phonosemantic patterns* (I. Melikishvili) are received. Mengrelian is characterized by bi- and tripartite systems. Having yielded as a result from consonant alternation, grouped according to the principle of homogeneity; a meaning of phonemic differential marker determines a semantic differential marker (a seme).

Phonosemantic patterns in the language in point are rather productive and this linguistic fact has been one of the firm bases for the formation of rich lexical synonymy. There is a permanent tendency of word-formation in Megrelian and the comprehension of meanings of newly-evolved phonosemantic words is part of the subconscious linguistic competence of speakers of this language, as far as a linguistic community has a subconscious command of word-formation opportunities of a given language and, based on the norms established in the language, coins a new lexical item which stays as occasional until it enters usage. Hence, an occasional word is not coined as being remote from a language system. Therefore, the standpoint that “there are more phonosemantic words in a language than it seems at one glance” (I. Melikishvili) is true.

Certain difficulties have been associated with the translation of phonosemantic words as far as it is not always possible to render an exact meaning into another language, due to which most of them do not appear in dictionaries; the so far published Megrelian texts, fairy tales and poetry, accompanied by Georgian translations, have been characterized by diversity of translations of phonosemantic words. Two provisions should be considered in the translation of such vocabulary into Georgian: 1) whenever there is an exact Georgian phonetic and semantic equivalent of a Megrelian lexeme (*ckickonuns* – *cicknis*, *c'k'ic'k'onuns* – *c'ic'k'nis*, *jgigjonuns* – *jijgnis*, etc.), it makes translation easy, and 2) whenever there is no exact Georgian phonetic and semantic correspondence (words for 'to chew:' *ჯ gabua* – *ckapua* – *c'k'apua*; for 'to walk:' *gvadali* – *kvatali* – *k'vat'ali*), it makes translation difficult. In such cases, a given lexeme should be defined based on semantic differentmarkers and should be provided by a descriptive translation.

ლელა გიგლეძიანი

მიზეზისა და მიზნის ზმნისართებისათვის სვანურში

საენათმეცნიერო ლიტერატურაში შინაარსის მიხედვით ზმნისართთა რამდენიმე ჯგუფს გამოიყოფენ, კერძოდ, ესენია: ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის ზმნისართები.

ამჯერად ჩვენი მიზანია, მიზეზისა და მიზნის ზმნისართთა სტუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყარებით.

ზმნისართთა ჯგუფებს შორის მიზეზისა და მიზნის ზმნისართებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ცნობილია, რომ ამ ჯგუფის ზმნისართები ნაცვალსახელური წარმოშობისაა (შანიძე 1973: 596). ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში, სვანურშიც მიზეზისა და მიზნის ზმნისართები მწირადაა წარმოდგენილი.

ა. შანიძის ცნობილი განმარტებით, „მიზეზის ზმნისართი აღნიშნავს მიზეზს, რომლითაც გამოწვეულია მოქმედება“, ხოლო მიზნის ზმნისართი აღნიშნავს მიზანს, რომელსაც ემსახურება მოქმედება” (შანიძე 1973 : 596).

ქართულში მიზეზის ზმნისართები — **ამიტომ, იმიტომ, მიტომ**, მიღებული უნდა იყოს მოქმედებით ბრუნვაში დასმულ ჩვენებით ნაცვალსახელთა და რომ კავშირის შერწყმის შედეგად (როგავა 1948: 372). არ. მარტიროსოვის თვალსაზრისით, ზმნისართთა ამგვარ წარმომავლობას მხარს უჭერს სათანადო მეგრულ ზმნისართთა შედგენილობაც: **თეშენი, თიშენი. თეშე და თიშე, თენა და თინა** ჩვენებით ნაცვალსახელთა დაშორებითი ბრუნვის ფორმებია, **ნი** კი რომ კავშირს წარმოადგენს (მარტიროსოვი 1964: 276).

სვანურში აღნიშნული ზმნისართები იწარმოება **ამ** და **ეჯ** ჩვენებით ნაცვალსახელთაგან **-ლა** თანდებულის დართვით: **ამლა** (ზს., ლშ.), **ამილა** (ბქ.), **ამალა** (ლნტ.) „ამიტომ“, **ეჯლა** (ზს., ქს.), **ეჯილა** (ბქ.) „იმიტომ, იმისთვის“ და

ა. შ. (შდრ. **იმა** ? „რატომ?“) უშგულურ კილოკავში გვხვდება **აჯლა** (**აჯა+ლა**) „ამიტომ“ ზმნისართი.¹

მაგ: **ამლა** მამ აფვშ ჭყინტ (ბზ.) „ამის გამო არ ინაღვლა ბიჭმა“.

ამალა გიოს ქა ლექაბი ხარენა სოფელხენქა (ლნტ.) „ამის გამო გიო იძულებული გამხადარა სოფლიდან წასულიყო“.

გაკვეთილ დემ ოხუითურ ი **ამილა** კლასთე მად ოდერ (ბქ.) „გაკვეთილი ვერ ვისწავლე და ამიტომ სკოლაში არ წავედი“.

ეჯლა ერე ქა ლოქ ხაყა შის ბარაქ (ლშხ.) „იმიტომ რომ ბარაქა ხელს გაჰყვებო“.

ეჯილა დემ ოხხური, ერე მხხრინეს (ბქ.) „იმიტომ არ მივდივარ, რომ მახრაზებენ“

აჯლა ხიგუნიმო სი? (ბზ.) „ამიტომ ტირიხარ შენ?“

აღნიშნული ზმნისართები, როგორც ვხედავთ, რთული შედგენილობისაა, მათში გამოიყოფა ნაცვალსახელური ელემენტები **ამ-**, **ეჯ-** და სუფიქსი **-ლა**, რომელებიც შემდეგ სტრუქტურულ მოდელებშია წარმოდგენილი:

ამ-ლა || **ამ-ი-ლა** || **ამ-ა-ლა** „ამიტომ“

ეჯ-ლა || **ეჯ-ი-ლა** „იმიტომ“

დიალექტებში დადასტურებული **ა** და **ი** ხმოვნები შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩანართი ელემენტები. არ არის გამორიცხული ეს ხმოვნები ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი იყოს.

სვანურში, ქართულის მსგავსად გაფორმებით მიზნის ზმნისართი განსხვავდება მიზეზის ზმნისართისაგან.

როგორც ცნობილია, მიზნის ზმნისართები წარმოშობით ნაცვალსახელებია, (ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, ამად, იმად) რომელთაც **-თვის** თანდებულებიანი ნათესაობითის ან უთანდებულო ვითარებითის ფორმა გამოხატავს ქართულში.

მეგრულში: **ათეშო**, **ეთიშო**, **თეშო** დანიშნულებითი ბრუნვის ფორმებია, რომლებიც მიზნის ზმნისართის ფუნქციას ასრულებენ.

სვანურ მიზნის ზმნისართებში — **ამნარ** (ზს., ლნტ.) „ამისთვის“, **ამნარ** (ლშხ.), **ამინარ** (ბქ.) „ამისთვის“, **ეჯნარ** (ზს., ლნტ.), **ეჯნარ** (ლშხ.), **ეჯნარ** (ბქ.) „იმისთვის“, (შდრ. **იმნარ** „რისთვის“), ადვილად გამოიყოფა ნაცვალსახელური ელემენტები — **ამ-** და **ეჯ-**.

¹ უშგულურ კილოკავში სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით **ეჯა-**ს ნაცვალად დასტურდება **აჯა** ნაცვალსახელი.

მაგ: **ამნარ** მი აშამს დარ მაყლე (ლშხ.) „ამისთვის მე მადლობას არავინ მეტყვის“.

ამინარ მი მაჭუმს დარ მატული (ბქ.) „ამისთვის მე მადლობას არავინ მეტყვის“.

სი **ეჯნარ** ანვედ, ერე ჩოგტუფურა? (ლშხ.) „შენ იმისთვის მოხვედი, რომ გაგვატყაო?“.

გ. კაჭარავას აზრით, **ამნარ** და **ეჯნარ**-ში, **-ნარ** ფორმანტი მიზეზის ზმნისართებს აწარმოებს.

ჩვენი აზრით, სადაოა, **-ნარ**-ის ასეთი ახსნა. ვფიქრობთ, **ნარ**-ში წარმოდგენილი **ნ-** უძველესი მიცემითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს, ხოლო **-არ** ცალკე გამოიყოფა და, როგორც ჩანს, სიტყვაწარმოებითი ფორმანტია. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

სვანური **ამ-ნ-არ** და **ეჯ-ნ-არ** ვითარებით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელება, რაც შეეხება საკუთრივ სვანური მიცემითის უძველეს სუფიქსს, **ნ-**ს იგი ამ ბრუნვის გარდა დაჩნდება მოთხრობითსა და მოქმედებითშიც (**ამ-ნ-ემ**, **ეჯ-ნ-ემ**, **ამ-ნ-ოშ**, **ეჯ-ნ-ოშუ**) (მარტიროსოვი 1964: 327).

სვანურში დასტურდება, **ამ-ნ-არ-(დ)**, **ეჯ-ნ-არ-(დ)** ვითარებით ბრუნვაში დასმული ფორმებიც, **დ**, როგორც ბრუნვის ნიშანი, ალბათ დროთა განმავლობაში გაიცვითა, თუმცა მისი ხმარების იშვიათი შემთხვევები შემონახულია დიალექტებში.

მიზეზისა და მიზნის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე: **ამნიანიდ** (ბზ.), **ამნალიდ** (ბქ.), **ამნიანიდ** (ლშხ.), **ამნიანიდ** (ლნტ.), „ამისთვის“ და **ეჯნანიდ** (ბქ.), **ეჯნალიდ**, **ეჯნალიდ** (ბქ.), **ეჯნიანიდ** (ლშხ.), **ეჯნანიდ** (ლნტ.), „იმიტომ“, „იმის გამო“ ფორმები, რომლებიც რთული აგებულების ზმნისართებია.

მაგ: ქალერ **ამნიანიდ** (ბზ.) „გამოდი ამისთვის“.

ამნიანიდ ალის ჯასაჩქუარი (ლნტ.) „ამისთვის ამას გაჩუქებ“.

მესმე დედბერს ხავიდ, **ეჯნანიდ** ქესერ დესამა ლოხკუნიშა „მესამე დედაბერს დაარტყა, იმიტომ რომ არაფერი გაამხილაო.“

როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, აღნიშნული ზმნისართები, ძირითადად, რთული შედგენილობისაა, კერძოდ, ისინი შედგება ნაცვალსახელური ფუძისა და მაწარმოებელი ფორმანტისაგან, ფონეტიკურ ვარიანტთა სიმრავლე, კი დიალექტურ ფორმათა არსებობითაა გამწვეული.

ლიტერატურა

კაჭარავა 1954 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, 1954

მარტიროსოვი 1964 — არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, 1964

შანიძე 1973 — ა. შანიძე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973

ჩართოლანი 1985 — ნ. ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, 1985

Lela Giglemiani

On the adverbs of cause and purpose in Svan

Summary

Adverbs of cause and purpose occupy an important place among the groups of adverbs. As is known, such adverbs are of pronominal origin.

Like in other Kartvelian languages, adverbs of cause and purpose are few in Svan.

As far as the data present, most of these adverbs are of complex composition, consisting of a pronominal stem and a derivative formant. Considerable differences have been observed across various dialects.

ლალი ეზუგბაია

გარდამავლობის საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში

გარდამავლობა მორფოსინტაქსური კატეგორიაა. ქართულში გარდამავლობის სინტაქსური კრიტერიუმია — ობიექტი სახელობითში, სუბიექტი მოთხრობითში; რაც შეეხება მორფოლოგიურს, სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია, თუმცა ძირითადად ის აზრია გატარებული, რომ გარდამავლობა ისეთივე საკლასიფიკაციო ნიშანია, როგორც სტატიკურობა-დინამიკურობა (ჩიქობავა 1981, 9). ის ერთგვარად ზეკატეგორიაა, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა გვარის, ასევე ქცევის, კაუზატივის კატეგორიების ჩამოყალიბებას. ამავდროულად, გვარის სამწევროვან ოპოზიციაში მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ხოლო ვნებითი და საშუალი — გარდაუვალია. შესაბამისად, მოქმედებითი გვარის მარკირება გარდამავლობის მარკირებაცაა. ამიტომაც გარდამავალ ზმნებში **ა-** ხმოვან-პრეფიქსი განიმარტება, როგორც გარდამავლობის ნიშანი, ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელი, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის, საარვისო (ნეიტრალური) ქცევის პრეფიქსი, ზმნათა გარკვეულ ჯგუფში საზედაო სიტუაციის, ირიბი ობიექტისადმი მიმართების აღმნიშვნელი ნიშანი. **ა-** პრეფიქსი იკარგება გარდამავალ ზმნათა გარდაუვალად მოქცევისას, ხოლო *დრეკს*, *ხატავს* ტიპის ზმნებში **ა-** პრეფიქსის არქონა მეორეულ ფაქტადაა მიჩნეული, რასაც მხარს უჭერს ქართველური ენების ვითარება: ა-პრეფიქსს კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება ზანურსა და სვანურში: მეგრ. ვ-ო-რძ-ან-ქ, ლაზ. ვ-ო-გზ-ად „ვანთებ“, სვან. ხუ-ა-ჴნ-ი „გხნავ“ (თქემ 2011, 435). ამდენად, კანონზომიერი შესატყვისობა **ა/ო/ბ** მიუთითებს ამ ხმოვანი პრეფიქსის სიძველეზე და სპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ დაუკავშირდა ის სახელურ და ზმნისართულ ხმოვან პრეფიქსებს (ჯორბენაძე 1983, 37-41).

მეგრულ-ლაზურში გარდამავლობის მორფოლოგიურ მარკერად **ო-** პრეფიქსის მიჩნევას დაბრკოლება ახლავს როგორც მორფოლოგიურ, ასევე სინტაქსურ და სემანტიკურ დონეზე.

მეგრულსა და ლაზურში **ო-** ხმოვანპრეფიქსი ძირითადად გვაქვს:

1. ორპირიან გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-რძანს** „ანთებს“, **ო-რღვანს** „ყრის“, **ო-რჩანს** „აგებს“, **ო-განს** „აგებს“; ლაზ.: **ო-მტინამს** „გააქცევს“, **ო-რგამს** „რგავს“, **ო-რდაფს** „ზრდის“...
2. სამპირიან გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ძირანს** „აჩვენებს“, ანახებს“, **ო-ჩინანს** „აბარებს“, ლაზ.: **ო-მსქვანამს** „აწონებს“, **ნ-ო-ნცახუ** „მიაკრა, მიაწება“, **ნ-ო-ნცუ** „წამოაცვა“, **ო-ჩქინაფუ** „გააცნო, გააგებინა“...
3. „უნიშნო ვნებითაგან“ ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ტბუანს** „ათბობს“, **ო-ხუმუანს** „ახმობს“, ლაზ.: **ო-ღურინაფს** „აკვდინებს, კლავს“, **ო-სქირინუ** „გააშრო“, **ო-ტუბინუ** „გაათბო“...
4. საშუალი გვარისაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ძიცინუანს** „აცინებს“, **ო-ნგარინუანს** „ატირებს“, **ო-გურუანს** „ასწავლის“, ლაზ.: **ო-ფუთხინუ** „ააფრთხილა“, **ო-სთერუ** „ათამაშა“...
5. მუალობითი კონტაქტის ფორმებში: მეგრ.: **ო-ჭარაფუანს** „აწერინებს“, **ო-ხანტაფუანს** „ახატვინებს“, ლაზ.: **ო-ზუმაფუ** „გააზომვინა“, **ო-პარამითაფუ** „აალაპარაკა“...
6. საზედაო სიტუაციის ფორმებში: მეგრ.: **გი-ო-ჭარანს** „აწერს“, **გი-ო-ხანტანს** „ახატავს“, ლაზ.: **ქომე-ვ-ო-ხუნით** „დადგვით“ (ზედ), **ქომო-ვ-ო-კიდით** „ავკიდეთ“ (ზედ)...

აღსანიშნავია, რომ ლაზურის სრულხმოვნობის გამო **ო-** პრეფიქსი ისეთ ფუძეებთანაც დასტურდება, რომლებსაც მეგრულში უკვე არ მიერთვის ეს პრეფიქსი. მაგალითად, ლაზურში ბუნებრივია ფორმა **ქოგე-ვ-ო-ჭკით** „დავიწყეთ“, მის ფარდ მეგრულ **-ჭყ-** ძირთან ხმოვანი თავსართი საერთოდ არ დასტურდება: **ქიგი-პ-ჭყით** „დავიწყეთ“.

ო- პრეფიქსი გარდაუვალ ზმნებშიც დასტურდება, ესენია:

1. სტატიკური მედიოპასივები: ლაზ. **ნ-ო-ბ-უნ-ნ** „ჰკიდია“, **ო-ბღ-უნ-ნ** „ყრია“, **ო-გზ-უნ-ნ** „ანთია“; მეგრ. **ო-სხუპ-უ** „აყვანილი

- ჰყავს ხელში“, „ჰკილია“, **ო-ნტ-უ** „უკილია ცეცხლი“, **ო-ნჭ-უ** „წვდება“, **ო-ბ-უ** „ჰკილია, ეკიდება“...
2. ინვერსიული მედიოპასივები მეგრულში: **მ-ო-კ-ო** „მინდა“, **მ-ო-ნიოლ-უ** „მიხარია“, **მ-ო-ცოდ-უ** „მეცოდება“, **მ-ო-რჩინ-ა-ს** „მაცოდინა“, **მ-ო-ჩქარ-უ** „მეჩქარება“...
 3. „მიჩნევის“ ვნებითები მეგრულში: **ო-მეტუ(ნ)** „ემეტება“, **ო-ჭი-ჭარუ(ნ)** „ებატარავება“, **ო-ეჭვუ(ნ)** „ეეჭვება“...
 4. დეპონენსები მეგრულში: **ო-ხვეწუ** „ეხვეწება“, **ო-პირუ** „პირდება“, **ო-ხვარუ** „ეხვარება“, **ო-ინალუ** „ემსახურება“, **ო-კითხუ** „ეკითხება“, **ო-ნირზუ** „ენიზლავება“..

„მიჩნევის“ ვნებითები და დეპონენსები მეგრულში აჩვენებს, რომ ოპრეფიქსი დინამიკური ვნებითების მაწარმოებელიცაა და ქართული ე-პრეფიქსის ფარდია. ო-პრეფიქსით ნაწარმოები დეპონენსები მყოფადსა და წყვეტილში საკუთარ ფორმებს ვერ აწარმოებენ და ქართულიდან იღებენ ე-ნიანი წარმოების ყალიბს (ჯღარკავა 2002, 324).

არნ. ჩიქობავას აზრით, ერთი და იმავე ფორმანტის არსებობა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნაში კანონზომიერია: გარდამავალ ზმნაში ის უახლოეს (ე. წ. პირდაპირ) ობიექტზე მიუთითებს, გარდაუვალში კი — სუბიექტზე (ჩიქობავა 1977, 19). აღსანიშნავია, რომ სვანურშიც **ა-**პრეფიქსი გვხვდება როგორც გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ზმნებთან, ასევე გარდაუვალებთან. ესენია 1. მარტივფუძიანი, ორპირიანი მოქმედებითი გვარის, ნეიტრალური ქცევის ფორმები: **ა-კრ-ე** „ადებს“; 2. რთულფუძიანი მოქმედებითი გვარის ფორმები: **ა-ქნთრ-ინ-ე** „აცხელებს“; 3. სამპირიანი მოქმედებითი გვარის ნეიტრალური ვერსიის ზმნები: **ხ-ა-თრ-ე** „ასმევს“; 4. კაუზატივებში: **ხ-ა-კდ-უნ-ე** „მოატანინებს, მოაყვანინებს“; 5. გარდაუვალ ზმნებში ირიბი ობიექტის ნიშანთან ერთად: **ხ-ა-გ** „ადგას“, **ხ-ა-სიდ** „დარჩენილია“; 6. ორპირიან ფუძედრეკადთაგან სამპირიანის საწარმოებლად: **ტყიცი-ე > ხ-ა-ტყცი-ე** „აგლეჯს, ახლეჩს“; 7. სტატიკურ ზმნებში: **ხ-ა-ლფარა** „აფარია“; 8. ოდენპრეფიქსიან გარდაუვალ ფორმებში: **ხ-ა-ლატ** „უყვარს“ (ჭკადუა 2009, 99-100). მეგრულ-ლაზურის მსგავსად, სვანურშიც საკმაოდ ფართოა **ა-**პრეფიქსის გამოყენების სპექტრი. როგორც ჩანს, ქართველურ ენებში ამ პრეფიქსით გაფორმებული მოდელები ისტორიულად ზმნური ფორმაწარმოების საშუალება იყო. ჩვენც ვიხრებით იმ თვალსაზრისისაკენ, რომ **ა-**პრეფიქსი კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის

პოვნირებაზე მიმანიშნებელი ფორმანტია, ხოლო **აშენებს** ტიპის ზმნებში, როგორც ჩანს, ისტორიულად მოხდა სემანტიკური გადააზრიანება სამვალენტურობისა ორვალენტურობად (ჯორბენაძე 1983, 61-84). შესაბამისად, გარდამავლობის საკლასიფიკაციო ნიშნად **ა-** პრეფიქსის გააზრება მეორეული მოვლენაა, მით უმეტეს, რომ გარდამავლობა აქტანტთა სპეციალურ ბრუნვებს დაუკავშირდა: ესაა ერგატიული სუბიექტი და სახელობითბრუნვიანი ობიექტი. თუმცა მეგრულ-ლაზურში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნური კონსტრუქციები განსხვავებული მიმართულებით განვითარდა.

ლაზურში მოთხრობითი ბრუნვა იქცა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად განურჩევლად დრო-კილოსი, ხოლო სახელობითი — გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად ასევე განურჩევლად მწკრივისა და, რაც მეტად საყურადღებოა, სახელობითში დგას გარდამავალი ზმნის ობიექტიც ასევე განურჩევლად დრო-კილოსი (რა თქმა უნდა, ინვერსიულ ზმნებს თუ არ გავითვალისწინებთ), ანუ გარდამავალი ზმნის საკონვერსიო ობიექტი, იგივე სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა, ერთსა და იმავე ბრუნვაში დგება. მაშასადამე, ლაზურში I და II სერიაში, ასევე არაინვერსიულ თურმეობითებში ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტ-ობიექტის ოპოზიცია, შესაბამისად, მოთხრობით ბრუნვაში დასმული სახელი, ყოველთვის სუბიექტია, ხოლო სახელობითში — ყოველთვის ობიექტია ან კონვერსიული პასივის სუბიექტი. ამის საპირისპიროდ, მეგრული უგულებელყოფს გარდამავლობა-გარდაუვლობას იმ თვალსაზრისით, რომ სუბიექტი ყოველთვის მოთხრობითში დგას მეორე სერიის ფორმებში ყველა ტიპის ზმნასთან: **კოჩი-ქ** ქიდარძუ **დაჩხირი** „კაცმა დანთო ცეცხლი“, **დაჩხირ-ქ** ქიდირძუ „ცეცხლი (ცეცხლმა) დაინთო“.

მიუხედავად ამგვარი კანონზომიერებისა, ისიც ცხადია, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის განვითარების სხვადასხვა ტენდენციაა. ჩვენი დაკვირვებით სამი მიმართულებით ვითარდება პროცესები:

- ა. ერგატივის მოშლა გარდამავალ ზმნებთან;
- ბ. ერგატივის გაჩენა მიცემითი ბრუნვის ნაცვლად ე. წ. ინვერსიულ ზმნებში;
- გ. ერგატივის გაჩენა სახელობითი ბრუნვის ნაცვლად გარდაუვალ ზმნებში.

ამათგან ძლიერია მესამე (გ.) ტენდენცია, მით უფრო მეგრულთან ახლოს მდგომ კილოკავებში. რაც შეეხება პირველ ორ (ა.), (ბ.) ტენდენცი-

ას, ძირითადად თავს იჩენს ათინურში, მაგრამ არც სხვა კილო-კავებისთვისაა უცხო. აღსანიშნავია, რომ ერგატივის მოშლის ტენდენცია მიცემითის მოშლის პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ანომალიად სწორედ ეს პროცესი შეიძლება შეფასდეს, რაც ლაზურზე თურქული სინტაქსის ზეწოლის შედეგი ჩანს. მეორე მხრივ, ერგატივის განვითარება გარდაუვალ ზმნებში, ლაზურს აახლოებს მეგრულთან, თუმცა სისტემა მათი დრო-კილოს მიხედვით განაწილებისა საკუთრივ ლაზური რჩება (ეზუგბაია 2010, 146-157).

ლაზურში გარდაუვალ ზმნებთან ერგატივის გაჩენა გ. კლიმოვმა ახსნა ზმნური ფუძეების შინაარსით, კერძოდ, ისინი გამოხატავენ აქტიური დენოტატის — „სულიერის“ მოქმედებას. ესენია, ძირითადად, მედიოაქტიური ზმნები **ო-ძიცინ-უ** „სიცილი“, **ო-ხორონ-უ** „ცეკვა“, **ო-პარამით-უ** „ლაპარაკი“, **ო-პეტელ-უ** „კიკინი“, **ო-ლალ-უ** „ყეფა“, **ო-წკედინ-უ** „ყურება“, **ო-ხვეწინ-უ** „ხვეწა“ და ა. შ. ტიპისა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ისტორიულად ლაზურში ადგილი ჰქონდა აქტიური და სტატიკური ზმნების ლექსიკურ ოპოზიციას, რაც განაპირობებდა აქტიურ და ინაქტიურ კონსტრუქციებს, რაც, თავის მხრივ, სისტემურ კოორდინაციას ჰქმნიდა არსებით სახელთა აქტიურ (სულიერ) და ინაქტიურ (უსულო) ჯგუფებთან. მეორე მხრივ, აქტიური წყობის ტრანსფორმაცია ნომინატიურ წყობად განაპირობა აქტიური და სტატიკური ზმნების ოპოზიციის შეცვლამ ტრანზიტულ და ინტრანზიტულ ოპოზიციად (კლიმოვი 1976).

როგორც ზემოთ ვნახეთ, მეგრულ-ლაზურში **ო-** პრეფიქსი შეესატყვისება, ერთი მხრივ, ქართულის **ა-** პრეფიქსს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში; მეორე მხრივ, დინამიკური ვნებითების **ე-** პრეფიქსს. ეს უკანასკნელი ჯგუფი მეგრულში ძირითადად აქტიური სემანტიკის, სულიერის მოქმედების აღმნიშვნელია. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების კონსტრუქციებში მეგრულსა და ლაზურში განხორციელებული პროცესები ერთმანეთს უახლოვდება ერთი ტენდენციით: გარდაუვალ ზმნებშიც გვაქვს ერგატივი. ეს ტენდენცია ბოლომდე განხორციელდა მეგრულში და ლაზურის მაგალითზე უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ჩაისახა აქტიური დენოტატის მქონე ზმნებში. ზოგადად, ქართულშიც მიუთითებენ სემანტიკით შეპირობებულ გადასვლაზე გარდაუვალიდან გარდამავალ ზმნებისაკენ: „მედიოაქტივისებრი გარდამავალი“ ზმნების ჯგუფი (ანგარიშობს, გალობს, გლოვობს, თაობს, თაკილობს...) არსებითად ცნობიერების (ძირითადად, მეტყველების) წრის ზმნებია, რომლებიც ადამიანის ფსი-

ქიკურ აქტივობასა და მისი შესაბამისი შინაარსების ერთობლიობას გამოხატავენ. ასევე ამ ზმნების დარად, ოდენ ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი **იხარა** მან, **შეხედა** მან მას და მისთ., პირდაპირი დამატების შეწყობითაც და მის გარეშეც, გარდამავალი, უფრო ზუსტად, ფსევდოგარდამავალი ზმნებია (თქემ 2011, 473-478).

როგორც ჩანს, მეგრულში კონსტრუქციის დონეზე განხორციელდა გარდამავლობის ნეიტრალიზაცია, რაც უნდა მიუთითებდეს **ო-** პრეფიქსის კავშირს ირიბი ობიექტის პოზიციურებასთან და არა გარდამავლობის მარკირებასთან. ამით შეიძლება აიხსნას მეგრულში ქართული **ა-**პრეფიქსიანი ყალიბის გაჩენა გარდამავალი, იმავე მოქმედებითი ზმნების გამოსახატავად: მხედველობაში გვაქვს ქართ. **ა-კეთ-ებ-ს** ტიპის წარმოება, როგორცაა მეგრულში: **ა-კეთ-ენ-ს** „აკეთებს“, **ა-რძ-ენ-ს** „აძლევს“, **ა-შენ-ენ-ს** „აშენებს“, **ა-წუნ-ენ-ს** „აწუნებს“, **ა-რიგ-ენ-ს** „არიგებს“, **ა-უჩარ-ენ-ს** „ამავეებს“....

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველურ ენებში გარდამავლობის მორფოლოგიური მარკირება მეორეულია. ისტორიულად ზმნური აქტანტების ბრუნვებს და კონსტრუქციულ ტიპებს დაუკავშირდა გარდამავლობა, რასაც, თავის მხრივ, ზმნურ და სახელურ ფუძეთა სემანტიკა განაპირობებდა. ამიტომაც საკითხის ამომწურავი შესწავლაა საჭირო, რადგან „სრულყოფილი ენობრივი ანალიზი ვარაუდობს მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტების ერთობლივ გათვალისწინებას. ამასვე მოითხოვს ენობრივ სისტემათა ანალიზი მათსავე დინამიკაში, მოქმედებაში“ (ჯორბენაძე 1983,227).

ლიტერატურა

ეზუგბაია 2010 — ლ. ეზუგბაია, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი

თქემ 2011 — თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბილისი

კლიმოვი 1976 — Г. А. Климов, Аномалии эргативности в Лазском (Чанском) языке, კრებული: აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბილისი

ჩიქობავა 1977 — არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბილისი

ჩიქობავა 1981 — არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VIII, თბილისი

ჭკადუა 2009 — რ. ჭკადუა, ა- პრეფიქსის ადგილისა და ფუნქციისათვის სვანური ენის ზმნურ ფორმებში, არნ. ჩიქობავას საკითხავები - XX, მასალები, თბილისი

ჯორბენაძე 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი

ჯღარკავა 2002 — მ. ჯღარკავა, ო- პრეფიქსიანი დებონენსებისათვის მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბილისი

Lali Ezugbaia

On the Problem of Transitivity in Megrelian-Laz

Summary

Transitivity is a morpho-syntactic category. In Georgian, the syntactic criterion of transitivity is an object in Nominative and a subject in Ergative; as for its morphological criterion, the specialist literature maintains the idea that transitivity is the same classification property as stativeness and fientivity. The prefix **a-** has been assumed to be a marker of transitivity, corresponding to the prefix **o-** in Megrelian and to the prefix **a-** in Svan; Megr.: **v-o-rj-an-k**, Laz.: **v-o-gz-ap** ‘I light it,’ Svan.: **xu-a-qn-i** ‘I plough.’

The assumption of the prefix **o-** as a morphological marker of transitivity in Megrelian-Laz has been hindered both at the morphological and syntactic and semantic levels. On the one hand, the prefix **o-** corresponds to the Georgian prefix **a-** both in transitive and intransitive verbs, and it corresponds to the prefix **e-** of dynamic passives. The latter group mainly implies active semantics, referring to an animate action in Megrelian. The processes, developed within the constructions of Megrelian and Laz transitive and intransitive verbs, resemble each other with respect to one tendency: intransitive verbs too have an ergative argument. The tendency has

been completely realized in Megrelian; as for laz, it may be assumed that it initially occurred in verbs with an active referent.

Transitivity seems to have been neutralized within a construction in Megrelian, this indicating to the link of the prefix **o-** with the occurrence of an indirect object and not with transitivity marking. This is how one can account for the appearance of the pattern with the Georgian prefix **a-** for transitive verbs in Megrelian.

ციცინო კვანტალიანი

ქართულ ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლილების შესახებ

ენა ვითარდება და თანდათანობით, თითქოს შეუმჩნევლად, იცვლება: რაც ბუნებრივი იყო წლების წინ, დღეს უკვე მოძველებულია და სხვა ფორმით გვხვდება. ამჟამად ისეთი ვითარებაა, ქართულ ენას განსაკუთრებით უჭირს. გაუმართავი მეტყველება ისმის ტელევიზიიდანაც. სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა თითქოს საჭირო არ იყოს, მცდარი, არასწორი ფორმები გვჭრის ყურს. ჩვენი ვალია პროპაგანდა გავუწიოთ სწორად წერასა და მეტყველებას, მაგრამ ვალიართ ის ცვლილებებიც, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება და ენის განვითარების შედეგია. დღეს ეს ფორმები ბუნებრივია და ამკარად მყარი პოზიცია უჭირავს დაკანონებული წარმოების გვერდით. ამჟამად გვინდა ორიოდ მათგანზე შევჩერდეთ.

1 .-**ავ** თემის ნიშანი უკვე დიდი ხანია იფართოებს გამოყენების არეს. ამის მაგალითად ფუძედრეკადი ზმნებიც საკმარისია. სალიტერატურო ენის ნორმას დიალექტების უმრავლესობა -ავ თემისნიშნის ფორმებს უპირისპირებს. დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ ამ არასალიტერატურო ფორმებს იყენებს. რა თქმა უნდა, ნორმა უნდა დავიცვათ. ფუძედრეკადი, ანუ ხმოვანმონაცვლე ზმნები -ავ თემის ნიშანს არ დაირთავს: **წვევტს, გრეხს, დრეკს, კრეფს** — სწორი ფორმებია და ეს ყოველთვის ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ.

ამჟამად განვიხილავთ უთემისნიშნო, არაფუძედრეკად ზმნებს. ცნობილია, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ბუნებრივი თუ იყო **რეკს, თესს, რეცხს, ბერტყს, კეცს, წეწს, ხოცს** და მისთანანი, დღეს უმართებულო ფორმებია. ასეთ ზმნებთან -ავ თემის ნიშანი აუცილებელია: **რეკ-ავ-ს, თეს-ავ-ს, რეცხ-ავ-ს, ბერტყ-ავ-ს, კეც-ავ-ს, წეწ-ავ-ს, ხოც-ავ-ს**, მაგრამ აქვე არის გავრცელებული ამგვარი ზმნების ნაწილი, რომლებთანაც მიუღებელია -ავ

თემის ნიშნის გამოყენება. ასეთებია: **ტეხს, ჩეხს, კვეცს, ჩეჩს, იჩეჩს, იდეღს, ხეთქს, ყეფს, ჰექს, ხვეწს, კვეთს**. ამიტომ დღეს უმართებულო ფორმებად მიიჩნევა: **ტეხ-ავ-ს, ჩეხ-ავ-ს, კვეც-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს, ჰექ-ავ-ს, ხეთქ-ავ-ს, ხვეწ-ავ-ს** და მისთანანი. რა თქმა უნდა, ამ ზმნების დიდი ნაწილი მართლაც არ ითხოვს —ავ თემის ნიშნის დართვას და ეს სხვადასხვა მწკრივის ფორმებშიც ნათლად ჩანს:

კვეთ — გადა-კვეთ-ს —გადა-უკვეთ-ია შდრ. **ქუჩის გადაკვეთა**
ყეფ-ს — და-ყეფ-ს — და-უ-ყეფ-ია მასდარი: **ყეფა**
ჰექ-ს — და-ჰექ-ს — და-უჰექ-ია შდრ. **ჰექა-ქუხილი**
ხვეწ-ს — და-ხვეწ-ს — და-უხვეწ-ია მასდარი: **დახვეწა**

ამათგან განსხვავებით, არის ზმნები, რომლებიც უკვე, ფაქტობრივად, -ავ თემისნიშნისანებად შეიძლება მივიჩნიოთ. დღეს უმეტესად თემის ნიშნის გარეშე მათ არავინ იყენებს: **ტეხ-ავ-ს, ჩეხ-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს, იჩეჩ-ავ-ს, იდეღ-ავ-ს**.

თუკი დასაშვებია **კვეც-ავ-ს** ფორმა, რატომ არ შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ **კვეც-ავ-ს? ასევე ბერტყ-ავ-ს** ფორმა დასაშვებია, მაგრამ უმართებულოა **ჩეჩ-ავ-ს**; დასაშვებია **ჰედ-ავ-ს**, უმართებულოა — **ტეხ-ავ-ს** (შანიძე, 1980; თვალთვაძე, გაფრინდაშვილი, 2006; ზექალაშვილი, კინწურაშვილი, 2009).

რა დიდი განსხვავებაა მათ შორის? თუ არ ჩავთვლით იმას, რომ **ტეხავს** დღეს ჟარგონადაც გამოიყენება.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მასდარის წარმოება. თუკი ეს ზმნები შეიძლება -ავ თემისნიშნისანებად მივიჩნიოთ, თემის ნიშნის კვალი უნდა გამოჩნდეს მასდარშიც. რა თქმა უნდა, არის კიდევ გავრცელებული ეს ფორმები. ჩვეულებრივია ასეთი ფორმები:

ტეხ-ავ-ს მასდარშიც ჩანს-გ: **ტეხ-გ-ა**
ჩეხ-ავ-ს **ჩეხ-გ-ა**
ჩეჩ-ავ-ს **ჩეჩ-გ-ა**
იჩეჩ-ავ-ს **(ა) ჩეჩ-გ-ა**
(მო) იდეღ-ავ-ს **მოდეღ-გ-ა**

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **ხეთქ-ს, ჩეჩ-ს** ზმნების გვერდით დაშვებულია პარალელური ვარიანტები: **ხეთქ-ავ-ს, უხეთქ-ავ-ს, ჩეჩ-ავ-ს**, მაგრამ შესაბამისი მასდარები — **ხეთქ-გ-ა, ჩეჩ-გ-ა** — დაშვებული არ არის (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998). სინამდვილეში მასდარიც და ზმნური ფორმაც, ავთემისნიშნისანი, თითქმის დამკვიდრებულია. ეს

მაგალითებიდანაც ჩანს: „ფრთხილად, თორემ **გატეხავ**“; „შემას ყოველდღე **ჩენავ**“; „მატყლს **ჩეჩავ**“; „ქვას **ხეთქავ**“; „მხრებს **იჩეჩავ**“, „გულს **იღელავ**“; „საყელოს **მოიღელავ**“.

ვფიქრობთ, შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ -ავ თემისნიშნის ფორმები და მასდარბშიც დავუშვათ მათი პარალელური წარმოება:

ტენ-სი ტენ-ავ-ს

ჩენ-სი ჩენ-ავ-ს

ჩეჩ-სი ჩეჩ-ავ-ს

იჩეჩ-სი იჩეჩ-ავ-ს

(მო)იღელ-სი (მო)იღელ-ავ-ს

მოღელ-სი მოღელ-ავ-ს

ტენ-აი ტენ-ავ-ა

ჩენ-ა ი ჩენ-ავ-ა

ჩეჩ-ა ი ჩეჩ-ავ-ა

(ა)ჩეჩ-აი (ა)ჩეჩ-ავ-ა

მოღელ-აი მოღელ-ავ-ა

ჩვენი აზრით, ამ ვარაუდს განამტკიცებს ზ. ჭუმბურიძის მოსაზრება, რომელიც ეხება -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღლებას I თურმეობითში: „იგი საერთო ენობრივი ტენდენციის გამოხატულებაა, გავრცელებულია მთელი ხალხის სასაუბრო ენაში და არ წარმოადგენს ერთი რომელიმე დიალექტის (ან დიალექტთა წრის) შემონატანს სალიტერატურო ქართულში“ (ჭუმბურიძე, 1976, 35-36).

2. აქვე გვინდა შევეხოთ მეორე საკითხსაც — შედგენილი შემასმენლის მრავლობითი რიცხვის წარმოებას.

ცნობილია, რომ თუ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმდებარეობს არის გადმოცემული, ეს მიმდებარეობა მხოლოდითი რიცხვით იხმარება (კვაჭაძე, 1996; თვალთვაძე, გაფრინდაშვილი, 2006, 12; ზექალაშვილი, კინწურაშვილი, 2009, 121). ეს ეხება -ებიანი მრავლობითის წარმოებას, თორემ ნართანიანი მრავლობითში შეთანხმება დასაშვებია (იქვე). ე.ი. სწორი წარმოებაა:

ისინი **კმაყოფილი იყვნენ**

აღფრთოვანებული იქნებიან

გახარებული არიან

შესაბამისად, ნარიანი მრავლობითი:

კმაყოფილ-ნი იყვნენ

აღფრთოვანებულ-ნი იქნებიან

გახარებულ-ნი არიან.

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში ებიანი მრავლობითის ფორმებიც შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ. უპირველესად, იმიტომ, რომ დღეს ებიანი და ნართანიანი მრავლობითის ფორმებში ისეთი დიფერენციაცია არ არის, რაც იყო თუნდაც ძველ ან საშუალო ქართულში. მნიშვნელოვანია არნ. ჩიქობავას აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით: „ებ-იანი სახელობითი ცდი-

ლობს მოიპოვოს ნ-იანი სახელობითის უფლებები, შეითანხმოს ზმნა რიცხვში: ეს პროცესი სალიტერატურო ქართულში დღესაც არ დამთავრებულია, მაგრამ მისი მიმართულება და პერსპექტივები ცხადად ჩანს“ (ჩიქობავა, 2010, 597). „ებიანი და ნართანიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა განსხვავებული იყო წინათ და რამდენადმე განსხვავებულია დღესაც“, — წერდა პროფ. ლ.კვაჭაძე. ეს „რამდენადმე განსხვავებულობა“ დღეს კიდევ უფრო მეტად არის შესუსტებული. ამასთანავე ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ „მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან სახელით (არსებითით, ზედსართავით) გადმოცემული სახელადი ნაწილი კი მხოლოდშიც გვხვდება და მრავლობითშიც. მრავლობითის გადმოსაცემად მეშველი ზმნის ფორმაც საკმარისია, ასე რომ, უპირატესობა მიმღეობის მხოლოდით რიცხვში დასმას უნდა მიეცეს“ (კვაჭაძე, 1996, 130).

თუ სახელით გადმოცემული სახელადი ნაწილი მრავლობითში თავისუფლად დგება, რატომ არ უნდა დავუშვათ მიმღეობის მრავლობითის ფორმები? ან „მრავლობითობის გადმოსაცემად მეშველი ზმნის ფორმა საკმარისი“ ებიან მრავლობითთან თუ არის, რატომ არ უნდა იყოს ნართანიანი მრავლობითთანაც საკმარისი? ნართანიანი მრავლობითში მეშველი ზმნაც და სახელადი ნაწილიც (სახელით თუ მიმღეობით გადმოცემული) მრავლობით რიცხვში დგას. რატომ არ შეიძლება იგივე დავუშვათ ებიან მრავლობითში? ფაქტობრივად, უკვე ასეც არის დამკვიდრებული. დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ ბუნებრივად ჟღერს:

- „ასეთი ადამიანები **დასაფასებლები არიან**“;
- „მაგიტომ არც ისე **გალანძლულები არიან**“;
- „მაგიტომ **გამწარებულები არიან**“;
- „დიბლომატები **აღფრთოვანებულები არიან**“.

როგორც პროფ. ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, „ვნებითის მიმღეობით გადმოცემული სახელადი ნაწილი... მხოლოდშიც გვხვდება და მრავლობითშიც“ (კვაჭაძე, 1996, 130). დღეს ეს უფრო გამოკვეთილად იგრძნობა. ვფიქრობთ, უკვე უპირატესობა მხოლოდითი რიცხვის ფორმას აღარა აქვს. მიმღეობის მრავლობითი რიცხვის ფორმების დამკვიდრებას ადასტურებს პოსტპოზიციური, შებრუნებული წყობაც: მეშველი ზმნა + მიმღეობა, აქ, როგორც წესი, უფრო ჭარბობს მრავლობითი რიცხვის ფორმები:

- არიან მოსულები:**
- „ჩემთან **არიან მოსულები**“;
- „ამწეითი **არიან მოსულები**“;

„სტეპებიდან ისინი არიან მოსულები“;

არიან განარებული:

„ესენი ანდაზით არიან განარებული“;

„ჩვენ ვეხმარებით და ისინი არიან განარებული“;

არიან დასაფასებლები:

„იმიტომ არიან დასაფასებლები“;

„ადამიანები ხომ სწორედ ამიტომ არიან დასაფასებლები“;

არიან გალანძღულები:

„მწარედ არიან გალანძღულები“;

არიან დასუსტებულები, არიან დაავადებულები:

„შემშლისაგან ისე არიან დასუსტებულები, რომ სხვადასხვა რამით არიან დაავადებულები“;

ამდენად, ჩვენი აზრით, შედგენილი შემასმენლის ვნებითი გვარის მიმღობით გადმოცემული სახელადი ნაწილის ებიანი და ნართანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმებს შორის დღეს უკვე განსხვავება არ არის. თითქმის იდენტური სურათია, ამიტომ, ვფიქრობთ, შეიძლება დასაშვებად ჩავთვალოთ მათი პარალელური წარმოება და არ არის სასურველი, უპირატესობა მიენიჭოს მიმღობის მხოლოდობით რიცხვში დასმას.

ვფიქრობთ, ამჟამად დავსვით საკითხები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს დაფიქრებას. როცა ჩნდება კითხვა, მას პასუხი უნდა გაეცეს. საკითხი დღევანდელიდან გამომდინარე უნდა გადაიჭრას.

ლიტერატურა

ზექალაშვილი, კინწურაშვილი, 2009 — რ. ზექალაშვილი, ლ. კინწურაშვილი, ქართული ენა, ტესტები, სავარჯიშოები და მართლწერის საკითხები, თბილისი, 2009წ.

თვალთვაძე, გაფრინდაშვილი, 2004 — დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მართლწერის საკითხები და სავარჯიშოები, თბილისი, 2004წ.

თვალთვაძე, გაფრინდაშვილი, 2006 — დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მართლწერის საკითხები და სავარჯიშოები, II (სინტაქსი, ლექსიკა, სტილი), თბილისი, 2006წ.

თოფურია, გიგინეიშვილი, 1998 — ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998წ.

კვაჭაძე, 1996 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1996წ.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, შრომები, ტ. III, თბილისი, 1980წ.

ჩიქობავა, 2010 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, შრომები, ტ. I, 2010.

ჭუმბურიძე, 1976 — ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976.

Tsitsino Kvantaliani

On Some Ongoing Grammatical Changes in Georgian

Summary

Language develops gradually, changing as though unnoticeably. We need to recognize that changes, witnessed by us, are outcomes of language development. We will dwell upon two of them:

1. The thematic marker **-av** has been expanding its scope of use for a long period of time. Some verbs without thematic markers presently take on the **-av**. I believe that the occurrence of the **-av** can be considered proper in verbs and allow their parallel derivation in masdars.

ṭex-s \ \ **ṭex-av-s**

čex-s \ \ **čex-av-s**

čeč-s \ \ **čeč-av-s**

ičeč-s \ \ **ičeč-av-s**

(mo)iyey-s \ \ **(mo)iyey-av-s**

ṭex-a \ \ **ṭex-v-a**

čex-a \ \ **čex-v-a**

čeč-a \ \ **čeč-v-a**

(a)čeč-a \ \ **(a)čeč-v-a**

moyey-a \ \ **moyey-v-a**

2. I should also deal with the derivation of the plural form of a compound predicate. In my opinion, presently there is no difference between **-n** and **-eb-** suffixated plurals of a nominal part of a compound predicate, conveyed by a passive participle. One can assume their parallel derivation acceptable. „isini kmaqopilni iqvnen da isini kmaqopilebi iqvnen“ (They were pleased) – Both derivations are acceptable.

მაკა ლაბარტყავა

დანიშნულების სახელთა წარმოება მეგრულში

როგორც ცნობილია, სიტყვას ორგვარი ცვლილება მოუღის: ერთია მიმოხრა (ფლექსია), მეორე კი — წარმოქმნა (დერივაცია). სახელი, რომლის ფუძისაგანაც სხვა სახელია ნაწარმოები, არის ძირეული, ხოლო მისგან სხვა შინაარსით მიღებული სახელი — წარმოქმნილი. წარმოქმნილი ფორმა სხვა სახელია: მას სხვა შინაარსი აქვს, ვიდრე იმ სახელს, რომლის ფუძისაგანაც ის არის ნაწარმოები. „შედარება ძირეულსა და წარმოქმნილებს შორის გვარწმუნებს, რომ თვითეულ წარმოქმნილს თავ-თავისი მაწარმოებელი აქვს. მაწარმოებელი შეიძლება იყოს: პრეფიქსი, სუფიქსი, ან ორივე ერთად — პრეფიქს-სუფიქსი“ (შანიძე 1993; 109).

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვა (შანიძე 1973:120).

დანიშნულების სახელებს ორმაგი მაწარმოებელი აქვს, პრეფიქსი და სუფიქსი: **სა-ე**, **სა-ო**, **სა-ურ**. ჩანს, პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი.

1. **სა-ე** გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას: სა-ქათმ-ე, სა-ლორ-ე, სა-ცხვრ-ე, საპალნ-ე, სა-ყინულ-ე, სა-თვალ-ე, სა-ფულ-ე, საძუ-ე, საპალნ-ნე, სა-ყინულ-ე, სა-კირ-ე და სხვა. (შანიძე 1973:132).

სა — პრეფიქსს მეგრულში **ო** შეესატყვისება. მაგ.: **სა-ქათმ-ე**: ქათმების სადგომი მელა კვდებოდა და თავის საქათმეში მიჰქონდაო (ანდაზა); მელია ერთ **საქათმეს** შეეჩვია და სულ მუსრი გაავლო (ი. გოგებ.) (ქველ. 584); — მეგრ. ოქოთომური — იგივეა, რაც **ოქოთომე**, „ქათმისათვის განკუთვნილი ადგილი, საქათმე“ (ქაჯაია 2002: 456) მაგ.: **ოქოთმეშე** ქოთომქ, გექოთფურინუ „**საქათმიდან** ქათამი გამოფრინდა“; **ოქოთომე**

ქოთომებით გეიფშუ „**საქათმე** ქათმებით გაივსო“; ოქოთომე კრამიტით რე გეგნორთვილდ „საქათმე კრამიტითაა გადახურული“¹.

მეგრულში **ოქოთომე-ს** პარალელურად გვხვდება **ოკარიე** ოთხ ბომზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე ზევიდან ისლით იყო გადახურული. წოხოლეშა ოდა რენ დო ოკახალე **ოკარიე** „წინიდან ოდაა და უკნიდან საქათმე“ (ქაჯაია 2002: 259).

ო-ღეჯ-ე „საღორე“: უბედურქ თანაფა ხოლო **ოღეჯეს** დაასერუა „უბედურმა აღდგომაც **საღორეში** დაალამაო (ქაჯაია 2002: 457); მაგ.: **ოღეჯეს** ხუთ ტუ რე „სარორეში ხუთი გოჭია“; **ოღეჯე** დო ოქოთომე ართმაჟიამ ხოლოს რე „საღორე და საქათმე ერთმანეთთან ახლოსაა“. **ოღეჯე-შა** ვეგთირთე თიფერ ამბე რე „**საღორეში** არ შეისვლება ისეტი ამბავია“.

ო-ღეჯ-ე-ს პარალელურად მეგრულში გამოიყენება **ოსკუ** მაგ., ართი **ოსკუ** გეუღგუ დიდი „ერთი საღორე უღგას დიდი“ **ოშხურ-ე** „საცხვრე“, „ცხვრებისათვის განკუთვნილი ადგილი“ (ქაჯაია 2002: 461); **ოშხურე** თურქ იკალუ „**საცხვრე** თოვლმა დაანგრია“; ჭვიმაქ მოლართუ დო შხურეფ **ოშხურეშა** გინთოცუეს „წვიმა წამოვიდა და ცხვრები **საცხვრეში** შეცვივდნენ“.

ო-თხირ-ე „სათხილე, თხილნარი“ ცუდეშ ოწოხოლე უღუღეს ოთხირე „სახლის წინ ჰქონდათ სათხილე“ (ქაჯაია 2002: 428) **ო-თუნთ-ე** „**სადათვე**“ მაგ. მუგოკო ათე ოთუნთეს, მუქ გიღინე „რა გინდა ამ სადათვეში, რა დაგეკარგა“ (ქაჯაია 2002: 428) **ო-თუნთ-ე** „სადათვე“ მაგ. მუგოკო ათე ოთუნთეს, მუქ გიღინე „რა გინდა ამ სადათვეში, რა დაგეკარგა“ (ქაჯაია 2002: 427) **ო-თიფ-ე** „სათიფე“ მაგ. ცხენქ ოთიფეშა ირტუა „ცხენი სათიფეში გაიქცაო (ქაჯაია 2002: 427)

ო-ბინენ-ე „სავენახე“ მაგ. ვარ მოთ გოკო ობინენე ყურზენ მეზებუღასინი „ან რად გინდა ვენახი (სავენახე) ყურძენი უხვად ესხას (ქაჯაია 2002: 420)

ო-ფსქალ-ე „საფუტკრე“ მაგ. იბტ ტობუაფუთ ოფსქალეს „საფუტკრეში ვიქნებით დამალული“ (ქაჯაია 2002: 454).

ო-ქართ-ე „საჩენე“ წრიულად შემრავული ადგილი საქონლის სასამწყვდევად შემოკავებული საძოვარი. ართო უღუ თექ ოქართე „ერთად აქვს იქ ბაკი, **საჩენე** (ქაჯაია 2002: 455)

¹ ვიყენებთ როგორც ლექსიკონებში დამოწმებულ ლექსიკურ ერთეულებს და ფრაზებს (სათანალო ლექსიკონზე მითითებით), ისე — ჩვენს მასალას მიუთითებლად.

ო-ყუჯე „საყურე“ ბირბილამი **„ოყუჯეფი** ყუცუ კილურღვათი „ბიმიბი-ლინი საყურეები ყურზე ჩამოვიკიდოთ“ (ქაჯაია 2002: 459); ქომონჯქ მუმ ოსურს სკვამი **ოყუჯეფი** აჩუქუ „ქმარმა თავის ცოლს ლამაზ **საყურეები** აჩუქა“; ლალიმ ოუჯეფით ეფაშა რე მალაზიეფი. „ლალის თვლიანი **საყურეებით** სავსეა მალაზიები“; **ოყუჯური** ასკვამენს ოსურს („**საყურე** ალამაზებს ქალს“.

ვარჩხილიმ **ოყუჯური** ჯგირ საჩუქარდ რე „ვერცხლის **საყურე** კარგი საჩუქარია; ნინოქ **ოყუჯური** მიოდინუ „ნინომ **საყურე** დაკარგა“; **ოყუჯური** ბჟაშორო რიწკინუნს „**საყურე** მზესავით ბრწყინავს“.

ოთოლე, „**სა-თვალ-ე**“, „**თვალის ბუდე**“. თოლეფც ვაშაყუნდას ომქაე ჩხვინდინი, თოლი **ოთოლეს** ვედინტა რინე „თვალებს რომ არ ჩაჰყვებოდეს შუაში ცხვირი, თვალი სათვალე (ბუდეში) არ დაეტეოდო (ქაჯაია 2002 : 427);

ოყინეში, „**სა-ყინულ-ე**“ მაგ: ოთახეფ ოყინეშა რე გვენორთილდ - „ოთახები **საყინულედაა** ქცეული“; ხორცა ქიშევენახი **ოყინეშა** „ხორცი შევინახე **საყინულეში**“.

ოკირე, **ოკირეში**: „საკირე“, გადატ. ჯოჯონეთი გენია (ქაჯაია 2002 : 431) მაგ.: ოკირეს ტრაქტორეფ მემრავლუ „საკირეში ტრაქტორები მომრავლდენენ“; ოკირეს კირს ჭუნა „საკირეში კირს წვავენ“.

თუ სახელის ფუძე **ა** ხმოვანზე ბოლოვდება, მაწარმოებლის დართვისას ხდება ამ ხმოვანის მოკვეცა. მაგ.: ჭგაჭგატია „ჭიანჭველა“ >* **ო-ჯაჭგატი-ე** (ც. შონია 2006 : 68).

რამდენადაც მორფემთა შესაყარზე მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები ფონემატიური სტრუქტურის დაწოლის შედეგია, ფონემთა სინტაგმურმა მიმართებებმა, რომლებიც მორფემის ფარგლებში მოქმედებს, თავი უნდა იჩინოს მორფემთა შესაყარზე მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებში (უთურგაიძე 1970 : 16).

მორფემთა შესაყარზე როგორც კი შეიქმნება პოზიცია V-V მაშინვე აღდება დეტერმინანტისეული თანხმოვანი ლ. მაგ.: ჩხოუ „ძროხა“ > **ო-ჩხოლე**> **ო-ჩხოუ-ლ-ე**> **ო-ჩხო-ლ-ე**, ჯიმა „ძმა“>. **სა-ჯიმ-ალ-ო**.

მარტივლულ კილოში ძროხა აღინიშნება სიტყვით „ჩხო“, როგორც ვხედავთ აქ ორი ხმოვანი არ იყრის თავს, მაგრამ მაინც პრეფიქს-სუფიქსის დართვისას აღგილი აქვს ლ-ს პალატიზაციას: **ო-ჩხო-ლ-ე**; > **ო-ჩხო-ღ-ე**.

ლ-ს მეგრულისებური დარბილება მთელ ლაზურს კი არ ახასიათებს, არამედ ცალკეული ინდივიდების მეტყველების თავისებურებას, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობითაა რეალიზებული (კარტოზია 1968 : 2004).

2. **სა—ო** იგივეა მნისვნელობით, რაც **სა—ე**, ოღონდ ამას მეტი საციცოცხლო ძალა აქვს : ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია : სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო, სა-პატარძლ-ო, სა-უნივერსიტეტ-ო და სხვა... ბევრ ასეთ სახელს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული : სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-სამართლ-ო, სა-ხელოსნ-ო, სა-მრეკლ-ო, სა—ყელ—ო და სხვა. (შანიძე 1973 : 132).
3. **სა—ო** პრეფიქს-სუფიქსი მეგრულშიც დასტურდება. **საქიანო || ო-ქი-ან-ე** „საქვეყნო“ საქიანოთ „საქვეყნოდ“, ლამოსი ირკოც ვაულ საქიანოთ ართინერი „ნამუსი ყველას („ყველა კაცს“) არ აქვს **საამქვეყნოდ** ერთნაირი (ქაჯაია 2002 : 472) მაგ. : მუშო სახელი **საქიანოთ** რე ჩინებული „მისი სახელი **საქვეყნოდ** ცნობლია“ ; დავითიქ **საქიანო** საქმე ქიდიჭყუ „დავითმა **საქვეყნო** საქმე დაიწყო“; ქომონჯქე საქიანოთ დუდ მეჭკორგ მუშო ოსურს „ქმარმა საქვეყნოდ თავ მოჭრა თავის ცოლს“.
4. **ო-კალმან-ე** „საკალმანო“ ოკალმანეშა ქიმერთინი ჯვარული ხატეფქ ქიმააჭიმოუ — **საკალმანესთან** რომ მივიდა ჯვარული ხატები წამოეწიენენ (ქაჯაია 2002 : 429).
5. **ო-გინ-ე** „სახზორე, ხზოს სამწყვდევი“ მეჩხოულე გვალას ქემიორჩქინანს **ოგინეს, ოჩხოულეს**, მეშაკეთენს აგვარას მწყემსი (მეძროხე) მთაში გამოყოფს სახზოს (ქაჯაია 2002 : 422).
6. **ო-ჭკადურ-ე, ო-ჭკადრ-ე** „სამჭედლო“ : ჯოღორს ო-ჭკადრემ-ე მუ აღინენია „ძალს **სამჭედლოდან** რა წაეღებაო (ქაჯაია 2002 : 467).
7. **სა-მოჭყუდ-უ || ო-მოჭყუდ-უ** „საპატარძლო“ მოლასკურა გამანწყილო **სამოჭყუდუ** გეგნიხვამი „დროა ჭურს თავი მოხადო და საქორწილოდ გადაილოცო“, „წამოდი ჭურს თავი მოხადე და საქორწილოდ დაილოცე“ (ქაჯაია 2002 : 470) მაგ.: **სამოჭყუდუ** სტოლდ ევშა რდ ვარდეფით „**საპატარძლო** მაგიდა სავსეა ვარდებით“.
8. **სამოჭყუდუ** მოუთმელო ელუ სინჯას „**საპატარძლო** მოუთმენლად ელის სიძეს“ ნინო გეგმინწყე **სამოჭყუდუთ** „ნინო საპატარძლოდ

გამოეწყო“. მაგ: (მეგ. საჯარო), სა-ექიმ-ო (მეგრ. საექიმო), სა-უნივერსიტეტ-ო (მეგრ. საუნივერსიტეტო) **სა-სიძო** მეგრ. **ო-სინდალ-უ** (ქაჯაია 2002 : 450).

მეგრულში **ო-უ** პრეფიქს-სუფიქსისის პარალელურად გვხვდება **ო-უუ** მაგ.: **ო-დარაჯ-უუ** — იგივეა, რაც ოდარაჯებელი-„სადარაჯო“ მაგ.: **ო-დარაჯ-უუშა მიდართეს** — „სადარაჯოდ წავიდნენ“ (ქაჯაია 2002 : 143).

როგორც **სა-ე**, ისე **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოები სახელის ფუძე არსებითი სახელებია. გამონაკლისია: **სასწრაფო, საჩქრო** და სხვ.

3. **სა-ურ** დადასტურებულია რამდენსამე ძველი წარმოების სახელში. ესენია: სათა(ვ)-ურ-ი; სათით-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-ბეჭდ-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-ბარგ-ულ-ი, სა-ცეცხლ-ურ-ი და სხვ. (მანიძე 1973: 133).

სა-ცეცხლურს მეგრულში შეესატყვისება კებური, რომელსაც პრეფიქს-სუფიქსი არ ერთვის. **„კებური“** კებურ-ი, ყებურ-ი (ყ/ყებურს) კერა, კერია; ადგილი, სადაც ცეცხლს ანთებენ // ამ ადგილს დადებული თლილი ქვა, რომელზედაც ცეცხლი ინთება // ირგვლივ მისი ახალი ადგილი. მის ვაუცორს მუში ქიანა მუში ყუდე „დო კებური?“ ვის არ უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი სახლი და კერია? ე ბადიდი კებურს ე ქაკოდოხოდ დედ: - ის ბებერი კერიასთან დაჯდებოდა. ოსური შხვაში კებურიში ტუტა რენია—ქალი სხვისი კერის ნაცარია.“ (ქაჯაია 2002 :114-115).

მეგრულში პრეფიქს-სუფიქსი **ო-ურ-ის** პარალელურად გვხვდება **ო-ალ** მაგ.: **ო-გუბ-ალ-ი || ო-გუბ-ურ-ი** „საგუბარი“ (ქაჯაია 2002 : 422).

როგორც ზემოთ ვნახეთ, დანიშნულების სახელთა **სა-ე** პრეფიქსს მეგრულში შეესაბამება **ო-ე** (ო-კირ-ე, ო-ღეჯ-ე, ო-ქოთომ-ე...); **სა-ო** პრეფიქს-სუფიქსი ამ სახითაა წარმოდგენილი (სა-ქიან-ო), ან კიდევ **ო** სუფიქსს ენაცვლება **უ** (**სა-მოჭყუდ-უ || ო-მოჭყუდ-უ**). დანიშნულების სახელთა ერთი ნაწილი მეგრულშიც ისევე, როგორც ქართულში) **სა-ო** კონფიქსით იწარმოება.

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, მეგრულში დანიშნულების სახელები იწარმოება **ო-ურ** (ო-ქოთომ-ურ), **ო-ე** (ო-ქოთომ-ე), **სა-ო** (სა-ქიან-ო), **სა-უ** (სა-მოჭყუდ-უ || ო-მოჭყუდ-უ) კონფიქსით.

ლიტერატურა

ვაშაკიძე 1987 — თ. ვაშაკიძე, წინავითარების სახელთა წარმოება ქართველურ ენებში, თბ. 1987

კარტოზია, გერსამია, ლორია, ცხადაია, 2010 — გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, 2010.

კარტოზია 1968 — გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსისტემატიკისათვის, კრებული. „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ. 1968.

ქეგელ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (I-XIII);

უთურგაიძე 1970 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ. 1970.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები

შონია 2006 — ა. შონია, „სახელთა დერივაციის თანმხლები მორფო-ფონოლოგიური პროცესები მეგრულ-ლაზურში“. 2006. (დისერტაცია)

ქაჯაია 2009 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი ტ. II.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიდან.

Maka Labartkava

Derivation of destinative nouns in Georgian

Summary

Georgian derives destinative nouns by means of the confixes – **sa-e**, **sa-ur**; In Megrelian, they correspond to the following ones – **s-e** (**o-kir-e**, **o-yež-e**, **o-kotom-e**) and also to the confixes **o-ur** (**o-kotom-ur**), **o-e** (**o-kotom-e**), **sa-o** (**sa-kian-o**), **sa-ur** (**sa-močgud-u**).

The confix – **sa-o** exists both in Megrelian and Georgian, but sometimes in Megrelian the suffix **-u** substitutes **-o** (**sa-močgud-u**).

კობა შითაგვარია

ხმაბაძვითი სიტყვების საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში

ცნობილია, რომ ხმაბაძვითი სიტყვები ისევე შედიან ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, მსგავსად ექსპრესიული თუ ბავშვის ლექსიკისა, როგორც სხვა ლექსემები. მიუხედავად ხმაბაძვითი, ექსპრესიული და ბავშვის ლექსიკის მოარულობისა, ასეთი სიტყვები არაა სავალდებულო მაინცადამაინც ერთი ენიდან მეორეში შესულად ჩაითვალოს — ისინი, შესაძლოა, დამოუკიდებელი, კონკრეტულ ენათა ენათშემოქმედების ნაყოფიც იყონ (გ. ბურჭულაძე).

მაგალითად, ქართ. **გუგული** ყველა ქართველურ ენაში დასტურდება ზან. **გუგულ**-ი, სვან. **გაგო** (არნ. ჩიქობავა 1998, 16), **გოგუ**, **გეგო** (გ. კლიმოვი 1964, 65-66).

ამ ლექსემათაგან ძირეულად **გუგ**-სეგმენტია მიჩნეული და ვარაუდობენ, რომ ის საერთოქართველური ერთიანობის დროინდელი ფუძეა, თუმცა სვანურის მონაცემთა მიმართება ქართულ-ზანურ მასალასთან პრობლემატურადაა მიჩნეული, რაკი **გუგულ** ონომატოპოეტური ბუნებისააო (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990, 88).

ხმაბაძვითია ანალოგიური სათანადო ფუძეები, მაგალითად, დადესტნურ ენებშიც: ხუნძ. **გოგუ**, **გიქუ**; ანდ. **გაგუ**; დარგ. **გოგუთ** და არაქ. **ვიქუნ** (<***გიქმუნ** <***გიგუნ**) და სხვა (გ. ბურჭულაძე). ამ მცირე მასალის მიხედვითაც კი დადესტნურ ენებში ქართველურ ენათა ***გუგ**-ის ეკვივალენტურ ფუძეებში ძირეულ მორფემებად გ, ქ, ქჰ, უ, ჩ წარმოჩნდა. ამოსავალი ამ თანხმოვანთათვის კი, ცხადია, არის **გ, ქ**...

სათანადო ფუძე ინდო-ევროპულ ენებშიც ანალოგიური ძირეული მორფემებითაა წარმოდგენილი: ძვ. ინდ. **kōkas**, **kōkilas** ლატ. **cuculus**..., ირ-

ლანდ. **cuach**, გერმ. **kuckuck**, ფრანგ. **concon**, ძვ. სლავ. **кукавица...** რუს. **кукушка** და სხვ.

იმავე ძირეულმორფემიანია, აგრეთვე: თურქ. **ქუქუ**, ყაზ. **kökök...** (Фасмер 1986, 404-407).

ასევე ხმაბაძვითია ქართულში **ყვაგი**, **ჩხიკვი**, **ოფოფი** და მისთანანი.

ამათგან **ოფოფი** (მეგრ. **ოფოფი**, ჭან. **ოფამფე**, სვან. **ოფოფა**) ლექსე-მაზე მიუთითებენ, რომ იგი შესაძლოა, ქართველურ ენებში შეთვისებული იყოსო (არნ. ჩიქობავა 1938, 105) და უდარებენ მას სომხ. **յօրօր**, ლათ. **urupa** სიტყვებს, რომლებიც ინდო-ევროპულ ***erop // urup-**ს უკავშირდებიანო (გ. კლიმოვი 1964, 151).

მიუხედავად ასეთი დამთხვევისა, შესაძლოა, არც ეს ფუძე იყოს შესული ქართველურ ენებში, შდრ. მაგ. ხუნძური **ეფეფ** „ოფოფი“ (აგრეთვე **ჭუღჭუღ**). ასე რომ, არაა გამორიცხული „ოფოფის“ აღმნიშვნელი ფუძეები დამოუკიდებელი იყოს და არა ნასესხები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი ე. წ. საბავშვო ლექსიკის ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით: „...სავსებით შესაძლებელია დამოუკიდებელი მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშეო“ (ჩიქობავა 1938, 16). მაგ. ქართ. **ბაბეფ** < **ბაბაფ**, ზან. **ბაბა**, ჭან. **ბაბა**, თურქ. **ბაბა** „მამა“, აფხ. **ა-აბ** „მამა“.

ანალოგიური ფუძეები დასტურდება სხვა კავკასიურ ენებშიც.

ლაკ. **ფაუ** < ***ბუ**, ლეზგ. **ბუბა**, უდ. **ბაბა...** იმავე ძირეულმორფემიანი ჩანს კაბ. **აბო**, დიდ. **ობუ...** და სხვ.

ერთი სიტყვით, ის, რაც ზემოთ ითქვა „გუგული“, „ოფოფი“ რიგის ლექსემებზე, ჩანს, აქაც შეიძლება განზოგადდეს — ანალოგიური ფუძეები არაა სავალდებულო მაინცადამაინც ერთი ენიდან მეორეში შესულად ჩაითვალოს: ისინი დამოუკიდებელი, კონკრეტულ ენათა ენათშემოქმედების ნაყოფი შესაძლოა უფრო იყონ, მსგავსად, ვთქვათ, ექსპრესიული სიტყვებისა (გ. ბურჭულაძე 1989, 9). ამ რიგის ლექსემათა თაობაზე ა. მეიე შენიშნავდა, რომ რეგულარული ბგერათშესატყვისობანი ირღვევა, როცა საქმე ექსპრესიულ სიტყვებს ეხებაო. არნ. ჩიქობავა კი იმასაც აღნიშნავდა, რომ როცა ხმაბაძვითი ფუძეებია „...მაშინ შედარების საკითხი იხსნებაო“ (ჩიქობავა, 1938, გვ. 324).

ოღონდ, ამ და ანალოგიური სახის ლექსემათა ერთ ჯგუფზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ლექსიკის ამ სფეროშიც ბგერათცვლილებათა ის ტენ-

დენციებია დამახასიათებელი, რაც დასტურდება ამა თუ იმ ენის (resp. ენათა) ლექსიკაში (გ. ბურჭულაძე, 1989, 9).

კანონზომიერი, რეგულარული ბგერათშესატყვისობანი უნდა დასტურდებოდეს ამ რიგის სიტყვებშიც:

მაგ. **მერცხალი** <***მერწიხალი**; სადაც **წირხ** — (**რწიხ**-) წარმომობით ხმაბაძვითი ფუძეა, „რომელიც მერცხლის ხმიანობას, მის ჭიკჭიკს ასახავს“ (ტ. გულდავა). ეტიმოლოგიურად მერცხალი <***მერწიხალი** II ***მეწირხალი** „მოჭიკჭიკეა“ (**რწიხ**- II **წირხ**- ხმის გამომცემი). ამ ფუძეს მეგრულში კანონზომიერად შესატყვისება **მარჭიხოლი** (**მაჭირხოლი**) (ქართ. ე: მეგრ. ა / ქართ. წ: მეგრ. ჰ).

ქართ. **ღერღედი** (***ღარღადი**): ჰან. **ღორღონჯი**, მეგრ. **ღორღონჯი**.

არნ. ჩიქობავამ ქართულისათვის ამოსავლად ***ღარღად**-ი „ბატი“ ივარაუდა, რომლის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულ-ჰანტურის ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფუძეები.

თუ აქ მოვუხმობთ სვანურის **ღარღად**- II **ღარღად** „ბატი“ ლექსემასაც, ქართულისათვის ***ღარღად** ფუძის აღდგენა რეალურია და ბგერათშესატყვისობაც კანონზომიერი.

მიუთითებენ, რომ ფუძე, როგორც ჩანს, ხმაბაძვითია და უკავშირდება ***ღარ**- II **ღრ**- სეგმენტებს:

ქართ. **მღერ**: მეგრ. **ღორ**-; **ღუარ** „ყვირილი“, „ბღავილი“; ჰან. **მღორ**; სვან. **ღარ**- II **ღრ**- „სიმღერა“ (Г. Климов 1964, 201).

ქართულ ***ღარღად** ფუძეში იგივე ძირეული მორფემებია წარმოდგენილი, რაც გვაქვს „ლაპარაკი“, „ხმაურის“ აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში გაერთიანებულ ზოგ ფუძეში, როგორიცაა, მაგალითად, **ღარღილი** „ხმამალა ლაპარაკი“ (გურ., იმერ.), **ღარღალი** „აჩქარებული, ხმაურიანი დინება წყლისა“ (ქართლ.), **ღადანებს** „კვერცხის დადების წინ რომ დედალი თავისებურად კაკანებს“ (გურ., იმერ., ქართლ., **ღადღადი** „უთავბოლო ლაპარაკი“, **ღადღალური** „ხმამალა და ტკბილი გალობა“ (გურ.) (გ. ბურჭულაძე).

ანალოგიურადაა მიღებული ჩეჩნურსა და ინგუშურში „წეროს“ აღმნიშვნელი ფუძეები:

ჩეჩ.. **ღარღული** (<***ღარღური**) „წერო“, შდრ. **ღარა**, ხმაური, ხმა“; ინგ. **ღარღურა** „წერო“; შდრ. **ღარ**. „ხმაური, ხმა“.

ასე რომ, კანონზომიერი, რეგულარული ხასიათის ბგერათშესატყვისობანი დასტურდება არა მარტო საზოგადოდ მიღებულ ლექსემათა შო-

რის, არამედ ხმაბაძვით, ექსპრესიულსა და ბავშვის ლექსიკაშიც განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი ფუძეები იქცევიან სახელებად. ამიტომაც მათი გათვალისწინება აუცილებელია. ამათ გვერდით სასურველია, ზოგჯერ კი აუცილებელიც, სათანადო მატერიალური პარალელების ძიება სხვა ენებში, უპირველესად მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ლიტერატურა

ბურჭულაძე 1989 — გ. ბურჭულაძე, ბგერათმეცნიერების საკითხი ზოგ ლექსიკურ ჯგუფში, XI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989.

გუდავა 1964 — ტ. გუდავა, მერცხალი, იკე, XIV, თბილისი, 1964.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ფეინრიხი, სარჯველაძე 1990 — ჰ. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე, ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.

Климов 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Тбилиси, 1964.

Фасмер 1986 – М. Фасмер, Этимологический словарь руссколго языка, Москва, 1986.

Koba Mitagvaria

On onomatopoeic words in some Ibero-Caucasian languages

Summary

Despite the spread of onomatopoeic, expressive and child vocabulary, such words should not be considered to be adopted from another language as they may be independent, a result of a creative ability of a specific language.

Regular sound correspondences have been attested in generally recognized lexemes but also in onomatopoeic, expressive and child vocabulary (mainly, when such stems turn into words).

რუსუდან მურღულია

მიხეილ ყიფიანი და მისი გრამატიკული შემოქმედება

ყიფიანი მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე (1846, ქვიშხეთი — 1916, იქვე) იყო საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აქტიური მონაწილე, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებელი. იგი იყო დიმიტრი ყიფიანის ძმისწული; მოღვაწეობდა ქუთაისში, თბილისსა და, ძირითადად, გორის საოსტატო სემინარიაში. მისი აღზრდილები იყვნენ ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ანასტასია ერისთავი-ხომტარია, თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე ნათაძე, ნიკო ლეონიძე და სხვ. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო ორჯერ იყო გადასახლებული შორეულ ციმბირში — ორენბურგსა და უსტკამენოგორსკში. მას სიცოცხლეშივე დაედუბა მეუღლე და ოთხი შვილი.

იკვლევდა ქართული ენის ბუნებასა და „ეტიმოლოგიას“ — ენის აგებულების პრინციპებსა და მის შემდგომ განვითარებას. აქვს გრამატიკული ნაშრომები: ჟურ. „განათლებაში“ 1911-12 წწ. დაბეჭდილი ხუთი წერილი და 1914 წელს რუსულად გამოქვეყნებული ცალკე შრომა "Основы грузинской грамматики".

ამ ნაშრომებში განხილულ მთელ რიგ გრამატიკულ საკითხებთან ერთად, როგორებიცაა: მეტყველება, დამწერლობა, ფონეტიკა, ზოგადად გრამატიკა და ავტორის თანამედროვე გრამატიკოსთა ნააზრევი, ქართული სალიტ. ენის პრობლემები, — გამოიყოფა ორი მთავარი თემა:

1. ქართული ენის იმ ძირითადი ელემენტების აღმოჩენა-განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობენ ქართული სიტყვების წარმოებაში, მათ ბრუნებასა და უღვლილებაში. ასეთებად იგი, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს ა, ი, ე „მანძილად მარტივებს“, შემდეგ მ, ვ, გ, უ „პიროვან მარტივებს“, მარტივ „სახიფათო“ ელემენტს **ხ**-ს და ქართული ენის ბუნებისათვის მის მიერ აუცილებელ „დიდ“ მარტივად მიჩნეულ ჰ-აეს.

2. ქართული ზმნების „ძირითადების“ გამოკვლევა და მათი მიჩნევა კანკლედობრივი ჩამომავლობისად. მ. ყიფიანი თავისი კვლევის შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართული ზმნების უღვლილება დამყარებულია ბრუნვათა „ზედკეცილობის“ კანონზე, რაც, მისი აზრით, არის ქართული ენის ბუნებრივი კანონი.

ჩვენ ნაშრომს მიზნად დავუსახეთ არა იმდენად მ. ყიფიანის გრამატიკული ნააზრების განხილვა-შეფასება, არამედ სურვილი, მკითხველს გავაცნოთ დღესდღეობით უსამართლოდ მივიწყებული ქართველი მამულიშვილი და მის მიერ ორიგინალური თვალთახედვით დანახული და განხილული ქართული ენის გრამატიკული საკითხები, რომელთა კითხვის დროს იგრძნობა ავტორის გულმოდგინე შრომის კვალი, ქართული ენის ბუნების კარგი ცოდნა და, რაც მთავარია, საოცარი სიყვარული ქართული ენის მიმართ, რომელსაც მ. ყიფიანი თავისი კვლევის საფუძველზე „ბუნება დიდებულს“ უწოდებს.

მიშო ყიფიანს მძიმე ცხოვრება და ტრაგიკული ბედი ხვდა წილად, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისი მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის თავისი ქვეყნის სამსახურში.

1875 წელს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ქუთაისში. მან ე. იოსელიანთან და ი. ქიქოძესთან ერთად შექმნა არალეგალური ხალხოსნური ჯგუფები, რის გამოც ხელისუფლებისაგან ბევრი ტანჯვა და დევნა იწვნია. 1876 წელს მ. ყიფიანი დააპატიმრეს და გადაასახლეს ჯერ აღმოსავლეთ ციმბირში, შემდეგ კი ორენბურგში, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა.

1881 წელს ის დაბრუნდა საქართველოში და მასწავლებლობდა ჯერ თბილისის მეორე გიმნაზიაში, შემდეგ ამიერკავკასიის — გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მ. კეკელიძე წერს: „ზედმიწევნით განათლებულს, ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მცოდნეს, სათნო ბუნებისა და ენერგიით სავსე მ. ყიფიანს მოსწავლეთა და პედაგოგთა დიდი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, მისი გაკვეთილები მოსწავლეთა აღტაცებას იწვევდა და ცოდნასთან ერთად მათ სამშობლოსა და ხალხისადმი სიყვარულს ასწავლიდა“ (მ. კეკელიძე, 184).

მ. ყიფიანმა გორშიც განაგრძო ხალხოსნური მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით მოსწავლეები კითხულობდნენ საინტერესო წიგნებს, წერდნენ ისტორიული, ლიტერატურული და რევოლუციური ხასიათის რეფერატებს, იღვებოდა ქართული წარმოდგენები. ოჯახებში ეწყობოდა საღამოები, სადაც იმართებოდა სჯა-ბაასი და იკრიბებოდა საუკეთესო ახალგაზრდობა. „აი, ამ წრეში აღიზარდნენ ჩვენი დიდებული პოეტები ლუკა და ნიკო რაზიკაშვილები (ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა), თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე ნათაძე, ნიკო ლეონიძე, საბა ციმაკურიძე“, — წერდა სოფ. მგალობლიშვილი.

ერთხელ ალ. გარსევანიშვილთან თავის მოსწავლეებზე საუბრის დროს მ. ყიფიანს ვაჟა-ფშაველას შესახებ უთქვამს: „ჩემ მასწავლებლობის დროს მე გადავიკითხე მისი (ვაჟას) დაუბეჭდავი ხელთნაწერები და დავრწმუნდი, რომ ვაჟა ორიგინალობის გარდა ღრმა მწერალია ფილოსოფიური განხრით. როგორც ყოფილი მასწავლებელი მე ვამაყობ ამ მოწაფის სახელით. ბედნიერი ვარ იმით, რომ ვაჟას გონებრივ განვითარების პროცესში მეც შევიტანე ჩემი პაწია წვლილიო“ (ყუბანიშვილი, 145).

სხვა სამაზრო ქალაქებთან შედარებით გორი იმ დროისათვის მდიდარი იყო ინტელიგენტური ძალებით. აქ მოღვაწეობდნენ ხალხოსნები — ნიკო ურბნელი, შიო დავითაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი და სხვ. ასევე შესანიშნავი პიროვნება ყოფილა სემინარიის დირექტორი სემიონოვი, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა სემინარიაში მოსწავლეთა პროგრესულად აღზრდა-განვითარებას. სწორედ მისი დიდი ძალისხმევითა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების შედეგად მიიღო მ. ყიფიანმა გორის სემინარიაში მასწავლებლობის უფლება.

გორში მოღვაწეობა მ. ყიფიანს წიგნთსაცავის შექმნით დაუწყია. მისი თაოსნობით სოფ. მგალობლიშვილის ბინაში შეუდგენიათ იმ დროისათვის საკმაოდ ვრცელი წიგნთსაცავი, რომლის საშუალებითაც (და მ. ყიფიანის ხელმძღვანელობით) მოსწავლეები ეცნობოდნენ საინტერესო წიგნებს.

„მიმო ყიფიანის სათნოიანმა ხასიათმა და განსაკუთრებით მოწაფეებისადმი ჰუმანურმა მიდგომამ მალე მიიზიდა ახალი თაობა. ყველა ჩვენთაგანი აშკარად ხედავდა, რომ ეს ახალგაზრდა მასწავლებელი პროგრესული მიმართულების ადამიანია... ყოველ მის სიტყვას და დარიგებას სულგანაბული ვისმენდით, ყოველი აზრი მიმო ყიფიანისა ჩვენ მიგვაჩნდა ნამდვილ

ჭეშმარიტებად... ერთი სიტყვით მიმო ყიფიანმა ისეთი ატმოსფერო შექმნა, რომელმაც ჩვენი განვითარება რამდენიმე ნაბიჯით წინ წასწია“, — იგონებს ალ. გარსევანიშვილი (ყუბანიეშვილი, 12).

ასევე „ენაწყლიან, მჭევრმეტყველ, ტკბილ-მოამბე, მიმზიდველ, განვითარებულ პიროვნებად“ ახასიათებს მას სოფ. მგალობლიშვილი თავის „მოგონებებში“ (მგალობლიშვილი, 1938, 91).

სამასწავლებლო სემინარიაში მოღვაწეობის პარალელურად მიხეილ ყიფიანი ანაზღაურების გარეშე გორის ქალთა პროგიმნაზიაშიც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, რომელიც ამ პროგიმნაზიაში სწავლობდა, ასე იხსენებს მ. ყიფიანის ახსნილ გაკვეთილებს: „ვისმენდი ამ მომაჯადოებელ სიტყვებს ძვირფასი მასწავლებლის მიხეილ ყიფიანის გაკვეთილებზე და ვგრძნობდი ჩემთან ერთად მღელვარება მრავალ ათასთა გული“ („ლიტერატურის მატრიანე“, 146).

მ. ყიფიანის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია, რომ ერთხანს იგი მსახიობობდა, ხოლო 1887 წელს ქართული დასის რეჟისორიც ყოფილა. წერდა ლექსებსა და ნარკვევებს სოფლის ცხოვრების საჭირობო-ტო თემებზე. თარგმნა ბაირონი და წიგნები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე. მოღვაწეობდა „ზემო ქართლელის“, „იორდანე ტუსადის“, „ტუსადისა“ და სხვა ფსევდონიმებით (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 655).

1885 წ. მარტში მ. ყიფიანი გადაასახლეს უსტკამენგორსკში, სადაც მას თან გაჰყვა მისი ოჯახი — მეუღლე ლიზა თავისი დედით, დითა და სამი მცირეწლოვანი შვილით.

ქუთაისში ცხოვრების დროს მ. ყიფიანმა გაიცნო აფხაზეთის მთავრის — მიხეილის — ძმის, ალექსანდრეს, ქალიშვილები — ელისაბემე (ლიზა) და მარიამ შერვაშიძეები. ლიზას შეუყვარდა მიმო ყიფიანი და ქუთაისის ციხეში დაიწერა მასზე ჯგარი (იხ. ალბომი აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ 2009 წელს).

უსტკამენგორსკში მათ უმძიმეს პირობებში მოუხდათ ცხოვრება. აი, როგორ აღწერს უსტკამენგორსკში გატარებულ დღეებს მიმო ყიფიანი სოფრომ მგალობლიშვილისადმი მიწერილ წერილში: „ესე კი, რამდენადაც კარგია მანდედან მოწერილი წერილი, იმდენად უფერულია აქედან მოწერილი. ან რა უნდა მოიწეროს ამ გასაოხრებელი ქვეყნისაგან. ბარათის დაწერა ისე როგორ მოახერხოს კაცმა, რომ უპირველეს თავის ვარამზე არ სთქვას რა. რა არის ჩვენი დიდი ვარამი, შემაწუხებელი დედ-მამისა, მაწა-

მებელი შვილებისა? ეს ოხერი აქაური ზამთარი, გარეთ საშინელი დაუსრულებელი ყინვა, შიგნით საძაგელი „უგარი“. დღეს დილაზე და ამაღამ ყინვა ოცდაათ გრადუსამდე აღის... ჩემი შვილები რომ გაჩვენა, შეგებრალემა. ყაფაზაში ვართ ჩაყრილი, ჩიტებივით სხედან ამოხუთულ ოთახებში. აი „უგარიც“. დღეს ღიზა ცოდვილობდა სადილის საქმეს და ისეთი „უგარი“ მოუვიდა, რომ საშინლად გააცივა და თავბრუდახვეული წვეს, ავად არის. იმდენი მე და შენ გამარჯვება, რამდენჯერ მე აქ მეთქვას — შე ოხერო ჩემო თავო, რა მოგატლიკინებდა ამ საბაბაყულო ქვეყანაში-მეთქი... აქ მწუხარების მეტს ვერას ვხედავ“ (მგალობლიშვილი, 1938, 95).

მ. ყიფიანს გადასახლებაშიც — ამ მძიმე პირობებშიც არ შეუწყვეტია მასთან ერთად გადასახლებულ ქართველებთან ურთიერთობა და პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ დროს ციმბირში ბევრი ქართველი იხდიდა სასჯელს, ესენი იყვნენ: ალ. ნანეიშვილი, ს. ჭრელაშვილი, ივ. ჯაბადარი, ნიკო ჩიკოძე, გ. ზდანოვიჩი, ალ. ციციშვილი.

„პედაგოგია მოხერხებული დიდი ძალაა, — ამბობს მ. ყიფიანი, — ამ ზამთარ მთელ წინ წავიდნენ გონების გავარჯიშებაში და განვითარებაში ჩემი ორი შვილი — შალო და ვახტანგი... გასაოცრად მეცადინეობს სტეპკო (ჭრელაშვილი), სწავლობს და კითხულობს მეტი-მეტად და ბეჯითად ენები შეისწავლა. ძალიან მხნე ბიჭია და ბევრსაც გააკეთებს. საზოგადოდ ჩვენი სული, გული და გონება მანდ, ჩვენს ქვეყანაშია და ამიტომ ყოველი ჩვენი მეცადინეობა მანდ სახიროდ არის მომართული (მგალობლიშვილი, 1938, 96).

1887 წელს მ. ყიფიანი გაათავისუფლეს. ის მარტო დაბრუნდა საქართველოში, რომ ფული შეეგროვებინა ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად. ამასობაში ღიზა იქ გარდაიცვალა და მისი გადმოსვენება გახდა საჭირო. ეს საშინელი ტრაგედია იყო მისთვის, რადგან ღიზა არა მარტო მოსიყვარულე მეუღლე, არამედ მისი ტანჯული ცხოვრების ერთგული მეგობარიც იყო. აი, როგორ ახასიათებს მას მ. ყიფიანი კოლა ფავლენიშვილისადმი მიწერილ წერილში: „სიცოცხლეში მოსვენებას მოკლებული ჩემი ღიზა, ჩემი ბატონი, რომელმაც მე მისს უღირსსა და თავის სამს შვილს სიცოცხლე მართლა ანაცვალა. ღიზას „გენაცვალე“ მართლა თავგანწირულებას ნიშნავდა. მარტოდ ვარ, ძმაო კოლა, მარტოდ, საცა ვიყო, მარტოდ ვარ, და აი რა ყოფილა ყოველს გვარს წამებაზე უუძნელესი წამება. რამდენ ციხეში ვიყავი ხოლმე ერთადერთი შეკეტილი, მაგრამ მარტოდ მაინც არ ვიყავი, ვიცოდი ღიზას გული სცემდა, მისი კეთილი მფარველი ფიქრი ჩემთან იყო. ახლა, ახლა რაღა ვარ? მარტოდ ვარ! (მგალობლიშვილი, 1915, 99).

მაგრამ ბედმა არ აკმარა მას ეს განსაცდელი, სამივე შვილიც დაეხოცა. „დადიოდა გიჟივით, გაცოფებული, გამოშტერებული“, — იგონებს სოფ. მგალობლიშვილი (მგალობლიშვილი, 1938, 99). მაგრამ მას მაინც მოუკრებია ცხოვრებისეული ძალა, შეუერთავს ნასწავლი გერმანელი ქალი, ვაჟიც შესძენია, რომელიც საზღვარგარეთ გამოზარდა. მაგრამ ისიც — არაჩვეულებრივი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე — უცებ მომკვდარა. ამას კი ველარ გაუძლო მ. ყიფიანმა და 1916 წ. 10 დეკემბერს გარდაიცვალა ქვიშხეთში (მგალობლიშვილი 1938, 99).

თავისი გრამატიკული შეხედულებები მ. ყიფიანს ჩამოყალიბებული აქვს ხუთ წერილში და ცალკე შემაჯამებელ შრომაში.

ეს წერილები 1911-12 წლებში ჟურნალ „განათლებაში“ იბეჭდებოდა.

წერილი პირველი, როგორც მას ავტორი უწოდებს, დაიბეჭდა 1912 წლის „განათლების“ №3-ში, სათაურით „ეტიმოლოგიური შენობა და წარმოება ქართული სიტყვებისა“; ამ წერილში საუბარია მის მიერ გამოვლენილ და „მანძილად მარტივებად“ წოდებულ ა, ი, ე ელემენტებზე, იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი ქართული სიტყვების წარმოებაში. მოყვანილია სათანადო მაგალითები.

შემდეგ მოდის სამი წერილი ერთნაირი სათაურით: „ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიური შენობისა“ („განათლება“ 1912 წ. №7, 9, 10). ამათგან პირველის ქვესათაურია: „შენობა და წარმოება ქართულ სიტყვებისა“ — აქ ავტორს შემოჰყავს „პიროვანი მარტივები“ და მარტივი „სახიფათო“ ელემენტი „ს“-ანი. საუბრობს მათ ფუნქციებზე სიტყვათწარმოებაში, ბრუნებასა და უღვლილებაში. შემდეგ წერილში საუბარია ზოგადად მეტყველებაზე, ბგერებზე, მარცვალზე, ფონეტიკის საგანზე, დამწერლობაზე, ეტიმოლოგიაზე. მოცემულია მათი განმარტება-წესები. საუბარია ასევე სიტყვის შემადგენელ ნაწილებზე — ძირებზე და მის მაწარმოებელ ელემენტებზე. აღწერილია სიტყვის ძირების ნაირფეროვნება: დაწყვილებული ძირები, მარტივი ერთეული ძირები, ერთმარცვლოვანი ძირები, ერთასოიანი ძირები. საუბარია ასევე სიტყვის ძირების ამოცნობაზე და ყოველივე ამის შემდეგ წარმოდგენილია „სიტყვის წარმოების“ საზოგადო ფორმულა.

მომდევნო წერილი მთლიანად ეძღვნება მ. ყიფიანის მიერ ქართული გრამატიკის „დიდ მარტივად“ წოდებულ „ჰ“-აეს — უამრავი მაგალითის ფონზე მისი ფუნქციის განსაზღვრას.

ავტორის თქმით, „პ“-აე ქართული ენისათვის აუცილებელი, ბუნებრივი ეტიმოლოგიური მარტივია, რომელიც ჩნდება უღვლილებაში და მაჩვენებელია სწორედ ყოფა-მოქმედებისა და არსებობის „მიმოხვრისა“: „უღვლილების, როგორც ყოფა-მოქმედების მიმოხვრის, სახიერებას გვიჩვენებს მარტივი ბუნებრივი „პ“-აე; სწორედ ეს ბუნებრივი „პ“-აე განასხვავებს უღვლილების ფორმებს კანკლედობის ფორმებისაგან“ (წერ. V, 755), — აღნიშნავს ავტორი. შემდეგ გადადის სალიტ. ენის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობაზე და „პ“-აეს აუცილებლობის დასადასტურებლად მაგალითები მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“, ილიას, ნ. ბარათაშვილისა და მერჩულეს შემოქმედებიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ყიფიანი მეტად მტკივნეულად განიცდის „პ“-აესთან დაკავშირებულ კრიტიკას, მიაჩნია რა, რომ ეს „მარტივი“ ქართულ ენას სიღარბაისლესა და განსაკუთრებულ ხიბლს მატებს.

1911 წ. „განათლების“ №5-ში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ქართული ზმნის ძირითადები და იმათი კანკლედობრივი ჩამომავლობა“. ეს წერილი 1911 წელსვე ცალკე პატარა წიგნად გამოიცა სხვა სათაურით „ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა“, ხოლო შემოადინიშნული სათაური ქვესათაურადაა მოცემული. ეს არის, ჩვენი აზრით, ავტორის ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო და ორგინალური გამოკვლევა ქართული უღვლილების ფორმათა განსაზღვრისათვის. აქ ცალ-ცალკე ბრუნვების მაგალითზე დაწვრილებითაა ნაჩვენები, როგორ იწარმოება უღვლილების ფორმები კანკლედობრივი ფორმებისაგან.

მისი თქმით, „კანკლედობა უმთავრესი ზოგადი ეტიმოლოგიური ცვალებადობა არის ქართულ გრამატიკაში... სიტყვები კანკლედობრივ ცვალებადობით გამოპხატავენ საგნების ურთიერთობას.

უღვლილება არის კანკლედობაზედ დამყარებული კერძო გრამატიკული ცვალებადობა ყოფა-მოქმედებისა დროში, პიროვნებაში და რიცხვში, მარტივ პრეფიქსების წინ წაბმით“ (წერ. V).

მ. ყიფიანი თავის ამ მოსაზრებას ხსნის ბრუნვათა „ზედკეცილობის“ კანონის აღმოჩენით. მისი აზრით, ეს კანონი ქართული გრამატიკის ბუნებრივი თავისებურებაა და თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ქართული უღვლილების „ძირითადების“ განსაზღვრისათვის.

„ამგვარად ქართული უღვლილების ძირითადები საზოგადოდ კანკლედობრივის და კერძოდ ბრუნვათა ზედკეცილობის ჩამომავალნი არიან და მათზედ, როგორც საფუძველზედ ჰშენდებიან.

სწორედ ამ ძირითად ბუნებრივ კანონის ამოკითხვა იყო საჭირო, რომ ჩვენი ქართული ეგრედ წოდებული „ზმნების“ არა კანონიერება, რაცა დღეს უაზრობად და უნდა ჩაითვალოს, უარქმნილ იყო და იმითი თითქოს ყველა ჩვენი ზმნების რიგიანობა დამტკიცებულიყო“. (წერ. V).

თუ რას გულისხმობს ბრუნვათა „ზედკეცილობის“ კანონში, ამასთან დაკავშირებით მ. ყიფიანი აღნიშნავს: „ბრუნვათა ზედკეცილობის კანონი გვიჩვენებს, რომ ერთხელ დაბრუნებული სიტყვის რომელიმე ფორმა აიღება საფუძვლად კანკლედობისა, ე. ი. აიღება იგი წრფელობით ბრუნვად და კვალად მიეცემა განმეორებულ ბრუნვას. სწორედ ამ გვარადვე **კანკლედობრივი ძირითადი უღვლილებისა** განიცდის კვალად ბრუნვათა ზედკეცილობას და, ამ გვარ ნაცვალეზადი ჰხდება უღვლილების საფუძვლად“ (წერ. V).

აღნიშნულის ნათელსაყოფად მოგვყავს ავტორის მიერ ერთ „სხმაში“ მოქცეული „ძირითადების“ მაგალითები.

ქ ა რ თ უ ლ ი

Particip. Perfecti:	კანკლედობრივი ფორმები უღვლილებისა										
	1.			2.		3.		4.		5.	
	წრფელობ. ბრუ.			ნ. და მიც.		მოქმედ.		განვითარებითი		წოდებითი	
	1	2	3	4	5	6	7				
ნაწერი	წერ,	წერ-ა,	წერი-ა;	ს-წერ-ს,	ს-წერ-თ,	ს-წერ-დ-ა-	ს-წერ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ცემ-“	ცემ,	ცემ-ა,	ცემ-ია;	ს-ცემ-ს,	ს-ცემ-თ;	ს-ცემ-დ-ა-	ს-ცემ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ხევ-“	ხევ,	ხია,	ხევ-ია,	ჰ-ხევ-ს,	ჰ-ხევ-თ,	ჰ-ხევ-დ-ა-	ჰ-ხი-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ფენ-“	ფენ,	ფინა,	ფენ-ია;	ჰ-ფენ-ს,	ჰ-ფენ-თ,	ჰ-ფენ-დ-ა-	ჰ-ფინ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-რევ-“	რევ,	რია,	რევ-ია;	ჰ-რევ-ს,	ჰ-რევ-თ,	ჰ-რევ-დ-ა-	ჰ-რი-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-წევ-“	წევ,	წია,	წევ-ია;	ს-წევ-ს,	ს-წევ-თ,	ს-წევ-დ-ა-	ს-წი-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ღეჭ-“	ღეჭ,	ღეჭა,	ღეჭ-ია;	ჰ-ღეჭ-ს,	ჰ-ღეჭ-თ,	ჰ-ღეჭ-დ-ა-	ჰ-ღეჭ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ჩეხ-“	ჩეხ,	ჩეხა,	ჩეხ-ია;	ს-ჩეხ-ს,	ს-ჩეხ-თ,	ს-ჩეხ-დ-ა-	ს-ჩეხ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-ტევ-“	ტევ,	ტია,	ტევ-ია;	ს-ტევ-ს,	ს-ტევ-თ,	ს-ტევ-დ-ა-	ს-ტი-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ);
„-გოგ-“	გოგ,	გოგა,	გოგ-ია;	ჰ-გოგ-ს;	ჰ-გოგ-თ;	ჰ-გოგ-დ-ა-	ჰ-გოგ-ო	(ი-ე, ს, თ);			(ს, თ, ე:ს, თ)

აქედან გამომდინარე, მ. ყიფიანი მიდის იმ აზრამდე, რომ „ზმნების უღვლილება უმთავრესად ჰშენდება შვიდ ძირითადს ფორმაზედ“: ა. წრფელობითისაზედ სამზედ, რომელიც ჰქმნის პირველ რიგს „ძირითადებისას“ უღვლილებაში, ბ. ნათესაობით-მიცემითისაზედ ერთზედ, რომელიც ჰქმნის მეორე რიგს „ძირითადებისას“ უღვლილებაში, გ. მოქმედებითისაზედ ერთზედ — მესამე რიგი „ძირითადებისა“, დ. განვითარებითისაზედ ერთზე და რთულზედ — მეოთხე რიგი „ძირითადებისა“, ე. წოდებითისაზედ ერთზედ და რთულზედ, ესაა მეხუთე რიგი „ძირითადებისა“.

„ეს ძირითადები, — აღნიშნავს მ. ყიფიანი, — ანუ საფუძვლები უცვლელად ჰრჩებიან ქართულ ზმნის უღვლილებაში, ხოლო მარტივი ნაცვალსახელები (ა, ი, მ, ვ, გ, უ) ცალ-ცალკედ ან ერთმანეთში შეუღლებით შეავსებენ და ამთავრებენ უღვლებას **დროში, რიცხვში და პიროვნებაში**“.

ხელთა გვაქვს ასევე 1914 წ. გამოცემული ძველი რუსული ორთოგრაფიით შესრულებული წიგნი "Краткое изложение основныхъ естественныхъ законовъ картвельскаго языка по грузинской рукописи". ამ წიგნში მაგალითები წარმოდგენილია ლათინური ანბანით. აქ მთლიანობაში არის წარმოდგენილი და სისტემურად დაჯგუფებული მთელი ის მასალა, რაზეც უფრო ვრცელადაა საუბარი მის წერილებში. მოცემულია ტაბულა ბრუნების ფორმებთან უღვლილების ფორმათა მიმართებისა.

ამავე წიგნის წინასიტყვაობაში მ. ყიფიანს თეზისების სახით აქვს ჩამოყალიბებული მის მიერ თავის ნაშრომებში წარმოდგენილი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ის შეეცადა გამოეკვლია ქართული ენის სტრუქტურა და დაადგინა შემდეგი „ეტიმოლოგიური“ ღირებულებები: **I.** ძირითადი ელემენტები და მათი როლი ეტიმოლოგიაში; **II.** სიტყვათა პირველადი წარმოების კანონი; **III.** უღვლილებაში ბრუნვათა ზედკეცილობის კანონი, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებლობა მისცა მიეჩინა გრამატიკაში კუთვნილი ადგილი, როგორც თვითონ ამბობს, ჩვენი გრამატიკოსების მხრიდან უყურადღებოდ დატოვებული მრავალრიცხოვანი ცოცხალი ფორმებისათვის; **IV.** ბრუნვათა ფორმებისგან უღვლილების გენეზისის კანონი; **V.** უღვლილების მთავარი და ძირითადი ფორმები, რამაც ბუნებრივად განსაზღვრა **VI.** ქართულ ზმნა-სახელების ფორმაცვალების ოთხი

სახეობა მოქმედებითი ზმნების ძირთა ცვალებადობის მხრივ და VII. გენეტიკური კანონი აღმოჩნდა საერთო ბუნებრივ დამახასიათებლად როგორც ქართული ენის ყველა მონათესავე კილოსთვის, ასევე — სალიტერატურო ენისათვის.

როგორც თვითონ მ. ყიფიანი აღნიშნავს, მისი ნაშრომი „არის მიზანდასახული, შეერთებული და ბუნებრივად მკაცრად დამოკიდებული ყველა თავის შემადგენელ ნაწილზე“.

ერთ-ერთ თავის „საგრამატიკო წერილში“ (როგორც მათ ავტორი უწოდებს) მ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ ოცდაათი წლის წინ მოუწადინებია ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენა. ამ მიზნით წარმოებულმა მუშაობამ დაანახა ქართული ენის ძირითადი ბუნების შეცნობისა და სათანადო მასალის შეგროვების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შრომა უნაყოფოდ ჩაივლიდა.

აი, რას ამბობს ის ამასთან დაკავშირებით:

„შეთანხმებულად სწავლა, კვლევა და თავისუფლად შეგნება ქართულ ენის თვინიერებისა დიდი სამეცნიერო მიზანია და სწორედ ჰლირს, რომ ამ საგანს ემსახუროს ყმაწვილი მხნე ძალ-ღონე.

მე ენით გამოთქმულ აზრსა და იდეაზედ არ ვლაპარაკობ, არამედ თვითონ იმ დიდებულს უკვდავ ბუნება-ტაძარზედ, რომელზედაც ძვირფასი, უმშვენიერესი და უმდიდრესი არა აქვს რა ქართველობასა და არც არასდროს ექნება.

ერი, ქვეყანა და ენა-თქმა — აი, რაშია გამოსკვნილი არსებობა ქართველობისა“ (წერ. II, გვ. 516).

რამდენად დაუახლოვდა ის თავის სასურველ მიზანს — ქართული ენის „შენობის“ ბუნების ამოცნობას — ამას, მისი თქმით, ცხადყოფს ეს ნაშრომი და „მის შესახებ მსაჯული იქნება კრიტიკა“.

უტრნალ „განათლებაშივე“ დაიბეჭდა ალ. ხახანაშვილის რეცენზია მ. ყიფიანის გამოკვლევათა ირგვლივ, რომელშიც ავტორის მიერ გამოთქმული ყველა ძირითადი მოსაზრებაა განხილული და უმთავრესად მოწონებული, საყურადღებოდ მიჩნეული. განსაკუთრებით საინტერესოდ ეჩვენება ა. ხახანაშვილს უღვლილების გენეზისთან დაკავშირებული კვლევა. იგი მას „ღირსებიან დაკვირვებას“ უწოდებს. რაც შეეხება „ჰ“აეს შესახებ მსჯელობას, ა. ხახანაშვილი ამ საკითხს კრიტიკულად უდგება.

ჩვენი მოკრძალებული შეფასებით, მ. ყიფიანის გრამატიკული ნააზრევი უდავოდ საინტერესო შრომას წარმოადგენს და იმსახურებს სპეციალისტთა ინტერესს. ხოლო რაც შეეხება მის პიროვნებას, ის პატივისცემით ხსენების ღირსია.

ლიტერატურა

კეკელიძე 1953 — მ. კეკელიძე, „მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი“. კრებული: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“.

ლიტერატურის მათიანე, 1940, №1-2.

მგალობლიშვილი 1938 — სოფ. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“.

ყუბანიშვილი 1937 — სოფ. ყუბანიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“.

მგალობლიშვილი 1915 — სოფ. მგალობლიშვილის მოგონებებიდან, გაზ. „სახალხო ფურცელი“, №454, 1915.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

Rusudan Murgulia

Mikheil Kipiani and his grammatical works

Summary

Mikheil (Misho) Kipiani, son of Kaikhosro Kipiani, was a teacher of the Georgian language and literature. He was banished to Siberia twice. Mikheil studied the nature and the etymology of Georgian, principles of its structure and future development. He published his grammatical works in the magazine called “Ganatileba” (1911-12), an individual work in Russian - “Fundamentals of Georgian Grammar”.

We should note two main questions from the grammatical issues of the works:

- To find and determine the main elements of Georgian that take part in word-formation, declension and conjugation.
- To study the fundamental entities of Georgian verbs. Mikhail Kipiani reaches a conclusion that the conjugation of Georgian verbs is based on the dualism of declension (double declension).

მედეა საღლიანი

კვლავ ერთი ტიპის დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში

ზმნათა დეფექტურობა ამა თუ იმ კონკრეტული ენის ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიების მიხედვით მრავალ ენაში აღინიშნება. ცხადია, ამ თვალსაზრისით არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს. 1976 წლამდე ეს საკითხი, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. პროფ. ვ. თოფურის სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „სვანური ენა, I, ზმნა“ განხილული აქვს მხოლოდ ძირმონაცვლე (მისი ტერმინოლოგიით **ძირცვალეზადი**) ზმნები და იქვე ცალკე პარაგრაფად აქვს წარმოდგენილი რამდენიმე თავისებური ზმნის (**ხაყა** „ყავს, ვარგა“, **ხუღჟა/ე** „აქვს“, **ხაკუ** „უნდა“, **იგწალ** „დგება“, **ხაჯემ** „გაგს, ღირს“ და ა. შ.) ფონეტიკურ-მორფოლოგიური დახასიათება. კ. გაგუამ კი სვანურ დეფექტურ ზმნებს სპეციალური ნაშრომი „დრონაკლი ზმნები სვანურში“ მიუძღვნა. მან სვანური დრონაკლი ზმნები პირობითად ორ დიდ ჯგუფად დაყო: **ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები** და **ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები**. პირველ ჯგუფში შესულია პროფ. ვ. თოფურის მიერ განხილული ძირმონაცვლე ყველა ზმნა (**არი** „არის“, **ხედა** „უვლის, შეუპოვრად გადის, მაგ., წყალში“, **ღერი** „დის“, „წავა“, **იზბი** „ჰამს“, **ითრე** „სვამს“ და სხვ.) გარდა **ზი** „ძევს“ ზმნისა და მის მიერ დამატებული ორი ზმნა [**ხეწად** „ნახა, დაინახა“ და **ესწზი** „გაურბის; გასდის (ქვაბს)“], ხოლო ფუძემონაცვლე დრონაკლ ზმნათა ჯგუფში გაერთიანებულია ე. წ. საშუალი გვარის ზმნები როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური აგებულებისა და რამდენიმე სტატიკური ზმნაც.

კ. გაგუას მონოგრაფიაში „დრონაკლი ზმნები სვანურში“ ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი და წარმოდგენილია ავტორისეული დაკვირვების შედეგები ერთი ტიპის ზმნებზე — **ადწნ** (**მ'წდწნ** „რა იქნა...“), **ხოჩდა** „ყოფილა“ და **ათწნდ** „თქვა“, რომელთა რაოდენობა, ავტორის თქმით, იმდენად მცირეა, რომ შეიძლება უხერხულიც კი იყოს მათი ცალკე გამოყოფა, მაგრამ ვინაიდან

ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან ძირითად თავებში განხილული სხვა ზმნებისგან, ამიტომ შესაძლებლად თვლის მათ ცალკე განხილვას. ამ ზმნებს არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არც იგრძნობა ნაკლები ფორმების რითიმე შევსების საჭიროება (1976: 106.).

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ტიპის ზმნებზე გვექნება საუბარი, რომელთა რაოდენობა სვანურში, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ დიდია, და საინტერესო სტრუქტურული თავისებურებით გამოირჩევა. სანამ ჩვენ მიერ მოპოვებული ახალი სვანური მასალის ანალიზზე გადავალთ, მანამდე ერთი-ორი სიტყვით შევეხებით კ. გაგუას მიერ საბაქროდ წარმოდგენილ ერთ-ერთ დრონაკლ ზმნას **ადან** (**მ'ადან** „რა იქნა“...), რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სულ რამდენიმე ფორმა გააჩნია, კერძოდ, დრო-კილოთა II ჯგუფიდან წყვეტილის ფორმები¹, ხოლო დრო-კილოთა III ჯგუფიდან I და II თურმეობითის² ფორმები (იქვე, 107).

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნულ ზმნას შეიძლება დაემატოს, აგრეთვე, დრო-კილოთა I ჯგუფიდან **პირობითსრულის** ფორმები, მაგ.: **მ'ოთდენიდანს** „სად წავიდოდი, გავქრებოდი“, **მ'ეთდენიდანს** „სად წახვიდოდი, გაქრებოდი“, **მ'ეთდენიდა**||**მ'ეთდენიუ**? „სად წავიდოდა, გაქრებოდა?“ მესამე პირის ფორმაში მოსალოდნელია ასევე **მ'ე/ადდენოლ**? ფორმაც.

გვხვდება დასახელებული ზმნის რელატიური ფორმებიც, მაგ.: ბქ. **ლანარ მ'ე/ამდენიუ**||**მ'ე/ამდენოლ**? „წიგნი სად წამივიდოდა?“ **ბეფშუ მ'ე/ამდენიუ**||**მ'ე/ამდენოლ**? „ბავშვი სად წამივიდოდა?“ **ლანარ მ'ე/აჯდენიუ**||**მ'ე/აჯდენიოლ**? „წიგნი სად წავივიდოდა?“ **ბეფშუ მ'ე/აჯდენიუ**||**მ'ე/აჯდენიოლ**? „ბავშვი სად წავივიდოდა?“ **ლანარ მ'ე/ათდენიუ**||**მ'ე/ათდენიოლ**? „წიგნი სად წაუვიდოდა?“ **ბეფშუ მ'ე/ათდენიუ**||**მ'ე/ათდენიოლ**? „ბავშვი სად წაუვიდოდა?“

როგორც მკვლევარი შენიშნავს, აღნიშნული ზმნა სვანურში ჩვეულებრივ III პირის ფორმით გამოიყენება, თუმცა არც პირველი და მეორე პირის ფორმებს გამოირიცხავს და ნიმუშად ასახელებს წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებს **მ'ადტუნ**, **ადტუნ**, რომლებიც დასტურდება ბალსზემოურში შემდეგ ილუსტრაციებში: **მ'ადტუნ**? ი ამჩუ ხტარ, — ლახტის ბეფშუდ „რა

¹ ბალსქვემოურში **მ'ადან** „რა იქნა“ ფორმის პარალელურად დასტურდება **მ'ოდან** (მაგ. **მ'ოდან** პიწილ? „სად წავიდა ბავშვი?“) ფორმაც, რომელიც ლახამულური დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს.

² ლენტეხურში I თურმეობითისთვის წარმოდგენილ ზმნის პირიან ფორმას **მა ლოქ ამდენ**, ასევე, დაემატა **მა ლოქ ომდენ**||**ომდენელი**|| **ომდენელიხ**||**ომდენლიხ** ფორმები (იხ. „სვანური პროზაული ტექსტები“, III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967, გვ. 215).

ვიქენი? და აქ ვარ, — უპასუხა ბავშვმა“; ალამპგ მარაონსგა მამდლო **აღენ** სი, დეშმა ახტმევერ „ამდენ კაცში რა იქენი შენ, ვერაფერი გავიგე“ (იქვე). საანალიზო დეფექტური ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები დასტურდება ბალსქვემოურ დიალექტშიც. მაგ.: **მ'ოდენ? ი ამეჩუ ხწარი** „რა ვიქენი? და აქ ვარ“, **მ'ადენ**, იმეგ ხწარი? „რა იქენი, სად ხარ?“ მადლორ **ადენ**, შდეშ ოხმევირ „სად წახვედი („რა იქენი“), ვერ გავიგე და ა. შ.

შენიშვნა: კ. გავლას მიერ ერთპირიან ფორმად მიჩნეული **ხარაზ მამდან** „ხარაზი რა იქნა?“ ჩვენი დაკვირვებით, ორპირიანი ზმნაა და ითარგმნება შემდეგნაირად: ხარაზი სად წავივიდა („**ხარაზ-ი** რა გექნა?“)?“

შდრ. ასევე ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტში წარმოდგენილი წყვეტილის რელატიური ფორმები:

ბქ.

I პ. მუშგტური **მ'ემდან?** „სტუმარი სად წამივიდა?“ || ლმარ **მ'ოდუ?** „წიგნი რა ვუყავი?“

II პ. მუშგტური **მ'ეჯდან?** „სტუმარი სად წავივიდა?“ || ლმარ **მ'ადუ?** „წიგნი რა უყავი?“

III პ. მუშგტური **მ'ეთდან?** „სტუმარი სად წაუვიდა?“ || ლმარ **მ'ადუინ?** „წიგნი რა უყო?“

ლნტ.

I პ. **მა ამდან** „სად წამივიდა?“

II პ. **მა აჯდან** „სად წავივიდა?“

III პ. **მა ათდან** „სად წავივიდა?“

და I თურმეობითის სამივე პირის ფორმა ბალსქვემოურში:

I პ. ლმარ ესერ **მ'ემდუნა?** „წიგნი რა მიქნიაო?“

II პ. ლმარ ესერ **მ'ეჯდუნა?** „წიგნი რა გიქნიაო?“

III პ. ლმარ ესერ **მ'ოთდუნა?** „წიგნი რა უქნიაო?“

უნდა ითქვას ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული ზმნის მხოლოდ მესამე პირის ფორმებია წარმოდგენილი I თურმეობითისათვის, მაგ.: **მამ ამდენ?** „რა ქმნილაო?“ **მამ ამდენლი?** „რა ქმნილაო?“ **მ'ესერ ომდენ?** „რა ქმნილაო?“ და ა. შ. (იქვე).

რა შეიძლება ითქვას ამ ფორმათა შესახებ?

ჩვენი დაკვირვებით, I თურმეობითად მიჩნეული — **მამ ამდენ? მამ ამდენლი? მ'ესერ ომდენ?** რომელთაც ბალსქვემოურში I და II პირიც ეწარმოებათ, ვფიქრობთ, IV თურმეობითის ფორმებია. მაგ.:

IV თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

I პ. მ'ესერ **ომდენელხტი** „რა ვქმნილიყავიო თურმე?“

II პ. მ'ესერ **ომდენელხი** „რა ქმნილიყავიო თურმე?“

III პ. მ'ესერ **ომდენ'ელი**¹ „რა ქმნილაო თურმე?“

საანალიზო ზმნის IV თურმეობითის ფორმები დადასურდა ლენტეხურ-შიც. მაგ.:

I პ. მ'ესერ **ამდენელხუი** „რა ვქმნილიყავიო თურმე?“

II პ. მ'ესერ **ამდენელხი** „რა ქმნილიყავიო თურმე?“

III პ. მ'ესერ **ამდენ'ელი**¹ „რა ქმნილაო თურმე?“

როგორც ვნახეთ, ადვილი შესაძლებელია დროთა განმავლობაში დანაკლისი ფორმების შევსება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, თუმცა ამისი საჭიროება დიდად არ იგრძნობა, ვინაიდან ამ მხრივ მათ სტაბილური მდგომარეობა უჭირავთ.

რაც შეეხება კ. გაგუას მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილ დანარჩენ ორ ზმნას (**ხოჩდა** „ყოფილა“ და **ათხნად** „თქვა“), მათგან ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ პირველ მათგანზე, ვინაიდან **ათხნად** „თქვა“ ზმნის პირიანი ფორმების შესახებ ამჯერად დამატებითი მასალა არ მოგვეპოვება.

მიჩდა „ყოფილვარ“, **ჯიჩდა** „ყოფილხარ“, **ხოჩდა** „ყოფილა“ ფორმები, როგორც პროფ. თ. შარაძენიძეს მიუთითებია მკვლევრისთვის, **ლიჩედ** „წასვლა“ ზმნის ფუძიდან უნდა მომდინარეობდესო (იქვე, იხ. სქოლიო).

ჩვენ აზრით, მყოფობის გამომხატველი ზმნა **ხოჩდა** „ყოფილა“ დროთა მიხედვით ძირმონაცვლე ზმნაა და იგი **ლიჩედ** „წასვლა“ ზმნის ფუძიდან არ უნდა მომდინარეობდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ **ლიჩედ** სხვადასხვა სემანტიკით გამოიყენება სვანურში — **წ ა ს ვ ლ ა** და **გ ა ქ ც ვ ე ა**. პირველ შემთხვევაში ძირმონაცვლეა (მაგ.: **ოსლჟური** „მივდივარ“, მაგრამ **ოლჩედ** „წავიდეთ“, **ოდერ** „წავედი“, მაგრამ **ოლჩად** „წავედი“...), მეორე შემთხვევაში კი წესიერი წარმოების ზმნა ჩანს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **ლიჩედ**-ის მიჩნევა **ს ვ ლ ი ს** აღმნიშვნელ ზმნის პირიან ფორმათა საწყისად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში დროის მიხედვით ძირმონაცვლე ცამეტ ზმნათაგან ერთ-ერთია **მ ყ ო ფ ო ბ ა** ს გამოხატველი ზმნა **პრი/არი** „არის“, რომელიც საკუთარი ძირით მხოლოდ რამდენიმე ნაკვთს აწარმოებს: აწმყოს, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითს, დანარჩენ ნაკვთებში კი (მყოფადსრულში, პირობითსა და უნახავ II-ში) **-რდ-** ძირია წარმოდგენილი, სწორედ ეს **-რდ-** ძირი დასტურდება ამ ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებშიც — საწყისსა და მიმღეობებში (იქვე, 21-24).

¹ **შენიშვნა:** საანალიზო ზმნის ფორმათა ძირეულ მასალად კ. გაგუა ასახელებს **-დ-** ელემენტს, რომელიც, მისი აზრით, **მ ყ ო ფ ო ბ ა** ს უნდა გამოხატავდეს, და უშვებს შესაძლებლობას მისი **ზგ** „ძვეს“ ზმნის ძირეულ მასალასთან (**ზ < დ**) დაკავშირებისა, ვინაიდან მყოფობის შინაარსი არც ამ უკანასკნელისთვისაა უცხო (იხ. გვ. 108).

პრ/არ „არის“ ზმნისთვის მესამე და მეოთხე სერიაში მხოლოდ უნახავ II-ის ფორმებია (მაგ.: I პ., ბზ. **ლგმარდხუი||ლგმარდელხუი**, ბქ., ლნტ. **ლგმარდხუი||ლგმარდელხუი||ლგმარდელხუი**, ლშხ. **ლგმარდხუი||ლგმარდელხუი** „გყოფილვარ“; II პ., ბზ. **ლგმარდხი||ლგმარდელხი**, ბქ., ლნტ. **ლგმარდხი||ლგმარდელხი||ლგმარდელხი**, ლშხ. **ლგმარდხი||ლგმარდელხი** „ყოფილხარ“; III პ., ბზ. **ლგმარდ||ლგმარდელი**, ბქ., ლნტ. **ლგმარდ||ლგმარდელი** ბქ. **ლგმარდლი**, ლშხ. **ლგმარდ||ლგმარდელი** „ყოფილა“) მკვლევრის მიერ მითითებული (გაგუა, იქვე, 24), თუმცა, როგორც სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, III და IV სერიაში მ ყ ო ფ ო ბ ი ს გამოსახატავად დიალექტების მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება **ხორდა** და **ხორდუნა** ზმნის პირიანი ფორმები. პირველი მათგანი ბალსქვემოური დიალექტის გარდა სვანურის ყველა დიალექტში ფიქსირდება, მეორე მათგანი კი წარმოდგენილია მხოლოდ ბალსქვემოურისა და ლენტეხურისათვის.

გავრცელების თვალსაზრისით კი სვანური დიალექტები ასეთ სურათს გვიჩვენებენ:

I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ბქ., ლნტ. მირდუნა „გყოფილვარ“, ჯირდუნა „ყოფილხარ“, ხორდუნა „ყოფილა“

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ბქ., ლნტ. მირდუნენს „გყოფილიყავ“, ჯირდუნენს „ყოფილიყავ“, ხორდუნენს „ყოფილიყო“

III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ბქ. მირდუნენს „გყოფილიყო“, ჯირდუნენს „ყოფილიყო“, ხორდუნენს „ყოფილიყო“

III თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ბქ. მარდუნენა „გყოფილვარ თურმე“, ჯარდუნენა „ყოფილხარ თურმე“, ხარდუნენა „ყოფილა თურმე“.

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზმნათა დეფექტურობის ნიმუშები საენათმეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალით არ ამოწურულა და მათი რაოდენობა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საკმაოდ მრავალრიცხოვანია და, ამავე დროს, მეტად საინტერესოც.

საველე პირობებში ჩვენ დავაფიქსირეთ არა ერთი ისეთი დეფექტური ზმნა, რომელთა უმეტესობა დღემდე არსებულ არც ერთ პუბლიკაციაში არ დაფიქსირებულა და, ამდენად, მათი აღწერა და კონკრეტული ანალიზი ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება.

როგორც ცნობილია, დეფექტურ ანუ თავისებურ ზმნად მიიჩნევა ყოველი **პირნაკლი**, **რიცხვნაკლი**, **დრონაკლი**, **გვარნაკლი** და **ქცევანაკლი** ზმნა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ზმნათა ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია სვანური ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა განვითარების ისტორიის შესწავლისათვის, თუმცა რთულიც სვანური ზმნის ბუნებიდან გამომდინარე.

უნდა ითქვას ისიც, რომ კატეგორიანაკლ ზმნათა ანალიზი ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებში მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა, თუმცა, როგორც პროფ. ვ. თოფურია აღნიშნავს: „სვანური ენის აგებულების ყოველმხრივ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა ევალება“ (თოფურია 1967, XXIII). ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომიც გარკვეულ წვლილს შეიტანს სვანური ენის აგებულებისა და ისტორიული განვითარების შესწავლაში.

ცნობილ მეცნიერთა კვალდაკვალ ჩვენც აღნიშნულ ნაშრომში წინა პლანზე წამოვწევთ დრონაკლ ზმნათა აღწერას და მათ კონკრეტულ ანალიზს, თუმცა შეძლებისდაგვარად ყურადღება იქნება გამახვილებული ამა თუ იმ საანალიზო ზმნის ძირის წარმომავლობაზეც.

როგორც უკვე ითქვა, სვანური დრონაკლი ზმნები სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად ორ დიდ ჯგუფად არის დაყოფილი: **ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები** და **ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები**, რომელთა რაოდენობა 68 ერთეულით განისაზღვრება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილია 100-ზე მეტი ფუძემონაცვლე დრონაკლ ზმნათა პარადიგმა, თუმცა მათი რაოდენობა ამით არ ამოწურულა სვანურში. უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდისა, ვერ დავაფიქსირეთ.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ, როგორც მათ კ. გაგუა უწოდებს, **ერთი ტიპის დრონაკლ ზმნებზე**, რომელთა ცალკე გამოყოფა, მათი სიმცირის გამო, უხერხულადაც კი მიაჩნია ავტორს. ჩვენ შევეცდებით ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით მათი რაოდენობის გაზრდას და ამით იმ უხერხულობის დაძლევისაც, რაზეც ზემოთხსენებული ავტორი მიუთითებდა.

ზმნათა უმრავლესობას, როგორც ცნობილია, ადვილად შეუძლია გამოხატოს ყველა დრო-კილოს ფორმა ისე, რომ ზმნის ძირს ცვლილება არ მოუვიდეს, თუმცა ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამის შესაძლებლობას მოკლებულია. ამგვარ ზმნებს ერთ ან ორ დრო-კილოზე მეტი საერთოდ არ გააჩნია და თუ მოეპოვებათ დამატებით რომელიმე დრო, ფუძე სათანადო ცვლილებას განიცდის (ქავთარაძე 1954, 12). ცნობილი მეცნიერის ამ დებულებას ეწინააღმდეგება კ. გაგუას მიერ საანალიზოდ ზემოთ წარმოდგენილი სვანური სამიოდე ზმნა და ჩვენ მიერ სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში დაფიქსირებული არა ერთი ზმნური ფორმა, რომლებიც ნაკლები ფორმების შევსების საჭიროებას თითქოს არ საჭიროებენ.

როგორც ზემოთ ითქვა, მკვლევრის მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ სამ ზმნათაგან ერთ-ერთი (**მ'წღან** „რა იქნა“) მხოლოდ კითხვითისტიციან წინადადებაში დასტურდება და კონტექსტის გარეშე მისი მნიშვნელობის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. მსგავსი წარმოების (ანუ კითხვითისტიციან

წინადადებაში წარმოდგენილი) აღმოჩნდა ასევე: **მ'ს/ეჭაფან** „რა (ჯანდაბა) დაგემართა?!“, **მ'ს ჯაგიფ** „რა (ჯანდაბა) გჭირს!“ და ბჭ. **მ'ს ხუილყაჩა** „რა ვილონო, რა ვქნა?!“ **მ'ს/ედყაჩან** „რა მოხდა?!“ ფორმები, რომლებიც კითხვითი ნაცვალსახელის **მ'ს**-ს გარეშე ფაქტიურად არ გამოიყენება და ის მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ, მეორეულია.

1. მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებაში დასტუდება ბჭ. **ხუილყაჩა** ზმნაც, რომელიც დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. საანალიზო ზმნა, გარდა იმისა, რომ დრონაკლია, ზოგიერთ მწკრივში პირნაკლულობითაც გამოირჩევა.

I სერიის ფორმებიდან ეწარმოება მხოლოდ მყოფადისეული ორი დრო და ორივე მწკრივში სამივე პირის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ.:

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: **იმ ხუილყაჩისგ, აღუე?! „აბა, რას ვიზამ?!“; იმ ხილყაჩისგ, აღუე?! ჩილად ლეზი ჯარ „აბა, რას იზამ?! აუცილებლად უნდა წახვიდე“; იმ ილყაჩისგ, აღუე, ლუცხულე ალი?! „რას იზამს, აბა, ეს საცოდავი?!“**

სვანურში **აწმყოს ფუძე + სუფიქსით** შედგენილი ზმნა რომ მყოფადსრულის ფორმა იყოს, ვ. თოფურის მოსაზრებით, იშვიათია. იგი ასახელებს სულ რამდენიმე მაგალითს სვანური დიალექტების მიხედვით და მათ შორის ბალსქვემოურ -**ისგ** სუფიქსით ნაწარმოებ ორიოდ ზმნას, მაგ.: **ხამნ-ისგ** „აჭმევს“, **ხზუინ-ისგ** „შეატყობინებს“ (თოფურია 1967, 11). ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ზმნაც სწორედ ასეთი წარმოებისაა.

პ ი რ ო ბ ი თ ი ს რ უ ლ ი: **იმ ხუილყაჩას'გუ', აღუე?! „აბა, რას ვიზამდი?!“; იმ ხილყაჩას'გუ', აღუე?! „აბა, რას იზამდი?!“; იმ ილყაჩას'გუ', აღუე?! „აბა, რას იზამდა?!“**

მეორე სერიის ფორმებიდან მხოლოდ II კავშირებითი ეწარმოება. მაგ.:

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მ'ს ხუილყაჩა, იმთ'ოთსკინა?! „რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე („საით გადავხტე?!“)?!“; მ'ს ხილყაჩა ი ბაჟდ ანკედ, ლუე მ'სგ ხოჩამდ ირი „რა ქნა და გონს მოდი („გონად მოდი“) და („მერე“) ყველაფერი კარგად იქნება“; მ'ს ილყაჩას ლუცხულ'ამნემდ?! „რა ქნას ამ საცოდავმა („რა ილონოს დამწვარმა ამან?!“)?!“ მ'ს ილყაჩას მარემ?! „რა ქნას ადამიანმა („კაცმა“)?!“ თუმცა შესაძლოა აორისტის მესამე პირის ფორმაც შეგვხვდეს ასეთ კონტექსტში — **მ'ეთ/დგლყაჩან, სი ზურალ, ალი იმლა ჩუემნ?! „რა მოხდა, შე ქალო, ეს რატომ გააკეთე?!“** ამ ფორმის არსებობას ადასტურებს **მ'ეთ/დყაჩან** ფორმაც, რაც სემანტიკურად იგივეა, რაც **მ'ეთ/დგლყაჩან**. ორივე ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს **ლიყაჩ'ლიყჩე** „დაწვა“ მასდარი.**

მესამე სერიიდან ეწარმოება მხოლოდ IV სერიის IV თურმეობითის III პირის ფორმა, მაგ.: **მწ რაქ ოლყაჩელი, სი ზურალ, ალი რაქ იმჟ'ოხსყახ?! „რა მოხდაო („რაო დამწვარა?!“ ანუ „მომხდარა თურმე“, „დანამწვარა“), შე ქალო, ეს როგორ გააკეთესო?!“**

გამოთქმაში: მწ **ხოლყაჩა**, ალო?! „რა უნდა ქნას, აბა, კაცმა („რა დაუწვია, აბა?!“)?!“, ჩვენი აზრით, იგულისხმება I თურმეობითის III პირის ფორმა.

გამოიყენება მხოლოდ სუბიექტური წყობით.

ორპირიანი, გარდამავალი, მედიოაქტიური გვარის ზმნაა, რომელიც დრონაკლობასთან ერთად პირნაკლიც არის. უფუნქციო, ფორმალური სათავისოა, ვინაიდან საპირისპირო ფორმები აკლია. ნაკლული ფორმების შევსების საჭიროება თითქოს არ იგრძნობა.

2. მეორე ზმნა, რომელიც კითხვითსიტყვიან წინადადებაში დავადასტურეთ, ესაა ბალსქვემოური **მწ ხაგიფ** „რა (ჯანდაბა) სჭირს?!“ იგი გამოიყენება სამივე პირის ფორმით და არის ფუძემონაცვლე ზმნა, თუმცა ყველა დროს მაინც ვერ აწარმოებს.

საწყისი შესაძლოა იყოს **ლიგაფ**. რაც შეეხება მიმღებურ ფორმებს, ისინი ვერ დავადასტურეთ.

პირველი სერიის ფორმებიდან ეწარმოება:

ა წ მ ყ ო : **დეშ კჷედნი გუდ, მანდო მაგიფ** „ვერ ვხვდები („ვერ მოვდივარ გულ-ად“), რა მჭირს“; **მწ ჯაგიფ, მწ'მბანუ ჯარ?! „რა ჯანდაბა გჭირს, რა დღეში ხარ („რა ამბავ-ი გაქვს?!“)?!“, მწ ხოშა ღერმეთ ხაგიფ?! „რა ჯანდაბა სჭირს?!“**

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი : **მწ მაგიფდა ი ლგხრინე ხჷანჷ** „რა მჭირდა და გაბრაზებული ვიყავი“; **მწ ჯაგიფდა, ალი იმლა ჩჷემნ?! „რა ჯანდაბა გჭირდა, ეს რატომ გააკეთე?!“; მწ ხოშა ღერმეთ ხაგიფდა, ალი იმლა ანსყე?! „რა ჯანდაბა სჭირდა, ეს რატომ გააკეთა?!“**

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი შეიძლება ვაწარმოოთ (მაგ.: **მწ მაგიფდეს** „რა ჯანდაბა მჭირდეს“, **მწ ჯაგიფდეს** „რა ჯანდაბა გჭირდეს“, **მწ ხაგიფდეს** „რა ჯანდაბა სჭირდეს“), თუმცა მთლად ბუნებრივი არ არის.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი ჩვეულებრივ ეწარმოება: **ეჯგჷნარ მ'ემგაფი, ერე ალის დეშ ოხსყენე?! „ისე რა ღმერთი გამიწყურება („იმ-გვარ-ი რა წილი დამედება წინ?!“)?!“, ეჯგჷნარ მ'ეჯგაფი, ერე ეჩხაჷ დეშ ადარგნე?! „ისე რა ღმერთი გაგიწყურება („იმ-გვარ-ი რა წილი დავედება წინ“), რომ იქ ვერ წახვალ?!“; ეჯგჷნარ მ'ენგაფი||მ'ესგაფი, ერე ალის ჩჷემნის?! „ისე რა ღმერთი გაუწყურება („იმ-გვარ-ი რა წილი დაუდგება წინ?!“), რომ ეს გააკეთოს („რომ ამას იზამს?!“)?!“**

პ ი რ ო ბ ი თ ს რ უ ლ ი (ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი): **ეჭუწარ მ'ემგაფი-და||მ'ემგაფიუ, ერე ალის ჩუემნასუ?**! „იმისთანა რა ღმერთი გამიწყებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დამედებოდა წინ“), რომ ამას ვიზამდი?!“; **ეჭუწარ მ'ეგაფიდა||მ'ეგაფიუ, ერე ალის ჩუემთუიფას?**! „იმისთანა რა ღმერთი გა-გიწყებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დაგედებოდა წინ“), რომ ამას დამიკარგავ-დი?!“; **ეჭუწარ მ'ეხგაფიდა||მ'ეხგაფიუ, ერე ლაგუანათე დემ ადრგნა?**! „იმის-თანა რა ღმერთი გაუწყებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დაედებოდა წინ“), რომ გასვენებაში არ წავიდოდა?!“

დრო-კილოთა მეორე ჯგუფიდან მხოლოდ წყვეტილის ფორმები ეწარ-მოება, მაგ.:

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: **მ'ემგაფან||მ'ემგაფანდა, ალი იმუი ლემქად?**! „რა ჭი-რი მეტაკა||რა ჯანდაბა დამემართა, ეს როგორ შემეშალა?!“; **მ'ეგაფან||მ'ეგა-ფანდა, ალი იმლა ჩუემნ?**! „რა ჭირი გეტაკა||რა ჯანდაბა დაგემართა, ეს რა-ტომ გააკეთე?!“; **მ'ეხგაფან||მ'ეხგაფანდა||მ'ოხგაფან||მ'ოხგაფანდა||მ'ესგაფან-და||მ'ოსგაფანდა ალი იმლა ადლაუშე?**! „რა ჭირი ეტაკა||რა ჯანდაბა დაემარ-თა, ეს რატომ გააფუჭა?!“

II კავშირებითი არ ეწარმოება (ეხგაფანდეს არარსებული ფორმა).

მესამე სერიიდან ეწარმოება მხოლოდ I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **ამგუწარიო როქ მანგაფენა?**! — **მეზუბელდ მანქუე** „ამისთანა რა დაგემართაო („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დამდებია წინ?!“)?! — მეზობელმა მითხრა“; **ამგუწარიო როქ მანჯაფენა?**! — **მეზუბელარდ** „ამისთანა რა დაგემართაო („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დაგდებია წინ?!“)?! — მეზობლებმა“; **ამგუწარიო როქ მ'ესგაფენა ალ ზურალს?**! „ამისთანა რა დაემართაო ამ ქალს („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დასდებია წინ ამ ქალს?!“)?!“

დანარჩენი თურმეობითის ფორმები, ჩვენი დაკვირვებით, არ ეწარმოება.

რა უნდა იყოს ძირეული მასალა? ჩვენი აზრით, ძირი უნდა იყოს **გაფ** (მდრ. ფერეიდნ. **გაფ**-ი „ამბავი, საქმე“), რაც გვხვდება **ლაგაფ** (ზს., ლნტ.), **ლაგაფ** (ლშხ.) „ულუფა, კერძი, წილი (ხორცის)“ ფორმაში და, ასევე, შემდეგ გამოთქმებშიც, მაგ.: **ხოლა გაფ ხაგიფ** „ცუდად იქცევა, ცუდ ღღეშია“, **ხოლა გაფოლუ ეჭაფენა!** „ცუდი საქმე დაგემართოს, არ გაიხარო („ცუდი წილი, ულუფა დაგედოს წინ!“)“

ფუძემონაცვლე რელატიურ-გარდაუვალი (სტატიკური) ზმნაა (მედო-ბასიური, საარვისო ქცევის ფუძემონაცვლე) **ხალანტ** „უყვარს“ ტიპისა.

საანალიზო ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით გამოიყენება. უნდა ით-ქვას, რომ ოდენობიექტური წყობის ზმნები, ცნობილ მეცნიერთა თვალსაზრი-სით, ყოველთვის გამოხატავენ საჭიროებას, გრძნობას, აფექტაციას და უმეტე-სობას მოეპოვება მარტო რამდენიმე დრო, კერძოდ, აწმყო და ნამყო უწყვეტე-ლი (მარი 1931, 144).

პროფ. ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებში“ განხილულია სტატიკური ზმნა **ხაგვა**, რომელსაც აქვს „აფარია“-ს მნიშვნელობა, იგი მყოფადში იყენებს დინამიკური ვნებითის აწმყოს ფორმას: **ხეგვი** „ეფარება“, მეორე მხრივ კი თვით ეს დინამიკური ვნებითის ფორმა მყოფადს აწარმოებს აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვით, მაგ.: **ხეგვი** „ეფარება“, **აოგაფი** „დაეფარება“ [შდრ. ასევე: **ხმთქუა** „სჩვევია“ — **ხემთქუი** „ჩვევად ექნება“, **ხემთქუი** „ეჩვევა“ — **ათმითქუი** „მიეჩვევა“, **ლანხმითქუი** „შეეჩვევა“; **ხაუხა** „ჰქვია“ — **ხეუხი** „ერქმევა“, **ხეუხი** „ერქმევა“ — **ათუხანი** „დაერქმევა“ და ა. შ. (ჭუმბურიძე 1986, 177)].

გამოდის, რომ მყოფადში ერთმანეთის გვერდით გვაქვს წყვილ-წყვილი ფორმები, რომლებიც გარეგნულად მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდებიან, მნიშვნელობით კი, როგორც ავტორი მიუთითებს, ისევე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც მყოფადსრული და მყოფადუსრული, თუმცა წარმოშობით ისინი სხვადასხვანი არიან: ერთი სტატიკური ვნებითია და მხოლოდ უსრული ასპექტის გაგებას იგუბებს, ანუ მომავალ დროში მას მხოლოდ მყოფადუსრულის გამოხატვა შეუძლია, მყოფადსრული კი აკლია; რაც შეეხება მეორე ზმნას, იგი დინამიკური ვნებითია და მყოფადის სრულ ასპექტს გამოხატავს, მყოფადუსრული კი არ მოეპოვება. ერთი ფუძიდან ნაწარმოები ეს ორი ზმნა მყოფადში ერთიმეორეს უგსებს დანაკლისს და ამ გზით განასხვავებს მყოფადუსრულსა და მყოფადსრულს (იქვე).

ზემოთგანხილული ზმნების გარდა, ჩვენი ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, რამდენიმე ისეთმა დეფექტურმა ზმნამ, რომელთა უმრავლესობას დრო-კილოთა ყველა ფორმა არ ეწარმოება და ზოგი მათგანი **დრონაკულობასთან** ერთად **პირნაკლიც** არის და **რიცხვნაკლიც**. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3. **ხუაბჯიდ** „ვეჭვობთ, ვიმედოვნებთ რაღაცას“.

ბალსქვემოთური **ხუაბჯიდ** „ვეჭვობთ, ვიმედოვნებთ რაღაცას“ ზმნა, მხოლოდ მრავლობითი რიცხვის (სუბიექტის ექსკლუზიური პირის) ფორმით დადასტურდა. ეწარმოება მხოლოდ I სერიის ორი მწკრივი:

ა წ მ ყ ო: **ნიშვეშენ როქ ხუაბჯიდ**, დეიდალო! „ვიმედოვნებთ, ვეჭვობთ, დეიდა გენაცვალოსო!“

შენიშვნა: როდესაც მთქმელს ვთხოვეთ ამ ზმნის ზუსტი განმარტება მოეცა, მან სვანურადვე გვიპასუხა: იდნაჟალნი, ევის როქ ონჭირდ ანუ **ხუაბჯიდ** „იმას ვეჭვობთ||ვიმედოვნებთ, რომ შეიძლება ორსულად იყოსო („ორსულდებოდეს იქნება, იმას მოველითო“)“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **იმ ხუეშდაბდ ი ხუაბაჩიჟედ** „რას ვაკეთებდით და ვეჭვობდით, ვფიქრობდით, ვბჭობდით“.

საანალიზო ზმნის საწყისი ფორმა არ შეგვხვედრია, თუმცა თავისუფლად შეიძლება **ლიბაჩი** „ნელ-ნელა, ეჭვით, ირონიით, რალაცის თქმა; სათქმელის გაჭიანურება“ ფორმის გამოყენება.

ორპირიანი, გარდამავალი, მედიო-აქტიური ზმნაა, რომელიც დრონაკლულლობასთან ერთად რიცხვნაკლიც არის და პირნაკლიც.

4. დრონაკლია ასევე ბქ. **ხემზარალ** „რაიმე დაავადების (მაგ. გრიპის, ვირუსის...) დაწყება, დასაწყისი“ ზმნაც, რომელსაც ეწარმოება მხოლოდ I სერიის რამდენიმე მწკრივი.

ა წ მ ყ ო: **ეჯუი ხუათერ, ერე გრიბ მემზარელ** „როგორც ვატყობ, გრიპი მეწყება“, **სიფ გრიბ ჭემზარელ** „შენც გრიპი გეწყება“, ბეფშუხ **გრიბ ხემზარელ** „ბავშვს გრიპი ეწყება“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მემზარალდა** „მეწყებოდა, მეპარებოდა“, **ჭემზარალდა** „გეწყებოდა, გეპარებოდა“, **ხემზარალდა** „ეწყებოდა, ეპარებოდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მემზარალდეს** „მეწყებოდეს, მეპარებოდეს“, **ჭემზარალდეს** „გეწყებოდეს, გეპარებოდეს“, **ხემზარალდეს** „ეწყებოდეს, ეპარებოდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მემზარალნი** „მეწყებოდეს იქნება, მეპარებოდეს იქნება“, **ჭემზარალნი** „გეწყებოდეს იქნება, გეპარებოდეს იქნება“, **ხემზარალნი** „ეწყებოდეს იქნება, ეპარებოდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მემზარალნიჟ** „მეწყებოდეს იქნება, მეპარებოდეს იქნება“, **ჭემზარალნიჟ** „გეწყებოდეს იქნება, გეპარებოდეს იქნება“, **ხემზარალნიჟ** „ეწყებოდეს იქნება, ეპარებოდეს იქნება“.

დავაფიქსირეთ IV სერიის III თურმეობითის ფორმაც, მაგ.: **მამზარელა** „მეწყებოდა თურმე, მეპარებოდა თურმე“, **ჭამზარელა** „გეწყებოდა თურმე, გეპარებოდა თურმე“, **ხამზარელა** „ეწყებოდა თურმე, ეპარებოდა თურმე“.

დანარჩენი დროები არც ეწარმოება და არც იგრძნობა დანაკლისი ფორმების რითიმე შევსების საჭიროება.

შესაძლოა ქართული **მზარავს** ფორმიდან მომდინარეობდეს სესხების საფუძველზე, თუმცა არ გამოვრიცხავთ მის შესაძლო კავშირს ქართ. (გურ.) **ზრინება** „ციების დასაწყისში შეციება, წოდინი“ ფორმასთანაც.

5. მსგავსი სემანტიკისაა ჩოლურული **ხეკანალ**¹ „ავადმყოფობა ეწყება, ენიშნება“ ზმნის პირიანი ფორმაც, რომლის საწყისიც არის **ლიკანალ** „სიყურუს, გრიბის, საერთოდ რაიმე დავადების დაწყება“. აღნიშნულ ზმნას მხოლოდ აწმყოსეული დროები ეწარმოება. მაგ.:

ა წ მ ყ ო: **ლეგლირდე მეკანალ** „ავადმყოფობა მეწყება, მენიშნება“, **ლეგლირდე ჭეკანალ** „ავადმყოფობა გეწყება, გენიშნება“, **ლეგლირდე ხეკანალ** „ავადმყოფობა ეწყება, ენიშნება“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო: **ლეგლირდე მეკანალდა** „ავადმყოფობა მეწყებოდა, მენიშნებოდა“, **ლეგლირდე ჭეკანალდა** „ავადმყოფობა გეწყებოდა, გენიშნებოდა“, **ლეგლირდე ხეკანალდა** „ავადმყოფობა ეწყებოდა, ენიშნებოდა“.

6. ბქ. **ხეჰანი**, ბზ. **ხეჰანი** „გაემტყუნება“.

საწყისია ბქ. **ლიჰანი**, ბზ. **ლიჰანი** „გამტყუნება“, ხოლო რაც შეეხება მიმღებურ ფორმებს ისინი ვერ დავადასტურეთ.

აღნიშნულ ზმნასაც მხოლოდ აწმყოსეული დროები ეწარმოება:

ა წ მ ყ ო: ბქ. **მანგუემ მეჰანი** „არაფერი გამემტყუნება“, **მანგუემ ჭეჰანი** „არაფერი გაგემტყუნება“, **მანგუემ ხეჰანი** „არაფერი გაემტყუნება“; ბზ. **მამ მეჰანი** „არ გამემტყუნება“, **მამ ჭეჰანი** „არ გაგემტყუნება“, **მამ ხეჰანი** „არ გაემტყუნება“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო: **მანგუემ მეჰანიდა||მეჰანიჲ** „არაფერი გამემტყუნებოდა“, **მანგუემ ჭეჰანიდა||ჭეჰანიჲ** „არაფერი გაგემტყუნებოდა“, **მანგუემ ხეჰანიდა||ხეჰანიჲ** „არაფერი გაემტყუნებოდა“.

7. თავისებური წარმოებისაა **ხეგანალ** „გადაკვრით, მისახვედრად რალაცას ეუბნება, სთხოვს; აფერისტობს“ ზმნაც, რომელსაც ყველა დრო არ ეწარმოება და, ერთი შეხედვით, თითქოს პირნაკლიცაა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია I პირის ფორმების წარმოებაც.

მასდარი იქნება **ლიგანალ** „გადაკვრით, მისახვედრად რალაცის თქმა ან თხოვნა; აფერისტობა“. მიმღებური ფორმებიდან ერთადერთი რაც დავადასტურეთ, ესაა **ლეგანალ** „სამუქრებელი“.

I სერიიდან ეწარმოება:

ა წ მ ყ ო: **სი ხეგანალ** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრები; ეაფერისტები“, **ეჯი ხეგანალ** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრება; ეაფერისტება“. შეიძლება შეგვხვდეს **იმ ხიგანალ?** „რას აფერისტობ?“ ფორმაც.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო: **სი ხეგანალდას** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრები; ეაფერისტები“, **ეჯი ხეგანალდა** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრებოდა; ეაფერისტებოდა“.

¹ ბალსზემოურში მსგავსი სემანტიკისაა **მეთხნალ** (მაგ. გრიბ **მეთხნალ** „გრიბი მეწყება“) ზმნა.

შესაძლებელია მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი ს ფორმის წარმოებაც, მაგ.:
ამჟი ხეჯანალნი ათხე „ასე ეაფერისტებოდეს იქნება“.

დანარჩენი ფორმები ვერ დავაფიქსირეთ.

შესაძლოა **ლიჯან** „სუნის დენა“ ფორმას უკავშირდებოდეს, რადგანაც არსებობს ასეთი გამოთქმა — **ჟედ ხეჯანალ** „ძალი სუნავს“.

8. დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ბალსქვემო-ურში წარმოდგენილი ზმნის პირიანი ფორმა **ესყულეჩნე** „დააბრეხვებს, იტყვის (რაღაცას)“, რომელიც ძირითადად მესამე პირის ფორმით დასტურდება, თუმცა რაღაც განსაზღვრულ კონტექსტში გამორიცხული არც მეორე პირია.

საწყისი და მიმღეობის ფორმები არ ეწარმოება.

რაც შეეხება დროკილოთა წარმოებას, I სერიიდან მხოლოდ მყოფადი-სეული დროები — მყოფადსრული და პირობითსრული ეწარმოება, მაგ.:

მ ყ ო ფ ა დ ს რ უ ლ ი: **სიი ესყულეჩნე სერ ეშხუს!** „შენც იტყვი რა („შენც დააბრეხვებ უკვე||მეტი ერთს!“)“, **ეჯიი ესყულეჩნე სერ ეშხუს!** „ისიც იტყვის რა („ისიც დააბრეხვებს უკვე||მეტი ერთს!“)“

შესაძლოა პირველ პირშიც ვიხმაროთ, მაგ. **მიი *ოსყულეჩნე ეშხუს** „მეც ვიტყვი ერთს („მეც დააბრეხვებ ერთს“)“, მაგრამ ამგვარი ფორმების გამოყენების ნაკლები ალბათობაა.

პ ი რ ო ბ ი თ ს რ უ ლ ი: **სიი ესყულეჩნს ეჩეჩუ** „შენც იტყვოდი იქ შენს სათქმელს („შენც დააბრეხვებდი იქ“)“, **ეჯიი ესყულეჩნა ეჩეჩუ** „ისიც იტყვოდა იქ სათქმელს („ისიც დააბრეხვებდა იქ“)“.

მყოფადსრული და პირობითსრული არ ეწარმოება, რაც ბუნებრივია, ვინაიდან ზმნისწინის გარეშე არ იწარმოება.

II სერიიდან დავაფიქსირეთ მხოლოდ წყვეტილის ფორმა, მაგ.:

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: **ამნემი ესყულეჩ** „ამანაც თქვა რა („ამანაც დააბრეხვა“)“, **ეჯნემი ესყულეჩ** „იმანაც თქვა რა („იმანაც დააბრეხვა“)“.

III სერიიდან კი ეწარმოება მხოლოდ I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი მესამე პირის ფორმა: **ეჯისი ოსყულეჩა** „იმასაც უთქვია („დაუბრეხვებია“)“. როგორც ვხედავთ, დრონაკულობასთან ერთად პირნაკლიცაა.

ძირეული მასალა უნდა იყოს **ყუეჩ-**, რაც დასტურდება **ლიყუეჩ** „გატეხვა, გახლეჩა“ ფორმაში. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ვადატანითი მნიშვნელობა შეიძინა, ანუ ის მნიშვნელობა რაც დღეს ზემოაღნიშნულ საანალიზო ზმნას აქვს, მეორეულია. მისი დეფექტურობაც, ჩვენი მოსაზრებით, აქედან გამომდინარეობს და, როგორც არაერთხელ ვთქვით, ნაკლები ფორმების შევსების საჭიროება არც იგრძნობა.

9. მხოლოდ აწმყოს I პირის ფორმა ეწარმოება **მანჭი** „მაცალე“ [მაგ.: ბჭ. **მი გარ მანჭი!** „მაცალე („მე მხოლოდ მაცალე“)] ზმნას, რომელიც დაქადნების მნიშვნელობითაც გვხვდება და რაიმეს დადასტურებისაც.

ა წ მ ყ ო: **მანჭი!** „მაცალე!“ II და III პირი შეიძლება ვაწარმოოთ, თუმცა მისი გამოყენების ალბათობა ნაკლებ შესაძლებელია.

აღნიშნული ზმნის მასდარი, ცხადია, **ლიხუესგ** „დაცლა“ ფორმაა, რომელიც წესიერი წარმოების ზმნაა.

10. **ქ'ოგუბასყრე** „გაგვაბრუა ბევრი საუბრით“.

საწყისია **ლიბასყრე** „გაბრუება, გამოშტერება ბევრი საუბრით“ (შდრ. ბეჩ. **ყასბარწა** „ენატლიკინა, მოლაყბე ადამიანი“, **მეყასბრე** „ადამიანი, რომელიც თავისი ლაყბობით აბრუებს სხვას“, ბჭ. **ყასბა||ყასბწ** „მოლაყბე“, ლმზ. **ყარსბე** „ლაყბობს“, **ყარსბა||ყარსბაჲ** „მოლაყბე“...).

დავადასტურეთ მხოლოდ წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ს მესამე პირის ფორმით **ქ'ოგუბასყრე** „გაგვაბრუა ბევრი საუბრით“.

შესაძლებლად ვთვლით მყოფადისეული დროების დაშვებასაც, მაგ.:

მ ყ ო ფ ა დ ს რ უ ლ ი: **ქა გუბასყრე** „გაგვაბრუებს, გამოგვაშტერებს ბევრი საუბრით“.

პ ი რ ო ბ ი თ ს რ უ ლ ი: **ქ'ოგუბასყრის** „გაგვაბრუებს ბევრი საუბრით“, თუმცა მათ არსებობაში მასალის უქონლობის გამო ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ.

შენიშვნა: ინფორმატორის განმარტებით, **ქა ლიბასყრე** ეს არის ბავშვის გადამეტებული აზროვნება და საუბარი.

აღნიშნული ზმნა დრონაკლულობასთან ერთად პირნაკლიც არის და რიცხვნაკლიც. რაც შეეხება ძირეულ მასალას **-ბასყრ-**, მისი ქართული შესატყვისი ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ. როგორც ჩანს, საკმაოდ არქაული ფორმაა, რომელიც მხოლოდ ხანშიშესულთა მეტყველებაში ფიქსირდება და, საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება საერთოდ დაიკარგოს. მისი დეფექტურობა სწორედ ამისი უტყუარი დადასტურებაა.

11. ბჭ. **აზრგნე** „დრო გაყავს, ნელა მოქმედებს“

ლიზრგნე „დროის გაყვანა, ნელა მოქმედება“; შეიძლება ვაწარმოოთ მიმღებური ფორმებიც, მაგ.: **მეზრგნე** „დროის გამყვანი“, **ლეზრგნე** „გასაყვანი დრო“, **ნაზრგნ** „გაყვანილი დრო“.

რაც შეეხება დრო-კილოთა წარმოებას, იგი მხოლოდ I სერიის ფორმებითაა წარმოდგენილი.

ა წ მ ყ ო: **ხუაზრგნე** „დრო გამყავს, ნელა ვმოქმედებ“, **ხაზრგნე** „დრო გაყავს, ნელა მოქმედებ“, **აზრგნე** „დრო გაყავს, ნელა მოქმედებს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუაზრგნას** „დრო გამყავდა, ნელა ვმოქმედებდი“, **ხაზრგნას** „დრო გაყავდა, ნელა მოქმედებდი“, **აზრგნა** „დრო გაყავდა, ნელა მოქმედებდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუაზრგნადე** „დრო გამყავდეს, ნელა ვმოქმედებდე“, **ხაზრგნადე** „დრო გაყავდეს, ნელა მოქმედებდე“, **აზრგნადეს** „დრო გაყავდეს, ნელა მოქმედებდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუიზრგნნი** „დრო გამყავდეს იქნება, ნელა ვმოქმედებდე იქნება“, **ხიზრგნნი** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდე იქნება“, **იზრგნნი** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუიზრგნნიდას** „დრო გამყავდეს იქნება, ნელა ვმოქმედებდე იქნება“, **ხიზრგნნიდას** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდე იქნება“, **იზრგნნიდა** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდეს იქნება“.

II, III და IV სერია არ ეწარმოება.

სხვა არაერთი ზმნის მსგავსად, აღნიშნული ზმნაც მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დაფიქსირდა, თუმცა ნაბეჭდ ტექსტებში არ დადასტურებულა.

ეტიმოლოგიურად შესაძლოა ქართულ (გურ., თუშ.) **ურინვა**-ს უკავშირდებოდეს, რაც ა. ლლონტს განმარტებული აქვს როგორც „ავადმყოფის ნელი ლაპარაკი; დაჩემებული და ნელი ლაპარაკი“.

ს.-ქართვ. ***ურინ**- „ნელი საუბარი“ → ქართ. **ურინ**- : სვან. **ზრგნ**- ← ***ზრინ**- ← ***ურინ**-.

სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. საძებნია ზანური ფუძე.

12. ბქ. **ხოლსოყე** „ურიკინებს, უგიჟიანებს“.

აღნიშნულ ზმნას მხოლოდ დრო-კილოთა I სერიის ფორმები ეწარმოება. დანარჩენი სერიები ვერ დავადასტურეთ.

ა წ მ ყ ო: **მილსოყე** „ვურიკინებ“, **ჰილსოყე** „ურიკინებ“, **ხოლსოყა**||**ხოლსოყე** „ურიკინებს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მილსოყა** „ვურიკინებდი“, **ჰილსოყა** „ურიკინებდი“, **ხოლსოყა** „ურიკინებდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მილსოყადეს** „ვურიკინებდე“, **ჰილსოყადეს** „ურიკინებდე“, **ხოლსოყადეს** „ურიკინებდეს“.

აწმყო და უწყვეტლის ფორმები ჩვეულებრივ ეწარმოება, აწმყოს კავშირებითი კი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძირეული მასალაა **-სოყ-**, რომლის საწყისი არის **ლისოყალ** „გიჟობა“. ამ უკანასკნელს კი ჩვეულებრივ ეწარმოება ყველა დრო-კილოს ფორმა სვანურში (შდრ., ასევე, ბქ. **ჯემსოყია** „მოგიჟო ადამიანი“).

13. ბქ., ლნტ. **იწხტი** „იცოხნება“

საწყისი და მიმღეობა: **ლიწხტი** „ცოხნა“; **მუწხტი** „მცოხნელი“, **ლეწხტი** „საცოხნი“.

ა წ მ ყ ო: ბქ., ლნტ. **ხტიწხტი** „ვიცოხნებო“, **ხიწხტი** „იცოხნებო“, **იწხტი** „იცოხნება||იცოხნის“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: ბქ., ლნტ. **ხტიწხტიდანს** „ვიცოხნებოდი“, **ხიწხტიდანს** „იცოხნებოდი“, **იწხტიდა** „იცოხნებოდა||იცოხნიდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ბქ., ლნტ. **ხტიწხტიდე** „ვიცოხნებოდე“, **ხიწხტიდე** „იცოხნებოდე“, **იწხტიდეს** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: ბქ., ლნტ. **ხტიწხუნნი** „ვიცოხნებოდე იქნება“, **ხიწხუნნიდე** „იცოხნებოდე იქნება“, **იწხუნნიდეს** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: ბქ. **ხტიწხუნნიდანს** „ვიცოხნებოდე იქნება“, **ხიწხუნნიდანს** „იცოხნებოდე იქნება“, **იწხუნნიდა** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება“; ლნტ. **ხტიწხუნნიდანს** „ვიცოხნებოდე იქნება“, **ხიწხუნნიდანს** „იცოხნებოდე იქნება“, **იწხუნნიდა** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება“.

დანარჩენი სერიის ნაკვთები არ ეწარმოება.

14. მსგავსი წარმოებისაა ბალქვემოური **ლიწცხი||ლიწცხსერი||ლიწცხერი** „მიწის ნაკვეთის სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ძირფესვიანად ამოგდება“. შდრ. ზს. **წცხე** „ყანის ბალახის ფესვი, ძირი“, რომელიც ხშირად დასტურდება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: **წცხად ლეკდაქ** „ამოსაწყვეტი, ამოსაგდები (ზედმიწ.: ძირად, ფესვად ამოსაღები, ამოსაგდები)“, **წცხად ი ბოლგად ლეკდაქ** „ამოსაწყვეტი, ამოსაგდები (ზედმიწ.: ძირად, ფესვად, ბოლოკად ამოსაღები, ამოსაგდები)“.

აღნიშნულ ზმნას მხოლოდ I სერიის ფორმები ეწარმოება. მაგ.:

ა წ მ ყ ო: **ხტიწცხი** „ვწმენდ ყანას სარეველა ბალახებისგან“, **ხიწცხი** „წმენდ ყანას სარეველა ბალახებისგან“, **იწცხი** „წმენდს ყანას სარეველა ბალახებისგან“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუიწცხიდანს** „ვწმენდდი ყანას სარეველა ბალახებისგან“, **ხიწცხიდანს** „წმენდდი ყანას სარეველა ბალახებისგან“, **იწცხიდა** „წმენდდას ყანას სარეველა ბალახებისგან“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუიწცხიდე** „ვწმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან“, **ხიწცხიდე** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან“, **იწცხიდე** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუიწცხუნი** „ვწმენდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“, **ხიწცხუნი** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“, **იწცხუნი** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუიწცხუნიდანს** „ვწმენდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“, **ხიწცხუნიდანს** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“, **იწცხუნიდა** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება“.

დანარჩენი სერიის ფორმები არ ეწარმოება.

15. ბქ. **მედღუნე** „იმადლება“, შდრ. ჩოლ. **მედღე** და ლნტ. **მედე** „იმადლება“.

საწყისი და მიმღობა: **ლიმღუნე** „დამადლება“; **მედღუნა** „ის, ვინც სულ იმადლება“, **ლემღუნე** „დასამადლებელი“, **ნამღუნ** „დამადლებული“, **მუმღუნე** „დამადლებელი“.

გვხვდება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობითაც, თუმცა მათ შორის, წარმოებს თვალსაზრისით, განსხვავებაა, კერძოდ, სუბიექტური წყობის ზმნა საარვისო ქცევის ფუძემონაცვლე ზმნაა და, შესაბამისად, ფუძემონაცვლე ზმნებში გვექნება განხილული, ხოლო ობიექტური წყობის **მედღუნე** „იმადლება“ ფორმას მხოლოდ I სერიის აწმყოსეული დროები ეწარმოება და და სხვა მწკრივებში ნაკლები ფორმების შევსების არავითარი საშუალება არ ჩანს. მას თითქოს სხვა მასდარი უნდა ჰქონოდა, მაგ. **ლიმედღუნე**, რაც ვერ დავადასტურეთ.

ა წ მ ყ ო: ბქ. **მედღუნე** „ვიმადლები“, **მედღუნე** „იმადლები“, **მედღუნე** „იმადლება“, შდრ. ლნტ. **მედე** „ვიმადლები“, **მედე** „იმადლები“, **მედე** „იმადლება“, ჩოლ. **მედღე** „ვიმადლები“, **მედღე** „იმადლები“, **მედღე** „იმადლება“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: ბქ. **მედღუნას** „ვიმადლებოდი“, **მედღუნას** „იმადლებოდი“, **მედღუნა** „იმადლებოდა“, შდრ. ლნტ. **მედღას** „ვიმადლებოდი“, **მედღას** „იმადლებოდი“, **მედღა** „იმადლებოდა“, ჩოლ. **მედღას** „ვიმადლებოდი“, **მედღას** „იმადლებოდი“, **მედღა** „იმადლებოდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ბქ. **მედღუნადე** „ვიმადლებოდე“, **მედღუნადე** „იმადლებოდე“, **მედღუნადეს** „იმადლებოდეს“, შდრ. ლნტ. **შემედღე** „ვიმადლებოდე“, **მედღე** „იმადლებოდე“, **მედღეს** „იმადლებოდეს“, ჩოლ. **მედღადე** „ვიმადლებოდე“, **მედღადე** „იმადლებოდე“, **მედღადეს** „იმადლებოდეს“.

ჩოლ. **აშ მედღნია სერ სი?** „სულ უნდა იმაღლებოდე?“ ვფიქრობთ, მყოფადისეული დრო უნდა იყოს.

16. ჩოლ. **ხეწყრებ** „ეჭუჯღუნება“.

საწყისი **ლიწყრებ** „ჯუჯღუნე, გაწყრომა“.

ეწარმოება მხოლოდ I სერიის ფორმები, დანარჩენი სერიის ფორმები ვერ დავადასტურეთ.

ა წ მ ყ ო: **ხუეწყრებ** „ვეჯუჯღუნები“, **ხეწყრებ** „ეჭუჯღუნები“, **ხეწყრებ** „ეჭუჯღუნება“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუეწყრებდა/ან** „ვეჯუჯღუნებოდი“, **ხეწყრებდა/ან** „ეჭუჯღუნებოდი“, **ხეწყრებდა** „ეჭუჯღუნებოდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუეწყრებდე** „ვეჯუჯღუნებოდე“, **ხეწყრებდე** „ეჭუჯღუნებოდე“, **ხეწყრებდეს** „ეჭუჯღუნებოდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუეწყრებნი** „ვეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნი** „ეჭუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნი** „ეჭუჯღუნებოდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუეწყრებნოლ** „ვეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნოლ** „ეჭუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნოლ** „ეჭუჯღუნებოდეს იქნება“.

საანალიზო ზმნის ძირია **წყრ-**, რომელიც ნასესხებია ქართულიდან (მდრ. „უ-წყრ-ებ-ა“).

ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ ასევე დავაფიქსირეთ **ხეწყრომ** „ესაყვედურება“ ზმნა, რომელიც იგივეა, რაც ქართული „წყრომა“, თუმცა სვანურში საყვედურის სემანტიკითაა შესული.

17. ბქ. **ხეშუალ** „დასტირის, გლოვობს“

საწყისი და მიმღეობა: **ლიშუალ** „გლოვა, ტირილი“; **მეშუალ** „ის, ვინც დასტირის, გლოვობს“, **ნაშუალ** „დანატირები, ნაგლოვი“, **ლეშუალ** „დასატირებელი, საგლოვი“.

გამონათავს, ძირითადად, დაქადნებას და წყევლას. მაგ.:

ეჯგუწარ ლადელს ეჯგენისგ, ერე მანგ სი ჯეშუალნი! „იმისთანა დღეს დაგაყრი, რომ ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს!“

ეჯგუწაროდუ დრეჟუ აჯგედა, ერე მანგ სი ჯეშუალდეს! „იმისთანა დღეში ჩავარდნილიყავი („იმ-გვარ-ი-მც დრო მოგსვლია“), რომ ყველა შენ დაგტიროდეს||გგლოვობდეს!“

აღნიშნულ ზმნას ეწარმოება I სერიის ნაკვებები და III სერიის I თურმეობითი.

ა წ მ ყ ო: **მანგ მი მეშუალ** „ყველა მე დამტირის, მგლოვობს“, **მანგ სი ჯეშუალ** „ყველა შენ დაგტირის, გგლოვობს“, **მანგ ეჯის ხეშუალ** „ყველა მას დასტირის, გგლოვობს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მზგ მი მეშუალდა** „ყველა მე დამტიროდა, მგლოვობდა“, **მზგ სი ჯეშუალდა** „ყველა შენ დაგტიროდა, გგლოვობდა“, **მზგ ეჯის ხეშუალდა** „ყველა მას დასტიროდა, გლოვობდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მზგ მი მეშუალდეს** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს“, **მზგ სი ჯეშუალდეს** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს“, **მზგ ეჯის ხეშუალდეს** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მზგ მი მეშუალნი** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **მზგ სი ჯეშუალნი** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **მზგ ეჯის ხეშუალნი** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მზგ მი მეშუალნიჲ** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **მზგ სი ჯეშუალნიჲ** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **მზგ ეჯის ხეშუალნიჲ** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

III თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **მზგ მი მაშუალა** „ყველა მე დამტიროდა, მგლოვობდა თურმე“, **მზგ სი ჯაშუალა** „ყველა შენ დაგტიროდა, გგლოვობდა თურმე“, **მზგ ეჯის ხაშუალა** „ყველა მას დასტიროდა, გგლოვობდა თურმე“.

II და III სერია, როგორც ვხედავთ, არ ეწარმოება.

ძირეული მასალის წარმომავლობა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

მსგავსი წარმოებისაა ლახამულური **ლინტრელ||ლინტრალ** „გლოვა, ტირილი“ (იხ. აქვე).

18. ლხმ. **ხენტრალ** „დასტირის“.

საწყისი და მიმღეობა: **ლინტრელ||ლინტრალ** „გლოვა, ტირილი“; **მენტრალ** „ის, ვინც გლოვობს, დასტირის“.

ა წ მ ყ ო: **მენტრალ** „დამტირის, მგლოვობს“, **ჯენტრალ** „დაგტირის, გგლოვობს“, **ხენტრალ** „დასტირის, გლოვობს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მენტრალა** „დამტიროდა, მგლოვობდა“, **ჯენტრალა** „დაგტიროდა, გგლოვობდა“, **ხენტრალა** „დასტიროდა, გგლოვობდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მენტრალდეს** „დამტიროდეს, მგლოვობდეს“, **ჯენტრალდეს** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს“, **ხენტრალდეს** „დასტიროდეს, გგლოვობდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მენტრალნი** „დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **ჯენტრალნი** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **ხენტრალნი** „დასტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მენტრალნიჲ** „დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **ჯენტრალნიჲ** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **ხენტრალნიჲ** „დასტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“.

III თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **მანტრალა** „დამტიროდა, მგლოვობდა თურმე“, **ჯანტრალა** „დაგტიროდა, გგლოვობდა თურმე“, **ხანტრალა** „დასტიროდა, გლოვობდა თურმე“.

წარმოებით არაფრით არ განსხვავდება ბალსქვემოურ **ხეშუალ** „დასტირის, გლოვობს“ ზმნისაგან.

საანალიზო ზმნაში ძირეულ მასალად გამოიყოფა **-ტრ-**, რაც, ჩვენი აზრით, ნასესხებია ქართულიდან, შდრ. სვან. ხ-ე-ნ-**ტრ**-ალ „დასტირის, გლოვობს“ და ქართ. და-ს-**ტირ**-ის. სვანურ ხენტრალ ფორმაში **-ნ-** ფონეტიკური დანართია. ქართულ-სვანურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდუნტურობა ეჭვს არ იწვევს.

19. ბქ. **ხეგლარა/ალ** „ხელგებს ხვევს“.

საწყისი და მიმღობა: **ლიგლარა/ალ** „ხელგების გადახვევა“; **მეგლარა/ალ** „ხელგების გადახვევი“, **ლეგლარა/ალ** „ხელგების გადასახვევი“, **ნავლარა/ალ** „ხელგების გადანახვევი“.

გამოიყენება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობითაც.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ:

ა წ მ ყ ო: **ხუეგლარა/ალ** „ხელგებს ვხვევ“, **ხეგლარა/ალ** „ხელგებს ხვევ“, **ხეგლარა/ალ** „ხელგებს ხვევს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუეგლარალდეს** „ხელგებს ვხვევდი“, **ხეგლარალდეს** „ხელგებს ხვევდი“, **ხეგლარალდა** „ხელგებს ხვევდა“, შდრ. ლხმ. **ხუეგლარალ** „ხელგებს ვხვევდი“, **ხეგლარალ** „ხელგებს ხვევდი“, **ხეგლარალ** „ხელგებს ხვევდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუეგლარალდე** „ხელგებს ვხვევდე“, **ხეგლარალდე** „ხელგებს ხვევდე“, **ხეგლარალდეს** „ხელგებს ხვევდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუეგლარალნი** „ხელგებს გადავხვევ იქნება“, **ხეგლარალნი** „ხელგებს გადახვევ იქნება“, **ხეგლარალნი** „ხელგებს გადახვევს იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუეგლარალნიდეს** „ხელგებს გადავხვევდი იქნება“, **ხეგლარალნიდეს** „ხელგებს გადახვევდი იქნება“, **ხეგლარალნიშ** „ხელგებს გადახვევდა იქნება“.

II სერიაში აღწერთი წარმოება გვაქვს, მაგ. **ვალწარ ლოხდე** „ხელი გადახვია“, **ვალწარ ლოხდას** „ხელი გადახვიოს“.

III და IV სერია არ ეწარმოება, თუმცა III სერიის IV თურმეობითის ფორმები შეიძლება შეგვხვდეს საუბარში, მაგ. **ხუაგლარალა** „ხელგებს ვხვევდი თურმე“, **ხავლარალა** „ხელგებს ხვევდი თურმე“, **ხავლარალა** „ხელგებს ხვევდა თურმე“.

როგორც უკვე ვთქვით, საანალიზო ზმნა **ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი** თ ა ც დასტურდება. მაგ.:

ა წ მ ყ ო: **მეკლარალ** „ხელ^რებს მხვევს“ **ჩეკლარალ** „ხელ^რებს გხვევს“ **ხეკლარალ** „ხელ^რებს ხვევს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მეკლარალდა** „ხელ^რებს მხვევდა“ **ჩეკლარალდა** „ხელ^რებს გხვევდა“ **ხეკლარალდა** „ხელ^რებს ხვევდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მეკლარალდეს** „ხელ^რებს მხვევდეს“, **ჩეკლარალდეს** „ხელ^რებს გხვევდეს“, **ხეკლარალდეს** „ხელ^რებს ხვევდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მეკლარალნი** „ხელ^რებს მხვევდეს იქნება“, **ჩეკლარალნი** „ხელ^რებს გხვევდეს იქნება“, **ხეკლარალნი** „ხელ^რებს ხვევდეს იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მეკლარალნიჲ** „ხელ^რებს მხვევდეს იქნება“, **ჩეკლარალნიჲ** „ხელ^რებს გხვევდეს იქნება“, **ხეკლარალნიჲ** „ხელ^რებს ხვევდეს იქნება“.

II სერიაში აქაც აღწერილი წარმოება გვაქვს, მაგ. **ვალწარ ლემდე** „ხელი გადახვია“, **ვალწარ ლეჭდე** „ხელი გადაგხვია“, **ვალწარ ლოხდე** „ხელი გადახვია“.

რაც შეეხება III და IV სერიის ნაკვთებს, ისინი არ ეწარმოება, თუმცა III სერიის IV თურმეობითის ფორმების დაშვება შესაძლებლად მიგვაჩნია, მაგ. **მაკლარალა** „ხელებს მხვევდა თურმე“, **ჩაკლარალა** „ხელებს გხვევდა თურმე“, **ხაკლარალა** „ხელებს ხვევდა თურმე“.

როგორც ვნახეთ, აღნიშნულ ზმნას მეორე სერიის ფორმები აღწერითადად ეწარმოება. რა შეიძლება ითქვას ამ მოვლენის შესახებ?

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველ ქართულში დრონაკლ ზმნებს პირობითად სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: 1. -ი სუფიქსიანი დრონაკლი ზმნები, რომლებიც წარმოადგენენ ენის განვითარების უფრო ძველი პერიოდის გადმონაშთებს; 2. ნასახელარი ზმნები (დენომინატივები) და 3. თავისებური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ერთი ან ორი დროის ფორმაზე მეტის წარმოება არ შეუძლიათ (ქავთარაძე 1954, 12-21).

ნასახელარი ზმნები (დენომინატივები), ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც იწარმოებიან სახელადი ფუძეებისაგან, მაგ.: ჯმა: ჯმ-ობ-ს; პერი: პერ-ოგ-ინ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ სახელად ფუძეთაგან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა დროისა და კილოს ფორმები, რომელთაც გამო-ნაკლისი თითქმის არ იციან, უკვე ძველ ქართულში დასტურდება, როგორც სისტემა, თუმცა არსებობს ის გარდამავალი საფეხურიც, როცა სახელადი ფუძეებისაგან წარმოებულ ორგანულ ფორმებს ჯერ კიდევ ვერ გაუჟაფავს გზა და მის ნაცვლად აღწერითი წარმოება გამოიყენება (იქვე, 18-19).

სწორედ აღწერა გახდა ერთადერთი შესაძლო საშუალება ზემოთ წარმოდგენილი ზმნური ფუძის (**ვალარ ლოხდე** „ხელი გადახვია“, **ვალარ ლოხდას** „ხელი გადახვიოს“ და ა. შ.) წარმოების გადმოსაცემად, ვინაიდან დასახელებული სახელადი ფუძე არ დაემორჩილა წარმოქმნის მიღებულ წესს (გამორიცხულია: **ლახვალარე** „ხელი გადახვია“, ან **ლახვალარას** „ხელი გადახვიოს“). ძველი ქართულის მსგავსად, სვანურმაც შეუძლებელი ორგანული წარმოების ფორმათა საკომპენსაციოდ გამოიყენა ე. წ. აღწერითი (პერიფრასტული) ფორმები, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს.

20. სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურ დიალექტში, დავაფიქსირეთ ერთი მეტად საინტერესო ზმნა **ლინჭხუე**, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: შეფერება, მიჩნევა, ღირსება და ა. შ. აღნიშნული ზმნა ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი და ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი ს მიხედვით განსხვავებულ წარმოებას გვიჩვენებს, თუმცა ძირეული მასალა ყველა ფორმაში ერთია. ამ ზმნით ჩვენი დაინტერესება იმან გამოიწვია, რომ სეროების მიხედვით სემანტიკა ეცვლება.

საწყისი და მიმდებარე: **ლინჭხუე** „შეფერება, მიჩნევა, ღირსება...“; **ლინჭხუე** „შესაფერებელი, შესარგები“, **მუნჭხუე** „ის, ვინც აცლის, ირგებს...“.

გამოიყენება როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური წყობითაც.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ:

ა წ მ ყ ო: **ეზერ დინა მადე ლია?** **აღუე**, **ალი მენჭხუნან** „რა კარგი გოგოა, არა? აბა, რათ ვარგა||არაფრად არ მიმაჩნია, **ჩენჭხუნან** „მიგაჩნია“, **ხენჭხუნან** „მიაჩნია“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ალი მენჭხუნანდა**, **ე** „მიმაჩნდა რამედ, რო?“, **ალი ჩენჭხუნანდა**, **ე** „მიგაჩნდა რამედ, რო?“, **ალი ხენჭხუნანდა**, **ე** „მიაჩნდა რამედ, რო?“

შესაძლოა ვაწარმოოთ აწმყოს კავშირებითის ფორმაც, მაგ. **მენჭხუნანდეს**, თუმცა სახვებით ბუნებრივი ფორმა არ არის.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **დემეგ მენჭხუია დეშომა?** „ნუთუ არასდროს მეღირსება?“, **ჩენჭხუი შომაღე** „გელირსება ოდესმე“, **ხენჭხუი შომაღე** „ელირსება ოდესმე“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მენჭხუიუ** „მელირსებოდეს იქნება, მიმაჩნდეს რამედ იქნება“, **ჩენჭხუიუ** „გელირსებოდეს იქნება, მიგაჩნდეს რამედ იქნება“, **ხენჭხუიუ** „ელირსებოდეს იქნება, მიაჩნდეს რამედ იქნება“.

I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **მანჭხუნა** „მელირსებია თურმე“, **ჯანჭხუნა** „გლირსება თურმე“, **ხანჭხუნა** „ღირსებია თურმე“.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ:

ა წ მ ყ ო: **ხუინჭხუე** „ვიფერებ, ღირსად ვხდი ჩემს თავს“, **ხინჭხუე** „იფერებ, ღირსად ხდი შენს თავს“, **ინჭხუე** „იფერებს, ღირსად ხდის მის თავს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუინჭხუანს** „ვიფერებდი, ღირსად ვხდიდი ჩემს თავს“, **ხინჭხუანს** „იფერებდი, ღირსად ხდიდი შენს თავს“, **ინჭხუა** „იფერებდა, ღირსად ხდიდა მის თავს“.

აწმყოს კავშირებითის ფორმა **ხუინჭხუადე-ც** მთლად ბუნებრივ ფორმად არ მიგვაჩნია.

მ ყ ო ფ ა დ ს რ უ ლ ი: **ხუინჭხუნი** „ვიფერებდე, ღირსად ვხდიდე ჩემს თავს იქნება“, **ხინჭხუნი** „იფერებდე, ღირსად ხდიდე შენს თავს“, **ინჭხუნი** „იფერებდეს, ღირსად ხდიდეს მის თავს“.

პ ი რ ო ბ ი თ ს რ უ ლ ი: **ხუინჭხუნიდანს** „ვიფერებდე, ღირსად ვხდიდე ჩემს თავს იქნება“, **ხინჭხუნიდანს** „იფერებდე, ღირსად ხდიდე შენს თავს“, **ინჭხუნიდა** „იფერებდეს, ღირსად ხდიდეს მის თავს“.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: **ხუინჭხუ** „შევიფერე“, **ხინჭხუ** „შეიფერე“, **ინჭხუე** „შეიფერა“.

II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუინჭხუა** „შევიფერო“, **ხინჭხუა** „შეიფერო“, **ინჭხუას** „შეიფეროს“.

III და IV სერია სუბიექტური წყობისას არ ეწარმოება.

საინტერესოა ბრძანებითის ფორმები: **მანჭხუ!** „მაცალე, შემარგე!“ და **ხინჭხუ!** „შეიფერე, შეირგე!“

21. ე/ანჭირ „ფიქრობს“

საწყისი და მიმღობა: **ლინჭირ** „ლოდინი“; **ლენჭირ** „მოსალოდნელი“, **ლანჭირ** (მაგ., **ლანჭირის ლი** — მოსალოდნელია) „მოსალოდნელი, საფიქრებელი“¹.

ა წ მ ყ ო: **ონჭირ**, **ერე ალი ამჟი ირი** „ვფიქრობ||ვიმედოვნებ, რომ ეს ასე იქნება“, **ამჟი ენჭირა სი?** „შენ ასე ფიქრობ?“, **მიშგუადი ამჟი ენჭირ** „დედაჩემი ასე ფიქრობს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მი ამჟი ონჭინდანს||ონჭირდანს** „მე ასე ვფიქრობდი||ვიმედოვნებდი“, **ენჭინდანსმა||ენჭირდანსმა სი ალის?** „ფიქრობდი||იმოდენებდი ამას?“, **მიშგუ მეზუბელ მუშგურაძარე ლივედს ენჭინდა||ენჭირდა** „ჩემი მეზობელი სტუმრების მოსვლას ფიქრობდა||იმედოვნებდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **იმ ონჭინდე||ონჭირდე ათხენლჟე ხოჩამ?** „აწი კარგს რას უნდა ველოდო?“, **დემეგ ენჭინდე, ერქასოდჟ აჯვედა ხოლემიშ** „რომ არ ელოდებოდე, მაშინ დაგემართოს ცული („არ ელოდებო-

¹ ერთი შეხედვით, თითქოს, ყ ო ყ მ ა ნ ი ს სემანტიკაც ღვეს.

დე, მაშინმცა მოგსვლია ცუდისა!“), **დემეგ ენჭინდეს**||**ენჭირდეს**, **ერქასოლტუ ლახტენა ღოშდ მიჩა ხოლემ ნაზ-ნამჩედ!** „რომ არ ელოდებოდეს, მაშინ გადაეხადოს სამაგიერო მისი ბოროტებისთვის („არ ელოდებოდეს, მაშინმცა მიბრუნებია უკან მისი ცუდი ნავალ-„გა“ნაქცევი!“)!“

მყოფადუსრულ: **დემეგ ოხშმპჭირინი**, **ერქას ლახ ენჭდენი**, **ეჯნარ მაყლენი** „რომ არ ელოდებოდე||ვიმედოვნებდე (იქნება), მაშინ რომ მოვიდეს („თუ მოვა“), იმისი მეშინია („იმად მეშინია“)“, **დემეგ ეხმპჭირინი**, **ერქას ჭეგნიდ ყორს** „რომ არ ელოდებოდე, მაშინ მოგადგებით კარებზე“, **დე-მეგ ენმპჭირინი**, **ერქას ოლჩედ** „აზრზე რომ არ იქნება („არ ელოდებოდეს იქნება“), მაშინ მივიდეთ („წავიდეთ“)“.

პირობითუსრულ: **დემეგ ოხშმპჭირინიდას** „არ ელოდებოდე იქნება“, **დემეგ ეხმპჭირინიდას** „არ ელოდებოდე იქნება“, **დემეგ ენმპჭირინინდა** „არ ელოდებოდეს იქნება“.

აკლია მყოფადსრული და პირობითსრული. არ ეწარმოება II და III სერია. რაც შეეხება IV სერიას, აქედან მხოლოდ IV თურმეობითი ეწარმოება:

IV თურმეობითი: **ოლმპჭირინელხუტი** „ელოდებოდი თურმე||ნალოდებვარ“, **ოლმპჭირინელხი** „ელოდებოდი თურმე||ნალოდებხარ“, **ოლმპჭირინელი** „ელოდებოდა თურმე||ნალოდება“.

ძირეული მასალაა -ჭირ-, რომლის ეტიმოლოგიის გარკვევაც ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ.

22. ბალსქვემოურ **ხეხნი** „მოითხოვს“ ზმნას მხოლოდ აწმყოს ფორმები ეწარმოება. მაგ.:

აწმყო: **გუტი მეხნი** „გული მთხოვს, სურვილი მაქვს“, **გუტი ჭეხნი** „გული გთხოვს, სურვილი გაქვს“, **გუტი იმ ხეხნი** „გული რას მოითხოვს, რას ისურვებს?“

დამატებითი მასალა აღნიშნული ზმნის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ.

23. ბქ. **იტმე** „შიმშილობს“.

საწყისი და მიმღეობა: **ლიტმე**¹ „შიმშილი“; **მეტმე** „ის, ვინც შიმშილობს“, **ლეტმე** „საშიმშილო“, **ნატმე** „ნაშიმშილები“, შდრ., ასევე, **მატმარ** „მშიერი“.

¹ საანალიზო დეფექტური ზმნა სვანურში დათმობის სემანტიკითაც დასტურდება, თუმცა ის სასხვისო ქცევის ფუძემონაცვლე ზმნაა და სათანადო ადგილას იქნება განხილული.

ა წ მ ყ ო: **ხუიტმე** „ვმიმშილობ“, **ხიტმე** „მიმშილობ“, **იტმე** „მიმშილობს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუიტმას** „ვმიმშილობდი“, **ხიტმას** „მიმშილობდი“, **იტმა** „მიმშილობდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუიტმადე** „ვმიმშილობდე“, **ხიტმადე** „მიმშილობდე“, **იტმადეს** „მიმშილობდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუიტმუნი** „ვმიმშილობდე იქნება“, **ხიტმუნი** „მიმშილობდე იქნება“, **იტმუნი** „მიმშილობდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუიტმუნიდას** „ვმიმშილობდე იქნება“, **ხიტმუნიდას** „მიმშილობდე იქნება“, **იტმუნიდა** „მიმშილობდეს იქნება“.

I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **მიტმა** „მიმშილია“, **ჰიტმა** „გიმშილია“, **ხოტმა** „უმიმშილია“.

სვანურ საანალიზო ზმნაში ძირეულ მასალად გამოიყოფა -ტმ-, რაც, შესაძლოა, ქართული თმ-ენა ფუძიდან მომდინარეობდეს თ'ს გამკვეთრების შედეგად.

სვანურ ლი-ტმ-ე'ს „მიმშილს“, როგორც ჩანს, თ მ ე ნ ი ს სემანტიკა უდევს საფუძვლად.

24. ბქ. **იღნაჟალ** „ორსულობს, ორსულობის პროცესშია“.

საწყისი და მიმღეობა: **ლიღნაჟალ** „ორსულობა“; **მეღნაჟალ** „ქალი, რომელიც ორსულობის პროცესშია“, **ლეღნაჟი** „დასაორსულებელი“, **მეღნაჟი** „დამაორსულებელი“.

ა წ მ ყ ო: **ხუიღნაჟალ** „ვორსულობ“, **ხიღნაჟალ** „ორსულობ“, **იღნაჟალ** „ორსულობს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხუიღნაჟალდას** „ვორსულობდი“, **ხიღნაჟალდას** „ორსულობდი“, **იღნაჟალდა** „ორსულობდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხუიღნაჟალდე** „ვორსულობდე“, **ხიღნაჟალდე** „ორსულობდე“, **იღნაჟალდეს** „ორსულობდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხუიღნაჟალნი** „ვორსულობდე იქნება“, **ხიღნაჟალნი** „ორსულობდე იქნება“, **იღნაჟალნი** „ორსულობდეს იქნება“.

ბ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხუიღნაჟალნიდას** „ვორსულობდე იქნება“, **ხიღნაჟალნიდას** „ორსულობდე იქნება“, **იღნაჟალნიჟ** „ორსულობდეს იქნება“.

დანარჩენი დროის ფორმები არ უდასტურდება.

რაც შეეხება **ლიღნაჟი** „დაორსულება“ ფორმას, ის ჩვეულებრივი წარმოების ზმნაა და დრო-კილოთა ყველა ფორმა ეწარმოება.

25. ზს., ლშხ. **ხაბა** გამოიყენება წყევლის აღმნიშვნელ ფორმულებში. მაგ.: **ფისეოლჷ ხაბა ლნდიშ ლადელს** (ბქ.), **ფისეჷ ხაბა ლადი ლადელს** (ლშხ.) „დალახვროს დღევანდელი დღე, წაწყმდეს დღევანდელი დღე, ფისიმც დაესხას დღევანდელ დღეს!“ **ფისეოლჷ ჯაბა!** (ბქ.) „მდულარე ფისიმც გასხია!“ **თაჷლაფჷ ჯაბა!** (ლშხ.) „თავსლაფიმც დაგესხას!“

ბზ. ზურულ¹ ... ხაქჷ ²ზოფშარს¹: „**ფისეჷ ესერ ხაბა ამი მგჷქადის, ამი მგჷლა-ა მინსი!**“ (სვან. პრ. ტექსტ., 1939, 344:37-38, 344:1) — ქალმა უთხრა ბავშვებს: „არ გაიხაროსო („**ფის-ი-მცა-ო ა-ბ-ია**“) ამისმა („ამი¹ს¹“) მჭედელმა („**მ-ჭედ-ელ-ს**“), ამისმა („ამი¹ს¹“) მომტანმა („**მომტანს**“) და თქვენცო („**მათაც**“)!“

საწყისი და მიმდევობის ფორმები არ ეწარმოება. არის პირნაკლი, გამოიყენება მხოლოდ მესამე პირის ფორმით. პირნაკლობასთან ერთად დრონაკლიცაა. მხოლოდ აწმყოს ფორმით დასტურდება.

26. ლშხ. **ჯნზა||ჯნზაბა** „გენაღვლება, გედარდება“.

გამოიყენება მხოლოდ აწმყოში და ისიც მხოლოდ ობიექტური მე-2 პირის ფორმით.

საილუსტრაციო მასალა: **მაა ლოქ ჯნზაბა?** „რა გენაღვლებაო?“ **მაა ჯნზაბა? დო გარგლი** „რა გენაღვლება? ილაპარაკოს“.

27. ბქ. **იჭკერალ** „წუხს (ტკვილებისგან)“.

საწყისი: **ლიჭკირალ||ლიჭკერალ** „წუხილი (ტკვილებისგან)“.

გამოიყენება მხოლოდ სუბიექტური წყობით და ეწარმოება პირველის სერიის ფორმები. მაგ.:

ა წ მ ყ ო: **ხჷიჭკერალ** „ვწუხვარ (ტკვილებისგან)“, **ხიჭკერალ** „წუხხარ (ტკვილებისგან)“, **იჭკერალ** „წუხს (ტკვილებისგან)“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხჷიჭკერალდნს** „ვწუხდი (ტკვილებისგან)“, **ხიჭკერალდნს** „წუხდი (ტკვილებისგან)“, **იჭკერალდა** „წუხდა (ტკვილებისგან)“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხჷიჭკერალდე** „ვწუხდე (ტკვილებისგან)“, **ხიჭკერალდე** „წუხდე (ტკვილებისგან)“, **იჭკერალდეს** „წუხდეს (ტკვილებისგან)“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხჷიჭკერალნი** „ვწუხდე (ტკვილებისგან) იქნება“, **ხიჭკერალნი** „წუხდე (ტკვილებისგან) იქნება“, **იჭკერალნი** „წუხდეს (ტკვილებისგან) იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხჷიჭკერალნიდნს** „ვწუხდე (ტკვილებისგან) იქნება“, **ხიჭკერალნიდნს** „წუხდე (ტკვილებისგან) იქნება“, **იჭკერალნი-და** „წუხდეს (ტკვილებისგან) იქნება“ და ა. შ.

ზემოთ წარმოდგენილ ზმნათა უმეტესობას არ ეწარმოება მეორე სერიის ნაკვებები, ვინაიდან მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს, უფრო სწორად, არ მოითხოვს. ამგვარ ზმნათა ფუძეწარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო, თუმცა სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, ამ მომენტთა გათვალისწინება ბევრად უფრო რთულია ძველი წერილობითი ძეგლების უქონლობის გამო.

როგორც მკვლევარი ივ. ქავთარაძე შენიშნავს, ძველ ქართულშიც მოიპოვება ისეთი დრონაკლი ზმნები, რომელთა მის მიერ დადგენილ ამა თუ იმ ჯგუფში მოსახვედრად გარკვეული ნიშანი თითქოს არ იძებნება. იგი ნიმუშად ასახელებს ჰ ზ ა მ ს ტიპის ზმნას და სვამს კითხვას: „რით უნდა აიხსნებოდეს ასეთ ზმნათა დრონაკლობა“-ო? (ქავთარაძე 1954, 21).

მკვლევრის თვალსაზრისით, ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა იმისი ცოდნა, როგორი იყო ზმნათა ფუძეები მაშინ, როცა ისინი ასპექტს განასხვავებდნენ (იქვე). ცნობილია, რომ არნ. ჩიქობავას დიურატიული ასპექტის უღლილებს ტიპად, რომელსაც პერმანსივი გადმოგვცემდა, -ი სუფიქსიანი ზმნები აქვს მიჩნეული (1948, 95), თუმცა ივ. ქავთარაძე ისევ სვამს კითხვას: „ის ზმნები, რომელთა -ი სუფიქსიანად მიჩნევისათვის გარკვეული დასაყრდენი არაა და რომლებიც ამავე დროს სრულებით არ შეიძლება ახალ ფორმაციისად ვცნათ, როგორ აწყობდნენ თავიანთ ფუძეს?“ ვინაიდან ეს საკითხი ფართო მოცულობისაა, მისი აზრით, ამაჟამად ვერ გადაწყდება. და ვარაუდის სახით უშვებს ერთ შესაძლებლობას: „ზმნათა ფუძეს, რომელსაც პერმანსივის -ი სუფიქსი არ აწარმოებდა, მოსალოდნელია თავიდანვე დაკავშირებოდა ასპექტური გაგება“, ანუ აქაც უნდა გვქონოდა დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის გამომხატველი ცალკეული ძირები [შდრ. ახ. ქართ. ზმნები: **ვზვრე-ბი, ვიზამ, ვქმენ** და სხვ. (ქავთარაძე 1954, 21-22)].

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ზმნათა დეფექტურობის თვალსაზრისით არც სვანური წარმოდგენს გამონაკლისს და, უფრო მეტიც, ამ მხრივ ბევრი საინტერესო მომენტი იკვეთება სვანურში, რაც მომავლის შესწავლის საქმეა.

წინამდებარე ნაშრომში, როგორც უკვე ვნახეთ, საუბარია **ერთი ტიპის ზმნებზე**, რომელთა რაოდენობა სვანურში საკმაოდ დიდია, და საინტერესო სტრუქტურული თავისებურებითაც გამოირჩევა. ვინაიდან ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული სხვა დეფექტური ზმნებისაგან, ამიტომ შესაძლებელია მათი ცალკე განხილვა. ამ ზმნებს არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არც იგრძნობა ნაკლები ფორმების რითიმე შევსების საჭიროება. ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი დრონაკლი ზმნების უმეტესობა

შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ერთი ან ორი დროის ფორმაზე მეტი არ ეწარმოებათ. შეგვხვდა რამდენიმე ისეთი ზმნაც, რომელთაც პირველი სერიის ყველა დრო ეწარმოებათ, თუმცა არც ერთ აქ განხილული ზმნას არ გააჩნია მეორე სერიის ნაკვთები, რადგან მათი სემანტიკა, როგორც არაერთგზის ითქვა, ამას ვერ იგუებს. ასეთ ზმნათა ფუძეწარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად, ცხადია, სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ზმნათა უმეტესობა ვერ მოხვდა ცნობილ მეცნიერთა მიერ დადგენილ ვერც ერთ ძირითად ჯგუფში, ვინაიდან ამა თუ იმ ჯგუფში მოსახვედრად მათ გარკვეული ნიშანი არ ეძებნებათ. ისინი არ არიან არც ძირმონაცვლე და არც ფუძემონაცვლე ზმნები.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ზემოდასახელებულ ზმნათა დრონაკლებობა?

ერთადერთი რისი თქმაც ამ ეტაპზე შეგვიძლია ისაა, რომ მათი ნაწილი მეორეული წარმოებისაა, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული და, შესაძლოა, მათი დრონაკლებობის მიზეზიც ეს იყოს (ანუ ვერ მოასწრეს ყველა დროის წარმოება). არც ისაა გამორიცხული, რომ ისინი უძველესი ფორმაციის ზმნები იყოს მსგავსად ძველი ქართულის ფორმებისა, იმ დროისაც კი, როდესაც არ იყო განვითარებული ენაში გვარის სხვადასხვა ფორმები, როგორც ამას ივ. ჭავთარაძე ვარაუდობს (იქვე, 193).

ჩვენ მიერ განხილული ზმნათა უმეტესობა ერთასპექტიანია (ოდენდიურატიული), თუმცა შეგვხვდა ისეთი დეფექტური ზმნებიც, რომელთაც ორივე ასპექტი ეწარმოებათ.

ზოგი ზმნა კი დრონაკლებობასთან ერთად პირნაკლიცაა და რიცხვნაკლიც¹.

ლიტერატურა

გაგუა 1976 — კ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბილისი, 1976

თოფურია 1931 — ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბილისი, 1931

თოფურია 1967 — ვ. თოფურია,

მარი 1931 — N. Marr et M. Briere, La langue georgienne, Paris, 1931

ჭავთარაძე 1954 — ივ. ჭავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954

¹ საკითხზე მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

ჩიქობავა 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კაკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948

ჭუმბურიძე 1986 — ჭ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიაშვილმა და მ. ქალღანმა, თბილისი, 1957

დავითიანი 1973 — ა. დავითიანი, სვანური ანდაზები (ა. შანიძისა და მ. ქალღანის რედაქციით), თბილისი, 1973.

Medea Sagliani

One type of the Svan tense-defective verbs revisited

Summary

The paper deals with one type of verbs abounding in Svan and having interesting structural features. As they are somehow different from other defective verbs, discussed in the scientific literature, we can analyze them individually. Such verbs do not have different tense forms and they do not seem to lack them. Most of the defective verbs presented by us can be discussed as intransitive verbs with specific semantics that do not have more than one or two tense forms. We found some verbs that have all tenses of Series I but they are short of those of Series II because of the semantics. It is clear that we should take some facts into account to learn about the peculiarities of the stem formation and the defectiveness of these verbs. We should note that the majority of such verbs do not belong to any main verb groups, established by famous scientists, as they do not have relevant peculiarities for the groups. They are not either the stem- or the root-alternating verbs.

The only thing we can say at this stage is that some of them are secondary verbs, used in a figurative sense and, this may be the reason of their defectiveness. We also do not rule out that they can be the verbs of an ancient formation like old Georgian forms from the period when the language did not have different voice forms.

მურმან სუხიშვილი

აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაცია ახალ ქართულში

მორფოლოგიური პარადიგმები (ბრუნების, უღვლილების...) მხოლოდ ჰომოგენური ფაქტების ურთიერთმიმართებით არ იგება. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში (ძვ. ბერძნული, ლათინური, გერმანული... იხ. მეიე 1938, 212; სემერენი 1980, 321, 322...) მოიპოვება წყება სახელებისა თუ ზმნებისა, რომელთაც აკლია ესა თუ ის ფორმა ან რიგი ფორმებისა და ამ ნაკლს, საჭიროების შემთხვევაში, იმავე ძირიდან აფიქსით გავრცობილი ფუძით, ანდა ეტიმოლოგიურად განსხვავებული სახელური ან ზმნური ფუძით (ფუძეებით) იგებს (შანიძე 1973, 500...; ქავთარაძე 1954; ჭუმბურიძე 1986, 122-124). ამის კვალობაზე, მორფოლოგიური პარადიგმები ორი სახისა შეიძლება გვქონდეს: სრული და უსრული (ან დეფექტური). სრულ პარადიგმებში ნარევი (შერეულ) პარადიგმებსაც განარჩევენ.

ასეთი ნარევი პარადიგმების წევრები არა მხოლოდ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, არამედ განსხვავებული გრამატიკული სტატუსის მქონენიც შეიძლება იყვნენ. პარადიგმის წევრთა შორის ფორმალური მიმართების დარღვევის გამო, ნარევი პარადიგმებს ჩვენში სემანტიკურ პარადიგმებადაც მოიხსენიებენ (გოგოლაშვილი 2010, 224-228).

ბუნებრივია, თუ ამგვარი ნარევი პარადიგმების აღწერას სათანადო სირთულეებიც ახლავს.

სირთულის ერთ-ერთ ნიმუშად | პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმას დავასახელებდით, რომელიც პირის („მე“) და კუთვნილებითი („ჩემ“) ნაცვალსახელური ფუძეების ურთიერთმიმართებით რეალიზდება (შლრ., არაბული 2011, 189-190). ჩემ- მხოლოდ ფუნქციურად არის | პირის ნაცვალსახელი, რამდენადაც ის მე-ს პარადიგმის წევრია; იხ. ქეგლ V:

მე (მოთხ. მე, მიც. მე, ნათ. ჩემ-, მიმართ. და მოქმ. არა აქეს; მრ. ჩვენ). პირველი პირის ნაცვალსახელი მხოლობითი რიცხვისაა...

ჩემ- როგორც მონაცვლე ფუძე ლექსიკონში ცალკე ერთეულადაც აღიწერება, თუმცა გრამატიკული კვალიფიკაციის გარეშე:

ჩემ- ენაცვლება მე ნაცვალსახელს თანდებულთა და ზმნისწინთა დართვისას — ჩემ მიერ — ჩემ წინ (ქველ VIII).

შედარებისთვის: გერმანულ-რუსულ ლექსიკონებში **ich** | პირის ნაცვალსახელის ბრუნვის პარადიგმის მონაცვლე ფორმებს (**G. meiner, D. mir, Akk. mich**), დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენის შემთხვევებშიც, ძირითად მნიშვნელობად | პირის ნაცვალსახელის გრამატიკული კვალიფიკაცია მიეწერება პოსესიურობის (**meiner**) და რეფლექსურობის (**mir, mich**) ფუნქციის გამოხატვასთან ერთად; და პირიქით: კუთვნილებითი ნაცვალსახელის (**mein**) სალექსიკონო სტატიაში ძირითადი პოსესიური მნიშვნელობის გვერდით პირის ნაცვალსახელის ფუნქციაც არის მითითებული (გერმანულ-რუსული ლექსიკონი 1961; დიდი გერმანულ-რუსული ლექსიკონი 1980). პარადიგმის წევრთა გრამატიკული დახასიათება აქ სრულადაა წარმოდგენილი და ამ დახასიათებისათვის ამოსავალი სათანადო ფორმათა არა თავისთავადი, არამედ პარადიგმული მნიშვნელობა.

აღწერის თვალსაზრისით გარკვეული არათანმიმდევრულობა შეინიშნება ზოგიერთი ზმნური ნარევი პარადიგმის გრამატიკული კვალიფიკაციის დროს ქართულში, მაგალითად, არის ზმნა (იქნება, იყო, ყოფილა) ქველის დახასიათების მიხედვით გარდაუვალი სტატიკური ზმნაა. პარადიგმაში მისი მონაცვლე ფორმები ერთგვაროვნად არ არის შეფასებული: მყოფადისეული იქნება (გნებ. გვარის ფორმა), არის სტატიკური ზმნის პარადიგმის წევრობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე გარდაუვალი სტატიკური ზმნაა, წყვეტილის იყო ფორმა კი გარდაუვალი ვნებითია — შეფასება უკვე მორფოლოგიური სტატუსის მიხედვით არის გაკეთებული, თურმეობითის ყოფილა საერთოდ არ არის სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი, შდრ.: ქველის ერთტომეული (1986); ყოფილ-ა იხ. არის.

დინამიკური იყოფის — იყო ზმნის წყვეტილის ფორმის სტატიკურად რეინტერპრეტაციას ძველ ქართულში სპეციალური წერილიც მიეძღვნა, რომელშიც სარწმუნოდ არის წარმოდგენილი თუ როგორ ჩამოშორდა წყვეტილის იყო ფორმა იყოფის ზმნას, დაუკავშირდა არს სტატიკურ ზმნას და არს ზმნის პარადიგმის წევრად იქცა (შინჯიაშვილი 1966, 241);

„და მაინც, „იყო“ ვნებითი გვარისად რჩება — მისი მორფოლოგიური სტატუსის მიხედვით — წერს არნ. ჩიქობავა და დასძენს — საკმარისია იგი სტატიკურ ზმნად მივიჩნიოთ, რომ რიგი ძირითადი მორფოლოგიური მოვლენის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდება“ (ჩიქობავა 1989, 36).

კონკრეტულად, „იყო“ წყვეტილის ფორმის სტატიკურად მიჩნევის შემთხვევაში დინამიკურობა-სტატიკურობის დაპირისპირებისათვის ქართულში უღვლილების პარადიგმათა სისრულე-უსრულობა რელევანტური ვერ იქნება.

როგორც ვნახეთ, ქეგლის მიხედვით, არის ზმნის უღვლილების პარადიგმის მონაცვლე წევრთა გრამატიკული კვალიფიკაციის ამოსავალი პრინციპები ერთგვაროვანი არ არის; ერთ შემთხვევაში (არის — გრდუვ. სტატ. — იქნება გრდუვ. სტატ.) კვალიფიკაციის საფუძველი მნიშვნელობაა (პარადიგმული მნიშვნელობა), მეორე შემთხვევაში (არის გრდუვ. სტატ. — იყო გრდუვ. ვნებ.) — ფორმა. საერთოდ კი, განმარტებით ლექსიკონში ნარევი პარადიგმების წევრთა გრამატიკულ კვალიფიკაციას ძირითადად მორფოლოგიური სტატუსი განაპირობებს, შდრ., მაგ.:

შვრება გრდუვ. ვნებ. (იყენ. ნამყ. ძირით. ქნა, მყ. იზამს, თურმ. უქნია)

ქნა გრდმ.

იზამს გრდმ.

შვრება ზმნის პარადიგმა (იზამს, ქნა, უქნია) სემანტიკურად ერთიანი („შრომა“, „კეთება“), მაგრამ ლექსიკურად სხვადასხვა (ზმა, ქმნა) და გრამატიკულადაც განსხვავებული ფორმებით (აწმყ. შვრება — აბსოლუტურ გარდაუვალი, უნიშნო ვნებითი : მყოფ. იზამს, წყვეტ. ქნა — რელატიურ-გარდამავალი, მოქმედებითი გვარი) არის აწყობილი; მათი ერთ პარადიგმაში გაერთიანება შვრება (ის) ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის რეინტერპრეტაციით, კერძოდ, კონსტრუქციაში პირდაპირი ობიექტის ჩართვით (შვრება ის მას) ხდება შესაძლებელი. „გრამატიკის საფუძვლებში“ ა. შანიძე შვრება ზმნას ასე ახასიათებს: „ზმნა ფორმით ვნებითია, მაგრამ გარდამავლობის ნიშანი აქვს: რას ჰშვრები, მაგისტანებს ნუ შვრები“ (შანიძე 1973, 508).

ბუნებრივია, რომ რეინტერპრეტაციის ყველა შესაძლო ფაქტს ენაში დასრულებული სახე ვერ ექნება. აღწერისას კი დაუმთავრებელი პროცესების ერთგვაროვანი კვალიფიკაცია ვერ ხერხდება. ნაირგვარობა გასდევს, მა-

გალითად, აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების გრამატიკულ დახასიათებას ქართულში. განვიხილოთ ეს ფაქტები:

მიაქვს, მოაქვს, გააქვს... მიჰყავს, მოჰყავს, გაჰყავს და სხვ. პრევერბიანი ფორმებისათვის ამოსავალი აქვს და ჰყავს ზმნები ძველსა თუ ახალ ქართულში ორპირიანი გარდაუვალი ინვერსიული სტატიკური ზმნებია, სტატიკური ზმნებისთვის დამახასიათებელი დეფექტური უღვლილებით; იხ. ამ ზმნათა გრამატიკული და ლექსიკური დახასიათება განმარტებით ლექსიკონში:

აქვ-ს (ნამ. უსრ. ჰქონდა, მყ. ექნება; ნამ. ძირ. არა აქვს; თურმ. ჰქონია) გრდუვ. სტატ. 1. ეკუთვნის რამე, ფლობს რასმე; მოეპოვება რამე, მისია რამე (სუბიექტი მიცემით ბრუნვაში). შდრ. ჰყავს... (ქეგლ 1).

ჰ-ყავ-ს (ნამ. უსრ. ჰყავდა ან ჰყვანდა; მყ. და ნამ. ძირითადი არა აქვს; თურმ. ჰყოლია) გრდუვ. სტატ. 1. მისია, ეკუთვნის, მისთანა ვინმე (ცოცხალი არსება). (სუბიექტი მიცემით ბრუნვაში). შდრ. აქვს.

ქონა-ყოლის აღმნიშვნელი აქვს და ჰყავს ზმნები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქვს ზმნის კუთვნილების ობიექტი — სახელობითში დასმული სახელი (გრამატიკული სუბიექტი) უსულო სახელია, ჰყავს ზმნისა კი — სულიერი სახელი. განსხვავებული ვითარებაა ძველ ქართულში, სადაც აქუს ზმნა გამოხატავს როგორც **რა** ჯგუფის სახელის ქონას, ისე **ვინ** ჯგუფის სახელის ყოლას, ჰყავს ზმნა კი ძველ ქართულში მხოლოდ ადამიანის ყოლას აღნიშნავს (შენგელია 2006, 99, 90). შესაბამისად, ახალ ქართულში აქვს ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობის ფორმები უკეთდება, ჰყავს ზმნას კი — როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობისა. ეს განსხვავებები მათ პრევერბიან ფორმებშიც გადაჰყვება: მი-აქვს, მოაქვს, შეაქვს... ზმნებს მხოლოდ ობიექტური წყობის ფორმები ექნება, მიჰყავს, მოჰყავს, შეჰყავს... ზმნებს კი ორივე წყობის ფორმები და სტატიკურ ზმნათა მსგავსად ახალი ქართულის აწმყოს სუბიექტური წყობის I და II პირის ფორმებში მეშველ ზმნას დაირთავენ: მივყავარ, მიჰყავხარ, გავყავარ, გაჰყავხარ, შევყავარ, შეჰყავხარ...

აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმები (მი-აქვს, მო-აქვს, მი-ჰყავს, მო-ჰყავს) ძირეულ ფორმათაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულებია: „მოაქვს“ იგივე ზმნაა, რაც „აქვს“, ოღონდ ზმნისწინის დართვით ლექსიკური მნიშვნელობა ეცვალა (კერძოდ, წაღება-მოტანის მნიშვნელობა

შეიძინა), ხოლო სინტაქსური ურთიერთობა სახელებთან ისეთივე შერჩა, როგორც ჰქონდა: ვანოს შეშა აქვს, ვანოს შეშა მოაქვს. მიუხედავად ამისა, „მოაქვს“ ისეთი ზმნაა, რომელსაც ვუნაცვლებთ გარდამავალ ზმნას: ვანოს შეშა მოაქვს — ვანო შეშას მოიტანს, ვანომ შეშა მოიტანა... (შანიძე 1981, 516; კვაჭაძე 1977, 90...).

აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმები დრო-კილოთა დეფექტურ პარადიგმას გარდამავალი ზმნებით ივსებენ, კერძოდ, აქვს ზმნის პრევერბიანი ფორმები (მი- და მო- პრევერბიანთა გარდა) — მოიტანა ზმნის სათანადო ფორმებით, მი- და მო- პრევერბიანი ფორმები კი — როგორც მოტანა, ასევე წადება ზმნის ფორმებით: მოაქვს — წამოიღებს, მოიტანს, მიაქვს — წაიღებს, მიიტანს და ა. შ.

და- პრევერბიანი და აქვს ზმნის უღვლილების პარადიგმა ძირეული აქვს ზმნის მსავსად დეფექტურია, მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები ეწარმოება (დააქვს, დაჰქონდა, დაჰქონდეს), სხვა პარადიგმებში აზრობრივად შესაფერისი მონაცვლე არ ეძებნება, ალბათ იმიტომაც, რომ მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით და- პრევერბი ახალ ქართულში ნეიტრალურია და ზოგადად სივრცეში გადაადგილებას აფიქსირებს მიმართულების გარეშე: დააქვს, დადის (შანიძე 1973, 254).

ჰყავს ზმნის პრევერბიანი ფორმები (მიჰყავს, მოჰყავს, გაჰყავს...) კი ნაკლები პარადიგმის შესავსებად ამავე ზმნის ყვან ფუძისაგან ნაწარმოები სათანადო გარდამავალი ზმნების პრევერბიან ფორმებს იყენებენ: მოჰყავს — მოიყვანს, მოიყვანა, მოუყვანია, მიჰყავს — მიიყვანს, მიიყვანა, მიუყვანია, გაჰყავს — გაიყვანს, გაიყვანა, გაუყვანია და ა. შ.

თავისებურ ვითარებას წარმოგიდგენს და- პრევერბიანი და ჰყავს ზმნა. ახალ ქართულში მას ორი არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა უდასტურდება: 1. თან ყოლა (თან ჰყავს) სივრცეში მოძრაობისას (თავისი ქვე- და აქედან გამომდინარე მნიშვნელობებით) და 2. განსაზღვრულ დონემდე, მდგომარეობამდე დაყვანა. შდრ.:

და-ჰ-ყავს-ს (ნამ. უსრ. დაჰყავდა)... 1. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში). 1. სადაც წავა, თან მიჰყავს, თან ატარებს — დაატარებს (ადამიანს, საერთოდ ცოცხალ არსებას)... II სადმე მიჰყავს ხოლმე... II გაჰყავს ხოლმე, ხშირად გაჰყავს... 2. მართავს, უძღვება, მართვით დაატარებს (მანქანას, ნავს...). 2. (იყენ. დაიყვანა, დაუყვანია) მიჰყავს, ძირს სწევს, დააქვეითებს, დაბლა დასცემს, ამცირებს (შდრ. დაიყვანს). არარაობამდე დაჰყავს

(ქველ III). სხვათა შორის, ქველის ერთტომეულში ეს მეორე მნიშვნელობა გამოტოვებულია.

როგორც ვხედავთ, პირველი (1) მნიშვნელობით ხმარებისას და-ჰყავს ზმნას დრო-კილოთა დეფექტური პარადიგმა აქვს (ისევე როგორც დააქვს ზმნას), მეორე (2) მნიშვნელობით ხმარებისას ნაკლულ პარადიგმას გარდამავალი დაყვანა ზმნის სათანადო ფორმებით ივსებს. და-ჰყავს ზმნის ეს მეორე მნიშვნელობა და, შესაბამისად, ნაკლული პარადიგმის შევსებაც გვიანდელია, რაც ჰყავს ზმნის პრევერბიანი ფორმების დრო-კილოთა ნაკლული პარადიგმების შევსების მერმინდელობას ფაქტობრივ წარმოგვიდგენს.

თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ გარდაუვალი დაჰყავს ზმნისა და, საერთოდ, ჰყავს ზმნის პრევერბიანი ფორმების პარადიგმათა გარდამავალი -ყვან ფუძიანი ზმნებით შევსება კი არ მოხდა, არამედ პირიქით — გარდაუვალი ჰყავს ზმნის პრევერბიანი (მი-ჰყავს, მოჰყავს, წარჰყავს...) ფორმებით შეივსო გარდამავალ ადყვანება, მიყვანება, მოყვანება, წარყვანება და ა. შ. ზმნათა პარადიგმების ის ხარვეზი, ქართულში ასპექტის გამოხატვის ახალმა სისტემამ რომ გააჩინა, როცა პრევერბმა სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა და, შესაბამისად, უსრული ასპექტის პრევერბიანი აწმყო-სეული ფორმები (ადიყვანებს, მიიყვანებს, წარიყვანებს...) სრული ასპექტის მყოფადისეულ ფორმებად გადააზრიანდნენ.

როცა ა. შანიძე მიაქვს, მიჰყავს და მისთ. გარდამავლობაზე მსჯელობს, ის მიაქვს, მიჰყავს... ზმნური ლექსემების იმანენტურ მნიშვნელობას კი არ ადასტურებს, არამედ აღნიშნავს, რომ ისინი „გარდამავალ ზმნათა რიგებშია ჩაყენებული, მათ ისე უნდა შევხედოთ, როგორც III სერიის ფორმებს გარდამავალი ზმნებისას“ (შანიძე 1981, 516). ამ დასკვნას იმეორებს ლ. კვაჭაძე მცირე კორექტივით: „მაშასადამე, „მოაქვს“ და „მოჰყავს“ ფორმები ენას გათანაბრებული აქვს გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან, სადაც ინვერსიას აქვს ადგილი (ლ. კვაჭაძე 1977, 92-93).

ამდენად, ეს კვალიფიკაცია მიაქვს, მიჰყავს და მისთ. ზმნებისა უნდა გავიგოთ განსახილველი ზმნური ლექსემების არა იმანენტურ, არამედ პარადიგმულ, პარადიგმაში შექნილ მნიშვნელობად.

ამიტომაც არის, რომ მოაქვს, მიაქვს... მოჰყავს, მი-ჰყავს ფორმები, როგორც ნარევი პარადიგმის წევრები სამეცნიერო ლი-

ტერატურაში და ცნობარებში გრამატიკული თვალსაზრისით განსხვავებულადაა კვალიფიცირებული. მაგ., ქეგლის რვატომეულის მიხედვით ა-აქვს ზმნა განიმარტება როგორც გარდაუვალი საშუალო გვარის ზმნა, ამო-აქვს ფორმას გრამატიკული კვალიფიკაცია აღარ ახლავს, გა-აქვს, გადა-აქვს, გამო-აქვს დახასიათებულია როგორც გარდამავალი ზმნები, გადმო-აქვს — როგორც გარდაუვალი სტატიკური ზმნა; გარდაუვალ სტატიკურ ზმნებადაა დასახელებული მი-აქვს, მო-აქვს, შე-აქვს, შემო-აქვს, ჩა-აქვს და ჩამო-აქვს. და-აქვს ზმნა, რომელსაც ნაკლები პარადიგმის შესავსებად მონაცვლე ზმნები არ ეძებნება, დახასიათებულია როგორც გარდაუვალი დინამიკური ზმნა.

მსგავსი სიჭრელე გვაქვს ჰყავს ზმნის პრევერბიან ფორმათა გრამატიკულ დახასიათებებში: ა-ჰყავს და ამო-ჰყავს გარდამავალ ზმნებადაა განმარტებული, გადა-ჰყავს, გადმო-ჰყავს, შე-ჰყავს, შემო-ჰყავს, ჩა-ჰყავს, ჩამო-ჰყავს ქეგლის მიხედვით გარდაუვალი სტატიკური ზმნებია; და-ჰყავს გარდაუვალი დინამიკური ზმნაა (ქეგლ 1950-1964).

„ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (1988), სათანადო ზმნისწინების ფუნქციითა ანალიზისას, აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმები გრამატიკული თვალსაზრისით ასევე არაერთგვაროვნად არიან დახასიათებული. კერძოდ: ა-აქვს, ამო-აქვს გარდაუვალი ზმნებია, ა-ჰყავს, ამო-ჰყავს — გარდამავალი, სხვა ზმნისწინებთან (გა-, გადა-, გამო-, და-, მი-, შე- და ა.შ.) აქვს და ჰყავს ზმნებს გრამატიკული დახასიათება არ მოჰყვება.

ქეგლის ერთტომეულში (1986) ეს არაერთგვაროვნება არსებითად გასწორებულია. გრამატიკულ დახასიათებებში მოსხნილია ზმნათა სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით კვალიფიკაცია (ერთტომეულის წინასიტყვაობაში ეს კორექტივი ლექსიკონის მოცულობის შემცირების მიზნით არის ახსნილი და აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერბიან ფორმებს გარდაუვალი ზმნის კვალიფიკაცია ეძლევა). გამონაკლისია და აქვს ზმნა, რომელიც რატომღაც გარდამავალ ზმნად არის წარმოდგენილი. შესაძლოა, ამ ცთომილების მიზეზი იყოს და აქვს ზმნის განმმარტველ ატარებს ზმნაზე ყურადღების უნებლიე გადატანა.

ქეგლის ახალ რედაქციის მიხედვით (I ტ. 2008, II ტ. 2010) ააქვს, ამოაქვს, გააქვს, გადააქვს, გადმოაქვს... გაჰყავს, გამო-

ჰყავს, გადაჰყავს, გადმოჰყავს გარდაუვალი ზმნებია, აჰყავს და ამოჰყავს კი — გარდამავალი. სტატიკურობის ცნება აქ დავიწროებულა, სტატიკურობის მახასიათებელი დარჩა მხოლოდ „სტატიკურ ვნებითებსა“ და მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოპასივებს (აბია, აწერია, ახატია, ადგას, აზის, აკრავს, აქვს, აჩნია...), შესაბამისად, ამ მახასიათებლის გარეშე დარჩენილი ზმნები დინამიკურად გაიზარება. რედაქციის წინათქმში ეს ცვლილება ასეა მოწოდებული: „გარკვეული ცვლილება მოხდა ზმნური ფორმაწარმოების ზოგი ერთეულის სტატიკურობისა და გვარის მითითების თვალსაზრისით, კერძოდ, მედიოაქტიურ ზმნებს აღარ მიეწერება კვალიფიკაცია [სტატ.], რითაც ისინი განსხვავდა უდავოდ სტატიკური ზმნებისაგან. ამავე დროს ამ ზმნებს უნარჩუნდება მითითება [გრდუვ], რითაც ისინი მაინც განსხვავდებიან რომელიმე სხვა ჯგუფის ზმნათა კვალიფიკაციისაგან“ (ახ. ქეგლ I 2008, 15).

წინათქმიდან გამომდინარე, ახალი რედაქციის შემდგომ ტომებში აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმებს მხოლოდ გარდაუვალი ზმნის სტატუსი [გრდუვ.] მიეწერება (აქვს და აჰყავს ზმნათა გარდამავლად დაფიქსირება ახალი რედაქციის I ტომში ქეგლის ძირეული რედაქციიდან მოდის და, როგორც ჩანს, მექანიკურად იქნა გადმოტანილი).

აღსაწერი ერთგვაროვანი ფაქტების არაერთგვაროვანი და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი გრამატიკული დახასიათებები გარდამავლობისა და სტატიკურობა-დინამიკურობის თვალსაზრისით (ერთი ლექსიკონის ფარგლებშიც კი), საკითხებისადმი არა მხოლოდ სუბიექტური მიდგომებით, რაც ბუნებრივია, არამედ ობიექტური სირთულეებითაცაა გამოწვეული. ეს სირთულეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულში ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლასა და ამ გადასვლის შედეგად გარდამავალი ზმნის პარადიგმაში გაჩენილი ხარვეზების შევსებას უკავშირდება. ამიტომ, რომ მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნათა რაობის შესახებ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს (გარდამავალია თუ გარდაუვალი, სტატიკურია თუ დინამიკური) სათანადო არგუმენტებიც ეძებნება.

მოაქვს, მოჰყავს და მისთ. გარდამავლად დახასიათება (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) გარდამავალი ზმნების პარადიგმის ნაკლებ მწკრივებში მათი საკომპენსაციო ჩანაცვლებით არის მოტივირებული. აზრობრივად ჩასანაცვლებელი გარდაუვალი მოაქვს, მოჰყავს... ზმნები იმასვე აღნიშნავენ, რასაც პარადიგმის სათანადო გარდამავალი წევრები: მოაქვს, მოიტანს —

მოიტანა — მოუტანია, მოჰყავს, მოიყვანს — მოიყვანა, მოუყვანია და ა. შ., თუმცა მათი სინტაქსური კონსტრუქციები განსხვავებულია: ნომინატიური (I სერია) და ერგატიული (II სერია) კონსტრუქციის პირდაპირი წყობის გარდამავალ ზმნებს აწმყოს მწკრივებში ენაცვლება დატიური კონსტრუქციის ინვერსიული წყობის გარდაუვალი ზმნები; დატიური კონსტრუქცია (ინვერსია) ნორმა გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებისათვის, მაგრამ არანორმატიულია გარდამავალ ზმნათა I სერიისათვის

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მოაქვს, მოჰყავს და მისთანებს გარდამავალ ზმნათა I სერიის აწმყოს წრეში ისე უნდა შევხედოთ, როგორც III სერიის ფორმებს გარდამავალი ზმნებისას: ვ ა ნ ო ს შ ე შ ა მ ო უ ტ ა ნ ი ა — ვ ა ნ ო ს შ ე შ ა მ ო ა ქ ვ ს. მასთან შეწყობილი სახელებიც ერთნაირად უნდა მივიჩნიოთ სინტაქსური ვითარების მიხედვით: „ვანოს შეშა მოუტანია“ ქვემდებარეა „ვანოს“, პირდაპირი დამატებაა „შეშა“, „ვანოს შეშა მოაქვს“ — ქვემდებარეა „ვანოს“, პირდაპირი დამატებაა „შეშა“ (შანიძე 1981, 516).

მოაქვს, მოჰყავს (მას ის) ფორმათა გათანაბრება გარდამავალ ზმნათა III სერიის ინვერსიულ ფორმებთან რამდენიმე საკითხს წამოჭრის; ცნობილია, რომ ინვერსია ნორმა, სისტემური მოვლენაა გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმათათვის, I სერიის მოაქვს, მოჰყავს და მისთანების გარდამავალ ზმნებად დახასიათება ამ ნორმას არ ექვემდებარება, სისტემიდან გადახვევაა, სისტემურობის თვალსაზრისით, მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნები ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის შინაარსის გარდაუვალ (აქვს, ჰყავს, ახსოვს, უყვარს...) ზმნათა წყებაში დგანან. I სერიის ნომინატიური კონსტრუქციის პირდაპირი წყობის გარდამავალ ზმნათა პარადიგმაში ინვერსიული წყობის გარდაუვალ ზმნათა ჩანაცვლება გარდამავალი ზმნის I სერიის პარადიგმის სტრუქტურულ ერთგვაროვნებას არღვევს; გარდამავალი ზმნის უღვლილების სისტემის მთლიანობა კი სწორედ სერიების ფარგლებში არსებულ სტრუქტურულ ერთგვაროვნებასა და სერიებს შორის არსებულ სტრუქტურულ განსხვავებებზეა აგებული: I სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს, II-ში — ერგატიული, III-ში — დატიური. I და II სერიების პირდაპირ წყობას III სერიაში შებრუნებული წყობა ენაცვლება. თუმცა დაპირისპირებულ კონსტრუქციათა ამ მთლიანობაში III სერიის ფორმათა გარდამავლობაც გარკვეულ კითხვებს აჩენს, მდრ., „გარდამავალი ზმნის სამსავე სერიას საუღლებელი ნაკვთების პარა-

დიგმატიკა აერთიანებს, ხოლო თუ მორფოლოგიას გავითვალისწინებთ, გარდამავალია (და მოქმედებითი გვარისაა) აწმყოსა და ნამყოძირითადის სერია: ვნებითი მხოლოდ ამ ორ სერიაში ეწარმოება, ინვერსია III სერიაში გარდამავლობის ნეიტრალიზაციას იწვევს; შესაბამისად თურმეობითში ყველა ზმნა გარდაუვალია (ხაზი ჩვენია, მ.ს.): პირდაპირი წყობაც და ინვერსიულიც — ვნებითი თურმეობითს არ ეწარმოება“ (ჩიქობავა 1982, 11-13).

ა.შანიძის მიხედვით კი, III სერიის ორპირიანი ინვერსიული ფორმები მოქმედებითი (*resp.* გარდამავალი) ზმნებია, მათ ვნებითის შინაარსის ერთპირიანი საოპოზიციო ფორმებიც უდასტურდება; თუმცა, I და II სერიაში ვნებითის ნიშანდობლივი მორფოლოგიური ნიშნები მათ არა აქვთ: „მიუხედავად იმისა, რომ ფორმათა წარმოების მიხედვით III სერიის აქტიურ-პასიური ფორმები არსებითად განსხვავდება I-სა და II სერიის შესატყვის ფორმათაგან, - წერს ა. შანიძე — გვარის კატეგორიისათვის აუცილებელი პირობა — საპირისპირო ფორმათა ქონება — აქაც სავსებით დაცულია, მაშასადამე, ერთადერთი მორფოლოგიური ნიშანი, კატეგორიული ხასიათისა, რომელიც III სერიის აღნიშნულ წყვილთა ცალეებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, ეს არის გვარი“ (შანიძე 1973, 293); თუ III სერიის ინვერსიულ ფორმებს, ფორმისა და შინაარსის მიხედვით საოპოზიციო ფორმათა არსებობის გათვალისწინებით, მოქმედებითი გვარისად მივიჩნევთ, მაშინ ის გარდამავალიც იქნება. ერთი კია, მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნათა პარადიგმების გარდამავალ წევრებს საპირისპირო ვნებითის ფორმები შეზღუდულად ეწარმოება; კერძოდ, ქეგლის მიხედვით, ვნებითები არ უჩანთ ააქვს, ამოაქვს, გადააქვს, გადმოაქვს, დააქვს, მოაქვს, ჩააქვს, ჩამოაქვს ზმნათა გარდამავალ (აიტანს, ამოიტანს, გადაიტანს, გადმოიტანს, დაიტანს, მოიტანს, ჩაიტანს, ჩამოიტანს) ცალეებს; ვნებითის ფორმები (პოტენციალისის მნიშვნელობით) უდასტურდება მხოლოდ რამდენიმე ზმნას, კერძოდ: გააქვს, გაიტანს (გაიტანა, გაუტანია) — ვნებ. გაიტანება (—, გატანილა), მიაქვს, მიიტანს (მიიტანა, მიუტანია) — ვნებ. მიიტანება (მიიტანა, მიტანილა), შეაქვს, შეიტანს (შეიტანა, შეუტანია) — ვნებ. შეიტანება (—, შეტანილა), შემოაქვს, შემოიტანს (შემოიტანა, შემოუტანია) — ვნებ. შემოიტანება (—, შემოტანილა).

ვნებითები არ უდასტურდება ასევე ჰყავს ზმნის პრევერბიან ფორმათა უმეტესობას (ამოჰყავს, გაჰყავს, გამოჰყავს, შეჰყავს, შემოჰყავს, ჩა-

ჰყავს, ჩამოჰყავს), უფრო ზუსტად, — ამ ზმნათა პარადიგმის გარდამავალ (-ყვან ფუძიან) წევრებს; ქველში მხოლოდ ვნებითის რამდენიმე ასეთი ფორმაა დამოწმებული (პოტენციალისის მნიშვნელობით): აიყვანება (—, აყვანილა), გადაიყვანება (—, გადაყვანილა), გადმოიყვანება (—, გადმოყვანილა), დაიყვანება (—, დაყვანილა); ისე ჩანს, რომ მოაქვს, მოჰყავს ტიპის პარადიგმათა გარდამავალი წევრების მხოლოდ ერთ ნაწილს აქვს აქტივ-პასივის საპირისპირო ფორმები, ისიც I-სა და III სერიაში (II სერიის მწკრივებში განსახილველ ზმნებთან აქტივ-პასივის დაპირისპირება ახალ ქართულში არსებითად არ აისახება, ძველ ქართულში კი ყვან ფუძიანი გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევისა და ვნებითის ფორმები გვარის კატეგორიის თვალსაზრისით გაუდიფერენცირებელია: აღიყვანა მან იგი — ვნებ. აღიყვანა (აღყვანილ იქნა) იგი, მიიყვანა მან იგი — ვნებ. მიიყვანა (მიყვანილ იქნა) იგი, წარიყვანა მან იგი — ვნებ. წარიყვანა (წარყვანილ იქნა) იგი და სხვ. მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნათა (პარადიგმაში ამ ზმნათა შემნაცვლებელ გარდამავალ ფორმათა) უფრო დიდ ნაწილს ვნებითის საპირისპირო ფორმები არ უკეთდება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამ რიგის ზმნებში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესი ბოლომდე არ არის დასრულებული: ზმნათა ის ნაწილი, რომელთაც საპირისპირო ვნებითის ფორმები უდასტურდება, მაგ., შეაქვს, შეიტანს — ვნებ. შეიტანება, შემოაქვს, შემოიტანს — ვნებ. შემოიტანება, აჰყავს, აიყვანს — ვნებ. აიყვანება, გადაჰყავს, გადაიყვანს — ვნებ. გადაიყვანება და მისთ. გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნებია, ხოლო ის ზმნები, რომელთაც საპირისპირო ვნებითები არ უჩანთ (ან ჯერ კიდევ არ უჩანთ), გარდამავალ უგვარო ზმნებად (!) უნდა დავახასიათოთ, მაგ.: ააქვს / აიტანს, ამოაქვს / ამოიტანს, შეჰყავს / შეიყვანს, შემოჰყავს / შემოიყვანს და სხვ.; ვნებითის ფორმები *აიტანება, *ამოიტანება, *შეიყვანება, *შემოიყვანება... არ დასტურდება, თუმცა პოტენციურად დასაშვებია და სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება კიდევ.

მოაქვს, მოჰყავს (მას ის) ტიპის გარდაუვალი ზმნები, რომელთაც საკუთარი ფუძით მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები უკეთდება, უღლების პარადიგმაში მონაცვლე გარდამავალ ზმნათა გრამატიკულ კვალიფიკაციებს ინაწილებენ. ასეთი კვალიფიკაციები ფუნქციური იქნება და არა ფორმობრივი; ა. შანიძე საგანგებოდაც აღნიშნავს: „გრამატიკული ფორმის

კვალიფიკაციის დროს გამოვდივართ შინაარსიდან და არა ფორმიდან“ (შანიძე 1981, 516).

ფორმობრივი კვალიფიკაციის დროს სურათი განსხვავებული გვაქვს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქეგლის რვატომეულის კვალიფიკაციით მოაქვს, მოჰყავს რიგის ზმნათა უმეტესობა გარდაუვალ სტატიკურ ზმნებადაა დახასიათებული. ამ კვალიფიკაციასაც თავისი მტკიცებულებები ეძებნება:

ა) მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნები გარდაუვალი ზმნებია; გარდამავლები ისინი ვერ იქნებიან, რადგან საკუთარი ფუძით ვერ იწარმოებენ II სერიის მწკრივებს (დააქვს და დაჰყავს ზმნებს ამ სერიაში ზმნური ფუძის მონაცვლე სხვა ფორმებიც კი არ ეძებნება); გარდამავლობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი — სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი, შესაბამისად, მოთხრობით ბრუნვაში დასმული სუბიექტი კი სწორედ II სერიაში გამოვლინდება; ინვერსია აწმყოს წრეში (მოაქვს, მოჰყავს... მას ის) გარდამავლობის მახასიათებლად ვერ გამოდგება; მაშინ *Verba Sentiendi*-ს რიგის (მოსწონს, უყვარს, სძულს... მას ის) გარდაუვალ ინვერსიულ ზმნათა გარდამავლად კვალიფიკაციის საკითხიც უნდა დადგეს. გარდა ამისა, მოაქვს, მოჰყავს რიგის I სერიის აწმყოს წრის ზმნათა სინტაქსური კონსტრუქციის შეპირისპირება პარადიგმის შემავსებელ გარდამავალ ზმნათა II სერიის ზმნების სინტაქსურ კონსტრუქციებთან არ აჩენს გარდამავალი ზმნებისთვის ნიშანდობლივ პირდაპირი ობიექტის ბრუნვაცვალებადობას:

მოაქვს მას ის — მოიტანა მან ის

შდრ.: მოიტანს ის მას — მოიტანა მან ის

ბ) მოაქვს, მოჰყავს და მსგავს ფორმათათვის ძირეული უპრევერბო აქვს და ჰყავს ზმნები გარდაუვალი ინვერსიული სტატიკური ზმნებია, — უღლების პარადიგმასა და გრამატიკული კატეგორიების შეზღუდული წარმოებით. სტატიკური ზმნა შინაარსობრივად პრევერბს ვერ იგუებს, თუმცა იშვიათად სტატიკურ ზმნასაც (გვულისხმობთ ისეთ ზმნებს, რომელთა სტატიკურობაც სადავო არ არის) დაირთავს პრევერბს. პრევერბის დართვით არ იცვლება სტატიკურობის შინაარსი, გარკვეული მიმართულებისა და ორიენტაციის მინიშნებით იცვლება მნიშვნელობის ნიუანსები; შდრ:

აჩნი-ა, აჩნევი-ა... გრდუფ. სტატ. ჩანს მასზე, დაჩნეული აქვს... || აჩნ-ს
 გა-აჩნი-ა... გრდუფ. სტატ. აქვს, ჰყავს
 მი-აჩნი-ა... გრდუფ. სტატ. თვლის რადმე, ჰგონია

ჰგავ-ს... გრდუფ. სტატ. 1. იმგვარივეა, ისეთივეა, იმნაირია, მისი დარია,
 მსგავსია; 2. ჩანს, ეტყობა, საფიქრებელია
 მო-ჰგავ-ს... გრდუფ. სტატ. ოდნავ ჰგავს
 ჩამო-ჰგავ-ს... გრდუფ. სტატ. ოდნავ ჰგავს

უგავ-ს... ჰგავს მისი
 მი-უგავ-ს... მიაგავს მისი, ჰგავს მისი

ჩან-ს... დანახვა შეიძლება, ხილული არის...
 მო-ჩან-ს... საიდანმე ჩანს

უჩან-ს... 1. ჩანს, მოჩანს მისი. 2. მიაჩნია, უღირს, ფასობს მისთვის.
 3. აქვს; ეტყობა, ემჩნევა
 მო-უჩან-ს... მოჩანს მისი
 ასევე: სტკივა — შესტკივა, შვენის — შეშვენის და სხვ.

განსხვავებული ვითარება გვაქვს აქვს და ჰყავს ზმნათა პრევერ-
 ბიან ფორმებთან. „მოაქვს“ იგივე ზმნაა, რაც „აქვს“, ოღონდ ზმნისწინის
 დართვით ლექსიკური მნიშვნელობა ეცვალა“ — აღნიშნავს ა. შანიძე (შანი-
 ძე, 1981, 516); ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა ეხება ჰყავს სტატიკური
 ზმნიდან პრევერბით წარმოებულ ფორმებსაც (მიჰყავს, მოჰყავს,
 გაჰყავს, გამოჰყავს და ა.შ.). ამ ზმნათა მნიშვნელობებში დინამიკა
 ბევრად მეტი ჩანს, ვიდრე ზემოჩამოთვლილ მიაჩნია, მოჩანს,
 ჩამოჰგავს, შესტკივა და ა.შ. პრევერბიან ფორმებთან; შეიძლება
 ამიტომაცაა, რომ აქვს და ჰყავს ზმნები გეზისა და ორიენტაციის აღ-
 მნიშვნელ თითქმის ყველა პრევერბს დაირთავენ; ერთი კია, პრევერბის და-
 რთვით ამ ზმნათა ფორმაწარმოებითი პოტენცია არ იცვლება. რომ პრე-
 ვერბებს ამ ზმნათა მნიშვნელობაში გარკვეული დინამიკა შეაქვს, ეს ქვე-
 ლის განმარტებებიდანაც ჩანს:

აქვს... გრდუვ. სტატ. ეკუთვნის რამე, ფლობს რასმე; მოეპოვება რამე, მისია რამე...

შდრ.:

ა-აქვს-ს... გრდუვ. საშ. ზევითკენ მიაქვს

ამო-აქვს-ს... 1. ქვევიდან ზევითკენ მიაქვს (წამოიღებს)

გა-აქვს-ს... გრდმ. 1. ეზიდება, გატანას აწარმოებს

გადა-აქვს-ს... გრდმ. 1. ერთი ადგილიდან მეორეზე მიაქვს

და-აქვს-ს... გრდუვ. დინამ. სადაც მიდის თან მიაქვს...

მი-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. 1. მიდის და თან აქვს; აქედან იქით რასმე ადგილს უნაცვლებს, ეზიდება

მო-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. 1. მიდის და თან აქვს

შე-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. 1. გარედან შიგნით მიაქვს, შედის და თან მიაქვს

შემო-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. 1. გარედან შიგნით (აქეთ) მოაქვს, შემოდის და თან მოაქვს

ჩა-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. ქვევით მოაქვს

ჩამო-აქვს-ს... გრდუვ. სტატ. ზევიდან მოაქვს

ასევე:

ჰ-ყავს-ს... გრდუვ. სტატ. მისია, ეკუთვნის, მასთანაა ვინმე (ცოცხალი არსება)...

შდრ.:

ა-ჰ-ყავს-ს... გრდმ. ასწევს და ქვევიდან ზევით გადაადგილებს ადამიანს (ან სხვა ცოცხალ არსებას)

ამო-ჰ-ყავს-ს... გრდმ. 1. მოჰყავს მაღლა, მოჰყავს ქვევიდან ზევით

გადა-ჰ-ყავს-ს... გრდუვ. სტატ. აიძულებს, ავალებს, სთხოვს ან ეხმარება გადავიდეს; რამეზე გადატარებით მიჰყავს...

გადმო-ჰ-ყავს-ს... გრდუვ. სტატ. რამეზე გადმოტარებით მოჰყავს; საიდანმე აქეთ მოჰყავს...

გამო-ჰ-ყავს-ს... გრდუვ. სტატ. 1. შიგნიდან გარეთ, იქიდან აქეთ მოჰყავს

და-ჰ-ყავს-ს... გრდუვ. დინამ. სადაც წავა თან მიჰყავს, თან ატარებს...

მი-ჰ-ყავს-ს... გრდუვ. სტატ. 1. აიძულებს ან საშუალებას აძლევს მიჰყვებოდეს, მასთან ერთად მიდიოდეს სადმე

მო-ჰყავ-ს... გრდუფ. სტატ. აიძულებს ან საშუალებას აძლევს მოჰყავებოდეს, მასთან ერთად მოდიოდეს

შე-ჰყავ-ს... გრდუფ. სტატ. 1. გარედან შიგნით მიჰყავს

შემო-ჰყავ-ს... გრდუფ. სტატ. 1. გარედან შიგნით თან მოჰყავს

ჩა-ჰყავ-ს... გრდუფ. სტატ. 1. ზევიდან ქვევით მიჰყავს... 2. მიჰყავს გარკვეულ პუნქტამდე

ჩამო-ჰყავ-ს... გრდუფ. სტატ. 1. ზევიდან მოჰყავს... 2. მოჰყავს გარკვეულ პუნქტში.

აქვს, ჰყავს სტატიკურ ზმნათა უპრევერბო და პრევერბიანი ფორმების მნიშვნელობათა წარმოდგენილი შეპირისპირება გამოავლენს სტატიკურ ზმნათა მნიშვნელობებში პრევერბის დართვით გამოწვეულ ცვლილებებს, რაც გამოიხატება ლექსიკურ მნიშვნელობაში დინამიკურობის რიგი ელემენტის შემოტანით (პროცესი, ორიენტაცია-მიმართულება, კაუზაცია). სხვათა შორის, დინამიკურობის მახასიათებლები უფრო გამოკვეთილად ჩანს იმ პრევერბიან ფორმათა განმარტებებში, რომელთა გრამატიკულ სტატუსს ქველში გარდაუვალი საშუალო გვარი, გარდაუვალი დინამიკური ან გარდამავალი აქვს მიწერილი. შდრ.:

აქვ-ს გრდუფ. სტატ. — ეკუთვნის რამე... მისია რამე და ააქვ-ს გრდუფ. საშ. ზევითკენ მიაქვს, გააქვ-ს — გრდმ. 1. ეზიდება, გადატანას აწარმოებს, დააქვ-ს — გრდუფ. დინამ. სადაც მიდის თან მიაქვს...

ჰყავ-ს გრდუფ. სტატ. — მისია, ეკუთვნის... და ამოჰყავ-ს გრდმ. 1. მოჰყავს მაღლა, მოჰყავს ქვევიდან ზევით, დაჰყავ-ს გრდუფ. დინამ. სადაც წავა თან მიჰყავს, თან ატარებს...

განსამარტავი პრევერბიანი მოაქვს, მოჰყავს ტიპის ზმნების აქ წარმოდგენილ მნიშვნელობებში აქცენტი ძირითადად რეალური სუბიექტის (გრამატიკული ირიბი ობიექტის) გადაადგილების მიმართულებაზეა გამახვილებული: ააქვს — ზევითკენ მიაქვს, ამოჰყავს — მოჰყავს მაღლა, მოჰყავს ქვევიდან ზევით და სხვ. უფრო ზუსტი და ზედმიწევნითი ჩანს ის განმარტებები, რომლებშიც ორი მოვლენის — რაღაცის (ვიღაცის) ფლობისა (სტატიკა) და მასთან ერთად მოძრაობის (დინამიკა) — ერთდროულობაა გამოხატული:

დააქვს გრდუფ. დინამ. სადაც მიდის თან მიაქვს

დაჰყავს გრდუფ. დინამ. სადაც წავა თან მიჰყავს

მი აქვს და მი ჰყავს ზმნების პრევერბიან ფორმათა მნიშვნელობა ქველში წარმოდგენილია პრევერბისა და ზმნური ფუძის ამგვარი ჯამური მნიშვნელობით როგორც ძირითადი მნიშვნელობა:

მი აქვ-ს გრდუვ. სტატ. მი დის და თან აქვს; აქედან იქით რასმე ადგილს უნაცვლებს, ეზიდება

მო აქვ-ს გრდუვ. სტატ. მო დის და თან აქვს; იქიდან აქეთ (მოლაპარაკისაკენ) რასმე ადგილს უნაცვლებს, ეზიდება.

შე აქვს და შემო აქვს ფორმების ძირითადი განმარტება კი კომბინირებული მნიშვნელობითაც განივრცობა:

შე აქვ-ს გრდუვ. სტატ. გარედან შიგნით მი აქვს; შე დის და თან მი აქვს

შემო აქვ-ს გრდუვ. სტატ. გარედან შიგნით (აქეთ) მო აქვს, შემო დის და თან მო აქვს

შდრ., ასევე:

შემო ჰყავს-ს გრდუვ. სტატ. გარედან შიგნით თან მო ჰყავს...

რომ პრევერბიანი აქვს და ჰყავს სტატიკური ფორმების მნიშვნელობა ორი მოვლენის — „ფლობისა“ და „მოძრაობის“ — ერთდროულად გამოხატვას ითავსებს, ეს ამ ზმნათა მნიშვნელობის ზემოთ მოყვანილი პერიფრაზებითაც ჩანს, რომელშიც თან ზმნისართი (რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ორი მოვლენის, ორი მოქმედების ერთდროულად აღნიშვნაც არის) აქტიურად მონაწილეობს: მი დის და თან აქვს (მი აქვს), მო დის და თან აქვს (მო აქვს), თან მო ჰყავს და ა.შ. ორი მოვლენის ერთდროულად აღნიშვნა ქართულში მხოლოდ სტატიკურ აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების მნიშვნელობათა მახასიათებელი არ არის, მიმართულების აღმნიშვნელი პრევერბი ზოგჯერ სხვა ისეთ ზმნებსაც დაერთვის, რომლებიც პრევერბის გარეშე მოძრაობას (სივრცეში გადანაცვლებას) არ გამოხატავენ: ლაპარაკობს, მღერის... შდრ.: მოლაპარაკობს — მო დის და თან ლაპარაკობს, მოიმღერის — მო დის და თან მღერის (იხ., რუდენკო 1946, 85), ზოგისთვის, პრევერბის მნიშვნელობაზე აქცენტირებით, ასეთი ზმნა დინამიკურია, ზოგისთვის, ფუძის მნიშვნელობის გათვალისწინებით, — სტატიკური. მნიშვნელობა კი ფუძით გამოიხატება და არა პრევერბით. უხარია ახალ ქართულში ყველა პარამეტრით სტატიკური ზმნაა, პრე-

ვერბის (მი-, მო-) დართვით და კომბინირებული მნიშვნელობის შექმნით ის სტატიკურადვე რჩება, უნარჩუნდება ინვერსიული წყობა და დრო-კილოთა ნაკლული პარადიგმა — არ იცვლება არც სინტაქსურად და არც მორფოლოგიურად, შდრ.:

უ ხ ა რ ი - ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. სიხარულს ჰგვრის, სასიხარულოა მისთვის... (ქეგლ VI)

მ ი უ ხ ა რ ი - ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. მიდის და უხარია, სიხარულით მიდის...

მ ო უ ხ ა რ ი - ა (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. მოდის და უხარია, სიხარულით მოდის... (ქეგლ V)...

განსხვავება მიუხარია, მოუხარია და მიაქვს, მიჰყავს რიგის ზმნებს შორის უღვლილების პარადიგმის დეფექტურობა-სისრულეში კი არაა — ორივეს საკუთარი ფუძით მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები უკეთდება — არამედ ნაკლულ პარადიგმათა (მყოფადის წრე, II და III სერია) შემავსებელი ფორმების მოზიდვის განსხვავებულ შესაძლებლობებში ვლინდება. პირველთ (მიუხარია, მოუხარია) ეს შემავსებელი ფორმები არ ეძებნება, ხოლო მიაქვს, მიჰყავს და მისთანები ამ დანაკლისის მსგავსი სემანტიკის სხვა (მიიტანს, მოიტანს, წაიდებს...) ან იმავე ძირიდან ნაწარმოები გარდამავალი ზმნებით (მიიყვანს, მოიყვანს, გაიყვანს...) ივსებენ. ერთგვარობა არც აქ გვაქვს. დააქვს და დაჰყავს ზმნებს ნაკლულ პარადიგმებში სათანადო შემცვლელი არ ეძებნება და მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებით არიან წარმოდგენილი (დააქვს, დაჰქონდა, დაჰქონდეს; დაჰყავს, დაჰყავდა, დაჰყავდეს); მათი უღვლილების პარადიგმა შეუვსებელი რჩება, მაგრამ შევსების პროცესი გრძელდება და ეს დაფიქსირებულია განმარტებით ლექსიკონშიც, სადაც დაჰყავს ზმნა ორი ძირითადი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი; პირველი მნიშვნელობით, რომელშიც ორი ქვემნიშვნელობა გამოიყოფა (1. სადაც წავა თან მიჰყავს, 2. მართავს, უძღვება...); დაჰყავს ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვს, მეორე მნიშვნელობით (ძირს სწევს, დააქვეითებს, დაბლა დასცემს, ამცირებს) ნასესხები გარდამავალი ფორმების ჩანაცვლებით მას უღვლილების პარადიგმა სრულად ეწარმოება (დაიყვანა, დაუყვანია).

რამდენჯერმე უკვე აღვნიშნეთ, რომ დააქვს და დაჰყავს ფორმები, რომელთაც მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები ეწარმოება, ქეგლში გარდაუვალ დინამიკურ ზმნებადაა კვალიფიცირებული. დინამიკურობა-სტა-

ტიკურობა კი ქართულში არსებითად სწორედ უღვლილების სისტემისა და გრამატიკულ კატეგორიათა სისრულე-ნაკლულობით უპირისპირდებიან ერთმანეთს (არნ. ჩიქობავა).

სტატიკურობა-დინამიკურობის ანალიზისას ძველ ქართულში ბ. გიგინეიშვილი გ. დეეტერსის (1930, 139...) კვალდაკვალ აცხადებს, რომ პრევერბის დართვას სტატიკურ აქუნდა, ჰყვანდა და მსგავს ფორმათა მნიშვნელობაში ინგრესივის გაგება შემოაქვს (მოაქუნდა, მიჰყვანდა) და ისინი დინამიკურები ხდებიან. მკვლევრის მიერ წარმოდგენილი სტატიკურობის მახასიათებლები კი სწორედ მოაქუნდა, მიჰყვანდა ზმნათა სტატიკურობას ამოწმებს; ეს მახასიათებლებია:

სტატიკური შინაარსის მქონეა ყველა ის ზმნა, რომელიც შეიძლება აღწერითად წარმოდგენილი იქნეს არის, აქვს ზმნათა კომბინაციით:

ეს სტატიკური შინაარსი აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიან ფორმათა სალექსიკონო განმარტებებშიც იკითხება:

მი აქვს-ს... მიდის და თან აქვს

მო აქვს-ს... მოდის და თან აქვს

და ჰყავს-ს... სადაც წავა თან მიჰყავს...

სტატიკურობის სხვა მახასიათებლები — ასპექტის მიხედვით დაპირისპირებული ფორმებისა და სათავისო ქცევის ფორმათა უქონლობა — მი აქვს, მოჰყავს რიგის ზმნათათვისაც ნიშანდობლივია (გიგინეიშვილი 1987, 90-93).

ა) მიჰყავს, მოჰყავს და მისთ. ინვერსიულ სტატიკურ ფორმებს, რომლებიც გრამატიკულ სუბიექტად მხოლოდ სულიერ სახელებს იგუებენ, პარალელურად საპირისპირო დინამიკური პირდაპირი წყობის ფორმებიც უჩანთ: აჰყავს — აჰყვება, ამოჰყავს — ამოჰყვება, გაჰყავს — გაჰყვება, გამოჰყავს — გამოჰყვება, მიჰყავს — მიჰყვება, მოჰყავს — მოჰყვება და ა. შ. ამ დინამიკურ ზმნურ ერთეულებს აწმყოში საზიარო ჰყვება ფორმა აქვთ. ქველში პირდაპირი წყობის ფორმები უპირატესად დინამიკურ ვნებითად ან გარდაუვალ დინამიკურ ზმნებად (გადაჰყვება, გამოჰყვება, მოჰყვება) არიან განმარტებული.

თუ მიჰყავს, მოჰყავს (შესაბამისად, მი აქვს, მო აქვს) და ა.შ. გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებს დინამიკურ ზმნებად განვიხილავთ, მაშინ ქართულში ყავ-ფუძიდან ნაწარმოები გარდაუვალი დინამიკური ზმნის

ორგვარი ფორმა გვექნება: 1. შებრუნებული (ინვერსიული) წყობის მიჰყავს, მოჰყავს და მისთ. უღვლილების დეფექტური პარადიგმით და 2. პირდაპირი წყობის მიჰყვება, მოჰყვება და მისთ. უღვლილების სრული პარადიგმით.

ამასთან, თუ დინამიკურ მიჰყვება, მოჰყვება და მსგავს ფორმებს ქველის უპირატესი რეკომენდაციის მიხედვით ვნებითის კვალიფიკაციითაც აღვჭურავთ — (ეს ზმნები თავისი ვნებითური ებ-ი, ებ-ა დაბოლოებით აწმყოში კონვერსივებია სათანადო მოქმედებითი გვარის ფორმებისა: აჰყვება ის მას — ააყოლებს ის მას მას, ამოჰყვება ის მას — ამოაყოლებს ის მას მას, გაჰყვება ის მას — გააყოლებს ის მას მას და ა. შ.), მაშინ მიჰყავს, მოჰყავს და მსგავსი ფორმები ალბათ უგვარო დინამიკურ ზმნებად უნდა დახასიათდეს; თუმცა ეს კვალიფიკაცია მაინც ვერ აგვიხსნის ამ ფორმებს შორის არსებულ განსხვავებას — უღვლილების პარადიგმათა სისრულეს ან ნაკლებობას, რაც ქართულში ზმნათა დინამიკურობა-სტატიკურობით არის ნიშანდებული: დინამიკურ ზმნებს უღვლილების სრული პარადიგმა აქვს, სტატიკურებს — ნაკლები. ამდენად, მიაქვს, მიჰყავს რიგის ზმნათა კომბინირებულ (ზმნისწინისა და ფუძის) მნიშვნელობიდან ზმნის როგორობის განსაზღვრისათვის რელევანტურია არა ზმნისწინების, (ა-, ამო-, გა-, გადა-, გამო და ა. შ.), არამედ ფუძის (აქვს, ჰყავს) მნიშვნელობა, რომელიც ზმნის ფორმაწარმოქმნელ შესაძლებლობებსაც განსაზღვრავს.

დ) მიჰყავს, მოჰყავს და მისთ. სუბიექტური წყობის აწმყოს I და II პირის ფორმები (მიეყავარ, მიჰყავხარ...) ისევე, როგორც სტატიკური ზმნების უმეტესობა („სტატიკური ვნებითები“, საკუთრივ მდგომარეობის აღმნიშვნელი და, ასევე, გრძნობა-აღქმის ზმნები) მეშველ-ზმნიანი ფორმებია; მიაქვს, მოაქვს და მისთანებიც, რომელთაც მხოლოდ სემანტიკური შეზღუდულობის გამო არ უკეთდება სუბიექტური წყობის ფორმები და, შესაბამისად, აწმყოს მწკრივის I-სა და II პირში ვერ ექნებათ მეშველზმნიანი წარმოება, ამავე რიგში განიხილება. ახალ ქართულში გაჩენილი ეს ინოვაცია ერთგვარად სტატიკურობის ფორმალური მახასიათებელიც ხდება (სუხიშვილი 1976, 11-12, მ. მაჭავარიანი 1981, 38... შდრ., ბარამიძე 1960, 140..., გიგინეიშვილი 1987, 88) და დინამიკურ ზმნათა თემისნიშნის წარმოებას უპირისპირდება; ასე რომ, თანამედროვე

ქართულში ყალიბდება ორი ძირითადი მორფოლოგიური მოდელი — მეშველზმნიანი წარმოება სტატიკური ზმნებისა და თემისნიშნიანი წარმოება დინამიკური ზმნებისა (კობაიძე, 2011, 116 და შემდგ.).

ზემოთ მოყვანილი ფორმალური და სემანტიკური არგუმენტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ინვერსიული სტატიკური *Verba habendi*-ს ა ქ ვ ს, ჰ ყ ა ვ ს ზმნათა პრევერბიანი მია ქ ვ ს, მი ჰ ყ ა ვ ს და მსგავსი ფორმები პრევერბთა დართვისა და გარდამავალ ზმნათა პარადიგმაში ჩანაცვლების შედეგად შექმნილი დინამიკურობის გარკვეული პარამეტრების მიუხედავად (მოძრაობის მიმართულება, ორიენტაცია), მაინც სტატიკური გარდაუვალი ზმნებია — მათი მორფოლოგიური და სინტაქსური სტატუსის გამო.

ლიტერატურა

არაბული 2011 — გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა), თბილისი, 2011.

ახ. ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, რედაქტორი ა. არაბული, თბილისი, 2010.

ბარამიძე 1960 — ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1960.

გერმანულ-რუსული ლექსიკონი 1961 — Wörterbuch Deutsch-Russisch, von E. Daum und W. Schenk, Leipzig, 1961.

გიგინეიშვილი 1987 — ბ. გიგინეიშვილი, ძველი ქართული ენის გრამატიკიდან, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX, თბილისი, 1987.

გოგოლაშვილი 2010 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმალური წარმოების საკითხები), თბილისი, 2010.

დეეტერსი 1930 — G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

დიდი გერმანულ-რუსული 1980 — Большой немецко-русский словарь, в 2-х томах, Москва, 1980.

კვაჭაძე 1977 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეორე შეესებული გამოცემა, თბილისი, 1977.

კობაიძე 2011 — მ. კობაიძე, უღლების ტიპების შესახებ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი, 2011.

მაჭავარიანი 1981 — მ. მაჭავარიანი, მოქმედების, პროცესისა და მდგომარეობის ცნების განსაზღვრისათვის, თანამედროვე და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი, 1981.

მეიე 1938 — А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, Москва-Ленинград, 1938.

რუდენკო, 1940 — Б. Г. Руденко, Грамматика грузинского языка, Москва-Ленинград, 1940.

სემერენი 1980 — О. Семереньи, Введение в сравнительное языкознание, Москва, 1980.

სუხიშვილი 1976 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი, 1976.

ქავთარაძე 1954 — ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, მთ. რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1950-1964.

ქეგლის ერთტომეული 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა, რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1981.

შენგელია 2006 — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ზოგი საკითხი, თბილისი, 2006.

შინჯიაშვილი 1966 — მ. შინჯიაშვილი, „იყო“ ზმნის სტატიკურობის საკითხისათვის (ქართული „ოთხთავისა“ და „სინური მრავალთავის“ მასალების მიხედვით), იკე, XV, თბილისი, 1966.

ჩიქობავა 1982 — არნ. ჩიქობავა, უნებურობის კატეგორიის, ინვერსიისა და ზმნის გარდამავლობის ნეიტრალიზაციის შესახებ ქართველურ ენათა I თურმეობითში, წელიწდეული IX, თბილისი, 1982.

ჩიქობავა 1989 — არნ. ჩიქობავა, მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციისათვის, „წელიწდეული“ X, თბილისი, 1989.

ჭუმბურიძე 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.

Murman Sukhishvili

Grammatical classification of the verbs -akvs, hqavs (have) with preverbs in Modern Georgian

Summary

The inersive, intransitive stative verb forms -akvs, hqavs with preverbs (a-avks, a-hqavs, ga-akvs, ga-hqavs, mi-akvs, mi-hqavs, mo-akvs, mo-hqavs, šc-akvs, šc-hqavs...) have mixed paradigms of conjugation. In the scientific literature and dictionaries, the grammatical classification of non-homogeneous members is presented differently. With respect to formal criteria, such verbs are classified as intransitive, stative ones (Arn. Chikobava), while with respect to paradigmatic functions, they are transitive, dynamic verbs (A. Shanidze)

We think that according to formal and semantic arguments, Georgian “Verba habendi’s” verb forms -akvs and hqavs with preverbs despite the some certain specifications of the adopted dynamic as a result of adding preverbs and substitution in the conjugation paradigm of transitive verbs, just like basic verbs –akvs, hqavs, they remain as stative, intransitive verbs because of their morphological (defective paradigm of conjugation, adding an auxiliary verb in the first and the second personal forms in the screeves of the present tense...) and syntactic (inversion) status. We have the same situation in other stative verbs:

ačnia – mi-ačnia – ga-ačnia
 hgavs – mo-hgavs – čamo-hgavs
 uxaria – mi-uxaria – mo-uxaria...

Just like the basic forms without preverbs, the verbs with preverbs are intransitive stative ones.

თეა ტეტელოშვილი

ზოგ თანდებულთა კვალიფიკაციისათვის ტრანსლაციასთან მიმართებით

ენა კომუნიკაციის სრულყოფილი განხორციელებისათვის მიმართავს მრავალფეროვან საშუალებებს საკუთარი პოტენციის მაქსიმალური გამოყენების გზით. მეტყველების უწყვეტი მიმდინარეობისას ინდივიდი ენობრივი საჭიროების შესაბამისად ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს ან განსხვავებულ დატვირთვას სძენს ამა თუ იმ სიტყვას ისე, რომ ხშირად არც კი აცნობიერებს ამ ქმნადობისა და გადააზრების მექანიზმს, თუმცა იგი ასეთ დროს ყოველთვის ემორჩილება კონკრეტული ენის სისტემასა და ამ სისტემის ფუნქციონირების წესებს. ნაირგვარ ენობრივ ფორმათა მიღების ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება ტრანსლაცია, რომლის არსი სიტყვის ერთი გრამატიკული „კლასიდან“ („კლასში“ იგულისხმება მეტყველების ნაწილთა ჯგუფები) მეორეში გადასვლაა და ამ კონკრეტული სიტყვის ახალი ფუნქციითა და განსხვავებული სასიცოცხლო ძალით აღჭურვაში გამოიხატება.

ტრანსლაციისთვის ენა იყენებს როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ საშუალებებს.

ბევრი სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ტრანსლაციად გვევლინება, თუკი მას შეუძლია მეტყველების ნაწილთა ერთი ჯგუფიდან მეორეში სიტყვის გადაყვანა. მაგალითად, **ქუდიანი** (← ქუდი-ი + -იანი) გოგონა ქუჩაში ამაყად მიაბიჯებდა. ტრანსლაცივებად გამოიყენება ბრუნვის ნიშნებიც: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი **გულადი** (← გულ-ად-ი), **პურადი** (← პურ-ად-ი), მებრძოლი შავის ბედისა?!“...

შესაძლებელია, სიტყვამ ისე შეიცვალოს „კლასი“, რომ არანაირი მარმოებელი არ დაირთოს. მაგალითად, „**ავი** არ მაკადრიანო, **კარგი** არ მაღირსიანო“, „**ვხტანგ მეფე** ღმერთს უყვარდა“, „**თეთრს თეთრი** ჰქვია

ყველგანა, **შავი** დარჩება **შავადა**“. ტრანსლაციის ამგვარ შემთხვევებს, სავარაუდოდ, წინადადების მოდელში სიტყვის ადგილი (რანგი) განაპირობებს. ამ აზრს არაერთი მეცნიერი იზიარებს. მაგალითად, ა. დავითიანი აღნიშნავს, რომ „ცალკე აღებული მეტყველების ნაწილი კი არა, ზოგჯერ მისი გარკვეული ფორმაც არ განსაზღვრავს ზუსტად მის ფუნქციას. იმდენად დიდია მოდელის მნიშვნელობა, რომ ერთი და იგივე იზოლირებული სიტყვა ერთი და იმავე ფორმით შეიძლება წინადადების სხვადასხვა წევრად მოგვევლინოს“ (დავითიანი 1973, 120).

აქ დაისმის ერთი კითხვა — რამდენად მართებულია წინადადების მოდელში სიტყვის ადგილისათვის მნიშვნელობის მინიჭება, თუ ცნობილია, რომ ქართული ენისთვის წინადადებაში სიტყვათა ადგილი არაა მკაცრად განსაზღვრული. უფრო მეტიც, წინადადებაში სიტყვათა რიგი და წინადადების წევრთა სინტაქსური ფუნქციები ურთიერთშეპირობებული არაა და სიტყვათა რიგს, შესაძლოა, არა გრამატიკული, არამედ აზრობრივი დატვირთვა ჰქონდეს.

როდესაც წინადადების მოდელზე ვსაუბრობთ, ვითვალისწინებთ ზმნასთან დაკავშირებულ სიტყვა-აქტანტებსა და ამ აქტანტებისა და თვით ზმნის განმსაზღვრელ სიტყვებს. თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები ყოველგვარი მაწარმოებლის დართვის გარეშე „ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას“ (უთურგაიძე 2009, 54). ამის მიზეზი სწორედ მოდელის გავლენაა — მოდელში აქტანტებისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავების გამო აღარაა საჭირო (ჭარბია) ტრანსლაციები ნებისმიერი არასახელის გასუბსტანტივებისთვის. რაც შეეხება ასეთ შემთხვევაში სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნების კვალიფიკაციის საკითხს, ჩვენი აზრით, ისინი ტრანსლაციები კი არ არიან, არამედ მოდელის გავლენით უკვე ტრანსლირებული სიტყვების აქტანტობის მაჩვენებლებად გვევლინებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხსენებული ბრუნვის ნიშნები **მიზეზი (საშუალება)** კი არაა ტრანსლაციისა, არამედ სიტყვების ტრანსლირების ინდიკატორები არიან. **ეს რომ ასე არ იყოს, ზმნის უღლების პარალელურად მასთან დაკავშირებული აქტანტები ბრუნვის ნიშნებს არ შეიცვლიდნენ.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ტრანსლაციები (რომელთა დართვის შედეგადაც სიტყვები იცვლიან „კლასს“) და სხვადასხვა მორფოლოგიური ერთეული, რომელიც სიტყვის

ტრანსლირების მიზეზად ვერ მიიჩნევა, მაგრამ ტრანსლაციის რეზულტატური მანიშნებელი (ინდიკატორი) ნამდვილად არის.

ჩვენი კვლევა ეხება თანდებულების ერთ-ერთ ნიუანსს, რომელიც გამოიხატება თანდებულების ტრანსლაცივებად და ტრანსლაციის ინდიკატორებად ფუნქციონირებაში.

თანდებულს ტრადიციულად განმარტავენ როგორც „დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება და სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან“ (შანიძე 1980, 598).

თანდებულებს აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რომელი ბრუნვის ფორმასთან გვხვდებიან ისინი და უშუალოდ ერთვიან სიტყვას თუ ცალკე დგანან. საკვლევ საკითხთან მიმართებით ჩვენ შევხვებით როგორც ცალკე მდგომ, ისე უშუალოდ სიტყვაზე დართულ თანდებულებს.

ზემოჩამოთვლილ ფუნქციათა გარდა შენიშნულია თანდებულების სიტყვაწარმოების უნარიც. „ერთი თავისებურება ქართული ენისა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია თანდებულდართული ფორმა არსებითი სახელის ფუძედ აქციოს და გამოიყენოს ზედსართავის საწარმოებლად“ (შანიძე, 1980, 116) — აღნიშნავს ა. შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ და მოჰყავს თქმულის დამადასტურებელი მაგალითები: უეჭველია, თავგთავანი მაგას ვერ გაბედავდა“, *ლომისებური*, *თავისებური* და სხვ.

სახელთა აფიქსური წარმოების შესწავლისას ამავე საკითხს შეეხო მ. ტუსკია. „თანდებულთაგან ახალ ქართულ ენაში დერივატად გვხვდება: **-ებრ** (← **ებურ**), **-მიერ**, **-გან**“ (ტუსკია 2004, 127) — აღნიშნავს მკვლევარი და საილუსტრაციოდ იმოწმებს შემდეგ სიტყვებს: *ჯაჭვისებრი*, *თათისებრი*; *ვარდისებრი*, *თუთისებრი*; *ბავისმიერი*, *ცხვირისმიერი*; *მღვდელთაგანი*, *კაცთაგანი*... და სხვ. ამგვარი წარმოების არაერთი სიტყვის მოძიებაა შესაძლებელი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (8-ტომეული): *ბადისებრი* (თვალის *ბადისებრი* გარსი), *კაცებრი* (*კაცებრი* გული), *მინისებრი*, *ფარისებრი*, *ქოლვისებრი*, *ხაჭოსებრი*, *გონებრივი*, *ზებუნებრივი*, *საზოგადოებრივი*, *მოქალაქეობრივი*, *მაგნოლიასებრი*, *მატიტელასებრი*, *მიხაკისებრი*, *ფითრისებრი*... და სხვ.

გარდა იმისა, რომ მოყვანილი მაგალითებით კარგად ჩანს თანდებულების სიტყვამაწარმოებელი ძალა, ასევე იკვეთება თანდებულების უნარი —

„კლასი“ შეუცვალონ სიტყვას და იგი მეტყველების ნაწილთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაანაცვლონ. ამის შემჩნევა ზემოთ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაზე მარტივი დაკვირვებითაც კი შეიძლება. შდრ.: *ქაჭვი* (სუბსტანტივი) → *ქაჭვისებრი* (ადიექტივი), *ხაჭო* (სუბსტანტივი) → *ხაჭოსებრი* (ადიექტივი). განსაკუთრებულად აქტიურდება თანდებულების ეს როლი ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისას: *მატიტელასებრნი*, *მიხაკისებრნი* და ა.შ.

ისმის კითხვა — თანდებულები ყოველთვის ტრანსლაცივებად უნდა მივიჩნიოთ თუ არა. ანალიზისთვის ავიღოთ ფორმები: **ლამაზისთვის** და **მეგობრისთვის**.

ლამაზი არის ადიექტივი, **ლამაზისთვის** ფორმა კი სუბსტანტიური გაგებისაა. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ **-თვის** თანდებული ტრანსლაცივია?

უყურადღებოდ არც ის უნდა დავგვრჩეს, რომ **-თვის** თანდებული „კლასს“ ვერ უცვლის სუბსტანტივებს. შდრ., სიტყვაფორმა **მეგობრისთვის**.

თქმულდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვამ (ლამაზი) ჯერ განიცადა ტრანსლაცია, გასუბსტანტივდა და შემდეგ დაერთო **-თვის** თანდებული. ასეთ შემთხვევაში **-თვის** თანდებულს არავითარი საერთო არ ექნება ტრანსლაცივთან, იგი დაერთვის გასუბსტანტივებულ სიტყვებს ან სუბსტანტივებს, არ უცვლის სიტყვებს „კლასს“ და თავდაპირველად არასუბსტანტივი სიტყვების გასუბსტანტივების (ტრანსლაციის) ინდიკატორია მხოლოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთქმული არ ვრცელდება ყველა თანდებულზე. კერძოდ, ფორმა **ხეზე** წინადადებაში — ბიჭი აძვრა **ხეზე** — ზმნისართული ნიუანსის შემცველი გახდა მხოლოდ **-ზე** თანდებულის დართვის შემდეგ და არა ამ თანდებულის დართვამდე. „კლასის“ ცვლილების დასახელებული გზა — **ხე** (არს.) → **ხეზე** (ზმნის.) — მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სწორად კვალიფიცირებული, თუ **-ზე** თანდებულს ტრანსლაცივად მივიჩნევთ. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ **-ზე** თანდებულიანი სიტყვა შესაძლოა დარჩეს სუბსტანტივად და არ გადაიქცეს ზმნისართად (მაგალითად, *მე ვფიქრობ ამ მაღალ ხეზე*), ან იგი იყოს სუბსტანტივაციის ინდიკატორი ისეთ შემთხვევებში, როცა იგი ზედსართავ ან რიცხვით სახელებს დაერთვის. შდრ., *მე ვფიქრობ ამ მაღალზე*. გამოდის, რომ **-ზე** თანდებული შეიძლება იყოს ტრანსლაცივი (ბიჭი აძვრა **ხეზე**),

ტრანსლაციის ინდიკატორი (*მე ვფიქრობ ამ მაღალზე*) ან უბრალოდ სუბსტანტიურობის მანიშნებელი (*მე ვფიქრობ ამ მაღალ ხეზე*).

თანდებულების ქმედებაზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ჯერ ხდება ნებისმიერი არასახელის გასუბსტანტივება მოდელის გავლენით და შემდეგ თანდებულის დართვა. ასეთ შემთხვევებში თანდებული მხოლოდ ტრანსლაციის ინდიკატორია მაშინ, როცა სახელის ადიექტივაცია და ადვერბალიზაცია თანდებულის გავლენით ჩვეულებრივია. თქმულის ნათელსაყოფად და შედეგების სარწმუნოების მიზნით მაგალითები მოგვყავს ქართულ ენის კორპუსიდან (ვებგვერდის მისამართი: <http://iness.uib.no/gekko>). დაცულია მაგალითების ავტორთა ენა და სტილი.

-გან

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:

... საუკეთესო თერთმეტეულს გთავაზობთ, რომელიც წინამორბედი **ორისგან** იმით განსხვავდება, რომ ჰოლანდიელმა უკანახაზელმა სიაში თავისი თავიცი შეიყვანა.

მესამე ნაწილი პირველი **ორისგან** განსხვავდება.

ორისგან უკვე არაფერი იყო გამოსული, რიგითი ჯანიანი, სწრაფი ბიჭები იყვნენ.

თითქოს მხოლოდ ამ ორთან დამოკიდებულებაში სურს ავტორს საკუთარი სულის ჰარმონიაში მოყვანა და ამ **ორისგან** სურს თავისი სიმართლის დასტურყოფა.

მაგრამ გამორიცხულია, რომ **კარგისგან** უკეთესის გაკეთება არ შეიძლებოდეს.

... შეუძლიათ, ავი **კარგისგან** გააჩიონ.

... ცდილობს ჯოჯური ერთობიდან პიროვნების გამოტაცებას, ცუდის **კარგისგან** გარჩევას.

მას მხოლოდ ის მისია გააჩნია, რომ შავი **თეთრისგან** განარჩევინოს.

ძალიან ადვილია გააჩიო კარგი **ცუდისგან**.

-ზე

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:

... სულ სამი-ოთხი გოგონა სწავლობდა, რომელიც სიმბათიური იყო, **ლამაზზე** არაფერს ვამბობ.

ერთხელაც, შუადღისას, დაღვრემილი პარკში **მწვანეზე** ვიჯექი.
ამიტომაც დაძარით მანქანა მხოლოდ **მწვანეზე**.
... ფაფახიან მოხუცებს ფეხი მოერთხათ **მწვანეზე**.
გაბნეულიყო **მწვანეზე** ძვირფასი თვლები თლილები.
აქედან **ოთხზე** სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.
სულ მალე კი ოთხის უფლება-მოვალეობები **სამზე** გადანაწილდება.
ხშირად ხუთი **სამზე** ვთამაშობდით.
... ქმნის თავის ფოტონამუშევრებს **შავზე**.
1000 დოლარი **წითელზე** დადო.
ერთი-ორგან წავიფორთხილე კიდევ **ქვიანზე**.

- ✓ თანდებული ტრანსლაცია:
(მაადვერბიალიზებული)
... კიბე გამოაცალა და **ხეზე** დატოვაო.

-თან

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
მახინჯი **ლამაზთან** ყოფნას მიელტვის მუდამ.
შეგიძლია, შენ **ლამაზთან** რომ იცხოვრო მუდამ ლხენით.
შენზე **ლამაზთან** შერკინება, შედეგად მარცხი და ფიასკოში დაგრო-
ვილი ბოღმა, ბალღამი.
...თავისსავე სტატიაში დეტალურად „არკვევს ურთიერთობას“ პირ-
ველ **ორთან**.
... თუკი **ორთან** „გაუვიდათ“, **მესამესთანაც** აუცილებლად „გაუვიათ“.
მომდევნო **ორთან** კონტაქტს ვერ ამყარებდა.

- ✓ თანდებული ტრანსლაცია:
(მაადვერბიალიზებული)
მთასთან შეეგებნენ აღმოსავლეთ ერისმთავარი...
შენს **სახლთან** მოვდიოდე...

-თვის

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ერთხელ უნდა ატირდე და დაიფერფლო **ლამაზისთვის**.
... მაგრამ ამ **სამისთვის** ადგილი არ იძებნება.

პირველისთვის ცოდნა არ ეყოფა.

პირველისთვის საჭიროა იაფი წიგნი და დიდი ტირაჟი.

- ✓ თანდებული ტრანსლატივია:
(მაადვერბიალიზებული)

ორისთვის გამოვცხადდით დათქმულ ადგილას.

ლევანმა დილით ადრე ჩამოგვაკითხა და **სამისთვის** უკვე თბილისში ვართ.

-ურთ

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
... რომელსაც მიუძღვის ასეთი სათაური **წითლითურთ**.

-ში

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
„შავსა და **თეთრში**“ ის პირობით თავისუფლებად მოიაზრება.
...საოცარი, **თეთრში** გარდამავალი ყავისფრის, თეთრის, მწვანის
სხვადასხვა გამით გამოხატულ ხილვას მოჰკარით თვალი.

ლამაზში იგულისხმება ტრადიციული ილუსტრაციები...

პირველ **ორში** დახატულია მთლიანად ბიუროკრატიზებული საზოგადოება.

მაგ **ორში** ღია უფროსია...

აქამდე ჩატარებული 6 ოფიციალური შეხვედრიდან **ხუთში** იმარჯვა.

- ✓ თანდებული ტრანსლატივია:
(მაადვერბიალიზებული)
... მეცხვარეა, **მთაში** გაზრდილი კაცი.

მთელი საქართველო მოვიარე, **მთაში** ვიყავი უფრო მეტად.

შენობაში ერთადერთი სალაროა.

დაბალში იდგა, მუქი პერანგი ეცვა.

-ებრ

- ✓ თანდებული ტრანსლატივია:
(მაადიექტივებელი)
იმას **კაცებრი** გული არ ჰქონდა, რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.

-ვით

- ✓ თანდებული ტრანსლაცია:
(მაადვერბიალიზებელი)
ადვილია, გამოიყურებოდე **ლომივით** ტურების ფონზე.
... **ლომივით** ბრდღვინავდა და თავში ხელს იცემდა.
დღეებს **თაგვივით** უშინაარსოდ, უფულოდ, სურვილების გარეშე გა-
ატარებს.
(მაადიექტივებელი)
მეორე სადღეგრძელო **პირველივით** უცნაური იყო.
... ახალი თაობაც **ძველივით** ძლიერი და ტექნიკური იქნება.

-დან ჩიდან

- ✓ თანდებული ტრანსლაცია:
(მაადვერბიალიზებელი)
... მოსახლეობა იძულებული ხდება, **სოფლიდან** აიყაროს.
ვინც იმ დროს **ქალაქიდან** არ იყო გაქცეული კარგად ახსოვს...
მთიდან ნაკლებად აღწევს ხმა ჩვენამდე.
ვიცვამ ჩემს ჩექმებს, ათ წელიწადში **შავიდან** მოწითალოდ რომ
იქცა...
... სანდო **წყაროდან** გახდა ჩვენთვის ცნობილი...

-კენ

- ✓ თანდებული ტრანსლაცია:
(მაადვერბიალიზებელი)
შემდეგ კი **სახლისკენ** წამოვიდნენ.
ახლა უკვე **უნივერსიტეტისკენ** ავიღეთ გეზი.
თეატრისკენ მიმავლებს უცნაური გრძნობა გვქონდა.
- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ჩვენი მზერაც **მალისკენ** მიიწევდა.
სულ ოდნავ იყო გადახრილი საათის ისარი **ოთხისკენ**.
ბოროტისკენ მიდრეკილი უფრო მეტად ბოროტდებოდა.

-მდე/მდის

✓ თანდებული ტრანსლატივია:
(მაადვერბიალიზებული)
რაც უფრო შორი იყო **სახლამდე**, მით უფრო კარგად იყო ყველაფერი.
პატარა **ქალაქამდის**, სადაც ის ქვრივი ცხოვრობდა, სულ სამოცი მილი იქნებოდა.

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
მხოლოდ დათოს შეეძლო ასეთი ჭრელი, მრავალფეროვანი საზოგადოების შეკრება: ყველაზე **მდიდრიდან** ყველაზე ექსტრავაგანტულამდე, ყველაზე **უნიჭოდან** ყველაზე ნიჭიერამდე, **უშნოდან** ლამაზამდე.

თეთრიდან შავამდე... რატომაც არა?!

ფერთა დიაპაზონი მკრთალი **ყვითლიდან** ყავისფრამდე იცვლება.

ტაიმის მიწურულს მანვე ანგარიში **ორამდე** გაზარდა.

მუსიკოსთა რაოდენობა **ოთხამდე** შემცირდა.

გარდა

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ამ **ორის გარდა**, გუნდში ადგილობრივი ახალბედა...
ახალწვეულების **წარდგენის გარდა**, ახალი ეკიპირების პრეზენტაცი-
აც...

ისინი მთელი 40 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იბრძოდნენ ყველა ფერის წინააღმდეგ, **წითლის გარდა**...

გარეშე

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
როგორ იტყოდით სხვანაირად, სიტყვა **შავის გარეშე**?
პირველის გარეშე ყველაზე ლირიკული ლექსიც კი მკვდრად დარჩება, ხოლო **მეორის გარეშე** ეპიკური ბალადაც მოსაწყენ გამონაგონად გამოჩნდება.

თუმცა პირველი არ არსებობს **მეორის გარეშე**.

ერთის აღიარება **მეორის გარეშე** შეზღუდულობაა.

მიერ

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ბეგრის მიერ მისი შეფასება გარდაცვალების მერე მოხდა.
... თუ **პატარის მიერ** თავში ჩასაფარებელი და წამოსარტყმელი აღმოჩნდა...
იცინოდა და დელეგაციის სახეზე **პირველის მიერ** აღბეჭდილ შიშსა და გაოცებას ანელებდა.

მიმართ

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ნამდვილად ვერ გამიჩნდებოდა ვერც **ერთის მიმართ** ვერანაირი სიმპათია.
ბრიგადის ხელმძღვანელობას კი არც **ერთის მიმართ** სათანადო მოკვლევა არ ჩაუტარებია.
ვერ ავიღებ ვერც **ერთის მიმართ** პასუხისმგებლობას.
წმინდა იყავი იმ **სამის მიმართ?**
ცუდის მიმართ რადიკალურები დავრჩებით...
გააღვიძონ ჩვენში თანდაყოლილი გულისხმიერება როგორც **კარგის**, ასევე **ცუდის მიმართ**.
ხოლო უკანასკნელს **პირველის მიმართ** უპირატესობის გრძნობა ვერ დაებადება...

შემდეგ

- ✓ თანდებული ტრანსლაციის:
(მაადვერბიალიზებული)
უნივერსიტეტის შემდეგ ფსიქოლოგიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა.
- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
მეორე აფეთქება **პირველის შემდეგ** მალე მოხდა.
თაობანი ერთი **მეორის შემდეგ** ჰქრებიან.

შესახებ

- ✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:
ერთის შესახებ უკვე მოგახსენეთ.

ერთის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

მათგან მხოლოდ **ერთის შესახებ** ვამცნობ მკითხველს.

კიდევ კარგი, ვილაცა მაინც გვაწვდის ცნობებს **ერთისა და მეორის შესახებ**.

... პიროვნება **ბოროტისა და კეთილის შესახებ** ინფორმაციას იღებს არა უშუალოდ, არამედ სხვისგან.

შორის

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია: **დაღუპულებს შორის** ოთხი გამვლელია. თქვენ **ორს შორის** წაგებულის ჩამყავებული სიფათის ნახვით არ დამტკბარიყო!

ამ **ორს შორის** მერყეობს ირანელი.

სამს შორის რომ დავა მოხდა...

... ამ **პირველებს შორის** უნდა იყოს ლიდერი.

და მაინც იმ **კარგებს შორის** გამორჩეულად...

✓ თანდებული ტრანსლაციია:

(მაადვერბიალიზებული)

მან ძელებს **შორის** შეიჭვრიტა.

შუა

✓ თანდებული სუბსტანტივაციის (ტრანსლაციის) ინდიკატორია:

თითქოს გაჩხირული ხარ ამ **ორს შუა**.

და დღეიდან ჩვენს **ორს შუა** მოციქული არის ტყვია.

გული მადლია და მადლი მართო **ორს შუა** ჰსაქმობს.

✓ თანდებული ტრანსლაციია:

(მაადვერბიალიზებული)

მტკვარსა და მადლობებს **შუა** სულ ორი ვერსის სიგანე ვაკე იყო დარჩენილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთიც: ე. წ. ცალკე მდგომი თანდებულები, მაგალითად, **გარეშე** და **მიერ**, როდესაც ერთვიან სიტყვას უშუალოდ, ვიღებთ ადიექტივებს (ანუ არიან მაადიექტივებელი ტრანსლაციები), ხოლო, თუ ისინი ცალკე დგანან, მათთან დაკავშირებული სახელი სუბსტანტივია/გასუბსტანტივებულია. ამ შემთხვევაში მათ შეიძლება ვუწოდოთ სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორები.

შდრ.:

ქრისტესმიერი, კაცისმიერი...

ქალისმადლისმეორის მიერ დახატული სურათი ეკიდა კედელზე.

ასევე:

კლასგარეშე, თამაშგარეშე...

ამ ქალების/მწვანის/ორის გარეშე არ მინახავს ეს სოფელი.

მოყვანილი მაგალითები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სხვადასხვა სუფიქსთან ერთად ტრანსლაციების ფუნქციით გამოიყენება თანდებულებიც. ამას გარდა, თანდებულები შეგვიძლია მივიჩნიოთ ტრანსლაციის ინდიკატორებადაც. მაგალითად, **-გან, -ზე, -თან...** სუბსტანტივაციის ინდიკატორებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგივე თანდებულები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სუბსტანტივებთანაც, მათ სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორები შეგვიძლია ვუწოდოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე წარმოვადგენთ თანდებულთა კლასიფიკაციის ცხრილს, რომელიც ითვალისწინებს ამ თანდებულთა კვალიფიკაციას ტრანსლაციასთან მიმართებით.

	თანდებული შედის სიტყვის შემადგენლობაში	თანდებული დგას ცალკე
სუბსტანტიურობის/სუბსტანტივაციის ინდიკატორი	-გან, -ზე, -თან, -თვის, -ურთ, -ში, -კენ, -მდე/-მდის	გარდა, გარეშე, მიერ, მიმართ, მომართ, შემდეგ, შესახებ, შორის, შუა
მაადიექტივებელი ტრანსლაცივი	-ებრ, -ვით, გარეშე, მიერ	
მაადვერბიალიზებელი ტრანსლაცივი	-ზე, -ში, -ვით, -დან/-იდან (←ით-გან), -კენ, -მდე/-მდის, -ებრ, -თან, -თვის	შემდგომ, შემდეგ, შორის, შუა

რამდენადაც სიტყვაფორმის სწორი კვალიფიკაციის საკითხი (რომელიც ტრანსლაციის შესწავლის საგანია) უმნიშვნელოვანესია მორფოლოგიური თუ სინტაქსური ანალიზატორების შექმნისათვისაც, ვფიქრობთ, თანდებულთა (თანდებულიან ფორმათა) აღნიშნული კლასიფიკაცია გარკვეულწილად დაეხმარება ენის კომპიუტერული დამუშავებით დაინტერესებულ პირებს.

ლიტერატურა

- დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი
- ტუსკია 2004** — მ. ტუსკია, სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი
- უთურგაიძე 2009** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი
- შანიძე 1980** — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი

წყაროები

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964
 ქართული ენის კორპუსი, ვებგვერდის მისამართი:

<http://iness.uib.no/gekko>

Tea Teteloshvili**On the qualification of some postpositions
with respect to transference****Summary**

Transference is one of the ways to produce diverse linguistic forms the sense of which is the transfer of a word from one grammatical class (a group of parts of speech) into another and provide it with a new function and a different kind of vitality.

There are some translatives by adding of which words change their meanings and also various morphological units that cannot be considered to be the reason of the transference but are surely consequent indicators of it.

Postpositions with different suffixes have the function of translatives. Besides, postpositions can be considered to be the indicators of transference.

We present the table of the classification of postpositions with a view to the classification in terms of the transference.

	Postposition is a part of a word	Postposition is apart from a word
Indicator of substantiveness/ substantivization	-gan, -ze, -tan, -tvis, -urt, -ši, -ḳen, -mde/-mdis	garda, garešc, mier, mimart, momart, šemdeg, šesaxeb, šoris, šua
Adjectivizing translative	-ebr, -vit, garešc, mier	
Adverbializing translative	-ze, -ši, -vit, -an/-idan (← it-gan), -ḳen, -mde/ -mdis, -ebr, -tan, -tvis	šemdgom, šemdeg, šoris, šua

As the correct classification of word-forms is also essential to develop morphological or syntactic analyzers, we think that such a classification will help those interested in the computer-processing of a language.

ხათუნა ყანდაშვილი

მრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში
(კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის პროზის მიხედვით)

თანამედროვე ქართულში ზმნით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება: აღწერითი წარმოებით, უწყვეტლის მწკრივითა და ზმნის გამეორებით.

ძველ ქართულში მრავალგზისობას ხოლმეობითის მწკრივები გამოხატავდნენ, ეს მწკრივებია: აწმყოს ხოლმეობითი, I ხოლმეობითი, II ხოლმეობითი და III ხოლმეობითი. ქართული ენის მთის დიალექტებში დღესაც ცოცხალია ხოლმეობითის მწკრივები. საანალიზოდ საგანგებოდ შევარჩიეთ კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „ხოგაის მინდია“ და მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“. „დიდოსტატის მარჯვენაში“, ისტორიულ რომანში, სტილის არქაიზაციისთვის მწერლას შეიძლება მიემართა ძველი ქართულისთვის და გამოეყენებინა ხოლმეობითის მწკრივები მრავალგზისობის გამოსახატავად, ხოლო „ხოგაის მინდიასა“ და „თეთრ საყელოში“ ხევსურული მეტყველების ილუზიის შესაქმნელად, შესაძლოა, მწერლებს გამოეყენებინათ ხევსურული დიალექტისთვის დამახასიათებელი ხოლმეობითის მწკრივები.

„დიდოსტატის მარჯვენაში“, „ხოგაის მინდიასა“ და „თეთრ საყელოში“ კ. გამსახურდია და მ. ჯავახიშვილი მრავალგზისობის გამოსახატავად ძირითადად აღწერით წარმოებას მიმართვენ. რავალგზისობა, უმეტეს შემთხვევაში, „ხოლმე“ ნაწილაკის მეშვეობით იწარმოება, რომელიც ძირითადად აწმყოს, უწყვეტლისა და I თურმეობითის მწკრივის ფორმებს დაერთვის.

„დიდოსტატიდ მარჯვენა“:

აწმყო:

„ცხენი გულთმისანია, მხედრის განწყობილებას შეიცნობს ხოლმე წინასწარ“.

„გზა და ხიდი უცნაურ ფიქრს **აღმიძრავს ხოლმე**“.

„თეთრი საყელო“:

„ეცეც დოღია, ზვადისა და ძუს დოღი, რომელიც გაგრილებით **თავდება ხოლმე**“.

„ყალიონი რომ მოგვებზრდება, თითო ფურცელს გამოვხვეთ და პაპი-როსის ქალაქად **ვხმარობთ ხოლმე**“.

მოცემულ მაგალითებში „ხოლმე“ ნაწილაკი დაერთვის აწმყოს მწკრივის ფორმებს: „შეიცნობს ხოლმე“, „აღმიძრავს ხოლმე“, „თავდება ხოლმე“, „ვხმარობთ ხოლმე“.

„ხოლმე“ ნაწილაკი გამოიყენება უწყვეტლის მწკრივთან:

„დიდოსტატის მარჯვენა“:

„ამას **ეტყოდა ხოლმე** ზვიადს: შენმა მსტოვრებმა თუ მუდამ მართალი სთქვეს, შიმშილისაგან ამოსწყდებიანო უცილოდ“.

შემდეგ მაგალითში „ხოლმე“ ნაწილაკი გამოიყენება | თურმეობითის მწკრივთან:

„დიდოსტატის მარჯვენა“:

„აღმოსავლეთისკენ გადალალა ღრუბლები, შემოდგომის ცა მოიწმინდა და ისეთი კაშკაშა მთვარე დაადგა სვეტიცხოველს, როგორც მაისში **მინახავს ხოლმე**“.

მრავალგზისობა აგრეთვე გამოიხატება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: „მრავალგზის“, „სამგზის“, „შვიდგზის“ და ა. შ.

„დიდოსტატის მარჯვენა“:

„ზვიადი სარკინოზებთან ნაბრძოლი იყო **მრავალგზის**“.

„**სამგზის** ეახლა მელქისედეკს, სამგზისვე ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა მელქისედეკი მოციქულს“.

„იყო ელვა, ქუხილი და ჰაერი ბოროტი, **შვიდგზის** დაჰყვირა ეშმაკმან და პერონი იღრჭენდა და ყიოდა“.

„ფარსმან სპარსისაგან **ათასგზის** სმენოდა გიორგის: გრძნეულნი მიონნი უხვდებიანო მონადირეს ჭალებში“.

„ხოგაის მინდია“:

„ძირს დაცვა პირქვე ხოგაის მიდნია, **სამგზის** ეამბორა გათოშულ მიწას“.

„ხოლმე“ და „მრავალგზის“ ლექსიკური ერთეულები გამოიყენება ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმებთან, ხოლო შემდეგი აღწერითი საშუალებები: „ორგზის“, „სამგზის“, „შვიდგზის“ მოცემულ მაგალითებში აკონ-

კრეტებენ ზმნით გამოხატულ მოქმედებას, ისინი წყვეტილის მწკრივის ფორმებთან გვხვდება.

გამოვლინდა სხვა აღწერითი საშუალებებიც:

„დიდოსტატის მარჯვენა“:

ხანდახან: „საერთო სენია კაცთაგან: მიცვალებულებს აქებენ **ხანდა-ხან**, რათა ცოცხლათ მიაყენონ ჩრდილი“.

ორ-სამჯერ: „მეფემ **ორ-სამჯერ** ესროლა მზერა გვერდით ჩამომავალს“.

მრავალჯერ: „სიყრმიდანვე აოცებდა არსაკიძეს ეს უცნაური ადგილი დაბადებისა. ჯერ კიდევ აღრიან სიჭაბუკეში, კონსტანტინოპოლში **მრავალ-ჯერ** უთქვამს: რა თამამად მოუცილო ამ სტრიქონების ავტორს ადამიანის ჭიდილი ღმერთთან?“

„თეთრი საყრლო“:

„ჯურხამ თავი იმართლა: **მრავალჯერ** მოგიკითხე, მაგრამ შენი კვალი ვერ ვიპოვნე“.

„ხოჯაის მინდია“:

სამჯერ: „თეთრი წიწოლა ციხის კარს მივარდა აქელებული ხოჯაის მინდია. აჩქარებულად დააკაკუნა ზედიზედ **სამჯერ**“.

„თეთრი საყელო“:

„სამჯერ ავდექი. **სამჯერვე** ძალით დამსვა და თავთ დამადგა“.

„ხოჯაის მიდნია“:

ორჯერ: „სადიაცოში სელს ბეჭავენ დიაცები, უსხედან ნაშუალამეგდის ცეცხლს და შიშობენ მადახურამ არ დაიძახოს **ორჯერ**“.

„დიდოსტატის მარჯვენა“:

მუდამ: „**მუდამ** ირიბად მიმართავდა სიტყვას, უკუსაქცეველ ხვრელს დაიტოვებდა თანაც“.

„თეთრი საყელო“:

„— ჩვენ ბატონყმობა არ გქონივ, სრუ **მუდამ** თავისუფლებისთვის ვომობდით და ეხლაც თავისუფალნი ორთ“.

„დიდოსტატის მარჯვენა“:

მარადუამს: „მზისა და სიკვდილის მაცნეა მამალი, ღამესთან მორკინე და **მარადუამს** ღამისმთეველი“.

„დიდოსტატის მარჯვენა“:

ხშირად: „ასეთი კაცები ჩვენი მუზეუმებისა და ძეგლების გარშემო დაფუსფუსებენ **ხშირად**, ისინი ძველი კულტურის ნასუფრალით იკვებებიან“.

ზემოთმოყვანილ მაგალითებში არქაული ელფერი შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს დაჰკრავს: „მრავალგზის“, „სამგზის“, „შვიდგზის“, ხოლო „ორჯერ“, „სამჯერ“ თანამედროვე ქართულისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებია მრავალგზისობის გამოსახატავად. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ძველი ქართულის ილუზიის შესაქმენლად კ. გამსახურდია იყენებს ზემოაღნიშნულ აღწერით ფორმებს: „მრავალგზის“, „სამგზის“, „შვიდგზის“.

მრავალგზისობა აგრეთვე გამოიხატება უწყვეტლის მწკრივის მეშვეობით:

„დიდოსტატის მარჯვენა“:

„უკანასკნელად მზის საათების მოწყობას მიჰყო ხელი, **დაეთროდა** საერისთავოებში, მზის საათებს **აწყობდა**, მთვარის „ხელთაის“ **სწერდა**, ხანდახან ნადიმებზე მიიწვევდნენ, როგორც ხუმარასა და მოკლილს“.

„გიორგი და გირშელი ხან უფლისციხეში **ნადირობდნენ**, ხანაც მცხეთაში **ქეიფობდნენ** იღუმალ“.

მრავალგზისობის ორგანული წარმოება დღესაც ცოცხალია ხევსურულ დიალექტში. ხევსურულმა შემოინახა უწყვეტლის ხოლმეობითი და იშვიათად III ხოლმეობითი. როგორც ზემოთ მივუთითეთ, თხზულებებში — „ხოგაის მინდია“, „თეთრი საყელო“, მწერლებს შესაძლოა გემოეყენებინათ ხოლმეობითის მწკრივის ფორმები ხევსურული მეტყველების ილუზიის შესაქმენლად. კ. გამსახურდიამ „ხოგაის მინდიაში“ მხოლოდ ერთხელ გამოიყენა აწმყოს ხოლმეობითის ფორმა: **„არნ“**:

„ქისტები რათ **არნ** ურჯულო, დედი, სრუ ყველას თავისი რჯული აქვ“.

სტილისტური დანიშნულებით სავარაუდო იყო, მწერალს გამოეყენებინა რომელიმე ხოლმეობითის მწკრივი, მაგრამ ასე არ ხდება, ერთ შემთხვევაში დადასტურდა მხოლოდ „არნ“ ზმნის აწმყოს ხოლმეობითის ფორმა, მაგრამ ასეთი ფორმები არ გვხვდება ხევსურულ დიალექტში.

ვითარება უფრო საინტერესოა მ. ჯავახიშვილის თხზულებაში „თეთრი საყელო“. მწერალმა რამდენიმე შემთხვევაში გამოიყენა II ხოლმეობითის მწკრივის ფორმები ხევსურული მეტყველების ილუზიის შესაქმენლად:

„ერთხელ კიდევ მოვიხედე. კოშკის თავზე მთვარე **ამოვიდის**“.

მოცემულ მაგალითში ზმნა **„ამოვიდის“** II ხოლმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელი და ბუნებრივი იქნებოდა მწერალს II თურმეობითის მწკრივი გამოეყენებინა: „ამოსულიყო“;

რადგან მოცემულ წინადადებაში კონტექსტი II თურმეობითის ფორმას მოითხოვს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში „ამოვიდის“ ზმნა არასწორადაა გამოყენებული — შინაარსობრივად მრავალგზისობა არ გამოიხატება.

შემდეგი ნიმუში:

„ისეთი ხელოსანი **„გამავიდის“**, რო ზოგჯერ ინჟინრის მაგივრობასაც ასრულდებდა“.

წინადადებაში II ხოლმეობითის მწკრივია გამოყენებული და ზმნა ბრჭყალებშია ჩასმული. კონტექსტის გათვალისწინებით II ხოლმეობითის — „გამავიდის“ ნაცვლად უნდა იყოს წყვეტილის ფორმა: „ამოვიდა“. ამ შემთხვევაშიც აშკარაა ხოლმეობითის მწკრივის გამოყენება ხევსურულის სტილის შესაქმნელად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კ. გამსახურდიას პროზაში არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა იმისა, რომ მწერალს გამოყენებინა ძველი ქართულის ხოლმეობითის მწკრივები, ხოლო მ. ჯავახიშვილთან ვხვდებით ხევსურული დიალექტისათვის დამახასიათებელ II ხოლმეობითის მწკრივის გამოყენების ფაქტს სტილის შესაქმნელად.

ლიტერატურა

არაბული, 1978 — ა. არაბული, მესამე ხოლმეობითი ხევსურულში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი 1978.

გოგოლაშვილი, 2010 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმათწარმოების საკითხები), თბილისი 2010.

შანიძე, 1945 — ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. სამი მწკრივის თავისებურება ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე VI, № 10, 1945.

ჩიქობავა, 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, 1948.

ჯავახიშვილი, 2010 — მ. ჯავახიშვილი „თეთრი საყელო“, ქართული პროზის საგანძური, 2010.

გამსახურდია, 1976 — კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენა“, თხზულებათა ანთომეული, IV, 1976.

Khatuna Kandashvili**Expressing repeated habitual actions in Modern Georgian**

(Based on the prose by K. Gamsakhurdia and M. Javakhishvili)

Summary

In the modern Georgian language, a repeated habitual action is no longer a morphological category. It is mainly expressed by using the particle **kholme**. The situation is the same in the prose by K. Gamsakhurdia and M. Javakhishvili. In order to create the illusion of Khevsurian speech M. Javakhishvili used the forms of Iterative II, being characteristic of this dialect. The story "White Collar" is very interesting with respect to these stylistic features. K. Gamsakhurdia used a lexical unit – "mravalgzis" ('repeatedly') to express repeated actions and to provide some archaic shades. Both instances are the demonstration of the writers' individual styles and do not have an impact on modern Georgian.

ნატო შავრეშიანი, მედეა სალიანი

განსაზღვრებითდამოკიდებულიანი ჰიპოტაქსისათვის სვანურში

დამოკიდებული წინადადებების ერთი ჯგუფი ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს და, შესაბამისად, დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია და სახელდებაც ამ წევრთა იდენტურია, განსხვავებით მეორე ჯგუფისაგან (სხვა სახის დამოკიდებული წინადადებანი), რომელთა სინტაქსური ფუნქციაც არ შეესაბამება წინადადების წევრებს.

წევრთა შესაბამისი დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, იმავე კითხვაზე პასუხობს, რომელზეც მის მიერ ასახსნელი წევრი.

მოხსენებაში განვიხილავთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს აღნიშნულ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს. მაგ.:

გაცხად, ამჟსგა მად არია ეჯი დინ'ე, ხედჷნადი ლათხელს მინს ხარხ დეშდსემი ზაჷ (ბზ., სვან. ქრესტ., 169:31-32) „მართლაც, ამაში არ არის ის გოგო, ე, რომლის ძებნაშიც მათ ცამეტი წელი გაატარეს („გა-ცხად-ებ-ულ-ად, ამაში არ არის ის გოგო, ე, რომლის ძებნას მათ აქვთ ათ-სამ-ი წელი“)“

კალთათოფესგა ხოდისგ მურგჷნლ მანთოს, ხედჷნადს ხაჷხა ცხჷიმში მგჷჷფი ი ქა ხაჷჷდი ჭიქ გჷჷში არაჷს (ბქ., სვან. ქრესტ., 175:2-4) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს, რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა არაჷს („კალათ-ის-კენ-ში უ-დ-ებ-ს მრგვალ მანეთ-ს, რომელსაც ჰქვია ტყვიის მაგიერი და აძლევს ჭიქა სავსე არაჷს“)“

ენიჩუ ორდი ეჭკაი მეგემ, ხედსი თხუმ ლგკანკულე ხერი (ლმზ., სვან. პროზ. ტექსტ., 36:7-8) „იქ იქნება ისეთი ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება („იქ იქნება ის-ყალიბ-ი მ-დგ-ომ-ი, რომელსაც თავი მო-კაკ-ულ-ი ექნება“)“

მელწხუიუ ხაუახა ეჯ მარას, ხედჷმა ლწეხოლი სკჷებინ ჩემიშდ ხუნკჷი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 76:1-3) „შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, რომელიც პირველი შეგხვდება წინ („შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, რომელიც შეგხვდება წინ ყველაზე პირველი“)“

მეზუბელდ ეჭკამ მანდენა ლახსაყუდრე, მამ მიჩწის გარ ხონლდა (ჩოლ.) „მეზობელმა იმისთანა რალაცა წამოაძახა, რაც მხოლოდ მისიანმა იცოდა („მეზობელ-მა ის-ყალიბ-ი რალაცა უ-საყვედურ-ა, რაც მისიანს მხოლოდ იცოდა“)“ და ა. შ.

ქართველურ ენებში განსახილველი დამოკიდებული წინადადება, როგორც ცნობილია, არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება“, რაც არნ. ჩიქობავას აზრით, სავსებით გასაგებია, ვინაიდან „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული წინადადება ქართულშიც წიგნური წარმოშობისაა და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს. მისი დაკვირვებით, ნაწილობრივ მსგავსი ვითარებაა სვანურშიც, თუმცა ამ მხრივ ზემოსვანურსა და ქვემოსვანურ დიალექტებს შორისაც არსებითი სხვაობა შეინიშნება (ჩიქობავა 1936, 184).

როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ქვემოსვანური დიალექტები, ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. განსხვავებაა თვით ზემოსვანურ დიალექტებს შორისაც. უნდა ითქვას, რომ **ხედჷმა** „რომელიც“ წევრ-კავშირის გამოყენებას დამოკიდებულ წინადადებაში ბალსქვემოური აშკარად თავს არიდებს (იშვიათად გამოყენებისას კი უნაწილაკოდ გამოხატავს მიმართებითობას), რითაც იგი მკვეთრად ემიჯნება სხვა დიალექტებს, მათ შორის ჩოლურულსაც, სადაც დასახელებული წევრ-კავშირი გაბატონებულია. მაგ.:

მი ეჭკალიბ ჰწმ მირდა, **ხედი** სამ ზაჷ ხეკჷეს ერე ჟ'ოხთინგლოჷა (ბქ.) „მე ისეთი მეუღლე მყავდა, რომელიც სამი წელი უნდა ვივლოვო („მე ის-ყალიბ-ი კაც-ი მყავდა, რომელიც სამ წელს უნდა რომ მო-ვ-ი-გლ-ოვ-ო“)“

მელქუერის ესერ ალ ნალჷჷურ ეჯ უისგხენქ'ესერ ახწესენა, **ხედი** ესერ ლგლჷანთედსგა ომშყედელი (ბქ.) „მეწისქვილეს ეს ვაჟი იმ ვაშლისგან ყყოლაო, რომელიც რუში ჩავარდაო („მეწისქვილესო ეს ნა-ვაჟ-ევ-ი იმ ვაშლისგან-ნო *დანაბადება, რომელიცო რუში ჩავარდნილა“)“ და სხვ.

თუმცა სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებში ნაწილ-აკადართული **ხედუნა** წევრ-კავშირის გამოყენების იშვიათი შემთხვევები ბალსქვემოურშიც დადასტურდა. ესენია:

კალთაძეძეგა ხოდისგ მურგუპლ მანათს, **ხედუნა** ხაუხა ცხტიმიშ მგქაფ ი ქა ხაჰტილი ჰიქ გუეში არასს (ბქ., სვან. ქრესტ., 175:2-4) „კალთაში უდებს მრგვალ მანეთიანს, რომელსაც ჰქვია გოგოს დასანიშნი ტყვიის მაგიერი და აძლევს ჰიქა არასს („კალათ-რის-კენ-ში უ-დ-ე-ბ-ს მრგვალ მანეთ-ს, რომელსაც ჰქვია ტყვიის მაგიერი და აძლევს ჰიქა სავსე არასს“)

ეჭ უსგარ ჩუაჟ ოხშიდ, **ხედუნა** ესერ ლგცთ-აშყეს, ეჯი ნომოჟ ანკიდ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 55:34-36) „ის ვაშლები ჩამოყარეო, რომელიც წყალში ჩაიყრება, ის არ აილოო („ის ვაშლ-ებ-ი ჩამოყარამცა, რომელიცო წყლ-რ-ი-კენ დავარდეს, ის ნუ-არ-მცა აილო“)

ნიშნად ეჯი ბადლუ ლახთონე, **ხედუნათე** ჯი გატს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა („ნიშნ-ად ის დამბალი აჩვენა, რომლ-რის-კენ თვითონ ქატო-ს ყრიდა“), რასაც ვერ ვიტყვით ჩვენ მიერ სავსე პირობებში მოძიებულ ემპირიულ მასალაზე, სადაც აღნიშნული ჰიპოტაქსური წინადადებები ან უკავშიროდ გვევლინება, ან სხვა მიმართებითი ნაცვალსახელები (ესჟა, ერჟა, მან „რომელიც“ და ა. შ.) ენაცვლება. მაგ.:

ესლრი, ესლრი ი სვაიდ ლახხტიდდ ეჯ მარე, ე, მიჩა მუხუბეს ოთ-ლორჟე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, მისი ძმა რომ მოატყუა („მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, მის ძმას მოატყუა“)

მარკუზან ხაუხა ეჯ ჰინჰილს, ე, შამფურის ხაჰონა ეი ლგწლაჟე ი შვილ ჩუქაქა ხაჩხინა (ბქ.) „მარკუზანი“ ჰქვია იმ ნაწლავს, ე, მოწალული შამფურზე რომ არის დახვეული და სხვენს ქვემოთ რომ არის გაჩხერილი („მარკუზანი ჰქვია იმ ნაწლავ-ს, ე, შამფურ-ს ახვევია მო-წალ-ულ-ი და სხვენ-ს“ ქვემოთ ა-ჩხერ-ი-ა“) და ა. შ.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ერთმანეთს შევადაროთ შემდეგი ილუსტრაციები, მაგ.:

ბზ. ლიმზგრ ჩუ ხედუნაში ეჯ მეზგა, **ხედუნა** მეზგაისგა ზურალ ჩუ ილუჟალ (სვან. ქრესტ., 1978, 38:24-25) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს („ლოცვა და-უ-შავ-დ-ე-ბ-ა იმ მოსახლეს, რომელ მოსახლემი-ც-ქალი იმშობიარებს“)

შდრ.ბქ. ლიმზგრ ჩუ ხედუნაში ეჯ მეზგა, მან მეზგაისგა ზურალ ჩუ ილუჟალ (ბქ.) „ლოცვა ჩაეშლება ხოლმე იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს („ლოცვა და-უ-შავ-დ-ე-ბ-ა იმ მოსახლეს, რა მოსახლემი-ც-ქალი იმშობიარებს“)

(„იმ-რაოდენობას დაგაბრუნებინებეთ ისიც უკან, რა-ხვავ-ი-ც მართებდათ თქვენებს“)“ და ა. შ.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში წვერ-კავშირებად იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს მიმართებითი ზმნიზედები. მაგ.:

აჩად, **იმგუა** ითხუწრ, ეჯ ადგილთე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 102:9) „წავიდა, სადაც ნადირობს, იმ ადგილას („წავიდა, სადაც **თხევ-ლ-ობ-ს**, იმ ადგილ-**ის¹-კენ**)““

ბიქუ **იმხენ** დემეგ ანლრი, ეჯ ფოყხენ ხომა ჯუედი ჭერს ადისგხ ითქიმ ი თევიმ ლწყულად (ბქ.) „საიდანაც ქარი არ შემოდის, იმ მხრიდან უზარმაზარ გრძელ ფიცარს დებენ მარცვლის და ბზის გასაყოფად („**ბუქი** საიდან არ მოდის, იმ მხრიდან დიდ გრძელ **ჭერ-ს** დ-ებ-ენ მარცვლის და ბზის გა-სა-ყოფ-ად“)“

აშხუ ლადელ, **შომანა** ლანადირთ'ესლგრდახ, ამნემ ხექე მიჩა მუხუბა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ერთ დღეს, როდესაც სანადიროდ მიდიოდნენ, ამან უთხრა თავის ძმას („ერთ **დღე-ს**, როდესაც სა-**ნადირ-ო-¹-ს¹-კენ** მიდიოდნენ, ამან უთხრა მის ძმა¹“)“

ეშიეში **ეჯი ლეცხეკს** ლახანგან, **იმნა** დესა ითხლლ გუიჯრა (ლშხ.) „მაინცდამაინც იმ ტყეს მიაღვა, სადაც არ იშოვებოდა წაბლის ხე („მაინც-მაინც იმ სატყეს მი-ა-**დგ-ა**, სადაც არ იშოვებოდა წაბლი“)“

ეჩქას ჰიმკარ ღვრიხ ლოქ ჯოდინა ლახუწრხო, ეჭკალი აგხო, **იმანჩუ** მარე დემ სიპ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 70:29) „მაშინ ჭინკები წავლენო ხოლმე შორეულ მთაში, ისეთ ადგილას, სადაც ადამიანის ნასახი არ არის („მაშინ **ჭინკ-ებ-ი** წავლენო შორეულ მთებში, იმ-**ყალიბ** **ალაგ-¹-ის¹-კენ**, სა-დაც-**ქვე** კაცი არ ტრიალებს“)“

შომატუნა მაშენე მაწუხ თეთრ, **ეჯ ზაა** მეყრენი ჩხენ კუანტ (ჩოლ.) „როცა ყველაზე მეტად მჭირდება ფული, იმ წელს მემართება ყველა მხრიდან ცული („როდესაც ყველაზე მეტი მჭირდება **თეთრ-ი**, იმ წელ¹ მემართება ყველადან **კვანტ-ი**)““

ხალმოშ ესტომდახ 'ეჯი ქორთე, ბეფში ლიკრლი **იმხენი** ისმლ (ჩოლ.) „ჩქარა გარბოდნენ იმ სახლისკენ, ბავშვის კივილი საიდანაც ისმოდა („რაც შეიძლებოდა ჩქარა მირბოდნენ იმ სახლ¹ის¹კენ, **ბავშვ-ი¹-ს¹** კივ-ილ-ი საიდანაც ი-**სმ-ოდ-ა**)““ და მისთ.

განსაზღვრებითდამოკიდებულისანი ქვეწყობილის მთავარ წინადადებაში მისათითებელ სიტყვებად გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც საზღვრული წვერის თანხლებით დასტურდება: **ეჯი|ეჯი|ეჯი|ეჯი** „ის, ამ“, **ალე|ალა|ალ** „ეს, ამ“, **ეჯკა|ეჯკა|ეჯკა|ეჯკა** „იქცალიბ|ეჯკალიბ|ეჯკალი|ეჯკალი-ლი|ეჯგუწარ|ეჯგუწარ|ეჯგუწარ|ეჯგუწარ“ „ისეთი, იმისთანა“, **ეჯიმა|ეჯიმა|ეჯი**

ეჭმაგ „იმდენი“, **ეჭზუ||ეჭზუმი|ეჩზუმი|ეჭზუმაში|ეჭშელდ||ეჩშელდ** „იმდენი, იმხელა“... მაგ.:

სგა ლახხხტიდხ **ალ მარა, ხედუშაძხან** მიჯნემ ალ გუემუ შნთონე ი ლოხბინე ამნემ ლილუჭარშლ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 224:27-28) „შეხვდენენ ამ კაცს, რომლისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა და დაუწყო ამან ვაჭრობა („შეხვდენენ ამ კაცს, რომლისგან თვითონ ეს საქმე ისწავლა და დაუწყო ამან **ვაჭრ-ობ-ა**““

ხედუშა ფეკუტნა ლიცს უდღშალ მეთრე, **ეჭ ფეკუტნას** ჩუადგარი, **ხედუშა** ერე მანგარშალ მეთრე, ეჩის (ეცს) ჩუ იცურე ი ჟი ირდი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 80:4-7) „რომელი ბოკვერიცილევკვიც წყალს ძაღლივით სვამს, იმ ლევკვს კლავს, რომელიც საქონელივით სვამს, იმას იტოვებს და ზრდის („რომელი ლევკვი წყალს **ძაღლ-ი**-ვით სვამს, იმ ლევკვს მოკლავს, რომელიც რომ მსხვილფეხა საქონელივით სვამს, იმას დაიტოვებს და გაზრდის““

საქმე გარჩეუათე ხეთხნობი **ეჭკამ მარას, ერე ხედისი ერე** სისწორე ხოხალ, იშგენ — დესმა (ჩოლ.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია, სხვა — არაფერი („**საქმ-ი**“ს⁷ **გარჩევ-ი**“ს⁷-კენ ეძებენ **იმ-ყალიბ** კაცს, რომ რომელსაც რომ **სისწორე** იცის, სხვა — არაფერი““

ეჭზუმაში გიმარ გულუა შუანს, **ერე** დესა ხტიდ ქა მუტურე (ჩოლ.) „იმხელა მიწები გვაქვს სვანეთში, რომ არ ვაპირებთ მიტოვებას („**ის-ზომა-ფართო** მიწები გვაქვს **სვანეთ-ს**, რომ არ ვართ მიმტოვებელი““

ეჭჟიშ ხილ ანდგრდა ეჩეჩუ, **ხედუშა** დწლს დემეგ... ეჭ ხილი გჰმი ჩუ მაშყიდ, ათხეა ჩუ მაშყიდ ეჭ ხილიშ გჰმ (კოდ. ტექსტ.) „ისეთი ხილი ხარობდა იქ, რომელიც კოდორის ხეობაში არ **“ხარობდა”**..., იმ ხილის გემოც მახსოვს, ახლაც მახსოვს იმ ხილის გემო („ისეთი **ხილ-ი** მოდიოდა იქ, რომელიც **დალ-ს** არა..., იმ **ხილ-ი-ს** **გემო-ც** ქე მახსოვს, ახლაც ქე მახსოვს იმ **ხილ-ი-ს** **გემო**““

ალას **ჟომუშაძდ ბინტყილ** ხად, **ეჩშელდ** ნუკუთი ლეზობ-ლეთრე იმწარი ტაბაგუი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 264:26) „ამას რამდენი ბურტყლიც ჰქონდა, იმდენნაირი საჭმელ-სასმელი მზადდებდა („ამას რამდენიც **ბურტყლ-ი** ჰქონდა, ის-რაოდენობა ნაირი საჭმელ-სასმელი მზადდებდა **ტაბლა-ზე**““

ქტყეყანაჟი დარ იზბი **ეჭმაგ ნაქამ ბალხარს, მამზუმსუშა** შუანარ თერხ ი იზბის (ლშზ., სვან. პროზ. ტექსტ., 247:23) „არსად არავინ ჰვამს იმდენ გარეულ ბალახს, რამდენსაც სვანები ცნობენ და ჰვამენ („**ქვეყანა-ზე** არავინ ჰვამს იმ ყველა ნაგარეთალ **ბალახ-ებ-ს**, რა-**ზომა-ს**“⁷-ც **სვან-ებ-ი** ცნობენ და ჰვამენ““ და ა. შ.

სვანურში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარ წინადადებაში არაა წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ნაცვალსახელები, რომელთაც კორელატის ფუნქცია აქვთ, თუმცა ისინი იგულისხმება და მათი აღდგენა

კონტექსტის მეშვეობით სავსებით შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება განმარტავს, განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემულ რომელიმე წევრს, რომელსაც საზღვრული წევრის ფუნქცია აქვს. მაგ.:

ახგუნს სგა **ეგ**¹ მეზგულს, **ხედუნა** ხეზგახ დაბდერს ჰოკერქა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 33:20) „მიადგნენ რიმ¹ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დაბდერის ძირას („შე-მო-ა-დგ-ნენ იმ მოსახლეებს, რომლებიც ესახლნენ დაბდერ-ს ფსკერზე“)“

მიშლაძელ ქუნტლუაჭრედ ქალაქისგა **ეგზუმ** ჩაფგლ ი ბარდან, **მაზუმუნა** ძს ნაწხენ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 80:26) „კვირას ვიყიდეთ ქალაქში იმდენი ფეხსაცმელი და ქსოვილი, რამდენიც გვჭირდებოდა („კვირა დღე-ს ვ-ი-ვაჭრ-ე-თ ქალაქ-ში ის-ზომა ჩაფგულა და ბარდანა, რა-ზომა-ც გვჭირდებოდა“)“

ეგ¹ ზეჭროლ ლოქ, **ხედუნა**სა ლემარდელიხ, ჩუ ლოქ ამეხტერ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 323:19-20) „რის¹ ხის სახლი, რომელშიც ყოფილან, დაინგრაო („ის ხის სახლით რომელშიც ნამყოფან, დანგრეულაო“)“ ...

სვანურის დიალექტებში განსახილველ ჰიპოტაქსურ წინადადებაში, უმეტესწილად, გამოიყენება **ხედ** (ლზხ., ჩოლ.)/**ხედა**||**ხედი** (ბქ.)/**ხედუნა** (ბზ., ჩოლ.)/**ხედიუნა** (ჩოლ.)/**ხედუნ** (ლნტ.)/**ხედუნ** (ლზმ.)/**ხედუნა** (ლზხ., ჩოლ.) „რომელიც“ მიმართები ნაცვალსახელი, ძირითადად, მაშინ თუ მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს, ან იგულისხმება **ეჯი**||**ეჯი** „ის, ამ“, **აღე**||**აღა**||**აღ** „ეს, ამ“ ჩვენებითი ნაცვალსახელები (ბალსქვემოურსა და ლახამულურ კილოკავში იშვიათად). მაგ.:

ამჩიქქა **ეგ** მარე ანგუნდ, ე, **ხედუნად** ბაბ ამჩუ აცტირ ი ხაქტ ბერულს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 354:29-30) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა („ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და უთხრა ბერ-ებს“)“

ნიშნად **ეჯი** ბადლუ ლახთონე, **ხედუნათე** ჯი გატს შიდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა („ნიშნ-ად ის დამპალი აჩვენა, რომელ რის¹კენ თვითონ ქატო-ს ყრიდა“)“

ხოლამდ ლოქ ხახლახ **ეგ** ტოჯახს, **ხედიხენქა** აგის ერ ასდენი, ჟი ლოქ აყრეხ (ლზხ., სვან. პროზ. ტექსტ., 75:30-31) „ცუდად ექცევიანო იმ ოჯახს, რომელი ოჯახიდანაც შინ რომ დარჩება ვინმე, გადაასახლებენო („ცუდადო ექცევიან იმ ოჯახს, რომლიდანაც ალაგა-ს ვინმე დარჩება, ა-ყრ-ი-ან-ო“)“

ალ სოფელალ, **ხედუნა** სკუტუნათ ალშელდანედ, მანგ ემხუ საზოგადოებახოდასკა ასხერდახ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 11:6-7) „ეს სოფლები, რომ-

ლებიც წელან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ („ეს **სოფლ**-ებ-ი, რომლებიც წინასწარ ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ **საზოგადოება**-ში შედიოდნენ“)“

ქმა **ალ** დინად ოთტიხ ღომტ ნიშან, **ხედიდ** ოთბგლტაჟე ლეჩჟერი (ჩოლ.) „დაბრუნებითაც ამ გოგომ დაუბრუნა უკან ნიშანი, რომელმაც დაუწუნა სასიძო („ამ გოგომ დაუბრუნა კიდევ უკან **ნიშან**-ი, რომელმაც დაუწუნა სა-სიძ-ო“)“ და მისთ.

აღნიშნული მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემოსვანურში იშვიათად მიემართება **ექკაი** „ისეთი“ კორელატის შემცველ მთავარ წინადადებასაც. მაგ.:

ეჩეჩუ ორდი **ექკაი მეგემ, ხედს** თხუმ ლგკანკულე ხერი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 36:7-8) „იქ იქნება იმისთანა ხე, რომელსაც თავი მოკაკული ექნება („იქ-ქვე იქნება ის-ყალიბ-ი მ-დგ-ომ-ი, რომელსაც თავი მო-კაკულ-ი ექნება“)“

ექკალი (**ექკალი**) მეგამპრს გარ იმაჯახ, **ხედუშა**ს ლიც ხენწროლ ი ლაცურაჟუმ პესდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 25:31) „ისეთ ხეებს ეზიდებოდნენ მხოლოდ, რომელსაც წყალი ერეოდა და მიაცურებდა („იმ-ყალიბ ხეებს მხოლოდ ეზიდებოდნენ, რომელსაც წყალი ერეოდა და **ცურ**-ვით წაიღებდა“)“ და სხვ.

განსაზღვრებითდამოკიდებულებიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში **ხედ** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით გვხვდება. დავასახელოთ მაგალითები:

სახ. ქანჯად ეჯი მარე, **ხედი|ხედუშა** სგობინ ხოჟოლტდახ (ჩოლ.) „გამოვიდა ის კაცი, რომელიც წინ მიუძლოდათ“

მოთხრ. შუკუჟინ ალ დნუ ლახხტიდხ-ა, **ხედუშანემ** მინე მუ ადდნუმე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ. 407:6-7) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, აი, რომელმაც მათი მამა დაღუპა („**შუკა**-ზე ეს **დევი**-ი შეხვდათ, აი, რომელმაც მათი **მა-მა** და-ა-შავ-ა“)“

მიც. უქმი მუკუშე მეზგე ... ქა იჯდა ზედმეტს ედ ლაძმას, ედ ეშხუ საწურიან არაყს, **ხედის** ქანჭემნახ ლეთუნად ჩის (ლშხ., სვან. ქრესტ., 244:2-3) „უქმე დღეების გამტეხი ოჯახი იხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ ჩარექა არაყს, რომელსაც ჩამოატარებდნენ და ყველას შესთავაზებდნენ ხოლმე („**უქმ**-ი¹ გამტეხი მოსახლე გადაიხდიდა ზედმეტს ან საკლავს, ან ერთ **სა-წურიან არაყ**-ს, რომელსაც ჩამოუტარებდნენ დასალევად ყველას“)“

ნათ. ქანტულეხ მარას, **ხედმიშ** ხოშა ხაჯრაჟუნ (ჩოლ.) „დაუძახეს იმ კაცს, რომლისაც უფრო სჯეროდა („გამოუძახეს კაცს, რომლის უფრო **ს-ჯერ**-ოდ-ა“)“, შდრ. ბქ. **ესუშაშ** ხოშილ ხეჯრაჟანხ, **ეჯ მარა** ახტუილხ ქა „ვისიც უფრო სჯეროდათ, იმ კაცს დაუძახეს („ვისიც უფრო **ს-ჯერ**-ოდ-ათ, იმ კაცს გამოუძახეს“)“ და ა. შ.

ხშირად დასახელებული მიმართებითი ნაცვალსახელი გვევლინება თანდებულდართული, ვინაიდან იგი ხსნის მთავარში თანდებულისან საზღვრულს, თუმცა იშვიათად საზღვრული შეიძლება არ იყოს თანდებულისანი. მაგ.:

სგ'წინდ **ეჯ ქორთესგა, ხედუნათესგა** ხელწიფ ლსტუ მწიზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 220:33-34) „იმ სახლში შევიდა, რომელშიც ხელმწიფე უნდა შესულიყო („შევიდა იმ სახლ'ის'კენში, რომლ'ის'კენში **ხელმწიფე** იყო მსვლელი)“

ბიქტ **ხედუნახან** მომ'ანდრი, **ეჯ ფოყხან** ხომამ ჯოდი ჭერს დესგის ითქიმ ი ტევი ლწყულად (ბზ., სვან. ქრესტ., 119:27-28) „საიდანაც ქარი არ შემოდის, იმ მხრიდან უზარმაზარ გრძელ ფიცარს დებენ მარცვლის და ბზის გასაყოფად („**ბუქი** საიდან არ მოდის, იმ მხრიდან დიდ გრძელ **ჭერ**-ს **დ**-ებენ მარცვლის და ბზის **გა-სა-ყ-ოფ-ად**)“

ნიშნად **ეჯი** ბადლტ ლახთონე, **ხედუნათე¹** ჯი გატს შიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა („**ნიშნ**-ად ის დამპალი აჩვენა, რომლ'ის'კენ თვითონ **ქატო**-ს ყრიდა)“

ეჯ მურყუამ, ე, **ხედუნახგა** სგა ლხხსად მარე ი თათრლდ ლალუმ ოხდებ, ლდრ ჩუ ლგ ლახრი ლექტუ პილს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1:23-24) „ის კოშკი, ე, რომელშიც კაცი შერჩა და თათრებმა ლალუმი შეუდეს, დღესაც დგას ლახირის ბოლოს („ის კოშკი, ე, რომელშიც შერჩა კაცი და **თათრ**-ებმა **ლალუმი**-ი შე-უ-დ-ეს, დღესაც ქე **დგ**-ა-ს ლახირი'ს' ქვემო **პირ**-ს“)“ ...

სხვადასხვა ბრუნვის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს **მანუმინ||მანუმტუნა||მანუმტუნა||მაჯუმინ||მაჯუმინ** „რამდენიც, რამხელაც“ **ყოშა||ყოშა||ოშა** „რამდენიც“ მიმართები ნაცვალსახელებიც, რომელთა გამოყენების თვალსაზრისით თითქმის ერთნაირი სურათი გვაქვს სვანურის ყველა დიალექტში. მაგ.:

მანუმტუნა ხეკუნდხ ლტინალ, **ეჩუმს** ჯიდახ ქამენჩუნ ი ჩუ ითრახ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 82:6) „რამდენიც უნდოდათ ღვინო, იმდენი გამოჰქონდათ გარეთ და დალევდნენ ხოლმე („**რა-ზომა**-ც ე-**ნუკვ**-ო-დ-ათ **ღვინო**, იმ-**ზომა**-ს მოიტანდნენ გარე-**ქვე** და დალევდნენ“)“

ეჩანლო **ეჯუმ** ხეკუნეს ალაქტუცად ჩუქანქა, **მანუმტუნახ** ლალათერდ ფაყუდაქდ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 32:23) „მერე იმდენი უნდა მოვაჭრათ ქვემოდან, რამდენსაც შევატყობთ საქუდედ („მაშინს მერე ის-**ზომა** უნდა მოვაჭრათ ქვემოდან, **რა-ზომა**-'სა'-ც შევატყობთ საქუდედ“)“

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღევანდელი მონაცემების მიხედვით **ხედუნათე**ს ნაცვლად ბალსქვემოელები ხმარობენ **იმთეახგა** „რომელშიც (ზედმიწ. — საითკენში)“ ფორმას.

კირი მგენლა **მაზუმსი** ხუადს აჩდინის კირი თექს, **ეჯუმშუ** ხომა წიად თექ ხეფსი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 177:19) „კირის დამყენებლები რამდენსაც უფრო ზელდენ კირის დულაბს, იმდენად უფრო კარგი დულაბი გამოდიოდა („კირ-ი^ს მ-დგ-მ-ელ-ებ-ი რა-ზომა-^{სა}-ც ბევრს ურევდენ იქნება დულაბს, იმ-ზომ-ით დიდი წიად-ი დულაბი გამოდის“)“

ჟოშუა დენ ქუნ ამსუალდ ქორს ჯეყენოლ, ქა ხექტინ მორგატას ი **ერშელდ** მერუ სეფსკუტერს ი ხენსგა ჩარექად ლეთრას ლაჯონდა ი ათდესინ აგითე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 10:14) „რამდენი ადამიანიც გეყოლებოდა ოჯახში, ეტყოდი ჩამომრიგებლებს და იმდენ ორ სეფსკვერს და ნახევარ ჩარექა სასმელს მოგცემდა და წაიღებდი სახლში („რამდენი-ყე სული ადამიანი სახლს გ-ე-ყოლ-ებ-ოდ-ა, ეტყოდი და-მ-რიგ-ებ-ლ-ებ-ს და იმ-რაოდენობა ორ სეფსკვერ-ს და ნახევარ ჩარექა სასმელს მოგცემდა და წაიღებდი ალაგ-^{ის}-კენ“)“

ფურალე ლისელტე **ჟოშამ** ხამედახ, **ერშელდს** გარ ირდუნეს (ლშხ., სვან. ქრესტ., 265:5) „რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ („ფურ-ებ-ი^ს რჩენა რამდენის ე-იმედ-ებ-ათ, იმ-რაოდენობას მხოლოდ იყოლიებენ“)“

ალ მურყუამთეჟი **ჟოშუად** მოშ მარე ხასკდა, **ერშელდს** ჟი ღერის... (ლშხ., სვან. ქრესტ., 215:14) „ამ კოშკზე რამდენი კაციც ეტეოდა, იმდენი ავლენ („ამ კოშკ^{ის} კენზე რამდენიც კაცი ეტეოდა, ის-რაოდენობა ავლენ“)“

კარტოფილი ფათქს აბერჯახ **ეჯუმს**, **მაზუმშუა** ხეჭუნს ქა მარად (ჩოლ.) „კარტოფილის ორმოს თხრიდნენ იმხელას, რამხელაც სამყოფად მიაჩნდათ („კარტოფილ-ი^ს ორმოს თხრიდნენ იმ-ზომა-ს, რა-ზომა-ც მიაჩნდათ სამყოფად“)“

მაზუმშუადი მარემი ქუინ ხოჯუმს, ეჯუმს იშგონ წორს (ჩოლ.) „რამდენადაც უღირთ კაცის სული, იმდენს ითხოვენ სისხლის საფასურსაც („რა-ზომა-^{და}-ც კაცის სული უღირთ, იმ-ზომა-ს ითხოვენ სისხლის საფასურსაც“)“

ჟოშასი ლემედენა, ეჯუმლ მეშოკ გატს ხაცუემდა ჟი (ჩოლ.) „რამდენსაც შეძლებდა, იმდენ ტომარა ქატოს აჰკიდებდა ხოლმე („რამდენსაც მო-იმედ-ებ-დ-ა, ის-რაოდენობა მეშოკ ქატო-ს აჰკიდებდა“)“ და სხვ.

მიმართებითი ნაცვალსახელების (აგრეთვე, მიმართებითი ზმნიზედების) ფუნქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ შემოიფარგლება მხოლოდ მაქვემდებარებელ კავშირთა ფუნქციით, ისინი დამოკიდებული წინადადების წევრებსაც წარმოადგენენ და, ამასთანავე, სინტაქსურ კავშირს ამყარებენ წინადადების სხვა წევრებთან.

წევრ-კავშირად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი სინტაგმას ქმნის ზმნა-შემასმენელთან და მასვე უწევს ანგარიშს ბრუნვაში (ანუ იმართვის ბრუნვაში დამოკიდებული შემასმენლის მიერ). მიმართებითი ნაცვალსა-

ხელი სინტაქსურ კავშირშია, ასევე, მისამართ სიტყვასთან, მიმართებითი ნაცვალსახელი კი ხშირ შემთხვევაში ასახსნელ წევრს უთანხმდება რიცხვში. მათანხმებელი მისამართი სიტყვაა, შეთანხმებული — მიმართებითი ნაცვალსახელი. აღნიშნული სინტაქსური ურთიერთობა (რიცხვში შეთანხმება) საინტერესო და ამავე დროს სპეციფიკურია იმდენად, რამდენადაც მათანხმებელი და შეთანხმებული სხვადასხვა წინადადების წევრებია.

მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) მისამართ სიტყვას (ასახსნელ წევრს) უთანხმდება ფორმის მიხედვით (რიცხვში) ან აზრობრივად. ფორმის მიხედვით შეთანხმებისას წევრ-კავშირი იმავე რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც მისამართი სიტყვა. ხოლო აზრობრივი, ანუ შინაარსობრივი შეთანხმებისას მისამართი სიტყვის მნიშვნელობაა გადამწყვეტი და შესაბამისად მიმართებითი ნაცვალსახელიც ასახსნელ წევრს მნიშვნელობის მიხედვით უთანხმდება.

აღნიშნული სინტაქსური ურთიერთობის შესახებ სვანურში სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული იყო ნ. აბესაძის მოსაზრება, რომ სვანურში მრავლობითი რიცხვის ფორმა არც ერთ მიმართებით ნაცვალსახელს არა აქვს და ამდენად მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმების საკითხი მოხსნილია. რჩება მხოლოდ აზრობრივი შეთანხმება მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილ მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელ-ზმნას შორის... (აბესაძე 1960, 115-145).

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის ამ მოსაზრებას შემდგომში არა ერთი მეცნიერი (არ. მარტიროსოვი, ლ. კვანტალიანი, ა. კიზირია...) იმეორებდა, ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან როგორც სვანური მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალის კვლევამ აჩვენა, **მიმართებით ნაცვალსახელებს როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილაკდართულს მოეპოვება მრავლობითი რიცხვი ექვსივე ბრუნვაში. მათ შორის ბალსქვემოურ დიალექტებშიც კი, სადაც იშვიათობაა ხელუა „რომელიც“ წევრ-კავშირი, თუმცა ბალსქვემოური მიმართებითობას უნაწილაკოდ გამოხატავს.**

(იხ. ნ. შავრეშიანი — „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა სვანურში“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი, 2012).

მიმოვიხილოთ როდის ან რა შემთხვევაში გვაქვს სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის რიცხვში შეთანხმება.

თუ მთავარ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით განსასაზღვრი სახელი მხოლოდით რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდითშია:

ათხ'ამეჩუნ ანვანდ **ალ ჭყინტ, ხედუნა** ერე ლი მიჩა გეზლან ჭვამ ი ქ'ონონბტე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 219:24-25) „ახლა ადგა ეს ბიჭი, რომელიც არის მისი შვილის მეუღლე და მოუყვა („ახლა აქ მოვიდა ეს ბიჭი, რომელიც რომ არის მისი შვილის ღმარი და უამბო“)

ალ ლავუნმისკა არი ეშხუ **ჟოქურე ხატ, ხედუნა**სა ხახატაჟა იესო ქრისტე ი მიქელ გაბრიელ თაჟარანგელოზარ (ბზ., სვან. ქრესტ., 295:13-14) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები („ამ სალოცავში არის ერთი **ოქროს-ხატი**, რომელშიც **ა-ხატი**-ი-ა **იესო ქრისტე** და **მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზ-ებ**-ი“)

ეჯკლიბ პანტიუ ხწყერ, მკკლიბ ტნრგს ხეშგდიჟ (ბქ.) „იმისთანა პატივი სცა, როგორც ბატონს ეკადრებოდა („**ის-ყალიბი**-ი პატივი-ი დამართა, რა-კალიბ-ი-ც ბატონს ეკადრებოდა“)

ეჯკა ლეზობ ანმარე, **მაკაიბი** ხამქადენ ნამეზნარაჟ ღჟაჟარდ (ჩოლ.) „ისეთი საჭმელი გაამზადა, როგორც ემეტებოდა ნამეზავრი კაცებისთვის („**ის-ყალიბი**-ი საჭმელი გაამზადა, რა-კალიბ-ი-ც ემეტებოდა **ნამეზავრი ვაჟ-ებ**-ად“) და სხვ.

როდესაც განსასაზღვრი სახელი სულიერი, ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია და მრავლობით რიცხვშია, მრავლობითშია მიმართებითი ნაცვალსახელიც სვანურის თითქმის ყველა დიალექტში. მართალია, სვანურ პუბლიკაციებში მსგავსი მაგალითები არ დადასტურებულა, თუმცა ცოცხალ მეტყველებაში იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება. მაგ.:

ხოჩა ლუმუჟ ვანარ ი **ხოჩა ვანარ, ხედმარ** ერე ხოშა თაჟარ ლიხ, ლომგმანჟ აგნეხ მახურენე ვანნლარს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 224:2-5) „კარგი რქიანი ხარები და კარგი ხარები, რომლებიც რომ მთავარი არიან, უკან აყენებენ უმცროს ხარებს („კარგი რქიანი **ხარ-ებ**-ი და კარგი **ხარ-ებ**-ი, რომლებიც რომ **მ-თავარ**-ი არიან, უკან **ა-დგ**-ამენ პატარა **ხარ-უკ-ებ**-ს“)

აჩად დემდჟ **ეჯი დავლართე, ხედიარ** თხნრედ ხათონე (ლშხ.) „წავიდა დათვი იმ თხებთან, რომლებიც მგელმა მიასწავლა („წავიდა **დათვი** იმ **თხ-ებ**-ის-კენ, რომლებიც მგელმა მიასწავლა“)

ჩ'ოსწუნენ **კოჟოლ ბოფშნლარ, ხედმარსი** ნაქტთარ ჟისკულარ ხოყდნანნხ (ჩოლ.) „დავინახე პატარა ბავშვები, რომლებსაც მოპარული ვაშლები ეჭირათ („დავინახე პატარა **ბავშვ-ებ**-ი, რომლებსაც **ნა-ქურდ-ალ-ი ვაშლ-უკ-ებ**-ი ეკავათ“)

მახუაინ ოთვრენ **ეჯკაჟ ჯრდი ლეთკუარალიჯ** ემყოღტან, **მმზუმუარ** ზაურის ოხყიდა ქუთაშ (ჩოლ.) „რამდენჯერ შეგვხვეწე ისეთი გრძელი სათოკები გამომიყოლე-მეთქი, როგორებიც ზაურის უყიდა ქუთაისში („რამდენჯერ

შევეხვეწე ის-ყალიბ-ი გრძელი სა-თოკ-ე-ებ-ი-მეთქი გა-მო-მ-ი-ძღვ-ან-ე, რა-ზომ-ებ-ი-ც ზაურ-ს უ-ყიდ-ი-ა ქუთაის-ს““

ჟ'ესთიმ 'ექჰაჲ' ლერქჷალ, მაკაიბარნ ციციდ ეჯქებინე (ჩოლ.) „აარ-ჩიე 'ისეთი' ტანსაცმელები, როგორებიც ციციმ გიქო („აირჩიე ის-ყალიბ-ი სამოსელები, რა-ყალიბ-ებ-ი-ც ციცი-იმ გ-ი-ქ-ო“)“...

სგა ლამხტიდდახ სოფლიშ ბოფშარ, ხედოლუს მი ხტეთხელიდს (ბქ.) „შემხვდნენ სოფლის ბიჭები, რომლებსაც მე ვეძებდი („შემხვდნენ სოფლ-ის ბავშვ-ებ-ი, რომლებსაც მე ვეძებდი“)“

ხოჩა სიმაქარ ი მანხელჷაჷარ, ხედოლუ ხოშილ თერგნხ სოფელისგა, მვ ლწეს ლსსტხ ქუერწილთე (ბქ.) „კარგი გოგო-ბიჭები, რომლებიც უფრო გამოირჩეოდნენ სოფელში, ყველანი დაპატიუებული იყვნენ ქორწილში („კარგი ქალიშვილები და ახალი-ვაჟ-ებ-ი, რომლებიც უფრო მეტად ჩანდნენ სოფელ-ში, ყველა დაპატიუებული იყვნენ ქორწილ-ის-კენ-ში“)“

ხოჩა ვანარ, ხედოლუ ხომა თაჷარ ლიხ, ლემგმაჷ აგნეხ მაჷენ ვან-ილდარს (ლახამ.) „ კარგი ხარები, რომლებიც მთავარი არიან, უკან აყენებენ უმცროს ხარებს“ და ა. შ.

უსულო საგნის აღმნიშვნელი განსასაზღვრი წევრი მრავლობითშია, მი-მართებითი ნაცვალსახელი მხოლობითშია სვანურის ყველა დიალექტში. მაგ.:

ამჷენ ახჷიმხ ეჯ მეზგალს, ე, ხედჷანჷანჷა ნაქტთარ ბარგ ხულტეხ (ბზ.. სვან. ქრესტ., 19:1-3) „ასე დაყვებიან იმ ოჯახებს, ე, საიდანაც მოპარულ-ი ნივთები აქვთ („ასე მოსდევენ იმ მოსახლეებს, ე, რომლიდანგა ნა-ქურდ-ალ-ი ბარგ-ი აქვთ“)“

ჩუადგე ექჰაიბ ქორალ, იმკაიბნ მეფესნ მრ ხულტან (ლზხ.. სვან. პრზ. ტექსტ., 71:21-22) „მერე მოვიდა ის ბიჭი და ააშენა იმისთანა სახლი, როგორიც მეფესაც არ ჰქონდა („იმის მერე მოვიდა ის ბიჭი და და-დგ-ა ის-ყალიბ-ი სახლები, რა-ყალიბ-ი-ც მეფე-ს-ა-ც არ ჰქონდა“)“

ალ სოფელანლ, ხედჷანჷ სჷტებნაჷ ალშელდანედ, მვ ეშხუ საზოგადო-ებახმესკა ასხგრდან (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 11:6-7) „ეს სოფლები, რომ-ლებიც წელან ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ („ეს სოფლ-ებ-ი, რომლებიც წინასწარ ჩამოვთვალეთ, ყველა ერთ საზოგადო-ება-ში შედიოდნენ“)“ ...

გვაქეს შემთხვევები, როდესაც უსულო საგნით გამოხატული განსასა-ზღვრი წევრი ითანხმებს რიცხვში მიმართებით ნაცვალსახელს:

ამჷი ახჷიმდახ ეჯ მეზგოლს, ხედოლუხენჷა მოლაგტაშ ენჷინდახ (ბქ.) „ასე მოყვებოდნენ იმ ოჯახებს, რომლებსიგანაც რაღაცას მოელოდნენ („ასე მოყვებოდნენ იმ მოსახლეებს, რომლებსიგან რაღაც საქმეს ელოდებოდნენ“)“

ქა ლეცტრე ხნდახ **ეჯ სოფლარ, ხედარსი** ჟაფობ ხენტუნებ (ჩოლ.) „მისატოვებელი გაუხდათ ის სოფლები, რომელთაც ზვაგიანობა ემუქრება („მისატოვებელი ჰქონდათ ის **სოფლ-ებ-ი**, რომლებსაც **ზვაგ-იან-ობ-ა** ემუქრება“)“

ქა ტზეხე **ეჯ ნაგერგალარს, ხედარაჟში** ემხტარ ხარცხტე ხალხს (ჩოლ.) „გაამხელს იმ ნალაპარაკეებს, რომლითაც ერთმანეთს მიაწყვეტს ხალხს („გააბრუნებს იმ ნალაპარაკეებს, რომლებითაც ერთმანეთს ახოცავს **ხალხ-ს**“)“ და სხვ.

როდესაც მთავარ წინადადებაში განსასაზღვრ წევრს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელები (**ხუნა** „ბევრი“, **მანხუნა** „ცოტაოდენი“, **ქუეყანა** „უამრავი“, **ქოყანამაგ** „მრავალი“...), ძველი ქართულის მსგავსად, საზღვრული (ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვა) შეიძლება მხოლობითშიც იყოს და მრავლობითშიც, ხოლო სვანურში მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში იქნება. მაგ.:

ჩ'ოსწუნენ **ქოყანამაგ ბოფშარ, ხედარსი** ნაქუთარ ტისკულარ ხოყდნანს (ჩოლ.) „დავინახე უამრავი ბავშვები, რომელთაც მოპარული ვაშლები ეჭირათ („დავინახე **ქვეყანა-ყველა ბავშვ-ებ-ი**, რომლებსაც **ნა-ქურდ-ალ-ი ვაშლ-უკ-ებ-ი** ეკავათ“)“

აშუტლუდახ **მანხუნა ზურლან, ხედარაჟა** ოთბაცხ სგობნე ლადელ ლიმურჯი (ჩოლ.) „რამდენიმე ქალი რეცხავდა, რომლებიც შეპირდნენ წინა დღეს დახმარებას („რეცხავდნენ არაბევრი ქალები, რომლებმაც დაპირდნენ წინა დღე[ს] დახმარება“)“

ჟი ლუზტრე ლას **ხუნა ზურან, ხედარან** ხოლა მნმან ანსყეხ (ჩოლ.) „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ხმაური ატეხეს („შე-ზორ-ებ-ულ-ი იყო ბევრი ქალი, რომლებმაც ცუდი ხმაური გააკეთეს“)“, თუმცა ბალსქვემოური ამ შემთხვევაშიც არღვევს რიცხვში შეთანხმების საკითხს [შდრ. ბქ. ჟი ლუნჭურე ლანსუხ **მასარდ ზურალან, ერჟად** მერმე სობ ანსყეხ „შეგროვილი იყვნენ ბევრი ქალები, რომლებმაც ერთი ამბავი ატეხეს („შეგროვილი იყვნენ ბლომად ქალები, ვინც მე-ორ-ე მოსვლა გააკეთეს“)“].

ხშირად განსასაზღვრი წევრი კომპოზიტს (ე. წ. ტოლადშერწყმულ სახელს) წარმოადგენს, ამ შემთხვევაში მიმართებითი ნაცვალსახელი ხან მრავლობითშია, ხან მხოლობით რიცხვში:

მაგ ხეტბიდალ **ეჯი ასუიშ-ნიბაშილს, ხედიარ** ნათი-მგნათას ხედლებხ (ლშხ.) „ყველა ეფერება იმ გათხოვილ ქალებს და მათ შვილებს, რომლებიც ნათესაობის სახელზე ლოცულობენ („ყველა **ე-თბილ-ებ-ა**“ იმ **ასულ-ბადიშ-ს**, რომლებიც **ნათესა-ობ-ა-ს დიდება-ს** უგზავნიან“)“

ჟი ლოქ ქხითხ გუშკტე **დედე ი მამა, ხედანად** ერე ნა მანენე კლანთხი სემი კოჯინ აგუტუირხ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 305:1-2) „მოდებნეო ჩვენი

დედა და მამა, ვინც ჩვენ ყველაზე მაღალ სამ კლდეზე დაგვტოვა („იპოვეო ჩვენი **დე-და** და **მა-მა**, რომელმაც რომ ჩვენ ყველაზე მაღალ **სამ** კლდეზე დაგვტოვეს“)

არდახ ეშხუ **მეჩი ესჷ-ჭჷშ**, **ხედჷწჷმ** მინე ბედჷი მნდმა ხებადაუნდახ ეშხუ ქათალსერ (ლნტ., სვან. ქრესტ., 328:34-35) „იყო და არა იყო, იყო ერთი ცოლ-ქმარი, რრომელთაც ერთი ქათმის მეტი არაფერი გააჩნდათ („იმყოფებოდნენ ერთი ცოლ-ქმარი, რომელსაც მათ **ბედ**-ზე არაფერი **ე-ბად**-ათ ერთი **ქათმ**-ის⁷ მეტი“)

ლახმუშგურნახ **ეჯ დი-გეზალ**, **ხედიარსჷწჷმ** ღომინ ლფფეთე ხალხ ხაჭმა (ჩოლ.) „ესტუმრათ თურმე ის დედა-შვილი, რომელთაც უკან დაბეზღებული ხალხი მოყვებოდათ („ნასტუმრებათ ის **დე-და**-შვილი, რომლებსაც უკან **ფეთ**-იან-ი **ხალხ**-ი ნადვენა“)

განსაზღვრებით დამოკიდებულ ჰიპოტაქსურ წინადადებაში მიმართებითი ნაცვლასახელი არ შემოიფარგლება მხოლოდ კავშირის ფუნქციით, ის შეიძლება წინადადების სხვადასხვა წევრის ფუნქციით მოგვევლინოს, ყველაზე ხშირად ქვემდებარისა და უბრალო დამატების ფუნქციით დასტურდება. მაგ.:

ქვემდებარის ფუნქციით:

ათხ'ანმეჩუნ ანჯანდ **ალ ჰეინტ**, **ხედჷწჷმ** ერე ლი მიჩა გეზლან ჰჷშ ი ქ'ონონბჷტე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 219:24-25) „ადგა ეს ბიჭი, რომელიც მისი შვილის მეუღლეა, და უამბო („ახლა აქ მოვიდა ეს ბიჭი, რომელიც რომ არის მისი შვილის ქმარი, და უამბო“)

ლახჷისგა **ეჯი მეთხჷწარს** ხეწად, **ერჷად** მიჩა თჷფე ედჷჷით (ბქ.) „მთაში ის მონადირე დაინახა, რომელმაც მისი თოფი მოიპარა („მთაში იმ მონადირეს შეხვდა, ვინც მისი **თოფ**-ი მოიპარა“)

შუკჷჷჷნ **ალე დანუ** ლახხჷრდახ, **ხედინჷმინ** მინე მუ ადდაგრე (ლშხ.) „გზაზე ეს დევი შეხვდათ, რომელმაც მათი მამა მოკლა („**შუკა**-ზე ეს **დევი** შეხვდათ, რომელმაც მათი **მა-მა** მოკლა“)

ღომკიმპილს **ეჯ ზურალ** ანჯიდხ, **ხედჷწჷმ** შუკჷისა ხაბგდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 219:24-25) „ბოლოს ის ქალი მოიყვანეს, რომელიც გზაში იყო დაბმული („ბოლო-პირ-ს ის ქალი მოიტანეს, რომელიც **შუკა**-ში **ე-ბ-ა**“)

ეშდეშნ **ეჯი ყორს** ხოძგარ, **ხედნ** დემ იკრენოლ (ჩოლ.) „მაინცდამაინც იმ კარს დაეტაკა, რომელიც არ იღებოდა („ისეისემც იმ კარს და-ე-ძგერ-ა, რომელიც არ იღებოდა“)

პირდაპირი დამატების ფუნქციით:

აჩად დანუტჷ **ეჯ დანჯარხო**, **ხედჷწჷმ** თხერედ ხათონე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 123:8-9) „დათვი წავიდა იმ თხებთან, რომლებიც მგელმა მისაწავლა („წავიდა **დათვი**-ი იმ **თხ**-ებ-ის⁷-კენ, რომელიც მგელმა მისაწავლა“)

ამ დღერეს **ბეფშ, ხედუნა** ლიცხომსა ადაკუპარხ ფუსტე ხომა ლთელ-ლეღრდ, ჟახახეიდა მულეგუტერის ი ჟანირდე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 259:7-8) „ამ დროს ბავშვი, რომელიც წყალში ჩააგდეს ბატონის უფროსმა რძლებმა, მეწისქვილემ იპოვა და გაზარდა („ამ დროს ბავშვი, რომელიც წყალში კენში ჩააგდეს ბატონის დიდმა რძლებმა, ეპოვა მეწისქვილეს და გაზარდა“)“ ...

ირიბი დამატების ფუნქციით:

ყორქა ლაზუი დადა ხეწად ხემწიფემ **ხეხუს, ხედუნას** ერე მავ ნაშხუს ქატბენა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 49:32-33) „გარეთ გასვლისას მოხუცმა ქალმა დაინახა ხელმწიფის მეუღლე, რომელსაც ყველა აფურთხებდა („კარში სვლისას ბებიაში შეხედა ხელმწიფის ცოლს, რომელსაც რომ ყველა ნაფურთხს აფურთხებდა“)“

ათხე ალე **ქაქაოზ მეფედ** ენმევრე, **ხედისი** როსტომ ხემსახურდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 118:11-12) „ახლა ეს რიმი ქაქაოზ მეფემ გაიგო, რომელსაც როსტომი ემსახურებოდა („ახლა ეს ქაქაოზ მეფემ გაიგო, რომელსაც როსტომი ემსახურებოდა“)“ ...

უბრალო დამატების ფუნქციით:

ამუნ ახჰიმხ **ეჯ მეზგაღს**, ე, **ხედუნაძანქა** ნაქტთარ ბარგ ხელტუენ (ბზ., სვან. ქრესტ., 19:1-3) „ასე მოყვებიან იმ ოჯახებს, საიდანაც აქვთ მოპარული ნივთები („ასე მოსდევენ იმ მოსახლეებს, ე, რომლიდანა ნაქურდ-ალ-ი ბარგ-ი აქვთ“)“

სგაზად **ეჯ ქორთესგა, ხედუნათესგა** ხელწიფ ლსტუ მუზი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 220:33) „შევიდა იმ სახლში, რომელშიც ხელმწიფე უნდა შესულიყო („შევიდა იმ სახლში კენში, რომელშიც ხელმწიფე იყო მსვლელი“)“

ალ ლავტუმისკა არი ემხუ **ჟოქურე ხატ, ხედუნასა** ხახატატა იესო ქრისტე ი მიქელ გაბრიელ თათარანგელოზარ (ბზ., სვან. ქრესტ., 295:13-14) „ამ ეკლესიაში არის ერთი ოქროს ხატი, რომელსაც ახატია იესო ქრისტე და მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები („ამ სალოცავში არის ერთი ოქროს ხატი, რომელშიც ახატი-ი იესო ქრისტე და მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზ-ებ-ი“)“

კიბღონისა ხაშხუნენა **ეჯი ხანჯალ, ხედინოჟუში** ჟარგს ოხხანეხ ყია (ჩოლ.) „კიბღობანში ჰქონია შენახული ის ხანჯალი, რომლითაც ყელი გამოლადრეს ბატონს („კიბღობანში შენახვანა ის ხანჯალ-ი, რომლითაც ბატონს გამოლადრეს ყია“)“ და მისთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებითდამოკიდებულებიან ქვეწყობილ წინადადებაში, ზემოსვანური დიალექტები **დერუნა||დერუნად||ერუნა||ესუნა||ესუნა** „ვინც“ მიმართებით ნაცვალსახელს ანიჭებენ უპირატესობას

(რომელიც სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულოანი ფორმით დასტურდება), განსხვავებით ქვემოსვანური დიალექტებისაგან, სადაც განსაზღვრებითადმოკიდებულიანი ჰიპოტაქსურ წინადადებაში, აშკარად, დომინირებს **ხედუწა** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი.

თვალსაჩინოებისათვის შევეცდებით წარმოვადგინოთ რამდენიმე ილუსტრაცია სვანურის დიალექტების მიხედვით:

ქუნარ, **ერუწა** ლეჯგირ ტერჟინ ხემდლუწანს, დემ ესერ იხნის იშგან ქუინს (ბზ., სვან. ქრესტ., 40:12-13) „ის¹ სულეები, ვინც ნაკურთხ მიწაზე იყვნენ დასაფლავებული, არ უშვებენო იქ სხვის სულს („სულეები, ვინც ნაკურთხ მიწაზე ნამარხან, არ უშვებენ სხვის სულს“)“

ერუწი მარემი ნადგარუ ლწსუ ი ამსტაღდწ ზისხ ხეცტმწწ, ეჯ მარე აშსტ ზაჲ დემ აბდწტდა ლაგტამთე ლწზის (ბზ., სვან. ქრესტ., 40:18-19) „ვინც მკვლეელი იყო და ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ის ადამიანი ერთი წელი ვერ ბედავდა ეკლესიაში შესვლას („ვინც კაცი¹ს¹ ნაკლავი იყო და ადამიანი¹ს¹ სისხლ-ი ეცხო, ის კაცი ერთი წელი ვერ ბედ-ავ-და-სალოცავ¹ის¹კენ სვლას“)“

ესტუწი ლაღობ ხრგ, ეჯ მეზგა წაქწმ, წერქტუწმ ი მუგტლი ლიჰტდი მნდ ხოშიდ (ბზ., სვან. ქრესტ., 30:11) „ვისაც ფუტკარი ჰყავს, იმ ოჯახს წაქას, თომის და კვარის გაცემის უფლება არ ჰქონდათ („ვისაც ფუტკარი უ-ღგ-ა-ს, იმ მოსახლეს წაქა-ს, თომის და კვარის მიცემა არ შეუძლია“)“

მეხოლ ხაჲხა ეჯ მარა, **ერუა** ლეჯხოლი სგტებინ ჩიმიშდ ხონკუტი (ბქ.) „მეხოლ ჰქვია იმ კაცს, ვინც ყველაზე პირველი შეგხვდება წინ („შემხვედრი ჰქვია იმ კაცს, ვინც შეგხვდება წინ ყველაზე პირველი“)“

ესლრი, ესლრი ი სგაად ლახხტიდდ ალ მარე, **ერუწად** მიჩა მუხტბეს ოთლორტე (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ვინც მისი ძმა მოატყუა („მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ეს კაცი, ვინც მის ძმას მო-ა-ღორ-ა“)“

შუკჲჲი ალ დწტ ლახხტიდხ, ა, **ერუაღ||ერუწად** მინე მუ ადდატუშე (ბქ.) „გზაზე ის დევი შეხვდათ, აი, ვინც მათი მამა დალუბა („შუკა-ზე ეს დევი შეხვდათ, აი, ვინც მათი **მა-მა** და-ა-შავ-ა“)“

თანაფ ჰამს ქორწმ ხოშა ზურალ, **ესტა** ხოლა თემი ლიმზგრ ჩუ ხოხალ, ჟი იგნალ მამლწმ ლიყვალაჟი უშკუშუნდ (ბქ.) „აღდგომა დილას ოჯახის უფროსი ქალბატონი, ვინც ავი თვალის საწინააღმდეგო შელოცვა იცის, ადგება მამლის ყვილისას უხმოდ („თანაფა დღე-ს ქორა-ს დიდი ქალი, ვისაც ცული თვალ-ი¹ს¹ ზორ-ვ-ა ქე იცის, ა-ღგ-ებ-ა მამლ-ი¹ს¹ ყვილ-ზე ხმის ამოუღებლად“)“

არდახ ეშხუ მეჩი ხეხტ-ჰწმ, **ესტაღს** მამაგტემ ხაბადგნდახ ეშხუ ქათალგწა (ბქ.) „იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც არაფერი გააჩ-

ნდათ ერთი ქათმის გარდა („იყვნენ ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი, ვისაც არა საქმე ე-ბად-ათ ერთი ქათმ-ის გარდა“)

სგა ლახხტიდხ ეჯ მარა, **ესუწამუნენქა** ჯინემდ ალ გუემ ენთონე (ბქ.) „შეხვდნენ იმ კაცს, ვისგანაც თვითონ ეს საქმე ისწავლა („შეხვდნენ იმ კაცს, ვისკენგა თვითონ ეს საქმე ისწავლა“)

ტკისდ ამედგა მად არია ეჯი დინა, ე, **ესუწამუ** ლწთხელის სემი ზნ ხარხ (ბქ.) „მართლაც ამაში არ არის ის გოგო, ე, ვისაც სამი წელი ეძებენ (**„მტკიცე-ცე**-დ ამაში არ არის ის გოგო, ე, ვის ძებნას **სამი**-ი წელი აქვთ“)

 და სხვ.

როდესაც წვეგრ-კავშირის ფუნქციით **ფერუწამ** „ვინც“ მიმართებითი ნაცვალსახელი გვხვდება, ქართულის მსგავსად, სვანურშიც აღნიშნული წვეგრ-კავშირი ერთნაირად მიემართება მხოლოდობისა თუ მრავლობით რიცხვში დასმულ განსასაზღვრ წვეგრს:

ნეჯდარშუ დაბარისგა ფგრმედახ **ეჯ ნაპოლარს**, ე, **ერუწამ** მეგუმეინ დემ ხეგნიხ (ბზ., სვან. ქრესტ., 125:40-41) „კაკანათებით ყანებში იჭერდნენ იმ ჩიტებს, ე, რომლებიც ხეებზე არ დგებიან („კაკანათებით ყანებში იჭერდნენ იმ ჩიტებს, ე, ვინც ხეზე არ ა-დგ-ებ-ი-ან“)

ამკალიბ მესმინალა **ღუაჟარსი** ხეყნდხ, **ფერუწამ** ხოშა მენშუტე ლწსტხ, ეჯდარს (ბზ., სვან. ქრესტ., 26:33) „ასეთი დამბეზღებლები მამაკაცებსაც ჰყავდათ, ვინც უფრო სუსტი ნებისყოფის იყვნენ, იმათ („ამ-ყალიბ-ი და-მსმენ-ებ-ი ვაჟ-ებ-ს-¹-ც ჰ-ყ-ავ-დ-ა-თ, ვინც უფრო რბილი იყვნენ, იმეებს“)

ლამარგ ბეფშუ **ერუა** ლი, **ეჯი** ნანკდ არი (ბქ.) „მოხერხებული ბავშვი ვინც არის, ის ცალკეა („სა-ვარგ-ო ბავშვი-ი ვინც არის, ის ცალკე არის“)

მანკუ **ეჯი ბეფშუ** ვნთიშნე, **ერუა** არჩეუანს რექინე (ბქ.) „პირველად ის ბავშვი აირჩევს, ვინც არჩევანს იტყვის („პირველად ის ბავშვი-ი აირჩევს, ვინც **არჩევან-ს** იტყვის“)

ამშუ ლადელ ლეხშყადხ **მიჩა ჯუინელ აფხნეგარს**, **ერუა** ლითურის ქათყეჩახ, ეჯარს, ი ომჩედელის მინე ჯუინელ აფხნეგომ ლწთხელითე (ბქ.) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც სწავლას თავი დაანებეს, იმათ, და წასულან თავიანთი ძველი ამხანაგის საქებნელად („ერთ დღე-ს გაახსენდათ მის ძველ **ამხანაგ-ებ-ს**, ვინც სწავლას განებებიან, იმეებს, და წასულან მათი ძველი **ამხანაგ-ი-ს** საქებნელად“)

ჟ'ანხორიელანხ **ლეთიმ ჭკუთმერ ღუაჟარ**, **ეჯკალდარ**, **ერუწამ** ფედინამ ლასხ გიორგიდმ ი დწითი ოჯახარემ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 50:18) „შეიკრიბნენ გამორჩეული ჭკვიანი კაცები, ისეთები, ვინც გიორგის და დავითის ოჯახის ახლობლები არიან („შეიკრიბნენ არჩეული **ჭკვიან-ი ვაჟ-ებ-ი**, ის-**ყალიბ-ებ-ი**, ვინც ახლოსის იყვნენ **გიორგი-ს** და **დავით-ი**“¹ ოჯახ-ებ-ის“)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში წვერ-კავშირად დასტურდება **მწა** (ბზ.)/**მწ** (ბქ.)/**მწა** (ლშხ.-ჩოლ.) „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელიც, რომელიც ბალსქვემოურ დიალექტში მიმართებითობას უნაწილაკოდ გამოხატავს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში **ჟწა|ჟწა|ჟწი|ი** „ც“ ნაწილაკის სხვადასხვა ვარიანტით დასტურდება. მაგ.:

აღმარს ჩი ქონომბჟე ალ წერილ, ა, **მწა** პასუხ ოხტჳირეხ მინეშთე (ბზ.) „ამათ ყველას უამბო ამ წერილის შესახებ, აი, რა პასუხი შემოუთვალეს („ამეებს ყველას უამბო ეს წერილი, აი, რა **პასუხ**-ი შემოუთვალეს მათკენ“)

ლიზერ ჩუ ხედჟჳში ეჯ მეზგა, **მწ** მეზგადსგა ზურალ ჩუ ილტჳალ (ბქ.) „ლოცვა უფუტდება იმ ოჯახს, რომელ ოჯახშიც ქალი იმშობიარებს („**ზორ**-გა და-უ-**შავ**-დ-ე-ბ-ა იმ მოსახლეს, რა მოსახლეში ქალი მოიმშობიარებს“)

ესლრი, ესლრი ი ალიე ეჯ სოფელს ათასდა, ე, **მწ** სოფელისგა ხტეჯე იზგა (ბქ.) „მიდის, მიდის და ესეც იმ სოფელს გადააწყდა, ე, რომელ სოფელშიც ხვეჯე ცხოვრობდა („მიდის, მიდის და ესეც იმ **სოფელ**-ს გადააწყდა, ე, რა **სოფელ**-ში-ც¹ ხვეჯე სახლობდა“)

ქაჩად ეჯ ლიცთექა, ე, **მწ** ლიცს გჟელერშაპ ხამქჟანდა (ბქ.) „იმ წყალთან გავიდა, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაპატრონებული („გავიდა იმ წყლ¹ის¹კენ, ე, რა წყალს¹აც¹ **გველეშაპ**-ი ნაჩვეოდა“)

ეჯი ბეჩარჩ ჩ'ოთლაფრა ნიცს, **მწა** ჟიხიქა არდა (ლშხ.) „ის ქვებიც დაუფარია წყალს, რაც ზემოდან იყო („ის ქვებიც და-უ-**ფარ**-ი-ა წყალს, რაც ოდნავ ზემოთ იმყოფებოდა“)

შჟანს მარტისწა ეჟჳად ყაფრანობ ლი, **მაჟწა|მაჟწი** დეკემბერისა ხოხალ (ჩოლ.) „სვანეთში მარტშიც ისეთი ყინვებია, რაც დეკემბერში იცის („**სვან**-ეთ-ს **მარტ**-ში-ც ის-**ყალიბ**-ი ყინვები იცის, რაც **დეკემბერ**-ში იცის“)

ჩიგარ ალე მუჟხტიორას ხიყდი, **მაჟ|მაი** მაშენე მასისკ (ჩოლ.) „ყოველთვის ამ ტკბილეულს ყიდულობ, რაც ყველაზე მეტად მეზიზღება („ყოველთვის ამ მყუდროობას **ყიდ**-ულ-ობ, რაც ყველაზე მეტად მძულს“)

განსაზღვრებითდამოკიდებულისანი ჰიპოტაქსურ წინადადებაში სვანურში მაქვემდებარებელ კავშირთაგან გვხვდება **ერე|ერ|ე** „რომ“ კავშირი, რომელიც ყველა დიალექტში საკმაოდ ინტენსიურად დასტურდება. მისი ადგილი არ არის მკაცრად განსაზღვრული, იგი უმეტესწილად დამოკიდებული წინადადების დასაწყისში გვხვდება, ხან კი შუაშია მოქცეული:

ეჯჟჳრ რაჟჳთ ესერ ამჩედღლი ალ აჯთჳსგ¹ერე ლჳაშჳუმ ესერ ლიზ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 432:3-4) „იმისთანა კურდღელი შევიდაო ამ ზვინში, რომ ჯიხვისხელა არისო („ის-**გვარ**-ი კურდღელიო წასულა ამ ზვინ¹ის¹კენში, რომ ჯიხვის-**ზომა**-ო არის“)

ექიანდღე ეხვამ ხოლა დვარ, ეჯკალი უჩხე ლი, **ერე** ქუეყანა ესლუა ზულუას (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 98:30-31) „მერე ამას მოყვა ცული ამინდი, იმისთანა წვიმაა, რომ ქვეყანა წყალს მიაქვს („მაშინს მერე მოყვა ცული **დარ**-ი, ის-**ყალიბ**-ი წვიმა არის, რომ **ქვეყანა** მიაქვს **ზღვა**-ს“)“

დერეხი ეჯკალი ლახტუ ლი, **ერე** კუმანს ლილდედ მნდ ხაკუხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 301:6-7) „ზოგი იმისთანა მთა არის, რომ საქონელს მწყემსვა არ უნდა („ზოგიერთი ის-**ყალიბ**-ი მთა არის, რომ **კუმან**-ს მე-**დღე**-ურ-ობ-ა არ ე-**ნუკვ**-ი-თ“)“

კარჭალისა ეჯკა ხოჩა ლარდა ლას, **ერე** სიგრილე ლას ი მაგ (ლშხ.) „კარვებში იმისთანა კარგი სამყოფი იყო, რომ სიგრილე იყო და ყველაფერი („კარვებ-ში ის-**ყალიბ**-ი კარგი სამყოფი იყო, რომ სიგრილე იყო და ყველა“)“

ეჯკა ჩუჟ ესუადე, დეცე მენფხაქა **ერ** ისკნალ (ლშხ.) „ისეთი ცხენი ინატრა, ცის კამარაზე რომ დაფრინავს („ის-**ყალიბ**-ი ცხენი ინატრა, **ცა**-მოწმენდილზე რომ დახტის“)“

ეჯგურ ლესგდი ლემვარ, **ერე** მაგ ეჯის ხანტიელნა (ჩოლ.) „ისეთი შესახედი ყოფილა, რომ ყველა იმას შენატროდა თურმე („იმ-**გვარ**-ი სახედი ყოფილა, რომ ყველა იმას შე-**ნატრ**-ებ-ა“)“

ეჯკამ ლირდჟუ ეჯახს, ცხუადისა **ერ** მერხელს ხვარ! (ჩოლ.) „ისეთი ცხოვრება გაგეტარებინოთ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს („ის-**ყალიბ**-ი ყოფამც წავილიათ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს!“)“

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, მაქვემდებარებელი კავშირი, ძირითადად, გვაქვს მაშინ, როცა მთავარში საზღვრულ წევრს ახლავს ან ივარაუდება **ეჯკამი|ეჯკამი|ეჯკამი| ეჯკალიბი|ეჯგურ|ეჯგურ|ეჯთან|ეჩითან** „ისეთი, იმისთანა“ ჩვენებითი ნაცვალსახელები.

სვანურის დიალექტებში (ინტენსიურად ქვემოსვანურში) განსაზღვრებითადამოკიდებულებიან ჰიპოტაქსურ წინადადებაში კავშირად განსაკუთრებული სიხშირით ერთდროულად დასტურდება წევრ-კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელები **დერჟამ**, **ხედჟამ**) და **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირი¹. საწყის პოზიციაზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, უმეტესწილად მიმართებითი ნაცვალსახელია და მას მოსდევს მაქვემდებარებელი კავშირი:

ნამდღილდ **ერე** აშამ მაკუ ლუექე ეჯი ლუაჟვარე მიმართ, **ერჟამდ** **ერე** ამკ სიძლიერე გამოიჩინა (ბზ.) „ნამდვილად მინდა მადლობა გადავუხადო იმ მამაკაცებს, ვინც ასეთი სიძლიერე გამოიჩინა („**ნამდვილ**-ად რომ მადლობა მე-**ნუკვ**-ის ვთქვა იმ **ვაჟ**-ებ-ი“¹ მიმართ, რომელმაც რომ ამ-**ყალიბ**-ი სიძლიერე გამოიჩინა“)“

¹ ბალსქვემოურში მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები არ შეგვხვდებოდა.

სგად ლახხუნდ ალ მარე, **ხედუნად ერე** მიჩა მუხტბა ოთლორტე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 223:21-22) „ისევ შეხვდა ეს კაცი, რომელმაც მისი ძმა მოატყუა („ისევ შეხვდა ეს კაცი, რომელმაც რომ მის ძმას მოატყუა“)“

ალე ქათასემდა ეჯ მარას, **ხედუნად ერე** მგშკარს გარგალს ხომნარდა (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 201:29-32) „ეს მოესმა იმ კაცს, რომელიც ჭიანჭველების საუბარს ისმენდა („ეს მო-ე-სმ-ა იმ კაცს, რომელიც რომ ჭიანჭველებს საუბარს უსმენდა“)“

ამ დურეს ეჯ მაულ ანვად, **ხედუნად ერე** შატ-დედალა გეზალს ხებორ-გეღდა (ლნტ., სვან. ქრესტ., 330:4-5) „ამ დროს ის მეღია მოვიდა, რომელიც შავ-დედალას შვილს ეჭიდავებოდა („ამ დრო-ს ის მეღ-ია მოვიდა, რომელიც რომ შავ-დედალ-ს შვილს ეჭიდავებოდა“)“

ქა ხეწად ეჯი თხერეს, **ხედნ ერ** მიჩაშთე ანღრდა პირდაპირ (ლშხ.) „დაინახა ის მეღელი, რომელიც მისკენ მოდიოდა პირდაპირ („შეხედა იმ მეღეს, რომელიც რომ მისკენ მოდიოდა პირდაპირ“)“

ეჯი ფეკუნას ჩუადგარი, **ხედნ ერ** ჟელშალ ითრე ნიცს (ლშხ.) „იმ ლეკვს კლავს, რომელიც ძალივით სვამს წყალს („იმ ლეკვს მოკლავს, რომელიც რომ ძაღლ-ი-ვით სვამს წყალს“)“

ეჩქა მოსოტდ ქა ლახტშლე ეჯ მარას, ლესთე **ხედნ ერ** ისგდგდა (ჩოლ.) „მაშინ მოსოტმა დაუძახა იმ კაცს, გვერდზე რომელიც რომ იყურებოდა („მაშინ მოსოტ-მა გასძახა იმ კაცს, გვერდ-ის-კენ რომელიც რომ იხედებოდა“)“

საქმე გარჩეათე ხეთხნლის ეჯკად მარას, **ერე ხედისი ერე** სისწორე ხოხალ, იშგენ — დესმა (ლშხ.) „საქმის გასარჩევად ეძებენ ისეთ კაცს, რომელიც სამართლიანია, სხვა — არაფერი („საქმ-ი-ს-გარჩევ-ის-კენ ეძებენ იმ-ყალიბ კაცს, რომ რომელსაც რომ სისწორე იცის, სხვა — არაფერი“)“

ლაგუმედ აიესხ ეჭკან სიმინდი კაკალს, **ერე ხედნ** ფერმოყ ხუტახ ლგერე (ჩოლ.) „დასაფქვავად მიაქვთ ისეთი სიმინდის მარცვალი, რომელიც ღუმელთან აქვთ გამხმარი („საფქვავად წაიღებენ იმ-ყალიბ სიმინდ-ი-ს კაკალ-ს, რომ რომელიც ფერ-თან აქვთ გამხმარი“)“ და სხვ.

აღნიშნულ **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელკავშირიან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც საანალიზო მასალამ აჩვენა, მთავარში უმეტესწილად დასტურდება **ეჯთან|ეჯგუნარ|ეჯკალიბ|ეჭკან|ეკაა** „ისეთი“ მისათითებელი სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, დამოკიდებული წინადადება ერთგვარ შედეგს გადმოგვცემს, რითაც ის მთავარი წინადადების თვისობრივ დახასიათებას იძლევა:

ეჯკალიბ ზურალ ანვიდ ქორთემსგ'ერე ჟიბოტიმშუბოტუ ხწყერ ჩიგტაშ (ბქ.) „იმისთანა ქალი შემოიყვანა ოჯახში, რომ ყირაზე დააყენა ყველაფერი („ის-ყალიბ-ი ქალი მოიტანა სახლ-ის-კენ-ში, რომ ზემოთის ქვემოთ დამართა ყველაფერს“)“

ლწდი ამნემდ **ეჯგუწარ** ხოლა ლადედ ემგენე ცუდიდღიმმეტარ, ერე თხუთიმ მიხპენი ათხეე (ბქ.) „დღეს ამან იმისთანა დღეში ჩამავდო ტყუილუბრალოდ, რომ ახლაც თავი მისკდება („დღეს ამან იმ-გვარ-ი ცუდი დღე და-მ-ი-დგ-ა ტყუილუბრალოდ, რომ თავი მისკდება ახლაც“)“

ეჭკაი ლქუტიარ ეშშიდ ჟიქწანჟუ, ერე ჩუანშიდღენე მახე ლგწიდ აშხლარ (ლშხ.) „ისეთი ლოდები დააყარა ზემოდან, რომ ჩამოაყრევიან ახალი გამოტანილი ტოტები („ის-ყალიბ-ი ლოდები დააყარა ზემოდანქვე, რომ ჩამოაყრევიან ახალი მოტანილი ტოტები“)“

ცუდიდღემქადნად **ეჯთან** ლადედ ემგენე, ერე ეშხუ ნაგზი ლი დესა მიტუჟა (ჩოლ.) „ტყუილუბრალოდ ისეთი დღე მაყარა, რომ ერთი კვირაა არ მიძინია („ტყუილუბრალოდ იმისთანა დღე და-მ-ი-დგ-ა, რომ ერთი კვირა არის არ მიძინია“)“ და ა. შ.

განსაზღვრებით დამოკიდებულებიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება შეიძლება იყოს უკავშიროც. ასეთ შემთხვევაში ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება. სვანურის დიალექტებიდან მკვეთრი ინტონაციით გამოირჩევა ზემოსვანური დიალექტები, განსაკუთრებით ბალსქვემოური, რომელიც უკავშირო ქვეწყობას ანიჭებს უპირატესობას და მკვეთრი ინტონაციით აშკარად გვარგანობინებს დამოკიდებულში კავშირის კონპენსირებას. მაგ.:

ამეჩუ ეჯკალი ზურალ პრი, **ერე** მიჩა თერალს ამნთან დარ ხოწუა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 115:12-13) „აქ იმისთანა ქალი არის, მის თვალებს ამისთანა არავინ უნახავს („აქქვე ის-ყალიბ-ი ქალი არის, რომ მის თვალ-ებს ამისთანა არავინ უნახავს“)“

ალ სოფლარ, ემდანი **ერ** ოლშელდედ, აღარ მგ ეშხუ საზოგადოებათედსგა ესღერდახ „ეს სოფლები, წელან რომ ჩამოვთვალეთ, ესენი ყველა ერთ საზოგადოებაში შედიოდნენ („ეს სოფლ-ებ-ი, წელან რომ ჩამოვთვალეთ, ესენი ყველა ერთ საზოგადოებ-ის-კენ-ში შედიოდნენ“)“

ჰი ეჯ თეტუშუ გარ ისგიდრალიტ, ე, **ხედა** ნებგუაჟი ხადდა (ბქ.) „თვითონ მხოლოდ იმ თვალით იყურებოდა, ე, შუბლზე რომ ჰქონდა („თვითონ იმ თვალ-ით მხოლოდ იყურებოდა, ე, შუბლზე ჰქონდა“)“

ლეღტხას ლემარდ ეშხუ მეზგე, **ხედას** დათუშერ ხაჟხენახ (ბქ.) „ლენტხში ყოფილა ერთი ოჯახი, დათვისანი რქმევიათ („ლენტხას-ს ნამყოფა ერთი მოსახლე, დათვ-ის-ანი ნარქმევათ“)“

ზურალ ეჯგუწარ ლემარ, **ერე** ხოჩილ წესდე ლი (ბქ.) „ქალი იმისთანა ყოფილა, უკეთესი შეუძლებელია („ქალი იმ-გვარ-ი არის, უკეთესი წეს-ი არ არის“)“

ლახახტიდას სკუტებინ ეჭკალი მარე, **‘ესჷა’** დაჯღლ ასაყა ლგნელემტ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 171:38) „შეხვდათ წინ იმისთანა კაცი, ‘რომელსაც’ თხა მიჰყავს თიკნებიანად („შეხვდათ წინ ის-ყალიბ-ი კაცი, **თხა** მიჰყავს თიკნებიანი“)“

ეჭკაიბ სეჷ ანტაბე, **‘ერე’** ქტეყანა ემს ხენაქტლდა (ლმზ.) „ისეთი მარხილი გამოთალა, ქვეყანა გააკვირვა“

ეჭკაჲ ათჷიერო ეხჷამ თანაფს, **‘ერე’** სგ’ნთბილდა ჩნს (ჩოლ.) „ისეთი სიცხეები მოჰყვა აღდგომას, ცეცხლი წაეკიდა ყველაფერს“ და ა. შ.

ჰიპოტაქსური წინადადების განხილვისას ყურადღებას იქცევს **ე** და **ა** დეიქტიკური (მითითებითი, გაძლიერებითი) ნაწილაკები, რომლებიც კავშირიანი ან უკავშირო დამოკიდებული წინადადების საზღვარზე დასტურდება და მახვილიანია. აღნიშნული ნაწილაკები ყოველთვის მთავარი წინადადების საზღვრულზე მიუთითებს და საზღვრულს ყოველთვის თან ახლავს ესა თუ ის ჩვენებითი ნაცვალსახელი. სვანურის დიალექტებში მათი გამოყენების თვალსაზრისითაც არაერთგვაროვანი სურათია, ვინაიდან ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, ისინი ქვემოსვანური დიალექტებში ნაკლებად დასტურდება. მაგ.:

აჩნდ აღ’ზ, ჰყინტ, ი ათანდ **აღ ბამბი კარაჷს**, **ა**, **ხედჷმდგა** დნნა აცჷირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 330:19-20) „წავიდა ეს, აი, ბიჭი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, აი, რომელშიც გოგო დატოვა („წავიდა ეს, აი, ბიჭი, და გადააწყდა ამ იმ **ბამბ-ი**’ს **კარავ-ს**, აი, რომელშიც გოგო დატოვა“)“

ამჩიქჷა **ეჷ მარე** ანვად, **ე**, **ხედჷმდ** ბაჲ ამჩჷ აცჷირ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 354:29-30) „ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა („ამ-დროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა“)“

ქ’აჩად **ეჷ ლიცთეჷა**, **ე**, **მჷ** ლიცს გჷელერშჷჲ ხჷმთქჷანდა (ბქ.) „გავიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველემაჲი ყო დაბატრონებული („გავიდა იმ წყლ’ის’ კენგა, ე, რა წყალს’აც’ **გველემაჲ-ი** ნაჩვეოდა“)“

ათხე ამხაჷ ანწად **ეჷ ნადჷჷურ**, **ე**, **ერჷა** ლი მიჩა გეზლჷმ ჰჷმ (ბქ.) „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი („ახლა აქით მოვიდა ის **ნა-ვაჷ-ეგ-ი**, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“)“ და სხვ.

განსახილველი ნაწილაკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხშირად იხმარება მიმართებითი ზმნიზედების შემცველ ქვეწყობილ წინადადებებში“ (აბესაძე, 1960, 128). უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრებითდამოკიდებულიან ქვეწყობილ წინადადებაში, **ე** და **ა** მითითებითი ნაწილაკები დასტურდება არა მარტო მიმართებითი ზმნიზედის შემცველ ქვეწყობაში, არამედ მიმართებით ნაცვალსახელიან და მაქვემდებარებელ კავშირიან ჰიპოტაქსურ წინადადებაშიც:

აჩად **ალი**, **ა**, **ნაღჷჷურ**, ი ათასდა ეჯ ბამბიშ კარანუს, ე, **იმეღსგა** დინა აცტირ, მარე ალ სიმაქ დემეგ ესხტიდდა ამეღსგა (ბქ.) „წავიდა ეს, აი, ვაჟი, და გადააწყდა იმ ბამბის კარავს, ე, რომელშიც გოგო დატოვა, მაგრამ ეს ქალიშვილი არ დახვდა ამაში („წავიდა ეს, აი, ნა-ვაჟ-ევი, და გადააწყდა იმ ბამბ-ის კარავს-ს, ე, რომელშიც გოგო დატოვა, მაგრამ ეს ქალიშვილი არ დახვდა ამაში“)“

ნიშნად ეჯ **ბადღუ** ლახთონე, ე, **იმთე** ჯი გატს შიდა (ბქ.) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვითონ ქატოს ყრიდა („ნიშნ-ად ის დამპალი აჩვენა, რომელისკენ თვითონ ქატო-ს ყრიდა“)“

ეჯ **სოფელს** ათასდ, ე, **ხედუწა** სოფელისგა ხუევე იზგა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 169:25-26) „იმ სოფელს გადააწყდა, ე, რომელ სოფელშიც ხუევე ცხოვრობდა („იმ სოფელ-ს გადააწყდა, ე, რომელ სოფელ-ში-ც¹ ხუევე სახლობდა“)“

მარკუზან ხაჷხა ეჯ **ჭინჭილს**, ე, **ხედუწა** შამფუირს ხაჭონა ჟი ლგწლაჷ ი შვილ ჩუქუნქა ხანჩინა (ბზ., სვან. ქრესტ., 10:19-20)

„მარკუზანი“ ჰქვია იმ ნაწლავს, ე, მოწალული შამფურზე რომ არის დახვეული და სხვენს ქვემოთ რომ არის გაჩხერილი („მარკუზანი ჰქვია იმ ნა-წლავს-ს, ე, შამფურ-ს ახვევია მო-წალ-ულ-ი და სხვენ¹ს¹ ქვემოთ ა-ჩხერ-ი-ა“)“

ქაჩად ეჯ **ლიცთექა**, ე, **მან** ლიცს გუელერშან ხანმთქანდა (ბქ.) „მივიდა იმ წყლამდე, ე, რომელ წყალსაც გველეშაპი იყო დაბატრონებული („გავიდა იმ წყლამდე, ე, რა წყალს გველეშაპ-ი ნაჩვეოდა“)“

ეჯ **ზურალს** ოსხუნაღე ე, მიჩა გეზალ **ერ** ოთყეცნა (ლშხ.) „იმ ქალს დაემუქრა, მისი შვილი რომ უცემია („იმ ქალს დაემუქრა, ე, მის შვილს რომ გაულახია“)“

ლამორაჷთე ეჯ **კვამ მარას** ხეთხელიხ ე, ტკიც-სამართელს **ერ** ხაჭიმ (ჩოლ.) „სამედიატოროდ ისეთ კაცს ეძებენ, ე, სიმართლეს რომ მისდევს („სამოურავ-ო-¹ს¹-კენ იმ-ყალიბ კაცს ეძებენ, ე, სი-მტკიცე-სამართალ-ს რომ მი-ჰყვება“)“ ...

აღნიშნული ნაწილაკები, ძირითადად, კონკრეტულად ასახსნელ (სა-ზღვრულ) წევრს მოსდევს:

ათხე ამხაჷ ანვად ეჯ **ნაღჷჷურ**, ე, **ერჷა** ლი მიჩა გეზლან შან „ახლა აქ მოვიდა ის ბიჭი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი („ახლა აქით მოვიდა ის ნა-ვაჟ-ევი, ე, ვინც არის მისი შვილის ქმარი“)“

ესლრი, ესლრი ი სგაიდ ლახხუნდ ეჯ **მარე**, ე, მიჩა მუხუბეს **ერ** ოთ-ლორჷ (ბქ.) „მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, თავისი ძმა რომ მოატყუა („მიდის, მიდის და ისევ შეხვდა ის კაცი, ე, მის ძმას მოატყუა“)“ და ა. შ.

ზოგჯერ კი დასახელებული ნაწილაკები მთავარი წინადადების ზმნა-შემამემენელს ახლავს, თუმცა მიუთითებს საზღვრულზე:

სერ ხარხ ხოლა მიჰმან ი ამჩიქქა ეჯ მარე **ანჯად, ე**, ხედუშად ბაპ ამჩუ აცუთირ ი ხჯქუ ბერაღს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 354:29-30) „მოკლეთ აქვთ ერთი ამბავი და ამდროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი აქ დატოვა და ბერებს უთხრა („მეტი აქვთ ცუდი ხმაური და ამ-დროს ის კაცი მოვიდა, ე, რომელმაც მღვდელი დატოვა და ბერ-ებ-ს უთხრა“)“

შუკუჟინ ალ დანუ **ლახხუნდხ, ა**, ხედუშანემ მინე მუ ადდანუშე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 407:7-8) „გზაში ის დევი შეხვდათ, ე, რომელმაც თავიანთი მამა დაღუბა („შუკა-ზე ეს დევი შეხვდათ, ე, რომელმაც მათი **მა-მა** და-ა-შავ-ა“)“ ...

იშვიათად საზღვრულ წევრს უსწრებს წინ და მისათითებელ სიტყვას დაერთვის:

ანჯადხ მიჩა ლახუბა აგითე ი ლახჟუედდა ალ'ან, ხოხურა მუხუბე, ხედუშად ტგტს ხასგურდა (ბზ., სვან. ქრესტ., 171:32-35) „მოვიდნენ თავისი ძმები სახლში და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარს ეჯდა („მოვიდნენ მისი ძმები **ალაგ-ის** კენ და შეეკითხა ეს, აი, უმცროსი ძმა, რომელიც ნაცარ-**ტუტა**-ს ეჯდა“)“ ...

განსახილველი ნაწილაკები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი მიუთითებენ ისეთ ასახსნელ წევრზე, რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი და ეს უკანასკნელი ისედაც მიუთითებს საზღვრულ წევრზე. აშკარაა, რომ დეიქტიკური ნაწილაკები გახაზავენ, აძლიერებენ და მეტ ექსპრესიულობას ანიჭებენ წევრს, რომელზეც მიუთითებენ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, მახვილს ტონის მოძრაობის საფუძველზე გარკვეული სინტაქსური შენაერთის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული (ყლენტი 1949, 104), რაც ზემოწარმოდგენილი დეიქტიკური ნაწილაკების შემცველი ილუსტრაციებიდანაც ნათლად ჩანს, თუმცა ბალსქვემოურში ინტონაციას იმ შემთხვევაშიც აქვს ადგილი, როდესაც განსაზღვრებით დამოკიდებულიან ქვეწყობილში შემავალ წინადადებათა დაქვემდებარება უკავშიროს და არც დეიქტური ნაწილაკები ლებულობენ მონაწილეობას ქვეწყობაში. მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე ინტონაცია, როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, მკვეთრად გამოიხატება უკავშირო დამოკიდებული წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ წინადადების ნებისმიერ წევრზე, რაც აშკარად გარკვეულ სინტაქსურ მთლიანობას ქმნის და ამით ბალსქვემოური მკვეთრად ემიჯნება სვანურის სხვა დიალექტებს.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში სვანურში ხშირად დასტურდება ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) შემთხვევები, ვინაიდან აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კავშირის ფუნქციას, ძირითადად, მიმართებითი ნაცვალსახელები ასრულებენ და ეს სინტაქსური მოვლენა, სწორედ, მიმართებით ნაცვალსახელებთან არის დაკავშირებული.

სინტაქსური ასიმილაციის დროს მისამართი სიტყვა კავშირს წყვეტს თავის შემასმენელთან და დამოკიდებულის ზმნა-შემასმენელს უწევს ანგარიშს. მთავარში მისამართი სიტყვის ნაცვლად ჩნდება ნაცვალსახელი („კომპრომისული ფორმა“), რომელიც ბრუნვაში იმართვის მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ.

აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ნ. აბესაძემ „სვანურში, როგორც წესი, თუ მისამართი სიტყვა მიმართებით ნაცვალსახელთანაა შეთანხმებული ბრუნვაში, მაშინ მთავარი წინადადების მეორე ნაწილში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში საკუთარ შემასმენელთან არის შეწყობილი. ეჭ მარე, **ფერუმა** ცხეკთ'ჩაღ, **ეჯას** ქაჟ სგა ლახხტ'რდა „ის კაცი, რომელიც ტყეში წავიდა, იმას ქაჯი შეხვდა [,ის კაცი, რომელიც ტყის¹კენ წავიდა, იმას ქაჯ-ი შეხვდა“ (აბესაძე 196, 114)].

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შემავალი კომპონენტების განლაგების სამ ძირითად სახეს გამოყოფენ: დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას, წინ უსწრებს მას ან შუაშია ჩართული.

მეგრულში (და ქართულის ზოგიერთ დიალექტში) დასახელებული სამი სახის გარდა, გამოყოფილია თავისებური განლაგებაც მიმართებითნაცვალსახელიან ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც კორელატი ქვეწყობილი წინადადების ბოლოსაა და დამოკიდებული მთავარ წინადადებასა და კორელატს შორისაა მოქცეული (ლომია 2005, 53).

სვანურშიც, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების განლაგების სამ სახეს ვხვდებით, თუმცა იშვიათად მეოთხე რიგის კონსტრუქციაც დასტურდება.

დამოკიდებული შეიძლება იწყებდეს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.:

ერუმა მარემი ნადგარჟ ლსჟ ი ამსჟალდა ზისხ ხეცჟმან, ეჭ მარე აშხჟ ზაჟ დემ აბდაჟღა ლაჟჟამთე ლიზის (ბზ., სვან. ქრესტ., 40:18-19) „ვინც მკვლელი იყო და ადამიანის სისხლში ჰქონდა ხელები გასვრილი, ის კაცი ერთი წელი ვერ ბედავდა ეკლესიაში შესვლას („ვინც კაცი¹ს¹ ნაკლავი იყო და ადამიანი¹ს¹ სისხლ-ი ეცხო, ის კაცი ერთი წელი ვერ ბედ-ავ-და სალოცავ¹ის¹კენ სვლას“)

თალნ ნწყირუნლო სერ მანჟმჟმა ხედჟენი მეზგა კირ, ეჩხუმს ჩრ ჟიქან ჟი ხანდებ (ბზ., სვან. ქრესტ., 107:25) „სოლის ჩარჭობის შემდეგ რადე-

ნიც ექნება ოჯახს კირი, იმდენს აყრის ზემოდან („სოლი¹ს¹ ნარტყამის მერე უკვე რა-ზომა-ც ექნება მოსახლეს კირ-ი, იმ-ზომა-ს ყველა¹ს¹ ზემოდან დააყრიან“)“

ნანჯუედი მაზუმა გუაკუ, ეჯუმს ცუთირედ (ლმზ., სვან. პროზ. ტექსტ., 22:27) „სიგრძე რამდენიც გვინდა, იმდენს ვტოვებთ („სიგრძე რა-ზომა-ც გვე-ნუკე-ი-ს, იმ-ზომა-ს ვტოვებთ“)“

ფურალე ლისნლუე უომუნამ ხამედახ, ეჩშელდს გარ ირდუნებს (ლმზ., სვან. ქრესტ., 265:5) „რამდენი ძროხის რჩენაც შეუძლიათ, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ („ფურ-ებ-ი¹ს¹ რჩენა რამდენის ე-იმედ-ებ-ათ, იმ-რაოდენობას მხოლოდ იყოლიებენ“)“

ხედნ ხორილ ლექს ლექს ლექსუნა, ეჯი ბოფშს ხაბშა ტისკუს (ჩოლ.) „რომელიც უკეთეს ლექსს იტყოდა, იმ ბავშვს აწვდიდა ვაშლს („რომელიც უკეთეს ლექს-ს იტყოდა, იმ ბავშვ-ს აწვდიდა ვაშლ-ს“)“

დამოკიდებული მთავარი წინადადების შუაგულშია მოქცეული:

წგრნი გუელეშაპ, ხედისნ ამირან ვადისა ხეყნა, ჩუედნტუნ (ლმზ. სვან. პროზ. ტექსტ., 127:15-16) „წითელი გველეშაპი, რომელსაც ამირანი მუცელში ჰყავდა, გაიქცა („წითელი გველეშაპ-ი, რომელსაც ამირან-ი მუცელში ჰ-ყავ-და-ა, გაიქცა“)“

მუყუედ ზურალ, **ერტუნა ესამა ლდგარ ჩუ ხაშყიდ სოფელისგა**, ჩნ ქა იშგლდანი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 7:33-35) „წინამძღოლი ქალი, თუ ვინმეა მკვდარი, სოფელში ყველა ახსოვს, ყველას ჩამოთვლის ხოლმე („გა-მ-ძღ-ოლ-ი ქალი, ვინც თუ არის მკვდარი, ქე ახსოვს სოფელ-ში, ყველას ჩამოთვლის“)“

აშხუ ლადელ, **შომამ ლანდირთ'ესღგრდახ**, ამნემ ხექე მიჩა მუხტბა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ერთ დღეს, როდესაც სანადიროდ მიდიოდნენ, ამან უთხრა თავის ძმას („ერთ დღე-ს, როდესაც სა-ნადირ-ო-¹ს¹-კენ მიდიოდნენ, ამან უთხრა მის ძმა¹ს“)“

ეჯი გუელეშაპ, **ხედნეში ამირან აღუნტყუე**, ხოლამდ აჯად ი ქედბელან (ჩოლ.) „ის გველეშაპი, რომელმაც ამირანი ჩაყლაპა, ცუდად გახდა და გაიბერა („ის გველეშაპ-ი, რომელმაც ამირან-ი ჩაყლაპა, ცუდად გახდა და გა-ი-ბერ-ა“)“.

დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას და ეს პოზიცია სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც დომინანტია:

სგა ლახხტუნდხ ალ მარა, **ხედუნაძან მიჯნემ ალ გუემ უნთონე** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 224:27-28) „შეხვდათ ეს კაცი, რომლისგანაც მან ეს საქმე ისწავლა („შეხვდათ ეს კაცი, რომლიდან თვითონ ეს საქმე ისწავლა“)“

ნიშნად ეჯი ბადლუ ლახთონე, **ხედუნათე ჯი გატს შიდა** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 44:32-34) „ნიშნად ის ფუტურო ხე აჩვენა, რომელშიც თვი-

თონ ქატოს ყრიდა („ნიშნ-ად ის დამპალი აჩვენა, რომღ^რის^კენ თვითონ ქატო-ს ყრიდა“)

ეჩუნდო მიჩა ეხტუს ქა ლეხტოდან ჰყინტ ეჭკაიბ ღონდერ, ერე თელდ ქუეყანადას ამკალიბ დარ არდა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 71:13-15) „მერე მის მეულღეს შეეძინა იმისთანა ღონიერი ვაჟი, რომ მთელ ქუეყანაზე ამისთანა არავინ იყო („იმ საღამოს მე-სა-თხ-ევ-ლ-ე ცხად-ად მოკვდა და მაშინს მერე მის ცოლს მიეცა ბიჭი ის-ყალიბ-ი ღონიერი, რომ მთლ-ად ქვეყანა-ში ამ-ყალიბ-ი არავინ იმყოფებოდა“)

ჩინგუ ეჭკალი ლოქ ნომამაუ ლექუ, ერე მერბას მად ლახასიამდნდეს (ლნტ., სვან. ქრესტ., 321:23) „ყველგან არ თქვაო ისეთი რამ, რომ სხვას არ ესიამოვნოსო („ყველგან ის-ყალიბ-ი-ო ნუ-არ-მცა თქვა, რომ მე-ორ-ეს არ ე-სიამოვნ-ო-ს“)

ლარბიელ ვიც ეჭკად დგთხელ აცუირხ, იმკაიბ მერბიელად იკუდუნებს (ჩოლ.) „გამოსაცხოზი ცომი ისეთი თხელი დატოვეს, როგორიც მცხოზელემა ისურვეს („სახაბაზო პური ის-ყალიბ-ი თხელ-ი დატოვეს, რა-კალიბ-იც ხაბაზებმა ისურვეს“)

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ „მეოთხე რიგის კონსტრუქციას“, როდესაც დამოკიდებული მოქცეულია მთავარ წინადადებასა და კორელატს შორის, მსგავსი შემთხვევები სვანურშიც დასტურდება:

ეჯარს შუკუისგა სგა ლახხუახ ბეუა, ესუნამ ღწთხელითე ოღმანხს, ეჯი (ბქ.) „იმათ გზაში შეხვედრიათ ბევა, ვის საძებნელადაც მიდიოდნენ თურმე, ის („იმეებს შუკა-ში შეხვედრიათ ბევა, ვის საძებნელად მინავლან, ის“)

ამკალიბ მგსმინლა ღუაჟარსი ხეყანდ, დერუნამ ხოშა მენშეჟე ღწსუნხ, ეჯარს (ბზ., სვან. ქრესტ., 26:33-34) „ამისთანა დამბეზღებლები მამაკაცებსაც ჰყავდათ, რომლებიც უფრო სუსტი ნებისყოფის იყვნენ, იმათ („ამ-ყალიბ-ი დამბეზღებლები ვაჟ-ებ-ს-^რ-^ა-¹-¹-¹ც ჰ-ყავ-დ-ა-თ, ვინც უფრო რბილი იყვნენ, იმეებს“)

აშხუ ღწდელ ღწხეშყადხ მიჩა ჯუინელ აფხანკარს, ხედუნამ ერ ლითურის ქათაყეჩახ, ეჯმინს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 183:6-8) „ერთ დღეს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგებს, ვინც სწავლას თავი დაანება, იმათ („ერთ დღე-ს გაახსენდათ მის ძველ ამხანაგ-ებ-ს, რომელიც რომ სწავლას განებებთან, იმეებს“)

ფანავას ხატულის სოფელს, ხედღ ლეჟური ლაიდურჟი არი, ეჯის (ლშხ.) „ფანავას ეძახიან სოფელს, რომელიც ლეჟურის საზღვარზეა, იმას („ფანავა-ს ეძახიან სოფელ-ს, რომელიც ლეჟურ-ი^რს სა-ზღვარ-ზე არის, იმას“)

ეჯიარს ლახხტიენახ გუელეშაპ, ხედღმი ლადგართე დიენაცნდს ოთხეზა, ეჯი (ჩოლ.) „მათ შეხვედრიათ გველეშაპი, რომლის მოსაკლავადაც

დედინაცვალს გაუგზავნია, ის („იმეებს შეხვედრიათ **გველემაბ**-ი, რომლი¹ს¹ მოსაკლავ¹ის¹კენაც **დე-დ-ი¹ს¹-ნა-ცვ-ალ-ს** გაუგზავნია, ის“)“ და ა. შ.

ამრიგად, როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურის ყველა დიალექტი მდიდარია განსაზღვრებით დამოკიდებულიანი ჰიპოტაქსური წინადადებებითა და მათი გამოხატვის საშუალებებებით (საკორელაციო სიტყვებითა და წევრ-კავშირებით), თუმცა დიალექტთა შორის არსებითი სხვაობა შეინიშნება ამა თუ იმ წევრ-კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით. **ხედუნა** „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის იშვიათად გამოყენებითა და უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქციის უპირატესობით ბალსქვემოური დიალექტი უპირისპირდება სხვა დანარჩენ დიალექტებს. გარდა ამისა, აღნიშნულ დიალექტს სხვა დანარჩენთაგან განსხვავებს მკვეთრი ინტონაციაც, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში.

ლიტერატურა

აბესაძე 1960 — ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის კავშირები და წევრ-კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960

ლომია 2005 — მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი, 2005

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949

როგავა 1987 — გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკვ. ტ. XXVI, თბილისი, 1987.

ჩიქობავა 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.

Nato Shavreshiani, Medea Sagliani

**On the hypotaxis with an attributive
subordinate clause in Svan**

Summary

As it is seen from the diverse Svan dialectological material, all the dialects of Svan are rich in hypotactic sentences with attributive subordinate clauses and the means for their rendering (correlation words and connectors) but there is an important difference between dialects in terms of using connectors. Upper Bal contrasts with the rest of the dialects in terms of the seldom use of the relative pronoun **xedũã** “which” and of the advantage of a hypotactic construction without a conjunction. Besides, the said dialect differs from the rest in terms of the sharp intonation which is particularly seen in the complex sentences without conjunctions.

ვაჟა შენგელია

ოდნაობითობის გამოხატვისათვის მეგრულში

ოდნაობითობის სემანტიკა ნიშნავს საგნის ნიშან-თვისების, ამა თუ იმ მოქმედებისა და საგარემოებო შინაარსის ნაკლები ხარისხით წარმოდგენას. მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს რაოდენობრივად შედარებით მცირე ოდენობის ნიშნის რელიზაციასთან სახელებში, ზმნებსა და ზმნისართებში.

ბუნებრივია, პირველ რიგში საკითხი ეხება ზედსართავ სახელებს, რომელთა ხარისხის ფორმების ანალიზს გრამატიკულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. როგორც ცნობილია, სამსავე ქართველურ ენაში ფუნქციონირებს ზედსართავი სახელის ხარისხის გრამატიკული კატეგორია. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. ძირითადად ორი საკითხია დავის საგანი: 1. ზედსართავი სახელის ე. წ. „დადებითი ხარისხის“ სტატუსი და 2. ოდნაობითი შინაარსის მქონე ზედსართავი სახელის ადგილი ხარისხის ფორმათა სისტემაში. პირველ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა ერთი ნაწილი „დადებითი ხარისხის“ ფორმებს ხარისხის სხვა ფორმებთან ერთად განიხილავს (შანიძე 1953: 141-142; დანელია 2006: 117-118; ჭუმბურიძე 2007: 100-106...), სხვები კი მას ხარისხის ცალკე სახეობად არ მიიჩნევენ (მარი 1910: 17-18; ყიფშიძე 1914: 033-035; ზურაბიშვილი 1957: 136-137; ჩიქობავა 1967: 37; თოფურია 2002: 170-171; კიზირია 1967: 67...). რაც შეეხება მეორე საკითხს, მკვლევართა მეტ წილისათვის ოდნაობითი ხარისხის ფორმა ხარისხის კატეგორიის ერთ-ერთი სახეობაა (ყიფშიძე 1914: 033; შანიძე 1953: 141-142; ჩიქობავა 1967: 37; ჭუმბურიძე 2007: 100-101; ქაჯაია 2001: 40...); სხვა თვალსაზრისის მიხედვით კი აღნიშნული ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ხარისხის ფორმად, რადგან „აქ არა გვაქვს საგნის ნიშანთა ისეთი შედარება და არც ის სინტაქსური კონსტრუქცია, როგორც შედარებითი ხარისხისთვის არის დამახასიათებელი“ (ზურაბიშვილი 1957: 137).

ჩვენ მხარს ვუჭერთ პირველ თვალსაზრისს, რომელიც ხარისხის ცნების განმარტებიდან გამომდინარეობს; ეს განმარტება კი მიუთითებს, რომ ხარისხის ფორმები საგნის ისეთ ნიშანს გამოხატავენ, რომლის წარმოდგენა შეიძლება მეტი ან ნაკლები ოდენობით (შანიძე 1953: 141; ზურაბიშვილი 1957: 139). ცნებას ამ განსაზღვრას სრულად შეესაბამება ოდნაობითი ხარისხის ფორმები.

ოდნაობითი ხარისხის სახელები ქართულში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ XIX საუკუნის ქართველ გრამატიკოსებს, კერძოდ, პ. იოსელიანს, დ. ჩუბინაშვილს, პ. კვიციანიძეს, თ. ჟორდანიას... (იხ. ზურაბიშვილი 1962: 642), ხოლო მეგრულში ოდნაობითი ხარისხი პირველად ი. ყიფშიძემ გამოყო (ყიფშიძე 1914: 035).¹

მეგრულში ოდნაობითი ხარისხს **მო** — **ე** კონფიქსი აწარმოებს ძირითადად ფერის, სიდიდის, ადამიანის ამა თუ იმ თვისების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელთაგან.

ა) ფერის აღმნიშვნელ ზედსართავთაგან

ჩე „თეთრი“ — **მო**რჩე „მოთეთრო“ აქ ორი გარემოება იქცევის ყურადღებას: 1. **რ**-ს შემონახვა ზედსართავულ ფუძეში და 2. ოდნაობითი ფორმის ბოლოკიდური **ე**-ს კონფიქსისათვის მიკუთვნება (სხვა ზედსართავი სახელთა ანალოგიით);

უჩა „შავი“ — **მო**უჩე „მოშავო“;

ჭითა „წითელი“ — **მო**ჭითე „მოწითალო“

უკანასკნელ ორ შემთხვევაში საყურადღებოა ბოლოკიდური **ა**-ს მოკვეცა **ე** სუფიქსის დართვის შედეგად.

ყვინთელი || **ცვინთელი** „ყვითელი“ — **მო**ყვინთელი || **მო**ცვინთელი „მოყვითალო“;

ლურჯი „ლურჯი“ — **მო**ლურჯე „მოლურჯო“;

რუმე „მუქი“ — **მო**რუმე „მომუქო“;

სქირუ „მშრალი“ — **მო**სქირუე „მომშრალო“;

ლიბუ „რბილი“ — **მო**ლიბუე „მორბილო“...

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ოდნაობითი ხარისხის ფორმები ჩვენურში დასტურდება (დემერიევი 1967: 196; ფარულაძე 2011: 91).

ბ) სიდიდის აღმნიშვნელ ზედსართავთაგან

- დიდი** „დიდი“ — **მოდიდე** „მოდილო“;
- ჭიჭე** „პატარა“ — **მოჭიჭე** „მომცრო“, ზედმიწ. „მოპატარო“;
- მაღალი** „მაღალი“ — **მომაღალე** „მომადლო“;
- დაბალი** „დაბალი“ — **მოდაბალე** „მოდაბლო“;
- შხუ** „მსხვილი“ — **მოშხუე** „მომსხო“;
- ჭიფე** „წვრილი“ — **მოჭიფე** „მოწვრილო“;
- გირძე** „გრძლი“ — **მოგირძე** „მოგრძო“;
- სქელი** „სქელი“ — **მოსქელე** „მოსქელო“...¹

გ) გონებრივი და სულიერი მდგომარეობის, გარეგნობის აღმნიშვნელ ზედსართავთაგან

- ჭკვერი** „ჭკვიანი“ — **მოჭკვერე** „მოჭკვიანო“;
- ბორო** „სულელი“ — **მობორუე** „მოსულელო“;
- შერი** „შტერი, გიჟი“ — **მოშერე** „მოშტერო, მოგიჟო“;
- ხანგა** „გიჟი“ — **მოხანგე** „მოგიჟო“;
- სქვამი** „ლამაზი“ — **მოსქვამე** „მოლამაზო“;
- ცუნგა** „ყრუ“ — **მოცუნგე** „ოდნავ ყრუ“;
- ჩუნგა** „ჩლუნგი“ — **მოჩუნგე** „მოჩლუნგო“;
- ელანი** „ელამი“ — **მოელანე** „მოელამო“;
- ცვერე** „ბრმა“ — **მოცვერე** ზედმიწ. „მობრმავო“...

დ) ტემპერატურის აღმნიშვნელ ზედსართავთაგან

- გოჟე** „ნელ-თბილი“ — **მოგოჟე** „ცოტა ნელ-თბილი“
- რგილი** „გრილი“ — **მორგილე** „მოგრილო“;
- ჩხე** „ცხელი“ — **მორჩხე** „მოცხელო“ **ჩ** შესაძლებელია აქ სათანადო ზმნური ფუძის ანალოგიით იყოს გაჩენილი (შდრ. არჩხიელენს „აცხელებს“);
- ტიბუ** „თბილი“ — **მოტიბუე** „მოთბო“.

აქვე შეიძლება განვიხილოთ **მოჯგირე** „ნათესავი“, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მოკარგო“ — შდრ. **ჯგირი** „კარგი“.

¹ პარალელურად დადასტურებულია **მოსქე** (ქობალია (2010: 477).

კიდევ რამდენიმე ზედსართავია საყურადღებო: გემუანი „გემრიელი“ — მოგემუანე „მოგემრიელი“, **ნწარე** „მწარე“ — **მონწარე** „მომწარო“, **ბჟე** „მჟავე“ — **მობჟე** „მომჟავო“...

ოდნაობის **მო**—ე კონფიქსი არსებით სახელთაგანაც აწარმოებს ოდნაობის სემანტიკის სახელებს: **კოჩი** „კაცი“ — **მოკოჩე** „მოკაცი“, **კუბური** „წაბლი“ — **მოკუბური** „მოწაბლისფრო“ (მეგრული 2010: 141), **ონჯუა** „სალამო“ — **მოონჯუე** „მოსალამოებული“, **გოთანა** „განთიადი“ — **მოგოთანე** „გამთენია“ **ბაღანა** „ბავშვი“ — **მობაღანე** „მობავშვი“...

მო—ე კონფიქსთან ერთად მეგრული იყენებს, ახალქართულისებურ **მო**—ო-ს: **მოჭითო** „მოწითალო“, **მოჭიჭო** „მომხრო“, **მოჭიფო** „მოწვრილო“, **მორუმო** „მომუქო“, **მოშხუო** „მომსხო“, **მოლიბუო** „მორბილო“, **მოშერო** „მოშტერო“, **მოჭკვერო** „მოჭკვიანო“, **მოტიბუო** „მოთბო“, **მონწარო** „მომწარო“...

კონფიქსების პარალელურად ოდნაობითობას გამოხატავს **ელა**-პრეფიქსით ნაწარმოები სახელებიც: **ელაჭითა** „მოწითალო“, **ელარჩე** „მოთეთრო“, **ელატიბუ** „მოთბო“, **ელახანგა** „მოგიყო“, **ელამონდა** „მომწიფო“...

აღნიშნული ფუნქციით გამოიყენება **ლა**—ია კონფიქსი: **ლაგირძია** „მოგრძო“, **ლაბარტყია** „მობრტყო“, **ლაბარჯია** „პატარა სარი“, **ლაბარსია** „გაბრტყელებული“... (შენგელია 2001: 21; მეგრული 2010: 432-433).

ამავე მნიშვნელობით გვხვდება **-ერია** II **-ელია** სუფიქსი: **გირძელია** „მოგრძო“, **ბეხვერია** „მომსხო“, **ტყვებერია** ზედმიწ. „მოლაცყო“...

გვაქვს **გო**—ე კონფიქსის გამოყენების შემთხვევებიც: **გოუჩე** „მოშავო“ (მეგრული 2010: 142), **გოჭიფე** „მოვიწრო, მოწვრილო“¹, **გორჩე** „მოთეთრო“, **გოჭითე** „მოწითალო“, **გოსქირუე** „მომშრალი“...

ზოგ პრევერბს მეგრულ ზმნაში, ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავსად, ოდნაობითობის, მოქმედების სიმცირის გამოხატვა აკისრია; ესენია **ელა**-, **წუმო**- II **წიმო**- II **წგმო**-, **მო**-.

ელა: **ელაჭითონდგ** „წამოწითლდება“, **ელარჩიელენს** „მოათეთრებს“, **ელარჩხიელენს** „წამოადულებს“, **ელაბირანს** „მიამღერებს“, **ელაკეთენს** „მცირედ შეაკეთებს“, **ელაბარუნს** „ცოტას (გა)ბერავს“...

წუმო...: **წუმოკვათუნს** „მცირედ მოაჭრის“, **წუმობარუნს** „ოდნავ დაბარავს“, **წუმოტიბუანს** „წამოაცხელებს“...

¹ **გოჭიფე** ტოპონიმიც არის, კერძოდ, ვიწრო მორგვის სახელია მდინარე ოჩხომურზე ჩხოროწყის რაიონის სოფელ ჭოდის ბაკურეთის უბანში.

მო:- მოჭითონდგ „ცოტა გაწითლდა“, მოშირგ „ცოტა გაცვითა, მოცვი-
თა“, მოათხითხორენს „ცოტას გაათხელებს, მოათხელებს“, მოშუნს „მოსვამს“...
ეგვევე პრევერბები მსგავსი სემანტიკით ნაზმნარ სახელებშიც — მას-
დარსა და მიმღეობაშიც, გვხვდება: ელაჭითორება „წამოწითლება“ — ელა-
ჭითორებული „წამოწითლებული“, ელანწარება „მომწარება“ — ელანწარე-
ბული „მომწარებული“, წუმოლანდღუა „ოდნავ ამღვრევა, შემღვრევა“ —
წუმოლანდღვილი „შემღვრეული“, წუმოშირუა „ოდნავ გაცვეთა, მოცვეთა“
— წუმოშირილი „მოცვეთილი“, მოჯვეშება „მოძველება“ — მოჯვეშებული
„მოძველებული“, მოახალება „მოახლება“ — მოახალებული „მოახლებული“,
მოსქვამება „შელამაზება“ — მოსქვამებული „შელამაზებული“...

ოდნობითობის, ნაკლებობის შინაარსის გადმოცემა შეიძლება აღწე-
რითადაც სათანადო სახელთან თუ ზმნასთან **ჭიჭე** || **ჭე** „პატარა, მცირე“,
ჭიჭეთ „მცირედ“, ნაკლებო „ნაკლებად“, **ონდეთ** „ოდნავ“... სიტყვათა და-
კავშირების შედეგად: **ჭიჭე** ჩე „ოდნავ თეთრი“, **ჭიჭე** ჭითა „ოდნავ წითე-
ლი“, **ჭიჭე** უჩა „ოდნავ შავი“, **ნაკლებო** ჩხე „მცირედ, ნაკლებად ცხელი“,
ჭიჭე დეგვიანუ „ცოტა, ოდნავ დაავიანდა“, **ჭიჭექ** დაკორდგ „ცოტა დააკ-
ლდა“, **ონდეთ** ჩხე „ოდნავ ცხელი“, **ონდეთ** ნწარე „ოდნავ მწარე“, **ონდეთ**
ბარილი „ოდნავ გაბერილი, შებერილი“...

აღწერითი წარმოება ოდნობითობის შინაარსით გვხვდება ზმნისარ-
თებშიც: **ჭიჭე** || **ჭე** აშო „ცოტა აქეთ“, **ჭიჭე** || **ჭე** იშო „ცოტა აქეთ“, **ჭიჭე** ||
ჭე მალას „ცოტა მალე“, **ჭიჭე** || **ჭე** ადრე „ცოტა ადრე“, **ჭიჭე** || **ჭე** გვიანას
„ცოტა გვიან“...

საინტერესოა, რომ ოდნობითობის შინაარსის შესიტყვების სახით
რეალიზაცია შეიძლება ოდნობითი ხარისხის ფორმათა გამოყენებითაც მო-
ხდეს: **ჭიჭე მოჭითე** „ცოტა მოწითალო“, **ჭიჭე მორჩე** „ცოტა მოთეთრო“,
ჭიჭე მორჩხე „ცოტა მოცხელო“, **ჭიჭე მობორუე** „ცოტა მოსულელო“, **ჭი-
ჭე ელანანგა** „ცოტა მოვიყო“, **ჭიჭე ლაგირძია** „ცოტა მოგროძო“, **ჭიჭე მო-
ახალებული** „ცოტა მოახლებული“, **ჭიჭე მოჯვეშებული** „ცოტა მოძველე-
ბული“... ამ შემთხვევაში ოდნობითობის სემანტიკის უფრო მცირე ხარის-
ხით გადმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამგვარად, ოდნობითობის გამოხატვის ძირითადი საშუალებად მიიჩ-
ნევა ოდნობითი ხარისხის ფორმათა წარმოება, მაგრამ ეგვევე შინაარსი შე-
იძლება გადმოიცეს სხვადასხვა აფიქსის გამოყენებით სახელებში და პრე-
ვერბების საშუალებით ზმნაში, აგრეთვე, აღწერითად.

ლიტერატურა

დანელია 2006 — კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი. — კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.

დეშერიევი 1967 — Ю. Д. Дешериев, Чеченский язык. — ЯН СССР, Т. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

ზურაბიშვილი 1957 — თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში. — თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი.

ზურაბიშვილი 1962 — თ. ზურაბიშვილი, ოდნაობით ფორმათა ისტორიისათვის. — სმამ, ტ. XXIX, №5, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, სვანური ენა. — შრომები, ტ. II, თბილისი.

კიზირია 1967 — А. И. Кизириа, Занский язык. — ЯН СССР, Москва.

მარი 1910 — Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург.

მეგრული 2010 — გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

ფარეულიძე 2011 — რ. ფარეულიძე, ჩეჩნური ენა, თბილისი.

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, ძირითადი ტაბულები. — მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქობალია 2010 — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

შანიძე 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შენგელია 2001 — ვ. შენგელია, რამდენიმე ქართველური ფუძის ისტორიისათვის. — XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჩიქობავა 1967 — А. С. Чикобава, Грузинский язык. — ЯН СССР, Москва.

ჭუმბურიძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენის გრამატიკული ანალიზი. — სვანური ენა, თბილისი.

Vazha Shengelia**Towards Expressing of Slightness in Megrelian****Summary**

In the Megrelian dialect of the Megrelian-Laz language there are several tools of expressing slightness. These are:

- a) forms of slightness degree formed by **mo** – **e** confix (e. g.: **če** "white" – **morče** "light white");
- b) expressing a slight context by **ela-** prefix (e. g. **boro** "fool" – **elaboro** "a little fool");
- c) to denote slightness in verbs and verbal nouns by using **ela-** preverb (e. g.: **elabaruns** "It breezes a little", **elabarua** "to breeze a little", **elabarili** "breezed a little");
- d) to denote semantics of slightness by description – word-;correspondence (e. g.: **ondet barili** "inflated a little").

მერაბ ჩუხუა

-ერ სუფიქსიან ნამყო დროის მიმღეობათა საკითხისათვის ლაზურ-მეგრულში

საზოგადოდ მიმღეობის წარმოებას ზანურში მრავალფეროვნება ახასიათებს, მეგრული დიალექტის შემთხვევაში სავსებით ადეკვატური იქნებოდა გაგვემეორებინა აკაკი შანიძის სამართლიანი შენიშვნა, გამოთქმული თანამედროვე ქართულისათვის: „არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში“ (შანიძე 1953 : 588). მეგრულში სიტუაციას ართულებს ის ფაქტორიც, რომ, თუ ქართულში საშუალება გვეძლევა ენის ისტორიის გათვალისწინებისა ძველქართული წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, მეგრულში ამგვარი შესაძლებლობა არ გვაქვს, ვინაიდან მეგრულ-ლაზურში იმთავითვე საერთოქართული დამწერლობით სარგებლობდნენ უძველესი პერიოდებიდან დღემდე. თუმცა ფორმათა ნაირგვარობის ახსნა კილოკავური (დიალექტური) მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე მაინც ხერხდება.

რაც შეეხება **-ერ** სუფიქსიან ნამყო დროის მიმღეობათა წარმოებას, ლაზურ დიალექტში ვითარება სავსებით მარტივია, ნამყო დროის ვნებით გვარის მიმღეობას ლაზურში ოდენსუფიქსური დერივაციისას მხოლოდ **-ერ** (დისიმილაციით **-ელ**) სუფიქსი აწარმოებს:

- ერ:** ტან-**ერ**-ი „გატეხილი“
ტკობინ-**ერ**-ი „დამალული“
თან-**ერ**-ი „განათებული, გაბრწყინებული“...
- ელ:(← -ერ):** მე-ხარ-**ელ**-ი „ჩამოხეული“
მე-კირ-**ელ**-ი „მიბმული“
ოკო-რთ-**ელ**-ი „გაყოფილი“...

ჭანურის ათინურ და არქაბულ კილოკავებში ზემოაღწერილი წესი არ მოქმედებს; ამ ქვესისტემაში, ფუძის აგებულებისდა მიუხედავად — არის ძირში **რ** ვარიანტი, თუ არა, მხოლოდ **-ერ** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს. ამით, შეიძლება ითქვას, უნიფიკაციის პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი: ათინურ-არქაბულში ფუძისეული **რ**-სთან **-ერ** სუფიქსისეული **რ** ძლებს და ფონეტიკურ პროცესებს (დისიმილაციას) არ ექვემდებარება (მარი 1910 : 62; ნადარეიშვილი 1965 : 153-154), შდრ.:

ათინ., არქაბ.	ხოფ.
ჭარ- ერ -ი	ჭარ- ელ -ი „დაწერილი“
ღურ- ერ -ი	ღურ- ელ -ი „მკვდარი“
ნჯირ- ერ -ი	ნჯირ- ელ -ი „დაწოლილი“
რღ- ერ -ი	რღ- ელ -ი „გაზრდილი“...

ხოფური კილოკავისათვის (განსაკუთრებით სარფის მეტყველებისათვის) დამახასიათებელია ძირეული და სუფიქსისეული **რ** ვიბრანტის ჩავარდნა/დაკარგვა: *მე-**კირ-ერ**-ი → მე-**კირ-ელ**-ი // მე-**კიღ-ელ**-ი „მიბმული“; ***ოროფ-ერ**-ი → **ოროფ-ეღ**-ი „შეყვარებული“; *მო-წიფხ-**ერ**-ი → მო-წიფხ-**ეღ**-ი „მორთული, გამოწყობილი“ (ყიფშიძე 1911 : 6; ნადარეიშვილი 1965 : 154).

რაც შეეხება მეგრულს, **-ერ** ოდენსუფიქსიანი წარმოება აქაც ბუნებრივია, ოღონდ აქ მისი დისტრიბუცია შეზღუდულია და პარალელურად **-ირ** (ქართული **-ილ**-ის შესატყვისი) მარკერიც დაჩნდება. რომ შევადაროთ მეგრულის მონაცემები ლაზურის ზემოაღწერილ ფორმებთან, აღმოჩნდება, რომ ზოგან მეგრული ლაზურს მიჰყვება, სხვაგან ქართულისებური მდგომარეობაა:

მეგრული -ერ // -ელ	ლაზური -ერ // -ელ
ტყობინ- ერ -ი	ტყობინ- ერ -ი „დამალული“
„გო“-თან- ერ -ი	თან- ერ -ი „განათებული“
ოკო-რთ- ელ -ი	ოკო-რთ- ელ -ი „გაყოფილი“
ღურ- ელ -ი	ღურ- ელ -ი „მკვდარი“
ნჯირ- ელ -ი	ნჯირ- ელ -ი „დაწოლილი“

მეგრული -ირ // -ილ	ლაზური -ერ // -ელ
ტახ- ირ -ი	ტახ- ერ -ი „გატეხილი“
კირ- ილ -ი	კირ- ერ -ი „ბმული“
რთ- ილ -ი	რთ- ელ -ი „გაყოფილი“
ჭარ- ილ -ი	ჭარ- ელ -ი „გაყოფილი“

ფონეტიკურ პროცესებსაც თუ დავაკვირდებით, ამოსავალი ვითარება ორსავე დიალექტში ემთხვევა, კერძოდ, ისტორიულად ძირითადია **-ერ** სუფიქსი (მეგრულში **-ერ, -ირ**), მაგრამ, როცა ფუძე/ძირი **რ** ვიბრანტს შეიცავს ამოქმედდება **რ — რ → რ — ლ** დისიმილაციური პროცესი. მეგრულის ზუგდიდურ და სამურზაყანოულ კილოკავებში დღეს **რ // ლ** მონაცვლეობა ისედაც (**რ**-ს გარეშეც) დასტურდება, მაგრამ თუ ფუძე (ძირი) **ლ**-ს შეიცავს, მაშინ **რ**-ს პოზიცია (**-ერ, -ირ**) ურყევია, შდრ.: ლახ-**ირ**-ი „ნაცემი“, ნჭყოლ-**ირ**-ი „დაჭრილი“, ცალ-**ირ**-ი „ცელილი“..., კალიფ-**ერ**-ი „კრეფილი“, კილ-**ერ**-ი „დაკეტილი“, ლიშ-**ერ**-ი „ნემსილი, შეკერილი“... ეს წესი მეგრულის ყველა ქვესისტემაზე ვრცელდება.

როგორც ვნახეთ, **-ირ** და **-ერ** სუფიქსები მეგრულში ხშირი გამოყენებისაა, მაგრამ ძირითადი მაინც **-ირ** (→//**-ილ**) არის, ამიტომაც შევეცადეთ **-ერ** (→//**-ელ**) სუფიქსის დისტრიბუცია დაგვედგინა, რაშიც გარკვეული კანონზომიერებანი გამოვლინდა იმისდა მიხედვით, თუ რა გვაქვს საწყისის ნიშნად მეგრულში.

ქვემოთ აღწერილი იქნება ყველა შესაძლო შემთხვევა, სადაც თავჩენილია **-ერ** (→//**-ელ**) სუფიქსური წარმოება მეგრულ დიალექტში.

ა) **-ა** მასდარიანი ზმნები

ძინ- ერ -ი „მატებული“	— ძინ- ა „მატება“
ჯოგ- ერ -ი „შეძულებული“	— ჯოგ- ა „შეძულება“
ხუნ- ერ -ი „დამჯდარი“	— ხუნ- ა „ჯდომა“
ცუნ- ერ -ი „გაყოლილი“	— ცუნ- ა „გაყოლა“
შქვიდ- ერ -ი „დამხრჩვალი“	— შქვიდ- ა „ხრჩობა“

ბ) **-ინ(ი)//-ინ-ა** მასდარიანი ზმნები

ჩრქინ- ელ -ი „მცოდნე“	— ჩრქინ- ა/ი „ცოდნა“
ჭყორ- ელ -ი „გამწყრალი“	— ჭყორ- ინ-ი „გაწყრომა“

რ-ინ-ელ-ი „დამდგარი“ — გე-რ-ინ-ა/ი „დადგომა“
ფურ-ინ-ელ-ი „ფრენილი“ — ფურ-ინ-ი „ფრენა“
ხორ-ინ-ელ-ი „დასახლებული“ — დო-ხორ-ინ-ი/ა „დასახლება“

გ) -ალ-ი მასდარიანი ზმნები

რაცვ-ალ-ერ-ი „დამფრთხალი“ — რაცვ-ალ-ი „ფრთხოვა, ცანცარი“
რანტ-ალ-ერ-ი „აცეტებული“ — რანტ-ალ-ი „აცეტება, რეტიანობა“
პარტყ-ალ-ერ-ი „გაპარტყუნებული“ — პარტყ-ალ-ი „პარტყუნა“
ტარკ-ალ-ერ-ი „გატლეკილი“ — ტარკ-ალ-ი „ტლიკინა“
ჟლარტ-ალ-ერ-ი „უძალოდ ქცეული“ — ჟლარტ-ალ-ი „უღონო
მცდელობა“

დ) -უ-ა მასდარიანი ზმნები

ლასირ-ელ-ი „გალესილი“ — ლასირ-უ-ა „ლესვა“
თხილ-ერ-ი „დაცული“ — თხილ-უ-ა „გაფრთხილება, დაცვა“
შაყარ-ელ-ი „შეკრებილი“ — შაყარ-უ-ა „შეკრება, შეყრა“
შილ-ერ-ი „გახედნილი“ — შილ-უ-ა „ხედნა“
შქვილ-ერ-ი „მოზიდული“ — შქვილ-უ-ა „მოზიდვა“

ე) -ურ და -ულ სუფიქსის შემცველი ზმნები უგამონაკლისოდ -ერ წარმოებას მისდევს:

ძღაბ-ულ-ერ-ი „ჯღაბნილი“ — ძღაბ-ულ-ი//ძღაბ-ულ-უ-ა „ჯღაბნა“
ცახ-ულ-ერ-ი „გაფხვიერებული“ — ცახ-ულ-ი//ცხ-ულ-უ-ა „გაფხვიერება“
ყურშ-ულ-ერ-ი „დახუნძლული“ — გო-ყურშ-ულ-ი//გო-ყურშ-ულ-უ-ა
„დახუნძვლა“
ცხაცხ-ულ-ერ-ი „დაცხავებული“ — გო-ცხაცხ-ულ-ი//გო-ცხაცხ-ულ-უ-ა
„დაცხავება“
ცქაფ-ულ-ერ-ი „ულაზათოდ ნაკეთები“ — გო-ცქაფ-ულ-ი//ცქაფ-ულ-უ-ა
„ულაზათოდ კეთება“
ჰყაბ-ურ-ელ-ი „გატიტყნილი“ — ჰყაბ-ურ-ი//ჰყაბ-ურ-უ-ა „ტიტყნა“
ხანტ-ურ-ელ-ი „გაფერადებული“ — გო-ხანტ-ურ-ი//ხანტ-ურ-უ-ა „გაფერა-
დება“
თხაბ-ურ-ელ-ი „გათხუბნული“ — გო-თხაბ-ურ-ი//თხაბ-ურ-უ-ა „თხუბნა“
ტატ-ურ-ელ-ი „შელესილი“ — გო-ტატ-ურ-ი//ტატ-ურ-უ-ა „შელესვა (მსუ-
ბუქად)“

ვ) **-უნ-**ი სუფიქსიანი ზმნებიც ყოველთვის **-ერ** სუფიქსიანი ვნებითი მიმღეობას გამოაჩენს, რითაც ისინი **-ინ-**ი დაბოლოებიანი ზმნებს უტოლდებიან, შდრ. ტარკუნ-**ელ-**ი „გაჭორილი“ — ტარკუნ-ი „გაჭორვა“...

ზ) თითქმის ყველა ნასახელარი ზმნისაგან ნაწარმოები ნამყო დროის ოდენსუფიქსური მიმღეობა მეგრულში მხოლოდ **-ერ** სუფიქსს იყენებს:

ძვალ-**ერ-**ი „გაძვალტყავებული“ — გო-ძვალ-უ-ა „ყვლეფა“, შდრ. ქართ. ძვალ-ი;

ჭაპან-**ერ-**ი „დახუნძლოლი“ — ჭაპან-უ-ა „დახუნძვლა“, „დატვირთვა“, შდრ. ქართ. ჭაპან-ი;

ჭარგ-**ელ-**ი „აჭრელებული“ — გო-ჭარგ-უ-ა „დაჭრელება“, შდრ. ჭარგა „ჭრელი“;

ხაბაკ-**ერ-**ი „ცარიელი“ — გო-ხაბაკ-უ-ა „გაცარიელება“, შდრ. ხაბაკ-ი „ბარგი-ბარხანა“;

ბუძგურ-**ელ-**ი „აბურძნული“ — ბუძგურ-უ-ა „აბურძნა“, შდრ. ბუძგურ-ია „ბურძელი“.

ასევე **-ერ** სუფიქსს დაირთავს **-ალ-ა** მასდარიანი ზმნებიც მეგრულში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **-ალ-ა** მარკერი ჩამოშორდებათ მიმღეობის წარმოებისას, შდრ.: ჭ-**ერ-**ი // ჭ-**ელ-**ი „შეკერილი“ — ჭ-**ალ-ა** „კერვა“; ზ-**ერ-**ი // ზ-**ელ-**ი „მოზელილი; ცომი“ — ზ-**ალ-ა** „მოზელა“... სხვა შემთხვევაში **-ერ-**ის ხმარება გამორიცხულია: თქუ-**ალ-ა** „თქმა“, მაგრამ თქუ-**ალ-ირ-**ი; ჩუ-**ალ-ა** „შენახვა“, მაგრამ ჩუ-**ალ-ირ-**ი „შენახული“; მო-**დვ-ალ-ა** „ჩაცმა“, მაგრამ მო-**დვ-ალ-ირ-**ი „ჩაცმული“; მო-**ჩქუმ-ალ-ა** „მიგზავნა“, მაგრამ მო-**ჩქუმ-ალ-ირ-**ი „მიგზავნილი“; მო-**ჯუმ-ალ-ა** „მოტანა“, მაგრამ მო-**ჯუმ-ალ-ირ-**ი „მოტანილი“ და ა. შ., რაც, ჩვენი დაკვირვებით, მეორეული მოვლენაა და **-ირ** სუფიქსის გავრცელების არეალის გაზრდის ტენდენციით უნდა აიხსნას, თუმცა კონფიქსური წარმოების დროს **-ერ** სუფიქსს ამ (**-ალ-ა** მასდარიანი) ტიპის ზმნებშიც აქვს შენარჩუნებული კუთვნილი პოზიციები, რასაც თვალნათლივ ადასტურებს შემდეგი ნიმუშები: ნო-**თქუ-ერ-**ი // ნო-**თქუ-ელ-**ი „ნათქვამი“, ნო-**ჩუ-ერ-**ი // ნო-**ჩუ-ელ-**ი „დანამალი“, მო-**ნა-დვ-ერ-**ი // მო-**ნა-დვ-ელ-**ი „ჩანაცმევი“...

და რომ პროცესი **-ირ/-ერ** სუბსტიტუციისა არ დამთავრებულა იქიდანაც ჩანს, რომ გარკვეულ ზმნებში დღემდე ხშირია პარალელური ფორმების ხმარების შემთხვევები, — როცა ერთსა და იმავე ფუძესთან ხან **-ერ** → // **-ელ** იჩენს თავს, ხანაც — **-ირ** → // **-ილ**, შდრ.: ჩოლ-**ერ-**ი // ჩოლ-**ირ-**ი

„დაცლილი“ — ჩოლ-უ-ა „დაცლა“; ბარს-ელ-ი // ბარს-ილ-ი „გაბრტყელე-ბული“ — ბარს-უ-ა „გაბრტყელეა“; გო-ჯღონ-ერ-ი „დაგზავნილი“ // მო-ჯღონ-ირ-ი „მოგზავნილი“ — ჯღონ(უ)-ა „გზავნა“; აკო-რთ-ელ-ი „გზებ-გაყრილი“ // აკო-რთ-ილ-ი „გაყრილი გზები“ — აკო-რთ-ა „განყრა“; გო-ქუნ-ერ-ი // გო-ქუნ-ილ-ი „შემოხურული“ — გო-ქუნ-უ-ა „შემოხურვა“; გო-თახვ-ალ-ერ-ი // გო-თახვ-ირ-ი „ჭანჭყართ ამორეცხილი“ — თახვ-(ალ-) „ჭანჭყართ რეცხვა“; გო-რდ-ელ-ი „გარს შემოზრდილი // გო-რდ-ილ-ი „გა-ზრდილი“ — რდუ-ალ-ა „ზრდა“...

ცხადია, მეგრულში ლაზურის საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს სა-ქმე, თუ ჭანურში -ერ → // -ელ გახდა ერთადერთი მაწარმოებელი ნამყო დროის მიმღეობაში, მეგრულში იგივეს ცდილობს -ირ → // -ილ სუფიქსი, თუმცა ლაზურში პროცესი ბევრად უფრო წინ არის წასული. უნიფიკაცი-ის პროცესი აქ დასრულებულია.

რაც შეეხება ამოსავალ ვითარებას, მიმღეობებში საერთოზნაური მდგომარეობისთვის აღსადგენია მეგრულისებური პარადიგმა, რაც ყოველი გრამატიკული მოვლენის სათანადოდ შესწავლის გზით უნდა წარიმართოს.

ლიტერატურა

თოფურია 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

მარი 1910 — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910.

ნადარეიშვილი 1965 — ლ. ნადარეიშვილი, ნაზმნარი სახელები ზა-ნურში, დისერტაცია ფილ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1965.

ყიფშიძე 1911 — И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском, СПб, 1911.

ჩიქობავა 1953 — ა. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიუ-ლი ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, V, თბ., 1953.

Merab Chukhua
**Towards the issue of Past Participles with the suffix *-er*
in Laz-Megrelian**
Summary

Generally, formation of participle in Zan (especially in Megrelian) is characterized by diversity. As regard the Megrelian dialect, it would be adequate to recall Akaki Shanidze's comment on modern Georgian: "*The property of different epoch and different sub-dialects is so mixed up with each other nowhere as in the participle forms.*"

Formation of Past Participle with *-er* suffix is simple in the Laz dialect. In Laz a Past Passive Participle is formed by *-er* (with dissimilation *-el*) suffix. Megrelian presents a parallel *-ir//er* formation. In certain verbs the using cases of parallel forms often occur up-to-date – when at the same stems either *-er* > // *-el* or *-ir* > // *-il* occurs; cf. *čol-er-i* // *čol-ir-i* 'emptied' - *čol-u-a* 'emptying'.

It is obvious that in Megrelian we deal with an opposite situation of Laz. Namely, if in Laz *-er* > // *-el* is an only formant of Past Participle, in Megrelian *-ir* > // *-il* suffix has the same function, however, the process is much advanced – an unification process is ended.

For Common Zan it should be reconstructed a Megrelian-like paradigm that should be carried out according to appropriate description and study of each grammatical occurring.

მერაბ ჩუხუა

ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართველთა წარმართულ
პანთეონზე

თეთრი გიორგი

პროტოქართველთა რწმენა-წარმოდგენების, რელიგიური სამყაროს მეცნიერული კვლევა შორს არის სრულყოფილი შესწავლისაგან. მიუხედავად არაერთი წარმატებული მცდელობისა (ნ. მარი, *Боги языч. Груз., ЗВО, XIV; ი. ჯავახიშვილი, შრ. ტ. I, ტ. XI*) დღემდე არ მოგვეპოვება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომი. უფრო მეტიც, გაურკვეველია ქართველთა პირველ-ღმერთების ზადენ-ის, კერპ-ის, არმაზ-ის, ფიჭალე-ს, მალღიერ-ის, ბაგინ-ის, იგრ-ი-ბატონისა და სხვათა იერარქიული მიმართება ქართულ წარმართულ პანთეონში. რაც დანამდვილებით ვიცით, ეს არის ქალღმერთ დალ-ის ფუნქცია, რომელიც ნაყოფიერების ღვთაებად გვევლინება (შდრ. მისი კანონზომიერი კოლხური შესატყვისი **ღო**: **ღო**-უნანა, **ო-ღო**-ია, სვან. **დალ**).

დალ-ის სახელი ჩვენთვის საცნაური ხდება თქმულებიდან ამირანის შესახებ. სადაც დალ-ი დედაა ამირანისა, ხოლო მამად უბრალო (რიგითი) მონადირე, ჩვეულებრივი მოკვდავი გვევლინება. ფშაურ ვერსიაში თავად ამირანი, აღმოჩნდება რა შავი ვეშაპის კუჭში, იქიდან გამოსვლის, ანუ მეორედ დაბადების შემდგომ, ფორმას კარგავს და: „გოჭსა ჰგავდა ხუხალასა“. ახალშობილის უმწეო მდგომარეობაში მყოფი ამირანი, სხვათა რჩევით, დახმარებისთვის იგრ-ი-ბატონს მოუხმობს. ამის შემდგომ იგრ-ი-ბატონის ყოვლისშემძლე წყაროში განბანილი ამირანი იბრუნებს ფორმას და იწყება მისი ამაღლება სულიერად, გარეგნულად ეს ოქროს წვერსა და თმებში გამოიხატა.

ვინ არის **იგრ-ი-ბატონ-ი**?

რა თქმა უნდა, ის ერთ-ერთი უმაღლესი ღმერთთაგანია, რომელიც, შალვა ნუცუბიძის აზრით, ქართველთა ღმერთია, რომლის სახელი **იგრ-ი** არის საფუძველი ბერძენ ფილოსოფოსთა სრულყოფილების სიმბოლოსი, რომელიც ჯერ კიდევ თალესთან გვხვდება *წყლის ღმერთის* აღმნიშვნელად და ბერძნულში **იგრ-ონ**-ის სახით გვევლინება. ნუცუბიძით იგრ-ონ-ი არ არის ბერძნული წარმომავლობის სიტყვა, სავარაუდოა, რომ მას ჰკვებავს ქართული წყარო — *იგრ-ი-ბატონი* (ნუცუბიძე 1956 : 81-89). მ. ჩიქოვანი თვლიდა, რომ იგრ-ი და სვანური იამან-იასსარ-ი საერთო წყაროს გულისხმობს (ჩიქოვანი 1959 : 181-182).

ქართველური ლინგვისტური კომპარატივისტიკა მხარს დაუჭერდა **იგრ-** ძირის საერთოქართველურობას, ოღონდ ერთი შენიშვნით, **იგრ-** ფუძეს არაფერი აქვს საერთო ეგურ-/ეგრ- და ა. შ. ძირებთან (სოხაძე 2010 : 73-76). მას სულ სხვა შესატყვისი აქვს ქართველურ ენა-კილოებში. ამ მიმართულებით ფიქრისას ჩვენს ყურადღებას მიიქცევს მეგრული **ერგ-ე//ერგ-**, რომელიც გავრცელებულია როგორც სამეგრელოში, ისე სამურზაყანოსა და აბუჟა-აფხაზეთში (შდრ. აფხაზური ერგე-აშვა „სიმღერა წმინდა გიორგი-ზე“). იგივე **ერგ-** ძირი, ოღონდ ლაზური სინამდვილის ამსახველი, უნდა ჩანდეს აჭარაში ფიქსირებულ ტოპონიმ **ერგე-**ში, ვითარცა კვალი ლაზთა აღრინდელი მოსახლეობისა და საკულტო ადგილისა ისტორიულად (შდრ. მეგრული ტოპონიმი **ერგე-**ტა, -ტა აქ კნინობითობის სუფიქსი ჩანს). დასახელებულ რეგიონებში წყალდიდობისას, ისევე, როგორც გვალვისას, დიდი **ერგ-//იგრ-**ის სახელს მიმართავდნენ. ცხადია, აქვე უნდა გაგვახსენდეს **იგრ-ი-ბატონის** წყალში განბანვის სცენა ამირანიდან და ამ რიტუალის სრულყოფილება/ხელდასხმა.

ეჭვს გარეშეა, ქართული **იგრ-**ი ზანურში (მეგრულში) **ერგ-ე // ერგ-**ი // **ირგ-**ის შესატყვისება. აქ **რ-**ს მეტათეზისი მეგრულშივე განხორციელდა და საფუძველიც ამგვარი გადასმისა ცნობილია — ფონოტაქტიკური შეზღუდვა: $Cr \rightarrow rC$. მეგრული **ერგ-**(ე) მოგვიანო ხანის ქრისტიანულ სამყაროშიც არ იკარგება და, როგორც მებრძოლი ქრისტიანობის სიმბოლო, აქაც წმინდანის შარავანდედით იმოსება. იგი ხალხურ, ზეპირ ქრისტიანობაში წმინდა გიორგის ადგილს იკავებს და გვევლინება ჯგერგე-ს შემადგენელ ნაწილად, ე. ი. **ჯგირ-ერგ-ე → ჯგ-ერგ-ე** „წმინდა ერგე“. მეგრული ერგე- (*//ჯგ-ერგე*) ჩანს აფხაზურშიც, ხოლო, გაქვავებული სახით, ოსურ კომპოზიტში მისი კიდევ უფრო ძველი **ირგი** ← ***იგრი** სახეობა არის შემონახული: ვასთ-**ირჯი** ← ***ვასთ-ირგი** „წმინდა გიორგი“.

წმინდა გიორგის ფუნქციით საკუთრივ-ქართული **იგრ-** ძირის ფონეტიკური ვარიანტები უფრო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უნდა იყოს შემორჩენილი. მხედველობაში გვაქვს მეზობელ ყაბარდოსა და შაფსულებში მე-19 საუკუნემდე არსებული წმინდა გიორგის თაყვანისცემის კვალი, რომელიც აუშ-**იგერ** „წმინდა გიორგი“ ფორმითაა მკვლევართათვის ცნობილი. აქ **იგერ** უდავოდ ძვ. ქართული **იგრ-** ძირის განმოვანებელი სახეობაა.

ერთი რამ ცხადია, **იგრ-** ერთ-ერთი ქართული ცენტრალური წარმართული ღმერთის სახელია, დაკავშირებული წმინდა/უკვდავების წყალთან, ამიტომაც უნდა ჩანდეს იგი აპრილის თვის აღმნიშვნელად ქართულ წარმართულ კალენდარში — **იგრ-**იკა „აპრილი“, ანუ პერიოდი, როდესაც იწყება სასოფლო-სამეურნეო წელი იმ ქვეყანაში, სადაც წყალობა წყალთან იყო კავშირში, შდრ. ძველი ქართული **იგრ-ისა-** : „უწინარე ს ცხრისა დღისა იგრისა, რომელ არს მეცხრამეტესა მიჰრაკანე სსა“ (კეკელიძე 1940 : 3,7).

საყურადღებო ჩანს ის ფაქტიც, რომ ეგვევ **იგრ-** თავჩენილია ქართულ გვარ-სახელ **მ-იგრ-ია-ულ-**ში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში შემოგვრჩა. იქ, როგორც ეტყობა, **იგრ-ია** (← ***იგრ-იკა**?) საკულტო დანიშნულების ადგილი (ტოპონიმი, ან მიკროტოპონიმი) იყო, საიდანაც გამოსულებს **მ-იგრ-ია-ულ-ი** გვარად დაუმკვიდრდათ (შდრ. ი გ რ ი - ვ ა კ ე ადგილის სახელად თურქეთის საქართველოში — სოხაძე 2010 : 76).

სვანური **აგ-** (ჯგრ-**აგ** „წმინდა გიორგი“) ალბათ სიტყვათა ამ რიგში ვერ შემოვა. იგი ნამდვილად **აგ-**უნა-ში შემორჩენილ **აგ-** ძირთან არის კავშირში, მისი იდენტური შესატყვისი ჩანს (ა. ლეკიაშვილი); შესაბამისად, ზანურში მას კანონზომიერი ორგ-/ორგ-ია უკავშირდება, შდრ. სვან. (← ზან.) **გორგ-ილ//ორგ-ილ**.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ, როგორც ირკვევა, უძველეს პერიოდში საერთოქართველური ***იგრ-** არქეტიპით აღინიშნებოდა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ცენტრალური ღვთაება *თეთრი გიორგი*, ანუ იგრ-ი-ბატონი. მოგვიანებით წარმართულ საქართველოში მოქმედი ღვთაება *თეთრი გიორგი* ქართულმა ეკლესიამ ქრისტიანულ პანთეონში პატივით მიიღო და მას განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნა. ამიტომაც წარმართული პერიოდის *თეთრი გიორგი (იგრ-ი)* ქრისტიანულ საქართველოში *წმინდა გიორგითი იქნა* ჩანაცვლებული. იგივე პროცესი განვითარდა

მეგრულშიც, სადაც წარმართული **ჯგირ-ერგე** „წმინდა (თეთრი) ერგე“ დღემდე მიემართება *წმინდა გიორგის*, ანუ წმინდა გიორგის აღნიშვნა იტვირთა წარმართული პერიოდის, *თეთრი გიორგის* დროინდელმა ტერმინმა; ტრანსფორმაცია განიცადა **ღვთაებაჲ, წმინდანმა**, წარმართული *ტერმინი* კი ქრისტიანულ ეპოქაშიც მატერიალურად უცვლელი დარჩა როგორც მეგრულში, ისე აფხაზურში, ოსურში და, რაც ძალიან საინტერესოა, ჩერქეზულშიც.

კერბ-ი

თანამედროვე ქართულში **კერბ-** ფუძეს შემდეგი მნიშვნელობები უდასტურდება: 1. წარმართული ღვთაება (ქანდაკება); 2. ვინმესთვის სათაყვანებელი პიროვნება; 3. ჯიუტი, უტეხი, თავისნება. **კერბ-**ისგან იწარმოება რთული შედგენილობის ლექსემა **კერბ-**თაყვანისცემლობა და **კერბ-**თაყვანისცემელი. ხევსურულ დიალექტში აფიქსირებენ **კერბ-** ძირის საყურადღებო მნიშვნელობას — **კერბ-**ულ-ი = წარმართული (ს. მაკალათია), შღრ. ფშ.-ხევს. დევ-**კერბ-**-ნი „დევეები, ავი სულები“ (ა. ჭინჭარაული).

საბას ლექსიკონში **კერბ-**ი განიმარტება როგორც: „აჩრდილი არსებისა, გინა წარმართთ ცრუ ღმერთი, გინა ხელით ქმნილი“. აქვე სახელდება ტერმინი **კერბ-**მსახური.

კერბ- სახელი საკმაოდ გავრცელებული ფუძე ჩანს ძველ სამწერლო ქართულ ენაში: „და არა ხედავ მას, არამედ გარე მიიქცევ პირსა შესა მისგან, ვითარცა ვინ გარე მიიქციის პირი თვისი ქვისა კერპისაგან“ (მამ. სწავლ. 11-13.).

ძველ ქართულშივე ვლინდება მე-ე კონფიქსით გაფორმებული მე-**კერბ-**ე დერივატი: „ანუ რა გასმიანა სასწაულნი, რომელნი ქმნენს კონსტანტესზე მეფისა წარძღუანებითა ჯუარისათა, ანუ რომელნი ქუეყანასა ბერძენთასა იქმნენს სასწაულნი ივლიანეს-ზე მეკერპისა მეფისა?“ (ანდრონიკაშვილი 1966 : 334).

ქართული **კერბ-** ძირის ისტორიას იკვლევდა აკად. მზია ანდრონიკაშვილი; მისი აზრით, **კერბ-** ნასესხებია სპარსული (ფალაური **kerp**) ენიდან, სადაც ბუნებრივია **კერბ** სახეობა მნიშვნელობით „ფორმა, ფიგურა, გარეგნობა“, შღრ.: ავესტური **kerp** „სხეული, ფორმა“, სომხ. **kerp** „ფორმა, სახე, შეხედულება“ (ანდრონიკაშვილი 1966 : 383).

როგორც ვხედავთ, ქართული **კერბ**- ძირის სემანტიკა საკმაოდ დაშორებულია სპარსულისას, გვეჩვენება, რომ ფორმალური მსგავსება შემთხვევით ხასიათს ატარებს და არ გულისხმობს სპარსულიდან სესხების აუცილებლობას; გარდა ამისა, საყურადღებო ჩანს ზანური ენის მეგრული დიალექტის მონაცემები, სადაც, ჩვენი დაკვირვებით, ქართ. **კერბ**- ძირის ზუსტი ფონეტიკურ-სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი დასტურდება. ამ თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ი. ყიფშიძის ლექსიკონში ფიქსირებული **კაბ**- ძირი, რომელიც ცალსახად გამოიყოფა **კაბ**-უნ-ია სახელში (-უნ სუფიქსისთვის ღვათების სახელწოდებაში, შდრ. აგ-უნ-ა//აგ-უნ-ია, ჩაგ-უნ-ა//ჩაგ-უნ-ია...). ავტორი განმარტავს: **კაბ-უნ-ია** «По преданию, название идола, стоявшего на том месте, где ныне Мартвильский Монастырь; Он был сделан из чугуна в образе человека с раскрытым ртом» (ყიფშიძე, 1914 : 456).

კაბ-უნ-ისგან ჩანს ნაწარმოები **კაბ-უნ**-ობ-ა, ანუ დღესასწაული, რომელსაც სამეგრელოში იხდიდნენ ყველიერის წინა კვირას, ხუთშაბათ საღამოს და ღვათება კ ა ბ უ ნ ი ა ს მსხვერპლად სწირავდნენ კერატს. სამსხვერპლო კერატს **ო-კაბ-უნ**-ე ეწოდებოდა; იგი, ცხადია, **ო-მირს**-ე დერივაციის პარალელური ჩანს, შდრ. **მირს**-ობა. გამონაწევრებული **კაბ**- ძირისგან უნდა იყოს ნაწარმოები **კაბ**-უ სახელი მეგრულში. **კაბ**-უ შემონახულია მყარ შესიტყვებაშიც — *კაბუ-შ ოჭკომალი* „კაბუს შესაჭმელი“. ოთარ ქაჯაიას ლექსიკონში კ ა ბ უ მიჩნეულია ყ ვ ა ბ უ „ლორის ავადმყოფობა“ სიტყვის სინონიმად (ქაჯაია, II : 108). სინამდვილეში მეგრული **ყვაბუ** (← ***ყობუ**) ქართული **ყაბო**-ს ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია, ხოლო **კაბ**-უ კი მოკლე ფორმაა **კაბ-უნ**-ია-სი.

ჩვენი დაკვირვებით, მეგრული **კაბ**- ← ***კარბ**- შეესატყვისება ქართულ **კერბ**- ძირს, შდრ. ბევრათშესატყვისობა ქართ. ე : ზან ა (**კერბ**-/**კაბ**-). ქართულ-მეგრულ ფუძეთა შედარების საფუძველზე შესაძლებელია ქართველური ფუძე-ენისათვის ს.-ქართვ. ***კერბ**- „წარმართული ღმერთი“ არქეტიპის რეკონსტრუქცია.

მეგრული **კაბ**- ძირი ასევე უნდა ჩანდეს **რო-კაბ**- სიტყვაში: „ჯადოქარი, გრძნეული“. მეგრელთა წარმოდგენით, ელიობას, 20 ივლისის ღამეს ბოროტი სულები სოფელ-სოფელ დადიან მგლის, კატის, ბუს და სხვა ცხოველთა თუ ფრინველთა სახით, მსხვერპლს მოიპოვებენ და მიართმევენ ჯადოქარ როკაპ-ს, რომელიც ტაბაკონის მთაზე ცხოვრობს.

ცხადია, თუ რო-კაპ-//რუ-კაპ-ში გამოიყოფა კაპ- სეგმენტი, კითხვა ის-მის: მაშინ რაღაა რო-/რუ-?

დღეს რო-//რუ- მეგრულში არაფერს ნიშნავს. დასაშვებია, ის ისტორიულად ფონეტიკული სახეობა იყოს სხვა ძირისა. ასეთად გვეჩვენება ბრო-//ბრუ- ქართულში (თავ-**ბრუ**), რომელსაც მეგრულში ბორო „სულელი“ შეესატყვისება, შდრ. გურ. -**ბრო**, ბორო-იანი „ავზნიანი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან კეთდება დასკვნა, რომ საერთოქართველურ ფუძე-ენაში არსებობდა ბინარული ოპოზიცია ***კერბ**-ი და ***ბრო-კერბ**-ი, სადაც **კერბ**-ი ღვთაება იყო (დადებითი), ხოლო **ბრო-კერბ**-ი — ავზნიანი ღმერთი. სწორედ ამ უკანასკნელისგან განვითარდა *ჯადოქარ*-ის მნიშვნელობა ქართულ-მეგრულში, ე.ი. **ბრო-კერბ**-ი საერთოქართველური კომპოზიტია, საიდანაც ზანურში (მეგრულში) როკაპ-ი//რუკაპ-ი კანონზომიერ ფონეტიკურ ტრანსფორმაციებს დაქვემდებარებული სახეობები მივიღეთ, საერთოქართველურში კომპოზიტური შედგენილობის ანალოგიისთვის შდრ. ს.-ქართვე. ***ჟინ-ახ**-ი „ვენახი“ → ქართ. ვენახ-ი : ზან. ბინეხ-ი // ბინოხ-ი.

ბაგინ-ი

ძველი ქართული **ბაგინ**-ი „საკერპე, სამსხვერპლო, სალოცავი, ბომონი“, როგორც ადგილის სახელი (ტოპონიმი), საქართველოს ორ რეგიონში ფიქსირდება — მცხეთაში და ვანის რაიონში. მცხეთაში აკროპოლისის ტერიტორიაზე მთის ქვედა ტერასას ხალხი (მოსახლეობა) დღესაც უწოდებს ბაგინ-ით-ს ან ბაგინ-ეთ-ს, რაც ნიშნავს ბაგინ-ის (ე.ი. კერპის, სალოცავის) ადგილს (ჯანაშია 1988 : 128).

ბაგინ-ეთ-ი კ. წერეთელს მოგვ-ეთ-ი ტიპის წარმოებად მიაჩნია, ამიტომაც ასკვნია: „ადგილის სახელწოდებანი „მოგვეთი“ და „ბაგინეთი“ სემანტიკურად იდენტურია. ერთ შემთხვევაში იგი ნაწარმოებია სიტყვისგან „მოგვი“ და აქედან „მოგვების ადგილი, მოგვების ადგილსამყოფელი“ → „მოგვეთი“, ხოლო მეორე შემთხვევაში „ბაგინისგან“: ადგილი, სადაც ბაგინია და ორივე თავდაპირველად წარმართული სალოცავი იყო. ამიტომ ყველგან იქ, სადაც „ბაგინეთი“ გვხვდება, წარმართთა სალოცავის ადგილსამყოფელი უნდა ვივარაუდოთ“ (წერეთელი 2002 : 31).

ბაგინ- ფუძის წარმომავლობა იმთავითვე გარეენობრივ სამყაროს დაუკავშირდა. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებდა თავის ლექსიკონში, რომ: ბაგინი (უქმ.) სომხურია ბომონს ეწოდება, ქართულად ბომონი ჰქვია (ZA). ფაქტობრივ საბას მოსაზრებას იმეორებდა ნ. მარი, როცა აღნიშნავდა ქართ. ბაგინ-ის სომხ. **Bagin** „საკერპე“ (кумирня) ტერმინისგან მომდინარეობის თაობაზე (მარი 1906 : 302). ნასესხობის თეორიას სავარაუდოდ ემხრობა მ. ანდრონიკაშვილიც, ოღონდ მისთვის ქართ. ბაგინ-ის წყარო არის არა სომხური, არამედ ირანული ენები; კერძოდ, ავტორის მტკიცებით, სწორედ ძველირანული აღდგენილი ***bagaina** არქეტიპია ქართ. ბაგინ-ი და სომხ. **bagin**-ის წინამორბედი. თუმცა ამავდროულად საკუთრივ ირანული **bagā** (ძვ. ირანული ***bagaina**, სანსკრიტ. **bhaga**, ავესტ. **baya**) მისთვის არაინდოევროპული წარმომავლობისაა, ისტორიულად ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს **bagā**-ს მიდიური სამყაროდან შემოსვლა-დამკვიდრებას (ანდრონიკაშვილი 1966 : 16, 17, 34).

მ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისი მეორდება (გაზიარებულია) სხვა ავტორთა შრომებში (ა. აბულაძე 1975 : 81, ჯორბენაძე 1992 : 53, სარჯველაძე 1996 : 192).

მიუხედავად იმისა, ცხადია, იმთავითვე უნდობლობას იწვევს ძვ. ქართულში რეალურად ფიქსირებული სიტყვა-ფორმის ჰიპოტეტური წყაროდან მომდინარეობის დაშვება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქართველურ ენობრივ ქვესისტემაში ფიქსირებული ფუძეები **ბაგინ**-ის საკუთრივ ქართველური წარმომავლობის დამტკიცების შესაძლებლობას ვგაძლევდნენ. შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ „სალოცავი, ბომონი“ მნიშვნელობები არ ყოფილა ამოსავალი ქართული ბაგინ-ი სიტყვისათვის. ამას თვალნათლივ აჩვენებს ლაზურში ქართულიდან უძველეს პერიოდში შეთვისებული **ბაგენ**- ფუძე, რომელსაც დღემდე „ნალია, ბელელი“ ერთადერთი სემანტიკა უდასტურდება. აქვე უნდა აღინიშნოს ნარ-ის წინა პოზიციაში **ი→ე** ფონეტიკური გადასვლის საკუთრივ-ლაზური საფუძველიც, რაც არ ჩანს უნიკალური, შდრ: ლაზ. **ნენა**, მეგრ. **ნინა**, სვან. **ნინ** „ენა“, ანუ ლაზ. ბაგენ-ი ← ბაგინ-ი.

ამდენად ირკვევა, რომ ლაზურში შემოგვრჩა ისეთი მნიშვნელობა, რაც უძველეს ქართულშიც ბუნებრივი იყო, შემდგომ მომხდარა მნიშვნელობის ტრანსფორმაცია: ბელელი/ნალია → სალოცავი. ამით იმის თქმა გვსურს, რომ თავდაპირველად ბაგინ- ფორმა ბელლისნაირი შენობა/ნაგებობის მნიშ-

ვნელობას ატარებდა, რომელსაც იმავდროულად სარიტუალო (სამლოცველო) დანიშნულებაც ჰქონია წარმართობის პერიოდში. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო ჩვენებას იძლევა ბელის ფუნქციები ქართველთა ყოფაცხოვრებაში: თუმეში ის რიტუალური ნაგებობის დატვირთვის იძენს და ქორ-ბელელს შემთხვევაში თითქოს მასზე იყო დამოკიდებული მოსავლიანობის ბედი (ბარდაველიძე 1953 : 128); ბელის საკულტო დანიშნულება ცნობილია დასავლეთ საქართველოშიც, როცა საახალწლოდ (და სხვა დროსაც) ბელელში ასრულებდნენ გარკვეულ საწესო რიტუალებს, რათა მომავალი წლის მოსავალი დოვლათიანი ყოფილიყო (რუხაძე 1976 : 178-181). ამგვარი ხედვის გაზიარებით სესხების მიმართულებაც იცვლება, ბაგინ-ი სომხურიდან კი არ შემოსულა ქართულში, არამედ, პირიქით, სომხური bagin-ისთვის გამსესხებელ ენად ქართული გვევლინება და, რაც მნიშვნელოვანია, სიტყვა-ფორმა სომხურმა მაშინ ისესხა, როცა ქართულში უკვე განხორციელებული იყო სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: ბელელი/ნალია → სალოცავი.

ქართ. ბაგინ- ფორმის ენდემურობას მხარს უჭერს ასევე ის ფაქტიც, რომ მას ქართველურ ენა-კილოებში კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება, როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. ასეთ სიტყვა-ფორმად მივიჩნევთ ლაზურ ბოგინ-ა-ს, რომელსაც ფუტკრის სახლის, სკის მნიშვნელობა უდასტურდება — ბაგინ- : ბოგინ-ა. სემანტიკური ოპოზიცია ბელელი/ნალია ~ სკა ბუნებრივად გვეჩვენება.

ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევისთვის აღსადგენია ს.-ქართვ. *ბაგინ- „ბელელი, ნალია, საკულტო/რიტუალური ნაგებობა“ არქეტიპი, რომელიც, თავის მხრივ, ეტიმოლოგიურად, ადვილი შესაძლებელია, სხვა ს.-ქართვ. ძირს, კერძოდ, *ბაგ-ა პროტოტიპს უკავშირდებოდეს.

ლიტერატურა

- ნ. მარი 1906** — Марр Н. Я, Боги языческой Грузии, ЗВО, XIV, 1906.
ჯავახიშვილი 1979 — შრომები, I, თბ., 1979.
ჯავახიშვილი 1998 — შრომები, XI, თბ., 1998.
ნუცუბიძე 1956 — შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956.
ჩიქოვანი 1959 — მ. ჩიქოვანი, ქართული სამონადირეო ეპოსი, I, თბ., 1959.

სოხაძე 2010 — ქ. სოხაძე, დროის აღმნიშვნელი ლექსიკა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში, Ph.D დისერტაცია, თსუ, 2010.

კეკელიძე 1941 — კ. კეკელიძე, ძველი ქართული ერა და ეორტოლოგიური წელიწადი. — თსუ შრ., ტ. XVIII, თბ., 1941.

ანდრონიკაშვილი 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან, თბ., 1966.

ყიფშიძე 1914 — Кипшидзе И. А, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем; С.-Петербург (Мат. по яфет. языкознанию, VII); 1914.

ჯანაშია 1988 — ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი დედაქალაქი, შრ., ტ. VI, თბ., 1988.

წერეთელი 2002 — კ. წერეთელი, კიდევ ერთხელ სიტყვა „ბაგინის“ შესახებ, ჟურნ. ენათმეცნიერების საკითხები (4), თსუ, თბ., 2002.

აბულაძე 1975 — ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, 3, მარტვილობა თეკლასი, შრ. I, 1975.

ჯორბენაძე 1992 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1992.

სარჯველაძე 1996 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, 1996.

ბარდაველიძე 1953 — ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.

რუხაძე 1976 — ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.

Merab Chukhua

Etymological Comments on the Pagan Pantheon of Georgians

Summary

The scientific study of beliefs, of the religious world of Proto-Georgians has not been studied comprehensively. Despite the several successful attempts, a summarizing work on the problem has not existed up-to-date. Moreover, it remains unclear a hierarchical relation of proto-gods of Georgians **Zaden**, **Kerpi**, **Armazi**, **Bagini**, **Igri-batoni** and other to Georgian pagan pantheon. What is known for sure is a function of the **Goddess Dali** who is the Goddess of Fertility.

The present work discusses the name origin of deities **Igri-batoni**, **Kerpi** and **Bagini**. The author supports a parent-language, Common Kartvelian etymological supposition of the given pagan pantheon.

როენა ჭკალუა

ზმნურ ფუძეთწარმოების პრინციპთა ურთიერთმიმართებისათვის სვანურში

ზმნური ფუძეთწარმოების პრინციპები (რედუბლიკაცია, აბლაუტი, აფიქსაცია), მიუხედავად მათი სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურების კუთვნილებისა, მეტ-ნაკლები ინტენსივობით თანაარსებობენ სვანურში. მათ შორის შედარებით არქაულად არის მიჩნეული რედუბლიკაცია (გაორკეცება), რომლის რამდენიმე ტიპი დასტურდება ქართველურ ენათა როგორც სახელურ, ისე ზმნურ სტრუქტურებში.

სახელებში გაორკეცება უმეტესად მნიშვნელობის გაძლიერების, აგრეთვე, სიტყვაწარმოების ფუნქციით გამოიყენება. ზმნებში კი მოქმედების იტერატიულ მნიშვნელობას გახაზავს. ზოგადად, რედუბლიკაცია, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახე, საფუძვლიანად არის შესწავლილი ენათმეცნიერთა მიერ (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ვ. თოფურია, თ. ნაისერი, ს. ჟღენტე, ფ. ერთელიშვილი, ლ. სანიკიძე, ბ. ქობალავა...).

განსაკუთრებით საგულდაგულოდ აქვს განხილული გაორკეცების სახეები ქართველურ ენებში ლ. სანიკიძეს (სანიკიძე 1976, სანიკიძე 1977).

სვანურში საკმაო რაოდენობით გვხვდება როგორც ფუძეთუცვლელი, ასე ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცებული სტრუქტურები, რომელთაც შემდგომ ზმნურ ლექსემათა წარმოება უკავშირდება. საგულისხმოა, რომ სვანური ენის დიალექტებში მრავლად არის შემორჩენილი ამოსავალი მარტივი ძირები. რედუბლიციურებული ფუძეები ძირითადად საერთო-ქართველური მასალაა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა და ოდნავ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით.გაორკეცებულ ფუძეებს შორის შესიტყვება არა გვაქვს, ამოსავალი მარტივი ფუძე დასტურდება ერთ-ერთ ქართველურ ენაში“ (სანიკიძე 1977, 72).

ამოსავალი მარტივი ძირი მოქმედების თანმზღებ ერთჯერად ხმას გადმოსცემს, მისი გაორკეცებით წარმოებული ფუძე კი მოქმედების ინტენსივობაზე, ხმიანობის განმეორებადობაზე მიუთითებს (ხმიანობაში იგულისხმება როგორც მოქმედების თანმდევი, ასევე სულიერის მიერ გამოცემული ხმა). მარტივი ძირები და მათი გაორკეცებით მიღებული ფუძეები (რომელთა მორფოლოგიური ექვივალენტი ქართულში ე. წ. პირველადი მასდარება) გარკვეული ზმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავენ.

ხმოვანუცვლელი რედუბლიცირებული ფუძეები:

ბგლ „ერთჯერადად რაიმე მძიმე საგნის დაცემის ხმა“

დასდრუე ბელდ მეგამხენჩუ **ბგლ**გარ ჳნკიდ. „დათვის ბელი ხიდან ჩამოვარდა“ (დათვის ბელმა ხიდან „ბრეგვალა გაილო“)

ბგლბგლ „დაცემის მრავალჯერადი ხმა“

ფელტლექვა **ბგლბგლ** ესლტანდ. „ფლატეზე მიგორავდა („ბრაგა-ბრუგი მიჰქონდა“).

ტყუიფ — „სილის გაწვნის ხმა“

ჩუ მა ხემედგნ, **ტყუიფ** ათლანე. „რაც შეეძლო, სილა გააწნა“ („ტკაცა გაადინა“).

ტყუიფტყუიფ — „ცემის ხმა“, „გასილაქება“

სგაღპიდ ი **ტყუიფტყუიფ** ლოხსყე. „დაეწია და გაასილაქა („ტკაცა ტკუცი გაუკეთა“)

შკუიფ „ხმელი საგნის ჩარტყმის ხმა“

თხუმლექა ფაჟჳშ **შკუიფ** ქამაჟ ქანსგმდ. „თავში ჯოხის დარტყმის ხმა გარეთ გამოისმა“

შკუიფშკუიფ „რამდენჯერმე ჩარტყმის ხმა“

ფაჟჳშ **შკუიფშკუიფშუ** ადვერნე. „ჯოხის ცემით წაიყვანა“

ხმოვნის შენაცვლებით გაორკეცებული ფუძეები:

უითხ „სველზე დაცემის ხმა“ **უითხუათხ** მნიშვნელობა იგივეა.

უითქ „წკნელის მოქნევის ხმა“ **უითქშათქ**

ყუიფ „ხმელი საგნის დარტყმის ხმა“ **ყუიფყუაფ**

გაორკეცების სახეები და ამ პროცესის თანმდევი ფონეტიკური პროცესები დაწვრილებით არის მოცემული ლ. სანიკიძის შრომაში „რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში“, ამიტომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენთვის

საინტერესო ორსეგმენტის ფუძეებს შევეხებით მხოლოდ, რომლებიც განსაკუთრებით არის გავრცელებული სვანურ ენაში. მათი მორფოლოგიური სტრუქტურა ასე გამოიყურება: **CVS – CVS, CCVS – CVS, CVS – CCVS, CCVS – CCVS.**

აღნიშნულ ფუძეებში პირველი სეგმენტის აუსლაუტში დასტურდება სონანტი **რ**, მეორე სეგმენტის აუსლაუტში კი — სონანტი **ნ**. მეტწილად შემორჩენილია გაორმაგებულ ფუძეთა ამოსავალი მარტივი ძირები. როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, აქაც მარტივი ძირი ერთჯერადი ხმის აღმნიშვნელია, ხოლო გაორკეცებული — განმეორებადობის, ინტენსიურობის მონოტონურობის და ა. შ. მაგალითად:

ბრიგ — ბგრ-გგნ	„ბრაგუნი“
ღრიჭ — ღგრ-ჭგნ	„ღრჭიალი“
ჟღიბ — ჟღგრ-პგნ	„ჟყლეტის ხმა“
ტყუიფ — ტყურ-ფუნ	„ტკაცანი“, „ტკარცალი“
ფხიკ — ფხგრ-კგნ	„ფხაკუნი“
ღიჭკ — ღგრ-ჭკგნ	„ღჭიალი“
ყლიფ — ყლგრ-ფგნ	„ხათქუნი“
ჭლიყ — ჭლგრ-ყგნ	„უწნოდ სიარული“
ჭლიგ — ჭლგრ-გგნ ჯგრ-გგნ	„მძიმედ სიარულის ხმა“

მეორე სეგმენტის ხმოვანი **გ/უ**, იმ დიალექტებში სადაც გრძელი ხმოვნები გვაქვს, (ბზ-სა და ლშხ-ში), სიგრძით არის წარმოდგენილი.

ამოსავალი ძირების ნაწილი გაუდიფერენცირებელი მასალის კუთვნილებას წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება როგორც სახელური, ისე ზმნური ფუნქციით. ვფიქრობთ, რომ ამ უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მივიღეთ გაორმარცვლიანებული ფუძეები, რომელთაც დაერთოთ **გნ/უნ** სუფიქსი. კიდევ ერთი სონანტის დართვამ გამოიწვია მეორე სეგმენტის სონანტის ჩავარდნა, ერთმანეთის მეზობლობაში მოხვდა ორი ხმოვანი, რომელთა შერწყმითაც აუსლაუტის ხმოვანი დაგრძელდა.

მაგ.

ზიბ „მძიმე საგნის დაცემის ხმა“ → ***ზგრ-პგრ** → ***ზგრ-პგრ-გნ** → **ზგრ-პგ-გნ** → **ზგრ-პგნ**
ჩხიფ „წყლის დაქცევის ხმა“ → ***ჩხგრ-ფგრ** → ***ჩხგრ-ფგრ-გნ** → ***ჩხგრ-ფგ-გნ** → **ჩხგრ-ფგნ**

მსგავსი შედგენილობის სტრუქტურები საკმაოდ მოიპოვება ქართულში. ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, რომ ორმარცვლიანი ფუძეების აუსლაუტში დადასტურებული მარცვლები (ან, ინ, უნ...), რომლებიც ხშირად გვხვდება პირველად საწყისებში და ამის გამო სუფიქსების შთაბეჭდილებას ქმნიან, წარმომავლობით რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტებია, ან მათი ანალოგიით გაჩენილი სუფიქსები (ერთელიშვილი 1070, 209) შეიძლება გვეფიქრა ისიც, რომ სვანურის გაორკეცებული ფუძეები პირდაპირ არის შესული ქართულიდან, მაგრამ ჩვენი აზრით, სვანურში ქართულისგან დამოუკიდებლად წარიმართა რედუპლიკაციის პროცესი. თუმცა ამ პროცესების წარმართვაში მთავარი ადგილი სამსავე ქართველურ ენაში სონანტებს უჭირავთ.

ქართულში გაორკეცებულ ფუძეზე (*ლასლას, *ბაბან, *რაკაკ) -ებ თემის ნიშნის დართვით იწარმოება საშუალი გვარის ზმნები. მაგ.: გუგუნ-ებ-ს, ბაბან-ებ-ს, კაკან-ებ-ს, ქაქან-ებ-ს, ყიყინ-ებ-ს და სხვ.

სვანურში რედუპლიცირებული ფუძეებისგან ნაწარმოებ ზმნურ ლექსემებში გაორკეცების კვალი ნაკლებად ჩანს, რადგანაც გრამატიკულ პროცესებში აფიქსური წარმოების ჩართვა ამ სტრუქტურების სახეცვლილებას იწვევს. ფუძეს დაერთვის ე. წ. **მაზმნავებელი სუფიქსი -ი**, რის შედეგადაც მეორე სეგმენტის აუსლაუტის უ ხმოვანი ნაწილობრივ რედუცირდება **ჟ**-დ, ხოლო ნეიტრალური **გ** კი სრულიად იკარგება.

ბურთქუნ	„ბაკუნი“, „ბრახუნი“
ბურთქუნ-ი	„ბაკუნობს“, „ბრახუნობს“
გურგუნ	„გრგვინვა“
გურგუნ-ი	„გრგვინავს“
კურკუნ	„კრუსუნი“
კურკუნ-ი	„კრუსუნებს“
ღგრგუნ	„ღრწინი“
ღგრგუნ-ი	„ღრწინებს“ და მისთ.

მსგავსი ტიპის ზმნები განხილული აქვს ზ. ჭუმბურიძეს წიგნში „მყოფადი ქართველურ ენებში“, სადაც ავტორი მყოფად-უსრულის ორნაირ წარმოებაზე მიუთითებს:

1. ი-პრეფიქსითა და -ინ II -უნ სუფიქსით:

ზგრზ-ნი	„ზუზუნებს“	ი-ზგრზ-ნინ-ი	„იზუზუნებს“
კურკ-უნ-ი	„კრუსუნი“	ი-კურკ-უნ-ინ-ი	„იკრუსუნებს“

2. ოდენ სუფიქსურით.

თხურპ-ნი „თუხთუხებს“ თხურპუნ-ინ-ი „ითუხთუხებს“

ტგრტ-ნი „ლაქლაქებს“ ტგრტ-უნ-ი „ილაქლაქებს“

როგორც მასალა გვიჩვენებს, მწკრივთა წარმოება ხდება აფიქსთა მეშვეობით. უღლებიას ერთ გრამატიკულ პროცესს, რედუბლიკაციას, ცვლის მეორე გრამატიკული პროცესი აფიქსაცია. უფრო სწორედ, ძირის გაორკეცებით იქმნება „პირველადი მასდარი“ (ზგრ-ზგნ, თხურ-პუნ...), ხოლო უღლება ხდება პრეფიქსთა და სუფიქსთა საშუალებით.

აღნიშნული ტიპის ზმნები საკმაო რაოდენობით მოიპოვება სვანურში: **ხგრგ-**ნი „ხრიგინებს“, **წგრპ-**ნი „წრიპინებს“ **ჩგრთხ-**ნი „უაზროდ ლაქლაქებს“, **ჯგრგ-**ნი „უშნოდ დადის“, **ფგრცხ-**ნი „ფუცხუნებს“, **ხგრხ-**ნი „ხიხინებს“, **წურკჟ-**ნი „წკმუტუნებს“, **სგრტ-**ნი „ჭახჭახებს“, **ქგრქ-**ნი „ქაქანებს“, **ზურზუნ-**ნი „ზუზუნებს“, **ხგრჭ-**ნი „ხრჭიალებს“, **ფურსლუ-**ნი „ჩურჩულებს“ და სხვ. მათ მხოლოდ I — სერიის ფორმები გააჩნიათ. „სვანურ ლექსიკონში“ (ვ. თოფურია, მ. ქალდანი) ამ ტიპის ზმნები წარმოდგენილია აწმყოს წრის ნაკვეთულებით: აწმყოს, უწყვეტლისა და მყოფადის ნაკვეთებით.

ამ ტიპის ზმნებთან **ლი-** პრეფიქსიანი მასდარებიც დასტურდება: **ლი-გ-ურგუნ-**ი...

მცირე რაოდენობით გვხვდება მსგავსი ტიპის ზმნები -ე სუფიქსითაც. მაგ.:

კიკინ-ე „ხიხინებს“

დიდინ-ე „ბიბინებს“ და სხვ.

თანამედროვე სვანურში მეტად პროდუქტიულია **-ი** და **-ე** სუფიქსები. ისინი ხშირად ქართულის **-ებ**, **-ობ**, **-ავ** თემის ნიშნების მორფოლოგიურ ექვივალენტებად გვევლინებიან საშუალო გვარის ზმნებში. ოღონდ დასტურდებიან მხოლოდ აწმყოს მწკრივებში. ამიტომ მათ აწმყოს მწკრივის ნიშნებს, აწმყოს მწკრივის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებს უწოდებენ (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ალ. ონიანი...) მათი ფუნქცია კარგად ჩანს ქართულთან საერთო მასალაში.

მაგ.:

დადღაღ-ი	„ლაღღებს“
ქსგლ-ი	„ქსიტინებს“
ყარყალ-ი	„ყიყინებს“
ცმოტ-ე	„ცქმუტავს“
ქყაჟ-ე	„ჭყავის“
ღლიც-ე	„ღლიცინობს“
ღლაბუც-ე	„ღლაბუცობს“
შბოთ-ე	„შფოთავს“ და ა. შ.

ძირითადად აქ წარმოდგენილია ჩოლურულის მასალა.

ჩვეულებრივ აფიქსებით იწარმოება გვარის, ქცევის, კაუზატივისა და სხვა მორფოლოგიური კატეგორიების ფორმები (უბრალო მიმართება: **ხ-ა-ზგრზ-გნ-ი** „ეზუზუნება“ სასხვ. ქც. **ხ-ო-ზგრზ-გნი** „უზუზუნებს“ კაუზატ.: **ხ-ა-ზგრზ-ნ-ინ-ე** „აზუზუნებინებს“ და ა. შ.).

გრამატიკულ პროცესთა ტიპებიდან სვანურში საკმაოდ არის გავრცელებული ფუძის დრეკადობის სახელით ცნობილი ხმოვანმონაცვლეობა. ქართველურ ენებში ფუნქციურმა ხმოვანმონაცვლეობამ (აბლაუტმა), როგორც მნიშვნელოვანმა მორფოლოგიურმა მოვლენამ, იმთავითვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება (გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, ბ. ჯორბენაძე, რ. ქურდაძე, ა. არაბული და ა. შ.).

თოფურიას აზრით ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული, ქართულისთვის კი მეორეული მოვლენაა (თოფურია 2002, 409). მეცნიერი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ მოვლენას სვანურში, რომ ზმნათა „განჯგუფებისას“ ცალკე ჯგუფად გამოყოფს ზმნებს, რომლებიც პასივსა და აქტივს ერთმანეთისგან ფუძის დრეკადობით არჩევენ, „...სიმოკლისათვის II ჯგუფის ზმნებს ფუძედრეკადებს ვუწოდებთ (თოფურია 1967, 40).

ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა შორის, სვანურს მიიჩნევს იმ ბედნიერ გამონაკლისად, სადაც „...აშკარად გამოიყოფა ჯგუფი ზმნებისა, რომელთა აქტიური და პასიური ფორმები განხმოვანებით უპირისპირდებიან ერთმანეთს“ (ჯორბენაძე 1980, 248).

სვანური ენის დიალექტური მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ დიალექტებისა და აბლაუტის საფეხურთა განაწილების მიხედვით ფუძედრეკად ზმნათა რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა (ჭკადუა 2009, 269).

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ფუძედრეკადთა კატეგორიის ზმნებში ძირისეული ხმოვანმონაცვლეობა აქტივ-პასივის დასაპირისპირებლად ერთადერთ საშუალებას არ წარმოადგენს:

1. აქტივის ფორმებში, როგორც წესი, აწმყოში გვაქვს **-ე** სუფიქსი, პასივისაში კი — **-ი**. (ტიხ-**ე** — ტეხ-**ნ-ი**).

2. პასივის ფორმებს ძირეული მორფემის მომდევნოდ ჩაერთვით **-ენ** ელემენტი, რომლის ხმოვანი შენარჩუნებული მხოლოდ ლენტეხურ დიალექტში, სხვაგან სრულად არის რედუცირებული (ბზ. **ტეხ-ნ-ი**, ლნტ. **ტეხ-ენ-ი**).

ქართულ ენაში, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ენის განვითარების უძველეს საფეხურზე დაიწყო აბლაუტის თანდათანობით მოშლა და აფიქსაციის გაძლიერება. ის ფაქტიც, რომ სვანურში აბლაუტი „ჭარბი მორფოლოგიური ნიშანია“ და კატეგორიის შიგნით დაპირისპირებაში აფიქსებიც (**-ი** და **-ე** სუფიქსები და **-ენ** ელემენტი) მონაწილეობენ, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ სვანურშიც აღარ არის მყარი ზემოთ აღნიშნული მოვლენა. მწკრივთა წარმოებისას კი პირისა და რიცხვის ნიშანთა დართვის შედეგად ძირისეული ხმოვანი ან ნაწილობრივ რედუცირდება, იშვიათად კი სრულიად იკარგება. ასე რომ შიგნისხმოვანის ცვლილება მორფოლოგიურ ფუნქციას კარგავს.

მაგ.: აწმყო აქტივი **თუფ-ე** || **თუიფ-ე** „გვკარგავ“

მყოფადი: **ო-თუფ-ე** „დავკარგავ“ (ნაწილობრივი რედუქცია)

წყვეტ. **ო-თუფ** „დავკარგე“

თურმ. **ა-მ-თუიფ-ა** „დამიკარგავს“

პასივი:

თუეფ-ნ-ი (← ლნტ. **თუეფ-ენ-ი**) „ვიკარგები“

ო-თუეფ-ენ-ი „დავიკარგები“

ა-თუეფ „დავიკარგე“

ა-მ-თუეფ-ხუი „დავკარგულვარ“

ობიექტური წყობის აქტივის ფორმებში პირის ნიშნის დართვის შედეგად ანლაუტში ჩნდება თანხმოვანგასაყარი, ნეიტრალური **გ**, ხოლო ძირისეული ხმოვანი სრულად იკარგება.

მ-გ-ტხ-ე „მაბრუნებს“

ჩ-გ-ტხ-ე „გაბრუნებს“

აფიქსების დართვის შედეგად სრულად რედუცირდება შიგნისმოვანი ისეთ კატეგორიებში, როგორცაა

მაგ.: უბრალო მიმართება, საზედაო, სათავისო, სასხვისო ქცევები, კაუზატივი და ა. შ.

უბრალო მიმართება II საზედაო ქცევა: **ფიშგ-ე** „ხსნის“ **ხ-ა-ფშგ-ე** „ახსნის“

სათავისო: **ი-ფშგ-ე** „იხსნის“

სასხვისო: **ხ-ო-ფშგ-ე** „უხსნის“

კაუზატივი: **ხ-ა-ფშგ-უნ-ე** „ახსნევენებს“

ობიექტის სიმრავლე: **ხ-ა-ფშგ-გრ-ნ-ე** „და^აახსნევენებს“

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, რედუქციაციის შედეგად მიღებული ფუძეებისგან ნაწარმოები ზმნები და ფუძედრეკალთა კატეგორიის ლექსემები უღვლილების პარადიგმაში იყენებენ აფიქსებს, თუმცა რედუქცირებული და ფლექსიური ფორმებიც შემორჩენილია. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას: „ენაში ძვეს არა მხოლოდ შემოქმედებითი, განმაახლებელი პოტენცია, არამედ არანაკლები სიძლიერით გამოხატული ტენდენცია თვითშენარჩუნებისა. ამის გარეშე განვითარების უკვე რამდენიმე საფეხურის შემდეგ ენა ვერსაცნობად შეიცვლიდა სახეს“ (ჯორბენაძე 1980, 195).

ლიტერატურა

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, ტ. I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, ტ. II, თბილისი, 2002.

ერთელიშვილი 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.

ონიანი ალ. 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998

სანიკიძე 1977 — ლ. სანიკიძე, რედუქციაცია სვანურსა და ზანურში, იკეწ, IV, თბილისი, 1977.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი, 1980.

ჩიქობავა 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში I, თბილისი, 1948.

ჭკადუა 2009 — რ. ჭკადუა, აბლაუტის საფეხურთა განაწილებისათვის სვანური ენის ფუძედრეკად ზმნათა ფორმებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, X, თბილისი, 2009.

ჭუმბურიძე 1981 — ზ. ჭუმბურიძე, ნასახლარი ზმნები სვანურში, აკ. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1981.

ჭუმბურიძე 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980.

Roena Chkadua

On the interrelationship of the principles of verbal stem-formation in Svan

Summary

Principles of verbal stem-formation coexist in a language at various extents. The study of the Svan data confirms that the verbs, derived from reduplicated stems, and the lexemes, belonging to the category of flexibles, apply affixation in conjugation, however, traces of reduplication and inflection are still visible.

ცირა ჯანჯღავა

ცხოველთა სახელები ქართულ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში

ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში, სხვა ტერმინოლოგიათა მსგავსად, პირველადი, მარტივი ფუძეების რაოდენობა შეზღუდულია; ტერმინების მეტი წილი ნაწარმოები სიტყვები და შესიტყვებებია.¹ მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცხოველთა სახელების მონაწილეობით შექმნილ ტერმინოლოგიურ ერთეულებს, რომელთა შორის სამი ტიპის ტერმინები გამოიყოფა: წარმოქმნილები (ანუ დერივატები), თხზულები (ანუ კომპოზიტები) და ტერმინოლოგიური გამოთქმები.

დერივატების რაოდენობა დიდი არ არის; აქ გვხვდება როგორც სუფიქსებით, ისე პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ტერმინები.

ა) სუფიქსური წარმოება

მაწარმოებლად გამოყენებულია **-ა**, **-ურა**, **-იო** სუფიქსები.

-ა: ზღარბა, ფუტკარა, ცხვარა, ოფოფა, ჯიქა...

-ურა: ბაყაყურა, კამეჩურა...

-იო: მტრედო...

-იო დაბოლოებიან სოკოს სახელებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 1982: 21-27).

ცირკუმფიქსებად (პრეფიქს-სუფიქსებად) გამოყენებულია **სა—ე**, **სა—ია**, **მა—ა**: **სამატლე**, **სატილია**, **მაჩიტა**...

ცხოველთა სახელების შემცველ ბოტანიკურ ტერმინებს შორის კომპოზიტები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვაქვს; ცხოველთა სახელები პირველ კომპონენტად წარმოგვიდგება. აქ ორი შემთხვევა გვაქვს:

¹ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები განხილულია რ. ლამბაშიძის მონოგრაფიაში (ლამბაშიძე 1986).

ა) ფუძეთა მარტივი შეერთება

ამ ტიპისაა: ხართუთა, ყვავტყემალი, ჩიტამხალი... უკანასკნელ შემთხვევაში პირველ კომპონენტში (ჩიტა-) -ა სუფიქსური ელემენტია.

უფრო ხშირად გვხვდება კომპოზიტები, რომლებიც -ა სუფიქსითაა გაფორმებული: დედაფუტკარა, ნაცარქათამა, გველთავა, ძაღლყურძენა, ძაღლნიორა, ძაღლმაცვალა, მწყერფეხა, კატაპიტნა, კატაბარდა, კატაბალახა, ჩიტაწკებლა, ჩიტაკომმა, ჩიტავაშლა... სამ უკანასკნელ კომპოზიტში პირველი კომპონენტი -ა სუფიქსიანი დერივატია.

ბ) კომპოზიტის პირველი კომპონენტი ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია (სუფიქსურ ელემენტად წარმოდგენილია -ა).

ლომისკბილა, დათვისმსხალა, გველისკოვზა, ვეფხვისტყავა, ვირისტერფა, ირმისმხალა, კურდღლისტუჩა, ქათმისკუჭა, ყვავისფრჩხილა, ჩიტისთავა, ცხენისკუდა, ცხენისწაბლა, ხარისჩლიქა, ხარისთვალა...

ამავე ჯგუფში განიხილება ის კომპოზიტებიც, რომლებშიც მათი პირველი კომპონენტის ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული -ს დაკარგულად მიიჩნევა: თავვიკუდა, დათვიმხალა, დათვიმარწყვა, ჩიტიბუდა, ჩიტიფეხა, თავვიყანა, ვაციწვერა...

ხშირია შესიტყვებათა გამოყენება ტერმინოლოგიურ გამოთქმებად. აქ საქმე გვაქვს როგორც შეთანხმებულ მსაზღვრელ-საზღვრულთან, ისე — მართულთან.

ა) შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული

ამ ტიპის ტერმინოლოგიურ გამოთქმათა რაოდენობა შედარებით ნაკლებია: ცხენისკბილა სოკო, ჩინური ვაციწვერა, კალმახა სოკო, მერცხალა სოკო, ფხაშიშველი ვაციწვერა, წვრილყვავილა ცხენისწაბლა, ზღარბა სოკო, ესპანური კურდღლისცოცხა, იმერული ძაღლნიორა...

აღნიშნულ ტერმინოლოგიურ გამოთქმებში წარმოდგენილია როგორც მარტივი ფუძეები (მაგ., სოკო), ისე დერივატები (მაგ., ზღარბა) და კომპოზიტები (მაგ., ცხენისწაბლა); შეიძლება ორივე კომპონენტი იყოს კომპოზიტი (მაგ., ფხაშიშველი ვაციწვერა).

ბ) მართული მსაზღვრელი

არწივის ხე, ფუტკრის დედა, ღორის ქადა, ჩიტის ია, ცხენის ცერცველა, ძაღლის ენა, გველის მარწყვი, გუგულის კაბა, დათვის კენკრა, დათვის სოკო, დათვის ყურძენი, თხის ძუძუ, ირმის ენა, კაკბის ბალახი, მგლის ბალანი, კურდღლის ბალახი, გუგულის ყვავილი...

ბოტანიკურ ტერმინებში უფრო ხშირად გამოიყენება ცხოველთა ისეთი სახელები, როგორებიცაა: ჩიტი, ცხენი, ხარი, ძალი...

ჩიტი: ჩიტავაშლა, ჩიტაკომშა, ჩიტიბუდა, ჩიტის ბირკა, ჩიტისთავა, ჩიტის ია, ჩიტის იონჯა, ჩიტიფეტვა, ჩიტიფეხა, ჩიტიყველა, ჩიტიწვივა, ჩიტიწკებლა, ყანის ჩიტისთვალა, ტყის ჩიტისთვალა...

ცხენი: ცხენისკბილა, ცხენისკუდა, ცხენისმუხლა, ცხენის ცერცველა, ცხენისწაბლა, ცხენისკბილა სოკო, წვრილყვავილა ცხენისწაბლა...

ხარი: ხართუთა, ხარისკუდა, ხარისთვალა, ხარისვარდა, ხარისფაშვა, ხარისშუბლა, ხარისჩლიქა, ხარისძირა...

ძალი: ძალმაცყვალა, ძალნიორა, ძალყურძენა, ძალის ბირკა, ძალის ენა, ძალის პიტნა, ძალის ქინძი, ძალის სატაცური...

ქართული ენის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში დასტურდება, ერთი მხრივ, ცხოველთა სახელების მონაწილეობით ბოტანიკურ სახელწოდებათა წარმოქმნის ქართული სალიტერატურო ენის მსგავსი შემთხვევები, მაგალითად:

გველის მარწყვი — მეგრ. **გვერიშ ციმუა** (ციმუა მეგრულად „მარწყვი“);

ძალმაცყვალა — მეგრ. **ჯოლორიშ მუცია** (მეგრ.-ლაზ. ჯოლორი „ძალი“, მეგრ. მუცია „მაცყალი“);

ძალის ენა — სვან. **ჟაღჟემ ნინ** (სვან. ჟედ „ძალი“, ნინ „ენა“);

ცხენისკბილა — მეგრ. **ცხენიშ მაკიბირაია** (მეგრ.-ლაზ. კიბირი „კბილი“);

ძალყურძენა — მეგრ. **ჯოლორიშ მაცურძენაია**, ლაზ. ჯოლორ ყურძენი და სხვ.

მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირად ქართული ენის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში დასტურდება ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული შემთხვევები (იგულისხმება როგორც ტერმინთა სტრუქტურა, ისე — შინაარსობრივი მხარე, მოტივაცია), მაგალითად:

სალიტ. ძალნიორა — ქართლ. დიალ. **თავნიორა**;

სალიტ. კატაბალახა — მეგრ. **შხურიშ კი** (ზედმიწ. „ცხვის ნაწლავი“);

სალიტ. ცხენისკბილა — იმერ. დიალ. **ხარისკბილა**, მეგრ. **ფაშატიშ კუდელი** (ზედმიწ. „კვიცის კული“);

სალიტ. ძალის სატაცური — თუშ. დიალ. **დათვეურძენა**, ზემო იმერ. **ფუტკრიქავა**;

სალიტ. ხარისფაშვა — ქართლ. **ირმისტუჩა**;

სალიტ. ცხენისკუდა — იმერ. **ვირიკუდა**, გურ. **ჯორისკუდა**;

სალიტ. კალმახა სოკო — სვან. **წიფრაშ ტყუბუღ** (ზედმიწ. „წიფლის სოკო“);

სალიტ. ტყის ფურისულა — კახ. **ფურის ძუძუ**;

სალიტ. ჩიტივაშლა — რაჭ., ლეჩხ. **სირვაშლა**, სვან. **ლახტა ჟისგ** (ზედმიწ. „მთის ვაშლი“)

და სხვ.

ზოგი ტერმინი ქართულ სალიტერატურო ენაში, როგორც ჩანს, კალკირების შედეგად არის მიღებული, მაგალითად:

ცხენისწაბლა — შდრ. რუს. **конский каштан**, ლათ. **hippocastanum**;

მელაკუდა — შდრ. რუს. **лисохвост**;

გველთავა — შდრ. რუს. **змееголовник**;

ჩიტიფეხა — შდრ. რუს. **птиценожка**;

ცხვრის წივანა — შდრ. რუს. **овечья овсяница**

და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი კვლევა გვესახება წინასწარ ცნობად ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში ცხოველთა სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს კვლევა ემყარება ძირითადად ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ წარმოდგენილ მასალას (მაყაშვილი 1961). ვფიქრობთ, საკითხი შემდგომი გაღრმავებული კვლევის საგანი უნდა გახდეს, განსაკუთრებით — სამი მიმართულებით: 1) სათანადო ტერმინთა მოტივაციის შესწავლა (იგულისხმება ისეთი ტიპის მოტივაცია, როგორც წარმოდგენილია, მაგალითად, ქველ-ში: **მელაკუდა**... 3. ბალახი, მარცვლოვანთა ოჯახისა; აქვს ღეროს წვერზე შეკრებილი ერთყვავილიანი თავთუნები, რაც მელას კუდს მოგვაგონებს... — ქველ V: 168-169); 2) საკვლევ ტერმინოლოგიურ ერთეულებში პოლისემიის, სინონიმის, ომინიმის, კალკირების... მოვლენათა სათანადო სისრულით კვლევა; 3) ქართული ენის დიალექტებსა და სხვა ქართველურ ენებში არსებული ვითარების გამოწვლილვითი ანალიზი (ზემოთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ მომენტზე გამახვილდა ყურადღება). ივარაუდება, რომ ამ მიმართულებით კვლევა მომავალში უფრო ინტენსიურად წარიმართება.

ლიტერატურა

ლომთათიძე 1982 — ქ. ლომთათიძე, -იო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში. — მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბილისი, 1982.

მაყაშვილი 1961 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბილისი, 1961.

ღამბაშიძე 1986 — რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986.

ქეგელ V — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. V, თბილისი, 1958.

Tsira Janjgava

Animal names in Georgian botanic terminology

Summary

Terminological entries, coined with the participation of animals' names, occupy an important place in Georgian Botanic terminology. Three kinds of terms occur: derivatives, composites, and terminological expressions.

The animal names such as *a bird, horse, dog, ox...* are often used in the terms under research.

The similar cases of Georgian literary language as well as different ones (it is meant term structure as well as motivation) are confirmed in the Georgian dialects and other Kartvelian languages.

სარჩევი

გ. გოგოლაშვილი — ბესარიონ ჯორბენაძე.....	3
G. Gogolashvili — Besarion Jorbenadze	16
ბესარიონ ჯორბენაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	17
Principal Dates of Besarion Jorbenadze’s Life and Work.....	19
ბესარიონ ჯორბენაძის ძირითადი სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია..	21
The Basic Bibliography of the Scientific Works of Besarion Jorbenadze.....	21
ბ. ჯორბენაძე — ზმნური ფორმაწარმოების საკითხები ქართული ენის დიალექტებში	36
B. Jorbenadze — Issues of the verbal word-formation in Georgian dialects	65
ნ. არდოტელი — მრავლობითისა და კრებითი რიცხვის ურთიერთმიმარ- თებისათვის ხევსურულში	66
N. Ardotei — On the interrelationship of the plural and collective number in Khevsurian	76
მ. ბუკია — ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. IX. სოციალურ ურთიერთობათა და ნათესაო- ბის აღმნიშვნელი ლექსიკა.....	77
M. Bukia — From the history of Georgian-Abkhazian Lingua-cultural relations - IX. Vocabulary denoting kinship and social relations.....	89
თ. ბურჭულაძე — უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება	90
T. Burchuladze — Complex sentences without conjunctions	99
ე. გაზდელიანი — მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში.....	100
E. Gazdeliani — Allomorphs of the instrumental case in Svan.....	112
რ. გერსამია — ბგერწერითი ლექსიკა მეგრულ ფოლკლორულ მასალაში და მისი ქართულ ენაზე თარგმნის სპეციფიკა.....	113

R. Gersamia — Phonosemantic Vocabulary in Megrelian Folklore Data and Specific Features Associated with Their Translation into Georgian.....	124
ლ. გიგლეშიანი — მიზეზისა და მიზნის ზმნისართებისათვის სვანურში ..	126
L. Giglemiani — On the adverbs of cause and purpose in Svan.....	129
ლ. ეზუგბაია — გარდამავლობის საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში.....	130
L. Ezugbaia — On the Problem of Transitivity in Megrelian-Laz	136
ც. კვანტალიანი — ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლილების შესახებ	138
Ts. Kvantaliani — On Some Ongoing Grammatical Changes in Georgian	143
მ. ლაბარტყავა — დანიშნულების სახელთა წარმოება მეგრულში.....	144
M. Labartkava — Derivation of destinative nouns in Georgian.....	149
კ. მითაგვარია — ხმაბაძვითი სიტყვების საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში	150
K. Mitagvaria — On onomatopoeic words in some Ibero-Caucasian languages	153
რ. მურღულია — მიხეილ ყიფიანი და მისი გრამატიკული შემოქმედება ..	154
R. Murgulia — Mikheil Kipiani and his grammatical works	164
მ. საღლიანი — კვლავ ერთი ტიპის დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში...	165
M. Sagliani — One type of the Svan tense-defective verbs revisited	193
მ. სუხიშვილი — აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაცია ახალ ქართულში.....	194
M. Sukhishvili — Grammatical classification of the verbs -akvs, hqavs (have) with preverbs in Modern Georgian	215
თ. ტეტელოშვილი — ზოგ თანდებულთა კვალიფიკაციისათვის ტრანსლაციასთან მიმართებით.....	216

- T. Teteloshvili** — On the qualification of some postpositions with respect to transference 229
- ხ. ყანდაშვილი** — მრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში (კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის პროზის მიხედვით)..230
- K. Kandashvili** — Expressing repeated habitual actions in Modern Georgian (Based on the prose by K. Gamsakhurdia and M. Javakhishvili) 235
- ნ. შავრეშიანი, მ. სალიანი** — განსაზღვრებითდამოკიდებულებიანი ჰიპოტაქსისათვის სვანურში..... 236
- N. Shavreshiani, M. Sagliani** — On the hypotaxis with an attributive subordinate clause in Svan 266
- ვ. შენგელია** — ოდნობითობის გამოხატვისათვის მეგრულში 267
- V. Shengelia** — Towards expressing of slightness in Megrelian 273
- მ. ჩუხუა** — -ერ სუფიქსიან ნამყო დროის მიმღობათა საკითხისათვის ლაზურ-მეგრულში..... 274
- M. Chukhua** — Towards the issue of Past Participles with the suffix *-er* in Laz-Megrelian 280
- მ. ჩუხუა** — ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართველთა წარმართულ პანთეონზე..... 283
- M. Chukhua** — Etymological Comments on the Pagan Pantheon of Georgians 289
- რ. ჭკადუა** — ზმნურ ფუძეთწარმოების პრინციპთა ურთიერმიმართებისათვის სვანურში..... 290
- R. Chkadua** — On the interrelationship of the principles of verbal stem-formation in Svan..... 298
- ც. ჯანჯავა** — ცხოველთა სახელები ქართულ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში 299
- T. Janjgava** — Animal names in Georgian botanic terminology 303

ტექნიკური რედაქტორი ლ. გაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

**თ. გაბროშვილი
რ. შაბიაშვილი**